საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ქართული ხალხური სასიმღერო სიტყვიერება

II

ტექსტების მოამზადება, რედაქცია
შესავალი და შენიშვნები
ქსენია სიხარულიძის

გამომცემლობა „მეცნიერება"

Г 1+1Ф
899.962.1+398(47.922)
ქ. 279

რედაქტორი გ. ლეონიძე

წინასიტყვაობა

ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების კრებულის გამოცემა ნავარაუდევი იყო ორ ტომად. პირველი ტომი გამოქვეყნდა 1961 წელს. მასში შევიდა სხვადასხვა ციკლის ნაწარმოებნი დაკავშირებულნი V — XVII საუკუნეებთან. ისინი მოიცავენ ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერების განვითარების პირველ და მეორე პერიოდებს. მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა მესამე პერიოდის — XVIII საუკუნესთან დაკავშირებული ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. მიზანშეწონილად ვცანით, ისინი წარმოგვედგინა ცალკე—მეორე ტომის სახით. მესამე ტომში კი წარმოდგენილი იქნება მეოთხე და მეხუთე პერიოდების საისტორიო ზეპირსიტყვიერება შექმნილი XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებამდე. მასალების დალაგების პრინციპი არ შეგვიცვლია. იგივეა აგრეთვე ვარიანტების დართვისა და ტექსტების შენიშვნების ხასიათიც.

ამ ტომში, ისევე როგორც პირველ ტომში, მხატვრულად სრულქმნილი ტექსტების გვერდით წარმოდგენილია გაუმართავი ნაწარმოებნიც. მათ მაინც აქვთ ისტორიული ღირებულება, როგორც ხალხურ, ზეპირ ქრონიკას ჩვენი ქვეყნის წარსულისა. კრებულის საძიებლები და ზოგიერთი სიტყვის ახსნა დაერთვის მესამე ტომს.

ქსენია სიხარულიძე

ძეთვრამეტე საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ვითარების აქსახველი ნაწარმოებები

ერეკლე მეორე

1

ბატონიშვილს ერეკლესა
ირმის ძუძუ უწოვნია,
წყალი უსვამს ალგეთისა,
თრიალეთზე უძოვნია
დაკარგულა საჩალეში,
მონადირეს უპოვნია.

2. პატარა კახი

ერეკლე ბატონიშვილი
განა უბრალო კახია?!
საგურამოში ლეკისა
ჯარ მარტომ შუა გახია!...

3

ჩვენი ბატონი ერეკლე
ერთი პატარა კახია.
ჭარის ბოლოში ლეკების
ჯარი შუაზე გახია.
ეგ იყო ნეფე ერეკლე.
ბელადო, ვერა ჰნახია?
ჩამოგახივნა ჩოკანი,
სადილიც მწარე გაჭმია.

4

ერეკლე ჩვენი ბატონი
ერთი პატარა კახია,
ჩაიცვა ჯაჭვის პერანგი,
გაჰკრა ხელი და გახია.

5. ჰევსურები გორის ბრძოლაში

ავარდა ბატონიშვილი.
ერეკლე ნათათრალიო.
არაგვი შამაიარა,
ფხიტუს დალაკნა მთანიო;
ფხიტუს ღელეში შამოკლა.
პირ-წაღმ ილოცა ჯვარიო.
მოკითხულობდა გზა-გზათა:
„ჰევსურებს ვინ ხყავს თავიო?
სანეს დაიცა კარავი.
შამაიხვივნა ყმანიო.
იმედას ეუბნებიან:
„გაგვიღი ბეღლის კარიო,
გამოგვიბძანე დროშაი.
ორივ ააბი ზარიო,
ჩაგვიმწყალობენ ახალნი,
წყრომით არ ჩახყვეს ჯვარიო“.

—

თვალივის ბოლოს დაგროვდეს,
ცამა დაუცა თვალიო.
სამი დასვიან ქადაგი,
არ ულამინებს ჯვარიო.
ჰევსურებმ არ დაიჯერეს, —
„არ ბრუნავს ჩვენი გვარიო“.
არაგვზე ჩამადიოდა
ყაწმიანის ჯარიო,
ქალაქის ჯიდზე გამოკდეს,
ქალაქსაც შაზდვეს ზარიო.

გახკვირდა სომხიშვილები:
„სად მიდის ჯევსურთ ჯარიო?“
„ქართლი შაუკრათ, ჯევსურნო.
ქალაქს ვინ შაზდვა ზარიო.
სურამზე გადაიარეს,
გადაამტვრიენეს გზანიო.

—

ომ იქნა გორის ბოლოსა:
სისხლსა წვიმს, ზეთი დარიო.
-- „მინდვრათ ჩეედით. ჯევსურნო,
სანგლად მაივლით მკვდარიო.
უთურგაისძემ გაჭარბათ, —
კარგად უჭრიდა ჯმალიო.
კარზედ გიორგა დაგიდგათ.
ეგ ყვირილობის ჯარიო.
თოფის ჯმა მოდის მალ-მალედ:
„ღულელ მანგია ვარიო,
ორ გვერდით მიწევს დაჭრილი.
თაოდაც ურჩოდ ვარიო;
მესამე თხრილში ჩავიდა,
ურჩო სჭირს ნახანჯრალიო;
სახელ ნუ დაიმალების,
თუ სად ქართველ ვინ ხარიო“.

—

სამნი გვეტანნეს მჯედარნი.
ცხენებზე ხქონდა თვალიო.
ბიას ჯელში აქვ მათრაჯი,
ლომნისა — ლაგმის ტარიო;
დეზთ იკრავს ნაოგურაი:
„ლიქოკს ჩალხისძე ვარიო.
იარ, წავიდათ, მოკლიავ.
დავხიათ ქართლის წყალიო.
ქალაქ მიგვასხმენ ურუმნი.
ჯევსურთ იქ მოდის ჯარიო.
აიქ უამბათ მე-დ' შენა,
რაიც გვეტანა ძალიო“.
ზოგებ შინ წახოლთ, ჯევსურნო.
ზოგთ აქ დასწერეთ ჯვარიო.

უთხრიდით შინ-წასულებმა:
დარბაზს გავწირეთ ჯარიო.

—

სათავეს ეჯდა იმედა,
არ ევალების ჯვარიო.
დასჩუმებიან დროშანი,
აღარც ერთ იძახს ზარიო.
ციხეთა ბაცალიგურთა,
მაღალთ, დახარეთ თავიო, —
დაგიგვიანდათ ლომნი,
აღარ მოგივათ ჯარიო.
ქალო და ზალო იგვლიეთ.
საყურ დაყარეთ, ცვარიო.

6. უსუფ ფაშა

უსუფ ფაშამ უთხრა მამას.
წავალ, ვნახამ ფადიშასა.
წავიდა და გვერდთ მიუჯდა.
მოჰყვა ტკბილად საჩივარსა:
„შენი ჭირიმე, ხელმწიფევ,
რისთვის მართმევ ფაშობასა?
შენც იცი კახთა ბატონი,
ორთავ გარდაგვიწვდენს მკლავსა,
მას ტკბილობით ვერ გაუვალთ,
მელობით ვუზამთ ბევრს ავსა,
თუ მიბრძანებ, ცოცხალს მოგგვრი,
თუ არა და მოვჰჭრი თავსა“.
— მაგას თუ მიზამ, უსუფო,
გაგიახლებ ფაშობასა,
ტანზედ ქურქსა წამოგასხამ,
მოგცემ გურჯის ქვეყანასა.

—

7. ერეკლემ შემოუთვალა ფაშას

ერეკლეს შემოუთვლია,
დიდის ბატონის შვილსაო.
ლეკები გამომეპარნენ
ქრცხინვალის ციხის ძირსაო.

აიკლეს და ააოხრეს,
ბევრი ცოლ-შვილსაც სტირსაო.
თან თოფი გამოიტანეს,
სახსარი არის ტყვისაო,
თორმეტი ოქროს სალტა აქვს.
ვეცხლი აკრია პირსაო,
გაიხარჯეთ, მომიკითხეთ,
ჩემთვის ძვირფასად ღირსაო.
თუ ნახეთ, გამომიგზავნეთ,
ფაშავ, ნუ მიზამთ მტრისაო,
ნუ მომიმდურებ ამაზედ,
თვარემ გაგიფთხობ ძილსაო.
არ მოგასვენებ არას დროს,
გიოხრებ ნათესს, ხილსაო,
ცხვარ-ზროხას წაგგვრი, ცხენის ილხს
ჭირზედ დაგირთობ ჭირსაო,
დღისით წაგიღებ ქვეყანას
და ღამით ცოლსა, შვილსაო,
სიავეს სიტკბო სჯობია,
სიტყვას ნუ მიგდებ ძირსაო!"

—

8. ერეკლე

ერეკლემ წიგნი მოგუწერა.
გვიჭირს არაგვის ჯარია,
გაიგა ღუდუშაურმა,
ლურჯას დააკრა ნალია.
ოთხზე მაჭედა ლურჯაი,
ლურსმანს უხარა წუერია,
ვინც ნახა გამამავალმა,
ყველამ დასწერა ჯვარია.
საით მიხოლი, მამუკავ,
საით მიგიქრის ცხენია,
თათრებჩი ომი მწადიან.
თუ ღმერთმა მამცა დღენია.
ჩავიდა ქალაქის პირსა,
ქალაქი ნათათრალია,
ჩამდგარან ურუმ-ქურუმნი,
დაქუნდა ზარბაზანია.

შეექეხ სიათა, ყირმული.
მიწას შეამს თათრის ჯარია.
სად არის ჩვენი ერეკლე,
ალამს სად უშლის ქარია.
ის ძუვის ლომის გაზდილი,
ხოდების დასადარია.
წინ უდგას ქართველთ ლაშქარსა,
თითონაც ნაომარია.
ხალისს შეამს მხედარისასა
შავი საფერკე მალია.
ვინც მაკუდეს ომჩი თათართან.
ღია სამოთხის კარია.
კმალს ამასწია მამუკამ.
ომის გუნებას ვარია.
ჯოცა და ჯოცა თათრები.
რიყედ დაყარა მკუდარია,.
ჩვენი ფრანგულის ამაწვდა
ამილახორის ბრალია

—

9. გივი ამილახვარი

ეს გივი ამილახვარი
მტრისაგან შეგვეშალაო,
სამკვიდროები დააგდო —
სამთავისი და ჭალაო,
სურამის ციხე ააგო,
ცათამდინ აიყვანაო,
შიგ წისქვილი დააბრუნა,
წყალი შიგ შეიყვანაო,
ხუშურ-ხუშური მეთოფე
ანაბრად გამოთვალაო.
— ჩქარა ჩამოდით, თათრებო,
გორზედ ავიღოთ ბალაო:
სოლომან ჰკითხავს ამბავსა.
გივი რა ყმაწვილიაო?
— რა მოგახსენო, ბატონო.
ცოცხალი ყმაწვილიაო.
ცხენზედ მჯდომი დაინახო.
იტყვი, რომ შიკრიკიაო,

მეიდანზედ ნაბურთალი
ქორივით გამყოლიაო.
ისე მოამტვრევს ციხესა.
ვითომ ფუტურო ხეაო.

—

10. ამილახვარსა გიესაო.
ციხე უდგია ქვისაო,
შავა და შიგ მოისვენებს,
არ ეშინიან მტრისაო.

—

11. შე გიო ამილახვაროო,
გუნება თაღლითიახო.
ხან აქეთა ხარ, ხან იქით.
საითაც ქარი ჰქრიახო!

12. ამილახვარო. რა ხარო.
ხარ-კამეჩივით დახვალო!

13. მეფე ერეკლეს მოდალატეები

მეფე ერეკლე, ქვეყნის ბატონო,
კელეპტარი ხარ ქვეყნისა მხათი,
რუსეთ ხემწიფე შენგნით გაჰკვირდა,
შენგნით შეშინდა ყანდარ-ერანი,
ღმერთის მგმობელმა, რჯულის დამგდებმა,
ვინ მოიგონა მეფის ღალატი.
ერთს ფეიქარსა წიგნი ხელთ მისცეს,
ეს ჩაგვიტანე ქარუმ ხანამდინ:
„ქარუმ ხან, შენ წინ წამოდექ,
სულ ამოვწყვიტოთ შვილით თავამდინ“.
იმ ფეიქარმა სამ დღეს იარა,
სამ დღეს იარა სამ დღის სავალი.
ანგელოზები წინ გადაუდგნენ:
„როგორ იქნება მეფის ღალატი?“
ის ფეიქარი უკან დაბრუნდა,
ღამით მოვიდა მეფის კარამდინ:
„ჩემო ხემწიფეე, თავს გაუფთხილდი,
უკან დაგიდგნენ ყოვლნი თავადნი“.
მეფე ერეკლე გაჯავრდა:
„კის შეუძლია ჩემი ღალატი?“

„ჩემო ხემწიფევ, თუ არა გჯერა,
უბეში მიძევს მათი ბარათი“.
უბეს უნახეს, ამოაცალეს
იმ თავადების ავათ ნახლათი.
მეფე ერეკლემ რომ წაიკითხა,
ხმა არ გაიღო დიდი ხანამდინ.
კახეთს შესთვალა: „მოდით, მიტირეთ,
სიკვდილი მოხდა ჩემი ამლათი“.
კახეთის ჯარი მალე მოვიდა,
რო მოიხედამთ, ისე მალათა:
„ვინ მოგეიკალით ჩვენი ერეკლე,
სისხლი დავლიოთ როგორც შარბათი“
ის თავადები სულ მოაგროვეს,
როგორც კალოზედ პურსა არნადით,
თავს დააყენეს თვალის მთხრელები,
მას მიადევნეს უკან ჯალათი.
თაქთაქიშვილსა ნავთი დაასხეს,
სულ შიგ ამოწვეს თავით ტანამდინ,
ამილახვარსა თვალნი დასთხარეს,
ხელები დასჭრეს, —
ის ვეღარ მივა თავის კარამდინ.
ამილახვრის შვილს თვალი მოსთხარეს
და ხელი მოსჭრეს: —
წადი, იარე, შენ გაგლახავდი!
ფეიქრის ცოლი დედოფალმა
იქ დაიბარა თავის არამში,
ფეიქრის ცოლი რომ შეიყვანეს,
ქვეშ გაუშალეს მას თექ-ნაბადი:
„შენ ფეიქარო, ამდენსაც მოგცემ,
სანამდინ გეყოს შვილით თავამდინ“.
იმ ფეიქარსა მსახურნი მისცეს,
თან მიადევნეს კარგი დალაქი,
კახეთში მისცეს კოშკი ქალაქი.
ფანიაშვილო, ეს შენ გამოთქვი,
ბარემ სულითაც მანდავ განათლდი.
ეს რომ მეფეს მოახსენო,
ფიცხლავ მზა არის შენი ხალათი!

14. ბაქარიანთა დალევა

ბაქარიანთა დალევა
ქართველზე წილნაყარია,
სიკვდილი პაატაისა
ღმერთმა იცოდეს პრალია,
შეინახიდით, ჯევსურნ, ვინც
გყვანდათ წილს ნაბარგალია,
ეკიდას ბაკრატიონთა
ამაგათ ცოდვა-ბრალია,
დალიენეს ბაქარიანნი,
სულ საქართველოს კარნია.

15. ჯარს ეძახს ბატონისშვილი

ჯარს ეძახს ბატონისშვილი
ერეკლე თავის ყმათაო:
„პირი ქნან მშაველ-ჯევსურთა,
თუშები მიდგას მზასაო“.
გავიდეს ნაყავეჩოსა.
ბაღალს თუშეთის მთასაო,
ეაჯედვენ გარმოსაჯედსა,
ლეკ რომელს მოოს გზასაო.
ხუთშაბათ თენებაზედა
ურჯულო გარმოკდ მთასაო.
„ფარსმანს დამიდგით ციხენო,
ქავს გამიტეხენ კარსაო“.
იმედს აძლევენ მშავლები,
თოფის დავხვევდით კვამლსაო,
ჯელი გაისვა აბამა,
ჯევსურის შვილმა, ჯმალსაო,
განათდა ბაწარაული,
ცადა უცემდა თვალსაო,
გვერდს ედგეს განაყოფები,
მაშველა უჭერს მხარსაო,
ბლოველი მოლოდინაი,
მგელი მაღლალავს ცხვარსაო,

ომობენ ღულელთ შვილები,
ერთი ეძახდა სხვასაო:
„თითოს შევწირათ ოროლი
ლეკთა ნაკოცსა მკვდარსაო“.

—

16. სათრუსოოდ

ერეკლე ბატონიშვილი
ას ღთისგან დავლათიანი:
სათრუსოოდა გაღბედავს,
— სავსე ას საქონიანი:
ჯევსურებს დაიბარებდა:
„თავი დამჭირდა ყმიანი“.
დაემზადნიან ჯევსურნი:
„ოსების ჩვენ გვჭირს ზიანი“.
ჩამავა გაიდაური,
მანძილა რქა-ჯანგიანი;
მახყვების თამარისძეი,
დროშამ მაიღა ძგრიალი.
თრუსო გალეწეს ჯევსურთა,
აისრ რო კალო ძნიანი.
გახუა ხიტალიონი
ბასრის ჯმალია ფხიანი,
ხთისია ატაბიონი
შაორდენია მჯრიანი, —
ციხის კარ შასტანებიო,
მკვდარ დარჩა სისხლ-ტიგრიანი.
ამაგ სიმღერის მათქვამი
კოჭლი ორ, ვერსად დავალი;
ხვადი მყავ ბეწინიკაი,
არ გამეზარდა ტიალი!

—

17. თრუსოს ჩავიდეს ჯევსურნი,
ჭეხა ჩაიღეს ცისაო.
„ნეტავი არ ჩასულიყვნენ!“
საერისთოვლებს სწყინსაო.
ომათა ნათელისძესა
ეტლი თან ჩახყვა ღთისაო
საქათერემოდ სწადიან,

ჯავრი აქვ ქვითკირისაო.
ქვითკირის კარზედ შამაჯდა,
ფერ მაიყოლა მგლისაო.
ხკვირობენ აზნაურები:
„ჰევსური როგორ ცდისაო!“
„ომაიშვილი იქნება“,
ერეკლე იცინისაო.
გვერდს უდგას ატაბიონი
ღთისია, კარგა ცდისაო.
თოთიას ქება რად უნდა?
თესლი აქვ არწივისაო,
სისხლ გარდაუდის ფრანგულსა
ოსისა თრუსოვლისაო.
ოსო, რად იარებოდი,
ყამ რად არ გქონდა მტრისაო?
რად არ იკითხე ამბავი
თოთიას ფრანგულისაო?
ურჯუკას ქება რად უნდა?
სისხლ ბევრჯელ უღვრავ მტრისაო.
თავ-თაოდ ვერვის გაქებდით,
ბედენად არვინ სცდითაო.

– –

18. ერეკლეს უბარებია,
თავი დამჭირდა ყმისაო,
ჩამამივიდეს მთის კაცი,
ქალაქი ფუჭდებისაო,
წილი იყარონ ახლებმა,
ბერები ნულარ დისაო,
ომში ნაცადი ახლები,
შინ ნულარ დადგებისაო.
დაიცათ მამაძაღლებო,
არაგვით მოვა ჯარიო,
მინამ ისინი მამივლენ,
მეც დაგიჭირო მხარიო.

19. ერეკლე მეფის გამარჯვება ლეკებზე

დაღისტანი შეიყარა,
ჭარი და ბელაქანიო,
აცხო და აცხო ხინკალი,
გუდასა ჩაიყარაო,
აგზავნა მარჯვე ლეკები,
მორიგედ გაითვალაო,
შემოცვინდნენ საქართველოს,
ზოგთ კიდეე ერეოთ ფალაო.
ერეკლემ ჭკუა იხმარა,
ურმები აიფარაო,
ჩაუსხა გულმხნე ბიჭები,
ესროლა ჩქარა-ჩქარაო,
რაც ზედ მოვიდნენ, მოშალეს,
ცოტა ვართ, არა კმარაო!
ერეკლემ გადმოიძახა:
„შემიკმაზეთ ბერი კვიცი,
ამ უბანში დამიძახეთ,
სადაც იყოს კარგი ბიჭი“.
შეჯდა, მათრახი გადაჰკრა
და იქ მოხვდა ჭანდრის ძირში.
თქვა: „დამაცადეთ ლეკებო,
მე რომ თქვენი სჯული ვიცი“.
ლეკებმა შეჰქმნეს ჩოჩქოლი,
მოგვეწია არჩილ გიჟი,
ზოგს მოგვკლამს, ზოგსა დაგვარიენს,
ღორის ქონსა გვასხამს პირში,
თავს ვერ მოუვალთ, შეგვარცხვენს,
ყველას ჩაგვყრის ჩვენ დიდს ჭირში,
სჯობია ახლავ გავექცეთ,
მოვერიდოთ ერთ კლდის ძირში.
ზურ მაჰმადი იქით გახტა,
აქეთ დაუხვდა ჯარია,
შეუყენა ხოცვა და ჭრა,
მიჰფანტ-მოჰფანტა, დარია,
ბევრთ თავი ქვასა უხალა,
ტვინი სისხლს შინა გარია,

მაშინაც ბევრი დახოცა.
ოღონდ იყარა ჯავრია.

—

20. აბდულა

აბდულის ყარაულები
ქალაქის კიდზე მდგარაო;
მანდით აყრილა აბდული,
დიღომჩი გადმომდგარაო.
ერეკლეს კაცსა ულალავს:
„ერეკლეკ, ჩემო ნალაო,
გამამილალე სურსათი,
ჩემი ქალაქის ღალაო!“
ეგ რო ერეკლემ გაიგო,
სიცილით გამაძღარაო:
„რა ქნა მა წითელ მელამ?
ტყავ კარზე მამიტანაო!“
გონსა მოვიდა მთიული,
ეგრ რო ი ღორის ფარაო.
ვაჟები თიანელები
ჩაიჭრეს კარავთანაო,
ჩაჭრეს, ჩაკაფეს კარავი,
ჩაყარეს ფარი-ფარაო.
ეუბნებოდეს ოსები:
„კარგი, მთიულო, კმარაო!“
გამოქცეული აბდული
სამშვილდეს ჩამომდგარაო.
წამაეგება დიაცი:
— „ბიჭო, რამ აგაჩქარაო?“
— „სუ დამილუპა ჯარები,
მანდ რო ერეკლე მდგარაო“.

—

21. პამპულია შეიკაზმა
თოფითა და ჯინჯილითა,
რაც შეეძლო ლაღი იყო
ტომ-მოდგმობით, სინსილითა
უნდა ქალაქსა წავიდე,
ამოვხოცო შიმშილითა,
ისე გაუხადო საქმე,

სულ იწოდნენ სირცხვილითა,
მეომრებს ხელ-ფეხს შეუკრავ,
გულს გაუტეხ სიწბილითა.
ეს რომ ერეკლემ გაიგო,
გადაბრუნდა სიცილითა.
— მეფე ერეკლე მოგიკვდეს,
ვერ გაგხეთქო სირბილითა,
კოქორი გაგარბეინო,
მონასტერი ტირილითა.

—

22. გაბრიელ

ანდრეზად არ მადიოდა,
ახლა გაბრიელმ ქნისაო,
დალივნა ბაგრატიონნი,
თავად ბატონად ზისაო.
გაბრიელმ ლაშქარნ შაყარნა
რუსისა-დ' ლიახვისაო;
აწევდა მოკევეებსა:
„ჯავრ ვის გაქვთ ერეკლისაო?"
ერეკლე შაწუხებულა,
ტანთ ბეგთარს იცვამდისაო,
კევსურეთს წიგნებ წალალა:
„თავ მეჭირების ყმისაო".
აჩქარდა კევსურთ შვილები,
ერთმანეთს არ უცდისაო;
არაგვზე ჩამოდიოდა,
გუნდნია შავარდნისაო;
ეეგრე ჩამაამტვრიეს,
ზვავმა რომ წვერი ტყისაო,
ქალაქს შეეიდეს კევსურნი,
მზე ეფინების პირსაო.
ერეკლე წამოეგება:
„მოხვედით საომრითაო!"
არიქათ, ჩემნო კევსურნო,
თორ ქალაქ წამერთმისაო".
თოფით იომეს კევსურთა,
მემრ კელ მიუდის კმლისკაო.
კევსურეთ, გაბრიელ, ვერ შახვ, —

ტყვიას აგასხმენ წვრილსაო.
ბევრი იზრდების ობოლი,
კმალ-სისხლი უხარისაო.

—

23. მიშველეთ ჩემნო ჯევსურნო

მიშველეთ ჩემნო ჯევსურნო,
უნჯნი ყმანი ხართ ჩემნია,
ფულს მოგცემთ მაგოდენასა,
რო არ ზიდევდეს ცხენია.
თავს ვერ გაგიხრით ჯევსურნი,
უნჯნი ყმანი ვართ შენია;
თეთრს ვინც აიღებს ჯევსური,
ვინაც მახკიდეს ჯელია,
გაუწყრას, ნეფევ, ერეკლევ,
ის სალოცავი ჩვენია.
დეემზადენით, ჯევსურნო,
ჩაჩქნებ დაიდგით თავზედა,
თათრების მალოდინი გვოქვ,
გან ვსხედვართ ლუდის სმაზედა.
გაგვიძეღ, ნეფე ერეკლევ,
წავდგათ კრწანისის გზაზედა.

—

24. ერეკლე ჩვენმა ბატონმა,
ქიზიყს შეჰყარა ჯარია,
ალაზან გადო ჯიშირი,
ზედ გადის ჩვენი ჯარია.
პატარა-ნაბახჩავაში
შიგ გამალულა ჯარია.
მივედით, გამოგვაქციეს,
როგორც ნადირმა ცხვარია;
ასე გაგვხადეს თათრებმა,
როგორც ნიუკა მხალია...
ბატონსა ცხენი მოუკლეს,
თავში ჰკრეს ზარბაზანია,
ბატონი ქვეითი მორბის,
ხელში უჭირავს ხმალია.
ქვეშპარიშვილი დათუკი
ცით ჩამოსული ჯვარია:
ბატონსა ცხენი მიართო,

ქვეშ უქრის ნიავ-ქარია;
ბატონი ცხენზედ შებრძანდა,
ქალაქს ამოჰყო თავია.
„დათუკი, ქალაქს ჩამოდი,
იქ ნახე საჩუქარია!...“
დათუკი ქალაქ ჩავიდა,
ეხვევა დედოფალია:
„შენი ჭირიმე დათუკი,
შენ მომირჩინე ქმარია!
წადი და ნახე ვენახი,
როგორც რომ ვენახარია,
შიგ არის ქვითკირის წყარო,
წისქვილი საკუთარია.

—

25. მთიულებს შემოუთვალეს
ბრძანება ქალაქისაო,
გვიშველეთ მთიულთ შვილებო,
ძალა დაგვადგა მტრისაო.
თბილისის ბოლოს მოვიდა
ჯარები თათრებისაო,
შეგროვდა მთიულთ ბიჭები,
დრო არის ჩვენი ცდისაო.
სამხთო ქნეს ლომისაშია,
ხანჯლებს უწყობენ პირსაო. —
ბევრჯელ ყოფილა ომშია,
გამკაფავია გზისაო.
გავანადგურეთ თათრები,
სიმაგრე დავცათ ძირსაო.
მოვიდა უკვე წასვლის დრო,
მღვდელმა დარეკა ზარიო.
ჟინვალში უკვე მოვიდენ,
თოფმა მაიღო ჩქამიო.
ირაკლი ცხენით მოვიდა,
ქართლის მეფედა მჯდარიო,
ჩამოუარა მთიულებს,
მწყობრად დააწყო ჯარიო.
უკვე თათრებიც მოვიდენ,
აიღეს ნატახტარიო,

გაანადგურეს მუხრანი,
აიღეს ციხისკარიო,
მოვიდენ მთიულთ ბიჭები.
წავიდა სისხლის ღვარიო.
გაანადგურეს თათრები,
დღე დააყენეს მწარიო.
განთავისუფლდა თბილისი,
თათრებს შეუკრეს გზანიო.
გაანადგურეს თათრები,
გადაავლიეს მთანიო.
მეფე ირაკლიმ მთიულებს
უბოძა ოქროს ჯვარიო,
სამხთო ქნეს ლომისაშიო,
დაკლეს სამასი ცხვარიო.

—

26. აზატ-ხან წამომდგარიყო,
თან მოაქვს მთა და ბარია.
თორმეტ ათასი კაცი ჰყავ,
ჯარია მეომარია.
მთაზე დაიცა კარავი,
ქვეშ დადგა ოქროს სკამია.
დურბინდით გამოიხედა:
— სად არის ღორი ჭამია?
წადით, ცოცხლები მომგვარეთ,
ერთსაც არ მოჭრათ თავია.
ეს რო ერეკლემ შეიტყო,
საქრისტიანოს გულისთვის
წელს შემოიკრა ხმალია:
მიშველეთ, ქართლო, კახეთო,
შვილები ხართ. თუ ძმანია,
ერთი ზღვა გადმოვარდნილა,
ვერ გადაწვდება თვალია,
ცოლ-შვილს ყელებს დაგვიჭრიან,
მაშინ დადგება თვალია,
გავიქცეთ, ვერსად წაუვალთ.
ცხენი არა გვყავს მალია.

—

27. აზატ-ხანი და ერეკლე

აღაშენა ერევანი,
შიდ განჯის კარი გაიღო,
აზატ-ხანმა მოაშურა,
ჩუმად. სულ ხმა არ გაიღო,
ეს რომ შეიტყო ერეკლემ,
ცხენს შეჯდა, ხმალი აიღო,
მსუბუქის ჯარით წავიდა,
ჯაბახანა არ წაიღო.
ავიდა მაღალ მთაზედა,
ზედიზედ ხანი მდგარიყო,
ერთი ლევანდის უფროსი
ოქროს უნაგირს მჯდარიყო.
ჩვენმან ჯარმან შეუტია,
ლაშქარი შუა გაიყო,
ას-ორასი ზარბაზანი
სულ მოკაზმული. მზა იყო.
ერეკლემ ცხენს შეუტია,
ხევს გაადინა ჩქაფანი,
ხევ-ღელე მძორით აავსო,
ცხენს შეუღება ფაფარი,
წინ ვერავინ ვერ დაუდგა,
მტერს სრესდა მისი ნაფარი
და რაღას თავს ქვას ახლიდა
იასაული, ჩაფარი?
აზატ-ხანს შემოუთვლია:
„ერეკლე რა კაციაო?“
— რა მოგახსენო ბატონო,
ყმაწვილია პაწიაო,
გული უდგია ალმასის,
გარედგან სალი კლდეაო,
ასრე დაანგრევს ციხესა,
როგორც ფუტურო ხეაო.

—

28. თამასხანი

თამასხანი გადმოვიდა,
თან გადმახყვა დიდი ქარი,
სულ წინ ბაღდადი აიღა,

განჯას შამაარტყა ჯარი.
განჯელებმა რო გაიგეს,
შიგნით დაუკეტეს კარი,
შეშა რო ვეღარ იშოვნეს,
ფარჩით ხარშეს ბრინჯის ფლავი.
მატყუებით გადმოვიდა,
სულ აიკლა მთა და ბარი,
ყმაწვილის კალო გალეწა,
ცაჩი მიდის ალივანი.
ღმერთო, მიე თამასხანსა
ღვთის რისხვა და ზეცის ალი!
დედას კაცი მიუვიდა,
გადაკიდულ მიაქვ მკვდარი.
„ცოლის შართვას გიპირებდით,
უნდა მაგვეყვანა რძალი,
ოქრო ქსოვილზე დაგვესვა
თვალეუეუნა თეთრი ქალი“.

—

20. ისე ადიდდა აზატ-ხან,
თავი ძირს აღარ დაიღო,
აქ მე ვარ, სტამბოლს ხონთქარი,
ყეენი ჩემთან რა იყო!
განჯის ხანს შემოუტია,
სურსათი ბე-რი აიღო,
გოქჩის ტბაზედ რო ჩავიდა,
იქ ავღნის ჯარი მდგარიყო.
ავღნებმა შეჰქმნეს ჩოჩქოლი,
გუშინ ერეკლეს თქმა იყო,
ერთი ავღნების უზბაში
ოქროს უნაგირს მჯდარიყო,
— ამისთვის გურჯები მამკვლენ,
ცხენიდამ ჩამომხტარიყო.
ეს სიტყვა რო დაამთავრა,
ერეკლეც წარმომდგარიყო;
საქრისტიანოს გულისთვინ
ერეკლემ ხმალი აიღო.
ერეკლემ რო ცხენი გასძრა,
სისხლმა გაიღო თქაფანი,

უკრავად კაცსა მოჰკლავდა
იმისი ცხენის ქაქანი,
სისხლისა შედგა მორევი,
ცხენს შეეღება ფაფარი.
ასეთი გარბის აზატ-ხან,
როგორც ხორასნის ჩაფარი.
ერეკლე უკან მისძახდა:
— მოსვლა და წასვლა რა არი!
— რას მამდევ, გურჯო ერეკლე.
რა მიმაქვ შენი დავლაო,
ყველა მანდ გამაშვებინე,
თოფი და ჯაბარხანაო,
იმდენი არა მიმაქვს რა,
სადილი ვჭამო ხვალაო.
— აგრე მოგდევ თავრიზამდე,
ვით წყაზარი გარიელსა,
ცხენ-ჯორებს დაგაყრევინებ,
— ძუა ნაღებ ლალიანსა,
სუყველაში გაგაცრუებ,
გაგისტუმრებ ცარიელსა.

—

30. ნიკო

ნიკომა სთქვა: სარდალი ვარ,
თუ რომ ჩემი გაიგება,
შვიდი დღე და შვიდი ღამე
დაჯდა, წვერი შაიღება,
თუ გორის ციხე ავიღეთ,
ქართლი ჩვენი შაიქნება.
მჭადისჯვარს რომ მივატანეთ,
საქმე მაშინ გაჭირდება.
იქ რომ ბებერმა საქმე ჰქნა,
ის არ უქნია სხვასაო,
ორი ბელადი მოგვიკლა
მთელ შაყრილ დაღისტანსაო,
მესამე რო გამოვიდა,
დახე იმ ჭკუამცდარსაო!
ესროლა თავის მაჟარი,
მოარტყა შუა ძვალსაო

იმისი ჭამა, ქელეხი,
მჭადისჯვარს ედო თავსაო.
ღმერთო, აცხონე ბებერი,
წავიდა თავის გზასაო.

—

31. ხუნძახმა ცხენსა მიჰმარ:თა,
მუხლი ვერ გაიტანაო,
კუდ ქვეშა სდებდა ლაგამსა,
თავი სად დამემალაო?
—: რა დაგემართა ხუნძახო,
რა სახიდამ შეიშალე,
შენ ეგ ცხენი არ დაგაგდებს,
ცოტა წელში გაიშალე.
ისე შეშინდა ხუნძახი,
ვეღარ ჩაიცვა ჩუსტური,
მე აქეთ აღარ წამოვალ,
ქართველთ სცოდნიათ ხუსტური.

—

32. წერეთელმან დაიბარა
ოსმალო და ლეკის ჯარი,
სხვაც მოკრიბა, წაიყვანა,
ჯაყელია სარასკარი,
ალის საყდარში ილოცა,
წინ იახლა წინამძღვარი,
კოხტა ბელადი მიუძღვის,
მას გავარდეს ორივ თვალი!
კორტოხტის გზა გადიარა,
ხევ-ღელე და ავი გზანი,
რაჭას სოფლები დაგლიჯეს,
სულ ქალი და პატარძალი,
ზედ ზამთარმან მოუსწრაფა,
თოვლი მოვიდა დიდძალი,
რაც უნდოდათ, ვეღარა ჰქმნეს,
ერეკლემ დასცა თავზარი.

33. ასპინძის ომი

დიდება და მადლი ღმერთსა,
რომ გამოჩნდა ქრისტეს ჯვარი,
ოთხი კუთხე სულ შეიძრა,
თავი რუსთ ხელმწიფე არი,
ერეკლეს შემოუთვალა
სალამი და საჩუქარი,
ასრე მიყვარხარ, ერეკლე,
როგორც ჩემი და და ძმანი.
მანც მადლობა მოახსენა,
ბეგობრობა შენი ვსცანი,
ეს ფაშები მაწუხებენ,
ლეკია თუ ენგიჩარი.
ცოტა რამ ხანს მოიცადა,
შეიყარა გურჯის ჯარი,
ადგა და ქართლი შემოვლო,
გაამაგრა ტაშისკარი,
ხეობაზედ შემოწკიპა,
აწყვერს მოვა წინა ჯარი,
აწყვრის ციხეს შემოადგა,
შეუშალა ცალი მხარი,
ესროლა და ჩამოყარა
ბედნებიდგან ბაირახტარი.
ზეითგან ტყვია ზუზუნობს,
ოხერში წყალი არ არი.
ბაგალოი გამოვარდა,
ყელ-ყური ჰქონდა დამწვარი,
სულ გაგვიწყვიტა ლაშქარი,
ეს რაღა ღვთის რისხვა არი!
რუსის ჯარი შემწედ ჰყავდა,
სულ არ დაუჭირეს მხარი,
ისევ უკან მიდიოდნენ,
რაღაზედაც განაცხარი.
შუამავალთ ვერა ჰქმნეს რა,
სულ ვერ გარდიხადეს ვალი,
ტოტლებენმან უღალატა,
სხვას დაადვა თავის ბრალი,
ზარბაზნები არ ახმარა,

გაბრუნდა შურისგან მთვრალი,
მეფემ არაფრად ჩააგდო
იმისთანა წუწკი, მყრალი,
აწყვრითგანა გარდავიდა,
ასპინძას მიადგა მწყრალი,
რაც იქ დაუკლო ლეკ-ოსმალთ,
აქ შეუთავა ზარალი,
ბევრი მოწიფული ჰყავდა,
ხელ-ფეხით ყაფლა მარალი,
იმ ღამეს ხიდი აჰყარეს,
გაჩნდა იქ ჰარალ-თარალი.
თათრებმან შემოუტიეს,
სულ არ იცოდნენ ყარალი,
ვერც წინ დაუდგნენ, ვერც უკან.
გაუცუდდათ ჰალლა ჰალი,
ვერ შეუტყეს ხიდის აყრა,
არავინ იყო ჰალალი,
იშვირეს პირი, ხიდს ეცნენ,
აყრილ იყო გასავალი,
პანტ-პუნტით წყალში სცვიოდნენ.
ქალ მაჰმადა და სარალი,
სალავათიც ვერ მოჰქონდათ,
ისე გასტეხოდათ თვალი,
ხრამი შეეკრათ თვითანვე,
ვერა ჰქმნეს რა, იყვნენ მხრდალი,
იქ დახვდა კოხტა ბელადი,
მას გავარდა ორივ თვალი.
ეს ერეკლე გაითხოვა:
„აგერ არის საბურთალი“.
ნეტათქო როგორ შებედა,
როგორ გაუმართა თვალი!
ორნივ ხმალდახმალ შეიბნენ,
მწვე გათამამდა მურტალი,
ზედ შევარდა მოურიდლად,
ვაი მისი ბედის ბრალი,
ისრე გადასჭრა ცხენზედა,
წყალივით გაავლო ხმალი,
რომ თვითონაც ვერ შეიტყო,

გადავარდა ლეკი მყრალი,
მოდით, ბიჭებო, გავიყოთ
ოქრო, მარგალიტი, თვალი,
ფარის ანგარიშს ვინ იზამს,
სულ ზოლათაა ახალი.
შენ ერეკლევ ჰოქმიანო,
ცხენ მაღალ უნაგრიანო,
შენი ნახოცი ლეკები
ასპინძის ბოლოს ჰყრიანო,
ყვავი, ყორანი ლეშსა სჭამს,
კაჭკაჭნი თვალებს სთხრიანო.
ვაი იმათ გაჩენასა,
რა გონჯ ალაგას ჰყრიანო!

—

34. ჭევსურები აწეურთან

ქართველებ, ვერ გაიგეთა,
ჭევის მთა გარმასულაო?
ცოტინაი ას სნოს წყალი,
ჯერ დიდი არ მასულაო.
იარალაის კუდაი
ჭევის მთას გარმასულაო.
ერეკლე ბატონიშვილი
ტახტზეით გარმამჯდარაო,
იარაღები აუსხამ,
ბაბღიას გარდამჯდარაო.
კაცი ჭევსურეთ წალალა:
„თავ დამჭირდება ყმისაო,
ჭევსურებ ჩამამივიდან,
თორ ქალაქ წამერთმისაო,
წილ გაიყარან ახლებმა,
ბებრებ აქ ვერა სდისაო“.
სანეს ჭევსურებ იყრების,
უფროსებ თემ-თემისაო:
„წასვლა გვი, არ გვეშველების,
არ წასვლა არ იქნებისა“.
არაგვი ჩამაამტვრიეს,
ქავ აღარ დაუდგებისა.
ლელ-უბან გადმოდიოდეს,

ელვა დგა ჩაჩქნებისაო;
კუკიას ჩამადიოდეს,
ჭეხა მახქონდა ცისაო;
ქალაქს მიუვა ბატონსა
ჯოგი ლეგისა მგლისაო;
ჭეხით მიართვეს სალამი,
წყრომით ქვე არ იქნებისა.
ერეკლეს გასცინებივა,
პირს მზეი ეფინებისა.
„შორაად სადენს ამბობენ,
ჭევსურ ვერ გამადგებისა“.
სურამი გადაიარეს,
აწყვერსაც მიუდგებისა.
აწყვერის სიმაგრეჩია
ლეკები ჩაუდგებისა.
დაბრუნდა იარალაი,
— მაგას რა მეეგვრებისა?
ბატონიშვილი შასწუხდა:
„ჯარ საით გამიწყდებისა!“
ჭევსურებ მააჯსენებენ:
„დღეს ჩვენი გადაგვკდებისა!“
ჩამეერჩივნენ ჭევსურნი,
ერეკლე ჩამახყვებისა.
ლოხაური-შვილ სუმბატა
ჭმლიან კაცთ წინ უძღვებისა;
გუგუაიშვილ სუმბატა
სახლჩი შიგ დაუდგებისა;
ჯამბათა ივანეურსა
მაშველი მაუნდებისა.
ჯამშაისძეო, რად ხკვდები?,
ერთი ხარ, არ გიკდებისა,
შენი წილი და ნაწილი
გუდანს გასაყო რჩებისა.
ერეკლეს ბატონისშვილსა
პირს მზეი ეფინებისა, —
მაუკლავ კოხტა ბელადი,
გლეხი არ ეკადრებისა;
შვილი ტყვედ წამაიყვანა,
მსახურად დასჭირდებისა.

ბიტურაისა აბაი
დედასამც დაურჩებისა!
გუდანელები ეძებენ
მა გუგუაის შვილსაო.
„ღერენა რად დაგვიანდა?
ცხენი უმკედროდ რბისაო“.
ჯამბათა ივანეური
ვეფხვ გაიწვადა მთისაო.
აზნაურები იკითხვენ
ლომნის გაგაის შვილსაო.
ნეტავი მაგცათ, ქევსურნო,
საგზალი სამის დღისაო!
ერეკლეს შამახვევიხართ,
მაქნევა გწადისთ ქმლისაო.
ფშავლებ უდებენ იმედსა:
„ჭერა ჩვენც გვწადის მჯრისაო“.
მემრა მამუკას მაღნახვენ,
წოწკურაულის შვილსაო.
საღირათ ელიზბარასა
წონა კარგი აქვ მტრისაო.

—

ამა ქართულის მათქომი
ბლოში ბ ი ტ უ რ ა ზისაო,
ბიტურამ ვერა იცოდა,
აბამ უამბო ცდისაო.

—

35. ქევსურები საურუმოში

საურუმოში ქევსურთა
დღე დააღამეს მზიანი,
ლოხაურისძე დაბრუნდა
ბულეჯან გულ-ჯავრიანი:
„ძმაი ურუმებმ მამიკლეს,
შინ მიოლ სირცხვილიანი“.
— „მაგას ნუ შჩივი, ბულეჯან,
— მოგიკვდა საკელიანი,
ქევსურთა სანამეტნაოდ
ქმალ მაიქნივა ფხიანი“.
ქევსურთ თავ-თავად ვერ გაქებთ,

ენა არ მიჭრის ტიალი;
ყველას გსხავთ ჯაჭვ-იარაღი,
არვინ ხართ ხალათიანი.
წინ-წინა მოსულ ურუმთა
არავინ დახვდით ჭკვიანი.
ლომნისა გაგაისშვილსა
სიტყვა არ მოსდის გზიანი.
ქმოსტელი ყარდანაული
ბასრი ჯმალია ფხიანი;
საჩქაროდ გადაიხურა
ჩაჩქანი ზარადიანი,
ურუმებს ჩამოშჭყიოდა,
მაჟარ ჯელთ ხქონდა ჯმიანი.
ღულელი არიშაული
შაორდენია მჯრიანი.

—

36. ცამა დაიწყო ღრუბლობა,
სულ დედამიწამ ღვარობა,
ერეკლე აწყვერს მოსულა,
შვიდი დღე-ღამე მდგარაო.
ტოტლებენმა უღალატა,
ქურდულებ გაეპარაო;
უკანაც ვეღარ დაბრუნდა,
ჯავახეთ მიეჩქარაო.
ასპინძის ბოლოს ავიდა,
იქ მტერი დაეხალაო;
იქა ქნეს დიდი „დრგუში“
დელაბამს უყვეს ძალაო.
სად მიხვალ. ჩემო ერეკლევ,
სად მისდევ, ჩემო ლალაო.
ხმალდახმალ შევა ქართველი,
ცხვარივით წამოძალაო.
შეექცეს „არტანულაში“,
სულ წყალი გაამშრალაო.
ასპინძის ბოლოს ლეკები
ავლაბარს გაიტანაო.

—

37. ერეკლე და ფაშა

ეს ურჯულო ერის ფაშა
ერეკლეს აეშალაო,
ასეთი ჯარი შეყარა,
თვალი ვერ გადუწვდინაო.
სამასი რუსი გაგზავნა,
იმისთვინ ისიც კმარაო,
დალაბანდი დაუკარით,
გაუწყრა ჯარსა, ჩქარაო.
თითო ზარბაზნის სროლითა
სამოცდასამი ყარაო.
რაც რომ ზარბაზანს გადურჩა,
ის მტკვარმა უყო ძალაო.
დაცხა და დადგა ლაშქარი,
აგრილდა, აიყარაო.
დროს ისე ეპირვებოდა,
რომ ჯარი შეიყარაო.
პირველ მსახურად იახლა,
ცხენ წინაც გაიმძღვარაო,
კბილებში ხმალი შემოჰკრა,
ულვაში დაიტანაო.

—

38. მეფე ერეკლე ხერთვისის ციხეში

ერეკლე, ჩვენი ბატონი,
ასრე პატარა კახია,
ტანს რკინის პერანგი ეცვა,
გაჰკრა ხელი და გახია,
რაც უყო ლეკ-ოსმალებსა,
ჰალალია და ჰახია.
ხრამი შეუკრეს თვითანვე,
თავსა მოუდგეს მახია.
ერეკლემ არ მოიშალა
ის თავის მუცლის ჩხვერაო,
ადგა და წინ წამოუძღვა,
მთვარე არ იყო ბნელაო,
ხერთვისის ხიდსა შემოდგა,
თოფებს არ გააქვს ძვერაო.
თათრებმან თავი დაუკრეს,

წინ ვერ დაუდგნენ ვერაო.
ბიიღეს პატივისცემით,
დალაგდნენ იმ დღეს ჯერაო,
ხანუმებმან გარდმოხედეს,
პირზედ გადაჰკრათ ფერმაო,
თქვეს, ვაი თუ დაგვიმძვირდეს
ამ სასაითგან ცქერაო,
მერმე რომ ისევ წავიდნენ,
უწყეს შორითგან მზერაო.

—

39. ირაკლი მეფის ლექსი

ხეფე შემოდგა სერსაო,
გბირნი უმშვენებს გვერდსაო,
გადახდა მთა და ბარსაო,
გადასძახა ხალხსაო,
არიქა, ხალხო გვიშველეთ,
მტერი მოგვადგა კარსაო,
წინ მოუძღვის ლეკისშვილი,
ცეცხლისფრად უელავს ხმალიო,
გაბინახევრა ჯარიო,
გადაუთამაშა ირაკლიმ,
შუას გაჰკვეთა ბელადი.
საითაც მისწევ-მოსწევდა.
გაიმარჯვებდა ქართველი ჯარი.

40. ასპინძის ომი

ასპინძას ერეკლე ვნახე,
ხელში ეჭირა ხმალია,
ლეკებს თავებს აწყვიტამდა
ის ტყვიასავით მალია.
ისე მიყარა ურჯულო,
სულ აღარ სჩანდა კვალია,
იმათი ,ოხტაც იქ მოჰკლა.
მასაც გაუპო თავია,.
როსტომივით დატრიალდა.
ყველას აძახა ვაია,
რად ეომებით ერეკლეს,
ხომ არ გეგონათ ქალია.

41. ყეენი რომ წინ წამოდგა

დიდება და მადლი ღმერთსა.
რომ ბრძანება იქნა მღვთისა,
მოეკიდა ხმალი ხმალსა,
ომი იქნა პირველ ომისა.
ყეენი რომ წინ წამოდგა,
ნეტა რისგან ჰქონდა ძალი,
ხანები რომ დაიბარა,
იმას დაჰყვა დიდი ჯარი.
შუშის ხანს შემოუთვალა:
შენზედ არის ეს აფარი,
ყოვლის მხრიდან მოამზადე,
რაც რომ გქონდეს — საომარი.
„ოთხი კარები მიბია,
ერთგნითა მაქ გასავალი,
იმასაც მაგრა დაგიკეტ,
რას დამაკლებს შენი ჯარი,
შორიდამ გალაპარაკებ,
როგორც მეძებარი ძაღლი:
თუ რო ქალაქისკენ წახვალ,
იქაც ერეკლე მზა არი,
ერეკლე შენ დაგამარცხებს.
შინ წახვალ გაუხარელი“.
ერეკლეი გამოვიდა,
მიიხედა. მოიხედა, —
აღარ არის თავადები,
გადაჰკრა, გადააჭენა:
„აღარ არის ჩემი ბრალი!“
საწყალი გურამიშვილი,
რა ერთგული თოფჩი იყო,
სულ ზარბაზნებ ქვეშ აკუწეს,
ტყვია-წამალი რა იყო!

—

42. აღა მაღამეტ ხანი

ეს რა საქმე დაგვემართა
აღა მაღმეტ ხანისაგან,
მაცხოვარო, დაგვიფარე

ზოგნი დატყვევებისაგან.
არჩივა ყორღანაშვილმა,
გაუგზავნა ბამბა, ტარი,
„დაჯექ ყეენო, დაართი,
შაიქნები ჩვენი რძალი!“
ეს რომ ყეენმა შეიტყო,
ჯარებს დაატანა ძალი,
ადგა, ქვემოთ წამოვიდა,
თან მოჰქონდა მთა და ბარი.
იალღუჯას რომ მოვიდა
ის ურჯულო არაშელი,
სოლოლაკზედ რომ გადმოდგა,
ქალაქს აეშალა კვალი.
ბევრი მოკვდა არაბისა,
ვერ იტყოდა ღელვით მტკვარი
რა კი აღარ იქნებოდა, —
მორიდება კარგი არი:
ბატონი ცხენზე შებძანდა,
აირბინა ანანური,
„სად მიხვალ, ჩვენო ბატონო,
ქალაქი მაქვს სანანური“.
თათრები ქალაქს ჩავიდნენ,
შიგ დაუკრეს სალამური,
ტურფები ბევრი წაასხეს,
ბებრებია დადაღული.

43. ხოჯა ხანი წამოვიდა

ნეტავ ქება როგორ ითქმის
ამ თბილის ქალაქისაო,
ზამთარი არის ბროლისა,
ზაფხული ზურმუხტისაო,
გარს ახვევია ბაღები,
ჩარხი უბრუნამს წყლისაო,
შიგ წისქვილები უბრუნამს
გარშემოვლილი წყლისაო,
ქალაქში აბანოები,
ბადალი ხმელეთისაო,

ძირიდამ აშენებული
აუზებია ქვისაო,
მაღლიდგანა მოჭედილი
წითელ იაგუნდისაო,
გვერდიდამ ფანჯარეები
სანათურია მზისაო,
ვინც შავა. აგრე გახდების,
როგორც თოვლია მთისაო.
ქალი და რძალი გამოდის,
ვით რო ყვავილი ხისაო.
დუქნები ბევრი დამართეს.
სასხდომი ბაყლებისაო,
ქვეშ ქუჩები დაატანეს,
სარბენი არი გზისაო,
წინ ნათხარი ორმოები,
ნაგები სარდაფისაო,
ხო ის ლაინი ბევრია
და ფარჩა ბეზირგნისაო.
საყდარიც ბევრი ააგეს
ამ თეთრი ქვიტკირისაო,
ხატი და ჯვარი შიგ არის,
სალოცავია ხვთისაო,
ბერი და ღვდელი ამთენი,
როგორც რო წვიმა წყლისაო.
ხაზინაები აწყვია,
მოვრილი თამაზ ხნისაო.
ერეკლე ბატონი იჯდა,
ბადალი ხმელეთისაო.
ასტირდა მცა და ქვეყანა,
მისთვის არ მოდის დარია.
ხოჯა ხანი წამოვიდა,
თეირნით მომავალია,
იმდენი ჯარი მოუდის,
არ გადასწვდება თვალია,
შიგდაშიგ სარდლები მიჰცა,
მან კი აართო მხარია.

შუშის ხან წიგნი დასწერა,
ერეკლეს გაუგზავნია.
თავადები დაერჩივნენ,
ერთათ მოაბან მხარია,
საყდრიდამ გამოიყვანეს
ის დიდი ძველი ჯვარია.
ზოგი მოუკლამს ტყვიასა,
ზოგ მიწას შეუჭამია.
„ურჯულოს ხელში ნუ ჩაგვყრი,
ისევ შენ მოგვიხმარია, —
წინ ერეკლეს გამოუძღვენ,
ვითომ ირემი ხარია,
ასე მოჰქონდა ლაპლაპი,
ვით საომარი ხმალია.
დუშეთში რომ შემოვიდა,
ცხენს მოაგოგებს ნელაო,
დაჯდა და წიგნი დასწერა:
ეს რუს ხემწიფეს მიმ<rrთვით,
მან გადიკითხოს ნელაო:
„ხოჯა ხანი წამოვიდა,
ქალაქი შეამტვერაო,
მე აქედამ მომიქცია.
ისევ მიშველე შენაო“.
გადიკითხა რუს ხემწიფემ,
მუხლზე დაიკრა ხელია:
„ვაი შენ ტიფლის ქალაქო,
რა ძნელი საქმე ჰქენია.
ხაზინაები დავკარგე
და ოქროები ბევრია.
ზოგი ბოლოზე დავიდეთ,
დავიმონავოთ მტერია,
ზოგი დარბანზე გავიდეთ,
ორათ გავაწყოთ გემია.
ხოჯა ხანი დავიჭიროთ,
ძაღლივით მოვჭრათ ყელია,
ქალაქი დავიმორჩილოთ.
სულ საქართველო ჩვენია“.
ეს ამისი გამომთქმელი

სიტყვების ჩამომთვლელია,
ყველანი ერთად დაგლოცონ,
რაც ქვეყანაზე მღვდელია,
მისი მადლი შეგეწიოთ,
ცხეთას რო ხატი სვენია.

—

44. თურქმანი ტფილისში
ორშაბათ დილას გათენდა
ავი დილა, ავი დარი, —
ყმაწვილების კალოს ლეწავს
თურქმანის ცხენის ნალი.
ერეკლე გამაქცეულა,
მუკლებს აღარა აქვ ჯანი.
შამეყრების რუსები,
სამის ბატონისა ჯარი.
— „რამ გამაგაქცივ, ერეკლე,
რამაღ დაგატანა ძალი?“
— „რასა მკითხევდით, რუსებო?
მტერმა მამტაცისა კარი.
შამავიდა თურქმანი,
ქალაქს გაადინა ალი.
მიუბრუნდათ, გავაქციათ,
ამავიგდათ მაგის ჯავრი!“
არ დაიჯერეს რუსებმა;
„ჩვენი უფრო დიდი ჯარი, —
თურქმანამ უნდა ხიას
ქალაქის პირ ალაზანი—.

—

45. ასტახანი რომ დაიძრა,
თან მოჰქონდა მთა და ბარი.
იქიდან რო წამოვიდა,
კოდაში ამოყვეს თავი.
კოდიდან რო წამოვიდენ,
ორთაჭალას მიეგება
ეს საბრალო ქართლის ჯარი.
ერთ თალია გააქციეს,
სანამდისინ ჯანყი არი.
ჯანყი რომ გადაიყარა,
თათრის ჯარმა მაიხედა,

ქართლის ჯარი ცოტა არი.
მოუბრუნდა თათრის ჯარი,
აუყენეს სისხლის ღვარი.
იმ ორთაჭალის ბაღებში
სისხლის ნიაღვრები არი.
რიგი იცინის, რიგი ტირს,
ზოგმა ნახა შვილი მკვდარი.
ზოგი წყალში გადაცურდა,
ძალათი დაიხჩო თავი.
ქალაქში რო შემოვიდნენ,
ხელთ ეჭირათ განჯის კარი.
სულ ერთიან დააქციეს
დუქანი და ქარვასლანი.
ავლაბარს ცეცხლი მოჰკიდეს,
გარეუბანს გადის ალი.
— მეფე ერეკლე სად გარბი,
აკი არ იყავი მკრთალი?
— დაიკარგე, მამაძაღლო,
არ მინდიხარ,
ამ ქალაქის წახდენა
სულაც შენი ბრალი არი.
— ჩემი ბრალი კი არ არი,
სულ თავიანთ ბრალი არი,
რაც ჩავიცვი — დავიხურე,
ჩემზე დაიჭირეს თვალი,
თუ ჩემსავითა იცომენ,
ის რალა გლეხები არი!?

—

46. ყეენი რომ წამოვიდა,
ქვეით ჯარსა დაუძახა,
აჰწივა ავლაბრის ხიდსა,
ფიცხლავ წყალში ჩაუძახა:
ჩაყარა რკინის უღელი,
გაჰკრა, რუსეთს გაუძახა!
წყალი და ღვარი ადიდდა,
ღელეები ღვარმა დახრა;
ასი ორასი თათარი
ერთ ღელეში ჩაიმარხა.

ოთხშაბათს და პარასკევსა
იყო მაშინ მჭადით მარხვა,
ორ აბაზად ცხვარი იყო,
სამ აბაზად დიდი ძროხა,
ლეწა ყმაწვილების კალო,
ოროველა შემოსძახა.
ცოდვის კითხვა მაშინ იყო,
დედამ შვილი ვერა ნახა!

—

47. ყეენი რო წამოვიდა,
ღმერთმან ეგეც მოგვანახვა,
თბილის ქალაქში მოვიდა,
გურჯის ომი მანდა ნახა,
დაწვა, დადაგა ქალაქი,
ჩითავები გამოხანხლა,
რკინის შამფური ახურა,
ვაჟკაცები წვა და დაგა.
რუს ხელმწიფეს მოახსენეს, —
—ჯარი ბევრი მოვა ახლა,
ეგ რო ყეენმა გაიგო,
ადგა, თავის გზა მონახა.
—მე რო გურჯის ომი ვიცი,
ღმერთმან ნული დამანახა.

—

48. წამოვიდა ციცრიონი

წამოვიდა ციცრიონი,
ბევრი მთები გადმალაჯა,
კალო გალეწა ყმაწვილის,
ოროველა შაუძახა!...
ავლაბრის ჯიდი ასწია,
შუა მტკვარში გადუძახა.
„ციცოს“ თავი მოუკვდება,
ვერ მოვიდა, ვერა გნახა.
ღორის ჯორცი ვერ გაჭაშა,
წვენი თავზე ვერ დაგასხა.

49. ქალაქჩი ფშავლის შვილები.

ქალაქჩი ფშავლის შვილები
ჰკითხვენ ლაშარის ჯვარსაო,
გიორგი იმას ბძანებდა,
თოფით ვაჭრობენ ტარლსაო,
უთხარით ლეკთა შვილებსა,
ფშავლებს ნუ უკვრენ გზასაო,
მთის კაცებია ფშავლები,
იარაღს ზიდვენ მზასაო.
აბაზზედ გაუმართდებათ
გულოშვილს მანგიასაო,
ჩუგაურთ გრნჯილავასა
ჩარმა შამააქ მზასაო.
ლეკ ნუ დაგიკრათ ბელთასა,
ქართველსა მგელიასაო,
თოფსა აგიხსნით მხარითა,
ხირიმსა ძალიანსაო,
ხმალსაც შაგიხსნით წელთითა,
ფრანგულსა ღარიანსაო.
ერეკლეს გახარდომია, —
—ხალათს დააცომს ტანსაო.

—

50. რაჯაბ ბელადი

რაჯაბ ბელადი ჰჩიოდა,
ნახეთ რა ვუყავ თავსაო,
არ მომკლა სოლომონ მეფემ,
მიმცა ერეკლე ხანსაო,
ერეკლეს ხელზედ ვაკოცე,
— „ნუ მომკლავ შენსა მზესაო!“
— რაჯაბავ, როგორ არ მოგკლა,
შენ რომ მითხრიდი თემსაო?
მიკლამდი და მიოხრებდი
ქალაქ-სოფლებს, მთა-ბარსაო,
არ მასვენებდი დღე-ღამე,
მივლიდი ყველგან გარსაო,
ტყვეებს იპერდი, მიყიდდი
ხან არტანს და ხან ყარსსაო,
წააქეზე მთლად ლეკობა,

გვიტეხვენ ერდო-კარსაო.
— ბატონო, ოღომც ნუ მომკლავ.
თათრებს გავჟლეტ მგელივითა,
ძილს გავუფთხობ, შევეჭრები,
კუდს მოუქნევ მელივითა.
— შენ თათრებს ვიღა გაჩვენებს,
თვალებს დაგთხრი ხელივითა,
გაგხდი ქვეყნის სამაქიქოს,
გათრევდნენ მკვდარს ძელივითა.
— ბატონო, ოღომც ნუ მომკლავ.
შემოვხიზნივარ შენს მკლავსა,
გეხვეწები, გემუდარვი,
ბევრი რამე გულს მიკლამსა,
ოთხი ბათმანი ოქრო მაქვს.
აწყვერს მიბარია ქალსა,
იმას აქ მოვატანინებ,
თუ დამახსნევინებ თავსა.

—

51. მეფე ერეკლე და ყეინი

ერთხელა მეფე ერეკლე
გამხდარიყო ავადაო.
წამალს რასმე ხმარობდაო
სენის სამკურნალოდაო.
მისი ავანტყოფობა
ყეინს რო გაეგონაო,
თან იტყოდა გულშიაო,
დრო დამიდგა კარგიაო.
საქართველოს აკლდება,
ჩემთვის მცირე ბარგიაო.
ეს რო ერეკლემ გაიგო,
შაუთვალა ხანის პირით:
—ხალხის მუსვრა რათ გვინდაო,
მოდი ვიჭიდავოთაო,
სანაძლეო რაც გინდაო,
მაზე გავათაოთაო.
დათანხმდა ყეინიო,
ის მსუბუქი ტვინითაო.

ერთხელ მეფე ერეკლემ
ბაღში ლხინი ინება,
დაკრეს ზურნა მაშინვე.
ანგი ჭიდაობისა.
ხალხი ცქერად გადაიქცა,
ვნახოთ ვინა სჯობნისა.
გამოიდა ყეინი
მედიღური სახითა.
გავიდა ჩვენი მეფე ერეკლე,
უქამრო, უსარტყელო,
მარტო ახალუხითა.
ვნახოთ, მეფე ერეკლემ
ხელი სტაცა ქამარში,
წელში ისე მოკეცა,
როგორც დანა სახსარში.
წამოდგა მაშინ ყეინი,
გადაუხადა ვალია,
თავის ხელით შამააკრა,
თავის ქამარ-ხანჯალია.

—

52. დათუნა ბატონიშვილი

იმერეთის მთას გადადის
აქლემთა ნატოტარიო,
წვიმა დაწვიმეს ღრუბელთა.
დამდგარა ნაგუბარიო,
ვარდის ჩაყრილა ფურცელი.
დაღბერნეს, დასძრავს ქარიო,
მაგის საკრეფლად წასულ-
ბაგრატიონთა ქალიო.
სამაყროთ გადმასჩვევია
ერთი ურჯულო მყრალიო.
ქვენით მოვიდა ამბავი.
დაიძრა ჯაბალ ხანიო,
ალგეთი გადმოიარა,
გაშლით დალახნა მთანიო,
კახეთით ბოლოთ ჩავიდა,
ადგილთ დაუხვდა ბარიო.

დასჯდა, დასწერა წიგნები
ჯახთ ბატონთანა ძალიო:
„სასმელად არ მეყოფისო,
ალაზანი და მტკვარიო,
მოსაძოებრად ბალახნი
თრიალეთისა მთანიო,
ქალი მე მამეც რუსუდან,
ლამაზი ლერწმის ტანიო“.
ქალმა გაიგა რუსუდან,
გაჯავრდა დედოფალიო,
ჩანაყა საყურ-ბეჭედი,
სალტისა იქნეს განიო,
მამის შეკაზმა ყურთეთრი,
ზედ თავად შეჯდა ქალიო:
„ან მიპატრონეთ, მამანო,
ან ქალ შემაბით ხმალიო,
არვინ გაზდილა სათათრე
ბაგრატიონთა გვარიო“.
დათუნა ბატონიშვილმა
გადიცვა სამარქანიო,
მსახურებს ეუბნებოდა:
„ჩემი მამგვარეთ ჩქარიო“.
ე მაგი ცხენის ნახტომი
დიდი გვეგონა ხრამიო.
ჯახეთის ბოლოს ჩავიდა,
ცას არ გაუღამს ქარიო,
გამეერია ლაშქარსა.
გაანახევრა ჯარიო,
მეჩვიდმეტეზედ მივიდა,
დადგა, ჩააგო ხმალიო:
„შამინდავ ღვთის ბრძანებაო,
ოცსა დამიკლდა სამიო“.
ცოლიძმამ ჩამოურბინა,
გვერდს ჩამეეგდო ხმალიო,
ათსა რომ იმანაც მოსჭრა
ამ თარაქამას თავიო.
ერთმა ურჯულო თათარმა

თოფსა დახვია ალიო.
ცხენ ზეით გადმოიტანეს
დათუნა ალვის ტანიო,
გაისახელა თათარმა,
წაჰყარა სამარქანიო.
ამას ჰკვირობდეს თათრები,
ეს ტყვია რამ იჭირაო,
ჯაჭვში მორტყმული ტყვიანი
ორ ლიტრა გამოვიდანო.
თმა-გლეჯით ჩამაატარეს
სიასამურის ქალიო:
„ჩემი მიჩვენეთ დათუნა,
ცოცხალია თუ მკვდარიო“.
„დათუნას ვინლა გიჩვენებს,
წითლის ღვინით არს მთვრალიო“.
ამა ქართულის მათქომი
წოვათ მჟავია ვარიო,
ერისთვიანი მამქადან,
მაღრან ავრეკე ცხვარიო,
ნურც მიტირებენ დედანი,
წოვათ ნარჩენი ქალნიო,
უერთოთ თუ დავანებო,
წელთა ნულარ მბამს ხმალიო.

—

53. რუსუდან ქალი მობრძანდა

რუსუდან ქალი მობრძანდა,
თვალები უგავს მწყერსაო.
წერა და წერა წიგნები,
უგზავნა ერეკლესაო.
ერეკლემ შემოუთვალა:
— დაო, ნუ ირთამ მტერსაო,
ჩამოდი, გვერდ დამიჯექი,
იქ დაგასახლებ გრემსაო.
განჯას მივურევ-მოვურევ,
ფაშას ავადენ მტვერსაო.

—

54. ქალი მოვიდა ურუმთიი

ქალი მოვიდა ურუმთით,
თვალები უგაპს მწყერსაო.
კახურს კითხულობს ანბავსა,
ერეკლეს ჰფიცავს მზესაო:
ერეკლეს დაუბარებავ,
დავ. ნუ შეირთავ მტერსაო,
ცოტა ხანს შამომიცადე,
ქალაქს აგიდენ მტვერსაო,
შენსა მოგიკლავ საქმარეს,
ზედ გადავაფრენ ცხენსაო.
მოგიტან საპერანგესა.
დარაიასა ჭრელსაო.
ქმარსა მიგცემდი აგეთსა,
მზეს რო ჰფიცავდეს ჩემსაო.

—

55. მოტირის მარიამ დედა —
მაიყავრაზის ქალია.
— ნუ სტირი, მარიამ დედავ,
ერეკლე ისივ მთელია.
გენანებოდეს მამუკა,
ძირში მაჰკვეთეს თავია.
მამუკას სიკვდილისთვინა
მაღლა ღმერთს მაჰწყდა წელია.
მთვარემ ჩაიცო შავები,
მასკვლავთ არ ედო ფერია!

—

56. გამობძანდა კახი მეფე;
თან გამოჰყვა დიდი ჯარი,
სულ ოსი და სულ ჩარგასი,
დარაზმული რაზმის ჯარი,
ჯერ კი იხმარეს თოფები,
მამრე ამოიღეს ხმალი.

—

57. მეფე ერეკლე

მაღლის მაღალსა მთაზედა
კურდღლისა სისხლი მდგარიყო,
ჩამოჩვეულა არწივი,
უსვამს და ვერა მძღარიყო.
ერეკლე ბატონიშვილი
ნაურვალ ცხენზე მჯდარიყო,
შამაუვლია ხმელეთი,
მაშინ-ღა ჩამომხდარიყო.

—

58. წინის ქმის გმირი

ერეკლე ბატონიშვილი
გმირია წინის ქმისაო,
შიგადი გული რკინისა,
გარედი სალის კლდისაო,
რა ცხენსა გარდაჯდებოდა,
რა ტურფა ჩილი ხეაო!
რახანსა ომში შევიდეს,
მეტისმეტ მამაციაო.

—

59. ბატონი მეფე გვიცოცხლოს

ბატონი მეფე გვიცოცხლოს,
ერეკლე ჩვენი გმირიო,
მტერს წინ წაუვა გულადად,
რაზმში იქნება პირიო,
უმისოდ ჩვენი ბიჭობა
იქნება გასაჭირიო,
მტერი მოგვივა, დაგვხოცავს
როგორც ხორველა-ჭირიო.

—

60. აგერ კარავში ერეკლეს

აგერ კარავში ერეკლეს
ომს შემდეგ მოუსვენია,
სძინავს მოქანცულს ბატონსა,
თავით-უნაგირს ბჯენია,

მისი მერანი ჭიხვინებს,
კრინტს სხვა ვერ იღებს ვერავინ,
და შინაყმანი კახისა
მის ხმალს სისხლიანს ჰფერავენ.

61. ზაალ თუმანიშვილი

შენ, ზაალ თუმანიშვილო,
გაზრდილო მეფის კარზედა,
მებალახობა ვინ მოგცა
იმ ზემო-ქართლის ცხვარზედა?
უსამართლობა იხმარე,
ორ-ორს იღებდი რვაზედა.
მივიდნენ, ბატონს შესჩივლეს
თუმანიშვილის თავზედა:
უსამართლობა იხმარა,
ორ-ორს იღებდა რვაზედა,
ბატონმა მეხლმეს უბძანა:
ხმალი გალესე წამზედა.
დაჯდა, გალესა ფრანგული
ცერი აუსო ფხაზედა.
—წადით და იქ მოიხმარეთ
თუმანიშვილის თავზედა,
იმისი თავი დაჰკიდეთ
იმავ მეცხვარის კარზედა.

—

62. ერეკლესთანა ბატონსა
ვეღარ გაზრდის დედა შვილსა,
ჯერ ხომ ღვთისა მლოცველია,
მერე დამხსნელია ტყვისა.

—

63. ჯმალო ჯევსურეთ ნადებო,
ალვანში თუშმა გაგფერა,
გაკურთხა ნეფე ერეკლემ,
საომრად ჯვარი დაგწერა.

—

64. ერეკლე და მისი ხმალი

ერეკლე

ერეკლემ შემოუტია
ამ თავის გორდა ხმალსაო:
— რას შვრები ჩემო ფრანგულო,
რატომ არ გამცემ ხმასაო?

ხმალი

გულუშიშრადა შემამკარ,
ძალა ატანე კლავსაო,—
და მაშინ სეირს მიყურე,
სად გავაგორებ თავსაო!

—

65. მეფე ერეკლეს უთქვამს:

ვინც რომ კაცია,
ჩოხაც ჯაჭვია,
ქუდიც ნაბდისა
ჩაბალახია.

—

66. ერეკლეს სტუმარი

ერეკლეს სტუმარი
მოდის, მოგალობს,
ღიღინებს ნელა,
ფეხებსა ხლართავს.
უყურებს ყველა.
ჰკითხეს: — სად იყავ?
— მეფესთანაო,
ისიც კაცია
ჩვენისთანაო.

67. ერეკლე და გლეხის გოგო

ერეკლე

ნეტავი ქალო ვიცოდე,
მთიდან მახვალ თუ ბარათა,
ყურძნის საკრეფად ყოფილხარ,
ხელში გიჭირავს კალათა,
შენმა თვალმა და წამწამმა
მე გული გამიხალვათა.

მეფენი ბევრი მინახავს,
რომ მოდიოდეს ჯარითა.
შენ ჩემ თავს აბა ვინ მოგცემს
და ვერც წამიყვან ძალითა.

—

68. ჭირიმე მეფე ირაკლის,
ჩვენი პატარა კახისა,
ჭირიმე ენა წყლიანის
და მუდამ სიტყვა მკვახისა.

—

69. ერეკლე ატირდა, ვაჟებო:
„აღარავინ არ ჩემიო,
ბევრ მყვანდა აზნაურები,
ყველაიც ყოფილა მტერიო.
ლევან ქიზიყში მამიკლეს,
ხევსურნო. ბატონი თქვენიო.
ფშაველო, თანდილაშვილო,
ენაიმც მაგჭრა გძელიო:
ხახათ მწარია მაჰპარე,
ღამე ავლიე ბნელიო,
ჭარელთან ჩამაიყვანე,
გამააცვლიე ფერიო.
გრიგოლო ჩოლოყაშვილო,
წინ-წინ ღალატი შენიო,
შენ შამიყარე ლაშქარი,
მთის ხალხი დასწვი ჩემიო“.
ბარაქალ ხევსურთ შვილებო,
მეფე გყავთ მადლობელიო;
თქვენ არ დაუტყდით თათრებსა,
შამაუქციეთ ხელიო.
თქვენებს ნახოცსა თათრებსა
ჭალას ათრევდის მგელიო.
მინდოდავ ჩალხურიშვილო,
ვინ არი შენი ფერიო.
სომეხა ამხანაგი გყავ,
მტერს ადინა მტვერიო.

—

70. რკინის კარის შეხსნა

ვერ გაიგეთა, ქართველნო?
შაგეკსნათ რკინის კარიო,
მზე ჩაგვივიდა უკუღმა,
ჩავარდა შუა ზღვაშიო.
ატირდნენ წვრილნი ვარსკვლავნი.
ცამაც დაშალა ნამიო.
აღარ გვყავს ნეფე ერეკლე,
არც იმის საომარიო,
არ გიფრიალებთ დროშები,
არცა სჭეხს ზარბაზანიო.
ერეკლეს სიკვდილ ვინა თქვა?
გაუკმეს ენის ტარია!
არ მოკვდა, ღმერთთან წავიდა,
ძმა·არის განაყარია.
შვილებს დაუგდო ბეგთარი.
ფხა-სისხლიანი კმალია.
„სანამდე ვიყავ, ცხენს ვიჯე.
მივძრენ და მოვძრენ ზღვანია.
ახლა თქვენ გაიმაგროდით
ქალაქის მეიდანია“.
მცხეთას რო ვერცხლის კუბო დგა.
უნთია კელაპტარიო,
შიგა წევს ნეფე ერეკლე,
ბაგრატიონის გვარიო.
ატირდა ერეკლეს ცოლი,
იმერეთ ნეფის ქალიო.
„ეს ჩემი თვალნი რასა ჰგვან? —
—მოღრუბლულნია ცანიო,
მალი-მალ ისე დასწვიმენ.
როგორც ნაღვარნი წყალნიო.
ეს ჩემი გული რასა ჰგვან? —
— ცხენთა ნაგალი ნალია.
ვერ გაიგეთა, ქართველნო.
შაგეკსნათ რკინის კარია?
იმისა სანეფოზედა
იცილებიან სხვანია.

ვაჟიმც მქნა. ქალი არ ვიყო,
თავზედ არ მესხან თმანია!
ტანზე ჩამაცვა ბეგთარი,
საჭირო საომარია!
მაშინის გაიგებოდა,
ვისიც გასჭრიდა კმალია!
რა მალე ვინადირებდი,
შორით გეჭირა თვალია".

—

71. ბორაყის წაღება

ღმერთმა იცოდეს, მეწყინა,
სიკვდილი ერეკლისაო,
დარჩომა ნაროვანზედა
მედროშე ბღარაისაო,
ლეკებისაგან წაღება
ბღარაის ბორაყისაო.

—

72. ერეკლე და ნადირ-შაჰი

თუთხმეტი-თექვსმეტი წლის ყრმა ერეკლე ერანის ყეენმა ნადირ-შაჰმა იახლა. პატარა კახი აქ ნადირ-შაჰის მრავალ ომსა და ბრძოლებს დაესწრო. ის შაჰის საყვარელი გმირი და მოხერხებული მეომარი გახდა. ერეკლეს ცხოვრების ამ პერიოდიდან მრავალ საგმირო საქმეთა შორის აღსანიშნავია შემდეგი ეპიზოდი:

ინდოეთის ლაშქრობიდან გამარჯვებით დაბრუნებული ნადირ-შაჰი სინდეთშიც შეიჭრა. გზაზე ქვის დიდი სვეტი შეხვდა ზედ გამოქანდაკებული კერპითა და შემდეგი წარწერით: „უკუნითი უკუნისამდე შვილებით და სახლეულით წყეულ იყოს ის. ვინც ამ სვეტს გადაბიჯებს".

ამ წარწერით შეშფოთებულმა ცრუმორწმუნე ერანელმა ლაშქარმა ნაბიჯიც არ გადადგა წინ. ნადირ-შაჰის ვერც მჭევრმეტყველებამ გასჭრა და ვერც მუქარამ.

— გურჯო, როგორ მოვიქცეთო? ჰკითხა დაღონებულმა შაჰმა ერეკლეს.

პატარა კახმა მიუგო:

— აქ არაფერია დასაღონი. ავიღოთ ეს სვეტი, დავშალოთ, სპილოებს ზურგზე დავადგათ და წინ გავირეკოთ. ამგვარად ზედ წარწერილი წყევლა, რაკი მუდამ წინ იქნება და გადაულახველი, არავის დაატყდება თავს...

ერეკლეს წინადადებამ აღაფრთოვანა შაჰი და მისი ლაშქარი. გამარჯვებული შეიღნენ სინდეთს.

73. მველებური ამბავი ნეფე ერეკლის დროს, როსაც ერეკლემ ჯევსურნი დაიბარნა საომრად

ნეფე ერეკლეს ჯევსურნი ჯშირად უბარებიან საომრად. ერთ-ხან ნეფე ერეკლისად გამაუცხადებავ ომი თათარს, დაუბარებავ თათრის ჯელმწიფეს ერეკლისად: „ან მამცენი შენნი ციხე-ქალაქნი თფილისისანი, თორემ შავს დღეს დაგაყენებავ: წამავალავ ჩემი ჯარითავ და სადილს შენს ქალაქში ვჭამავ“. ეს რომ ერეკლეს გაუ-გავ, უთქვამ: „უყურეთაღ მაგ წუნკალაებსავ, თათრის შვილები ეგრ მუქარას მთხოენ!.. აეხლა გამაჩინდების, ვინ ამაიგდებს მტრის ჯავრს“. უთქვამს ერეკლეს: „მაგათ მარტო ჩემნი ჯევსურნი გაუვ-ლენ“ და დაუბარებიან მაშიავ ჯევსურნი, თუშნი და მშაველნი. კაც გამაუგდებავ არაგვზე. არაგვის მაურავ ქაიხოსროსად მაუწერავ ბძანება, რომავ „წაედივ ცხენითავ, ჩქარად გამიგებიეე ჩემთ უნჯთ ყმათავ ჯევსურთავ!“

„ერეკლე დაუბარებდა არაგვის მაურავსაო:
ცხენს შაჯედ, ქაიხოსროვო, გამიგებიე ყმათაო:
ჯირჩლას იმ ბაბურაულსა, საძელეს მეომარსაო;
მეორეს ხოშურაულსა, მთელ ჯევსურეთის თავსაო;
ბერდიას მამუკაურსა, მოკლიას ირტყამს ჯმალსაო;
ამღას ბერდიათ გაგასა, სამის თემობის ჯარსაო;
ყარაულს ალუდაურსა, ვეფხვივით მეომარსაო,
მარტოდ შიბუში ნამყოფსა, ურჯულოს უჭერს თავსაო;
აჩქარდან მშავლის შვილები, ბევრს ნუ დაღლევენ ხანსაო;
თუშეთ უთხრიდი თუშებსა, ზეზვას დაუდგან მჯარსაო“.

ეს ქაიხოსრო არაგვის მაურავად ყოფილას. ერეკლის დაბარე-ბულ რო მოსვლივას, მაშინავ ამდგარ, თაოდ წამასულ ცხენით. ჯერ თუშეთ, მემრ მშავს, მემრ ჯევსურეთ მასულას, მაუგროვებავ სრუ ყველა მეომარი, დაუვლავ ქაიხოსროს ყველკან ცხენით. წა-

მასულან ჭევსურნი, მშაველნი და თუშნი. ცხენდაცხენ ჩამასულან ქალაქში, ერეკლის კარზე მისულან პირდაპირ. უნახავ ერეკლის მამზადებულ ჯარი, დაუწყავ ჭევსურთ ყვირილი: „სად ასავ ჩვენ ნეფეივ? გვანახვეთავ!“ ხალხს, ერეკლის ჯარს, ერთუცში სასაუბროდ გახჭდიოს: „ეს ხალხნ რაჭელ ხალხნიავ, რომ ჩვენ შიშით დავქრებით, როსაც ნეფე ერეკლე ჩვენთან მავას სანახავად, ესენ კი თავოდ ყვირიან: „ნეფე ერეკლე სად ასავ?“ ამ დროს ერეკლეც გამასულ. საომრად მამზადებული. ჯაჭვ-იარაღით და ცხენით მართულ ჭევსურნ რო უნახიან, უძახებავ: „ჩემთ ჭევსურთ გაუმარჯვასავ!“ ჭევსურთ შაუქცევავ: „ჩვენს ნეფე ერეკლესაც გაუმარჯვას!“ მაშინ უთქომ ჭევსურთ: „რაზე დაგვიბარენავ, რა გაგიჭირდავ?“ ერეკლეს უთქვამ: „ვაი თქვენს ერეკლეს! „შენს ქალაქში ვისადილებთავ“, დაუბარებავ თათრებს. ამაზე მეტ გაჭირება რაიღ იქნების?“ მაშინ წაუკაფიაებავ ერეკლეს:

„მიშველეთ, ჩემნო ჭევსურნო, უნჯნი ყმანი ხართ ჩემნია.
„ფულს მაგცემთ მაგოდენასა, რო არ ზიდევდას ცხენია“.

ჭევსურთ სწყენიოს ეს სიტყვა, რომავ „ჩვენ ნეფემავ ეს რაად გვითხრავ, რო „ფულს მაგცემთავ?“ ჩვენ განა ფულის გულისად ვომობთავ?“ მაშინ ერთკმად უთქვომ ხალხს:

„თავს ვერ გაგიხრით ჭევსურნი, უნჯი ყმანი ვართ შენნია;
თეთრს ვინც აიღებს ჭევსური, ვინაც მახკიდას ჭელია,
გაუწყრას, ნეფევ ერეკლევ, ის სალოცავი ჩვენია!“
თავისთვი ჭევსურები:
„დეემზადენით, ჭევსურნო, ჩაჩქნებ დაიდგით თავზედა!
„თათრების მალოდინი გვოქვ, განთ ვსხეეართ ლუდის სმაზედა?

„გაგვიძვეღ ,ნეფე ერეკლევ, წავდგათ კრწანისის გზაზედა!“ დამზადებულან ჭევსურნიც და სხვა ერეკლის ჯარიც და გასულან კრწანისში. მოსულ კიდეც ამ დროს თათარი. ჭევსურნ შახვეწნივან ერეკლეს: „წინ ჩავალთავ, გაგვიშვენივ“. გაუშვიან ერეკლეს ჭევსურნი, თაოდაც ერეკლე წინ დაზდგომივ თავის ყმათ. სცემივან თათრის ჯარს თავში და ბოლოში გაყრილან. ნეფე ერეკლეს ცხენდაცხენ უომებავ, შვიდჯერ აუვლ-ჩაუვლავ თათრის ჯარში და უქნევავ ჭმალი წაღმა-უკუღმ, დაუწყვეტავ ჯარი. მეშვიდედ რომ ამაუვლავ ერეკლეს თათრის ჯარისად, ნაპირში კი გამასულ და ჩახქცევივ ცხენი: ცხენს ვეღარ გაუძლავ სიმძიმისად, შვიდ ფუთ

ტყვია დაზდგომივ ერეკლეს ჯაჭვში (მცურავ ჯაჭვი—სცმივ). ცხენ რო წახქცევივ ერეკლეს, მოხვევიან თათრები. მაგრამ ქევსურთ ქმლით უცავ თათრებისად, გადაურჩენავ თავის ნეფე. მაშველებივ სხვა ჯარიც. ერეკლისად სხვა ცხენ მაუყვანავ.

„ეოეკლეს ცხენი ჩაიქცა. ყმანი სხვას მიღგვრიდიანო,
ცხენზე შასვიან მსახურთა, ავჟანტას უჭერდიანო".

სანამდი ერეკლე კარგად ცხენზედ შაჯდებოდა, ქევსურნი კიდეც მისულან თათრის ჯარის სანგალში. გაუხენებავ, უთქომ ერეკლეს: „ქვე ჩემნ ქევსურნ რას ჩადიან? გახენეთა, სანგალს ეხვევიან". მაშინ უთქვამ ერეკლეს ცხენისად: „გაფრინდი, ჩემო ცხენო, სადაც ყმან იქოცებიან, ერეკლეც იქ იყოს!.." გაუქცევავ ცხენი, მისულ ერეკლე იმ დროს, რო ქევსურთ კიდეც გაუმტვერებავ თათრების კარავი. მაშინ უძახებავ ქევსურებს:

„ახლა სადა ხართ, თუშებო, ქევსურნ რო კარავთ სჭრიანო?
ნადირაის ქმლის ნატეხნი კარავის ბოძსთან ხურიანო.
ქმალ ხოშურაულს გაუტყდა. ქევსურნ სხვას გამუცვლიანო".

ამ ომში ხოშურაულს ქმალ შამაუკრავ თათრის ჯარის კარავის ბოძისად, მაგარ ყოფილ ბოძი და ქმალი შუაზედ გადასტეხივ და ქევსურთ მაშიავ სხვა ქმალ მიუტანავ. უომებავ, სანამდი არ გაუბრუნებავ ეს თათრის ჯარი. ომს რო მასჩომივან, ერეკლეს დაუღალატებავ თავის ყმათად: გაუქცევავ ცხენი, ერთხან კიდევ ჩასტანებივ თათრის ჯარს, მაუკლავ ორ-სამი, ამაბრუნვილ. მოსულ იქავ ყმათან ერეკლე, გაბრუნებულ თათრის ჯარი, წასულ. მაშინ ერეკლეს შაუქუჩებიან თავის ყმან. ბევრნ დაკოცივან. უფრო ქევსურთა არვინ მამკვდარას ომში, იმით რომ ქევსურთ სრუ ყველას ჯაჭვი სცმივ. ერეკლეს უთქვამ: „რა გინდათ, ჩემნო ქევსურნო, რო მაგცათ: თეთრი, თუ იარაღი, თუ რვალი?" ქევსურთ არაისად ქელ არ მაუკიდებავ, უთქომ: „რად გვინდავ საჩუქარივ? განა საჩუქრის გულისად ვიომეთავ?" მაშინ ერეკლეს მიუცემავ ზოგისად იარაღი, ზოგისად თეთრი. გამაბრუნვილან ქევსურნი, წამასულან. უთქომ წამასვლაში ერეკლისად: „თუ კიღევ რა მაუკდ თათრებს. საჩქაროდ დაგვიბარიდი, მაშინ სათათრეშიაც აღარ დავაყენებთ". ნეფე ერეკლესაც მადლობა გადაუკდავ და წამასულან ქევსურნი შინ.

74. ნეფე ერეკლისა

ნეფე ერეკლე ძაან ფიცხელი იყო. კოხტა ბელადი იმან მოკლა აი. ათი წელიწადი უნეფოდ იყო საქართველო. მემრე და ქართველებს შაუჩივლიათ, ისა ყოფილა გიორგი ნეფე, თათრი ხანიდან ყოფილა განეფებული. თათარ უშინებია უწინ ძალიან. ქართველებს უთქომ, რომა შენო თათრებიდან ხარ განეფებულია, თათრებითვინ უგზავნია ხარაჯა. ჩვენ რომ უნეფოდა ვართ, ცოდვა არ ვართო?

— ნუ გეშინიანთო, ერთი ბიჭი მყავ და გამავგზავნი-ყეო, იმ გიორგი ნეფეს უთქვამ. ბიჭი ერეკლე ყოფილა, პატარა ყოფილა და ვერ გაუმეტნია. გამავიდა ერეკლე, ნეფედ დადგა ძალათ. ხარაჯას იღებდა იმი მამა და თათარს უგზავნიდა. ერეკლემ უთხრა, არ გაუგზავნო თათარს ხარაჯა, თორემ თვალებს დაგათხრიო, მამას უთხრა.

აღარ ჩაუვიდა ხარაჯა შაჰ-აბასსა, წამავიდა წინააღმდეგ. შაჰ-აბასს ყვანდა 60000 კაცი. ერეკლესა ყვანდა 8000 კაცი. გაიპარა ერეკლე, მამას არ გააგებინა, იქ მიეგება წინ. რომ მიახლოვდა, ჩამავიდა ცხენიდან და ჯარს უკამანდრა: — აბა შვილოო, სულ ხომ არ გელაპარაკები-ყეო, რომ არ უნდა გელაპარაკოთო, რაც მე ვქნა, ის ქენიო. ცხენიდან ჩამოვალ, ჩამოდითო; ხმალი ამოვიღო, ამოიღეთო. უწინ ომი ხმალ-და-ხმალა ყოფილა. რომ მიახლოვდა ჯარსა და უნდა დასთვალოს. ჯარს უთხრა: — ჩამოდით ძირსაო.

ჩამავიდა ცხენიდან, ჩაიჩოქა, კისერზე ხმალი დაიდო, ცალ ხელში ცხენი უჭირავ და ჩოქით წავიდა. მტერს ეგონა, შესარიგებლად მოდისო. დაარტყეს ცეფი, იარაღი უნდა აყარონ. მაშინ წამოხტა ერეკლე, გარშამო რომ შამაერტყა თათრი ჯარი, დაუწყო უმოწყალოდ ხოცვა. ერთხელ უთხრა თავის აფიცერმა, ნულარ გადახვალო. გადავიდა შესასვენებლად. აფიცერმა უთხრა: — შენ რომ მოგკლან, სახელს წაიღებენ, თუ არა — ვერაო. ერეკლემ არ გაიგონა იმის სიტყვა. 18 აფიცერი მოკლა და ბევრი ახალგაზრდა თათრისა. შაჰ-აბასს სულ დაულივა ჯარი. თითონ 4000 კიდევ წამაიყვანა უკან. მამას გაუხარდა, რასაკვირველია.

—

75. ერეკლე და კოხტა ბელადი

ერეკლეს ძალიან ფიცხელი ომი ჰქონდა. კოხტა ბელადი წამავიდა წინდაწინ და იყალთოში, ერთ საყდარში, ოქროები ჰქონდა თავმოყრილი. ალაზანზე დაუხვდა ერეკლე. მემრე დაიტეკნენ მანდა. კოხტა ბელადმა გაიძრო ხმალი. დაბლა ცხენი მიუგდო ერეკლემ. ცხენი გაუჭრა შუაზე კოხტა ბელადმა. დაუსვა ერეკლემ ხმალი და ოთხად გაჭრა ცხენი და კაცი. ქაღალდში ეწერა რომაო, ორი არწივი შაიბა, ორი ვეფხვივით გულადიო.

—

76. ასპინძის ომის ამბავი

როცა რომ ასპინძაში ომი გაშალეს, მაშინ ერეკლეს წყალი შეუგდია და გავსილა გასაქცევი ყანები. ჰერეკლესა და თათრის ხენწიფეს გამოცხადება ჰქონიათ, ომი უნდა გაშალონ ორმა კაცმა, ჰერეკლეს მოურავმა და თათრის მოურავმა.

მერე თათრის მოურავმა ცხენს მოუარა. ცხენს ასვა და აჭამა. მემრე გამოვიდა და თათრის მოურავმა უთხრა ჰერეკლეს მოურავს: — გამექეცი! (ჰერეკლეს მოურავმა ცხენს მარტოკა ქერი აჭამა, წყალი სულ არ ასვა). რომ გეექცა ჰერეკლეს მოურავი, თათრის მოურავის ცხენი ნასვამ-ნაჭამი ჩავარდა და ველარ ამოვიდა. თათრის მოურავმა ისარი გაისროლა. ჰერეკლეს მოურავი გადაწვა ცხენზე და ისარმა გაუარა. გავიდნენ კიდურზე. მემრე უთხრა ჰერეკლეს მოურავმა: — გატრიალდი, ახლა შენ გამექეც!

როცა რომა გეექცა, ისარი გაისროლა. ჰერეკლეს მოურავი წამოსწვდა. შემოუქნია ხმალი და გადასჭრა, მაგრამ კაცი არ ინძრეოდა. ჰერეკლეს მოურავმა უთხრა: — გაინძერიო.

გაინძრა თათრის მოურავი, ლაჯები დარჩა უნაგირზე და კაცი გადმოვარდა.

77. ერეკლე და კოხტა ბელადი

მეფე ერეკლე ასპინძას ჩამოვიდა ორიათასი კაცით, მტკვარი მაშინ ადიდებული იყო და იმ ღამეს ერთი ბურჯი მოაშლევინა. თურბაზე (თათრების სასაფლაოა), ზედ იმ სერზე იყო ჩხუბი, მეფემ უთხრა: — ნუ კი შეეებმებით ჯარით, აი, ერთი თქვენგანი გამოვიდეს, ერთიც ჩვენგნით და ვნახოთ ,ვინ ვის აჯობებსო. მა-

შინ მოწინააღმდეგებიდან ამაყად გამოვიდა კოხტა ბელადი. ერეკლე მეფე თეთრ ცხენზე იჯდა და ყველას უბრძანა, მეფეს ნუღა დამიძახებთ, თეთრცხენიანი დამიძახეთო.

კოხტა ბელადმა უთხრა: — აბა, გამექეციო.

გააჭენა ცხენი ერეკლემ, გამოუდგა კოხტა ბელადი.

— მოვიდა თეთრცხენაო, დაუძახა თავის კაცმა მეფეს და წამსვე კოხტა ბელადის გაქნეული ხმალი ასცდა მეფეს, რადგან ცხენს მუცელქვეშ მოექცა. ხმალმა სულ წაიღო უნაგირის აიარყაში (თავი)...

მოაჯდა მეფე ცხენს და დაჰკივლა კოხტა ბელადს:

— აბა, შენ გამექეციო.

გამოუდგა ერეკლე... კოხტა ბელადმა თამამად შემოჰხედა მეფეს და შემოსძახა: — რაო, რა გინდაო?

— გაიარე, გაიარეო, — მიაძახა მეფემ და ამ დროს ერეკლემ მოუქნია ხმალი და ისე გაუარა ხმალმა, რომ ლეკმა ვერც კი გაიგორა... გადასჭრა კაცი...

კოხტამ უთხრა: — გიაურო, ვერ მომარტყიო. მაგრამ ცოტა რომ შეინძრა, ტანი ძირს ჩამოვარდა და ფეხები კი უზანგში დარჩა...

— აი, ეგ მინდაო, დაიძახა მეფემ და მოუბრუნდა ჯარს. — აბა, და ბიჭებო, ხმალი ამათაო!

და დაერივნენ ომის წყურვილით აძაგძაგებულნი და მოჰყვა ერეკლე.

მოწინააღმდეგის ჯარი მოაწყდა ადიდებულ მტკვარს, ხიდი აყრილი დახვდა... ამ დროს მიადგნენ ქართველნი. სწყვიტეს მომხდურები და წყალში ჰყარეს. ეს რომ დაინახეს, ერთმა ქართველმა მეომარმა დაუმიზნა თოფი და იქვე გააგორა. ერეკლეს ეწყინა: — რას ერჩოდი, ამოდენა ზღვა სისხლი გაატანა, დეე წასულიყო, ამბავი მაინც წაეღოვო.

იმავე დღეს მეფე ერეკლე თავისი მხლებლებით ხიზაბავრას ამობრძანდა. ღამე იქ დაისვენა. თავით-ფეხამდე ზილხი ეცვა, მხოლოდ თვალები-ღა უჩანდა და ხელის მუჭა ჰქონდა ცარიელი. ზილხი რო გაიხადა, დაბერტყა და სამი ოყა ტყვია დასცვივდა.

— აი, ბიჭებო, რამდენი ტყვია მოურტყამთო...

ხიზაბავრადან სისხლამ დილით მეფე ერეკლე თბილისისაკენ გაეშურა მანგლისის გზით...

—

78. ერეკლე

როცა ლეკი შემეესივა ნაფარეულიდამა თელავსა. ან დალაზანი ჰქვიან, მთა არი, კურდღელაური აიღო და უნდა აიღოს თელავი, ამ დროსა თელავში რო დამწვარი ციხეა, ბატონი წყარო როა, იმაშია წევს ერეკლეს მამა და ავადმყოფი არი და ლეკი ჯარი კი თელავში უნდა ამოვიდეს. მოადგევს და მოადგევს ი ლეკი. ერთი კოხტა ბელადია, მიმინოსავით, ძაან ყოჩაღი. ლეკი იღებს და იღებს სოფლებსა. თან იძახის, რომ გამომიყვანეთ თქვენი ნაქები ერეკლეო. მაშინ ერეკლე თხუთმეტი წლისა არი, მაგრამ ეუბნება ავადმყოფ მამას, გამიშვი კოხტა ბელადთანაო. მამას კიდე ენანება, ჯერ პატარა არი ერეკლე და არ მამიკლასო. ერეკლემ ადგა და მიაყენა თავის მამასთან თავადები, უთხარით, გამიშვას კოხტა ბელადთანაო. მაინც კიდე თავადების სიტყვა არ მიიღო მამამა. მერმე კიდენა დედამ უთხრა, ცოლმა თავისმა, რომა გაუშვიო, ეგ ერთი შვილი საქართველოს მსხვერპლი გახდესო. როცა ცოლმაც უთხრა. წადი. შვილო, ღმერთმაც ჯვარი დაგწეროსო. მაშინვე შაკაზმა ერეკლემ ცხენი, გადაჯდა და გაიყოლა ჯარი. რომ ჩავიდა, კოხტა ბელადმა. მოდის ერეკლეო, გამააქანა ცხენი და შახვდნენ ერთმანეთს ერეკლე და ლეკი. წინდაწინ ლეკმა გაასწრო ხმალი ერეკლესა. ერეკლე ცხენს ქვემოდან ექნა მაშინვე, წამოუტრიალდა მერე ერეკლე და წამოუსო, როგორც ესემეჲ შააჭრა თავი ი კოხტა ბელადს. მაინდან გარეკა ჯარი და სუ მუსრი გაავლო სუყველას. მთას გადააცილა ლეკი.

—

79. ავარიელი ომარ ხანისაგან დარბევა ასტალის მადნისა

1783 წელს ერეკლე მეფემ შეიტყო, რომ ავარიელი ომარ ხან დიდის ჯარით მოდის სომხეთის წასახთენად. მეფემ მოაგროვა საქართველოს ჯარი და აგრეთვე მაშინ ერთი ბატალიონი რუსი იყო საქართველოში. წავიდა ბორჩალოში, სადახლოს სოფელში დადგა ბანაკად, რადგანაც შეტყობილი ჰქონდა, რომ იქით უნდა გაიაროს.

ამბავი მოუვიდა ერეკლეს, რომ ომარ ხანი მოდის 20 ათასის კაცით. მაშინ არყუთაშვილი ალიხან მივიდა, ბატონს მოახსენა და სთხოვა, რომ სამოცი თუში მიბოძეო, მე წავიდე ამ დებედის მდინარის ხეობაში, წინათგან მე გზას მოუჭრი ომარ ხანს, რომ შემოვა ხეობაში, თქვენი ჯარიც უკანიდან მოვა და ამრიგად ისე ამოვწყვეტთ, რომ ვერავინ მორჩებაო, ამისთვის რომ ვიწრო ხევია და

შიგ დავამწყვდევთო, იქიდან ვერსად გაიქცევიანო, უმეტესად ცხენოსანი ჯარიაო. რადგანაც ადგილის მდებარეობა ეარ იცოდნენ იქ მყოფმა თავადიშვილებმა, გაიცინეს და სასაცილოდ ჩამოართვეს, რომ არყუთაშვილმა ალიხანმაო უნდა სამოცის კაცით ომარ ხანი დაამარცხოსო.

მერე ომან მდივანი ხერხეულიძე მივიდა, მეფეს საიდუმლოდ უთხრა: — ბატონო, მტერს გზა უნდა მისცეთო.

იმავე დღესვე ომარ ხან ყაზახის მხრიდგან მოვიდა, დებედის მდინარეში გამოვიდა, ერეკლე მეფისაგან ოთხ ვერსზედ სიშორეზედ და შეუდგა ხსენებულს დებედის ხეობასა, საცა მდებარე იყო ახტალის ვერცხლის მადანით. მელიქიანთ მამულში აქ სიმაგრისათვის შეყრილ იყვნენ ბერძნები და ახტალის გარეშე სოფლების ხალხი, სომეხნი. ომარ ხან პირდაპირ მივიდა ახტალას და იქ დაუწყო ბრძოლა ხალხსა, რომელნიც შეყრილიყვნენ ეკლესიის გალავანში. იმათაც სანამ ტყვია და წამალი ჰქონდათ, არ დამორჩილებულიყვნენ, ებრძოლათ და როდესაც შემოაკლდათ წამალი, მაშინ გასტეხეს გალავნის კარები, შევიდნენ, რაცა ჰქონდათ, სულ ეიკლეს, და 700 ტყვე დაიჭირეს, წაიყვანეს დებედის ხეობაში და ავიდნენ უბუნლარის სოფელში. იქიდან ლეკებმა ტყვენი წაასხეს ახალციხესა და იქ გაჰყიდეს. მეფის ჯარი იქ იდგა 12 ვერსზედა და ვერაფერი შემწეობა მისცეს.

—

80. ირაკლი მეფის მტრები

ისეთი შავი დღე და დასაღუპი საქართველოს, მეთექვსმეტე საუკუნის შემდეგ, არასდროს არ დასდგომია, რა დღეც მას მეთვრამეტე საუკუნის დამლევს, ე. ი. 1795 წელს დაადგა ხოჯა აღა-მაჰმად-ხანისაგან. საინტერესოა შევიტყოთ, თუ ვის საშუალებით დამართა საქართველოს მტერმა ის ვაება და ის საშინელება.

აი რა გადმომცეს ჩვენმა მოხუცებულებმა და თვით ირაკლი მეფის ერთი მოღალატე პირის (ფანოზა არზრუმანაშვილის) შვილმა, რომლის მამასაც მონაწილეობა ჰქონია ირაკლის და საქართველოს მტრებთან.

ხოჯა აღა-მაჰმად-ხანი რომ გაბატონდა სპარსეთში, გამოემგზავრა საქართველოსაკენ თავის ძლიერის და გამხეცებულის მხედრებით.

გზაში სპარსეთის ჯარმა დიდი გაჭირვება გამოიარა თურმე, რადგანაც აღა-მაჰმად-ხანს ჯარისთვის საგძალი არ წამოუღია; იმას უთქვამს, რომ აქედგან იქით წასაღები ჩვენ არაფერი გვაქვსო და იქიდან მოსატანი კი ბევრიო. ამის გამო ჯარი იქიდან მსუბუქად წასულა და ისა ჰქონიათ ფიქრად, რომ საცა შამოგვაკლდება, იქვე ხალხის ძარცვასა და დავლას დავიწყობთო.

სპარსეთის ჯარი რომ შემოვიდა სამხრეთ კავკასიის მხარეში, საგძალი შემოაკლდათ და საშუალება რომ აღარაფერი ჰქონდათ, დაიწყეს სოფლებში სიარული და ძარცვა. იქით მხრის სოფლებში კიდევ იკვებავდნენ თავსა, მაგრამ, როცა ერევანს გამოსცდნენ, იმის აქეთ კი საქმე გაუჭირდათ, რადგანაც ერევანს აქეთ უფრო ქრისტიანები იყვნენ, სოფლები კი ცარიელები დაეტოვებია ხალხს.

ასე, ამ წვალებით, შიმშილითა და ვაებით აღა-მაჰმად-ხანმა მიაღწია განჯის მახლობლად ერთ სახანოში, რომელსაც ჯავანშირის სახანო ერქვა და სადაც ხანობდა ერთი ვიღაც იბრაიმ-ხანი. ეს იბრაიმ-ხანი, თუმცა თათარი იყო, მაგრამ ერეკლე მეფის მორჩილი იყო. ამის გამო ის თავის ხალხით ერთ ციხეში იყო დახიზნული და გამაგრებული. აღა-მაჰმად-ხანი კი გარედან მოციქულობს უგზავნიდა, რომ ჯარისათვის საგზომი ალაგი და სურსათი მომეცითო და მე თქვენ არაფერს გიზამთო. ჯავანშარი ამას არა შვრებაო, მე ირაკლის ვერ ვუღალატებო.

ამის შემდეგ აღა-მაჰმად-ხანის ჯარი ძალიან ძირს დაეცა, მასალაც შემოაკლდათ და იმას სცდილობდნენ, რომ როგორმე მარტო თავი ერჩინათ და რომ საშუალება მოენახათ, ან უკან გაბრუნებულიყნენ და ან აქ მოელაშქრათ სადმე.

მაგრამ, რადგან ერთობ დამშეული და დასუსტებული იყვნენ, გალაშქრება აღარ შეეძლოთ. ამის გამო, ამბობენ, რომ აღა-მაჰმად-ხანმა ამოიგდო გულიდან თბილისზე გალაშქრებაო და გადასწყვიტა უკან დაბრუნებაო.

იმ დროს ყარაბაღში ცხოვრობდა თბილისიდან გაქცეული ოთხი კაცი: პირველი იყო ვიღაც ბებუთოვი, მეორე ბრმა მირუაშვილი, მესამე არზუმანაშვილი ფანოზა და მეოთხეც ვიღაც ივანე ყოფილა. ამათ თბილისში ბევრი რამ სისაძაგლე ჩაუდენიათ და მე-

ფე ირაკლის ბრძანებით, ნარიყალის საპატიმროში უნდა დაეპატიმრებინათ. მაგრამ ამათ ეს განზრახვა შეიტყვეს და მაშინათვე კურცხლეს ყარაბაღისკენ. ირაკლიმ შიკრიკი გაგზავნა თურმე საჩქაროდ და გაატანა წიგნი ყარაბაღის და ჯავანშარის ხანთან, რომელშიაც უწერდა, რომ მანდ ქალაქიდან ოთხი კაცია წამოსული, დამიჭირეთ და აქ გამომიგზავნეთო.

ეს შიკრიკი თურმე იმ ოთხ კაცს დაუჭერიათ გზაში და გაუძარცვავთ და ის წიგნიც წაუკითხავთ.

ამის შემდეგ ის ყაჩაღები იმ შიკრიკსაც წაიყვანენ და წავლენ აღა-მაჰმად-ხანთან: „და აბა, თუ ჩვენი დაჭერა უნდა ირაკლის, და ჩვენ ვუჩვენებთ იმას საქმესაო!“

აღა-მაჰმად-ხანთან მივლენ და შოახსენებენ სუყველაფერს, ქალაქისა და მეფე ირაკლის მდგომარეობას და სამზადისსა და სთხოვენ, რომ წამოდით ქალაქის ასაოხრებლადაო. აღა-მაჰმად-ხანს უარი უთქვამს: რომ ვერ შამიძლიან, ჩემი ჯარი მშიერია და უძლურია, თუმცა დიდი ძალი კი მახლავსო.

მიუგებენ ისინი, შიში ნუ გაქვსთ, ჩვენ მოგცემთ შემწეობას და გზებს გიჩვენებთო, თუ სიდამ უფრო ადვილად შეიძლება ქალაქის აოხრება და ირაკლი მეფის ტახტის დამხობაო...

ასე ამგვარად დაიყოლიებენ ბოროტი პირნი, დასძრავენ აღა-მაჰმად ხანს და კიდეც წამოიყვანეს თბილისში.

დანარჩენს, თუ როგორ ააოხრეს მაშინ სპარსელებმა თბილისი, ამას ისტორიაც მოგვითხრობს. მხოლოდ მოხსენებულთ პირთ წინამძღოლობით მომხდარა ეს, თორემ აღა-მაჰმად-ხანი სრულებით ქალაქზე წამოსვლას აღარ აპირებდაო და ჯარიც იყრებოდა და სპარსეთში წასასვლელად ემზადებოდაო.

ქალაქის აოხრების შემდეგ ის პირებიც აღა-მაჰმად-ხანს თან გაჰყვნენ და სპარსეთში დასახლდნენ.

—

81. ხოჯა აღა-მაჰმად-შაჰისაგან თფილისის აოხრება

1795 წელს ერეკლე მეფეს ამბავი მოსდიოდა, რომ სპარსეთის აღა-მაჰმად-შაჰი აპირობს თფილისის წასახდენად მოსვლასაო. ერეკლე მეფეს ჯერ არ სჯეროდა, მაგრამ შემდეგში რომ ძალიან გახშირდა ეს ამბავი, მან მოინდომა — მოაგროვოს და მოამზადოს თავის ჯარები და მტერს პასუხი გასცეს.

მეფემ ვერ აღისრულა თავისი გულის წადილი, რადგანაც ერეკლეს მეორე ცოლი დარეჯან დედოფალი ვერ ურიგდებოდა მეფის შვილებსა გიორგისა და მეომრებსა. ამაზედ გიორგიმ თავის ძმებით, გაჯავრებული თავიანთ დედისნაცვალი დარეჯანისაგან, რაც ჯარები იყო საქართველოში შეჰყარეს და წავიდნენ ქიზიყში. ამათის გამოჯავრებით დარეჯანმაც მისწერა თავის მამას, იმერეთის მეფეს, რომ თფილისზედ სპარსეთის ხელმწიფე მოდის და ჯარი მოაშველოს. იმერეთის მეფემაც შეჰყარა რამოდენიმე და გამოგზავნა თფილისსა.

ამ იმერეთიდგან მოსულს ჯარს უბედურება შეემთხვათ. თფილისში რომ მოვიდნენ და ხორბლის პური სჭამეს, ავად გახდნენ მუცელკეთილის სნეულებითა (ვითარცა თვითონ ამბობდნენ), რადგანაც ჩვეულს იყენენ ისინი ღომისა და ჭადის ჭამისა. ამით მრავალნი დაიხოცნენ ასე, რომ ვეღარ ასწრობდნენ იმათის დასაფლავებასა და მიცვალებულებსა ჰყრიდნენ დაბახანის ხევში (ეხლა ეს ხევი დახურული არის). გიორგი მეფემაც ქიზიყიდან ჯარი არ გამოუშო, რადგანაც ამბავი მოდიოდა, რომ აღა-მაჰმად-შაჰი მოახლოვდა. თფილისის მცხოვრებნიც აიყარნენ და გაიქცნენ დუშეთისკენ და კავკაზიის მთებისაკენ. იმერლის ჯარმაც დაიწყო გაქცევა და თან ყვიროდნენ: „გეიწი შე კაცო, გეიწი, ყიზილბაში მოდის“. გზაზედ თფილისის ხალხი რომ მიდიოდნენ, იმერლებმა მრავალი გაძარცვეს. აი, ამრიგი შემწეობა მისცეს იმათ თფილისის ქალაქის მცხოვრებსა.

ერეკლე მეფემ რომ ნახა, არსაიდგან ამას შემწეობა არ მიეცა, რაც თფილისში ცხენოსანი ჯარი მოგროვდებოდა, თავთავისი კარი აბალა და თუ თფილისის მცხოვრებთაგან შეჰყარა ორას კაცამდის და წინ მიეგება. წავიდა შავნაბადის მთაზედ. ნისლიანი დღეები იყო. ორი დღე ებრძოლა სპარსეთის ჯარსა და როდესაც გაიწმინდა ჰაერი, სპარსეთის ჯარმა ნახა, რომ ქართლის ჯარი ძალიან ცოტა ყოფილა, მაშინ თურმე შემოუტიეს და გამოაქციეს. ერეკლე მეფე თავის კაცებით ციხის კარებში რომ შემოვიდნენ, ერთი ყიზილბაში, პირველი იმათი ჩარხაჯი თურმე მისდევს და იძახის: ჰანი, ბიჭო, ერეკლე (სად არის ბიჭო, ერეკლე). მეფე ერეკლეც მოუბრუნდა, ესროლა ამ ყიზილბაშს თოფი და გადმოაგდო ცხენიდან. დაიძახა: მანამ, ბიჭო, ერეკლე (მე ვარო, ბიჭო, ერეკლე)! მერე მეფე ერეკლე ადგა და გაიქცა, თან გაჰყვა ორმოცამდის კაცი. მტკვარში რომ გავიდა, კუკიასთან, მაშინ მოაგონდა, რომ თავის ძელი — ჭეშმარიტის ნაწილი დავიწყებია, შინ დარჩომილა და თქვა, რომ მე

უნდა უკან დავბრუნდე, წავიდე, ჩემი ძელი ჭეშმარიტის ნაწილი მოვიტანოო. მაგრამ თანამყოფთა კაცთა დაუშალეს და არ გაუშვეს, რომ თვითონ დაბრუნდეს. ამათ უთხრეს, — ჩვენ წავალთ, მოგიტანთო. ორი თავადიშვილები დაბრუნდენ. ერეკლემ ასწავლა ადგილი, თუ სადა ძევს ნაწილი. წავიდნენ და მოიტანეს. მეფე ერეკლე წავიდა გლდანს, რომელიც მაშინ ვერანა იყო და ლეკის ბუდეს ეძახდნენ. იქ ჩამოხტა, დაიძახა — აბა, ყმაწვილებო, ვის რა გაქვთ, რა საჭმელი მოიტანეთ. მათ შორის ერთი აზნაურიშვილი იყო შიო ჯობინაშვილი, ტირძნელი. იმასა ჰქონია ხურჯინში ერთი თორნის პური და პატარა ტიკჭორითაც ნახევარი თუნგი ღვინო. მეფემ ამოიღო ხანჯლის დანა, დასთვალა, ნახა თან რაოდენი კაცი არიან, რომ იმ ანგარიშით დასჭრა ერთი პური და ყველას დაურიგა. ეგრეთვე ღვინისა, დაასხმევინა ჭაზარფეშაში, ცოტა თვითონ დალია და უბრძანა ბიჭსა:—ასეთ ნაირად დაუსხას, რომ ცოტა ყველას ერგოს. პურის ჭამა რომ გაათავეს, მეფემ ბრძანა, რომ ეხლა კი ავდგეთ და წავიდეთ, თორემ ვაი, აქაც სხვა მტერი გამოგვიჩნდესო. ადგა და წავიდა ერწოს და იქიდანაც წავიდა თიანეთის მთებზედ სიმაგრეში.

ყიზილბაში შემოვიდა თფილისში. ვინც რომ დარჩომილიყვნენ, სულ ყველანი დაიჭირეს და ტყვედ წაიყვანეს და აგრეთვე რაც იპოვებოდა ქალაქში, სულ აიკლეს, სახლებს სულ ცეცხლი მოუკიდეს და დასწვეს. დარჩნენ თფილისში რვა დღე, სანამ სულ ამოხრეს და მერე წავიდნენ დიდის საუნჯითა და ტყვეებიც წაასხეს. ერევანს რომ მივიდნენ, განსვენებულ ეფრემ კათალიკოზს (რომელიც მაშინ ეპისკოპოზი იყო), შეეტყო, საერო ტანისამოსი ჩაეცო და ხმალი შემოერტყა, რომ არ ეცნოთ, თუ სამღვდელო კაცია და მისულიყო ერევანსა და თან ფულიც საკმაო მოეტანა. მოვიდა, დადგა ერევნის ციხესთან, სადაც იყვნენ ტყვეები თფილისიდან წაყვანილი. შეისყიდა შვიდასამდის მამრი, მდედრონი და ყმანი და წაიყვანა ეჩმიაძინს, მცირედი ხნის შემდეგ აცნობა ტყვეების პატრონებს, რომ მოვიდნენ და წაიყვანონ. ვისაც პატრონი ყვანდა, მოვიდნენ, წაიყვანეს და ვისაც არა ჰყვანდა, თვითონ ეფრემ არხიეპისკოპოზმა გამოგზავნა თფილისს.

2

აღა-მაჰმად-შაჰი რომ დაბრუნდა სპარსეთში, ძალიან გაჯავრებული იყო, რომ საქართველო კარგად ვერ აიკლო. მოემზადა, რომ კიდევ შეორე წელიწადს მოვიდეს და ერა თუ მარტო თფილისი

არამედ მთელი საქართველო ააოხროს. 1797 წელსა, გაზაფხულზე დიდი ძლიერი ჯარი შეყარა და მოვიდა ყარაბაღს. იბრაიმ ხანმა რომ შეიტყო შაჰის მოსვლა, იცოდა, რომ არ შეუძლია მასთან ბრძოლა და გაიქცა ზაქათალას. შაჰი მოვიდა და დადგა შუშაში და იქიდან კაცებსა გზავნიდა, რომ საქართველოს ამბავი შეიტყოს, თუ დიდს მომზადებაში არიან აქაცა, თუ არა და თვითონ კი შუშის ციხეში ცხოვრობდა. იქ ყოველთვის მომჩივანი მოდიოდნენ შაჰთან. რომელს დამნაშავე კაცზე გაჯავრდებოდა, ეტყოდა: „ალაჰმ ჰაყი ჩუნ საბაჰხანი ოლ დურურამ (ჩემს ღმერთსა ვფიცავ, რომ ხვალ მოგკლავო)!“ მარხლაც, რომ თავის ფიცს არას დროს არ გასტეხდა და მოკლავდა. ერთხელაც ერთმა თავისი მოსამსახურეებთაგანმა გააჯავრა, ერევნის ულუხანდას სოფლელი იყო, სახელად ერქვა ქუდადაღ. იმასაც ჩვეულებრისამებრ დაუფიცა და უთხრა, ხომ ხვალ დაგახრჩობო. ამ ფარეშმა თქო: — ეს კაცი თავის ფიცს რომ აღარ გასტეხსო და ხვალ მამკლავსო, მოდი, მე მოვკლა ისაო.

ერთი ამხანაგიც ჰყვანდა იმას თფილისის მცხოვრებელი ტყვედ წაყვანილი და გათათრებული, სახელად ერქო სადიხა, რომლის შვილი ამჟამად თფილისში არის ბაყალი, არუთინა ჰქვიან. იმ ულუხანელმა კაცმა — ქუდადაღმა იმას გაუტყდა და უთხრა თავის საიდუმლო. იმ ღამეს ის ულუხანელი კაცი შუაღამისას შევიდა შაჰის კარავში და მოკლა შაჰი. ფიცხლავ, შაჰის მკლავზედ რომ ბაზმანტი იყო, ძვირფასი, მოგლიჯა და წაიღო ლაგირში სეფი-ხანთან, რომელიც პირველი სარდალი იყო შაჰისა და უთხრა იმას, რომ — შაჰი მოვკალიო. სეფი-ხანმა არ დაიჯერა. მერე უთხრა, — თუ არა გჯერაო, აი, იმისი ბაზმანტი მომიტანია თქვენთვის, რომ თქვენ დაიჯეროთ. მაშინვე სეფი-ხანმა უბრძანა თავის მოსამსახურეებს, რომ ცხენები მალე მოამზადონ, — შაჰს დაუბარებივარ, უნდა წავიდეო. მაშინვე შეჯდა ცხენზედა და რამდენიმე თავის მოსამსახურით წავიდა შუშის ციხეში. ის შაჰის მსახურებმა შეიყვანეს კარავში და უჩვენეს ყველაფერი. რაიცა კარგი ნივთები იყო, სეფა-ხანმა თავისთვის აირჩია და გამოვიდა ისევ, დაბრუნდა, წავიდა ლაგირში და უბრძანა თავის ჯარსა, რომ მალე მოემზადონ და აიყარონ, რომ შაჰს უბრძანებია, უნდა წავიდეთ სხვაგანაო. სეფი-ხანი რომ წავიდა, შაჰის მოსამსახურეებმა—ქუდადაღმა და სალიღამ თავი მოჭრეს შაჰსა და წაიღეს ზაქათალას ყარაბაღის იბრაიმ ხანთან, რომელიც გაქცეული იყო შაჰისაგან, და ფეხქვეშ გადუგდეს. სანამ გათენდებოდა, სეფი-ხანის ჯარი მოემზადა, აიყარენ და წავიდნენ სპარსეთისკენ. დანარჩენი ხანები დილაზედ

მოვიდნენ შაჰის სალამში. ნახეს, რომ ჩვეულებისამებრ შაჰის კარზედ მოძრაობა არ არის, მოიცადეს, ვიდრე ათს საათამდის. მერე დიდის სიფრთხილით რამდენიმე კაცი მივიდა იმის კარავთან და ნახეს, რომ არავინ არის. შევიდნენ კარავში, ნახეს, შაჰი თავმოჭრილი გდია დედამიწაზედა. გამოვიდნენ, დიდი ფრთონა მოხდა. ხალხი აირია, მერე ჯარმა შეიტყო, ისინიც აირივნენ. ამაში დიდი განხეთქილება მოხდა, ერთმანეთი გაძარცვეს, მრავალი კაციც მოკვდა და ასე დაიშალა შაჰის მოყვანილი ასიათასი კაცი. ბოროტ განზრახვება ხოჯა-აღა-მაჰმად-შაჰისა ესე გათავდა: ვითარცა თვითონა სურდა საქართველოს სრულიად აოხრება, ღმერთმა მაგიერი გადუხადა და თვითონ უშვერად მოკლული შეიქნა.

8

მეფე ერეკლე როდესაც იმყოფებოდა მთაზედ და თფილისიც მცირედ დამშვიდდა, მაშინ ქალაქის მელიქ ავეტიქ ბებუთოვი, რამდენიმე პირველი მოქალაქეების თანხლებით, წავიდა საგზლით მეფესთან და სთხოვა, რომ მობძანდეს და თავის ქალაქს ყური უგდოს და მის მცხოვრებთ დაეპატრონოს. ერეკლე მეფემ ჰკითხა ამათ ყოველი ვითარება თფილისისა. მერე დაჰპირდა, რომ თქვენ წადითო და მეც მალე მოვალო. შემდეგ რამდენიმე დღისა თფილისში აღარ ჩამოვიდა და წავიდა თელავს. იქა ცხოვრობდა. მერე წავიდნენ ყაზახ ბორჩალოს აღალარები და სთხოვეს მეფეს — ჩამობძანდითო თფილისში, დაგვეპატრონეთო, არ ვიცით, ჩვენ ახლა ვისი ქვეშევრდომნი ვართო. ჩვენ ჩვეულსა ვართო, თფილისში მჯდომს მეფეს ვემსახურითოთ. გულს ნუ გაიტეხთო, ჩამობძანდით, ისევ თქვენი ტახტის ქალაქი ააშენეთო და თქვენს ხალხს მოუარეთო. ეგრეთვე ხიდი, რომელიც დაუწვავთ ყიზილბაშებსა, ისიც ააშენეთო და თუ თქვენ ღონისძიება არა გაქვთო, ჩვენ გვიბრძანე და ავაშენებთ ჩვენის ხარჯითაო. მეფე დაჰპირდა, — თქვენ წადითო და სარწმუნო იყავითო, რომ მეც მალე ჩამოვალო. რამდენიმე დღის შემდეგ მეფე რა ჩამოვიდა თფილისში, ნახა ქალაქი აოხრებული და თავისი სასახლეც დამწვარი. რასაკვირველია, დიდად შეწუხდა. თვითონაც სხვა მოქალაქის სახლებში იდგა და ზრუნავდა, რომ ქალაქს შემწეობა მისცეს და აშენდეს. შემდგომ წელიწადში, ესე იგი 1797 წელს მეფეს შეესმა, რომ კიდევ ემზადება აღა-მაჰმად-შაჰი, დიდის ლაშქრით მოვიდეს და ააოხროს ქვეყანა. ამაზედ დიდად შეწუხდა ერეკლე და არ იცოდა, თუ რა განკარგულება მოეხდინა, რომ დაეცვა თავისი ქვეყანა. მერე ღმერთმა შეიბრალა

მეფეცა და საქართველოს ხალხიცა. შაჰი მოჰკლეს ყარაბაღში, ვითარცა ზემო აღწერილი არის. მაშინ მეფემაც და ერმაცა ღმერთს მადლი შესწირეს და მოისვენეს.

4

1797 წელს, შემოდგომას, მეფე ერეკლე წავიდა თელავს. იქ ავად შეიქნა და გარდაიცვალა. იმისმა შვილმა გიორგიმ მიცვალებული ტახტრევანში ჩაადებინა, ათი კაცი ცხენოსანი და თავიანთი ბიძისშვილი გათათრებული ჰუსეინ ბეგი (ადრე, ერეკლე მეფის წინათ, ქართველის მეფეებს სპარსეთის შაჰი არ ამტკიცებდა მეფედ, სანამ რჯულს არ გამოიცვლიდნენ და თავიანთ სახლობით მაჰმადის სარწმუნოებას არ მიიღებდნენ. მხოლოდ მეფე ერეკლე მძევლად იყო სპარსეთში დიდხანს, ის ვერ გაათათრეს, ისე დაამტკიცეს მეფედ) გააყოლა და უბრძანა, რომ წაიღონ ცხედარი მცხეთას. თვითონ მაშინვე მოიწვია არქიერი და უთხრა, რომ ხატი და ჯვარი მოასვენოს. თვითონაც ხმალი შემოირტყა და დაიბარა თელავში რაც თავადის შვილები იყვნენ. ამათ უთხრა: იცით თქვენა, რომ მამიჩემის მემკვიდრე და უფროსი შვილი მე ვარ! მოდით, ამ ხატზედ და ჯვარზედ დაიფიცეთ ჩემს საქართველოს მეფობაზედა და ვინც ამ ჩემს ბრძანებაზედ წინააღმდეგობას იქს, მაშინ (ხელი დაიდო ხმალზედ) ამით თავს გავაგდებინებო. მაშინ ზოგიერთს, თუმცა არ უნდოდა იმისი მეფობა, მაგრამ დროება არა ჰქონდათ და არც ადგილი იყო. რომ მოელაპარაკნათ; დაუმორჩილდნენ იმის ბრძანებას და მივიდნენ, ჯვარსა და სახარებას ემთხვევნენ და ხელიც მოაწერეს. მერე მეფე გიორგი შეუდგა განკარგულებასა: ჯარის მოგროვებას, სამარხის მომზადებასა და სამღვდელოს მოწვევასა. მესამე დღეს წავიდნენ მცხეთას, იქ დიდი ამბით დაასაფლავა თავისი მამა და ისევ დაბრუნდა თელავს. თელავში რომ იმყოფებოდა გიორგი მეფე, მაშინ ფარსადან არყუთაშვილს თფილისიდან ერთი ხურჯინით ბრინჯი წაეღო გიორგი მეფისათვის. დიდის მადლობით მიეღო და, ვინც ყოფილიყვნენ იმასთან კაცები, იმათთვის ეთქო:— იცით, ეს არღუთაშვილი ფარსადან ისეთი ერთგულია ჩემი და ისე ვუყვარვარ, ვითარცა ერთს ვისმესთან გაარშიყებული იყოსო და არ იცის, თუ როგორ მასიამოვნოს.

მერე ჩუმად ეთქო მისთვის: — ფარსადან, ცოტა ფრთხილად იყავი, ჩემმა დედინაცვალმა არ შეიტყოს, რომ შენ ჩემთან დადიხარო, თორემ შეგაწუხებსო დედოფალი.

5.

ჟამსა ერეკლე მეფისა, იმისმა შვილმა გიორგიმ ჯარი შეჰყარა და მივიდა ყარსზედ ჩაფაულათ, ე. ი. ასაკლებად ყარსისა. სანამ ესენი მივიდოდნენ, ყარსის მთავარსა ყარაბეგს შესმოდა ამათი მისვლა. გამოსულიყო თავის ჯარით და ქართველები გამოექცია და არც გაეშო, რომ ყარსის სანჯაყიდან საქონელი გამორეკონ. ქართვლის ჯარი რომ დაამარცხა, გამოქცევის დროს გუმბრის მინდორში (ალექსანდრეპოლის) რომ ნახირი დადიოდა გუმბრელებისა, მოიტაცეს ეს საქონელი და გამორეკეს. ეს რომ შეიტყო გუმბრის სულთანმა, შეჰყარაო ორმოცამდის ცხენოსანი კაცი და გამოუდგა ქართველის ჯარსა, მაგრამ სანამ სულთანი მოვიდოდა, ქართველებმა ის მოტაცებული საქონელი გააქციეს — ზოგმა აქეთ და ზოგმა იქით. მაშინ მეფის ძე გიორგი დარჩა მარტოკა სამი-ოთხის კაცით. ამ კაცებში ზემოხსენებული ფარსადან არღუთაშვილიც ყოფილა. ეს რომ ნახა გიორგიმ, სულთანი მოდისო და მოინდომა, რომ გაიქცეს. მაგრამ მხლებელთ არ ურჩიეს გაქცევა, უთხრეს: — ბატონისშვილო, ნუ გაიქცევით, თორემ გამოგიდგებიან და იქნება მოგკლან კიდეცა; დადექ, სანამ მოვიდნენ და მერე უთხარი, რომ ხომ ხედავთ, სულ გაიქცნენ და არავინ არ არის, რომ მე ინათ ვუბრძანო. თქვენი საქონელი დაგიბრუნონო. ჩამოდით ქალაქში მამაჩემთან და იქ სრულიად კმაყოფილებას მოგცემთო. სულთანი მოვიდა და ყვირილით დაიწყო ლაპარაკი გიორგისთან. „ეს რა ამბავია, ერთი შეგვატყობინეთ, თუ თქვენ ჩვენი პატრონები ხართო, თუ მტრებიო, რომ ჩვენც ისე მოგექცეთო! ჩვენი საქონელი რათ მოიტაცეთო?“

გიორგიმ უთხრა: — ჩვენი კაცები ძალიან ცუდად მოიქცნენო, მეც ამითი მაღრიელი არა ვარო, მეც მარტო გამიშვესო და საქონელი მოიტაცეს, ვინ იცის, საით გარეკესო. ჩამოდითო თფილისში მამაჩემთან და, ვისაც რა მოუტაცნიაო, სულ მოგიგროვებთ და მოგცემთო. სულთანი დაბრუნდა, წავიდა გუმბრს.

შემდეგ ერთის კვირისა სულთანი ჩამოვიდა თავის კაცებით თფილისს და ერეკლე მეფეს მოახსენა თავისი საქმე. ერეკლემ ბევრი ეცადა, მაგრამ ვერა გამოიტანა რა. ვინ იცის, ვის მოუტაცნია და ვის წაუყვანია. სულთანიც ადგა ცარიელი და დაბრუნდა გუმბრს.

6.

ბეგლაროვიანთ ნათესავი — შამირაღა, რომელიც გადასახლებული იყო ყარაბაღიდამ ინდოეთში, კარგი შეძლების პატრონი იყო. მას ჰქონდა მიწერ-მოწერა ერეკლე მეფესთან და ყოველთვის კარგ საჩუქრებსაც უგზავნიდა, ასე, რომ წელიწადში ვიღრე 15000 მანეთამდის ფულსა და ნივთებსა. იმის განზრახვა ის იყო, რომ ეგების ერეკლე მეფემ იშუამავლოს იმერეთის მეფესთან, რომ იმერეთი შეისყიდოს ამისათვის. რადგან ერეკლე მეფეს მიწერ-მოწერა ჰქონდა სხვადასხვა ადგილებშიაც სომხებთან და სომხის მწერალი არა ჰყვანდა, მოიწვია ტერ-დავით შაიკოვი თავის მდივნად და ჯამაგირიც დაუნიშნა დებულებისამებრ მაშინდელი მდივნებისა, წელიწადში 7 თუმანი. მეფესთან, ვითარცა პირველი სარდალი ეხლებოდნენ, ისიცა იმათთან სხდებოდა. შემდეგში ამ კარისკაცებს შეშურდათ, თუ ტერ-დავითაც იმათთან რათა ჯდებოდა. მეფეს მოახსენეს, რომ ეს რა რიგი არისო, რომ ჩვენ სარდალნი ვიყვეთო, ერთი სომხის ტერტერაც მოვიდესო და ჩვენთან დაჯდესო წინაშე თქვენსა და სთხოვეს, რომ ტერ-დავითა დაითხოვოს. ერეკლე მეფემ შეიწყნარა იმათი სათხოვარი. შემდეგ რაოდენისამე ხნისა მეფეს მოუვიდა შამირაღას წერილი ინდოეთიდგან. მეფემ ეს წერილი აიღო და შეინახა. მეორე დღეს რომ მოვიდნენ იმისი სარდლები, მისცა ეს შამირაღას გამოგზავნილი წერილი იმათა და უთხრა: — აბა, ერთი ეს წამიკითხეთო. იმათ აიღეს, ნახეს, რომ სომხურია. მოახსენეს მეფეს. — ეს სომხურია, ჩვენ არ ვიცით კითხვაო. მეფემ უბრძანა: — თქვენ შნო არა გაქვთო და სხვასაც უშლით, რომ აღასრულოს ჩემი საქმეებიო. კვლავ მაგისთანა საქმეს ნუღარ გაბედავთ და მე ნუ დამიშლიო; მე ჩემი საქმე უკეთ ვიცი თქვენზედა. მაშინვე დაიბარა ტერ-დავითა, მისცა წერილი. ამან წაიკითხა და მაშინვე პასუხიც მისწერა შამირაღასა და კიდევ შერიცხა მდივანების რიგში.

შემდეგ გიორგი მეფემ მოიწვია შამირაღა საქართველოში და გაუგზავნა ღრამოტა მთელი ლორის მაზრისა და მასთანავე მიწის პლანიც, წესიერად შედგენილი, რომელიც მისცა იმას საუკუნოდ მფლობელობასა შინა (ეს პლანი გაეკეთებინა თფილისის მცხოვრებელს იოსებ ტერ-შმოვანოვსა), მხოლოდ შამირაღამ არ მოიწადინა მისვლა საქართველოში და არც მიღებად ლორის მაზრისა.

—

82. ერეკლე

ნეფე ერეკლეს შეესივა მტერი. აქეთ ყადორია, იქით დასავლეთით მიხაციხის ველი, იქით შილდის მთა ფოხალი, ეს ლეკის გზებია, ყვარლის მთა, ბეჟანიანის მთა, მერმე ლაგოდახი. რო გამოუდგა ნეფე ერეკლე ამ მტერს, ურჯულოს!.. ამ გადმოლახული მთებიდან ნეფე ერეკლემ და ჯარმა გააქციეს უკან ლეკი. წინ მოუძღოდა ნეფე ერეკლე. მაშინ იძახოდა ხალხი, ჩვენ ძვირფას ბელადს გაუმარჯოსო. მტერი გააძევეს აქედან და ხელთ იგდეს ისევ საქართველო. ხალხს მადლობა გადაუხადა თითონაც. მამაცად მაიქცა!...

მაშინ გაწმინდა საქართველო იმ საწყალმა, მაგრამ მერე? აქიდან წავიდა, მერე თათარი შემოესივა. ჩვენ ქალაქის თავში შავნაბადას ეძახიან, იქა მეფე ერეკლე იმ ქალაქში სადილის საჭმელად წამოვიდა. სანამ ის იქ იყო, იქ მტერი მოვიდა. რო გაიგო ი ზარბაზნებზე, მაშინ წამოდგა ი საწყალი თავის ვეზირ-მაზირითა. იძრო ხმალი, მაშინა თქვეს, ჩვენ ამათ ველარ გავრეკავთო. აღარ გაუშვეს თავის ვეზირ-მაზირებმა. მოდის ბრაზი, მაგრამ რას იზამს? მაშინ წავიდა რუსეთს, გადასცა ასი წლით საქართველო. რუსეთს გაუხარდა. ასი წლის შემდეგ თუ აღმოჩნდესო ისეთი ვინმეო, იმას ჩაბარდეს საქართველო. რუსეთის ნეფე ნიკალაი აპეკუნი იყო საქართველოსი ასი წლის ვადით. რო გაიარა ასორმოცდაათმა წელმა, მოხდა საქართველოში სადილი. დაიბარეს მთელი ქვეყნიდან ამორჩეული კაცები, მამასახლისი, სუდია, როგორც ახლა საბჭოს ხალხი. ამ სადილზე ყველა სოფლიდან იყო ხალხი. მაშინ აუხსნეს ყველას, ასეაო, ასეაო — რუსეთმა მტერი მოაშორა საქართველოს, ვადა გავიდაო. როცა რო ეს კრება ჩატარდა, მაშინ უთხრა ხალხმა, ამაზე კარგი ნეფე ჩვენ არ გვინდაო. დარჩა იმ დღიდან რუსეთსა. ყველამ ხელი აუწერა, ვინ იტყოდა უარს?! დაიმტკიცა იმ დღიდან საქართველო რუსეთმა.

—

83. გლეხის ქალი და მეფე ერეკლე

ერეკლეს მეფობისას ქიზიყს, სოფ. ანაგაში, სცხოვრობდა ერთი ღარიბი გლეხის ქალი და ისეთი მამულის მოყვარე რამ ყოფილა, ისე გაბრაზებული ჰქონია გული საქართველოს მტრებზე, რომ ამის გამო ერთხელ მეფე ერეკლესათვის შეურაცხყოფა მიუყენებია, რადგან ტანჩაცმულობაზე უფიქრია, რომ ის უთუოდ სპარსელი

უნდა იყოსო. ეს ქალი თურმე ლეღვზე იყო ასული და ამ დროს მეფემ გაიარა გზის პირას ანაგაში. გულმა არ მოუთმინა, მოგლიჯა ლეღვი და შიგ ზურგში სთხლიშა. ის მაშინვე დაიჭირეს, გამოჰკითხეს მიზეზი ამგვარის ქცევისა და იმანაც აუხსნა, რომ მტერი ყიზილბაში მეგონაო; რა ვიცოდი, თუ ჩვენი მეფე იყოო? მაგას ტანისამოსი ჩვენებურად რატომ არ აცვია, თუ რომ მართლაც ეგ ქართველთ მეფე არისო. მეფე არამც თუ არ გასწყრომია ამის კადნიერებისათვის, არამედ მადლობაც კი უთქვამს. მის შეშინებულ მამისთვის, რადგან ასეთი მამულის ერთგული შვილი გაეზარდა. ქალს ტანზე ძალიან დაკონკილი ტანისამოსი სცმია, მეფეს საჩუქარი მიუცია მამისათვის მის შესამოსად.

—

84. ერეკლე და თუში

ერთი თუში იდგა დარაჯად ერეკლეს სასახლეში. საღამოს ბინდ-ბუნდზედ ერთხელ მეფე უნდა შევიდეს სასახლეში. თუშმა ვერ იცნო, რადგანაც ბნელოდა და დაიძახა: — „ვინა ხარ!“ მეფემ არ უპასუხა. თუში დაეწია და ერთი ლაწანი გაადინა. მაშინ ერეკლემ უთხრა: „რას შვრები, ბრიყვო, შენს მეფეს რათა სცემ?!“ თუში ,რასაკვირველია, შეკრთა და შეშინებულმა ვერა პასუხი ვერ მოახერხა და ელოდა სასტიკს სასჯელს მეფისაგან. ერეკლემ მხარზედ ხელი დაადო და უთხრა: „ყოჩაღ, თუშო, ეგრე ფრთხილად უყარაულე მეფის სასახლესო“.

—

85. ერეკლე და თუშის ხმალი

მეფე ერეკლეს ძლიერ უყვარდა კარგი იარაღი და შეტყობაც კარგად იცოდა იარაღისა. ერთხელ მეფეს აჩვენეს ვიღაცა თუშის ხმალი:

— ეს ხმალი ერთ სოფლად ეღირებოდა, ცოტა მოკლე რომ არ იყოსო, ბრძანა მეფემ.

— ბატონო, ცოტათი ფეხს წინ წავდგამ და ისევ ერთ სოფლად ეღირებაო, მოახსენა თავმოწონებით თავადმა.

მეფე მიუბრუნდა კადნიერს თავადსა და უბრძანა:

— როგორ არ იცი, რომ გაცხარებულ ომში ფეხის წინ წადგმა ერთ სოფლად კი არა, ბევრის ბევრად ჰღირსო.

—

86. გადამტუდარი ხმალი

მეფე ერეკლემ ერთს გაძლიერებულს ომში თვალი შეასწრო, ერთი მეომარი ომიდან გამოსულიყო და შუა გადამტყდარი ხმალი ხელთ ეპყრა.

მეფემ შესძახა:

— რას უდგეხარ და არა ომობო?

— ბატონო, ხმალი გადამიტყდა და დამიმოკლდაო, უპასუხა შეომარმა.

— ფეხს წინ წავდგამდი და დაგრძელდებოდაო, უბრძანა მეფემ და ომში შეერია.

—

87. ერეკლე, ჰევსურები და თათრის ხანი

ერეკლე ყოფილას ჰევსურთ ბატონი. როგორც ამ დროჩი პარტია არის ერთგული, ჰყოლია თუშები და ჰევსურები. პირველი ერთგული ჰყოლია ჰევსური, მეორე — თუში. ესე ყოფილა. სდგომავან კარზე სულ სამოცი კაცი. ჰყვანავან შემოსეული თათარი და ისენი ებრძოდეს რა. დაუპატიჯებია თათრი ხან, რომელიც იქნებოდ თათრის მეუფროსე. მაშინ ჰევსურები ჰყვანივას კარზე და თათრის ხანი როცა სახჩი ჰყვანივას დაპატიჯებული. თათარი თუ იმას სამტროდ ესეოდა, ეკიდებოდა. შამოდიოდ იმის სახჩი მოლალატეობით. ერეკლეს უთქვავ ჰევსურებისათვის:—„აბა, ჩემო ჰევსურებო, გააკეთეთ ისეთი რამე, რომ ამ კაცს გული დაედარდოსო, შაშინდას“. მივიდას იმაჩი ჰევსურები, დადგან ერეკლეს კარჩი. თათრის ხანი იქა ჰყავ, სუფრას უმზადებენ. ჯერთ იმათ ამაიღეს თამბაქო და ერთიმეორეს დაგლიჯ-მაგლიჯეს ჰევსურებთ და დაუწყეს ჭაშა, ცოხნა. მერე სუფრა თუ მააქვს იმისთვისად, ჯორცი თუ მააქვს გაკეთებული ბატონისად და იმის სტუმრისადაც მაიღეს თუ მანამდი სუფრაზე დადგენ, დეეცნეს და დაგლიჯ-მაგლიჯეს, არ მიირთმევინეს ბატონს, თითონ შეჭამეს ის. ახლა კიდე მეორეზე მაიღეს. ბატონმა მათხოვა ჯორცი შემოიღეთო. ჯორცი შემოიღის გასხმული ჯოხზე. მაისვეს ქმალს ქელი, დახკრეს იმ ჯორცს, დახგლიჯეს, ზოგ შეჭამეს, ზოგ ისე და უყურებს ი თათრის ხანი, შაშინდა, გაცივდა, წამოდგა, თითონ ვეღარ წავიდა, შარვალში გაუშვა (ამის თქმისას მთქმელმა ბოდიში მოიხადა) და ქელით წამაიყვანეს. მაშინ უთხრა იმას ქელმწიფემ: — „ისეთნი ხალხნი მყვან, რომ თამბა-

ქოს პურად ჭამენ და მეც არაფერს მკითხვენ. ის გააპარა ჭევსურებს. მითომ მახკლავდა ის ჭევსურები. მემრე ჭევსურებს ერეკლემ მადლობა გადაუხადა, რომ ეგეთი საქმე მიყვენითო.

—

88. ანდრეზი ლებაისკარზე

ერეკლე ერთხან დღეობაჩი იყო. ჭევსურეთი იმ დროს ძალიან შაწუხებული ყავდა მოუსავლიანობისაგან. მაშინ ყოფილა ძალიან დიდი დარები. დარებისაგან არ მოდენილა მოსავალი. ეს ამბავი უთქვიათ ჭევსურებს ერეკლესთვის. ერეკლეს უკითხია: — „ამ დარიანობის წლებჩი არც ერთ სოფელჩი არ მოდისა პურიო?"

ჭევსურებს უთქომთ: — „ლებაისკარჩი მოდისო".

ერეკლეს უთქომს: — „ყველაზე ყროლი ადგილი ყოფილაო".

მართლაც ლებაისკარი უკანასკნელი სოფელია მოსავლიანობით ნორმალურ წლებჩი. კარგი მოსავალი მაშინ მოდის, როცა მხოლოდ წვიმები არ არის.

—

89. ერეკლე და თუში ოცისკარი

წოვა და ჩაღმა თუშების მიჯნად ითვლება ერთი მთაგრეხილი; ამ მთაგრეხილს ხან წოვა თუშები იჩემებდნენ, ხან ჩაღმები და ამის გამო მათ შორის ხდებოდა ჩხუბი და სისხლის ღვრა. თუშების თქმით, ამ მთაგრეხილზედ ერთხელ შეყრილიყვნენ ორი თემის წარმომადგენლები, რომ სამართალი რამე დეედოთ, მაგრამ ვერა გადასწყვიტეს-რა და ბოლოს, როგორც მოსისხლე მტერნი, ეცნენ ერთი ერთმანეთს. ეს უთანხმოება გაიგო მეფე ერეკლემ და ერთ ზაფხულს მეფე გადაბრძანდა თუშეთს, რომ გაერჩია დავა, დაემშვიდებინა ხალხი და მით მოეღო სისხლის ღვრის ბოლო. მათ შორის ამ მთაგრეხილზედ დადგა მეფე. შეიკრიბნენ ორთავე თემის თუშები; დაიწყეს საქმის გარჩევა. ჩაღმები ამტკიცებდნენ, რომ მთაგრეხილი ეკუთვნოდათ მათ და წოვებთ მხოლოდ შეეძლოთ ბალახით ესარგებლათ, რომ წოვები არამც თუ ბალახით სარგებლობდნენ, არამედ ალაგსაც ართმევდნენ, წოვები-კი მთას და ბალახს ჩემობდნენ. ჩამოვარდა ისევ უთანხმოება. წოვებში იყო ამ დროს ერთი ბებერი თუში ოცისკარი, ცნობილი თუშეთში, რო-

გორც კაცი ჭკვიანი და სიმართლის მოყვარე. ჩაღმებმა სთხოვეს ერეკლეს, რომ მას ეკითხნა ოცისკარისათვის, თუ რომლებს ეკუთვნოდა ეს მთაგრეხილი. მეფემ ჰკითხა და ამნაირი პასუხი მიიღო: „რა მოგახსენო, ბატონო ერეკლევ, თხა მაგათია და საკრეჭი-კი ჩვენი“. რამდენი არ ეცადა მეფე, მაგრამ ვერა გააწყო-რა. ბოლოს ბრძანა: — თუშებო, როგორც თქვენა ხართ კერპები, ისე ეს ალაგიც საკერპო ყოფილაო“, ბრძანა ესა და წაბრძანდა შინისკენ. ამ მთაგრეხილს ეხლა „საკერპოს“ ეძახიან თუშები.

—

90. ერეკლეს მოზვერი

ზაფხულში ქალაქელების საქონელი თფილისს გარეედ სძოვდა. ამ საქონელში იყო მეფე ერეკლეს მშვენიერი თეთრი მოზვერი. მეფეს ძალიან უყვარდა ეს მოზვერი და თურმე ყოველ საღამოს, როცა საქონელი ბრუნდებოდა შინ, მეფე უთუოდ ინახულებდა. თუშებმა დაიჭირეს ეს მოზვერი, დაკლეს და შეჭამეს. როდესაც ერეკლემ ჰკითხა თუშებს, თუ რას ნიშნავდა ამნაირი მათი მოქმედება, თუშებმა მოახსენეს:

— „ხორცი ხორცად შევჭამეთ, ბატონო, და ტყავი-კი საქალამნედ მოვიხმარეთო.“

— „ვხედავ, თუშებო, თქვენ რომ ერთი პირი გქონდეთ, ქვეყნის შეჭმას შეიძლებდითო.“

—

91. ამბავად გაგონილი

მეფეს ერეკლე მეორეს ხლებოდა ერთი ღარიბი მოხუცებული დედაკაცი და მოწყალება ეთხოვნა.

— სხვისა მამაო და ჩემო მამინაცვალო, ერთხელ ჩემკენაც მოიხედეო, ეხუმრა დედაკაცსა.

— რა არის ამოდენა ხანია სულ მოწყალებაზედ დადიხარო, ებრძანებინა ხუმრობითვე მეფეს, განა შვილები არა გყავსო.

— მაშ რის დედაკაცი ვიქნები, რომ შენთვის ყმა არ გამეზარდოს, შვიდი შვილი გაგიზარდეთო.

— არა გრცხვენიან, დედი, შვიდი შვილის პატრონი ხარ და საგლახოდ დაიარებიო.

— ვიშ, შენი კვნესამე, ნეტავი ერთი მყვანდეს და შენისთანაო.

—

92. ამბავად გაგონილი

ერთხელ მეფე ერეკლე მეორე მიბძანდებოდა თურმე ქალაქიდან კახეთს და თან, რასაკვირველია, ამალა ხლებია. მზე დაწურვაზედ ყოფილა, როცა მეფე მიბრძანებულა საგარეჯოს ბოლოებზედ, დაუნახავს, რომ ერთს ყანაში დიდძალი მუშა დგას და მკის. იკითხა, ეს ამოდენა მუშა ვისიაო. მოახსენეს, აქ, საგარეჯოში ერთი შეძლებული გლეხია და იმის მამითადიაო.

— შაბაშ გლეხსაო, ბრძანა თურმე და იმისი ვინაობა იკითხა, მოახსენეს ვინც არის და ზედ დაატანეს: ასეთი ხელმოჭერილი რამ კიაო, რომ პურს არვის აჭმევს, თუ არას გამორჩაო.

შეაყენა მეფემ ცხენი და უბრძანა: თუ აქ არის ის გლეხი, აქ მომიყვანეთო. მოიყვანეს, მეფემ უბრძანა: ვახშმად ჩემის ამალით შენი სტუმარი ვარო.

— მობძანდი, შენი ჭირიმე! უპასუხა გლეხმა, მაპატიე კი, აქ სამზადისი არა მაქვს, შინ მეწვიეო.

მეფემ ნება დართო.

გლეხი გადაჯდა ცხენზედ და ჭენებით წინ წავიდა.

ვიდრე მეფე აბძანდებოდა სოფელში, ჩამოღამდა კიდეც. გლეხი წინ მიეგება, მიიწვია მეფე სახლის ბანზედ, რომელიც თავიდან ბოლომდე საფენით მეეფინა კიდეც. ძალიან კარგად დახვდა თურმე მეფესა და იმის ამალასაც. როცა მეფემ ვახშამი მიირთო, წასვლა დააპირა და ცხენები მოითხოვა, მოართვეს ცხენები. გლეხს მადლი უბრძანა და ზედა დაატანა:—აკი, შვილო, შენ პურს არავის აჭმევ ისე, რომ არას გამორჩეო.

— მაინც ეგრეა, შენი ჭირიმე! უპასუხა თამამად გლეხმა, მართალი მოუხსენებიათ.

— როგორ? აბა დღეს მე რას გამომრჩი?

— ამ ბანზედ მიწა ახლად დაყრილია, ამის დატკეპნას კარგა მუშა მოუნდებოდა და მე მეტი გამორჩომა რად მინდა, რომ ჩემმა ბედნიერმა ბატონმა და ამოდენა დიდებულმა ხალხმა თავისის საკუთარი ფეხით ბანი დამიტკეპნესო.

მეფეს მოეწონა ეს მოსწრებული სიტყვა, გაეცინა და ხალათი უბოძა.

—

93. ერეკლე მეფე და თუში

ერთხელ მეფე ერეკლე თავისი ცოლით მიდიოდა გზაში. ამათ შეხვდა თუში თავისი ცოლით. მეფეს თუშის ცოლი ძალიან მოეწონა და თუშს უთხრა: — მივდივარ ყარაიასაო,

იქ ვაგებ სარაიასაო,
ეგ ქალი მე მომეცი,
ჩავაცმევ დარაიასაო.

თუშმა უპასუხა:

— არც მივალ ყარაიასაო,
არც ვაგებ სარაიასაო,
ქალი ქალში გამიცვალე,
რას ვაქნევ დარაიასაო.

მოეწონა თუშის მოსწრებული პასუხი მეფე ერეკლეს და ხალათი უბოძა თუშს.

94. გადმოცემა მეფე ერეკლეზედ

ფშავში ერთი საინტერესო გადმოცემა დარჩენილა მეფე ერეკლეზე. აი ის გადმოცემა: ერეკლეს მეშვიდე ვაჟი რო გაუჩნდა, სთქვა: ქართველებო, თავს მოუარეთ, ჩემი ჯიში პირუტყვზე გადავიდა, ჩემი შვილები მეფობას ვეღარ გიზმენთო!.

—

95. მეფე ირაკლის მსაჰინმელი

ნატახტარ სოფელს ერთი ოჯახი სცხოვრობდა, გვარად ტონუაშვილი, რომლის სიმდიდრე და პურადობა გათქმული ყოფილა მთელს საქართველოში. ისე მგზავრს არ გაუშვებდაო, რომ საგზალი არ გაეტანებინაო. ისეთი მდიდარი იყოვო, რომ როცა ისინი მაწონს შესდღვებდნენ, მცხეთაში მცხეთელები გაიგებდნენო, რადგან ისინი დოს არ სჭამდნენ და არაგვის მდინარეში ასხამდნენო.

ეხლაც ბევრი მოხუცებული დანატრის არაგვსა: „ჰაი დედასა, არაგვო, ის დრო სჯობნებულა, როდესაც ტონუაშვილებს თეთრად შეუღებნიხარ!“

ერთხელ ერთი ამ ოჯახის შვილი მეფე ირაკლი მეორესთან მოსულა თურმე და თავის სახლში მიუწვევია ამ ლექსის თქმით:

ნატახტარ სოფლით გახლავარ
მდიდრად გათქმული გლეხიო.
საწყალი კაცის მოყვარე,
მტრების გახლავარ მეხიო!

თქვენის ამალით მეწვიეთ,
მიკადრეთ მონა გლეხიო.
თუ ღირსეულად ვერ დაგხვდეთ,
თავზე დამატყდეს მეხიო!

მეფეს დიდად გახარებია გლეხისაგან დაპატიჟება, შესულა დედოფლის პალატაში და მოუხსენებია იმისთვის:

— მეც ლექსის თქმით მიწვევენ და შენც ლექსის თქმით უნდა გამოგეთხოვო და თანაც ოცი კაცი უნდა წავიყვანო, ვნახო, როგორ დამიხვდება ჩემი მასპინძელი:

ტონუაშვილსა მიქებენ,
ბლომათა ჰყავს ზაქები!
წავალ და სტუმრად ვეწვევი,
ნუ თუ მართლაა საქები?

როდესაც მეფე მიბძანებულა გლეხისას, მეფიდან დაწყებული უკანასკნელამდე თითოსთვის ორ-ორი პირუტყვი დაუკლავთ: ძროხა, ცხვარი, თხა და ზაქები. ფრინველი კი არც ერთი.

ვახშმის შემდეგ მეფეს უფიქრნია: სიმდიდრით მდიდრები ყოფილანო, აბა ახლა ჭკუით გამოვსცდიო. დაუძახნია და უთქვამს:

— აბა ისეთს ალაგს დამაწვინეთ, რომ ჩემზე უმცროსი იქ არავინ იყოსო.

მაშინ ადგნენ მასპინძლები და მოახსენეს:

— დიდებულო მეფეო, რათ იწუხებ თავსა ჩვენის გამოცდითაო? განა არ ვიცით, რომ ყმაწვილზედ დიდი არავინ არ არის, ამისთვის რომ ამოღებული ხმალისაც არ ეშინიან და ჩვენზე პატარაც არავინ არის, ამისთვის რომ თქვენი მონანი გახლავართ!

შემდეგ მეფემ ჰკითხა მათ:

— რა მიზეზია, რომ საქონელი თითოს ორ-ორი დაგვიკალით და ფრინველი — კი არც ერთი?

— ამისათვის, რომ თქვენ კაცი ბძანდებით და საქონელი კაცის კუთვნილებაა და ფრინველი დედაკაცია; როდესაც დედოფალი მობძანდება, იმას ქალები დაუხვდებიან და ფრინველებს დაუკლავენ.

წამოსვლის დროს მეფემ იმათი სახლ-კარი დაათვალიერა; საქონლის ბაკში თორმეტი პატარა ზაქი დაინახა; მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ეს ზაქები როდინდელი მოგებული არიან?

— თქვენი ფეხი, მეფეო, ისეთი ბედნიერი იყო ჩვენთვის, რომ წუხელის თორმეტი ხარ-ზაქი მოგვემატა და თორმეტი მათი მწყემსი, უთხრა თურმე მასპინძელმა.

მეფე იმის შემდეგ, ამბობენ, ხშირი სტუმარი იყო ხოლმეო იმ გლეხისა.

96. თუმანიშვილებისა და ერისთავიანთ მტრობა

ერისთავიანი და თუმანიანი — მდივნები გადაკიდებულები ყოფილან. ერისთავი მეფე ერეკლეს ხლებია ომში. რომელ ომში, გადმოცემა არ ამბობს. ეს თუმანიშვილიც იქა ხლებია მდივნად. მეფე ერეკლეს დასჭირებია ქალაქში კაცის გამოგზავნა; ყველაზე სანდოდ ერისთავი უცვნია. ძალიან საიდუმლო საქმე ყოფილა და ერისთავს მოუხსენებია, იქნება მტრებმა დამიჭირონ, მე არ ვიტყვი, მაგრამ ვაი თუ ქაღალდი იპოვნო, ამიტომ აუყრია უკანა ფეხზედ ნალი ცხენისათვის, ის ქაღალდი შეუხვევია, ნალს ქვეშ მოუქცევია და ისევ დაუჭედვინებია ცხენი და წამოსულა. უსარგებლია თუმანიშვილს და თათრებისათვის შეუტყობინებია: „ერისთავი ქალაქში მიდის, თან მეფის ბარათი მიაქვს, დაიჭირეთ, ბარათი ამა და ამ ფეხშია ნალ ქვეშაო.“

თათრებს გზა შეუკრავთ ერისთავისათვის, და როცა ის გულდადინჯებით მიდის, გადმოუხტებიან და დაატყვევებენ. ტყვეც ხომ ძვირფასი იყო, მაგრამ რაც იმას ბარათი მიჰქონდა ქალაქში, ის უკეთესი იყო.

— რა უყავ მეფის ბარათი, უნდა მოგვცეო, დაადგნენ თათრები.

— მე უბრალო მგზავრი ვარ, მივდივარ ჩემ გზაზედ, მე არაფერი ბარათი არა მაქვს, რასა ჰკითხულობო, დამდგარა უარზედ ერისთავი. მაშინ აუყრიან ნალი და უპოვიათ ერეკლეს ბარათი. ერისთავს ელდა სცემია. მაშინვე მიმხვდარა, რაშიაც იყო საქმე. აბა რას დაივიწყებდა, დროს ელოდა, თუმანიშვილის ჯავრი ამოეყარა. თუმანიშვილს დიდი სოფელი ჰქონდა ქართლში, გორს ზევით, 700 კომლით დასახლებული. ეახლა ფაშას ერისთავი და გამოსთხოვა ჯარი, უნდა ქართლში გავითარეშოვო. მისცა ათასი კაცი და ჩამოვიდა თათრის ჯარით ქართლში. გამოუგზავნა კაცი თუმანიანთ და შემოუთვალა ეს ლექსი:

ხელთუბანს ჩამოგიხტებით,
თუმანიანო ჭაკებო!
საბძელს და კალოს დაგიწვავთ,
სასახლეს გაგივაკებთო.

გადმოცემა მოგვითხრობს, რომ მართლაც აუკლიათ ხელთუბანი და მიწასთან გაუსწორებიათ. წაუყვანიათ ხალხი ტყვედ, სხვათა შორის იმისი ცოლიც, რომელმაც ერისთავი გასცა. ტყვეები სკრაზედ გაუტარებიათ. თუმანიანთ რძალს ძუძუთა ბავშვი ჰყოლია, თურმე დავარდა და ვეღარ მისდევს სხვა ტყვეებს. ერთმა თათრის უზბაშმა უბრძანა კაცებს, წაართვით ეს ბავშვი, დაახეთქეთ და მოჰკალით, ხომ ხედავთ, მაგ ქალს ამძიმებსო, შეძრწუნებულმა დედამ ხთხოვა, უფროსი მაჩვენეთო. მოახსენეს ერისთავს. მაშინვე მივიდა იმის სანახავად.

— ნათლია, შეეევედრა თუმანიანთ რძალი, ნუ მომიკლავთ ამ ბავშვს, ამას არაფერი დანაშაული არა აქვს, რაც გინდა მიყავითო (გადმოცემა ამბობს, ნათლიები იყვნენო). შეეცოდა ერისთავს და უბრძანა, ცხენზედ შეესვათ და ისე წაეყვანათ.

—

97. ერეკლე და გაბაევი

ერეკლე ნეფეს რუსის ხელმწიფემ სამუარი გამოუგზავნა „პადარკად.“ და ერეკლემ ვერ გაიგო, თუ რისთვის არის ესა. დაუძახა ხალხს და უთხრა: — ვინც ამას გაიგებს, თუ რისთვის არისო, ერთი ათი დღის სავალსა მივცემო და კნიაზობასაც მივცემო. მიჰყვა მაშვინ, გამოვიდა ერთი კაცი — გაბაევი და უთხრა, რომ მე ვიცი, ხელმწიფეო, და შუაში ჩაჰყრი ყინულსაო და გააცივებ და დალევო.

ხელმწიფეს ძალიან მეეწონა. მართალი არის, რომ მაგისთვისაც არისო.

—

98. მეფე ერეკლე მოატყუეს

ერეკლე ნეფემ თელეთობას ჩაიარა ორთაჭალისაკენ. შეხედა — ნახა, რომ კლდეზედ ადიან ხალხი და გადადიან. ნეფემ არ იცოდა, თუ იქ თელეთია და ხალხი მიდიოდა სალოცავად. ამ დროს

დაუძახა ერთ კაცსა და ჰკითხა: — სად მიდიანო ეს ხალხიო? იმ კაცმა უპასუხა: — ხენწიფე ცოცხალი იყოსო, თქვენ რო ახლად ხარჯი დაადეთ კაცზედა აბაზი — ხუთი შაურიო და არა აქვთ, რო მოგცენო, გადადიან სათათრეშია.

მაშინვე უთხრა: — უკან დაბრუნეთ!.. აღარ მუაგრუებ ხარჯსა... უკან დაბრუნდენ თავის ალაგასაო!.. იმის შემდეგ ხუთი წელიწადი ცხოვრობდა და ხარჯი აღარ აუღია და ვერ გაიგო, ის ხალხი სალოცავად მიდიოდნენ თუ სათათრეში მიდიოდნენ.

—

99. მეფე ერეკლეს საჭმელი

მზის ყუდროზედ მოხუცი ბერდია, რამდენიმე სხვა ახალგაზრდა ხევსური სხედან და ლაპარაკობენ ამა, თუ იმ ქვეყნის საქმეებზედ; ერთი ხევსური ეკითხება: „რაი რა იქნებოდ, ბერდიაის ჭირიმ, ნეფის ერეკლის საჭმელი?“ სხვები: „აუ, აუ, აუ!“ ბერდია ცოტა დაფიქრების შემდგომ: „რა იქნებოდ არის... ან ძვეელის, ძვეელის, ძველ დუმაი და ან ძიცვრის ფაფაი ქერის ხალ მაკიდებული.

—

100. ანდრეზი იმის შესახებ რომ ბიჩინაგა არაბული იყო უკანონო შვილი ერეკლე მეორესი

ერეკლე კევსურეთში წლისთავად ზაფხულობით როსაც ქალაქში იყვ სიცხე მადიოდ დასასვენებლად, სოფ. ბაცალიგოს მთაში, სადაც ედგ კარავ. ქალი თამარა გიორგას ცოლი იქ ლალევდა საქონს, სადაც ერეკლეს ედგ კარავ. ერეკლემ ნახ თამარა იქ საქონში ნამყოფ რომენიც ძალიან მაეწონ, თამარა იყვ ძალიან ლამაზ. (თამარა იყვ ხორნაულთ ქალ) ერეკლემ ხკითხა — ვინ ასავ ეგ ქალივ, უთხრეს თამარაიავ, ეგიავ გიორგაის დიაცივ, ერეკლეი გიორგა ერთუც კაად იცნობდეს, ისიც იცოდ ერეკლემ რო გიორგამა, ცოლ მაიყვანავ, მაგრამ ვერ იცნობდ. ერეკლემ უთხრ — აქ მოვიდასავ, ჩემს ახლოსავ, ეხათრებოდ თამარს, მაგრამ მაინც მივიდ ერეკლესთან, დაუწყ ერეკლემ იმას საუბარ, რა საკვირელი. თამარასაც მაეწონ ერეკლე, როსაც ჭელწიფ იყვ—რა თქმა უნდა, მაეწონებოდ. ამ დროს იქნ თამარა უმრეცხლო. ნათელისძე ომაიშვილმა

(არაბულმა) ნახ რო თამარა ერეკლეს კარავში შავიდ, იმან გამაა-ხოყნ, რო თამარა უმრეცხლოიას ერეკლისაგან. თამარას გაუჩნდ ვაჟ, რომენსაც დახქვივნეს ბიჩინაგა, ერთხან იშუღლეს გიორგამ ნათელისძემ, ნათელისძემ გიორგას შააყვედრ — ეგ შვილ ერეკლემ შაგიქნ, მე თავისთვალით ვნახ, რომ თამარა შენ ცოლ კარავში შაიყვან, მემრ სხვათაც დაუწყეს ყვედრება, შავიდეს შურად იმ თაობაზე, დააპირეს ერთუცის დაკოცა, აიყარ გიორგა ბაცალიგოთ, წამოვიდა გველეთ დასახლდ. ეს ამბავ გაიგ ერეკლემ, კევსურნივ გიორგასავ ამას აყვედრებენავ, ამაზე აიყარავ.

ბიჩინაგა ძალიან კა ვაშკაც გაიზარდ. მთელის კევსურეთის ფას იყვ, იმის ცალ არავინ შამოხდებოდ სანეს, თვალ-ტანად იყვ მაღალი, ლამაზ, არ ხგვანდ სხვა კევსურთ, ყველაშიით გამაირჩეოდ, ხოლოთ ხალხში იმით იდვ ჯაყ რომ ის იყვ ნაბიჭვარ, მაგრე ბიჩინაგამ ეს არ იცოდ, ვერცვინ ეუბნებოდ პირში.

ერთხან ერეკლემ დაიბარ ბიჩინაგა ქალაქში, ბიჩინაგაიც წავიდ ქალაქ, აქ ერეკლემ უთხრ ბიჩინაგას — ხო აღარ გაყვედრებენავ კევსურნივ, ბიჩინაგამ ვერა გაიგა, ხკითხ — რას უნდა მაყვედრებდანავ, არას მაყვედრებენავ, — როგორ არავ უთხრ ერეკლემ, მე ყველა გავიგივ, რაადაც აიყარავ შენ მამაივ ბაცალიგოთავ — ბიჩინაგამ აღარ უთხრ. ერეკლემ ბიჩინაგას აჩუქ — ერთ ჯმალ, ერთ ქუდი, ერთ ხალათ, ერთ ჩაქმა.

ბიჩინაგა როსაც შინ მოვიდ, ხკითხ თავის მამას გიორგას, ესეებ მითხრავ კემწიფემავ, მამამ უთხრ ბიჩინაგას — მართალ უთქომავ, ეგივ ომაიშვილმ შამამაყვედრავ ნათელისძიამავ, კინაღ ერთუც ჩავკოცთავ, მეავ ავიყარეე, აქ ჩამოვედივ. ამის მემრ ბიჩინაგამ ყველა გაიგ, ერეკლეიც ძალიან კაი ხყვანდ, აძლევდ ხან რას, ხან რას, ყველაით ნებათ უსრულებდ. ბიჩინაგაიც მეორეს მამას ეძახდ ერეკლეს, უნდოდაც ბაგრატიონად დაწერებულიყვ, მაგემ სხვენოდ კევსურთაი, დარჩ იქავ არაბულად.

ერთხან ბიჩინაგა მივიდოდ ერეკლესთან, ორწყალში რო მივიდ, გაუტყდ ხიდი, ჩავარდ წყალში, როსაც ღმარხევდეს ცოლმ უტირ ხმით:

— „ავი ამბავი გავიგონეო,
წყალმა დალია გველეთელიო.
ხიდი გაუტყდა ორწყალშიაო,
ბიჩინაგაი დათხრიალდაო.
ქუდი ბატონის ნაჩუქარიო
წყალმა ბატონსავ წაუტანაო,
ქალაქში იცნა ერეკლემაო.

101. თქმულება მეფე ერეკლეზე

მეფე ერეკლეს ზმით ლაპარაკი ძალიან უყვარდა. გაიგო ეს ერთმა დიაკვანმა, რომელმაც საუცხოოდ იცოდა ზმით ლაპარაკი და მივიდა მეფესთან საღამოს ხანზე მოწყალების სათხოვნელად. იმ საღამოს მეფე ვერ ნახა და დიაკვანმა მეორე დილამდის მოუცადა. დილით მეფე გამობრძანდა თუ არა, დიაკვანი ფეხქვეშ დაუვარდა.

— ვინა შენა? — ჰკითხა მეფემ.

— დიაკვანი გახლავარ!

— როდის მოხველ?

— წუხელ გიახელით.

— როგორი პატივი მიიღე?

— დიაკვანმა ახლა-კი დაიწყო ზმით ლაპარაკი:

ახალი ჩალა დამიგეს,
გვერდი წუხს მაზე წოლასა,
ყმაწვილები მიპირობდნენ,
ყურძნის წვენით დათრობასა.
დაბალი შინა ყმები მყავს,
არ მიპირობდნენ ყმობასა,
და ხაბა, ნიკოლოზ სწყალობდეს,
ერეკლე, თქვენს მეფობასა.

მეფემ გაიგო, თუ რაც გამოდიოდა ამ სიტყვებიდგან, გაუკვირდა და უბრძანა: „რას მთხოვ, დიაკვანო, რომ მოგცე?“

დიაკვანმა ისევ ზმით მიუგო:

„სტაფილონის მოსახნავად სუსტი ხარი მიბოძეო“.

მეფემ გაიგო, რომ იმის სიტყვებიდგან ფილონი და სტიხარი გამოდიოდა და გასცა ბრძანება, რომ დიაკვანი მღვდლად ეკურთხებინათ.

102. ლეგენდა

ხალხსა სწამს, ნეფე ერეკლე და თამარ ნეფე ცოცხლები არიან ღმერთთან და როცა გაუჭირდება საქართველოს, მოეშველებიანო. — მირონი ნეფე ერეკლეს ძვლებს ჩამოჰდისო. — ერეკლემ ჯმალი წინ დაიდვის და ისევ თავის-თავად შემაერტყისო. — ერეკლე როცა ლოცვაზე დადგებოდა, ჯმალს მზის შუქზე დაჰკიდებდა ხოლმეო და ლოცვას როცა გაათავებდა, ი სხივიდგან ისევ აიღებდა ჯმალსაო.

ერეკლე ბეთრის თანამედროვენი

ლევან ბატონიშვილი

103. ბატონიშვილო ლევანო,
მარგალიტისა მტევანო,
დაღისტნელ ლეკებს მივყევარ,
დამიხსენ, თქვენი ტყვე ვარო.
ცხრა მაზლი ნამგლის მქნეველი
ნაფუძვარს გამიშვიაო,
ის ჩემი მეძიძე შვილი
აკვანში გამიშვიაო.
უსურვაზის ხელსახოცი
კამარას მიმიგდიაო,
ჩემი ნეკისა ბეჭედი
კუტალში ჩამიგდიაო.
აიღო და დამაქნია,
ხმალი მიღერა ყელსაო,
უმალ ხელი მივაშველე,
ნუ მომკლავ ხოსროს მზესავო.
მე ხისრო, ხოსრო არ ვიცი,
გაგადებინებ თავსაო,
ეხლავ გამოგჭრი ყელსაო.

—

104. ბატონიშვილო ლევანო,
მარგალიტისა მტევანო,
მანდ რომ ქალი დავიკარგე,
აქ აზრუმს თათარს ვყავარო,
დღისით მიყრია ბორკილი,
ღამე ოთახში ვყავარო.
ლამაზ-ლამაზნო ვაჟკაცნო
სულ ჩემო მოსადევარნო,
შეგროვდით, ერთად წამოდით,
დამიხსენთ თქვენი ტყვე ვარო!

105. ლევან ბატონიშვილი

ბატონიშვილო ლევანო,
აბრეშუმისა მდევარო,
ბატონიშვილს მოუხდება
თეთრი ჩოხა ატლასისა,
ზედ სარტყელი ზურმუხტისა.

—

106. ლევანი

პირველად ღმერთი ვახსენათ,
ეგ უფრო დიდებულია.
გაიგა რუსთ კემწიფემა,
მუკლებს დაიკრა ქელია:
— „რაღას უბრუნავთ, თავადნო?
ცოდო-ბრალ ბრუნავს ძნელია.
ან შამიკარით ტივები,
ან ამიგევით გემია“.
ქალაქით ჩაფრებ მავიდა.
წიგნებ მახქონდა ბევრია.
შიგა ეწერა: „ლევანი,
შვილად გაზდილი ჩვენია.
ვაჰ, თუ უჭირდას ლევანსა,
ომს უპირობდან—ძნელია!
არ ხყვანდას ჯარი, ან თაო
არ ხქონდას წამლის მტვერია!
ქიზიყიმც დაიწყევლების,
მაგის ქევხუდა ერია!
გაგვიორგულდა ბატონი,
ჩვენზე აიღო ქელია.
ჩაფარმ რო ცხენი შახკაზმა,
ავეანტა მისცა გძელია;
უთხრიდით ჩემთა ჯალაფთა:
„ნახვა მეწადა თქვენია;
საბნელოს ნუ შამიკდებით, —
გამილაღდების მტერია;
დაფას და ზურმას დახკარი,

ლხინი გალმართე გძელია;
შაიბრალიდი არაგვი,
შაუძლებელი თემია“.
გაიგეს ლეკის შვილებმა,
ჩქარა დახკაზმეს ცხენები;
ოთხთავ აკვერეს ნალები,
ლურსმარს უგრიხეს წვერები.
„მოდი, გაუშვათ თარეში,
რაღა ლევანი მთელია.
მალალ ერისთავ მოვგლიჯათ,
ტყვე წამოვასხათ ბევრია.
შამოეს, შამავავლიათ
დიღმის მინდორი გძელია“.
აცათ, თქვე ლეკის შვილებო,
რად შამაგვართვით თვალია?
იქავ შთელია ლევანი,
იქავ ბევრი ხყავ ჯარია!
ხო გაჯსონს, მოსაქციელსა
ავი დაგადგათ დარია?
გამაგერიათ ლევანი,
გაგინახევრათ ჯარია!
ქალაქში ბძანებს მელიცი:
სიზმარი ვნახე ძნელია,
ეგ თუ გაიგა ლევანმა,
ეგ თუ გაიგა, — ძნელია;
მოსთხარას ორივ თვალები,
მოხერხას ენის წვერია.

—

107. ჯმალი სჯრის ბაგრატივნისა

ჯმალი სჯრის ბაგრატივნისა,
ნეფისა ერეკლისაო,
ნეტავი გამაცნობინა!
ლევანს უქებენ შვილსაო.
სალეკო შამაამტვრია,
ზვავმა რო წვერი ტყისაო;
წავიდა სარუსეთოდა,
საქართველოი ხკვირსაო;

ჰემწიფის კარზე მივიდა.
ეტლი თან მიხყვა ღთისაო
„მაბძანდი. ლევან ბატონო,
ყმაწვილო ათის წლისაო,
შვიდს წელს ყეენად ნაჯდომო,
არ მადის შენს მეტისაო!“
დაჯდა და ხკითხა ამბავი
თბილეთის ქალაქისაო:
„რამ გაადიდა ჭარელი
ნარჩომი ჩემი ჯმლისაო?
წახვიდე, — არ საქშერო ხარ,
არ წასვლ არ იქნებისაო“.
გამააყოლა ჯარები,
ჯერჯები ათას ფრისაო.
ლევან ქალაქჩი შამაჯდა,
ჭეხა მაიღა ცისაო.
ლეკთ უფროსები შაშინდა:
„ჩვენკე რაით იქს პირსაო.
მაგამ თუ პირი ჩვენკე ქნა,
საქმე ჭირს დაღისტნისაო“.
ვინ მააჯსენა ლეკებსა
სიკვდილი ლევანისაო?
მამკვდარა ჯორცის ბატონი,
ბძანება იქნა ღთისაო.
მტერი ვერ გაულაღდება, —
— ერეკლე ცხენსავ ზისაო.

—

ემა ქართულის მათქომი
გლეხაი ვიყავ მთისაო,
რად ეკადრების ქართული
ნათქვამი გლეხ-კაცისაო?
ვაჰ, თუ ერეკლე გამიწყრა.
იქნების ჩემის ჭკვისაო.
ერეკლე რას მიქადებდა,
ან გული დედუფლისაო?

—

108. გირავს ჩამადგა მუცალი,
დიდი მუცალის ჯარია;

თუშებს მაციქულ ახკიდა,
ბეგრად მასთხოვა ქალია.
მირგვალს დაგროვდა თუშები,
დიდ დადგა საუბარია.
ზოგებმ თქვეს: „მივსცათ ბეგარი,
მტერმ დაგვიჭირა კარია“.
— „ვერას მივსცემდით,“ ზოგებმ თქვეს,
„მარჯეი, ცოლ-შვილთ ბრალია!“
ქალმა ქესელოს გაიგა,
ხუთ მასწყივნ თავის ძმანია:
„ან მიპატრონეთ, თუშებო,
ან ქალს შამარტყით კ'ალია,
თორ გავალ, გამაევრევი
ლურჯ პერანგიან ქალია.
თქვენ შაგრცხვენდებისთ, ვაჟებო,
რო ვინ მინახნას თმანია.
ცხენს ხკაზმავს ითადანური,
საისკე მიმავალია?
სუ ღამით შამაიარნა
დიდნი თუშეთის მთანია.
შუაღამის დროს გააღა
თელავს გალავნის კარია.
შამასწყრა ლევან ბატონი:
„რაღა სტუმრობის ხანია?“
— „ჯერ მკითხე, მერე გიამბობ:
მტერმ დაგვიჭირა კარია.
ეხლა თუ მაგვეშველებით,
ვიქნებით შენნი ყმანია“.
ადგა, წამადგა ლევანი.
იძახა თავის ჯარია.
აივსა გათენებისას
თელავს გალავნის კარია.
ჭელთ მისცა მაშხარაები:
„შაინათნიდით გზანია“.
— „ვაიმე, ვერ ვეომებით,
ლეკთ უჭერიან მთანია.
ბატონო, ანდარეზაი
ნუ გყავის პატიმარია.

მაგას თუ არ გაუშვებდით.
თავად ჩამოგვკსენ კმალია“.

—

გაუშვეს ანდარეზაი,
ღთით თავის დავლათითაო.
წყალს გირეობი გავარდა
სახლთხუცის ორქაფითაო.
ტანი გაიღა ლერწამი,
ზედ ქუდი ვათაღრისაო.
გირავის ჭალას შამორბის
ყმა ლურჯის პერანგითაო
მუცალ კარავჩი აკაფა
ნაკუდარაის კმლითაო:
გაიქცა მუცალის ჯარი.
ქალივით ატირდისაო.
მიზდევენ თუშიშვილები,
წკეპა ამადის კმლისაო.

—

მუცალის ცოლ ჩამეეგება:
„მუცალმა რაღა ქნისაო?“
— „მოგიკლა ანდარეზამა,
ყორნებს ამააქვ ბწკლითაო“.
— „ვეუბენ, არ დამიჯერა,
ქალმა ვაჯობნე ჭკვითაო.
თუშეთ ნუ წახოლ, ცუდაო,
არამც ვინ დაგხვდეს კმლითაო“.

—

109. თეკლა-ბიჭი

ერთხელ აასახელარმა, ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ერეკლემ თავის ლაშქარს ნადიმი გაუმართა. იმისა რა მოგახსენოთ, სუფრაზე ჯარის კაცნი თემ-თემობით ისხდნენ თუ არევ-დარევით, მაზე თქმულება სდუმს. ხოლო ის ცხადია, რომ მეფემ უბრძანა თეკლა-ბიჭს:

— თეკლა-ბიჭო, წადი, მერიქიფეს დოქი ჩამოართვი და ფშავლებს ღვინო შენის ხელით დაალეინე ყველას სათითაოდ.

ასეთი განსაკუთრებული ყურადღება ფშავლებისადმი ერეკლეს მხრივ, მარტო ფშავლების ერთგულებით და იმით, რომ „უნჯ-

ნი ყმანი“ იყვნენ, არ აიხსნება. აქ სხვა რამ მიზეზიც არის: სახელ-დობრ, ის, რომ ყრმა ერეკლე ფშავში აღიზარდა და თავის აღმზრ-დელ ერის სიყვარული განკერძოებით ექმნებოდა.

თეკლა-ბიჭმა იმ წამსვე შეასრულა მამის ბრძანება: დაუწყო მორიგად ჯარის კაცთ თასით ღვინის სმევა.

შეზარხოშებულთ ჯარისკაცთ დაავიწყდათ თავისი თავიც და მასპინძელიც; დაიწყეს ფშაურად მღერა. მოაყოლეს კაფიების თქმა. სხვათა შორის ერთმა მეორეს „შაუმღერა“:

„ღვინოს გვირიგებს ბოგუნი,
შამეჯინჭრება მე გული“.

თეკლა-ბიჭმა ეს ძალიან იწყინა, მერიქიფობას თავი დაანება და მეფეს შესჩივლა: შენმა საქებარმა ფშაველებმა შეურაცხმყვე-სო. უამბო ყველაფერი. ერეკლეს „პირმა შასცინა.“

— ნუ თუ ეგა გწყინს?! — ჰკითხა მან ღიმილით: — ჩემო თე-კლავ, განა ეგ იმედი მაქვს შენი? ნუ თუ ეგრე სულმოკლეცა ხარ? ფშავლები არიან, რა ვუყოთ, მაგათი წესი ეგ არის. დამშვიდდი!

თეკლა-ბიჭი დამშვიდდა, ხოლო მერიქიფობა აღარ იკისრა.

ძაღლიკა ხიმიკაური

110. ძაღლიკა ხიმიკაური

ძაღლიკავ, ხიმიკაურო,
ლიქოკის ზღურბლო, ზღუდეო,
ბევრს ააგლიჯე კალდიმი,
თეძოზე დაიკიდეო.
არ მოგჩა გაუტეხელი,
მტერს ვისაც აეკიდეო.

111. ხიმიკაურის ხმალი

ასპინძაში, როცა გაშხლართული, თავგაჩეხილი ერეკლის ხმლითა კოხტა ბელადი სულსა ჰლევდა, მეფეს მაშინ თან ახლდნენ შვიდნი ხევსურნი ძაღლიკა ხიმიკაურითურთ. ლეკ-ოსმალოს ჯარი, ნახა რა უბედურებაში თავის სარდალი, აირია წეროს გუნდივით, როცა მას არწივი დაუტევს. სხვა ჩვენმა ჯარმაც მოუსწრო ამ დროს. ერეკლემ შეუძახა ქართველთა ჯარს: „ხმალი ამ წუნკალეებს ქართველებო“.

გამხნევებული მეფის გამარჯვებით ჩვენი ჯარი დაერია დაწიოკებულ ლეკ-ოსმალთა და დაუწყო თიბვა როგორც ბალახს. ყველა მხედართა გარჯას ერეკლე თავის თვალითა ჰხედავდა. ყველაზე შეტად მოეწონა იმას ხიმიკაური ძაღლიკას ხმალი და მისი ომი, თითო შემოკვრით კაცს შუაზედ სხეპდა. ერეკლე ომის დროს რას ეტყოდა, მაგრამ ომის მეორე დღეს დაიბარა ძაღლიკა თავისთან და სთხოვა ძაღლიკას, შენი ხმალი დამითმე და ფასი რამდენიც გინდა, მიიღეო.

— ბარევალ ე ·ხელნ დამჭრენ, ერეკლევ! — უპასუხა ძაღლიკამ.

— აი ჩემ ხმალს მოგცემ, — სთქვა ერეკლემ; სართი სხვა იქნება.

— ვაი დედას მტრისასა, ერეკლევ ბატონიშვილო, ეგ ხო ჩემ მოკლვა იქნების?! მამკალ კიდეც, რაკი ხმალს გამამართომ. ერეკლემ იცოდა კარგად ვაჟკაცისათვის კარგი ხმალი მეორე სიცოცხლე იყო, მაგრამ რა ექნა, რომ თითონაც ვაჟკაცი იყო და ხიმიკაურის ხმალიც მეტისმეტად მოეწონა.

საქმემ იარა და იქამდე მივიდა, რომ დაუთმო ძაღლიკამ და მის ნაცვლად მიიღო სხვა ხმალი და ერთი თოფი, რომელიც დღეს ხევსურეთში ინახება ხიმიკაურების ოჯახში; ამ თოფს ხევსურნი „ბატონიაანთეულ თოფს“ ეძახიან და, ვისაც სურს მისი ნახვა, ამ სახელით შეუძლიან მოიძიოს და ჰნახოს.

ძაღლიკა ხიმიკაურს იმ ვაჟკაცობისა და ერთგულობისათვის, რაც მან ასპინძის ომში გამოიჩინა, მეფე ერეკლემ სიგელით დიდი მამული უბოძა; ის „ნაჩუქრობის ქაღალდი“ ამ 7 — 8 წლის წინად მე ვნახე ძაღლიკას შვილიშვილის ხელში. სპილენძის კოლოფში შენახული ჰქონდათ და იქნება დღესაც ისევ ჰქონდეთ; პატრონი დავას აპირობდა და, არ ვიცი, საქმე როგორ წაუვიდა, ხოლო ის კარგად ვიცი, რომ დღეს მის პაპისთვის ნაჩუქარ მამულით სხვანი სარგებლობენ, სხვა მფლობელობს.

ალბად გაწყრა ძაღლიკა, „გულს შამაეყარა“, რომ ხმალი „წაართვეს“ და აღარც ადგილი-მამულ-დედული ინდომა, მეფისაგან ნაჩუქარი.

ამის შემდეგ, როცა-კი ერეკლე ლაშქარს დაიბარებდა მთიდგან, ძაღლიკა ხიმიკაურს პირველად მოიკითხავდა, მაგრამ ძაღლიკა სალაშქროდ გამზადებულ ხევსურთა „ახალ-უხლებს“ ამას აბარებდა, ხოლო ადგილიდგან აღარ იძვროდა მტერთან საომრად: „უთხარით ერეკლე ბატონიშვილს, ავად არის-თქო ძაღლიკაი...“

—

112. ძაღლიკა-ხიმიკაურის ხმალი

პატარა კახი მეფე ერეკლე მეორე 54 წელს მეფობდა. ამ ხნის განმავლობაში მას ორასამდე ომი აქვს გადახდილი. ამათში 44 დიდი ომია. არ იყო წელიწადის თითქმის არც ერთი დრო, რომ იგი

ლაშქრობაში არ ყოფილიყო. ერეკლე საქართველოს საზღვრების მედგარი დამცველი იყო. საქართველოს ასაკლებად ხან ოსმალო, ხან სპარსი და ხან კიდევ ლეკი მოიწევდა. მტრისგან მოსვენება არ იყო. ერეკლეს ერთგული მეომრები თუშნი, ხევსურნი და ფშავლებიც იყვნენ. მათ ბატონყმობის უღელი არ ედგათ, ამისგან თავისუფლები იყვნენ და ამიტომაც თვის სამშობლოს მედგრად იცავდნენ. მეფე აფასებდა მათ ვაჟკაცობას და ყოველთვის უხვად აჯილდოებდა. ასაჩუქრებდა მიწა-წყლით, იარაღით, თანამდებობის მიცემით და ან ფულით.

ერთხელ ლეკ-ოსმალთა გაერთიანებულ ჯართან ბრძოლაში ერთმა თუშმა მეომარმა გვარათ დილოიძემ თავი მეტად ისახელა. ერეკლე მისი გმირობით აღტაცებული დარჩა. ომის ასპარეზიდან დაბრუნებულმა გამარჯვებულმა მეფემ წალკის ხეობაში შეისვენა. დილოიძე თავისთან მიიხმო, და ჯილდოთ მთელი წალკის ხეობა შეაძლია. დილოიძე ამით უკმაყოფილო დარჩა.

— მიწა-წყალი რო მინდოდეს, განა ჩვენში მთა-ველები ცოტაა? — მიუგო მეფეს. — მე მეომარი ვარ, უმჯობესია კარგი იარაღით დამაჯილდოოთო, უფრო უკეთ გამომადგებაო.

— რა იარაღი გინდა გიბოძო? — შეეკითხა მეფე. იმავე ომში ყოფილიყო ერთი სახელოვანი მეომარი ხევსური ძაღლიკა ხიმიკაური. მისი გორდა ხმალი დილოიძეს ძალიან მოსწონებოდა. იგი მაგარი ფოლადისა ყოფილა, კაცი მას ხელზე დაიხვევდა და ხელის გაშვებისთანავე ბზრიალით გაიშლებოდა. მშვენიერი ჭრა ჰქონდა. ოსმალ-ლეკთა მეომრები ხიმიკაურმაც მარჯვედ კაფა თურმე. დილოიძეს ამ ხმალზე გული ძალიან შევარდნოდა და ამიტომაც ჯილდოთ ერეკლეს ეს ხმალი სთხოვა. მეფემაც მის გულის მოსაგებად ხიმიკაური დაიბარა და სთხოვა ხმლის გადაცემა. ხიმიკაური ერეკლეს უარს როგორ ეტყოდა! სამაგიეროთ მეფემ თავის ოქროს ზარნიშიანი თოფი მიუძღვნა. დილოიძე კმაყოფილი შეიქმნა, ხიმიკაური — კი განაწყენდა, არ ესიამოვნა კარგი ხმლის ხელიდან გაშვება.

ბევრ დროს არ გაუვლია. მტრებმა საქართველოს საზღვრები ისევ გადმოლახეს. მეფემ საბრძოლველად მთასაც მოუწოდა. დილოიძე გახარებული წავიდა მტრის კისერზე თავისი საყვარელი იარაღის ფხის გასასინჯად. ძაღლიკა ხიმიკაური კი გაჯიუტდა:

— განა მე დიაც ვიყავ, მეფემ რომ ხმალი ჩამომართვა და სხვას გადასცა?

ხევსურთ ჯარი უწინამძღვროდ ომში არ მიდიოდა, ძაღლიკა კი მტკიცედ უარზე იდგა.

— ომში არ წავალ, ამბობდა იგი.

ბოლოს ხევსური დედაკაცებიც ჩაერივნენ. ერთმა მათგანმა მანდილი მოიხსნა და ძაღლიკას მიმართა: — ძაღლიკავ, თუ დიაც ხარ, აჰა მანდილი, წამოისხი და ჩვენში დაჯექიო!

ეს კი ხიმიკაურისთვის მეტად საწყენი იყო. იძულებული შეიქმნა ომში წასვლაზე დათანხმებულიყო. ჯარს მიმართა: — თქვენ იარეთ, მეც მოგეწევით. აიღო ჯოხი, გათალა ხის ხმალი, ჩამოიკიდა და ჯარს წამოეწია, მეფე ერეკლესთან ჩამოიყვანა. ერეკლეს ეუცხოვა ხის ხმლის დანახვა. ერთბაშად ვერ მიუხვდა ძაღლიკას ეშმაკობას; ბოლოს ერთი გულიანად გადიხარხარა. მოაგონდა ძველი ამბავი. უბრძანა მხლებელს სამეფოს ხმლის გამოტანა და ძაღლიკას გადასცა. ძაღლიკას შუბლზე ნაკეცები გაეშალა, წარბები გაუსწორდა, გამხიარულდა და მტერს მედგარდ ეკვეთა.

მას შემდეგ თითქმის 180—200 წელიწადია გასული. ხიმიკაურის ჩამომავლობას — ახლა ლიქოკელებს — ჯერაც არ დავიწყებიათ მათი წინაპრის საამაყო ხმალი. სწყინთ, რომ იგი თუშთან არის და არა მათთან. ამ ათიოდე წლის წინ ერთ-ერთი ლიქოკელი ზემოალვანში — დილოიძიანთ ჩამომავლობაში ამ ხმალს დაეძებდა.

— დამიბრუნეთ, კარგ ფასს გავიღებო. დილოიძიანთ ჩამომავლობას ამ ხევსურისთვის ეს ხმალი ეჩვენებინათ. იგი ახლა ჟანგისაგან შეჭმული და ქარქაშ გაქუცული იყო. სამკაულებიც მოცლილი ჰქონდა, მოძველებული და დაზიანებული იყო. ხევსურს იგი აღარ მოეწონა. — მატყუებთ, ეს ის ხმალი არ არისო — ამბობდა იგი და ხელცარიელი უკანვე გაბრუნდა.

113. თქმულება ბობღიაშვილზე

ერთმა მოხუცებულმა თუშმა, გვარად ბობღიაშვილმა, გაგზავნა მეფე ერეკლესთან თორმეტი თვისი ვაჟი ომში მონაწილეობის მისაღებად. თერთმეტი მათგანი სულ ერთს ბრძოლაში დაიხოცა, გადარჩა მხოლოდ ერთი, ყველაზე უმცროსი, რომელიც დაბრუნდა სახლში, მაგრამ მამამ რაინდულად უარჰყო მისი სახლში მიღება და ბრძანა უკან დაბრუნებულიყო და თავისსავე ძმებისათვის მიებაძა. უშვილოდ დარჩენილი ბობღიაშვილი იმდენად გატაცებული იყო მეფის სიყვარულით, რომ გარდასწყვიტა სიბერეში კიდევ ცოლი მოეყვანა, რომ ერთი გმირი კიდევ დაეტოვებია თავის მხრით სამშობლოსათვის. მართლაც აღასრულა თავისი წადილი და კიდეც ეშვა ორი ვაჟი.

114. დილოიძე

წაროს იყრება თუშები:
სამტროდ გავიდეთ ველადა,
მოგვწყინდა სოფელში სხდომა,
იარაღ ვისხათ ტანზედა;
ჩავიდეთ ჭარ-ბელაქანში,
შავზვეროთ ლეკის შვილები;
წინა გაგვიძეხ, დილოიძევ,
ნასახელარო მტერზედა.
ლაშქარს შეჰყრიდა დილოიძე,
იარაღს ისხავს ტანზედა,
წინა გაუძღვა დილოიძე,
ღმერთო, დასწერე ჯვარიალ
გაგვამარჯვინე, სამებავ,
მსხვერპლით მოგივალ კარზედა...
ჩავიდა, თვალი დაავლო
ჯარზედა, დაღისტანზედა;
დღე-ღამე ყარაულობენ,
ლეკებს უსხედან გზაზედა.
ავი დრო მაგათ დაეცა,
ჯანღ დაეხვია მთაზედა.
თოვლი თოვლს მაწეხის ღელეს,
ადექი, დილოიძეო·
თუშის ბელადო, ადექი,
კვალი გადადის ლეკისა;
გამოაღვიძე ბიჭები,
გაყოლა გინდა მდევრადა.
ბიჭებს აღვიძებს დილოიძე:
აბჯარ აისხით ტანზედა.

შაიფხიანა ბიჭები,
პირს დაუწერა ჯვარია:
მოდით და მალე მომყევით,
გადაზდენიათ ტყვეები,
ფეხშიშველები ყოფილან,
ქართლისა სჩანან ქალები.
ლეკებს მიზდევდა დილოიძე
შუა დაღისტნის არესა.
თვრამეტი მიზდევს ახალგაზდა,
ვეფხვნი დამდგარან პწკალზედა;
მტრის სისხლი მოსწყურებია,
ომს უპირობენ ძალზედა.
ლეკნი ჩავიდნენ ტყისა პირს,
იქ ანთებდიან ცეცხლებსა.
სტირიან ქართვლის ქალები:
„ვაი, დედავ, ჩვენი ბრალია,
გაბუსურბნებას გვიპირებს,
გვაჭამოს ცხენის ხორცია;
როგორ უნდ გავძლოთ დაღისტანს,
დავითმოთ ჩვენი ქართლია!...“
შვიდნი ყოფილან, სტირიან,
ცხარე უყრიათ ცრემლია.
ლეკნი უყურებს სიცილით,
ნასახელარნი მტერზედა.
აღარც ფიქრობენ მდევარზე,
გამოყოლვასა კვალზედა.
დამსხდარან პურის ჭამაზე,
ბედის უქროდათ ქარია.
შამოჩნდებ სერის პირზედა
ბელადი თუშებისაო.
დაუტივ, დილოიძემა,
ლაშქარს არიგებს ჭკვაზედა.
„დაჭკარით, თუშის შვილებო,
სახელ ვის გინდათ მტერზედა,
მიუკდეთ მეფე ერეკლეს
სახელოვანი მტერზედა!...“
ჩეეთამაშებ თუშები,
ლეკებს კუწავენ ძალზედა;

გადიან თითო-თითონი,
მკვდარი მოგორავს კლდეზედა;
ომობენ თუშნი, ლეკები,
მიწა შაიძრა პყარია.
ბარაქალ. თუშის შვილებო,
ჩალად დაყარეთ მკვდარია;
დაკოცეთ, აღარ გაუშვით,
ნაქები დაღესტანია,
ოცდაცამეტი მარჯვენა მოსჭერით —
სახელი დაღესტანისა.
ბრალი ხართ, დაღესტნელებო,
ელდა დაგეცათ ცისაო.
არა გეგონათ ზარალი,
თავზე დაცემა მტრისაო;
გეწადათ, ვერ აასრულეთ
გარეკვა ტყვეებისაო.
წინ-წინ მოგიკლათ ბელადი,
ბინაზე დარჩა მკვდარიო,
ქართვლები არას გეგონოსთ,
თუშის შვილები არიო.
დავლა აიღეს თუშებმა,
რაც ლეკის ბარგი არიო;
ტყვეთაც გაუხსნა ხელები,
თვალთა შაიშრეს ცრემლიო;
გამაამგზავრეს კახეთში
ქალები ქართვლებისაო.
მოუვლენ მეფე ერეკლეს
სიცილით თუშნი კარსაო;
„მეფე ერეკლევ, მოვასხით
ქალები თქვენი მხრისაო,
დავაყრევინეთ ლეკებსა,
როგორც ჩიტები ქორსაო...“

მაია ჩყნეთელი

115. მაიას დაობლება

ადრე მოუკვდა მას დედა,
სოფელ მცხეთაში გაზრდილი,
მამამაც თავი მოიკლა,
ვერ აიტანა ქადილი...
უპატრონოთა გდებული
კამეჩიც მოკვდა ბეხია,
გდია ყვავ-ყორნის საჭმელად,
გაუშვერია ფეხია.

—

116. ერეკლესა და მაიას შეხვედრა

შავთვალა, ტანით ბრგე გოგომ
ჩაიცვა ვაჟკაცურადა,
თოფ-იარაღი აისხა,
იქცევა მამაცურადა.
პატარა კახსა ეახლა,
რა კარგი სანახავია!..
ხირიმი შეატრიალა,
დაბლა დაუკრა თავია...
— ვინა ხარ, ძმაო საიდან,
რომელი გვარის კაცია?
ჰკითხა ბატონმა... რა იცის,
რომ ქალსა კაცურ აცვია.

— მათე ვარ, შენი ჭირიმე!...
მოვდივარ შორის შორადა,
ჯავრი მჭირს ავკაცებისა,
ცეცხლი მწვავს ერთი ორადა.
მინდა, რომ გეყმო ერთგულად,
წელზე ვატარო ხმალია,
შენის ბრძანებით დავიცვა
ქვრივ-ოხერ, ობოლ-ქალია.
ნეფესა მოეწონების
სიტყვა-პასუხი მათესი,
თავის მახლობლად დანიშნა
გმირი სიკეთის დამთესი.

—

117. მაიას უაჩაღად გავარდნა

უზნეო პირთა ენამა
არ მოასვენა მაია
და მოაშორეს ნეფესა
გლახაკთ მოსარჩლე დაია,
მათე-მაია დევნილმა
ტყისკენ გასწია მალულად
და უაჩაღობა დაიწყო,
ხან ცხადლივ, ხანაც ფარულად.

—

118. მაიას დატუვევება და სიკვდილი

დაკოდილი ყაენის დროს
ამბავი ესე მომხდარა —
სპარსი დაეცა ქართველსა,
დაჰკრეს ბუკი და ნაღარა,
ქალაქ ერევნის ახლოსა
მაია დაატყვევესა,
არ დაუფასეს გმირობა,
სპარსეთში გააგზავნესა...
გულით მაგარი დიაცი
არ შეუშინდა განსაცდელს,
გზაში დახოცა მცველები

და მიაღწია საწადელს...
გახარებული გამორბის,
ესწრაფვის მშობელ მხარესა,
უნდა რომ მალე ეწვიოს
თვის აღმზრდელ არე-მარესა.
მაგრამ უმუხთლა საბრალოს
ტიალმა წუთისოფელმა,
ვერ მიაღწია სახლამდე
უბედურების მნახველმა.
გზაში მოუსწრო სიკვდილმა,
ტანჯული სული დალია.
მოუკვდათ ბეჩავ გლეხებსა
მათი დამცველი მაია.
ტრიალ მინდორზე ობლადა
მაია ასაფლავია.
ციდამ მის საფლავს ანათებს
კაშკაშა მზისა სხივია...

—

119. შენი ჭირიმე მაია

შენი ჭირიმე მაია,
გლეხთა ნუგეშის მცემელო,
მათე უაჩალად ცნობილო,
უსამართლობის მგმობელო...
მტერთა ტვინისა გამბნევი
მუდამ გეპირა ხმალია.
შეხედე ჩაგრულ ქვეყანას,
შენთვის სტირს მთა და ველია...
ცხონებულ იყოს დიაცი,
მისსა ვიტყოდეთ ქებასა,
ქალი გმირულად აღზრდილი
სთესავს კეთილსა ძმობასა.

—

120. მაიას თავგადასავალი

ქართლიდამ გამოვეპარე
ბატონს პატარა ქალიო,

თან წამოვიღე საგძლათა
შიში და ცრემლის ღვარიო;
თრიალეთის ხევ-ღნარებში
შევინახევი თავიო;
მერმე სომხეთში წაველი,
შიშისგან ვიხსენ თავიო
იქ ერეკლე ამობძანდა,
შევკადრე სიტყვა აიო:
ბატონო მეფევ! რად მიყავ,
რად მიყავ, ესე ავიო?..
ომი მოგვიხდა თათრებთან,
სულ გასწყდნენ წყნეთელებიო,
აღარა დარჩნენ გმირები,
ატირდნენ კლდე და მთებიო.
მეც ტყვეთა მიპყრეს, შემბოჭეს,
სპარსეთში ვიხსენ თავიო,
მაგრამა ერევნის ბოლოს,
დავკარგე თავი ვაიო.

—

121. მათე-მაიას ჭირიმე

მათე-მაიას ჭირიმე,
იყავ ფალავან, გმირია,
უზნეო ბატონებისა
სიკდიმდე დიდი ჭირია.

—

122. შარაზედ იწვა უძრავად

შარაზედ იწვა უძრავად
ხანჯლით დაჭრილი ქალია,
მოძმეთა ნახვას ნატრობდა
თბილელი გმირი მაია...
ბედმა უმტყუნა საბრალოს,
არ აუსრულდა წადილი,
ერევნის ბოლოს დიაცსა
მოხადეს ლეჩაქ-მანდილი.

—

123. გადმოცემა მაია წუნეთელზე

მაია წუნეთელი იყო გლეხის ქალი. ის ყოფილა ძალიან ლამაზი. უცხოვრია მეფე ერეკლეს დროს. ჯერ კიდევ ასაკში არა ყოფილა შესული, რომ ბატონს თავის სახლში მიუყვანია. აქ იმას თავის უნებლივად დაუკარგავს ქალწულობა. ქალის უბედურებაზე დადარდიანებული დედ-მამა მალე გამოსალმებია წუთისოფელს: მამას ტყეში თავი ჩამოუღრჩვია, დედას სახლში შიმშილით თავი მოუკლავს. სვე უბედური მაია ვერ დასწრებია ვერც ერთის სიკვდილს, რადგან იმ დროს ბატონის სახლში ყოფილა. ძლიერ სწყენია მშობელთ სიკვდილი და განუზრახავს ბატონზე ჩივილი მეფესთან. ერთ ღამეს გაპარულა მამის სახლში, ჩაუცვამს მისი ტანისამოსი, შემოურტყამს ხმალი, ხანჯალი, აუღია მხარზე მამის თოფი და ჩამოსულა თბილისში, მაგრამ მეფესთან აღარ უჩივლია ბატონზე, რადგან სდომებია თავის ქალობის დაფარვა. იმას უთქვამს მხოლოდ მეფისთვის, რომ მე არც დედა მყავს, არც მამა, არც ბატონიო და ასე ვარ დარჩენილი ობლადაო. ახლა გიახელით თქვენთან და გთხოვთ მიყმოთო. მეფეს მიუღია იგი. მას დაუწყია სამსახური მამაკაცის სახით და სახელად უწოდებია თავისთვის მათე.

არ გასულა ამის შემდეგ დიდი ხანი, კახეთის მხარეს დასცემიან ლეკები. მეფეს. შეუყრია საჩქაროდ ჯარები და თან გაუყოლებია შინაყმანიც. მათ რიცხვში ყოფილა მაიაცა. ყველანი კარგად გარჯილან მტერთან ბრძოლაში, მაგრამ მაიასებრი ვაჟკაცობა ვერავის გამოუჩენია. ამ დროს ის ყოფილა 20 წლისა. მეფე განცვიფრებაში მოსულა მისი მხნეობისა, სიმარდისა და ვაჟკაცობისაგან და სიხარულით გადაჰხვევია მას, ორთავ თვალებში უკოცნია და უთქვამს: „ახ, შენ კი გენაცვალე! კაციც შენ ყოფილხარ და ქუდიც შენა გხურებიაო“. აქედგან რომ დაბრუნებულან თბილისში, მეფეს კიდევ ამბავი მორთმევია, რომ სომხითს თათრის ჯარები შემოესივნენო. მაშინვე მდევარი დაუძახნიათ. შემდგარა დარჩეულის ბიჭების დასტა, რომელიც პირველად უნდა შეჰბმოდა მტერს. მათში რეულა მათეცა. ომი მომხდარა სოღანლუხს ქვეით. მიახლოვებისთანავე ხმალამოღებულ მაიას შეუჭენებია ცხენი მტრის გუნდში. და ერთის სახელოვანის კაცისთვის ანაზდად გაუგდებინებია თავი. ამაზე არეულა მტრის ჯარები და ისე დაუმარცხებიათ, რომ ამბის წამღები კაციც აღარ დარჩენილა. ახლა უფრო გაჰკვირვებია მეფეს მაიას გმირობა და უთქვამს: „დღეის შემდეგ შენ ხარ ჩემგან ღვიძლ

შვილად მიჩნეული: შენ ხარ ჩემი შვილი, მე შენი მამა; ნებას გაძლევ ამის მერმე აღარ მიწოდო მეფე, არამედ მამა: ამისათვის რომ ყოველი შენგვარი კაცი მეფეა თავის თავისა და თავის სამშობლო ქვეყნისა; შენ ისე სინდისიანად და ერთგულად ასრულებ მამულის მოვალეობასა, რომ მაგაზე მეტი აღარ შეიძლება კაცმა მოგთხოვოსო".

მაია თავზარდამცემი ყოფილა, როგორც გარეშე, აგრეთვე შინაურ მტრებისაც. მის დროს ზოგიერთ პირშავ კაცთ მიუყიდიათ თორმეტი გოგო-ბიჭი სპარსელებისათვის. ამ ამბის შესატყობინებლად წამოსულა მეფესთან ერთი მოხუცებული კაცი. მეფის კარზე მას დაჰხვედრია მაია და გამოუკითხავს მიზეზი იქ მისვლისა, და რომ შეუტყვია ყველაფერი, მაშინვე შეუკრეფია თავისი ამხანაგები, შემსხდარან ცხენებზე და გამოსდგომიან ყიზილბაშებს: მისწევიან ლილოს ქვეით, დაუხოციათ ისინი, გაუთავისუფლებიათ დაყიდული გოგო-ბიჭები და მეფის კარზე მიუსხამთ. მაია წამდგარა მეფის წინაშე და უთქვამს:

„მეფეო! ნება მიბოძეთ, რამდენიმე საჩივარი მოგახსენოთ, რომელნიც მე გულზე მაწვანან ჯავრადა" — სთქვიო, მიუგია მეფე ერეკლესა.

— დიდებულო მეფევ! ნეტავი როდის შეაშრებათ გლეხებს თვალზე ცრემლები, ნეტავი როდის გადმოხედავს იმათ ღმერთი და დაიხსნის ტანჯვათაგან?

— როგორ? რაზე ამბობ მაგას, შვილო? ჰკითხა კვლავ მეფემ.

— რაღა რაზე, შენი ჭირიმე: გლეხობა განადგურდა და გაწყალდა; ბოროტმოქმედთა კაცთაგან აოხრდა სოფლები. ბატონებმა დაჰყიდეს მთელი სოფლის გლეხობა; ვინც გადარჩა, იმათ კიდე გუთანში, ურემში და კალოში სულს აძრობენ. ერთი დედაკაცი შეუბამთ კალოში და ის უბედური უღელში მომკვდარა. მოგახსენებთ რა ამას, მეფევ, გთხოვთ, მოვალე ხართ, მოსპოთ ასეთი ავკაცობა და ბოროტმოქმედება.

— ბატონებზე საჩივარი, მართალია, ბევრი ისმის, და ამგვარი საქმეები საქართველოს დამღუპველია, მაგრამ, თუ მე ჩემის თვალით არა ვნახე, აბა, ვის რა და როგორ გადავახდევინო. მე ამგვარი საქმეები მხოლოდ სიტყვით მესმის და საქმით კი ვერასა ვხედავ.

— დიდებულო ბატონო! საქმითაც აი ერთი მე გახლავართ, მე გულდამწვარი, დაჩაგრული და მშობელთა მოკლებული, მეორე შენი ჭირიმე, გუშინ თქვენთან მოვიდნენ გლეხები საჩივლელად,

რომ ამა და ამ ავაზაკმა კაცმა შვილები დაგვიყიდაო; მე თქვენამდე არ მოვუშვი ისინი, შევჯექ ცხენზე, გავიყოლე ამხანაგები და წავართვი სპარსელებს დაყიდული გოგო-ბიჭები, და აი ამათაც ახლა წარმოვადგენ წინაშე თქვენსა, აი ესეც, შენი ჭირიმე, დამტკიცება.

ამაზე მეფე ძალიან გაჯავრებულა და გამწყრალა. მეორე დღეს მოუწვევია სასახლეში მღვდელ-მთავრები და შეუჩვენებიათ ავნი კაცნი ჯვარითა და სახარებით.

ამგვარის საჩივრებით ისე შეუწუხებია მაიას ბოროტმოქმედნი, რომ მათ თავი მოჰბეზრებიათ და გადაუწყვეტიათ: ან როგორმე მოჰკლან იგი, ან მოაშორონ მეფეს. ერთ დღეს მეფეს ის სადღაც გაუგზავნია. ეს შეუტყვიათ მის მტრებს და გამოსდგომიან უკან; მაგრამ მაიას ისინი დაუხოცნია და ერთისთვის უთქვამს: „შენ ოხერო და შეჩვენებულო! აბა რა გერგებათ ჩემგან, რომ განგიზრახავთ ჩემი სიკვდილი“.

იმას მიუგია ცბიერებით: „ერეკლეს ნებავს შენი სიკვდილი, და არა ჩვენაო“.

მეფის სახელის გაგონებამ მაიას თავზარი დასცა. მან ეჭვი შეიტანა მეფეზე, შეშინდა, არ მომკლასო, განშორდა და გახდა ყაჩაღად. ის გადასულა თრიალეთისაკენ და დაბინავებულა ერთს ტყეში, რომელსაც თურმე ხალხი „მაიას საბუდარს“ ეძახდა. აქედგან ის გამოდიოდა თურმე გზებზე, უსაფრდებოდა გამვლელ-გამომვლელს თავგასულ კაცებს, ჰხოცდა და ძარცვავდა იმათ. ბოლოს შეუტყვიათ მტერთ მისი ბინა და დაუწყიათ დევნა. მაშინ იმას დაუტოვებია თავისი საბუდარი და წამოსულა სომხითისკენ. დასახლებულა სოფლად და კიდევ არ განუცხადებია თავისი ვინაობა; მაგრამ თუ მტერი შემოჰსევია ამ მხარეს, ის კიდევ წასძოლია წინ ხალხს და დაუმარცხებია. ერთ დღეს მეფე მისულა იმ სოფელში, საცა მაია ყოფილა. რადგან ერთის სოფლიდგან მეორეში აცილებდნენ თურმე მეფეს სოფლელები, მაია გაჰყვა მას გასაცილებლად, და რადგან ამჟამად ის მოხუცებული იყო, მეფემ ვერ იცნა. არავის ეგონა, თუ მაია ცოცხალი იყო. ხმა იყო დავარდნილი, რომ დიდი ხანია, რაც მოკვდაო. მიმავლობის დროს მეფეს გზაზე მტერი შემოჰხვდა, და არავინ იყო ტყვია-წამლით მზად, გარდა მაიასი. იმან ჯერ ესროლა მტერს თოფი, მერე იშიშვლა ხმალი და ისე მიჰმართა. ამის მხილველთ სხვათაც გული მიეცათ, გამხნევდნენ, მიჰყვნენ მტერს და გაიმარჯვეს. შემდეგ ამისა მეფეს უკითხავს მაიასთვის: „შენ, ძმობილო, ვინა ხარ ეგეთი გმირიო?“

— ბატონისაგან გამოდევნილი მათე გახლავარო; თქვენ მე მოსაკლავად დამდევდით, და აი ახლა თქვენს ხელთა ვარ, გნებავთ მომკალით, გნებავთ დამარჩინეთ. მე მხოლოდ ისეთს დროს ვეძებდი, რომ თქვენ მენახეთ პირისპირ. ჩემს უაჩაღობაში მე არა ვარ დამნაშავე. მე ბატონები დავხოცე და თავი გადავირჩინე, და ამის შემდეგ აბა როგორღა მოვსულიყავ თქვენთანა... მე ვარ და ჩემი ბრალია, თრიალეთში აქამდე კაცები რომ იძარცვებოდნენ. ამასთანავე ვაცხადებ წინაშე დიდებულისა მეფისა, რომ მე ვარ დედაკაცი და არა მამაკაცი“.

მეფეცა და მისი მხლებელნი თავადნიც განცვიფრებაში მოუყვანია ამ საუბარს და ყველას ერთხმად უპატიებიათ მაიასათვის ყოველივე დანაშაული. მაშინ მაიას გაუხდია კაცური ტანისამოსი და ჩაუცვამს ქალური; მაგრამ დიდხანს აღარ დაცლია სიცოცხლე. სპარსელები შემოსევია საქართველოს, მაიაც გარევნია ქართველთ ლაშქრობაში ქალურის ტანისამოსით და უომნია ძლიერად. სპარსელებს გაკვირვებიათ მისი მამაცობა და ხანებს უბრძანებიათ ცოცხლივ დაჭერა. ის მართლაც დაუტყვევებიათ და თან წაუყვანიათ; მაგრამ გზიდან გამოპარვიათ და სხვებს ერევნის ბოლოს მოუკლავთ.

—

თამრო ვაშლოვანელი

124. თამრო ვაშლოვანელი

ლეკები სულ გავაქციეთ
მთეარიანი ღამითაო,
უკან თამრო გამოუდგა
ჯანგიანი ხმალითაო;
ჩვენცა თამროსა გავყევით,
გვიკვირდა სულ თავადთაო,
ლეკები მთლად გადავრეკეთ,
ვარბენინეთ სხვა გზითაო.

—

125. ვაშლოვნელებს ვიღა მისცემს
საყვარელს მათსა ქალსაო,
მეომარსა, ფალავანსა
და გმირებისა ცალსაო.

—

126. თამრო ვაშლოვანელსაო.
ვაშლი უდგია თავსაო.
რიგი მწიფს, რიგი ყვავილობს
მისი საფლავის გარსაო.
ბარს დამტირებელი არ ყავს,
ნეტარება მის გვამსაო,
ზედ ანგელოზები ფრინავენ
და გალობენ ნანასაო.

—

127. თრიალეთს დიდსა საყდარში
თამარი ასაფლავია,
მისებრი ქალი ერთგული
ჩვენ არავინა გვყოლია.

ჩიტებმა უწყეს ჭიკჭიკი,
სიმღერა თამარასაო,
ჩვენ იმას ვიღა გვაჩვენებს,
ისა ძევს სამარესაო.

—

128. მანდ რო ქალი დავიკარგე

მანდ რო ქალი დავიკარგე,
განჯას თათარსა ვყევარო,
ქიშმიშით გასუქებული
გაბადრულ მთვარეს ვგევარო.
მაცვია სიასამური,
მაშიეებზე ვდგევარო,
დღისით მიყრია ბორკილი,
ღამე შუაში ვწევარო.
ტალიკ-ტალიკო ვაყკაცნო,
მისადევ-მოსადევანო,
მოკრიფეთ თითო შაური,
მიხსენით, თქვენი ტყვე ვარო.

129. გადმოცემა თამრო ვაშლოვანელზე

თამროს დედა მალე მოჰკდომია და მის მამას მეორე ცოლი შეურთავს. მამაც რომ გამოსალმებია ამ წუთისოფელს, ბატონს ის ვიღაცა ყაჩაღისთვის მიუყიდნია; მაგრამ თამროს თვითონვე დაუხსნია მისგან თავი. როცა თურმე ბრუნდებოდა უკან მამისავე ოჯახში, იმან გამოიარა ერთ ტყეში, საცა დათვი დახვდა წინ და წაეჭიდა, მაგრამ უშიშარმა გმირმა ქალმა მოკლა დათვი და დაიხსნა თავი მეორე განსაცდელისაგან. ის მოვიდა სოფელს ვაშლოვანს და ცხოვრობდა თავისუფლად. იმას ახლა ბატონი აღარ ჰყვანდა, რადგან ტყვეობიდგან ვინც თავს იხსნიდა, მეფის კანონისამებრ თავისუფალი იყო. სოფელში უმისოდ არა კეთდებოდა რა. ის ყოფილა „სასტიკი და გაუტეხარი მეხი დედაკაცი“, რისა გამო მისი სახელი განთქმულა საქართველოში. იგი ყოფილა თავის სოფლის ვაშლოვანის მცველი მტერთაგან. ერთხელ ვაშლოვანს თათრები დასცემიან, აუკლიათ სოფელი, დაუნგრევიათ ეკლესიები და ბევრნი მცხოვრებთაგანი ტყვედ წაუყვანიათ. თამრო გამოსდგომია მათ, დასწევნია თავის დასტით და ისეთი საკვირველი სარდლობა და გმირობა გა-

მოუჩენია, რომ მტერი ძლიერ დაუმარცხებია და განუთავისუფლებია ქართველი ტყვეები. ეს ამბავი მეფეს რომ შეუტყვია, ძლიერ დიდის მადლობით უთქვამს თამროსათვის: „ოჰ, შვილო! შენ გენაცვალოს ჩემი მოხუცი თავიო, რომ შენის მაგალითით კაცებიც გამხნევდნენო“. მერე მიუცია მისთვის და მის ამხანაგებისათვის ტყვია-წამალი და ერთ ზარბაზანსაც დაპირებია. თამროს თავის დასტაში ბევრი მეომარი ქალებიცა ყოლია.

ამის შემდეგ ბევრს კაცს მოუნდომნია თამროს ცოლად შერთვა. მაგრამ იმას ყველასთვის უარი უთქვამს. ის თურმე ამბობდა: „მე დედაკაცი არ ვიყო, თუ რომ მამაკაცს დავემორჩილო! ჩემი ჯანი და ღონე მის წყალობით და მის სიყვარულით რად უნდა გავაქრო?! არა, მე ქმარს არ გავყვები და ამ აზრს მე ვერავინ შემიცვლის. მე რომ გავთხოვდე, მაშინ სიმხნე და ვაჟკაცობაც დამეკარგება ქმრისთვის მორჩილების წყალობითა, და თუ სხვაგანაც მოიპოვება ჩემისთანა ფალავანი ქალი, იმასაც ვურჩევ ქმარი არ შეირთოს. არა, მე ქმარი არა მსურს. ჩემი გულითადი წადილი არის მხოლოდ სამსახური ჩემის მოძმეებისა და ქვეყნისა; მე მსურს ჩემი ქალობა სამშობლო ქვეყნის სამსახურს მოვანდომო და თათრების ჯავრი სმოვიყარო. ვებრძოლო სამარის კარამდე იმათ, ვინც ჩვენის ქვეყნის დამხობას მეცადინეობენ“.

მეფე ერეკლეს მეტად მოსწონებია თამროს ცქვიტი ლაპარაკი და აღტაცებულს მაშინვე უჩუქებია ერთი ლურჯი ცხენი თავის აღკაზმულებითა და კიდევ სხვადასხვა საჩუქრები.

ამის შემდეგ თამრო მოუღალავად ებრძვის მტერს. სადაც კი მის ხმას გაიგონებს, ის შავარდენივით იქ მიეშურება ღვთის რისხვის დასაცემად. ერთ ღამეს ლეკები დაეცნენ ვაშლოვანს. თამრო მათ გადაუდგა წინ და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იბრძოლა თავის დასტით და ბოლოს განდევნა ისინი სოფლის გარეთ. ამაზე არის ნათქვამი ლექსი: „ლეკები სულ გავაქციეთ“.

აღარ გასულა კიდევ დიდი ხანი, დავარდნილა ხმა, რომ ვაშლოვანს თათრები დაცემას უპირებენო. თამროს მაშინვე შეუხიზნავს მცხოვრებნი საფარში, თვითონ შეიარაღებულის ხალხით, ჩასაფრებია ერთ ვიწრო ხეობაში. თათრების ახლო გავლის დროს, გამოსულა თავის ლურჯათი და გაუქროლებია ხევის გვერდზე. თათრები დასდევნებიან უკან და შესულან ვიწრო ხეობაში; მაშინ ჩასაფრებულ ქართველებს დაუშენიათ თოფები და მრავალი მათგანი მოუკლავთ. ამ დროს თამროც გამობრუნებულა და ერთობლივ შეხსავით დასცემიან მტერს, დაუხოციათ და წაურთმევიათ სოფ-

ლების დარბევაში ნაშოვნი დავლა. ამისათვის ხალხსა და მეფეს თამროსათვის დიდი მადლობა უთქვამთ; მაგრამ ერთს ავს აზნაურს მისი დიდება და ქება შეშურებია და ქვეყნის ღალატობა შეუწამებია წინაშე მეფისა. უკანასკნელს წაუყენებია მაბეზღარი პირში თამროსათვის, რომელსაც დაუმტკიცებია მეფისთვის თავისი ერთგულება სამშობლო ქვეყნისა და მტერობა და ღალატობა თვით იმ მაბეზღარის აზნაურისა. მაშინ მეფეს უთქვამს თამროსათვის: „წადი შვილო, თამრო! ღმერთი შენთან არს, და იყოს იგი კვლავ შემწე შენი. შესანიშნავი ხარ დედათა შორის, და მასახელებელი შენის სქესისა. ეცადე შვილო! შენის მაგალითით მამაკაცებიც გაუერთგულო სამშობლო ქვეყანასა“.

ამ დროს მეფესთან ყოფილან მრავალნი თავადნი და რადგან მოსწონებიათ თამროს ახოვანება, უთხოვნიათ დაჭიდება ერთ გამოჩენილ ფალავანთან. იმას უარი არ უთქვამს და ძლიერად დაუმარცხებია წინაშე მეფისა მოწინააღმდეგე. მაგრამ ამ ფალავნობამ თამროს თურმე ბევრი მტერი აუჩინა. ამისათვის ის დიდხანს დამალულა და აღარავისა სჩვენებია. ხალხს ჰგონებია, რომ თამრო მოკლეს სადმეო და გამოუთქვამთ მის შესახებ ბევრი ლექსები. აი ორი მათგანი: „ვაშლოვნელებს ვიღა მისცემს“ და „თამრო ვაშლოვნელსაო“.

თამროს დიდხანს უმალავს თავი, მაგრამ ბოლოს ის გამოუყვანია მეიდანში ერთის გლეხის უბედურებას, როცა მას უნახავს ის გლეხი მტირალი და მეფესთან მიმავალი საჩივლელად. თამრო დაუყოვნებლივ თვითონ მისულა მეფე ერეკლესთან და უჩივლია ხალხის მწვალებლებზე. მეფეს ძლიერ სწყენია ბოროტმოქმედება ბატონებისა, დაუბარებია ისინი და ძლიერ დაუტუქსავს. ამ სახით თამროს დაუხსნია გლეხების ოჯახობა უბედურებისაგან, მაგრამ თვითონ გადაუმტერებია ბატონები. ამათ წინადაც თურმე ძალიან ეჯავრებოდათ ის გლეხთა წასარჩლებისათვის და ახლა ეს სიძულვილი მათ მტრობად გადაექცათ. დაუწყეს დევნა. ერთ დღეს დაიჭირეს რამდენმამე კაცმა, წაიყვანეს და მდინარე მტკვარში ჩაგდეს. თამროს აქ ბევრი უწვალნია და ბოლოს ერთ ბურჯზე წყალს რომ მიუხეთქებია, უხმარნია უკანასკნელი ძალა და ასულა იმ ბურჯზე, მაგრამ იქიდგან სისუსტისა გამო ვეღარ ჩამოსულა და შიერ-მწყურვალს სული განუტევებია. გასულა რამდენიმე ხანი, ის უნახავს მემცხვარეს, შეუტყობინებია სოფელში, გლეხებს ჩამოუღიათ მისი ყვავ-ყაჭაჭისაგან დაწიწკნილი და შეჭმული გვამი და დიდის პატივით დაუსაფლავებიათ თრიალეთის ეკლესიაში. ამაზე არის ნათქვამი ლექსი: „თრიალეთს დიდსა საყდარში“.

თინა წავკისელი

130. თინა წავკისელი ერეკლე მეორეს

შენ გენაცვალე, მეფეო,
შენ გენაცვალე, შენაო!
გიორგი არ მომიშიო,
სულ შეიჯერე თემიო.
მეც მალე დაგეხმარები,
თუ რომ გამიხსნეს ხელიო,
თუ არა და მომაშველეთ
ნახშირფორელი მღვდელიო.

—

131. პასუხად თინა წავკისელს

თინიავ, რამ შეგაშინა,
ნუ შეგეცვალა ფერიო!
შენ დაგვეკარგე, მაგრამ
არვინ არს შენი ფერიო.

—

132. გადმოცემა თინა წავკისელზე

ღირსშესანიშნავი ქალი, წავკისელი თინა ყოფილა გაბაშვილის ყმა. იმას გამოუჩენია ისეთივე გმირობა, ხასიათის სიმტკიცე და გლეხთადმი გულშემატკივრობა, როგორც მაიას. სიყმაწვილო-

ბაშივე მას მოუკლავს ღამით ქვეშაგებში თაკისი, ბატონი გაუპატიურებისათვის, მაგრამ დამნაშაობა მისი ვერ შეუტყვიათ. შემდეგ ამისა გასულა რამოდენიმე ხანი. ისა და კიდევ სხვა გოგო-ბიჭები მიუყიდნიათ სპარსელებისათვის. გზაზე მიმავლობის დროს მყიდველთ მოუნდომებიათ მათთვის ნამუსის ახდა. თინას შეუტყვია მათი განზრახვა, დაურიგებია თავის ერთ ბედ ქვეშ მყოფი ამხანაგები, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ამ შემთხვევაში. როცა დაუწყიათ მათი წვალება სპარსელებს, ქალებს, ... წაუძვრიათ მათთვის ხანჯლები და დაუხოცნიათ ყველანი, თვითონ შემსხდარან მათსავე ცხენებზე, წამოსულან მეფე ერეკლესთან და ყველაფერი დაწვრილებით უამბნიათ. მეფეს გაკვირვებია და უკითხავს: ვინ გასწავლათ ეგ ხერხი? თინას ძალიან შეშინებია, ამ შემთხვევამ არ გამოააშკარაოს ჩემ მიერ ბატონის მოკვლაცაო. მაგრამ აზრადაც არავის მოსვლია, რომ ბატონიც მისგან იყო მოკლული. მეფეს სხვა ქალები ყველანი დაუთხოვნია, თინა კი სასახლეში შეუნახავს. სასახლეში ყოფნას თინაზე დიდი გავლენა ჰქონია. მას კარგად შეუსწავლია თოფის სროლა, ხმლისა და ხანჯლის ხმარება და ცხენზე ჯდომა. ამის შემდეგ აღარ განშორებია მეფეს. მას სცმევია კაცური ტანისამოსი. საცა კი მეფეს გაულაშქრნია, ისიც თან გაჰყოლია. მას არა ერთხელ წინაშე მეფისა უსახელებია თავი მამაცობით, მხნეობითა და მტერთან ხმლის ხმარებით. არა სურვებია ქმრის შერთვა, მაგრამ ერთს ომში თინასა და ერთს გლეხს ისე მამაცურად უომნიათ, რომ მეფეს ძლიერ მოსწონებია ისინი, მიუწვევია თავისთან ორივენი და უბრძანებია მათთვის ცოლქმრობით შეუღლება. მათ აღუსრულებიათ ბატონის ბრძანება და დასახლებულან წავკისს. ამის შემდეგ თინა თუმცა დაშვილიანებულა, მაგრამ მას მაინც არ მოუკლია ქვეყნისათვის სამსახური. ეს ყოფილა თავის სოფლის წავკისის მცველი მტერთაგან. ერთხელ მეფეს აქაური გლეხები ყველანი მდევრად გაეყვანა. ამ დროს თურმე დავარდა ხმა, რომ წავკისს დარბევას უპირებენ თათრებიო. თინას შეუტყვია თუ არა ეს ამბავი, მაშინვე აურეკია სოფლის დედაკაცები გოგო-ბიჭებით ერთს კოშკში. აღსავალ კიბის სათოფეებზე დაუწყვია ფუტკრის სკები, ჩაუკეტია ორივე მხრით ძირის კარები შიგნიდამ და უბრძანებია: მე მივდივარ თბილისს მეფისთვის შესატყობინებლად, თქვენ ნუ გეშინიანთ, მაგრად იყავით; თუ მტერი მოადგეს კოშკს, დაამტვრიოს ძირის კარები, ამოვიდეს კიბეზე, სათოფედგან კიბისკენ სკიდგან ფუტკარი გაუშვით, რომ მტერი ჩვენს მოსწრებამ-

დე შეაჩეროს. ამ განკარგულების შემდეგ თინა გამოფრენილა თბილისს მეფესთან. ამ დროს მტერიც მისდგომია კოშკს, შეუმტვრევია გარეთ კარები, ასულა ბნელს კიბეზე და მისდგომია ზევითა კარებს. შიგ შეხიზნულ ქალებს გაუხსნიათ სკა, გამოუშვიათ სათოფიდგან კიბეზე ფუტკარი, რომელსაც დაუწყია საშინელი ბზუილი ბნელაში, და კბენა თათრებისათვის. ასე უწვალებიათ თათრები, ვიდრე თინა არ მისწრობია ჯარით და არ დაუმარცხებია მტერი.

ამის შემდეგ თინას ქმარი მოკდომია და დარჩენილა ორი ვაჟიშვილი. ერთს რქმევია გიორგი. აღამამადხანის მოსვლის წინ თინა ერთს ომში მტერს ტყვედ ჩავარდნია და მაშინ ნეფისთვის ლექსით შემოუთვალა (იგულისხმება ლექსი „თინა წავკისელი ერეკლე მეორეს“).

ამაზე მეფეს, თუ არ ვიცი სხვას, პასუხად უთქვამს ლექსით ორი სტრიქონი (იგულისხმება ლექსი „პასუხად თინა წავკისელს“).

მეფეს გამოუხსნია იგი ტყვეობიდან, მაგრამ კიდევ მალე ტყვედ ჩავარდნილა. აღამამადხანის წინააღმდეგ ბრძოლაში ხელმეორედ დაუჭერიათ თინა; აქედგან რომ დაბრუნებულა, ბოლნისის მხარეს მოუკლავთ. გადმონაცემი ამბობს, რომ მეფე ერეკლემ ის დაასაფლავებინა ბოლნისის სიონის გვერდით, საცა მისი ქმარიც ემარხა და საფლავის ქვებზე ცოლ-ქმართ სახე ამოაჭრევინა გვირგვინითაო, მათი ობლები კი მოიყვანა და სასახლეში ზრდიდაო.

გელა ნათელაშვილი

133. გელა ნათელაშვილი

ახლა ქება ჩამოვთვალოთ
ქართველთა გმირებისაო,
არაგვზე მტერი აშალეს,
არაგვის ფშნების პირსაო,
ღვთის მეტმა არავინ იცის,
საით უზამენ პირსაო;
გელამან გზასა გახედა,
„მტერი თავს დაგვესხმისაო“.

ეს ბაზალელი გიორგი,
ნაჭერი არის კლდისაო,
მოჯამაგირეს არიგებს,
როგორც რომ მამა შვილსაო,
მოჯამაგირემ შეჰფიცა,
ფიცი მაღალი ღვთისაო,
გუშინ წინ ღორში ვიყავი,
ბელადი ვნახე მტრისაო;
დაუჩოქე და ვესროლე,
მოვარტყი გულის პირსაო!“
— შენ, ბიჭო, მარჯვეთ ვერ გიკრავს,
ვაი შენს გიორგისაო,
მაგ თოფის ამბავი ვიცი,
თოფია კარგი ზნისაო,

თუ ვისმეს სადმე მოხვდება.
ფიცხლავე დასცემს ძირსაო.“
გიორგიმ მოსვენება ჰქნა,
ტკბილად აპირებს ძილსაო,
შუა ღამე რომ შესრულდა,
ელვა შეიქნა ცისაო,
ლეკები თავზე დააწვნენ
ვერძეულ გიორგისაო;
გიორგიმ წამოიწია,
ლეკი ჩაიგდო ძირსაო;
ხელში ამოჰყვა ხანჯარი.—
ტარი კამბეჩის რქისაო.
ურჯულოს ხანჯარი დასცა,
შაშვივით აღებს პირსაო,
პატარა ბიჭი გიგლია
ცხარე ცრემლითა სტირსაო.
ბერუა ხანჯალსა ლესავს,
ალმასივითა ხდისაო!
ბიჭო! რატომ არ მიშველი,
თქვენი ვარ, განა სხვისაო!
გიორგი მანგლისს წავიდა,
როგორც ბორბალი წყლისაო,
ისე აკაფა ლეკები,
როგორც ტოტები ხისაო,
ბერუამ სიტყვა გამოთქვა,
შაირი გამოდისაო,
მოდი ხელი-ხელ გადავდოთ,
პირობა შევკრათ ღვთისაო,
დიღმურ ბიჭებს გადავხედოთ,
დავკივლოთ მაღლა ხმითაო;
ორი ურჯულო ბელადი
ხევისა პირსა ზისაო,
თოფი მთავრული უჭირავთ,
კონდახი — იფნის ხისაო,
გიორგიმ ხელი მოისო,
ბეჭებში სისხლი სდისაო.
მანგლისს აქებენ ტაძარსა,
ნაკეთი ქვითკირისაო,
შიგ ბევრი ლეკი აწყვია,

ნახოცი გიორგისაო,
შიშით კაცი ვერ მიუა,
კბილებში მატლი სდისაო,
ბოლოსა მოჰკლეს საწყალი,
ლაშქარში მეფისთვისაო,
ლექსად გამოვთქვი მე ქება
ქართველთა გმირებისაო.

—

134. გელანა ნათელაშვილი
მაღალია და სქელიო,
ქალივით ლამაზი არი,
ჰკვიანია და ბრძენიო,
ისეთი კისერი აქვის,
მტკაველ ვერ შემოწვდენიაო,
ათასამდე ღორი ჰყავ,
იმი მომვლელი ბევრიაო.

—

135. არშას შაიქნა თქონთქორი.

არშას შაიქნა თქონთქორი,
სიმაგრე გატყდა კლდისაო,
ბაზალთ გივარგის დაკარგვა
გასახარია მტრისაო,
ან მტერთ რად გაუხარდება,
ბძანება მოხდა ღვთისაო.
ერთმანეთს ეუბნებიან.
ფხა ამოვლესათ ხლმისაო,
ავისხათ იარაღები,
ყელი შაუკრათ ხდისაო.
წავიდეს ახალგაზრდები
ცხრა შავარდენი მთისაო;
„წავიდეთ ოხერხევისკე,
კარები ვაღათ ხისაო,
ცხენი და ძროხა გავრეკათ,
ფარა სულ თეთრის ცხვრისაო“.
აქებენ აფციაურსა,
ყმაწვილსა ცოტა ´ხნისაო:

„გაისაჯენით, ბიჭებო,
ვისიც რომ ხმალი სჭრისაო“.
მაგ გოგბათ ნანას აქებენ,
ყმაწვილსა ცოტა ხნისაო,
არა აქვ ომის ხალისი,
ქისტებზე ხმალსა სცდისაო.
ხულელთ ბეჟანას, ნაცადსა,
მთელი ქვეყანა ხკვირსაო,
დისწულის გივარგისათვინ
დედის ძმას ყელსა სჭრისაო.
გაბრიელს გაუგონია
სახელი ჩვენის მთისაო.
მობძანდა, თქო: „გამარჯვება,
მოსახელენო მთისაო,
ბაზალნო, მართლა გცოდნიათ
ქისტებზედ დაცდა ხმლისაო“.

136. გელა ნათელაშვილის მიერ ლეკების შეჭერობა

ერეკლე მეფემ დაიბარა გელა ნათელაშვილი და უთხრა: — „ტონუანთ ჭალაში ლეკები შემოპარულან და შენ იციო“.

გელა წასულა თავისი მეძებრებით, დაუჭერია ლეკები და ერეკლესთვის მიუყვანია მჭადისჯვარში.

— „ე ხვლიკები ამდენი სად მოაქუჩეო, წაიყვანე და საღორეში შერეკეო, გელანა კი არა, მგელანა ყოფილხარო“ — უთქვამს მეფეს.

137. გელანას ძაღლები

გელანას შვიდი-რვა ძაღლი ყოლია. იმათ კაცი არ წაუვიდოდათ, ლეკებს სულ ბეჭებზე ასხდნენ. აქ ერთი მღვდელი ყოფილა, სულ ეკლესიაში იყო ჩაკეტილი, გარეთ ვერ გადმოდიოდა ლეკების შიშით. როცა გელანა მოსულა, გახარებია. — „შენი ერთი დაკივლება საკმარისაო“. ამის შემდეგ იმ მღვდელს არ ეშინოდა.

გრემისხევიდან ბატონები რო გამაივლიდნენ თურმე, გელანას ძაღლები ჩამოიღებდნენ ცხენებიდან. ბოლოს უჩივლეს გელანას: „ძაღლები მოგვაშორეო“.

იქ თურმე უთხრეს: „თქვენ გზა შეიცვალეთო და გელანამ კი ძაღლებს მოუმატოსო. ისა გვყავს ჩვენ იქ ლეკების წინააღმდეგ მებრძოლი, იმის იმედით ვართო“.

138. გელანას სამართალი

— გელანაო, უთხრა თურმე ერეკლემ, როცა იმერეთში გადახვალ, აქ არავინ გამოგზავნო საჩივლელადო, შენ გადაუწყვიტე ხოლმე სამართალიო.

139. გელანას სიმდიდრე

გელანა გუდას მოიტანდა ოქროთი სავსესო, ნაბადზე გაფენდა და იტყოდაო: — „აჰა, ფულები, მამულები შევიძინოთო“.

—

პაატა თემურიშვილი

140. პაატა თემურიშვილი

პაატა თემურიშვილმა
მთლად ქალაქი შეპყარაო,
ერეკლეს წიგნი მისწერა,
ნეტა შენთან გვატარაო,
საბარათიანო შევძარ
დიდიდამ და პატარაო,
თუ მტერს ნასალი არ დავდოთ,
მომკალ შენი პაატაო.
  საბარათოს გაზრდილ ბიჭებს
ქება ვასმინე თქვენიო,
თქვეს: იმას ვენაცვალებით,
მისთვის გაზრდილი ძენიო,
თავადებისა სიმტყუვნე
შევჩივლე იმათ მენაო,
მათი ღალატი გლეხებზე
ხომ დღეს გამოჩნდა ყველაო.
  მუხრან ბატონის მტრობამა
სამეფო დასცა ძირსაო,
გლეხები შალებზე ცვალეს,
მეფე ცხარ ცრემლით სტირსაო,
შენი მტრებისთვის ავჯანყდით
გლეხები შენის მტრისაო.
უთხარი, ეგენი სთხრიან
ერეკლე მეფის ძირსაო.

—

141. პატარძეულსა ციხესა
ლეკნი გარს შემორტყმიანო,
სამი დღე-ღამე გარშემო

რკინით ძირს მოუთხრიანო;
ობლებსა გამოიყვანენ,
ცრემლით დაჰბანენ პირსაო,
მარტო პაატამ იფრინა
სამოცი ლეკი მტრისაო.
ერეკლემ ბელადი მოკლა,
ლეკი მწარედა სტირსაო,
სარდალმა და სახლთხუცესმა
გმირობა ჰქნეს ქვეყნისაო.
პაატა თემურიშვილმა
სისხლი დაღვარა მტრისაო,
ერეკლემ შუბლზე აკოცა
ომისა გადახდისაო.

გორგი თილისძე

142. გორგი

რა ამბავია შატილსა,
რა წყრომა ბრუნავს ღთისაო?
მაცნე მოვიდა შატილსა:
„ჯარ მოდის დაღისტნისაო“.
შატილიანებსა ვაჟებსა
ფათვლად არ გააჩნდისაო,“
თითო თოფი აქვ თითოსა,
თითო საჯსარი ტყვისაო.
მაცნე მოვიდა მეორე:
„მოდის და არ იშლისაო“.
გორგის ლუდ ჩამააწვადეთ
მჭვარტლიან კათხაითაო, —
ჩამაიარის ;ორგიმა,
ჩაუჯდის ციხის ძირსაო;
ბოლი მასწივის ბოლზედა,
გარჩევ არ იყვის ჯმისაო;
ესროლის ალდამიშვილსა,
ოთხი გაწირის ჩდილსაო.
ჭანთას ჩაუდგით ფაცერი,
თავ-ფეკი ჩაუდისა.

—

143. ნეტარ არ გამახყიდდესა
თილისძენ გორგის ჯმალსაო?
თუ გამახყიდდეს, ვიყიდი,
მივსცემდი ცხვარსა-დ' რვალსაო.
ჩავდებდი ციხის ლიბუში,
გაიმაგრებდა ქავსაო.

ლიბუში რო იქნებოდა,
ლეკებს მისცემდა ზარსაო.

—

ლეკეთის მთაზე ყორახი
ერთ რასამ უძახს სხვასაო:
„გორგი ველობას წასულა,
გავხყვათ ემაგის ქვალსაო.
გორგი დაგვაძღებს ლეშითა,
თუ შავხვდით ნაომარსაო.
ბაგოს ჩავიდა სოფელში
თვალ შუადღისა ხანსაო;
ტანს ეცვა ჩოჯა ლეკური,
აპრიალებდა ჯმალსაო;
ქვითკირის კარზედ გასწირავს
აკაფულს ლეკის მკვდარსაო.

—

ემანდით გამობრუნვილსა
ყორნებ ეყრების გზაზედა,
გორგის ხკითხევდეს ყორნები,
გორგი არ ეტყვის წარზედა.
— „მე რაღას მკითხავთ, ყორნებო?
ჩაედით ნაომარზედა.
სისხლი სვით, ჯორცით დაძეღით,
ნულარ შაარჩენთ ტანზედა.
ჯმლის მამქნევ დალოცდით, ყორნებო,
ნაჭრევ თუ სჭირდეს ძვალზედა“.
შაბალის ვეშაგური ჩიოდა:
„ჯორ ვერ გავყიდე ჯმალზედა.
სხვათ მოკლეს ოროლ-სამსამი,
მე დავრჩი მარტუაზედა“.

—

144. თუშები ლეკების წინააღმდეგ

ჭალაში თუშნი ჩავიდეს,
ნისლი თან ჩახყვა ცვრიანი.
ერეკლე შეწუხებულა:
„გზა ვერ გავიგე ტიალი“.
შამაუძახა თუშებსა:

„აღარვინ ხართა ქმლიანი?“
ცხენს შაჯდა თილისძეთ გორგი,
ლურჯამ, გაიღა გრიალი;
მაგას ბიღოსძე გამუდგა,
მაყარს გახქონდა პრიალი;
გოთლაის ჩალის ფერამა
ნაცხვრევზე იწყვა ფხვრიალი.
ბიღოსძის მაჟარ გავარდა,
ლეკ დარჩა სისხლ-ტიგრიანი.

—

145. ყარაული შიბუს ჭალაში.

ვინ ღბრუნავ შიბუს ჭალასა
დილა ადრიან მწკალზედა?
ვინ ხყვები სიმაგრეეპსა?
მოყმეე, ვინ უვლი თავზედა?
ვეფხვი ვინ მახკალ საკარეს,
ვინ ჩახყეე სისხლის კვალზედა?
ტყავი ვეფხვისა ერეკლეს
ვინ ჩაუტანე კარზედა?
იქნების ალუდაური,
უდგან ლოგინნი მთაზედა;
იქერს ღილღველთა, ქევსურთა.
ცუდს კაცს არ უშობს გზაზედა
დღისით დგას ყარაულადა,
ღამით ჯიქვთ უვლის მთაზედა;
ვეფხვს მახკლავს, ტყავსა ჩაუტახს,
ჩავას ერეკლეს კარზედა.

—

146. ლაშარს მოვიდა თილისძე,
გულდიდად დაჯდა ხარიო;
შეშოეხვივნენ ფშავლები,
როგორც ბატონსა ყმანიო.
— შენ აქ არ მოგევალოდა.
დიდი ჰქენ ცოდვა ბრალიო.
ჩამოხვე ხოშარაშია,
ცისაკ აუშვი ალიო;
შაჰყარე ღიაც-ყმაწვილი,

კალოდ გალეწე მკვდარიო;
ნაკვეთაურის ჭერხოსა
შენ შეხსენ რკინის კარიო,
სალუდე დასჭერ ქობები,
ღმერთს მისდიოდა ჩქამიო.
— დაიცათ, ლაღნო ფშაველნო,
ჭალოცეთ თქვენი ჯვარიო,
სამხვეწროდ მამიყვანავის
თეთრა ქორაი ხარიო;
ზოგ გავარიგოთ მაშინა,
როცა გამოვლენ მთანიო;
ვინ ედგეს მტერსა ახლოსა,
ვის უფრო სჭრიდეს ხმალიო;
უბის თავს დააყენოდით,
ფშავლებო, თქვენი ცხვარიო,
უბის თავს დანათდებიან
თილისძის ცხენის ნალნიო...

—

147. თუშეთით კაცი მოვიდა:
„გვიშველეთ მოდის ჯარიო.“
დალაღდეს ფშავლის შვილები,
ყველამ გალესა ხმალიო,
დაიმზადიან საგძალი,
დაიბანდიან ჯლანნიო;
წავიდეს დალაღებულნი,
ღმერთო, დასწერე ჯვარიო!..
დაირიდნიან ხევსურნი, —
არ გვინდა თქვენი ხმალიო...
უკანავ გააბრუნოდით
თქვენი გუდანის ჯვარიო;
იქისას ჩაიაროდით,
სადაც წისქვილის კარია;
თუშო, გაგვიძეღვ, წოვაო,
შურთაზს სად უდგა ჯარია;
ჩვენ თავად ვიცით ფშავლებმა,
შორით გვიჭირეთ თვალიო;
ხმალს ქნევით დასცვდეს ვადანი,
სისხლმან დამალნა ფხანიო.
თუშთა ქნეს სამღთო წოვათა,

საღმერთოდ დაკლეს ცხვარიო;
ღმერთო, შენ ჩაგვასწავლნოდი
ფშავში ხოშარის გზანიო.
ცხენთა ხოშარას ჩასულთა
არაგვ დალიეს წყალიო,
ხოშარით კაცმა იძახა, —
მუქუს ვინა ხარ ხმლიანი?
მოვიდა წოწკურაული
სუმელჯი, სურო-ღვიანი;
მააწყვნა ისრის ქოჯონი,
ლაღის არწივის ფთიანნი;
ესროლის, გამააგორის
თუშები ფეხ-ჩითიანი...
— მოხვედა, თილის ობოლო,
ამბავი მაიტანეა?
— მე — კი მოგივედ, დედაო,
სხვა ბევრი ვერ მოდიოდა, —
დაგვლივა ხოშარის გორმა,
იქ წყლის არ გამოდენამა,
იწრო-იწრომა ხევებმა,
ფშავლების მოკლედ დენამა,
წოწკურაულის ისარმა,
სანათაურის ენამა,
ჭიჩოთ მოსულთა ობოლთა,
იმათ სახელის დებამა...,
ატირდა თუშის ქალები —
აღარ მოგვივა ქმრები;
რა ვუყვათ იმათ ცხენებსა,
რით დავუჭიროთ თავებს..
ზოგთა თქვეს, გომში შავრეკოთ,
წელთით დავკეტოთ კარები;
ზოგთა თქვენს, უკუღმ დავკმაზოთ,
ზედაც ჩვენ შავსხდეთ ქალები;
ზოგთა თქვენს, კახეთს ჩავიდეთ
და იქ შავირთოთ ქმარები...

—

148. თილისძემ უთხრა მამასა:
— მამავ, შავყაროთ ჯარიო,

ჩავიდეთ უკვენა ფშავსა,
ამოვირეკოთ ცხვარიო.
— ვერ ჩავალთ უკვენა ფშავსა,
ეგეცა ჩვენნი არიო.
— მაშ ხოშარაში ჩავიდეთ,
ვარჩიოთ ქალი-რძალიო...
— ვერც ჩავალთ ხოშარაშია,
ეგ არის ჩვენი მხარიო;
სხვისას არ გაგვიფერებენ,
ლაშარის ჯვარის ყმანიო.
— მაშ მათურაში ჩავიდეთ,
მოკლედ ჩაუვლენ გზანიო;
გოგოლაურთას ჩავიდეთ,
ჩაკიბულნი ჰქონ გზანიო.
— კიბურთ არ ჩაგვაცილებენ
ლომ-ხუზაურა ძმანიო...
— მაშ ცაბაურთას ჩავიდეთ,
ვამტვრიოთ ბეღლის კარიო...
ჩავიდეს ცაბაურთასა,
ამტვრიეს ბეღლის კარიო;
პირ-და-პირაით გადმოჩნდეს
ლომ-ხუზაურა ძმანიო,
ესროლეს პირ-და პირითა,
ბეღელს აკერეს მკვდარიო;
თილიძე გამაიპარა,
გადმაიარნა მთანიო;
როცა თუშეთში მოვიდა,
გამოეგება რძალიო:
— „მამამთილ! შვილი რა უყავ,
თინიბექ, ჩემი ქმარიო?“
— თინიბექ, ფშავში გავწირე,
სისხლისა ღვინით მთვრალიო.
ქალი ციხეში შავიდა,
წელთით დაკეტა კარიო;
სანამ წელ შესრულდებოდა,
სამჯერ დაიჭრნა, თმანიო...
მამამთილმ გამაუგზავნა
სამხვეწროდ ერთი ხარიო:

— „გთხოვ გამოხვიდე, ლელაო.
ციხეში ნულარ ხარიო...
მამამთილს შემოუთვალა:
— წელზედ შემარტყი ხმალიო,
იქისავ წამავალი ვარ,
მასწავლე ფშავის გზანიო;
თუ თინიბექ ვერ ვიძიო,
ლელაიმ ნულარ ვარიო!..

—

149. თილის ძე ლოპოტაშია
ჟოლსა სჭამს, მაყვალს ახდურებს.
„ან შინ მიგიღებ, სახელო,
ან, თავო გადაგახდურებ“.

—

150. გორგის ნუ მაჰკლავთ. ქისტებო,
ბრალია კარგის ყმისაო!
არ დაიჯერეს ქისტებმა:
— გორგიმაც ეგრე ქმნისაო!..
ჩაუსხდეს მთის თავს, მთის ძირსა,
ფერ ვერ უცვალეს მგლისაო!
ვაი, თქვენს გორგის, ქისტებო,
ხანი არ მექნა ცდისაო!
თუ შამხვედროდით პირდაპირ,
ქნევა მეც ვიცი ხმლისაო!

—

სალომე

151. სალომე

1795 წელს, თბილისის აოხრებისას, სპარსელებს ხელთ ჩაუვარდათ ტყვედ ერთი ლამაზი თავადის ქალი სალომე. რომელმაც ქმარი და ერთადერთი შვილი ტრაღიკულად დაკარგა ამ შემოსევისას. ის მიჰგვარეს აღა მაჰმად-ხანს.

— ეგ ჩემთვის საჭირო არ არის! ვინ არის მყიდველი მაგისი? — ბრძანა მრისხანე. სისხლისმსმელმა შაჰმა.

ქალი შეისყიდა ერთმა მისმა დიდებულმა, ჯაფარ-ბეგმა, რომელმაც მას ასეთი წინადადება მისცა:

— გინდა — მაჰმადიანობა მიიღე და ჩემი ცოლი გახდი, გინდა ქრისტიანად დარჩი და ხასად მეყოლებიო!

სალომემ არაფერი უპასუხა, ჩაფიქრდა; რამდენიმე ხნის შემდეგ უთხრა: მსურს გავხდე ცოლი დიდებული ბეგისა, ასეთია ჩემი ბედი, რომელიც მე წინასწარ მეუწყა!

— ვისგან? ეკითხება ჯაფარი.

— როგორ, ეკითხება სალომე, ნუ თუ შენ არ იცი ის, რაც მთელმა საქართველომ იცის? მე დედამ მასწავლა ბედისწერის გამოცნობა!

ჯაფარი შედრკა.

— მომეცი ხელი, ეუბნება სალომე; მე მსურს გამოვიცნო — დიდხანს გაგრძელდება ჩემი ბედნიერება შენთან?

ჯაფარმა ხელი გაუწოდა; სალომე ადგილიდან წამოხტა.

— ბატონო! შენ ამაღამ საკუთარი ხანჯლით სიკვდილი მოგელის!

ჯაფარი გაფითრდა.

— ნუ გეშინია, უთხრა სალომემ, მე გიხსნი შენ სიკვდილისაგან: მე შეულოცავ ხანჯალს და შენ უვნებელი გახდები მისგან.

— შენ შეგიძლია ხანჯალს შეულოცო? — წამოიყვირა ჯაფარმა.

სალომემ გაიცინა.

— შემიძლია შელოცვა? მომეცი შენი ხანჯალი! მე ჯერ კიდევ ქრისტიანი ვარ და, როგორც ასეთი, ვერც სხვას მოვკლავ, ვერც თავის თავს.

ჯაფარ ბეგმა ქარქაშიდან ხანჯალი ამოიღო და სალომეს გადასცა. მან ის ხელში აიღო და ჩურჩული დაიწყო, თითქო ხანჯალს ულოცავს, ნამდვილად კი ღმერთს შეჰვედრებოდა თავის თავს.

— მზადაა, დაიძახა სალომემ, წაიღე შენი ხანჯალი, ის ამიერიდან უკვე აღარ ვარგა!

— არ გჯერა? შეხედე! და ხანჯლის წვერი გულზე მიიდო.

— ხანჯლის ტარს ხელი დაჰკარი და დარწმუნდები, რომ ის მე ვერ მავნებს!

ჯაფარ ბეგს გონება დაუბნელდა; მან ხანჯალს თავისი მძლავრი ხელი დაჰკრა და ის ტარამდე სალომეს გულში ჩაერჭო. სისხლმა შადრევანივით იფეთქა, სალომე უსულოდ მიწაზე დაეცა. ჯაფარ ბეგი ადგილზე გაქვავდა; როდესაც გონს მოვიდა, სალომეს მივარდა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

ტურა ქაიხოსრო

152. ტურა ქაიხოსრო

მეფე ერეკლეს დროს კახეთში, ვაჩნაძიანთ გვარში ყოფილა გამოჩენილი და მხნე ვაჟკაცი ქაიხოსრო. საზოგადოდ საქართველოს და კერძოდ კახეთს მოსვენება არა ჰქონდა ლეკებისაგან, რომელნიც განსაკუთრებით მაშინ აყავყავდებოდნენ ხოლმე, როცა კახეთს სხვა მტერიც შემოესევოდა. ქაიხოსრო ვაჩნაძემ არა ერთხელ ისახელა თავი ლეკებთან ბრძოლაში.

ერთხელ ერეკლემ ქაიხოსროს წინამძღოლობით გაგზავნა კახელები ლეკების წინააღმდეგ, როცა მათ გაღმა სოფლები აეკლოთ და ალაზნის პირას დაბანაკებულიყვნენ.

ამ ბრძოლაში ქაიხოსრომ გაითქვა ვაჟკაცობის სახელი მით, რომ მცირედის რაზმით თავზარი დასცა ლეკების დიდძალს ჯარს. იგი არ დაკმაყოფილდა მათი განდევნით კახეთიდან, გაჰყვა დამარცხებულ ლეკებს უკან და მათი სოფლები გააოხრა და გამარჯვებული უკან დაბრუნდა. ამ გამარჯვებამ ისეთი შიშის ზარი დასცა ლეკებს, რომ ლეკების დედები თავიანთ მტირალს შვილებს ქაიხოსროს სახელით აჩუმებდნენ: „დაჩუმდი, შვილო, თორემ ტურა ქაიხოსრო მოვაო.“ ქაიხოსროს მეტი სახელი „ტურა“ თვით ლეკებმა დაარქვეს, რადგანაც ომში ისე გაძვრებ-გამოძვრებოდა ხოლმე, როგორც ტურა და ყველა შეფერხებულთ ვაჟკაცურის სიტყვით და მტერზედ წინდაწინ მისვლით ამხნევებდა. ხშირად ერთ იმის სახელს გამარჯვებული მტერი უკან დაუბრუნებია.

ამასთანა სახელოვანმა ვაჟკაცმა ერთხელ ისეთი საქმე ჩაიდინა, რომ მის სახელს დღესაც ზიზღით იგონებს ხალხი.

ერთს კვირა დღეს მისი მეუღლე წირვაზედ იდგა და მის წინ გლეხი მარტაშვილის რძალი დგომილიყო. ქაიხოსროს ცოლს ეთქვა მისთვის:

— ჩამომეცალე, შენი ადგილი იცოდე; ვერა ხედავ, ვინ გიდგივარ უკანაო?

— ჩამოგეცალო, რა შენი ყმის ცოლი ვარო! — უპასუხნია მისთვის მარტაშვილის რძალს.

ქაიხოსროს მეუღლეს ეს, რასაკვირველია, სწყენოდა და შინ მოსვლის უმალ ქმრისთვის ეთქვა.

— მაშ, ქაიხოსრო მოგიკვდეს, თუ ამ ერთ კვირაზე ის დედაკაცი ხონჩით თავზე არ მოგაყენოვო, ეთქვა ქაიხოსროს და რამდენიმე კაცით გაჭრილიყო ლეკებისკენ, გადასულიყო დაღისტანში. აელელვებინა დიდოელები და დასხმოდა ალაზნის გაღმა მხარს.

მეფეს რომ ეს გაეგო, მაშინადვე გაეგზავნა მასთან კაცი, რომ შეეტყო, რა მიზეზით განდგომილიყო იგი და რა სურდა მიეცა მისთვის მეფეს, ოღონდ კი ლეკები გაღმა მხრიდან გაედევნა — და შერიგებოდა. ქაიხოსროს შემოეთვალა მეფისათვის: მარტაშვილები მომეცი ყმებად და შეგირიგდებიო. მეფეს მისი თხოვნა შეესრულებინა და მიეცა მარტაშვილები ყმებად. ქაიხოსროსაც გაერეკა ლეკები გაღმა მხრიდან და დაბრუნებულიყო შინ. ასე საძაგელის მოქმედებით შეესრულებინა ქაიხოსროს თავის მეუღლის სურვილი.



153. წინა ალუდაურ გაბური

სიცხლის წვიმის დროს, როსაც ნეფედ ყოფილ ერეკლეი, მაშინ ალუდაურ გაბური დაუყენებავ ნეფე ერეკლეს ყარაულად შიბუს ჭალას. ყოფილ ყარაულად ეს ალუდაური სამს წელს. ცუდ კაც არ უშობავ გზაზედ, უბილეთოი (ვისაც ბილეთ არ ხქონივ), არც ღილღველ, არც ქევსურ. ამ ალუდაურს კშირად უვლავის ნეფე ერეკლესთან, ნამეტნავ მაშინ, როსაც ვეფხვს მახკლევდ, სიხარულით თუ ჩაუტანდ ერეკლეს ვეფხვის ტყავს. ერეკლე ნეფეს ვეფხვის ტყავ ძალიან ხყვარებივ, ბევრ საჩუქარიც უძლევავ ალუდაურისად. ზოგ ქაღალდები (ერეკლის ნაძლევ ბეჭდიან ქაღალდებ ზოგ რაისა, ზოგ რაისა) ეხლადაც იქავ ას ალუდაურისად ნაძლევები, დამრჩლები. ამ ალუდაურს დღისით უნადირებავ, ღამით ყარაულად მდგარ შიბუს ჭალას. ერთხან საკარის ჩდილში ვეფხვს შაღვარდნივ ზედ, ძალიან შამაღმბივ ეს ვეფხვი ალუდაურს. სანამდი მეხუთე არ დაუკრავ თოფი, ვერ მაუკლავ. მეხუთე ტყვია შიგ შუბლში მოხვედრილას ვეფხვს და გადმოუგდავ კლდეთაზე. ეს სიმღერე მაშინდელი ას დამრჩალი:

„ვინ ღბრუნავ შიბუს ჭალასა დილა ადრიან მწკალზედა?
ვინ ხყვები სიმაგრეებსა, მოყმევ, ვინ უვლი თავზედა?
ვეფხვი ვინ მახკალ საკარეს, ვინ ჩახყეე სისხლი კვალზედა?
ტყავი ვეფხვისა ერეკლეს ვინ ჩაუტანე კარზედა?
იქნების ალუდაური, უდგან ლოგინნი მთაზედა
იჭერს ღილღველთა, ქევსურთა, ცუდს კაცს არ უშობს გზაზედა.
დღისით დგას ყარაულადა, ღამით ჯიკვთ უვლის მთაზედა,
ვეფხვს მახკლავს, ტყავსა ჩაუტანს, ჩავას ერეკლეს კარზედა“.

ამ ალუდაურს, რა თქმა უნდ, რომ ეს ქისტებიც გაუცნავ, ქისტებიც ,ჯაად ხყონივან. სტუმრადაც მადენილან ამ ალუდაურსთან, ნამეტნავ მაშინ, როსაც თოფის ,ქმას გაიგონებდეს. ქისტებ ეტყოდეს ერთუც: „აბა, აეხლა წავიდათ. ალუდაურ ,ჯიკვს მახკლევდ, ,ორც ექნების“. წამავიდოდეს ეს ქისტები. ალუდაურიც, რა თქმა უნდ, ,არგად მაუვლიდ, ხქონივ ესრ ერთუცსთან გაცნობა.

ამ ალუდაურს ერთი ძმის ,ეტ არვინ ხყვანივ, მარტო ორნ ძმან ,ოფილან: ალუდაური და იონა: ამ იონასაც ,შირად უვლავ. ცნობილ ქისტებს. სამი წლიდგეს ამ ალუდაურს თავ გაუნებებავ. ,არაულობისად. მოსულ შინ, ,ოფილან ორნ ძმან ერთად, ალუდაურ და იონა. აი, ერთხან ქისტებს როგორ ღალატ გაუბედავ იონაისად (განა ტყვილად მადის ანდრეზად ძველთგნივ, რომ „,აც ქისტს ურჯულოს არ უნდ დაენდოს, ურჯულოს ნაწლეე არ გაირეცხების“). ერთხან შაყრილან ქისტები, უთქომ: „იონა აგებ მავკლათავ“. წამაულალავ ერთ ღილღველი. სახელად ხამფია. უთქომ: „შენ მატყუებით წამაიყვანიდი!“ პირობა მიუცავის. საყარაულოი ხქვიან აეხლადაც იმ ალაგს, „იმაში ჩაუსხდებითავ“, — უთქომ ქისტებს, — რო მახოლთ, თოფებს დავაყრით, მოვხკლავთ“. წამასულ ეს ხამფია, მისულ ალუდაურ-და იონაისას. უთქომ იონაისად: „ქისტეთ წავიდათაყ, ჩვენ ხალხიც დაწუხებულიავ, დიდ ხანიავ. აღარ-ცად გაგივლაო“. წაუყვანავ. იმ საყარაულოში რომ მისულან, უთქომ ხამფიას იონაისად: „გადაიარე, მაგეწევი, ,ღნის ბაწარ გამეკსნ, მე ემას გავიკეთებ“. დამ,ჯდარ ხამფია, გადაუვლავ იონას. საყარაულოში რო მისულ, კლდეთ თავზედ, დაუშლავ იმ დროს თოფებ ქისტებს, მაგრამ ღმერთს უშველავ: იონას არც ერთ ტყვია არ მახვედრივას. გადამფრინდალ კლდეთ, სცემივ ქვიშათ, გავარდნილ წყალს. ქისტებს უთქომ: „მგელ გაიქცავ, რას მივზდევთავ? ჩვენ მაგას ვეღარაჯ დავაკლებთავ“. მოსულ ეს იონა შინ, უამბობავ ალუდაურისად: „ესრ მივყვესავ, ხამფიამ მზირთაზე შამაგდავ“. მაშინ, რა თქმა უნდ, რო ეს ძმან ძალიან დაჯავრებულან. მაშინ ეს ხამფია ,ალიან შაწუხებულ: „აეხლა მე იონაი და ალუდაურ ,ალიან ,ალიან ,ალიან

ბავ და წამამდგარ. გაქცეულ პირდაპირ ხამფია. დაუყვირნებავ: „ალუდაურო, მიშველევ, შინ შამახვეწილ მტერი ორავ". ეს იონას რო უნახავ, შასულ ჭერხოს. თოფისად დაუცავ კელი. ხვედრივ ძმა ძმას, არ დაუნებებავ თოფი: „სირცხვილიავ. კაცივ შინ შამაგვეხვეწავ". ეს ხამფია კიდევ მისულ და შასულ ალუდაურის და იონაის ქვიტკირში შინ. მემრ ალუდაურ ხვეწნივ ძმას, როსაც იქნებოდ, მაუქცევავ. მიუყვანიან ერთად ეს იონაი და ხამფია ალუდაურს, შაურიგებიან. მარტო ის კი უთქომ „თუ კლოვ მაგიკდ. მაუკლავს არ გაგიშობთ, აეხლა კი შინ შამახვეწილი ხარ!" ხამფიასაც დაუწყავ: „მაპატივეთავ, მავსცდით ხალხის ენითავ". შარიგებულან. გაუშოვ შინ ხამფია ისრევ ცოცხალი.

იონეურ თეთრაული

154. იონეურ თეთრაულის ამბავი

ნეფე ერეკლის დროს ყოფილ იონეური. თუ იყვ ძალიან მეომარი კმლით, რომ კაცი იმის დამხვედრი არვინ იყვა. ჯვარისად რაიმ შაუწყენავ თავის სიამაყით და ჯვარი გასწყრომივა და გაუყრევავ წვერი და ეს ამ იონეურს ძალიან უუკადრეობავ, რომ „მე ახლა ხალხში როგორღა ვიარავ?“ დამზადებულა, აუსხამ თავის იარაღი: თოფი, კმალი და ფარი, შაუკაზმავ თავის ლურჯა და წასულა მშავისკე: უნდა სახელიანი ვაჟი ვინ მოკლას და თავიც იქ გაწირას. სოფლიდან რომ ჩამართულა, ჩახყოლია ქალი და ზალი და მთელი სოფლის ბიჭები. გამალმშვიდობებივა თავის ქვეყანას სამუდმოდ და კიდევ წაუკაფიაებავ ეს სიტყვები:

„გამავედ ვერძის ტყე გორა, ჭიმღავ, მაგავლებ თვალსაო.
კარგი ხარ, ჩემო ადგილო, აეხლა დაგწერ ჯვარსაო“.

როშკას მამიდასთან მასულა. მასაც გამალმშვიდობებივა და გადასულა მუჭის ღელეში და ჩაუხენებავ მშავისად და ჩაუვლავ წყემსებისად, უკითხავ „თქვენ ქვეყანაში ვინ უფრო სახელიან ვაჟიავ?“

„ჩაეხუმრების წყემსებსა, არ ჯოცს. არ ხკადრებს თავსაო.

„ხკითხევდა იონეური: „მშავში ვინ იგდებს კმასაო?“

წყემსებმა უთხრეს: „ჩვენ ქვეყანაში ერთი ყარტიულისძე არის და იმაზე მეტი მეომარი არვის გაუგონავ. ხანდახან ნეფე ერეკლეც კი იბარებს იმ ყარტიულისძეს თათარსთან საომრად. მაგრამ შენ იძას ვერ შაეომები. — მოუკლავს არ გაგიშობს. ძალიან გულადი და ჩქარი მეომარი ას. კაცი მოუნელები არ გადაურჩების და აი ეხლა აქ ცაბაურთ მთიბელი ხყვანდა. ეხლა ჩაეფარნეს აიმ გორის ძირ და რო ჩაიჩქარო, ქვეც ჩაეწევი. ის ყარტიულისძე იმ მთიბლის ჯარში ას და რო მიხოლ, იმას მარჯვედ გაიგებ: ძალიან გაზდილი მაღალი კაცი ას და დევს ღგავ. მაგრამ შენ იმას ვერას გამაშჩე-

ბი“. — „აბა, თუ ვერას გამავშჩები, თუ ჩავეწიე! ჩემს ჩანავალზე ჩამაიარიდოთ და ღნახავთ, მე ვიქნებია მკვდარი გზაში, თუ ყარტიულისძე“. გადახტა იონეური და კიდეც ჩაეწივა მთიბლის ჯარს და მაშიავ გაიგა, რომ „ყარტიულისძე ის იქნებისავ“. ალტში ციხისოდენი კაცი ერივა. მივიდა თუ არ ახლოს იონეური, გაიხო ჯმალს ჯელი და უძახა: „ყარტიულისძევ, მე შენთან ომი მწადიან, მობრუნდი, ვიომათ!“ ყარტიულისძემ, რასაკვირველია, გადააგდა ცელი და მოისო ჯმალს ჯელი (ის იარაღს სრუ თან იყოლებდა, როგორც მეომარი კაცი) და შამაეგება მისულ მეომარს, მაგრამ იონეურმა ერთი არწივისებური დახკივლა და გადაფრინდა. შემახკრა კისერში ჯმალი და გაასრეკვივა თავი.

„საწუხროდ ჩაეწეოდა ცაბაურთ მთიბლის ჯარსაო,

„ჯმლითა სცა ყარტიულისძეს, ფეჯ-ძირ გაიგებს მკვდარსაო“. ამ სხვა მთიბლის ჯარმა ჯელი ვერვინ გაჩუჩა, ისრ შაშინდა. იონეური კი გადახტა, სახატო საქვაბეში შავარდა. ახლა მშავლები იმ საქვაბეში შასვლას ვერ იწონენ, ეშინიან. მაგრამ თან სირცხვილია, სისხლი უნდა აიღან. შესვლა რომ ვერვინ გაბედა — იმ სოფელშიგით არვინ იყო მეომარი და — სხვა სოფლიდან დაიბარეს მშაველი მეომარი. სახელად მექობაური. ეს მექობაურიც ყარტიულისძეზედ ნაკლებ მეომარ არ იყვა. მოვიდა მექობაური იარაღით მორთული და შაალა საქვაბის კარი და დაეძგერნეს ერთმანეთს იონეური და მექობაური. მექობაურს თუ ტანზე ისეთი ჯაჭვი აცვავ, რომ იმას იარაღი არ ჭრის და იონეურს კი არ აქვ ჯაჭვი. უქნევენ ერთუცს ჯმლებს და იონეურს რამთვენიც მახვდა, ჭრის და მექობაურს არ ეკიდების. თავის ღონიერი ძალით იონეურმა მექობაურს მარცხენა მკლავი თავის ჯაჭვიანად მასჭრა და მექობაურმაც აისრულა გულის წადინი და დასცა ძირს მეომარი თეთრაულისძე და თან უთხრა: „ცოდო კი ასავ, რომავ შენ ჩემი ჯელით მკვდარ იყვავ“. შეებრალ გულად მეომარი, რომ მამაცად ეომებოდა მექობაურს. და გამაიღეს მკვდარი იონეური და დალმარხეს თავის სასაფლაოში და ძალიანაც ბევრი იტირეს მშავლის ქალ-ზალმა, რო ხედევდეს ტურფა მეომარს მკვდარს. მაშინ ნათქვამია:

„ამაკიპანდი, მერცხალო, პირ-შელმ შაუდეგ წყალსაო!

„ჯერ მიხოლ ჯევსურეთშია, მემრ თეთრაულის კარსაო.

„მამას მინდიას მითქვიდი: „ნუ შაექცევი თავსაო,

„ნუ გამილუბებ ლურჯასა, თოფს ნუ შემიჭმევ ჯანგსაო,

„მშავში ზის იონეური, ათამაშებდა ჯმალსაო“.

თეთრაულთა რო გაიგეს თავის მეომრის სიკვდილი, წავიდეს

და წაშაიღეს თავის მკვდარი თავის მიწა-წყალში და დაღმარხეს, თავის სასაფლაოში და იმას იქით თეთრაულთა და მშაველთ ერთ-უცსთან ჯელი არა აქვს, არც უშუღლივ, იმით რომ იონეურიც მო-კვდა და ყარტიულისძე ხომ წინ გაიძღოლა თეთრაულისძემ.

მეთვრამეტე საუკუნის დასავლეთ საქართველოს

ვითარების აღსაწერელი

ნაწარმოებები

სოლომონ პირველი და მისი თანამედროვენი

155. რეჯება და არჩილ გიჟი

რეჯება მოდის იმერეთს,
ინით ილებავს ულაშსა;
ჯარსა იმედს ეუბნება:
„თუ ჩაგიყვანე იმერეთს,
სულ პინით გასმევ ღვინოსა!“
ათასი კაცით რეჯება
დეებარგა ნებოძირში.
ნეფესთან მორბის ჩაფარი:
„მოგვეხმარე გასაჭირში!“
ნეფემ უთხრა: „არჩილ ძმაო;
არ წევიდეთ, არ იქნება!“
არჩილმა წამეიძახა:
„შემიკაზმეთ ბერი-კვიცი!“
მათრახი ერთი ამოკრა,
იქ მოუსწრო ჭარტლის ძირში
შექნეს ლეკებმა ფურჩული:
„მოგვეწია არჩილ-გიჟი...
გევითხაროთ ყველამ მიწა,
რომელსაც გვაქ დანის ღინწი!“
რეჯებამ შამუაგინა
ბატონიშვილს დედა პირში.
ერთი არჩილმა შესძახა:
„შენი რჯულის საქმეც ვიცი:
ზოგს მოგკლავ და ზოგს მოგარჩენ,

ზოგს ღორის ქონს გასხამ პირში!
ხოსია და არჩილ-გიჟი
შუას ქვეით ჩაჯდენ თხრილში.
წამოუჩოქა ხოსიამ,
ლეკსა თოფი მისცა ცხვირში.
ბერმა-კვიცმა თქვა საწყალმა:
„ამას თქვენგან არ ველოდი,
თუ საფრად გამიკეთებდი!
ასი ფთა ჩიგვი მენახა,
გეგონა დაგიფთხებოდი?!
სიპ ქვაზე გეჭენებიე.
შუბივით დეევესობოდი;
ალმართში ვიყავ მერანი,
დალმართში დავგოგდებოდი.
მეჯინიბის ჯავრი ჩამყვა,
ნეტავი იმას ვრგებოდი:
წყლის სასმელად გამიყვანდა,
წელს შემიზელდა ერბოთი,
ნიტრა ქერს პირს ამაკრავდა,
ისე მაჭმევდა გემოთი.
რას ღირს-ხარ, ყვაო-ყორანო,
შენ ჩემი ხორცით ძღებოდი!“

—

156. რაჯაბა

თავლაფიანი რაჯაბა
შაიყრის ლეკის ჯარსაო,
ქუდზე იძახის თათაოსა,
დიდსა და პატარასაო.
ზოგსა კი მიუხარიან
იმერეთისკე წასვლაო,
ზოგი კი ასე იძახის
თუ იმერეთა გადავალთ,
ნუღა მოველით თავსაო,
რაჯაბს ... ნ
წუწკ იმერლებსა დარჩაო

—

157. ახალციხე და რაჯაბა
გაიფიცნეს როგორც ძმანი,
ჯარი ჯარსა შამოჰყარეს,
წელთა შამაარტყეს ხმალნი,
ეგრე დააწყეს თითები,
როგორც მინდორჩი სოსანი,
იმერელთ მეფეც იქ იყო,
თავ-ოქრო გვირგვინოსანი.

—

158 ოს-ჩერქეზთა დამარცხება

ერისთავს ცხენსა უქებენ,
კვიცია სამი წლისაო,
ზედ შეჯდება ერისთავი,
ლერწამი ზღვის პირისაო.
წელში ურჭვია ქარქაში
წითელი კემუხტისაო,
შიდ რომ ისრები უწყვია,
ნარჩევი გველი ფხისაო.
ხევს ჩამოვიდა ლაშქარი
ოსისა, ჩერქეზისაო,
გადგა-გამოდგა მეთოფე,
ორ-ორი ჩიგვის ძირსაო,
ბიჭმა დაცეცხლა სიათა,
როსტომი დასცა ძირსაო.
როსტომის ქალო, ბარბარეე,
ვეღარ ასცილდი ჭირსაო.
მოგიკლეს გმირი როსტომი,
ქვეყანა ჰგლოვობს, სტირსაო,
ქვეყანა კი მას არა სტირს,
მხოლოდ ჰსტირს თავის თავსაო,
რომ ასცილდეს მტრის მძლავრობას,
შავბნელს დღესა და ავსაო,
შეცხელდნენ, სროლა გახშირდა,
ყველას მეშველი ჰყავსაო,
ძალა დაადგათ ოს-ჩერქეზთ,
ვინ გაუვა მათ ღავღავსო!
იძრა ჯარი, წინ წავიდა,

მოესია ხმალდახმალა,
მოგლჯდა მტერი წინ უკარა,
ომით ძლიერ დაიღალა,
თავ-პირ მტვრევით ვერ გაასწრეს,
ვერც ვინ თავი დაიმალა,
ბევრნი აწყდნენ, სხვაც ტყვედ დარჩენ,
ვალზედ ვალი დაივალა.

—

159. სოლომონ მეფის ბაჩაო
ნაქალაქევში დარჩაო,
ზედ შერჩა თაბუკაშვილი,
მაღალოურზე გარჩაო.

—

160. ივანე ერისთვის შვილი

ივანე ერისთვის შვილი
წავიდა მამის მწყრალადა,
იმერეთს ჩაინადირა,
ქუთაისს ჩავიდა ჯარითა.
ხენწიფე კარზე დაუხვდა,
შორით აძლევდა სალამსა.
„ყმაწვილო, რამ მოგიყვანა,
ვიზე წამოხველ მწყრალადა,
ირემო, მთაზე გაზრდილო,
რამ ჩამოგაგდო ბარადა“.
ფიცხლავ შინ დაიპატიჟა.
დაისო ხალიჩაზედა,
ქამარ-ხანჯალი აჩუქა,
ტარი მასა აქვს ლალისა.
ერთმა ვინმემ ურჯულომა
საწამლავი შეაპარა,
ისეთმა სისხლმა დახეთქა,
ჩოხა შეღება წითლადა.
„ამყარეთ თრფ-იარაღი,
ღვდელს მიეც საწირავადა,
თინათინ ისეთ კაცს მიეც,
მი მჯობდის თვალად-ბანაო

ეს ჩემი ციხე-ქალაქი
თან გაატანეთ მზვითადა.

—

161. ბეშტია (ხუმარა) ეუბნება სოლომონ მეფეს:

ერთი ბრეთი, არადეთი,
რუისი და შაქარშვეთი,
გორს წისქვილი, ატოცს ჯვარი...
ღმერთმა დაგიწეროს ჯვარი.
გადმამიგდე იტრიაო,
ვითომ ერთი კიტრიაო.

—

162. მარიამ დედოფალი

ნეტა რა არი მისთანა:
ამამავალი მზისთანა,
წყალში რო ფეხი უდგია.
იმ ოქროს ჩარდახისთანა,
გალმით-გამოღმით ქალაქი,
შუაზედ მეედნისთანა,
დედის მუცლიდამ ნაშობი
მარიამ დედოფლისთანა?
მარიამო, რამ გაგავსო,
თოთხმეტი დღის მთვარის მგზავსო?
შიგნით თვალი სამოთხის გაქვს,
გარს წამწამი ხშირი გაქვსო.
მდომიერმა კაცმა განახოს,
ამას იტყვის: „ელვა დგასო!“
ერთი შენი შამოხედვა
ათას ჯავრსაც დაკარგავსო!

—

163. ხახულმა ჯარი აწვია

ხახულმა ჯარი აწვია
სოლომონ ნეფის გულისთვის:

„ვინც რო მოკვტები, ცხონდები,
ჩვენ გიზამთ აღაპს სულისთვის“.
ხახულმა წერა წიგნები,
მალ-მალ უგზავნა ნეფესა.
ნეფე იმერეთს მევიდა,
ხახულმა ქნა სიხარული,
ნეფემ თვალებში აკოცა:
„შენ ხარ ჩემი სიქადული!“

—

164. შაქარა კიკნაძე

რუსის ჯარი რო მევიდა,
ჩამეიპარა ვანსაო,
ზურაბ დაირა დოუკრა
დავით ბაქრაძის კარსაო.
დავით ბაქრაძის ცოლ-შვილი
იქ შოუყენეს მთასაო.
მას ხოსია უკან მიდევს,
მიაჭენებს მერანსაო;
მას შაქარა უკან მიდევს,
მიაპრიალებს ხმალსაო.
შაქარ კიკნაძე მოგვიკლეს,
სუყველას ჯობდა ძმასაო.
მახარობელი მორბოდა.
— „ბიჭო, რა მოგარბენიებს?
ხვთის მადლს, ნურავინ გოუმხელთ
მამუკაშვილის ქალსაო!“
„ბიჭო, რა მოგარბენიებს,
როგორ მახარებ ქმარსაო?
— ბატონო, რა მოგახსენო?
მოასვენებენ კვდარსაო!..
იკივლა, კარში გავარდა.

შულოთ იგლეჯდა თმასაო.
გამდელმა ხელი შეავლო:
„ბატონო. თავს რაზე იკლავ?
კიდევ იშონი ქმარსაო!"
— „მე მასთანას ვერ ვიშონი
მაქარსა და შარბათსაო.

—

165. ივანე აბაშიძე

საწყალობელი ივანე
რა მოსაგონი ენითა!
ათასში გამოსარჩევი,
თავადიშვილი ხელითა!
მტერზე ხმალდახმალ მიმსვლელი
რა საშინელი ელვითა!
ხუთასს ერთ მისვლით მოკლავდა,
მობრუნდებოდა ლხენითა.

—

166. სოლომონ პირველის მამობილი

იმერეთის მეფეს, ალექსანდრეს, თათრები არ ასვენებდნენ. მისი მეფობის უკანასკნელ წლებში მტრებს ქუთაისის, ბაღდათის, შორაპნისა და ხრესელის ციხე-სიმაგრეებიც ეჭირათ.

ფაშები ციხეებიდან გამოსვლას ვერ ბედავდნენ, ხონთქარის დახმარებას ელოდნენ.

მეფე იმერეთს განაგებდა და ფაშებს ხარკს აძლევდა.

ალექსანდრეს სამი ვაჟი ჰყავდა — იოსებ, სოლომონ და არჩილი.

სამეფოდ მამამ სოლომონი შეარჩია.

ალექსანდრეს ეშინოდა, რომ თათრები მას წამართმევენ და მომიკლავენო.

მეფემ სოლომონი მამაწმინდაში აზნაურ მესხს დასამალავად გაუგზავნა.

თათრებმა შეიტყვეს, რომ ალექსანდრემ უფლისწული სადღაც გააძიძავაო და ძებნას შეუდგნენ.

მეწვრილმანეს, სოფელ-სოფელ სავაჭროდ რომ დადიოდა, დაავალეს: გაგვიგე, სოლომონი სად იმყოფებაო.

ვაჭარი მართლაც შეხვდა სოლომონს მამაწმინდაში და მაშინვე იცნო იგი.

ვაჭარი ხრესილისაკენ თათრებთან სასიხარულო ამბის მისატანად გაემართა.

მესხმა ეჭვი აიღო და ვაჭარს დაედევნა. ოჯოლას ღელეში დაეწია და იქვე დააბრჩო.

—

167. წმინდა გიორგის რაზმი

ერთხელ, გალმა საბურთალზე , მზის ჩასვლისას, ჭადარს ქვეშ, მოეყარათ თავი ახალგაზრდა ოჯახისშვილებს და თათბირობდნენ. მათში ერიენ უფლისწულებიც, სამეფო ტახტის მემკვიდრე, ახალგაზრდა, თვრამეტი წლის სოლომონ ბატონიშვილი და მისი უმცროსი ძმა არჩილი. არჩილი მაღალი ტანის კაცი იყო, ძარღვებიანი და ძვალმსხვილი. იმ დროში ვაჟკაცობით და სიმარჯვით ახალგაზრდებში მას ვერავინ შეედრებოდა; პირველი მობურთავე იყო, შესანიშნავი ცხენოსანი, მოჯირითე, მეთოფე, მეხმლე და მასთანაც სამ ნაბადზე ახტებოდა. მეტსახელად „წმინდა გიორგის მოწაფეს“ ეძახდნენ და „არჩილ გიეს“. სოლომონიც კარგი შესახედავი იყო; ბევრში არც ის ჩამოუვარდებოდა არჩილს, მაგრამ უპირატესობა იმაში ჰქონდა; რომ თვალი უჭრიდა, — იმის თვალების შეჩერებას ვერავინ ბედავდა. — „ბატონიშვილო, დაიწყო ერთმა კაჭიაშვილმა — ჩვენს სურვილს დღეს ღვთის ნებაც დაერთო, წილიც ვყარეთ და უფროსობა — მეთაურობა თქვენ გერგოთ; გვიწინამძღვრეთ, გვიბრძანეთ და დანარჩენი ჩვენ ვიცით“.

— „კეთილი! ბრძანა სოლომონმა, მაგრამ ჯერ ერთი ეს, რომ ნება არ გაქვთ ბატონიშვილი დამიძახოთ, ყველას ჩვენ ჩვენი სა-

კუთარი სახელი გვაქვს: არჩილს „გიჟი“ ჰქვია, მე — „ქვახეთქია“; შენც „შვილდ-ისარა“ და ამგვარად თვითეული ჩვენგანის მოვალეობა ხომ იცით, რა არის? — სურვილის განსახორციელებლად თავის დადება და ჩვენი სურვილი — კი ის არის, რომ ქვეყნის მტერი და ორგული ვდევნოთ და ერთგულებს ხელი შევუწყოთ. წყალგაღმა რომ საქმეს ვაპირებდეთ, ჩვენ წყალგამოღმა უნდა დავიწყოთ ჩხირკედელაობა. ყველას მხარი მოვუქციოთ და ჩვენზე ეჭვი არავინ აიღოს! გასაჭირში ერთმანეთის მომხრე უნდა ვიყოთ, თუ ჩვენგანს ვისმე უბედურება შეემთხვეს, ჭირისუფლობა უნდა გავუწიოთ არა მარტო იმას, არამედ მთელ ოჯახსაც!...

— „რომ ვინმემ გაგვთქვას?“ წამოიძახა ერთმა მათგანმა.

— „იმას სიკვდილიო!“ თქვა სოლომონმა. „ამინ!“ გაიმეორეს ყველამ ერთხმად.

სოლომონმა აიხსნა ძელი ჭეშმარიტი გულიდან, თვითეული მათგანი მივიდა და ემთხვია სასოებით და დაიშალა კრება. ყველა თავისთვის წავიდ-წამოვიდნენ აქეთ-იქით. ამას შემდეგ არ გაუვლია დიდ ხანს, ხმა გავარდა, რომ კარის დეკანოზისთვის ვიღაც ბოროტმოქმედებს, ძირში მოუჭრიათ ენა და ცხვირი ჩამოუთლიათო. იმავე დროს რამდენიმე ახალგაზრდა მღვდლისათვის ცალ-ცალი თვალი წამოუთხრიათო.

თავს გამოიდვა მთავრობამ, აქეთ ეცენ, იქით ეცენ, ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ ვერა გაიგეს რა. გაიარა ერთმა კვირემ, ლევან აბაშიძის სახლ-კარი გადაბუგეს. ვერც ამის მქნელი გამონახეს. მოჰყვა ამას სხვა უცნაური ამბებიც და ისე დღე არ გავიდოდა, რომ სადმე გასაშტერებელი ამბავი არ მომხდარიყო. ვინც კი თათრების მომხრედ და ერთგულად იყო შენიშნული, რომ ფათერაკი არა მოსვლოდათ რა, — შეუძლებელი იყო. ფეხზე დადგა მთავრობა, მაგრამ მაინც ვერა გაიგეს-რა. ყველაზე თავგამოდებული იყო სოლომონ ბატონიშვილი. ზოგიერთებმა ხოსიკა მაჭავარიანზე მიიტანეს ეჭვი: იმან იცის უთუოდ ყოლიფერიო. დაიჭირეს და ჩააგდეს საკანში. საწყალს აღარც ფიცი გაუვიდა და აღარც ჯერი. თუმცა საბუთი ვერა გამოუნახეს რა, მაგრამ მაინც ქვეყნის სანახავად და შესაშინებლად საკირეში დაწვა გაუჩინეს. მზე ჯერ არ ამოსულიყო, რომ გაღმა საკირე გაახურეს და ხალხს თავი მოუყარეს. დიდი და პატარა ზოგი ტირილითა და ზოგი შიშით მოდიოდა: როგორ მოიყვანდნენ ტყვეს და ჩააგდებდნენ საკირეში. უცებ ოლისკურიდან მომავალი პირბადიანი ცხენოსნები გამოჩნდნენ. მათ წინ მოუძღოდა, შუბით ხელში, ერთი თეთრცხენიანი მხედარი.

ჩუმად აუარეს ხალხს გვერდი, შეუპოვრად მიადგნენ საკირეს და დაუწყეს ნგრევა. შეკრთა გაკვირვებული ხალხი, გარისხდა მთავრობაც. მოთმინებიდან გამოსულმა სოლომონმა იძრო ხმალი. რამდენიმე ახალგაზდამ მხლებლებით შეუტია შეუპოვრებს, მაგრამ, როგორც-კი მიუახლოვდა თუ არა, მხედარი მოუბრუნდა. ხმა ამოუღებლად თითი მიუშვირა ცისკენ. სოლომონმა და მისმა მხლებლებმა იარაღი ხელიდან დაჰყარეს და დაემხვენ მის წინ. თეთრმა ცხენოსანმა და მისმა მხლებლებმაც ვააბრუნეს ცხენები და გაუდგნენ გზას. ამ შემთხვევამ ყველა გააკვირვა. ბატონიშვილს და მის მხლებლებს რომ ჰკითხეს, მათ მხოლოდ ესა თქვეს. რომ ვიღაც თეთრცხენიანი იყო — ისეთი თვალით შემოგვხედა. რომ ძალღონე დავკარგეთ და თვალი ვეღარ გავუმაგრეთო.

— „ალბათ, წმინდა გიორგი იქნებოდა. დაიგრიალა ხალხმა, დაილოცოს მისი სასწაულიო!“ — ამავე დროს დარაჯები მოვიდნენ და მოახსენეს ალექსანდრე მეფეს, რომ გათენებისას თეთრი ცხენოსანი მოადგა ციხეს, ჩაამტვრია კარები. შემოისვა უკან ხოსია მაჭავარიანი და თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდაო. ამ შემთხვევამ თვით თათრებიც კი გააკვირვა და ზოგიერთმა მათგანმა მართლმადიდებლის სარწმუნოება მიიღო. მათი ნაშიერები დღესაც ცხოვრობენ ქუთაისში ინაკავაძის გვარით. სულ რამდენიმე წლის განმავლობაში ისე დამარცხდნენ თათრის მომხრე ქვეყნის ორგულები, რომ ძველებურად ფარფაშს ვეღარავინ ბედავდა.

ერთხელ გეგუთში ერთი მღვდელი მოკვდა, ჩაასვენეს კუბოში და საფლავზე რომ მიიტანეს მესამე დღეს, მაშინ გაცოცხლდა... გაუკვირდა ხალხს. ე მღვდელი წამოდგა, თვალები ამოიფშვნიტა, მიიხედ-მოიხედა და მიუბრუნდა ხალხს: — „ვენაცვალე იმის ძლიერებას, ღმერთმა საიქიოდან განგებ გამომგზავნა, რომ თქვენი ცოდვები გამხილოთ და შეგანანებიოთო“. მოჰყვა სხვადასხვა რამეებს, მაგრამ სულ მისთანებს კი, რომლებიც ქუთათელისა და მისი მიმდევრების სასარგებლო იყო. ხალხში რომ ხმა გავარდა, შორეულ კუთხეებიდანაც კი მოდიოდნენ, რომ გაეგოთ და შეეტყოთ გაცოცხლებულ მღვდლისაგან ზეციური ამბავი. ხალხმა მართლა თითქმის დაიჯერა მისი ამბავი და რყევაში შევიდა. ალექსანდრე მეფემ შეჰყარა ხალხი ქუთაისში, როგორც სამღვდელოება, ისე ერის კაცებიც, და იმ დღისათვის დაიბარა გეგუთელი მღვდელიც. ოქროს ჩარდახთან, ჭადარს ქვეშ, საჯაროდ ჰკითხა მღვდელს: „მამაო, მართლა საიქიო მოგივლია და ღმერთი გინახავსო?“

მღვდელმა დაიფიცა, მართალიაო.

— „მაშ, მოგვიყევი სიტყვა-სიტყვით, როგორ იყო და ან რა ნახეო“.

— „მე, შენი პირიმე, მოჰყვა მღვდელი. ამომხდა თუ არა სული, სულთამხუთავმა მიქელ-გაბრიელ მთავარ ანგელოზმა მაშინვე ანგელოზებს გადამცა და იმათაც პირდაპირ ღმერთთან წარმადგინეს. დეილოცა მისი ძლიერება. ოქროს ჩარდახში ბრძანდებოდა, ოქროს ტახტზე ფეხმორთხმული. თავზე იმისთანა ფესი ეხურა, რომ სულ ელავდა, ხელში ყალიონი ეჭირა სხვადასხვა თვლებით მოჭედილი, ისე რომ ფასი არ ითქმებოდა! ძალიან ტკბილად მიმიღო, დიდი პატივიც მცა. გამომიშვირა ხელი და მითხრა: „ბუიურ ქეშეშ ოთურ ხალიჩაზედაო“. მერე გამომკითხა ამ ჩვენი ქვეყნის ამბავი. მეც, რასაკვირველია, მოვახსენე, რაც ვიცოდი და იმანაც მე აქეთ გამომისტუმრა, რომ ძისი ნება-სურვილი თქვენთვის გადმომეცა!“ წამოდგა ზეზე აღელვებული სოლომონ ბატონიშვილი და მიუბრუნდა ხალხს: — „ხომ გაიგონეთ რაც თქვა ამ მღვდელმაო! რაც თქვა — სულ მართალია, მაგრამ მაგას ღმერთი კი არ უნახავს, ეშმაკი გამოცხადებიაო! აბა რა დასაჯერებელია, რომ ჩვენმა ღმერთმა, ვენაცვალე მის ძლიერებას, უწმინდური ფესი დაიხუროს თავზეო!! და განა ჩვენი საქრისტიანო ქართული ენა არ ეცოდინებოდა, რომ თათრულად არ დაეწყო ლაპარაკი და არ ეთქვა: „ბუიურ ქეშეშ ოთურ ხალიჩაზედაო?“ ცხადია, რომ ამ შეჩვენებულს ჯოჯოხეთი მოუვლიაო!

„ვიჯმი ეშმაკისაგანაო!“ — დაიღრიალა და მიაფურთხა წვეერებზე. როგორც მოულოდნელი ქარიშხალისაგან უცბად აღელვებული ზღვა, ისე შეინძრა ხალხიც და შემოეხვიენ გარს ფერმიხდილ მღვდელს: „ეშმაკი უნახავს, ეშმაკი; ჯოჯოხეთში ყოფილა და იქითკენვე გავისტუმროთო!“ და გასწი-ვამოსწიეს. შეშინებულმა მღვდელმა გააბა ღრიალი:

— „დიდებულო, მეფევ, ნუ მოაკვლევინებ ჩემ თავს და ყველაფერს მართალს გიამბობო“.

ბატონიშვილმა არჩილმა გამოგლიჯა ხელში ეაფთრებულ ხალხს მღვდელი და უთხრა:

— მაშ თქვი, რა ამბავია? ათროლებული ხმით მოჰყვა მღვდელი: „დიდებულო მეფევ, შემიბრალეთ! მე არც მომკვდარვარ, არც ღმერთი მინახავს და არც ეშმაკიო! ბატონმა ქუთათელმა და მაგისმა მომხრეებმა მიბრძანეს, რომ სიკვდილი მომეგონებია და რაც ღვთის ნაბრძანებად გადმოგეცით, — ის სულ ქუთათელის და-

რიგება იყოო". ამ შემთხვევამ ისე ააღელვა დიდი და პატარა, როგორც ხალხი, ისე მეფეც, რომ ქუთათელი იძულებული შეიქნა გაქცეულიყო ქუთაისიდან და თავის როკითის ციხეში გამაგრებულიყო. დღესაც როკითლები სარწმუნოდ ამბობენ მამა-პაპისაგან გადმონაცემ ამბავს ამ ჩხეიძეზე: რომ მოკვდა და ეკლესიაში დამარხესო,—გაჩნდნენ გველები მის საფლავში, ამოდიოდნენ და ხალხს აფრთხობდნენო!... არ იქნა, ვერა მოუხერხეს რა, სანამ არ გაჭრეს საფლავი, ძვლები არ ამოიღეს და ხანის წყალში არ გადაყარესო. მაშინ კი გველებიც გაქრენო.

ადვილი მისახვედრია, რომ ეს საქმეები, რაც იყო ჩადენილი, სულ ამ მცირე საიდუმლო რაზმის წყალობა იყო, რომელიც საიმედო ახალგაზრდათა მამულიშვილებისაგან იყო შედგენილი და რომელსაც თვითონ სოლომონი მეთაურობდა. თავისი ფრთხილისა და წინდახედული მოქმედებით ამ პატარა რაზმმა ისე დასცარა თურქების ძალა და ისე გაუმთელა გული ქრისტიანობას, რომ ალექსანდრე მეფის სიკვდილის შემდეგ, სოლომონი რომ ტახტზე ავიდა, ბევრი აღარა დასჭირვებია რა თათრების მოსაგერებლად.

—

168. სოლომონ პირველი და როსტომ ერისთავი

როსტომ ერისთავმა თავის თავი გამოაცხადა მეფედ. სინამდვილეში იგი იყო იმერეთის მოურავად. მაშინ სოლომონი შეეკითხა წესელებს: „ვის სცნობთ მეფედ, მე თუ როსტომსო". მაშინ ხალხმა უპასუხა: „არა ბატონო, მეფე თქვენ ბრძანდებით და როსტომ ერისთავი კი თქვენი მოურავი არისო". სოლომონმა ამის შემდეგ წესელებს ხბოს ტყავზე დაუწერა სიგელ-გუჯარი, რაც ამის ძალით წესელებს ეძლევოდათ დიდი ადგილი: წითელი მეწყერი სამძღვრად. სარეგი წვერი ძირაგულის მღვია წყალი, კრიხულას ჩასართავი, მუხლის სახტარი, სამარის წვერი და იქიდან სვანეთის გადასავალი.

169. სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე

ეს მეფე იყო ალექსანდრე მეფის ძე. თუმცა სამეფო ტახტი უფროს ძმას იოსებს ეკუთვნოდა, მაგრამ ვინაიდან ხედავდა, რომ მისი უმცროსი ძმა სოლომონ უფრო სამეფო კაცი იყო, როგორც

თვალტანადობით, აგრეთვე ძლიერებით და სიმარჯვით, ამის გამო იოსებმა მეფობა მას დაუთმო და თვითონ ბერად შედგა.

სოლომონი რომ სამეფო ტახტზე ავიდა, სულ თვრამეტი წლისა იყო. ამ დროს ოსმალეთის ჯარები იყო იმერეთში შემოსული და ციხე-სიმაგრეებიც იმათ ეჭირათ. პირველი ფაშა მამედ-ალი კიკიანი ქუთაისის ციხეში იდგა დიდძალი ჯარით და მბრძანებელი იყო დანარჩენი ფაშების. მეორე ფაშა უსეინ იდგა ბაღდადის ციხეში; მესამე ფაშა ახმედი — შორაპნის ციხეში; მეოთხე ფაშა ალიბეგი იდგა ხრესილზე. თუმცა ამათ გამგებლობაში არ იყო ჩვენი სამეფო, მაგრამ ბეგარას-კი ახდევინებდნენ იმერეთის მეფეს რამდენიმე ათას ყურუშს. ამ დროს ცხოვრობდნენ იმერეთის სამეფოში ორი თავადი: ერთი რაჭაში, რომელსაც უწოდებდნენ დიდ როსტომ ერისთავს და მეორე არგვეთში თვით მეფის დედის ძმა ლევან აბაშიძე. ამათ შემოიყვანეს თათრები ალექსანდრეს მეფობის დროს, გაუღეს კარები, დააბინავეს, დაასუსტეს ალექსანდრე მეფის ძლიერება და თვითონ მათი შემწეობით გავლენა მოიხვეჭეს. ახლაც სოლომონის გამეფების შემდეგ დაუახლოვდნენ კიკიან ფაშას ძვირფასი საჩუქრების მირთმევით და ურჩევდნენ, რომ ბაგრატიონის გვარი სრულიად მოესპო და მათთვის მიეცა მეფობა. ასე რომ ორ სამეფოდ გაეყო იმერეთი: ნახევარი ერთისათვის მიეცა და ნახევარი მეორესთვის. სამაგიეროდ პირდებოდნენ იმერეთში მახმადიანობის შემოღებას. უნდა აეშენებიათ მეჩითები ქუთაისს, ბაღდათს, შორაპანს, ხრესილზე, საჩინოს, ორპირს, კულაშს, ხონს, რაჭას, ნიკოლოზ-წმინდის ტაძრის გვერდით, ონში და ამბროლაურში. კიკიანი ფაშა მოხარული იყო, მაგრამ თავის თავად ცოტა ჯარით შებმას ვერ ბედავდა, რადგანაც, როგორც თვით მეფე სოლომონს, ისე მის ძმას არჩილს დიდი ვაჟკაცობის სახელი ჰქონდათ დავარდნილი. მეფე სოლომონს თვალს უჭრიდა და ხალხი დარწმუნებული იყო, რომ ოთხი თვალი აქვსო. მართლადაც. პირდაპირ მისი შეხედვა და თვალის გამართვა, როგორც ზაფხულში მოწმენდილ ჰაერში მზის თვალის გამართვა, შეუძლებელი იყო. მის ძმა არჩილზე კი ამას ამბობდენ: მისმა მადლმა, წმინდა ვიორგის სასწაულს გარდა, სიმარჯვით ვერ აჯობებსო. ეს არჩილი იყო ძლიერ ახოვანი, ხმელი, მაგრამ ძვლები ჰქონია მსხვილი და მოგრძო. იმისი ხმლის ხმარება სამაგალითო და საარაკო იყო. ცოლად ჰყავდა ქართლ-კახეთის მეფის ირაკლის ქალი. აი, მიზეზი, თუ რატომ ვერ ბედავდა კიკიანი ფაშა ციხეებიდან გამოსვლას და მეფესთან

ბრძოლას თავისთავად. სანამ ხონთქარს არ აცნობა ყველაფერი და არ თხოვა ჯარების დასქელება. ხონთქარმა აუთქვა და ამის შემდეგ კიდევ უფრო გათამამდნენ, როგორც ფაშები, ისე მათი ჯარისკაცებიც და აღარაფრად აგდებდნენ მეფეს. ერთ აღდგომა დილას თათრის ჯარისკაცი შევიდა მეფის სამზარეულოში, მეფისთვის მომზადებულ სასაუზმო ცხვარს ააგლიჯა ბეჭი, იქვე შეჭამა და წავიდა უშიშრად. სასახლის გამგემ სხვა ცხვრის კეთება დააწყებინა და აცნობა სახლუხუცეს პაპუნა წერეთელს ეს გარემოება. წერეთელი შეწუხდა, მაგრამ რას იქმოდა! მოხსენება ვერ გაუბედა მეფეს. მხოლოდ ქათალიკოსი და დიდებული კარის-კაცები. მეფესთან მისალოცავად მიმავალნი. შეაჩერა, რომ დრო გაგრძელებულიყო და მანამდის მოესწროთ სხვა ცხვრის გაკეთება. მეფეს რომ საუზმე დაუგვიანდა. ვეზირს — თამაზა მესხს — უბრძანა: სად არიან ჩემი დარბაისლები, რომ ვეღარ ვხედავ, ან ქათალიკოსი რატომ არ მოგბრძანდა. რომ სუფრა მიკურთხოს და ან პაპუნა წერეთელი საუზმეს რათ მიგვიანებს, რომ გავიხსნილოთო? თამაზამ გამოტეხით მოახსენა ყველაფერი. მეფე ისარ ნაკრავივით წამოვარდა ზეზე და დაიძახა: ამასთანა სიცოცხლეს სიკვდილი სჯობიაო! ნუღარცა ვამთეხებია აღდგომა, თუ ისინი იმერეთიდან არ გავრეკო. მოითხოვა ცხენი, შეჯდა და ვარციხისაკენ გაეშურა: მე აქ ქუთაისში დასადგომი პირი აღარ მაქვსო. დიდებულები ზოგი თან წაყვენ და ზოგი გზაში დაეწიენ. მისვლის უმალვე სარდლები დაიბარა: ციხის თავი ქაიხოსრო აგიაშვილი, ბერი წულუკიძე და გიორგი აბაშიძე. მეოთხე სარდალი კი პაპუნა წერეთელი თანვე ახლდა. ამ პაპუნას სამი ხელისუფლობა ეჭირა, ესე იგი იყო სახლ-უხუცესი უფროსი ვეზირი და იმავე დროს ცხენოსნის სარდალი.

სარდლები აღდგომის მეორე დღესვე გამოცხადნენ. მეფემ უბრძანა ციხის თავს სარდალ აგიაშვილს ბაღდადის ციხეზე მიდგომა. თავის ძმას არჩილს და გიორგი აბაშიძეს — შორაპნის ციხეზე ბრძოლა, ბერ წულუკიძეს და პაპუნა წერეთელს ხრესილზე ომი და თვითონაც იქ ყოფნა აირჩია, რადგანაც თათრის ჯარი იქ შომეტებული იყო და გაშლილი ალაგიც იყო. ქუთაისის ციხის აღება კი უბრძანა ფიცის კაცებს და გაუგზავნა შემდეგი ბრძანება: „თავადს ბერ ლორთქიფანიძეს მეფე სოლომონ სიყვარულით მოგიკითხავ. ამასთანავე გიბრძანებთ, რომ მიღებისთანავე ამა ბრძანებითი წერილისა შეკრიბო ფიცის კაცნი: თავადნი და აზნაურები თავისი ყმებით და ისინიც, რომელნიც ჩემი სახასო ყმები არიან

და ანუ ეკლესიისა; ვისაც იარაღის ხმარება შეეძლოს თავად-აზნაურობისაგან სუყველა და გლეხებისაგან მხოლოდ თვითო გამოაწვიე. შემოჰკარი ქუთაისის ციხეს, დაამწყვდიეთ შიგ ოსმალეთის ჯარი, არავინ გამოუშვათ! ვინც გამოვიდეს და ქრისტიანობის მიღება განაცხადოს, ის დაკრძალეთ და შემდეგ ჩემთან მოიყვანეთ. მეფე იმერთა „სოლომონ“.

ამგვარივე ბრძანება გაუგზავნა მიქელაძეს.

„თავადს ზურაბ მიქელაძეს სიყვარულით მოგიკითხავ და გიბრძანებ. ახლავე შეკრიბე ჯარი, გამოაწყვე ყველა თავად-აზნაურნი და გლეხნი, საჩინოს სოფლიდან მთელი მთის მცხოვრებნი. ვიდრე გურიის საზღვრამდე; ვაკიდან-ორპირი, კულაში, ჯაგანი, გეზათი. მაედანი, ჯიხაიში ორივე სოფლები, გუბი და ეწერი. კომლზე თითო გლეხი გაიყვანე, თავად-აზნაურს, რომელსაც იარაღის ხმარება შეეძლოს — რამდენიც იყოს ოჯახში, ნუ დატოვებ და შეკარი ფოთის გზა, სადაც გურიისა და ფოთის გზა შეერთდება იქ. ესე იგი ეკალ-მუხურში დაბინავდით. ოსმალოს ჯარი არც აქეთ მომავალი და არც იქეთ მიმავალი არ გაუშვათ, სრულებით გაწყვიტეთ! მეფე იმერეთისა სოლომონ“.

ამ ბრძანების მიღებისთანავე ზურაბ მიქელაძე მივიდა ორპირის ქალაქს და გაგზავნა კაცები ჯარების გამოსაწვევად ამ დროს. მოვიდნენ ახალგაზრდა მიქელაძეები, რომელნიც ჭალადიდს მაყრებად ყოფილიყვნენ ქორწილში და გზაში შეჰყროდნენ თათრებს. იმერეთიდან ტყვეები რომ მიყავდათ სათათრეთში, მაგრამ წინააღმდეგობა ვერ გაეწიათ მეფის ხათრით. ახლა კი, როდესაც გაიგეს მეფის ბრძანება, გამოუდგნენ, მიეწიენ ფოთთან, თათრები გაწყვიტეს და ტყვეები გამოიხსნეს. ეს გარემოება როსტომ ერისთავმა და ლევან აბაშიძემ სიჩქარით აცნობეს კიკიან ფაშას. მან ცნობისთანავე გზის შეკვრამდის გაგზავნა ფოთში კაცი და დაიბარა ჯარები, მაგრამ ამ ჯარებს დახვდნენ ეკალ-მუხურში მიქელაძეები. შეიქნა დიახ ფიცხელი ომი და სულ ცხვრის ფარასავით გადაყარეს თათრები რიონის წყალში. ფიცის კაცებმა ქუთაისის ციხე შემოკრეს: მეფის სურვილი იყო: რომ თათრებთან ომი ყოველ ადგილს ერთსა და იმავე დღეს, რაც შეიძლება, სიჩქარით დაწყებულიყო. მაგრამ პაპუნა წერეთელმა მოუშალა და ურჩია როსტომ ერისთავთან წასვლა და იმასთან მოლაპარაკება. ამ რჩევაზე დათანხმდა მეფე და მოულოდნელად მიბრძანდა ბარაკონს ერისთვისას. როსტომი იმ დროს საღალატოდ ემზადებოდა: უნდოდა, რომ ლევან

აბაშიძესთან ერთად თათრებს მიხმარებოდა და, რასაკვირველია, მეფის მიბრძანება სასიამოვნოდ არ დაურჩა. იმ ღამეს სასტუმროში მიიღო, თვითონ არ ნახა მეფე, ბოდიში მოითხოვა: ავად ვარო, ვახშამი დიახ საკადრისი მოუმზადა: სხვათა შორის, ირემიც დაუკლა და ჭამის გათავებამდის, როგორც მეფის სადღეგრძელოზე, აგრეთვე ისეც, დროგამოშვებით ზარბაზანს ისროდნენ ციხიდან. ორივე კარებზე ოსმალური წესით ორმოც-ორმოცი კაცი ხელჯოხიანები იდგენ უიარაღოდ და ჭამის გათავების შემდეგ შეიარაღებულნი — გათენებამდის. დილას, მეფის პირის დაბანის შემდეგ, გავიდა როსტომ მეფის სანახავად განძრახ მოურიდლად და თავხედად: ახალუხზე ტოლოომო წამოსხმული, წითელი ჯამფარის ნიფხვით და ქოშებით. მეფემ ეს არაფრით შეიმჩნია: „როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო“ — თქვა თავის გუნებაში და ჩვეულებრივ მოკითხვის შემდეგ საქმეზე დაუწყო ლაპარაკი და თხოვა, რომ თავისი რაჭველებით ხრესილზე მოსულიყო და მოხმარებოდა. ერისთავი დიდი მორჩილებით დაეთანხმა, აღუთქვა ოთხიათასი კაცის გამოწვევა. გაგზავნა ყოველი მხრით მისი შვილები ჯარის გამოსაწვევად: რაჭაში და ოსეთში — კუდაროს და თხოვა მეფესაც მასთან დარჩენა, სანამდის ჯარი სულ არ შეგროვდებოდა:

გამოწვეული ჯარები წვრილ-წვრილად იკრიბებოდნენ ბარაკონში ერისთვის დიდ ეზოში. მეფე დიდ შექცევაში ჰყავს: დილაობით ყოველ დღე ყაბახჭე სროლა არის, საღამობით; ჯირითი და სადილ-ვახშამზე ზარბაზნების სროლა... მეფე გაკვირვებულია ამ კაცის ცხოვრებაზე და პაპუნას უბრძანებს: „მადლობა ღმერთს, გურიელსა და დადიანს გარდა კიდევ მყოლია დიდებული ქვეშევრდომებიო“. ამ ყოფაში იყვნენ რამდენიმე დღე, რომ მესამე დღეს ორმა კაცმა ცხენი მოაჭენა ხიდისკართან, მივიდნენ პირდაპირ ერისთავთან და აცნობეს: ნაქერალას მთაზე თათრის ჯარი ამოვიდა და შაორის მდინარეზე დაბინავდაო; როგორც გავიგეთ, ხრესილზე მდგომი ჯარის ოცდაათიათასისაგან ნახევარი აქეთ წამოსულაო. ეს ლაპარაკი მაღალი ხმით იყო. მეფემ მოკრა ყური და უბრძანა ერისთავს: რა ამბავი არისო? ერისთავმა მოახსენა: რაჭაში მტერი შემოგვესია და აოხრებას მიპირებსო, მაგრამ მადლობა უფალს, რომ მეც მომზადებული ვარ, იმას რაჭაში არ შემოუშვებ, ნაქერალაზე გადმოვყრი და მერე თქვენ მოგეშველებითო. ახლაკი წაბრძანდით, დროს ნულარ კარგავთო. მეფემ მადლი უბრძანა და დაიმედებული გამობრუნდა. თათრების ჯარების შესვლა რაჭა-

ში თურმე გამოგონილი იყო ერისთავისაგან. მეფე მოატყუა და დროც დააკარგვია, რომ მანამდი ხრესილზე თათრებისათვის მეფის განზრახვა ეცნობებია. რაჭიდან გამობრუნებულ მეფეს სიმონეთში სარდალი ბერი წულუკიძე დაუხვდა დიდი ჯარით. მეფემ ჯარი დალოცა და გასამხნევებელი სიტყვები უბრძანა: „ჩემო იმერლებო! მტრები ბევრით ჩვენზე მეტია, მაგრამ ნუ შეშინდებით! დღეს მარტო ჩვენ არა ვართ მეომარნი, არამედ ჩვენთანა არს ძალი იესო მაცხოვრისა. დღეს ეჭვერება ქრისტიანობას გამოხსნა. შესწირეთ თავი თქვენი ქრისტეს სარწმუნოებას, გამხნევდით, შვილებო, გამხნევდით! მეც თქვენთან ვიქნები, არც ჭირში და არც ლხინში არ მიგატოვებთ და ღმერთი იქნება ჩვენი შემწე!“ ეს რომ თქვა, ჯარის დაწყობაც ბრძანა. გამოვიდა კერძოთი ცხენოსანი ჯარი. გამოვიდა ბერი წულუკიძე — სარდალი ქვეითი ჯარისა — და დააწყო ქვეითი ჯარი. შედგა სულ ქვეითი და ცხენოსნის ჯარი, თერთმეტიათასი. მეფემ გამოთხოვა პაპუნას ნახევარი ცხენოსნის ჯარიდან და უბრძანა, თუმცა შენ ხარ ყოველ ომში მემარჯვენე. მაგრამ ხვალ მე უნდა ვიქნეო. იმ ღამეს მტერზე ახლოს მივიდნენ. მეფეს არ უძინია, მთელი ღამე დაჩოქილი ლოცულობდა. ბრძოლის წინათ ბრძანა ღვინის მიტანა, აივსო აზარფეშა და თქვა: „დიდება ღმერთსა! ღმერთო, გაუმარჯვე ჩემს ჯარს, საქრისტიანოს დახსნისათვის მსხვერპლად დამზადებულს!“ დაცალა და გადასცა პაპუნა წერეთელს. წერეთელმა თაყვანისცემით ჩამოართვა სასასმო, ააავსო და დაილოცა: „ღმერთო, უსმინე ბატონ მეფე სოლომონსო!“ წერეთელმა ბერ წულუკიძეს გადაულია და იმანაც ჯვარი შეახვედრა წმინდა გიორგის. მოემზადნენ საომრად. პირველ მამლის ყივილზე მიადგა ბერი წულუკიძე, საიდანაც მარჯვე ადგილი იყო. დაჰკრეს საომარი ბუკი და ნაფირი. მეფემ მარჯვნით შეუტია და პაპუნამ მარცხნით. შეიქნა დიდი ფიცხელი ომი. გათენებამდე ძლევა არც ერთ მხარეს არ რჩება. რომ გათენდა, დაინახეს, რომ მეფე შევარდნილა შიგ შუაგულ ჯარში და ხმალამოღებული ეძებს. უყივის და იწვევს დავლურში ალიფაშას. ამასობაში ბერმა წულუკიძემ და პაპუნა წერეთელმა შემოამტვრიეს საფრები. თათრის ჯარი გაქცევას აპირებს, მაგრამ ლევან აბაშიძე თავის ჯარით ამხნევებს მათ!...

მეფემ დაინახა ფაშა, შეჭყივლა თათრულად: „აიყარე იარაღი და ან მარჯვედ დამხვდიო!“ ფაშა მეფის დანახვაზე ისე შეშინდა, რომ, როგორც იყო, ნახევრამდი ხმალი ძლივს ამოიღო. ომის დროს საოცარი რამ სანახავი იყო ბატონი მეფე, მოიგდო

ცხენი და როგორც ქათამს, ისე გააგდებია თავი ფაშას. ალი-ფაშის სოკვდილის შემდეგ სარდლობა აბაშიძეს დარჩა და გაგრძელდა ისევ ომი. რომ არავის უბრძანებია ისე, ერთი ვიღაც ჯარისკაცი გავიდა დიდ ხეზე, მორთო ძახილი: „გაიქცა თათრის ჯარი და ლევან აბაშიძეო!...“ ამ ტყუილმა ძახილმა ჩვენი ჯარი გამოაფხიზლა: ეს ხმა ლევან აბაშიძესაც მიესმა. მოიგდო ცხენი ხეზე, შენიშნა რომ მყვირალი კაცი ხეზე იყო გასული, შემოუარა ხეს და დაეძებდა, საიდან მოეხერხებია სროლა. ამ დროს ერთი ჯარისკაცი თურმე ჩირგვში იყო მიმალული, მიადვა თოფი აბაშიძეს და გადმოაგდო ცხენიდან. გადმოიხედა ხეზე გასულმა კაცმა, დაინახა, რომ აბაშიძის რახტით შემკული ცხენი უპატრონოდ გარბის და პატრონი კი ძირს აგდია მკვდარი, — მოუმატა ყვირილს: „მოჰკლეს აბაშიძე და ფაშა ალი ბეგიო!...“ ამ ორი სარდლის სიკვდილმა თათრის ჯარები სრულიად მოშალა. სამხრობამდის კიდევ გაგრძელდა ომი, მაგრამ მხოლოდ წყვეტდნენ და იჭერდნენ თათრის ჯარს, რომელსაც ხელის გამოღების ღონე აღარ ჰქონდა, თვარა ნამდვილი ბრძოლა-კი დიდი ხნიდან გათავებული იყო. მეფეს, თუმცა წინათვე მოახსენეს აბაშიძის სიკვდილი, მაგრამ ომის დასრულებამდე არ უნახავს. შემდეგ-კი მივიდა, გადააფარებინა ნაბადი და იტირა ისე, როგორც ეკადრებოდა ნათესავს. არც ერთი საყვედური არ უთქვამს! შეაკრეკინა კუბო და დიდი პატივით გაგზავნა თავის სახლში. მოითხოვა აბაშიძის მკვლელი, მაგრამ ვერავინ გამოჩნდა შიშის გამო, სანამ დაჯილდოება არ ბრძანა. მაშინ კი მოიყვანეს მესხეთელი გლეხი გეგელა თევდორაძე

— „როგორ გაბედე შენ ბიძაჩემის მოკვლავო?“ უბრძანა მეფემ.

— „მე ბიძა თქვენი კი არა ქვეყნის მტერი და ორგული მოვკალიო“ — მოახსენა თევდორაძემ. მეფეს გაეცინა, აზნაურობა უბოძა, სახელი გვარად შეუცვალა: თევდორაძობა — გეგელაშვილად, რომ მისი ნაშიერები გეგელაშვილად იწოდებოდნენ. მასთანავე აჩუქა ათი კომლი გლეხი და სახნავ-სათესი ადგილები გეგუთში. გამარჯვებულმა და გახარებულმა მეფემ იმ ღამეს ცუცხვათში მოისვენა და მეორე დღეს ქუთაისს მიბრძანდა.

იყო ერთი დიდი მილოცვა და სიხარული. ამ დროსვე მოვიდა შახარობელი შორაპნის ციხის აღებისა — ქაიხოსრო ჭაჭიაშვილი და ბაღდადის ციხისა — კონსტანტინე კოპაძე. ჭაჭიაშვილს უბოძა არგვეთში ჩვიდმეტი მოსახლე გლეხი და კოპაძეს — წაბლარ ასხევას მთა-ნახევარი. ამ დღესვე გამოეცხადა მეფეს ბერი ლორთქი-

ფანიძე, მიულოცა გამარჯვება და მოახსენა: ეს ოცდახუთი დღე გადის, ციხე შამოკრული მაქვს და გალავანს გარეთ ვერავინ გამოსულა, გარდა ექვსი კაცისა, რომლებიც ასისთავმა მომგვარაო. იმათი წინაპარნი ოდესმე ქრისტიანები ყოფილან და სურთ, რომ ისევ მამა-პაპის რჯულს დაუბრუნდნენო. მეფემ ბრძანა მათი მოყვანა. ლორთქიფანიძე მიუძღვა. ტყვეებმა პირველად თავის წესისამებრ ხელი პირზე მიიდვეს, შემდეგ მიწას პირი დაყვეს, შუბლზე ხელები მიიდვეს და მოახსენეს მეფეს: ქრისტიანობის მიღება გვინდაო, მეფემ ყოველიფური გამოკითხა მათ. გამოდგა, რომ ერთი მათგანი — გვარად კვინიხიძე — აჭარიდან იყო, მეორე — გვარად ქვარიანი—შავშეთის ქვეყნიდან; მესამე — გვარად ჭოღოშვილი — ასპინძიდან, მეოთხე — გვარად კიკიანი — ჭანეთიდან, მეხუთე — ინაკავაძე — ჩაქვიდან და მეექვსე — კეკერაძე — ქობულეთიდან. ეს კაცები თავის რჯულისამებრ სწავლით განათლებული იყვნენ. მეფემ უბრძანა მათ: ეგებ გულით არა გსურთ ქრისტიანობა და შიში გაიძულებდესთო? მე ძალას არ გატანთ. გამითავისუფლებიხართ, წადით, სადაც გინდათო.

ამ სიტყვაზე დაიჩოქეს თათრებმა და რჯული ქრისტიანობისა ითხოვეს. მეფემ პაპუნა წერეთელი მისცა მათ ნათლიად. ჩაიყვანეს თვით მეფის სახლის ოქროს ჩარდახთან და მონათლეს, მეფემ უბოძა მათ აზნაურობა და მამულებიც დაანათლიავეს. ერთმა მათგანმა — ანანია ჭოღოშვილმა — მიიღო ქართული სწავლა და მშვენიერი მწერალიც იყო. ბევრი გრამოტები და განჩინებები არის მისი ნაწერი იმერეთში.

როგორც ზემოთა ვთქვით, ქუთაისის ციხე ფიცის კაცებისაგან იყო შემოკრული. ფოთიდან თათრები საზრდოს ვეღარ აწვდენდნენ, რადგანაც ზურაბ მიქელაძე შიგ კრიჭაში უდგათ. დრო იყო, რომ შიმშილით დაღონებულ თათრებზე იერიში მიეტანათ, მით უფრო, რომ სამიათასი კიბე გარედან ციხეზე მისადგმელი ფიცის კაცების მზად ჰქონდათ და მეორე დღეს კიდეც მიადგენ. ბერმა ლორთქიფანიძემ უბრძანა ნაფირის დამკვრელს, სანამდი მე გალავანზე არ შევდგე და ნიშანი არ მოგცე, ნაფირი არ დაუკრაო. ჯარსაც ეს ჰქონდა მისგან ნაბრძანები, რომ პირველ. ნაფირის ხმაზე ყველა ერთად გადამხტარიყო გალავანში. მიადგეს ღამით გალავანზე კიბეები, შეჩერდნენ მაღლა, დაჰკრეს ნაფირი და ყოველი მხრიდან ერთ დროს გადავიდნენ ციხის გალავანში. შეიქნა დიდი ბრძოლა და მზის ამოსვლამდის იბრძოლეს. მოკლეს კიკიანი ფაშა და ჯარიც სრულებით ამოწყვიტეს. ციხეში გამომწყვ-

დეულმა მტრებმა შიმშილის გამო მაინცდამაინც დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. ამ შემთხვევაში იყო ერთი არგვეთის აზნაური, გვარად ჩიკვაიძე, თავის სიმამრს ავალიანს ახლდა; შეხვდა ხატაველი კატა, რომელსაც ქართულად ბარგის კატას ვეძახით. გასულიყო ხეზე და ტოტებზე დახტოდა. ჩიკვაიძემ დაანება თავი ომსაც და საშოვარსაც, მორთო ჭყივილი და იხვეწებოდა: ეს კატა დამაჭერიეთო, მაგრამ რა დროსი იყო და ვინ აყვებოდა, რომ მოხმარებოდა. გამარჯვებულმა ჯარმა ერთად შეკრიბა ყოველივე საშოვარი და საომარი იარაღი, მიართვა მეფეს, მაგრამ მეფემ ყოველივე იმათვე უბოძა, გარდა ზარბაზნებისა. ეს უკანასკნელი იყო ქუთაისის ციხე, რომელიც ეჭირათ თათრებს ხელში და რაღაი ეს აიღეს, კიდეც გაწმინდა იმერეთი სრულიად თათრებისაგან. დამშვიდდა ქვეყანა და ძლევამოსილი მეფე მიეცა სიცილსა და განცხრომას. ყოველი მხრით მოდიოდნენ დიდებულნი და, მორჩილებით თაყვანისმცემელნი, ულოცავდნენ გამარჯვებას.

ქუთაისის ციხე საკუთრად ფიცის კაცებმა აიღეს, ისე რომ, სხვა აღარავინ გაურეკიათ; ფიცის კაცები იყვნენ შემდეგი გვარისანი: თავადი ლორთქიფანიძეები, აზნაურნი: მესხი, ავალიანი, იოსელიანი, ღოღობერიძე, მიქაბერიძე, ყიფიანი, ქორქაშვილი, იაშვილი, უგრეხელიძე, გრიგოლაშვილი და ჭაბუკიანი. ესენი ცხოვრობდნენ სოფლად: ახალბედისეულში, დედალოურში, ცხუკურში, გვაშტიბში, ჩუნეშში, წყალტუბოში, ქვილიშორში, გუმათში, ჯიმაშტარში, ოფიჩხეთში, ნამხვანში და რიონში. ამ სოფლებს საზღვრავდა აღმოსავლეთით სოფლები: სიმონეთი, ქვაშვა, ნავენახევი, ძევრული ანუ იგივე ძევრი, ჩხარი და ნაქერალას მთა; აქედან გაგრძელდებოდა დასავლეთით, ვიდრე დადიანის საზღვრამდის და ხონამდის; სამხრეთით: ვაკე იმერეთი — ქუთაისი და ჭიშურა; ჩრდილოეთით: კვალადვე დადიანის საზღვარი, ბომბუას ხიდი, გორდი და ლეჩხუმი, ვიდრე რაჭის საზღვრამდის. ამ საზღვრებს შიგნით, ზემოთ თქმული სოფლები ისეთი მიუდგომელი ადგილები იყო, რომ ვაკე იმერეთიდან და ქუთაისიდან ურმის შესვლა არ შეიძლებოდა: სრულებით მთაგორა და კლდოვანი-ადგილები იყო. ვაკეს სივრცით ერთ ქცევა ადგილსაც იშვიათად შეხვდებოდი. გარდა ერთი ადგილისა, რომელსაც ჰქვია გურეშევი; ამ გურეშევის ზემო კერძოთი უძახდნენ ერთ პატარა ნაკვეთ ადგილს ლეკერწას, სადაც იდგა ერთი შესანიშნავი დიდი მუხის ხე, ფიცის კაცნი, ვიდრე თუთხმეტი წლისა, თავისი ყმებით, სამღვდელოებით და

ხატებით მათი ეკლესიისა და მუხის ხესთან — შეიკრიბებოდნენ ყოველ წლობით თუთხმეტ მაისს და იფიცებოდნენ ესრეთ: მეფის ერთგული ვიყოთ და თანაც ჩვენი ოჯახების მტრის მტერი და მოყვრის მოყვარეო. გვარებს კი თვითეულად აღიარებდნენ — როდესაც ერთი მათგანი ფიცს ასრულებდა, მისი ყმები უკან იდგნენ და ფიცის შესრულების შემდეგ მიდიოდნენ, ხელებზე ხელს ადებდნენ და იტყოდნენ, ჩვენი ბატონი მართალს ფიცავს ამისმა მადლმაო. და რომ ფიცი გათავდებოდა, გამოვიდოდნენ იქვე გურშევის დიდ მშვენიერ მინდორზე, იქ ჰქონდათ მომზადებული ნეშოს კარვები, ბარგი, ხაბაზები, მზარეულები და ყოველივე ჭამის სამკაული, ვისაც როგორ თავი მოსწონდა. ლოგინებად ჰქონდათ ნეშო და ზედ გაგებული ხალიჩები და ქვეშსაგები საზაფხულო. თუმცა, როგორც ბინა ცალ-ცალკე, ეგრეევე სადილ-ვახშამიც კერძოდ კეთდებოდა, მაგრამ ჭამად-კი ყველანი ერთად დაჯდებოდნენ. პირველად უმთავრესი სასასმოთი უნდა დაელიათ ღვინო და ეთქვათ: „დიდება ღმერთსა! ღმერთო, გაუმარჯვე ჩვენს მეფეს და მის ერთგულს ერთობით ფიცის კაცს, შენდობა ბატონოო". იყო სიმღერა, ცეკვა-თამაში და გაუწყვეტელი თოფის სროლა. ეს ლხინი გასწევდა, უკეთუ დარი იქნებოდა, ორ კვირეს. იყო ყოველ დილაობით ყაბახზე სროლა, საღამოს ჯირითი, პირველი ყაბახის გაგზავნის მოვალე იყო მეფე; აგზავნიდა პტყლად გაჭედილ ვერცხლს. იმის ჩამოგდების შემდეგ დასვამდნენ ყაბახად ქაშანურს, მაგრამ ყოველი ოჯახიდან იყო მოტანილი ნაცვლად ყაბახისა ვერცხლის იარაღი, ე. ი. აზარფაშა, თასი და დიდროვანი ვერცხლის სტაქნები და ვის სახელზედაც ყაბახი დაისმოდა, მისი მიტანილი ვერცხლეულობაც იქვე ხის ძირში იდვა. ვინც ყაბახის ქაშანაურს გატეხდა, ვერცხლიც მისი იყო. ფიცის კაცს დიდი გავლენა ჰქონდა მეფეებთან, ასე რომ უკეთუ ვისმე მეფე გაუწყრებოდა, შერისხული შამართავდა ფიცის კაცს და თუ შეასწრებდა ფიცის კაცის საზღვარში, მდევარი ვეღარ შეყვებოდა; რა კი ფიცის კაცს მოუნდებოდა, მეფე ძალით ვეღარ გამოიყვანდა. შეიკრიბებოდნენ ერთობით ფიცის კაცნი, ესენი ცოტანი არ იყვნენ: ათასი მეომარი სახელოვანი გამოვიდოდა მარტო თავად-აზნაურნი და მათი ყმები—კი, რასაკვირველია, ზედმეტი იყო. ფიცის კაცნი თავის ყმებით შეკრებილნი, ერთ ადგილას, ქუთაისის შახლობლად დაბინავდებოდნენ, მიუგზავნიდნენ მეფეს მოციქულს და მოახსენებდნენ, რომ ეპატიებათ მათთვის ის დამნაშავე კაცი. არ იშუამდგომლებდნენ მხოლოდ მეფისა და ქვეყნის მოღალატეზე; სხვებს კი, როცა შენანებულს ნახავდნენ, თავის კალ-

თას აფარებდნენ და მეფეც იძულებული ხდებოდა მიეტევებია. ფიციის კაცებს, მეტადრე ომის დროს, დიდი ერთობა ჰქონდათ: ომში ერთად შედიოდნენ, ერთი მეორეს ვერ დატოვებდა, კვდებოდნენ ერთად და გამოვიდოდნენ კიდევ ერთად. როგორც დაჭრილს არ დატოვებდნენ, ეგრეთვე არც მკვდარს და თუ ვისმე შენიშნავდნენ, რომ ხელგამოუღებელი და ან შეშინებული მოკვდა, იმას აღარ მარხავდნენ და არც შინ წამოიღებდნენ, მინდვრად დატოვებდნენ მხეცების შესაჭმელად. უკეთუ ამისთანა კაცი ცოცხალი დარჩებოდა ომის დროს, იმაზე იტყოდნენ: ფიციის კაცს ულალატაო და აღარც შეიძლებოდა დაეყოვნებიათ მათ საზღვარში, აყრიდნენ და გადაასახლებდნენ, მაგრამ მის ადგილ-მამულს კი ფიციის კაცებივე შეიყიდდენ ღირებულ ფასად.

პირშავი ერისთავი დიდხანს არ მიკარებია მეფეს, სანამ არ დარწმუნდა, რომ მეფე სახუმროდ აღარ გაძლიერდა და მორჭმით ზის ტახტზეო. მაშინ კი წამოვიდა შვილებიანად, მეფის მისალოცავად, წყვილი ირემი და საქებარი სახორცეები წინდღით მოართვა. მეორე დღეს მოვიდა, ბინა უჩვენეს, გადახტნენ, ტანისამოსი გამოიცვალეს და იახლენ მეფეს. ორი დიდებული მეფის კარისკაცი წინ მიუძღოდა. მეფე აუდგა. ერისთავებმა კვანტ გადადებით თაყვანი სცეს და გაჩერდნენ. — „ყოვლად ძლიერო მეფეო იმერეთისა, დიდო სოლომონ! — ჰკადრა როსტომმა — მოგილოცავ, გამარჯვებას, რათა ძლევა შემოსილმა მარჯვენამა თქვენმა დათრგუნა წინააღმდეგნი მტერნი თქვენნი ქვეშე ფერხთა თქვენთა. თქვენ დააგვირგვინეთ სამეფო თქვენი ესე, ვითარცა წინაპარმან თქვენმან ლეონ ბაგრატოვანმა, რომელსაც დაადგა თვით ანგელოზმა თავსა ზედა ზეგარდმო ხელთუქმნელი გვირგვინი, ვითარცა უბრძანა მცხოვარმა მოციქულსა პეტრეს: შენ ხარ კლდე და ამა კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემიო. ეგრეთვე შენ ხარ კლდე გმირობისა და სიმტკიცე ქრისტიანობისა. თქვენ შეიმოსეთ ძალი ძლიერი, გაანათლეთ იმერეთი და ამიერიდან მაჰმადიანის მძორებითა აღარ შეიბილწების ნათელღებული სამშობლო ჩვენი. ვთხოვ, ზეგარდმო განგებას, ესრეთ განაგრძოს დღენი თქვენი მრავალ წელს და შემდეგ თქვენი მეფობისა მემკვიდრეთა თქვენთა ასეთივე ძალა და დიდება შეიმოსონ, ვითარცა თქვენ!“ მეფე თვალებში შეჩერებოდა და ბოლოს ბრძანა ცივად: როსტომ ერისთავო, ღმერთსა ვთხოვ ის შემასრულებიოს შენთვის და ჩემი სამეფოსთვის, რაცა მსურდეს და გულში მედვასო. დარბაისლებმა დასძახეს ამინ: პა-

პუნა წერეთელმა-კი ორჯერ გაიმეორა ამინ, ამინო. ერისთავებმა კვალადვე თაყვანის სცეს. მეფემ ფეხი წინ წამოდგა, როსტომმა გულზე აკოცა, მეფემ თავზე, შვილები — კი ხელებზე ეამბორენ მეფეს. ბრძანა მეფემ სელის მოტანა და გვერდით მოისვა ერისთავი. შვილები კი მოშორებით, კერძო ადგილას დასვეს. ისეთი რამ სანახავები იყვნენ ერისთავები, რომ უცნობი ვინმე როსტომს მეფედ ჩათვლიდა და მის შვილებს მეფის შვილებად. დიდხანს დარჩენ მეფესთან ერისთავები, ერთად ისადილეს და სადილის შემდეგ-კი გავიდნენ ბინაზე. შვილებმა უთხრეს როსტომს: ძალიან ალერსიანად გვეპყრობა მეფეო! მამამ მწარედ გაიღიმა: თქვენ ვერ ატყობთ, თორემ ეგ ალერსი რისხვაზედაც უარესიაო. პაპუნა წერეთლის ამინ-ამინი კარგს არაფერს მოასწავებდაო და თუ ჩვენ თავი დღეს არ დავაძვრინეთ როგორმე, ცუდად არის ჩვენი საქმეო. შორს გამჭვრეტელმა ერისთავმა პაპუნა წერეთელი და ორი დიდებული გაუგზავნა მეფეს და თხოვა: რადგანაც სიშორისა გამო თქვენთან ხშირად ხლება, სამსახური და ერთგულების გამოჩენა არ შემიძლია, გთხოვთ თქვენ მიიღოთ ჩემი ყოველივე სამკვიდრო: ბარაკონში ციხე და სასახლე, ამბროლაურში კოშკები და სასახლე, სევან ციხე, და სასახლე, ონში ციხე-სასახლე და თვით პატარა ქალაქიც. ამასთანავე ყოველი ჩემი რაჭის სამფლობელო აზნაურგლეხებით და სამაგიერო აქ მახლობლად სადმე მიბოძოთო. მეფეს ეს ამბავი დიდად იამა. აღუთქვა სამაგიეროს ბოძება. როსტომს ვეზირობა უბოძა, მის შვილს გიორგის სარდლობა და მეთოდეს— დივანბეგობა. მერე შემოიკრიბნა ვეზირნი და ჰკითხა, თუ რა მიეცა შენანებული ერისთავისათვის ამ დათმობის სამაგიერო. მათი რჩევისამებრ დაიბარა მდივანი და მისცა მას ღრამოტის შედგენაზე თანაშემწედ ოტია ჩხეიძე: „ჩვენ მეფეთ მეფემან იმერეთისმან სოლომონ პირველმან და დედუფალთ დედუფალმან მაკრინემ ესე წყალობის წერილი გიბოძეთ შენ, ჩვენს ერთგულს დიდებულ თავადს როსტომ ერისთავს, შვილთა და მომავალთა თქვენთა, ასე რომ გიბოძეთ ყმად სოფელს გეგუთში მცხოვრებნი გლეხნი ყოველივე გვარისანი, გარდა ამისა სოფლები: პატრიკეთი, უკანეთი და მესხეთი, რაც ამ სოფლებში მცხოვრებნი: გლეხნი და აზნაურნი არიან საჩემო — ყველანი შენ გიბოძეთ; გარდა ამისა, სამოსახლოდ გიბოძეთ — გეგუთს თამარ მეფის ნასახლი, ციხე და ეკლესია; რაც ნაკლულობა აქვს, მე უნდა გავაკეთო. გარდა ამისა საშეშედ საღორიას ტყე ქუთაისიდან სამხრეთით ხანის წყლის მდინარის ღე-

ლემდის, აღმოსავლეთით წყალწითელას მდინარის ღელე, დასავლეთით რიონის მდინარე. გიბოძეთ მთა საჯოგეებით — სახელწოდებული „ტიტვლათ“. აღმოსავლეთით ქართლის საზღვარი, დასავლეთით — ჩიკვაიძის საზღვარი, სამხრეთით — ახალციხის საზღვარი, ჩრდილოეთით — სოფლები. ესე ზემოხსენებულნი აზნაურნი, გლეხნი მიწა-წყალ-მთებითურთ შენთვის გვიბოძებია. უკეთუ ჩვენი ერთგული და ბრძანებისა ჩვენისა მორჩილი იქნები, ესე წყალობა შენ და არცა შენს შვილსა და მამულს არ მოეშალოს არასოდეს ჟამსა. აწ არიან სიგელისა ამისა მოწამენი ვეზირნი და დიდებულნი კარისა ჩემისანი: წერეთელი პაპუნა, აბაშიძე პაატა, მიქელაძე ზურაბ, წულუკიძე ბერი, ჩხეიძე ოტია, ლორთქიფანიძე ბერი, თამაზა მესხი, მამუკა მდივანი, პაპუნა და ქაიხოსრო აბულაძეები, თანდარუხ იოსელიანი და დარბაზის ერნი“. ეს ღრამოტა ხელჩართულ ბეჭდიდურთ უბოძა ერისთავს პაპუნას ხელით. ერისთავი გამოვიდა თავის შვილებით, მივიდა მეფესთან, კვანტ გადადებული მადლობა შესწირეს და მოახსენა, რომ მას მისცეს მეციხოვანები და ციხეები ჩაიბაროს. შინ წასვლის ნებაც გამოითხოვა. მეფემ დასტური უბოძა და ციხეების მისაღებად მეციხოვანები ბასილა და კვირიკა იამანიძეები გაატანა. გამოეთხოვა ერისთავი მეფეს და წავიდა რაჭას. ნაქერალას მთის გვერდზე შემოხვდა ერთი რაჭული აზნაური, მეფესთან მომავალი. ერისთავმა ამ მგზავრს გაატანა წიგნი მეფესთან და უბრძანა: თუ შენი ხელით არ მიეცი მეფეს, რაჭის ქვეყანას გამოეთხოვეო. მან დიდი შიშით მოახსენა: მიტანის დროს ორივე ხელები რომ მომჭრას მეფემ, მაინც მივართმევო. წიგნში ასე ეწერა:

„შენსა მოველ და შევამკობ შენსა ტანადობასა,
შენი უდასტურობა-კი არღვევს ბატონ-ყმობასა“.

ეს წიგნი იმ აზნაურმა მიართვა მეფეს. მეფემ წაიკითხა და პაპუნა წერეთელი შემოიხმო და ჰკითხა: — ჩემო პაპუნა, როსტომ ერისთავმა ხომ არ დაგვატყუილა, რომ ხელიდან გაგვძრომოდაო? პაპუნამ შორს დაიჭირა, მაშინ გადასცა მეფემ წიგნი და წაიკითხა. წერეთელს კიდევ არ ეჯერა და ამბობდა: რა ვიცი, რაც ის გახარებული მიდიოდაო! — გახარებული მიტომ წავიდა, რომ ჩვენ მოგვატყუა, ხელიდან გაგვიძვრაო — ბრძანა მეფემ და თუ ასე არ იყოს, ამ წიგნის მოწერას ვერ გაბედავდაო. გზაზე ერისთავმა უთხრა შვილებს: „ასე რომ არ მოგვეხერხებია, ჩვენი საქმე ცუდად იყო და უთუოდ დაგვამარცხებდნენო. ვერ შენიშნეთ, როგორ წვრილ-წვრილად იკრიბებოდნენ ფიცის კაცები: ლორთქიფანიძეები, მეს-

ხები, ავალიანები, იოსელიანები და სხვანიო. ოთია და მისი ძმა ივანეც ცალ-ცალკე მოვიდნენ, რომ იჭვში არ შევეყვანეთო. — „ეგ ორი ძმა მესხი და არჩილ ბატონიშვილი სწორეთ რომ სასაშიშრონი იყვნენ და სხვების კი რა მოგახსენოთ“ — ჩაილაპარაკა მეთოდემ. — „შენმა გაზდამ არც სხვები იყვენ მაგათზე ნაკლები! ბევრი უკეთესებიც არიან იმერეთში, მაგრამ ერთხელვე მაგათ დავარდნიათ ვაჟკაცობის სახელი და ის არისო“—მიუგო უმცროსმა ძმამ გიორგიმ. ამ საუბრით მივიდნენ რაჭაში თავის სასახლეში, სოფელ ბარაკონს. ბასილა და კვირიკა იამანიძეებს ციხის გასაღების მაგიერად შემდეგი წიგნი გაატანეს მეფესთან:

„ესე ასე არ იქნების, ბასილა და კვირიკაო!
ციხეს მართმევს, მინდორს მაძლევს, დავჯდე უნდა ვირიკაო?!
წადით, უთხრათ თქვენსა მეფეს: მე გახლავარ დიდი როსტომ!
მე ერთგულად გიახელი, მიპირობდი ღალატს რატომ?
სიტყვით გითვლი, წიგნსაცა გწერ, ხელი აიღე რაჭაზედ!
მიხვდი, რომ აღარ გმორჩილობ, სწორი გიდგები ძალაზედ!
რაჭის ბეგარას ავიღებ, არ გერიდები ამაზედ.
უბაწროდ ვირი დამაბით დამტვრეულ ჩელტის ბაგაზედ?
თუ მიპირებ ამოწყვეტას, აწ მობრძანდი ,რაღას ყოვნი?
ციხე მიდგას მაღელ კლდეზე და ზედ მოკვრით ბარაკონი,
ხიდისკარში მცველები მყავს და კოშკები სამაგრონი.
ჩემი იყო, ქვეც წაგართვი კუდარო და რაჭა-ონი.
ჩემი წინაპარი იყო ერისთავი კახაბერი,
თამარ მეფის მამობილსა ყმანი ჰყავდა ორი ბევრი.
მე ვარ მისი ტომისაგან, ვერ მატირებ, ტყვილა მღერი,
გემორჩილო, არ გახლავარ ქაჯაია შენი გერი!“

ეს წიგნი იამანიძეებმა მისცეს სახლთუხუცესს. იმას არ უნდოდა ეჩვენებია მეფისთვის, მაგრამ დაფიცვაც აღარ შეიძლებოდა და მიართვა. ამ წიგნის წაკითხვაზე მეფეს ცეცხლი შემოედვა. მოიხმო სარდალი წულუკიძე და უბრძანა: — წადი ახლავე ბარაკონში, ერისთავები გაწყვიტე ცოლ-შვილით, ციხეები, კოშკები და ყოველივე მათი შენობა დაწვი, დაამტვრიე ხიდისკარის კოშკები!.. თუმცა სალი კლდე არის გამოკვეთილი, მაგრამ წაიყვანე ოსტატები, მიეცი ლაღუმი და მოშალე. ერთი სიტყვით ქვა-ქვაზე დააღეღეო!.. ეს რომ დარბაისლებმა და კარის კაცებმა გაიგეს, იუცხოვეს: უჩვენოთ ასე მძიმე საქმე ბატონს ვერ უნდა გადაეწყვიტაო, ერისთავთან ომი როგორ ეკადრება: ერთი მის თავადთან ბრძოლა სირცხვილი არისო! ამას გარდა ერისთავთან, იმის სიმაგრეების პა-

ტრონთან, არც ასე ადვილია შებმაო. ყველანი ერთად შევიდნენ მეფესთან და თაყვანი სცეს ჩვეულებრივ. მეფე ტახტზე ბრძანდებოდა; შუბლზე რაღაც მწუხარების ხაზი ჰქონდა გადაკრული. მეტი სიფიცხის გამო თვალთაგან ცეცხლს ყრისო, იტყოდი. დიდებულნი თავდახრილნი შეყურებდნენ, პირდაპირ თვალს ვერავინ უმაგრებდა და საძნელოც იყო. უბრძანა დაჯდომა. ჩამოწკრივდნენ თავ-თავის ადგილებზე. წერეთელმა მდივანს გადასცა ერისთავის მოწერილი. მდივანმა წაიკითხა — ყველანი განცვიფრებაში შევიდნენ და იწყეს დარბაზობა.

პ ა პ უ ნ ა. მეფემ გადაწყვიტა ჯარის გაგზავნა, გაწყვეტა ერისთავების, დაქცევა და დაწვა ყოველი მათი შენობისა, — თქვენ რას იტყვით?

პ ა ა ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე. ღირსია ყოველგვარ უბედურების მიყენებისა! როგორ გაბედა ან დატყუება და ან ამ წიგნის მოწერა?! დიახ, კარგად უნებებია ბატონ მეფეს.

ბ ე რ ი წ უ ლ უ კ ი ძ ე. რადგან ნაბრძანები მაქვს საომრად წასვლა, ვერას ვიტყვი.

ბ ე რ ი ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ადგება და მეფეს შეჰყურებს.

— რას გაჩერდი, ბერო?

— მეშინია მოგახსენო.

— ნებას გაძლევ, თქვი!

— ერისთავი შენი ყმა არის. საკადრისი არ არის ერთი თავადისათვის აგრე აჩქარება, ბატონო მეფე! მასთან ამასაც ნუ დაივიწყებთ, რომ სამასი კაცი იმერეთიდან, ოდიშიდან და გურიიდან თან ახლავს. ესენი ყველა კარგი ოჯახის შვილები და ძლიერ მარჯვენი არიან. ორასი კაცი რაჭველი, ოსი, ჩერქეზები და სვანნი ახლავს. ამას გარდა თავისი საკუთარი ოჯახის გამგე და მოსამსახურეებიც ჰყავს ყველა იარაღს ქვეშ. ხიდისკარში კოშკები, ორივე მხრით სალი კლდეა გამოკვეთილი. რიონის ხიდის საძირკველის თავები ორივე მხრით კოშკების კარზე არის მიდებული. ორმოცორმოცი კაცი თითოში ჰყავს ყარაულად. ერთი ათასს დაამარცხებს. ამბროლაურის აღება კი არ არის საძნელო, თუმცა ჯარი იქაც ჰყავს კოშკებში, მაგრამ რადგან გაშლილი ადგილი არის, როგორც ხოტევიდან დაინახავენ მიმავალ ჯარს, სასახლის კოშკებს დატოვებენ და მიემატებიან ხიდისკარის ყარაულებს. ეს კოშკები ისე მიუდგომელია, რომ ზარბაზანი არ მიუდგება და თოფიც არ მოეხერხება და იმათ კი ხელის გულზე ეყოლებათ მიმსვლელები. ამ ხიდის-

კარს გარდა შესვლა არ შეიძლება. ონის მხრიდან რომ მოიაროს ჯარმა, ცალი მხრით რიონის წყალი მიდის და ჩაივლის ციხის და სასახლის ძირზე და მეორე მხრით სალი კლდე მიდის, შუაში ვიწრო გზა მიყვება. ციხე მისთანა ადგილას აქვს, რომ არც ონიდან მიმსვლელს და არც ხიდისკარიდან მიმსვლელს არ ააცდენენ ზარბაზნის ტყვიას. უეჭველია, დიდ ზარალს მოგცემს ერისთავი და შევრცხვებით...

ზ უ რ ა ბ მ ი ქ ე ლ ა ძ ე. ეჰ, თუ ერთ თავის ყმას მეფე ვერ მორევია, რაღა მეფობა ქვია ამისთანა მეფობას? ყმა კი არა, ამხანაგი ყოფილა და ის არის!

ო ტ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე. ერისთავის დასამორჩილებლად რომ რამდენიმე ათასი თავად-აზნაური დავკარგოთ, რა მოგება იქნება?

თ ა მ ა ზ მ ე ს ხ ი. თუ ერთი თავადის დამორჩილება ჩვენს ქვეყანაშივე ასე გაგვიძნელდა, გარეშე მოსაზღვრე მტერი რაღად ჩაგვაგდებს და არც ჩასაგდები ვიქნებით!

მ ა მ უ კ ა მ დ ი ვ ა ნ ი. ასეა ბრძენთაგან ნათქვამი: „ხერხი სჯობია ღონესო, ვინც კი მოიგონებსო“. ძალაცა და ხერხიც ორივე შეგვიძლია. რა საქები იქნება, ერთ კაცს თავი შევაკლათ. და ვის? ისევ ჩვენს ყმას! ის შემძვრალა კლდეში ისე, როგორც დათვი სოროში და იქადება! ამას უნდა შოტყუებით გამოყვანა, მერე რაც ეკადრება...

ბ ა ბ უ ჩ ა ა ბ უ ლ ა ძ ე. ნათქვამია ესეც „სადაც არა სჯობს გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანო“. კაცი შემძვრალა გამოქვაბულ კლდეში, შენი ნასროლი ვერას აკლებს და მისი არ აგცილდება. ამისთანა ადგილზე ომს უომრობა სჯობია, ერთხელაც იქნება ისეც ჩაგვივარდება ხელში.

ქ ა ი ხ ო ს რ ო ა ბ უ ლ ა ძ ე. ათიათასი მეომარი რომ გაიგზავნოს ერთ კაცზე, სირცხვილი იქნება. ის არ არის მეფე და არც მთავარი. იმისთანა დიდებული თავადები სხვებიც არიან ჩვენს სამეფოში. მისი ძალაა მხოლოდ ადგილის სიმაგრე და რათ შევაწყდეთ? სჯობია, როგორმე აქეთ მოვიტყუოთ.

თ ა ნ დ ა რ უ ხ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი. შეიძლება არც კი შეგვებას, დაგვიტოვოს ციხეები, გადავიდეს საზღვარ გარეთ, შემდეგისათვის მოემზადოს, შეკრიბოს ოსეთის ჯარი, მოიმხროს ჩერქეზის მთავარი — ყიზილიყო ბატონი, მისი დიდი მეგობარი. ამას გარდა სვანეთის მთავართან მომძახლობა აქვს, აფხაზეთის მთავარ ქელეშბეგ შარვაშიძე შვილობილია მისი. ესენი ყველა ჯარს ათხოვებს, ერთი

სიტყვით, ყოველი კუთხით შფოთსა და უკუღმართობას აგვიტეხს. არ ივარგებს ჯარის გაგზავნა. ვაცალოთ რამოდენსამე ხანს და მერე მოვიტყუოთ რამენაირად.

ამ დროს მეფის ძმა არჩილ შემოვიდა. გააშინჯეს იმასაც ნათათბირები და იმანაც ასე ბრძანა: მართალია, ჩვენს ყმასთან ბრძოლა საკადრისი არ არის, როცა იქნება, ჩაგვივარდება ხელშიო. მეფე სრულებით გაჩუმებული იყო, ხმა არ ამოუღია. კარისკაცებმა თაყვანი სცეს და წავიდნენ თავთავის სახლებში. გავიდა რამდენიმე წელიწადი, ეს საქმე სრულებით დაჩუმდა. ეს კი იყო სამწუხარო, რომ თითო ოჯახიდან რამდენიმე სული ზოგი მეფეს ახლდა და ზოგი ერისთავს. ძმა ძმას ვეღარ ხედავდა, მამა—შვილს, შვილი — მამას და ნათესავი — ნათესავს. ტკბილი მოყვრობა მწარე მტრობით შეიცვალა და აირიენ ოჯახები რაჭა-იმერეთში. ერთ დღეს რჩევისამებრ ვეზირთა და დიდებულთა მეფემ შეიხმო ძმა მისი იოსებ ქათალიკოსი და შეჩივლა. ხომ ხედავ, რომ როსტომ ერისთავი გამიორგულდა!... მასთან ჩხუბი მცხვენია და ისე კი არ მეპუება. რომ შეინანებდეს, ყოველსავე მიუტევებ, შევირიგებ და დავიახლოვებ, რადგანაც ყოველგვარად შესანიშნავი კაციაო. მშვიდობისმოყვარე ქათალიკოსმა ეს რომ გაიგონა, იამა, მოუწონა მეფეს და შუამავლობაც თავს იდვა. დაიბარა ქაიხოსრო აბულაძე და დაუყოვნებლივ გაემართა თავის კრებულით და მხლებლებით რაჭისაკენ. რაჭის საზღვარს რომ მიაღწია, ერისთავმა შეიტყო და მოაგება თავად-აზნაურები და ერთი მარქაფა ბედაური, ძვირფასი უნაგირით და რახტით აკაზმული, მიეგებენ ნიკოლოზ წმინდის ტაძართან. თაყვანი სცეს და გაუძღვენ, როგორც ჩვეულება იყო. ყველა წინ მიუძღოდა, გარდა მეჯინიბისა; ის კი უკან მიდევდა: ცოტა მოშორებით მიჰყავდა მარქაფად ძუა-ფაფარ შეღებილი ულაყი. მიაღწიეს რა ამბროლაურის სასახლეში, დაკრეს ეკლესიას ზარა და კოშკებიდან ჯაზაირები დაცალეს. აქ დახვდნენ ერისთავის შვილები. იდგა ჯვარით თავში კარის მწირველი მისი სასახლის მოძღვარი იოანე — მისივე აზნაური, გვარად ბაქრაძე. გადახტა ცხენიდან ქათალიკოსი, მივიდა და ჯვარს ემთხვია. წინამძღვარმა შესხმა მოახსენა: „მღვდელმთავრობისა კვართითა შემომკობილმან ღვთის მეცნიერად ქადაგებენ, სახარება სასუფევლისა, იოსებ, და მართლმადიდებლობისა სწავლანი აღმოთქვენ და ეკლესია განამდიდრე მოძღვრებითა და აწ განათლებულად მამისა თანა ძესა სულით წმინდითურთ ღვთის მეტყველებდეთ და ვადიდებდეთ ყოველნი მეუ-

ფებასა შენსა, რომელსა ეკედრე ცხოვრებად და განათლებად სულთა ჩვენთათვის“. ქათალიკოსმა ჯვარი გადასახა, ერისთვის შვილებმა ხელი მოჰკიდეს, შესვეს იმ ცხენზე, რომელიც მიაგებეს და გაუძღვენ წინ. ხიდისკართან დახვდნენ სამღვდელოება და ხალხი მრავალი საეკლესიო ბაირაღებით. ესენი წინ გაუძღვენ და ჩავიდნენ ერისთავის ეზოში. დაჰკრეს დიდი ხმოვანი ზარა — ეს სამღვდელო წესი ანუ პატივისცემა იყო სამღვდელოებისა და ამას გარდა, რადგანაც ეს ქათალიკოსი გვარად ბაგრატიონი იყო და მეფის ძმა, მეფის წესისამებრ დაუხვდნენ: ციხიდან ზარბაზნის სროლა დაიწყეს, ჭიშკარს შიგნით ერისთავის ცოლი შეეგება, თან ახლდა ელისაბედ მონაზონი ღვთისმშობლის ხატით. მოეგება თვით ერისთავიც, უამბორეს და ხელმოკიდებული მივიდნენ ეკლესიის კარებთან. აქ მოართვეს მანტია და კვერთხი. ერისთვის შვილებმა გალობით შესხმა მოახსენეს: „იესო მთავარი მშვიდობისა მოვიდა დღეს“ და სხვანი. დაჰკრეს დიდხმოვანი გუსლი, მგალობლებმა ზედვე კილოთი დაიწყეს: „უფალო ღაღად უყავ შენდამი, ისმინე, ისმინე ჩემი, უფალო!“ შევიდნენ ეკლესიაში, ხატებს ემთხვია, მერე საკურთხეველში — ტრაპეზს და გამოვიდა, ორივე ხელით ჯვარი გადასახა ჯვარს და მერე შებრძანდა ერისთვის სახლში. საუბრის დროს ქათალიკოსმა სიტყვაში გამოურია, რომ დ:დიანისა და გურიელისაგან ნამეტანი მორჩილება არის მეფისადმიო: ცხენზე შეჯდომის დროს ერთმა აღვირი უნდა დაუკავოს და მეორემ უზანგი უნდა დაუწიოსო. მიხვდა ერისთავი და უპასუხა: „ვიცი, თქვენო მეუფებავ, ყველანი თავადნი და დიდებულნი ამ წრეში უნდა იდგენ, რადგან მეფობა წარმოადგენს გარეშე მოუწერელ უფლებას თვისთა ქვეშევრდომთა ზედაო“, „თუ იცი, მაშ შენი ურჩობა რაღას ნიშნავსო?“ — განაგრძო ქათალიკოსმა — შენც კარგად იცი, კანონში წერია: უკეთუ მეფეს მეფობა არ გაუვა, უნდა დატოვოს მეფობა მისი და შენ-კი ერთი დიდებული თავადთაგანი არ ემორჩილები. ეს სამარცხვინო საქმე არის მეფისათვის: გარეშე მტრები რომ გაიგებენ ამას, შემოესევიან სამეფოს და ქრისტიანობა შეირყევა. მართალია, შენი დამორჩილება არ გაუჭირდება მეფეს, მაგრამ ბევრი უბრალო სისხლი დაიქცევა და ამას ერიდება. როგორც სულიერი მამა, გირჩევ, დაფიქრდი ამაზედო“. ერისთავმა თავი იმართლა: „მე ვიახელი მეფეს, ჩემს გულში ღალატი არ ყოფილა“ — „ნუ გავიწყდება ხრესილის ომი, როდესაც მეფეს უმუსთლე და დაატყუილეო“ — გააწყვეტია სიტყვა ქათალიკოსმა, მაგრამ ყოველივე უნდა დაივიწყოთ, რადგანაც ქვეყნისათვის საჭიროა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება, — მე შეგარიგებ მე-

ფესაო“. როსტომ ერისთავმა სიხარულით თანხმობა განაცხადა, მხოლოდ იმ პირობით კი, ქათალიკოსს ეკლესიაში ბარძიმზე დაერწმუნებია ერისთავი. ქათალიკოსმა აღუთქვა და რომ მეფის თანხმობა მიეღო, გამოეშურა მეფესთან ქუთაისისაკენ. მეფემ რომ ერისთავი ვერ ნახა მოყვანილი, დიდად ეწყინა. ქათალიკოსმა ყოველიფერი დაწვრილებით უამბო და დაამატა: „ცხადია, რომ მხოლოდ სიკვდილის ეშინიაო“. მეფემ გაიღიმა: გაძლევ სიტყვას, ვფიცავ შენს ხახულისა ღვთისმშობელს, არც ის და არც მისი შვილები არ მოვკლა და ისეთი პატივისცემითაც მივიღო, რომ საჯრაკოდ დარჩესო. ამ სიტყვების შემდეგ ხელმეორედ წაბრძანდა ქათალიკოსი რაჭას და ბარძიმზე ხელის დადებით დაარწმუნა ერისთავი. შეიქნა დიდი სიხარული. დიდი ხნის დაშორებულები აწ კი ფიქრობდნენ თავის ნათესავებისა და მოყვარეების ნახვასა და შერიგებას. ამ დღესვე დაიბარა ერისთავმა ციხის მოურავი ალი ენგიჩარი და იმას ჩააბარა ყველა ციხეები. ეს ალი ენგიჩარი სტამბოლელი იყო — დიდი ხნის კაცი, მაგრამ ოცდაათი წლის კაცად თუ ჩაითვლებოდა. ოცი წლის რომ შესრულებულიყო, ასისთაობა მიეცათ, მაგრამ გულუმაძღარ ახალგაზრდას მეტი მოენდომებია, მით უფრო, რომ ენგიჩრების ამბავი გულში ჩაჭროდა. ერთ დროს ენგიჩრებს დიდი ძალა ჰქონდა სტამბოლში: ხონთქარს ხან აიყვანდნენ ტახტზე და ხან გადააგდებდნენ. ვინც კი კარგი გამოვიდოდა მათ სამეფოში, ყველა ენგიჩრად მიდიოდა და ამგვარად ენგიჩრების რიზმი ღღითი ღღე სქელდებოდა. მათი თავგასულობა უსაზღვრო იყო. უკანასკნელ ენგიჩარს რომ ეთხოვა პირველი დიდებული კაცის ქალი, უნდა დათანხმებოდნენ; უარს ვინც გაბედავდა, შეიკრიბებოდნენ ყველა ენგიჩრები ერთად, დაესხმოდნენ თავზე ურჩს, აიკლებდნენ და ქალს—კი მათ ამხანაგს მიგვრიდნენ. გზაზე მომავალ ენგიჩარს ხელი ხმალზე ედვა და ვინც წინ შემოეყრებოდა, თუ ნებით არ გადაუხვევდა, ვინც უნდა ყოფილიყო, თავს გააგდებინებდა.

ერთმა ახლად ტახტზე აბრძანებულმა ხონთქართაგანმა ვეღარ აიტანა მათი ძლიერება, მოიტყუა ყველა და ღალატით ამოწყვიტა. ეს ამბავი რომ ჰქონდა გაგონილი ახალგაზრდა ალის, მოინდომა ძველი დროის აღდგინება და ახალი ენგიჩრების გაჩენა. შეუტყვეს შეთქმულებს და ბევრი მათგანი ჩამოახრჩვეს. ალი ასისთავმა — კი მოასწრო გადავარდნა. დაუწყეს დევნა. ოცდახუთმეტ წელიწადს გადავარდნილი იყო, იმალებოდა სათათრეშივე და ბოლოს ერთი

მისი ნათესავი კიკიანი ფაშა რომ დანიშნეს იმერეთში მყოფ ჯარის უფროსად, გადმოვიდა და მოენდო მას. ფაშამ მისი მეფის მოლალატის შენახვა რომ ვერ გაბედა, როსტომ ერისთავს გაუგზავნა. ერისთავმა მიიღო და ციხეები ჩააბარა. დიდ პატივში ჰყავდა და ალი ენგიჩარიც მიეთვისა, აღარ შორდებოდა და მეციხოვნებიც გამოუზარდა. აი, ეს კაცი დატოვა ერისთავმა მოადგილედ და თვითონ—მეფეს ეახლა. მეორე დღეს სადილი ტყიბულში ჭამეს, იმ ღამეს ქაიხოსრო აგიაშვილის საზაფხულო სადგომში დაბინავდნენ ცუცხვათს; იქიდან კი მეფეს უნდა ხლებოდნენ ვარციხეს. ერისთავის მგზავრობა ესრეთი იყო: ბარგს, სამზარეულო იარაღს, პურს და ღვინოს ასი ცხენი და ჯორი უნდებოდა. სადაც დაბინავდებოდა, იქვე უნდა გაკეთებულიყო ხარჯი. თანვე მოჰქონდა შუაზე გახერხილი თორნეები და მალე გამართავდნენ ხოლმე. უკეთუ ხსნილი იყო, ჯოგად მირეკავდენ სახორცეებს. ახლაც ამრიგად მოგზაურობდა. მეფე დიდი ჯარით მიეგება და ცოტა არ იყოს ერისთავს გაუკვირდა ეს სიმდაბლე. ერისთავებმა ხელზე უამბორეს მეფეს და მხლებლები — კი დამწკრივდნენ, დაიჩოქეს და ისე თაყვანი სცეს მეფეს. აქ შეიქმნა ერთი აღდგომის ლიტანიობა. დიდი ხნის უნახავი ძმები ერთმანეთს ეხვევოდნენ, კოცნიდნენ და ტიროდნენ. ზოგმა მამა ნახა, ზოგმა შვილი და ზოგმა ძმა. ჯარმა თოფის სროლის ნება გამოითხოვა. მეფემ დასტური ბრძანა. სულ სროლით მივიდნენ ვარციხეს, მაგრამ ერისთავის ჯარისაგან უფრო ფიცხელი თოფის ხმა ისმოდა, რადგანაც სვანური წამალი ჰქონდათ; თვითონ ერისთავი თავის სასახლეში აჭრევინებდა. ვარციხეს ერისთავს სახლები მიუჩინეს, მაგრამ არ ისურვა, რადგანაც ნაბდის კარვები ჰქონდა საკმაოდ წამოღებული ჯარისთვის და ერთიც დიახ დიდი და ძვირფასი ნაბდის კარავი სარკმლებიანი თავისთვის და თვითონაც იქ მოისვენა შვილებთან ერთად. ერისთავის ჯარს თავისი ხარჯი ჰქონდა; მაგრამ მეფეც აძლევდა. ერისთავი — კი შვილებიანად ყოველდღე მეფის იჯრაზე იყო და მხოლოდ შემდეგ ბრუნდებოდა ხოლმე ბინაზე. ოც დღეს ამ ლხინსა და შექცევაში იყვენ. ერთ ღამეს შეკრიბა მეფემ საიდუმლო კარისკაცები და გამოუტყდა: „ვერ ხედავთ, რა სიფრთხილით გვეკიდება ერისთავიო? მაგის გული არ გასწორდება, კიდე ბევრს ცუდს შეგვამთხვევს და დრო არის, ქვეყნის მოღალატეს ახლავე საკანონო მოვახდევინოთო!“ დიდხანს ითათბირეს კარისკაცებმა, მაგრამ ერთმანეთს ვერ დაეთანხმენ. არჩილ ბატონიშვილი ბრძანებდა: მე გიორგის მიმაჩემეთ,

რადგანაც დიდი ვაჟკაცია და სხვა თქვენ იცითო. პაპუნა წერეთელი ურჩევდა, რომ ოთია და ივანე მესხიც მოეწვიათ. ბერი წულუკიძე და ზურაბ მიქელაძე ამბობდნენ: ხელცარიელი არც ისინი დაგვრჩებიან: ერისთვის ჯარი ხელს გამოიღებს და ბევრი სისხლი დაიღვრებაო. თამაზა მესხი შებმას თხოულობდა. მამუკა მდივანი წინააღმდეგი იყო. ბოლოს წამოდგა პაპუჩა აბულაძე და მოახსენა მეფეს: ხედავთ, ბატონო მეფევ, რომ ამგვარი რჩევით არა გამოდის რა, თუ არ გამირისხდებით, მე მაქვს საიდუმლოდ ცოტა რამ მოსახსენებელი და თუ მოგეწონოსთ, მე მომანდეთ მისი ასრულება. მეფე დათანხმდა, დაიშალა დარბაზი და დარჩენ მარტო ორი— მეფე და პაპუჩა აბულაძე.

მეორე დღეს დილით ადრე მეფე გაბრძანდა და, სეირნობა დაიწყო; ცოტ-ცოტად ერისთავის ბინისკენ იწია. ერისთავმა რომ დაიხახა, მაშინვე მივიდა, თაყვანი სცა და მოახსენა: ასე ადრე რათ აბრძანებულხართო? — როგორც მონადირე, კურდღლობას ვარ დაჩვეული, აგერ ოცი დღეა, აღარ მინადირნია! დღეს სურვილმა ამიყოლია და აღარ დამეძინა — ბრძანა მეფემ. ერისთავი ნადირობის დიდი მოყვარული იყო და კურდღლობაზე რომ სიტყვა ჩამოვარდა, გამხიარულდა. მეფემ ბრძანა, მოდი, ერთი ვქნათო — დღეს გავიდეთ გეგუთს იაშვილისას, საღამოს იქ ვიკურდღლოთ, ხვალ დილით ჩემი კურძუალები ბევრ სეირს გვიჩვენებენ: იქიდან ქუთაისამდე კარგი სანადირო ადგილი არისო. ჯერ ხომ შენ არ გინახავს ბროწეულას კურდღლები, თუ რა ცქვიტნი არიანო? თქმა და ასრულება ერთი იყო. განაძრახა პაპუნა წერეთელი და წინდაწინ გაგზავნა იაშვილისას. მეფეც მალე მიბრძანდა სანაოზე. რადგან ეს რიონი მეფის სახლის წინ მიმდინარეობდა, ნავით უნდა გასულიყვენ. პირველად მეფე გაბრძანდა, მთელი მისი ხლებლებიც გაიკრიფენ. მეფე მაშინვე იაშვილისას წაბრძანდა. შემდეგ როსტომ და მისი შვიდი შვილები და რვა აზნაური, რომელთაც ბატონების თოფები ეჭირათ, ჩასხდნენ ნავში და გავიდნენ ‘ვალმა. პაპუჩამ მენავეებს მიაძახა: ჩქარა, აბა თუ გიყვარდეთ, ბატონი მეფე, სანამ ერისთავი არ მიბრძანდება, მანამ სადილს არ მიირთმევსო. პირველად ცხენები მოართვით ერისთავებს და შემდეგ ჯარის გამოყვანასაც ნულარ დააგვიანებთ. მენავეებმა ნავი გააქანეს, ატაკეს ჯილეს და გადააბრუნეს. მენავეები გადაცვივდნენ წყალში და როგორც კარგი მცურავები, ყვინთით წავიდნენ, ზოგმა კმედოს ცურვით მიმართა და ზედიზედ ჩამოკიდებულ ხის ფესვებს დაე-

კიდა. შეხედეს, რომ ნავიც დაიღუპა და მენავეებიც დაიხრჩვენ. აბულაძემ დაუძახა ერისთვის ჯარს: ქუთაისზე მოიარეთო; ერისთავს კი ასე მოახსენა, რომ თქვენთვის ცხენები უნდა დავიბაროთო. რამოდენსამე ხანს შემდეგ მოუვიდათ იაშვილიდან ცხენები. შეჯდნენ და წავიდნენ. ერისთავს ეგონა, რომ, ან მეფის საჯდომ ცხენს გამოუგზავნიდნენ და ან ხუცისას მაინც. მაგრამ რომ ვერ ხედავს, არ მოსწონს პატივისცემა და ფიქრობს: ვაი, თუ მიპირებდნენ რამეს, მაგრამ ქათალიკოსი ბარძიმს როგორ უღალატებდაო! ამ მოგზაურობაში ძალიან დიდი ხის წვეროდან სკვინჩამ დასძახა. გიორგიმ თოფი მოთხოვა თავის აზნაურს, ესროლა ცხენდაცხენ, თავი მოწყვიტა და სიცილით თქვა: ყველა ჩემი მტრისათვის ასე მექნასო! როსტომ ერისთავი ფიქრებისაგან იყო წაღებული და ხმას არ იღებდა. იაშვილისას რომ მივიდნენ, გადახტდნენ. ჭიშკარში შესვლისთანავე მიეგებათ რამდენიმე კაცი, ვითომ პატივის საცემლად. ერისთავებმა გამარჯვება უბრძანეს და მიმართეს მეფისაკენ. ისინი უკან მოექცენ და მოულოდნელად თითოს ოთხ-ოთხი კაცი ეცა. ესენი წინათვე არჩეულები იყვენ, როგორც მარჯვე და ღონიერები. როსტომი სხვა შვილებით მალე დაიმორჩილეს, გიორგი — კი გაუძალდათ: ორი ცალი ხელით დასცა; ერთ მათგანს, ჯიმშელა ორჯონიკიძეს, რომელიც იკვეხდა: გიორგიზე მომხმარე რათ მეჭირვებაო, დაჰკრა ხანჯალი და შუა გააპო. შეუტია მეფეს. მეფე შუა ეზოში იჯდა. გიორგის ორი ახოვანი კაცი ზურგზე მოეკიდა, სხვებმა მკლავში სტაცეს ხელი, მაგრამ მაინც ვერ შეაჩერეს, თრევით წაიღო ისინი და მიუახლოვდა მეფეს. მაგრამ მეფემ შეხედა, მრისხანედ; ადგომა და იმ ადგილის გადანაცვლება არ იკადრა. ამ დროს მოეშველენ ჯარისკაცები და დაურთეს თავში თოფის დუმები; მაგრამ მაინც ვერა დააკლეს — რა, სანამ ერთმა მათგანმა ჩახმახი არ დაჰკრა. თოფის ჩახმახის ვერძი ტვინში ჩავიდა და მაშინ კი წაიქცა. მივარდა თეიმურაზა ორჯონიკიძე ძმის სისხლის ამოსაღებად და დანით ამოკუჭა თვალები. როსტომი, მეთოდი, ცაგუნი, კუხნიტი, გივი, ბარძიმი და სვიმონ, თოკებით შეკრულნი, ხედავდნენ გიორგის თვალების ამოჭრას და თვითონაც იმავე სატანჯველს მოელოდნენ. ახლა სხვებსაც მიჰყვეს ხელი. პირველად როსტომი დააწვინეს. გულაღმა, ბევრი აცოდვილეს და მაშინ თითონვე ურჩია თვალის კილოები ჩამჭერით და მერე თავისით გამოცვივდებიან თვალის კაკლებიო; და მართლაც, სხვებს უფრო ადვილად მოთხარეს თვალები.

ეს ამბავი რომ მოხდა, მეფე შეტრიალდა სახლში და გარეთ აღარ გამობრძანებულა. იახლა შიგ სარდალი წერეთელი და მეფე რომ შეწუხებული ნახა, თვალცრემლიანი, გაკვირვებულმა მოახსენა:

— თუ მაგრე სანანებლად დაგრჩებოდათ, ნეტავი არ დაგესაჯათ ის ცოდვის შვილებიო... მეფემ წყენით ბრძანა: „მებრალება კაცი და დავსაჯე კი ღვთისა და ქვეყნის ორგული მოღალატე...“

— კიდეც ეგ არის მეფეო — კადრებს სარდალი — განა არ მოგეხსენებათ, რა კაცია როსტომ ერისთავი? ეგ გულს ვერაოდეს ვერ გაიწმენდდა და, თუ ოდესმე შეიძლებდა, იმას, რაც დღე დღეს დაადგა, ჩვენვე დაგვაყენებდა!...

— კი მაგრამ შვილები? ჰკითხავს მეფე.

— შვილებიც უარესიც იქნებოდნენ. ეკალზე ვარდი ვის უნახავს? მაგის ნაშიერი არ უნდა დარჩეს... ფიცი რომ არ დაგედვათ, უმჯობესი იყო ყველასათვის თავი დაგვეყრევინებია. ამ შვიდ შვილს გარდა კიდევ ჰყავს სხვა შვილებიც საშუალო ცოლის ხელში და ნუღარც იმათ დატოვებთ თვალდაუთხრელად. დრო არის გავგზავნოთ ჯარი რაჭას, ავიკლოთ მაგის სახლ-კარობა და დავანახვოთ ქვეყანას ,თუ რა დღე მოელის თქვენს მტერს და ორგულსო. მეფე დიდნანს ყოყმანობდა, მაგრამ წერეთელი აღარ მოეშვა და მოახსენა: — მაგისი ცოდვა ჩემ კისერზე იყოსო. მაშინ უბრძანა მეფემ: „მიჩუქებია შენთვის, როგორც გინდოდეს, ისე მოეპყარიო“. თვითონ ხანდაუყოვნებლად შებრძანდა ცხენზე და იმ დღესვე გაეშურა ქუთაისისაკენ. დარჩა იქ პაპუნა წერეთელი მისიანებით და გაიმართა ლხინი. იმღერიან, ივსებენ ღვინით ყანწებს, მიდიან და ულოცავენ სარდალს: — ღმერთმა ყოველთვის ასე გაგამარჯვებიოს ქვეყნის ორგულზე და თქვენ მტერზეო! პაპუნა ამბობს: ახლა დამიფარცხოს ჩემი ხვადაბუნებიო!.. სადილს ვახშამიც მოაბეს დიდი განცხრომით. ერისთავები კი ხელშეკრულები ეყარენ გარეთ ეზოში. ეს დრო დეკემბრის თვის მეორე დღე იყო. დაღამების დროს დაიწყო თოვა-ქარიშხალი, მაგრამ ვინ გაბედავდა, რომ დასჯილებისათვის შემწეობა აღმოეჩინა. როსტომ ერისთავს ერთი ძაღლი ჰყავდა, რომელიც მოართვა ალი ენგიჩარმა. ის ძაღლი როგორც სიდიდით, ისე გონიერებითაც შესანიშნავი იყო. არასოდეს არ შორდებოდა პატრონს და ახლაც ფეხთით მიუწვა. შუაღამე გადასული იყო, წერეთელი ისევ სუფრაზე იჯდა; მხიარულების გამო ღვინო მოკიდებოდა. ძაღლის ყმუილი რომ შემო-

ესმა, იკითხა: ეს რა ამბავიაო? მერიქიფემ მოახსენა: ერისთავების მოტირალი გახლავსო. ბრძანა და მაშინვე მოაკვლევინა ის გულშემატკივარი ძაღლიც. მეორე დილით პაპუნა ადრე გამოვიდა გარეთ, გადახედა და დაინახა, რომ ერისთავები ეზოშივე ეყარენ თოვლში, მაგრამ ნაბდები კი ჰქონდათ გადაფარებული და რომ დაინახა, იკითხა: — ეს ვის უქნიაო?

მოახსენეს: ქაიხოსრო აგიაშვილმა — ნამალავათო. ერთმა ჯარისკაცთაგანმა სიცილით მოახსენა წერეთელს: წუხელის კარგი მსეცები ვინადირეთ და მოსამკვლელოც ერგებათ: კიკნაძეს, ორჯონიკიძეს, დევდარიანს და ცოტა გურგენიძესაცაო. როსტომმა მოჰკრა ყური მათ ლაპარაკს და თქვა: „ცუდრუკეობდენ ჩემზედა. ყოველნი მტერნი ჩემნი და იტყოდენ ჩემთვის ბოროტსო“. მერე მიუბრუნდა შვილებს: „შვილებო, ღვთის განგებას ვერავინ აცდება! ყოველივე ღირსეულად მოგვეგო, ნუ ვიტყვით ძვირსა და საყვედურსო. ავიტანოთ ეს სასჯელი ისე, როგორც ეკადრებოდეს ჩვენს ოჯახს!“

— ჭეშმარიტადო, მიუგეს შვილებმა — ჩვენი სულმოკლეობით ნუ გავახარებთ მტრებსო.

მართლაც ვერც ერთისაგან ვერ გაიგონებდით ვერც კვნესას და ვერც საყვედურს ვისმეზე!.. ეს დიდი კაცები, ბრწყინვალე ტანისამოსებით და სხვადასხვა ძვირფას ფარჩებით შემკულნი ეყარენ თოვლში და მაინც მედიდურობა ეტყობოდათ. ხმას არ იღებდნენ; მხოლოდ მოხუცი როსტომ კი აიტანა სინანულმა და მისი ბოხი ხმით წამოიძახა: „დიდებულო რუსთველო, ლხინში ძლიერი, ჭირშიაც მანუგეშებელი ხარ!... ტყუილად არ გითქვამს:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან გასწორდეს ყოველნი, სუსტი და ძალგულოვანი.
ბოლოს შეყარნეს მიწამან ერთად მოყმე და მხცოვანი
და სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

მაგრამ, ვაი, რომ სახელოვნად ვეღარ ვკვდებით.

— დაამატა მოსკვნით.

— არა, ბატონო, დიახაც სახელოვნად ვკვდებით — გააწყვეტია მეთოდემ. დიდებულმა მეფემ, რომელმაც სტამბული შეაძრწუნა, პირდაპირობა რომ ვეღარ გაგვიბედა, ღალატით დაგვიმორჩილაო. სირცხვილი მისი და არა ჩვენი. ქვეყნის დასაბამიდან დასასრულამდე სულ ერთი კანონი ბრუნავს: „იყვენ და აღარ არიან, ვართ და აღარ ვიქნებით, იქნებიან და აღარ იქნებიან“. ამით დაა-

სრულეს საუბარი და გაჩუმდნენ. როსტომმა პირჯვარი გამოისახა და დაფიქრდა. წარმოუდგა მას მის ბარაკონში დილაობით სხვადასხვა ფრინველების ხორცზე ბრძოლა და მისი ირმების ბღავილი, როდესაც ჩვეულებისამებრ მარილს ითხოვდნენ. გაიხსენა თავისი შემკობილი ცხოვრება და გულში სევდამ გაუარა... მოაგონდა ნებიერს რომ დაკლავდნენ ხოლმე ყოველ დილობით, გაატყავებდნენ და მიუშვებდნენ ზედ სხვადასხვა შემძორე ფრინველებს; მიცვინდებოდნენ ზედ ქორები, მიმინოები, შევარდნები, სონღულოები, ორბები, სვავები, ყვავები, კაჭკაჭები და სხვანი; ჰქონდათ შფოთი ერთმანეთთან, მეტადრე თოვლის დროს, მაგრამ ბოლოს, როდესაც გამოიყვანდნენ არწივებს, მაჩხუბარი ფრინველები შიშით მიიფანტ-მოიფანტებოდნენ.—აი, რა ყოფილა ჩვენი ცხოვრება და აქამდის არ ვიცოდი! ყველგან შფოთი და ძალმომრეობაა, ყოველი კაცი ცრუ არს და ცდება, მხოლოდ შენ ხარ უტყუარი და შეუცდომელი, მაღალო ღმერთო! ცანი და ქვეყანანი წახდნენ, მხოლოდ სიტყვანი შენი არა! სად მე და სად მეფე სოლომონ?! მიეცით კეისრისა კეისარსაო. რატომ არ ვჯერდებოდი ჩემს ყოფაქონებას? სად არიან ახლა ჩემი ბარაკონის სასახლე, ამბროლაური, ხიდისკარის კოშკები, სევას სასახლე, ონში ციხე-სასახლე და ქალაქი? სხვა სიმდიდრესთან ოთხმოც მეწველ შინაურ ირმებს რომ ვეღარ ვნახავ... ესენი ამიერიდან ყველა სიზმარივით გაქრებიან... ვინღა გამაგონებს ჩვეულებრივ ლხინს და შეწყობილ ძილის პირებს! ... გაიტაცა ისევ სოფლურმა ძრახვამ, გაიღვიძა ისევ მის გულში ძველებურმა მედიდურობამ, მით უფრო, რომ იქვე იმ დროს მისმა შვილმა გიორგიმ სული დალია და წარმოთქვა შეჩვენება: „ჰოი, ყოვლად ძლიერო მაღალო ღმერთო, სადაცა დაიქცა სისხლი თვალთა ჩემთა და ძეთა ჩემთა, აღმოფხარი ქვეყანა იგი და მიეც ნიავქარსა გასაფანტველად ჰაერთთ შინა!... ჰოი, ყოვლის შემძლებელო, გარს შემოუწერელო უფლებითა ღმერთო, მოკითხე სისხლი ჩემი და შვილთა ჩემთა მეფე სოლომონს, ქათალიკოსს იოსებს და არჩილ ბატონიშვილს!... ... მიაგე საპაგიერო შურისმაძიებელთა ჩემთა: პაპუნა წერეთელს, პაატა აბაშიძეს, ზურაბ მიქელაძეს, ბერ წულუკიძეს, ბერ ლორთქიფანიძეს, ოტია ჩხეიძეს, თამაზა მესხს, მამუკა მდივანს, თანდარუხ იოსელიანს, ქაიხოსრო და პაპუნა აბულაძეებს. შეაჩვენე და აღმოფხარ მათი სახლ-კარი და გასწყვიტე სახსენებელი მათი უკუნისამდე!“ წერეთელმა გაიგონა ეს წყევა და შეუტია — ეღარ იშლი. გინდა

დასძინო უსჯულოება უსჯულოებისაზედაო? შენს სახლში საღმრთო წერილები იბეჭდება და როგორ არ წაიკითხე, თუ რას გვიწერს ყოვლის შემძლებელი: „დაემორჩილენით უფალთა თქვენთაო“ შენზეა ნათქვამი: „ხნარცვი თხარა და აღმოკვეთა და შთავარდა მთხრელსა მას შინაო“.

— წერეთელო, მართალს ამბობ, მაგრამ არ მეგონა, თუ საღმრთო წერილი იცოდი და ნურც იმას დაივიწყებ, რომ: ნურცა უფალნი განირისხებენ მონათა თვისთაო“.

— ნუ გიხარია, შენც ეს დღე მოგელის წერეთელო, ბევრ ფრთებს აკვეცინ გინდა დიდებულები ჩამოაშორო და შენთვის კი ყოველივე მოაგვარო... შეგშურდა ჩემი ციხე-ქალაქები და მონასტრები. ახლა კი იშოვი, მაგრამ ნუ დაივიწყებ: რა გზითაც მიგიღიეს, იმ გზითვე გაგეძევის. ახლა კი ძლევამოსილო, როგორც დაძორჩილებულს, ერთი თხოვნა ამისრულე: შემავედრე მეფეს, რომ ასე ნუ გვტანჯავს და თავები დაგვაყრევინოსო.

წერეთელმა აღუთქვა, მაგრამ წავიდა მხოლოდ მიტომ, რომ რაჭაში ჯარი გაეგზავნა და ერისთავის ოჯახობა აეკლო.

ამ დროს მოვიდა იაშვილის მოურავი — გრიგოლაშვილი. ის ორი კვირის წინათ სადღაც ყოფილიყო წასული. რომ დარწმუნდა და მის ბატონის სახლში ეს ამბავი ნახა, ცეცხლი მოეკიდა და უსაყვედურა ბატონს: „რა გიქნია ეს, რომ შენი სახლი გოლგოთა გაგიხდიაო! რატომ არ დაამშვიდეთ ბატონი მეფე და მის დიდებულ სახელს ნიშან — დაადევითო? ან აქ რატომ არ უპატრონებთ ამ საბრალოებს?“ მივიდა თვითონ, გაუხსნა ხელები დასჯილებს, წამოაყენა, მოკიდა ხელი, წაიყვანა და საყდრის უკან საქალებოში შეიყვანა, რადგანაც შიშით მათ სახლში შეშვებას ვერავინ ბედავდა. იქ მოასვენა, მკვდარი გიორგიც იქვე დაასაფლავა. ამ დროს იაშვილი სხვაგან წავიდა, რომ ბრალი საკუთრად მის მოურავს დადებოდა და რისხვა თავიდან აეშორებინა. მთელი ღამის ნაწვალებმა ერისთავებმა საქალებოში სული მოითქვეს და ძლის პირებით ევედრებოდნენ უფალს. როსტომ ერისთავის უცნაური ბოხი ხმა გულსაკლავად გამოისმოდა. ბუჭუა წავიდა მეფესთან, შამოიხსნა ხმალი და ყოველი იარაღი დაუწყო მეფეს წინ, მეფე ბუჭუას იცნობდა, როგორც კარგ სახელოვან ვაჟკაცს და ჰკითხა — რა დაგიშავებია, ბიჭო!

მოახსენა: — თვალდათხრილი ერისთავები ეკლესიის გადახურულში შევიყვანე და მკვდარი იქვე დავმარხეთო; ჩემმა ბატონმა

სიკვდილი მომინდომა ამისთვის, მეც ვიცი, რომ ღირსი ვარ სიკვდილის და ახლა თქვენ გადამახდევინეთო.

მეფემ უბრძანა: — ადექი, კარგი გიქნიაო. სამართალი გაუსწორდა, საკანონო მოხდილი აქვსთ და მეტი რაღა ეჭირვებაო.

დაუბრუნა იარაღი და გაისტუმრა. ეს რომ ქაიხოსრო აგიაშვილმა გაიგო, მაშინვე გაუგზავნა ერისთავებს მომკითხავი, ტანისამოსები გაატანა და გადაიყვანა თავის სახლში. ერისთავებს ყმა და მამული ჩამოერთვათ, რაჭაში დაბრუნების ნება აღარ მიეცათ და დიდხანს სხვის კარზე ცხოვრობდნენ. თვითონ როსტომ ერისთავი პაპუნა წერეთელმა საჩხერეს გაგზავნა და მეთოდე სვიმონ კანდელაკმა გადაიყვანა თავის სახლში და იქ ემსახურებოდა ერისთავს, სანამ ორ წელს შემდეგ ქართლ-კახეთის მეფემ ირაკლიმ არ მიიწვია თავის თავთან და თვითონ მასპინძელიც თან იახლა.

სარდლის გაგზავნილმა ჯარმა ბრძანებისამებრ პირველად ანტონი მონახა და ყარაულები დააყენეს. დედა მისი, როსტომის ცოლი, იაშვილის წანართმევი, ეზოში ფეხით ათრიეს და საბრალო მუცელს გადაყვა. შემდეგ შეესიენ ოჯახს, ააოხრენ, აიკლეს, ციხეები ლაღუმებით დაამტვრიეს, დაიპირეს ნიშა ირმები ქორბუდიანი, ის იყო ჩერქეზ ბატონის გამოგზავნილი, ძლიერ დიდი იყო, შეუკრეს ფეხები და წააქციეს დასაკლავად. ამ დროს მოვიდა ხუტა გავაშელაშვილი —ის იყო მეჯოგეთუხუცესი. ბატონის შემთხვევა არ იცოდა და რომ დაინახა, ნიშა ირემს კლავენო — დაიყვირა: ვინ უბედავს ბატონს ამ საქმესო? მივარდა, მისი ხელთსაჭერი დიდი თავსხვილი რკინის ჯოხი დაჰკრა თავში თემურაზა დევდარიანს და ტვინი ამოასხმევია. მიცვივდნენ ჯარისკაცები და საწყალი ხუტა ნაკუწ-ნაკუწ აიღეს. ააოხრეს იქაურობა, გადაწვეს, გადაბუგეს და გამოემგზავრენ ქუთაისისაკენ. პატარა ანტონიც თან წამოიყვანეს მისი ძიძებიანად. ქუთაისში რომ მივიდნენ, სახლთხუცესმა პატარა ანტონის თვალების დათხრაც ბრძანა, მაგრამ პატარა მეფის ასულმა ელენემ ანტონს თვალი მოკრა, მიიკრა გულში და აღარავის ანებებდა, იმ დღიდან მეფის სასახლეში იზრდებოდა. მაგრამ პაპუნამ მაინც საიდუმლოდ გააძრახა მსახურები. ერთხელ ბურთი ჩაუგდეს ანტონს გახურებულ თორნეში და რომ გადიხედა ბავშვმა, იმდენ ხანს გააჩერეს ძალათი და აყურებინეს, სანამ თვალები არ გაუფუჭდა. ამას ყველაფერს, როგორც მეფეს, ისე მის ასულსაც უმალავდნენ. ბოლოს თვალდამდგარი და ავადმყოფი ყმაწვილი ჩააბარეს ძიძებს და მათთან რაჭაში გაისტუმრეს.

იოსეპ ქათალიკოსმა რომ შეიტყო გაენათში ერისთავების თვალების დათხრა, შეიცხადა, გადმოვარდა ტახტიდან, დაეცა მი-

წაზე, წაიშინა თავ-პირში ხელები და წვერ-ულვაში დაიგლიჯა. შეიმოსა ძაძით და გაცხარებული მიეჭრა მეფეს ქუთაისს. მეფემ თვალცრემლიანი ქათალიკოსი რომ დაინახა, მიაყვირა: რა ამბავია, ქათალიკოსოვო. — მე დღეს ქათალიკოსი აღარ ვარ, მიუგო მან, არამედ იუდა ისკარიოტელი, ჭეშმარიტების გამცემელი! მეფეო, რათ შეურაცხყავ ან შენი მეფობა და ან თვით სამეფო. სად არის შენი აღთქმა და რად გამატეხინე ფიცი მე ცოდვილსო!

მეფემ შეიკრა წარბები და მდაბალი ხმით ბრძანა: — მე დიაღაც ავასრულე ჩემი სიტყვაო. როგორც აღგითქვი, სიკვდილით არ მომიკლავს და საარაკოდაც მოვიქეცი.

— არა, ბატონო მეფევ, ღმერთთან სიტყვის ჭახრაკობა გამოსადეკი არ არის!... ოსმალეთის მხედრობა განდევნე და ერთი თავადის დამორჩილება როგორ გაგიჭირდა. რად ჩამაგდე საფრთხეში? რა პასუხი ვაგო უკანასკნელ განსჯის დროს?

— შემცდარი ხარ, ქათალიკოსო. ერისთავების თვალების დათხრა გაშფოთებს და იმას კი ივიწყებ, რომ თვით იმ ერისთავს უნდოდა საქრისტიანოს სამეფოს თვალების დათხრაო. — უპასუხა მეფემ და გადახედა დარბაისლებს. ისინი თავჩაღუნულნი იდგნენ შეწუხებული, ხმას არავინ იღებდა. მეფესაც სახეზე მწუხარება დაეტყო. სიჩუმეს შემდეგ ხმის კანკალით წამოიძახა ისევ ქათალიკოსმა: „მეფეო, შეჩვენებული იყოს შენი მეფობა, უკეთუ მეც არ გამასწორო ერისთავთან და თვალები არ დამთხაროო!".

კარისკაცები აშფოთდნენ. მეფემ ზურგი მიაქცია ქათალიკოსს, გაბრუნდა. ქათალიკოსი კი თითქმის გონებადაკარგული გავარდა გარეთ და წავიდა გაენათისაკენ. უბრძანა კრებულს მეორე დღეს წირვის მომზადება, შევიდა ეკლესიაში; უბრძანა არქიელს კათედრაზე შემოსვა, თვითონ შიგნით შეიმოსა. არხიდიაკონს მისცა დაწერილი ქაღალდი და უბრძანა: რაც წესია, არ შეცვალოო. გამოვიდა შემოსილი, შევიდა კათედრაზე: მიარიოვეს ჯვარის სანთლები და ააპყრა ხელები. უკმიეს. დიაკონმა დაიძახა: უფლისა მიმართ ვილოცოთო.

არხიდიაკონმა გადანაცემ ქაღალდში ამოიკითხა: არა ბრწყინვედის ნათელი შენი წინაშე კაცთა და არც იხილონ საქმენი შენნი კეთილნი და არცა ადიდე შენ მამა ზეციერი ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდეო.

იმ სიტყვაზე ქათალიკოსმა თვითონვე დაამხო ჯვარის სამთლები და გადასცა. კიდევ დაიძახა დიაკონმა: უფლისა მიმართ ვილოცოთო.

არხიდიაკონმაც ღაღადი ჰყო: „არა დაგადგა თავსა შენსა გვირგვინი პატიოსნის ცხოვრების, არა თხოვე და არც მოგცა შენ ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდეო.

მოიხადა გვირგვინი და ამგვარად განიძარცვა ყოველივე სამღვდელთმთავრო წირვის შესამოსელი. ყოველ გახდის დროს არხიდიაკონი ბრძანებისაებრ მისისა იძახოდა: „არა ღირს არსო". ფერმიხდილი ჩამოვიდა ქათალიკოსი კათედრიდან, შევიდა საკურთხეველში, ემთხვია ტრაპეზს, გამოვიდა, მივიდა და ტირილით დაემხო. ამ დღიდან აღარც უწირავს, თავს უღირსად ხდიდა და იყო მარად სინანულში.

—

170. სოლომონ მეფე და გიორგი აბაშიძე

იმერეთის მეფემ, დიდმა სოლომონმა, ქაჯაიას ნაქვრივალის ცოლად შერთვა მოიწადინა. დიდკაცობამ იუკადრისა: „ჩვენ აზნაურის ნაცოლარს ვერ გავიდედოფლებთო". უარზე იდგა იოსებ გენათელიც — მეფე სოლომონის ძმა. კარისკაცებმა უძაგეს მეფეს ქვრივი: ზოგმა მოახსენა, მახინჯიაო, ზოგმა — კოჭლიაო, ზოგმა — ბრუციანიო, ზოგმა ყრუ და ზოგმა — ბებერია, უკბილოო!

მეფემ იფიქრა: რა ვქნა, მართალია, კარგი ოჯახის შვილია ის ქალი, მაგრამ რომ ასე ყოვლად საჯაყი ყოფილიყოს, ის ყმაწვილი ქაჯაია თავმომწონე კაცი იყო და არ შეირთავდაო!... დაიბარა გიორგი აბაშიძე და გაენდო: წადი, ნახე როგორმე ის ქალი და, თუ გიყვარდე, კარგად დამითვალიერეო! აბაშიძემ აასრულა მეფის ბრძანება. ქალი ჩინებული გამოდგა, მაგრამ ქვეყნის ყბაში თავის ჩაგდება ვეღარ გაბედა და მოატყუა მეფე: სხვების ნათქვამი იმანაც დაამოწმა. ერთხელ მეფე სანადიროდ ბრძანდებოდა. ააფრინეს ხოხობი, მიუტოვეს ქორი, მაგრამ ფრინველი თვალსა და ხელშუა სადღაც მიიმალა. ეწყინა მეფეს და გამობრუნებას აპირებდა ქუთაისისაკენ, მაგრამ იმ დროს წადგა მის წინ ვიღაც ახალგაზრდა და მოახსენა: „თქვენ რომ ხოხობი გაგიფრინდათ, აგერ გახლავთ ჩემს ეზოშიო". მეფემ მისი ბაზიერებით შეაჭენა ცხენი, დაუწყო ძებნა, მაგრამ ხოხობი ვერსად ნახა!.. მერე მიიხედა სახლისკენ და სარკმელთან მოჰკრა თვალი ერთ მშვენიერ ქალს. „სად არის ბავშვო, ის ხოხობიო? — ჰკითხა ახალგაზრდას — მომატყუეო? — არა, ჩემო ხელმწიფეო — მიუგო ყმაწვილმა — ქაჯაიას გვარს მის

დღეში მეფისთვის ტყუილი არ გაუბედნიაო!.. ის ხოხობი, თქვენ რომ გაგიფრინდათ, აქ გახლავთ, მაგრამ დარბაისლების ეშინია და იმალებაო... მეფემ გაიღიმა, ცხენი გამოატრიალა და გაუდგა გზას. დიდხანს აღარ გაუვლია, რომ ჯვარიც დაიწერა ქვრივზე. ერთ დღეს მოლხენით იყო მეფე, გარს დარბაისლები ეხვიენ და გიორგი აბაშიძეც მათ რიცხვში იყო. მეფემ ჰკითხა დარბაისლებს: „როგორ მოგწონთ დედოფალიო?“ კარისკაცებმა, რაც კი შეიძლებოდა, შეამკეს დედოფალი და ცამდი აიყვანეს. მეფემ შეიკრა წარბები და თქვა: „მაშ, ადრე რაღად მიძაგებდითო?“

— განაგონებით მოგახსენებდით და ერთგულებისათვის ნუ შეგვრისხავთო!.. მიუგეს ხმის კანკალით დარბაისლებმა.

— გიორგი აბაშიძე! შენ მაინც რაღას იტყვი? შენ ხომ შენი თვალითაც შეამოწმე და ისე მომახსენე, არ იცოდი, რომ ტყუილს არავის შევარჩენდი? ბრძანა უფრო მრისხანედ მეფემ.

— მე ტყუილი არ მომიხსენებია, ჩემო ხელმწიფევ! მიუგო თამამად აბაშიძემ.

— მაშ, ახლაც ისე გეჩვენება?

— ახლა მზეთუნახავი ბძანდება!..

— განა ეს შესაძლებელია?

— რატომ არა, შენი ჭირიმე? მამათქვენი ალექსანდრე რომ მიიცვალა და სამეფო ხელში ჩაგივარდათ, მაშინ იმერეთი კოჭლიც გახლდათ, ყრუც, ბრმაც და კბილებჩაცვენილიც, მაგრამ დღეს-კი ყველაფერი კარგად ესმის, შორს ხედავს, ფეხებზე მაგრად დგას და კბილებიც ამოუვიდა, რომ მტრებს უკბინოსო... და, თუ მთელი სამეფო ასე გამობრუნდა და გაკეთდა, რაღა გასაკვირველია ერთი უბრალო აზნაურის ნაქვრივალის თქვენს ხელში გადასხვაფერებაო?! მეფეს გაეცინა და სოფელი ჯოყოეთი უწყალობა.

—

171. ტუილი და მართალი

სოლომონ პირველმა მეფემ იმერეთისა იკითხა ერთ დღეს:— რა განსხვავება არის ტყუილსა და მართალს შორის.

— ეს არის მხოლოდ ხელის გული, უპასუხა ვეზირმა და დაიდო თვისი ხელი ლოყაზე და დაუმატა. — ტყვილი, ეს არის საქმე ყურის სიმართლე, ეს არის საქმე თვალის. რასაც ჩვენ ვისმენთ, ვცდებით ხშირად, მაგრამ რასაც ვხედავთ—არასოდეს არ ვცდებით.

—

172. სოლომონ პირველი და გლეხი

სოლომონ პირველი სეირნობდა ერთ დღეს სოფელში. დაინახა გლეხი, რომელიც ყვიროდა და ტიროდა.

— რატომ სტირი?

— ცხენი წამოვიყვანე საძოვრად და დავიძინე, უპასუხა გლეხმა. — ძილის დროს მომპარეს ცხოველი.

— თუ შენი ცხენი თვალ-ყურის დევნებას საჭიროებდა, რატომ დაიძინე?

— მე თქვენ გონიერი მგონიხართ ბატონო, უძილოდ მე ვერასოდეს ვიქნებოდი კარგი მეთვალყურე.

მეფეს ეს პასუხი მოეწონა და თავისი ცხენი მისცა საწყალ ეშმაკს.

173. სოლომონ პირველი, როსტომ ერისთავი, წერეთლები და სხვა თავადები

დაღესტანში ყოფილა სოფელი წერეთი. აქ ცხოვრობდა თურმე წვივშავიძე, იმ სოფლის მთავარი და შეხედულებით სამაგალითო ვაჟკაცი ყოფილა. განთქმული ყოფილა, როგორც თოფის მქონე, რაც იმ დროს იშვიათი ყოფილა. დაღესტნიდან გადმოხვეწილა და დღევანდელ ჩხერში დასიძებულა ჩხეიძის ქალზე. რამოდენიმე ხნის შემდეგ მისულა მეფესთან. მეფე მაშინ თურმე დღევანდელ სვერში ყოფილა, განუცხადებია სურვილი, რომ მას შევრდომებოდა და მისი ერთგული იქნებოდა. მეფეს მოწონებია წვივშავიძე და დათანხმებულა, თან შეკითხვია, თუ რა რჯულისა იყო (ლეკის ტანსაცმელში იყო გამოწყობილი თურმე). იმასაც არ ცოდნია ქართული და პასუხად ეს უთქვია: — წერეთი — წერეთიო, რის შემდეგაც გვარად წერეთელი შერქმევია. სოფლის სახელი გვარად დაუწესეს. მეფესთან ყოფილა სახლში, შემდეგ დაუვლია დღევანდელი საჩხერის მიდამოები. მაშინ ამ ადგილებს თურმე ჩიხის ქალაქი რქმევია. მოწონებია ძლიერ ეს ადგილები და გაუკეთებია ციხე, დღევანდელი ხვადაბურის ყანაში, არც მეფისათვის უკითხია და არც არავისთვის. მეფისათვის მოუხსენებიათ, რომ ამ ლეკს შენ უნებართვოთ ციხე აუშენებიაო. მეფეს გამოუგზავნია ერთი ოცი კაცი — დაიჭირეთ და მომგვარეთო.

მეფის მიერ გაგზავნილი პირები ხელცარიელი გამოუშვია და თან უთქვია: — იმისთანა გმირი კაცია, რომ ჩვენ მაგის დაჭერა არ შეგვიძლიაო.

მეფე წამოსულა თავისი ამალით, მაგრამ ვერ მიკარებიან ციხეში. შემდეგ შერიგება მოუხდენიათ შემდეგი პირობით, რომ ორი კვირის განმავლობაში დაემტკიცებია, რომ ეს ადგილი ნამდვილად ლეკისია. წამოსულა ჩხერში, დღევანდელ ხარაგოულის რაიონში, ჩაუყრია მიწა აბგაში, ლეკურში და წასულა ისევ და დაუფიცნია მეფესთან, თან ჩექმებში და ლეკურში მიწა ჰქონია ჩაყრილი (ჩხერის), რომ ნამდვილი ჩემი საჩხერე მიწა იყოსო. ამიტომ ამ ადგილს შემდეგ საჩხერე დარქმევია. ამ დროს ომიანობა დაწყებულა. მომკვდარა. დარჩენია მარტო ერთი ქალიშვილი. ეს ქალიშვილი ამ ლეკის შთამამავალს შეურთავს და ყოლია ორი შვილი — ზურაბ და გრიგოლი. მეფის მემკვიდრეებად ისინი დარჩენილან და გამხდარან მეფის უახლოესი ნათესავები, აქედან მოსდის სახლთუხუცესობა. რუსების შემოსვლისას არეულობა მომხდარა იმერეთში. რაჭაში ყოფილა იაშვილი, ამას მოუნდომებია მეფობა. როსტომ ერისთავი ქვემო რაჭაში ყოფილა. ძიხტომია იაშვილს. დაუჭერია შვიდივე ძმები და ეკლესიაში დაუმწყვრევია და თვალები დაუთხრია. ერისთავი წამოსულა შემდეგ რაჭიდან და ხვადაბური წაურთმევია გრიგოლისათვის და ზურაბისათვის. გრიგოლს და ზურაბს უთქვია, რაღაა ჩვენი ვაჟკაცობა და წასულან რუსეთში საჩივლელად. მისულან რუსთა მეფესთან, შეუთვლიათ — იმერეთიდან ვართ და თუ მიგვიღებთო. მეფეს მიუღია. მოუხსენებიათ მეფისთვის რომ — საქართველოში ისეთი ამბავია, რომ ძაღლი პატრონს ვერა სცნობსო. მომეცი ჯარი, წავიყვან საქართველოში, არც ერთ ჯარისკაცს არ მოგიკლავ და საქართველოს ჩაგაბარებო.

მეფეს უბრძანებია — წერეთელმა ხელის მოწერაც რომ არ იცოდეს, ეპისკოპოზობას მივცემო.

ჯარი წამოუყვანიათ დარიალის ხეობით, კახეთით, თბილისით. გაუმაგრებიათ რიკოთის მთა, მაგრამ ვერ გამკლავებიან და წამოსულან. ამის მომსწრე ყოფილა და თვითონაც პირადად მიუღია მონაწილეობა როსტომ ზურაბის ძე წერეთელს. შემოსულან იმერეთში. გრიგოლი წამოსულა ერთ მხარეზე. ზურაბი წასულა რაჭაში, დაუჭერიათ როსტომ ერისთავი და დაუთხრიათ თვალები, აუღიათ აფხაზეთამდე. შემდეგ წასულან პეტერბურგში და მოუხსენებიათ: — საქართველო ჩაგაბარეთო.

თითონ თურმე იპერდნენ ურჩებს. ამოშენებული ჰქონიათ ეკვტერი მდინარის ქვეშ, იქ მიიყვანდნენ ურჩებს და ცხენიან-კაციანა იქ აგდებდნენ.

ამ დროს გამოცხადებულა რუსეთის მეფის მიერ, რომ მთელი თავადაზნაურობა უნდა ყოფილიყო თბილისში. ნესტორ წერეთელი, ამათი ჩამომავალი, ახალგაზრდა ჩასულა თბილისში. ბაგრატიონებს და მუხრანბატონებს უთქვიათ:

„გოჭმა კუდი გააბზიკა, მეც ნახირ-ნახირაო“.

მეფის წარმომადგენელი რომ მოსულა, უთქვია: — ვინ არის აქ სახლთუხუცესის შვილიშვილიო.

ნესტორი წარმომდგარა და უთქვია: — მე ვარო.

— მაშ შენ უნდა წამოხვიდე რუსეთშიო.

იქ მეფეს მისთვის მიუცია ჩინი და სახლ-კარი. ამ ნესტორს ჰყოლია პელაგია ბატონიშვილი ცოლად. დიდხანს დარჩენილა. მოხუცებულობის დროს წამოსულა საქართველოში და დასახლებულა საჩხერეში — იმ ადგილას, სადაც ის ეკვტერი ყოფილა. საძირკველის ჩაყრისას აღმოჩენილა კაცი და ცხენი ჩარეხილი თურმე, მაშინ უთქვია: — ჩვენი შთამავალობა რითი უნდა გამრავლდესო, ამდენი ცოდვა აქვსო.

სახლთუხუცესის შვილები ყოფილან ნესტორი, პაპუნა, სანდრო, სიკო. შთამავლობა არ დარჩენიათ. ესენი მარხია ჯრუჭის მონასტერში, რაჭის მთასთან.

174. მჭრელი თვალები

იმერეთისა და ოდიშის ჯარები ერთხელ წუგნა მალიეთში შეხვდნენ ერთმანეთს. აქ ბრძოლა უნდა მომხდარიყო მათ შორის.

ლეჩხუმი ოდიშს ეკუთვნოდა. ოდიშის ჯარს ხელმძღვანელობდა დერჩელი გრიგოლ ასათიანი.

გრიგოლის ბებია, კოჟიბროლა, იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ნათესავი იყო.

იმერეთის ჯარს ოთია მესხი წინამძღვარობდა.

წინათ ასეთ წესს იცავდნენ: სარდლები მოწინააღმდეგის ნაწილებს წინასწარ ჩამოივლიდნენ, დაათვალიერებდნენ, როცა დაბრუნდებოდნენ, ერთმანეთს ნიშანს მისცემდნენ და ომს დაიწყებდნენ.

ოთია წავიდა ოდიშის ჯარისაკენ, გრიგოლი — იმერეთის ჯარისაკენ.

შეხვედრის დროს, როგორც კი გაუსწორდა გრიგოლი ოთიას, უკანასკნელი შემობრუნდა, ხმალი იშიშვლა და გრიგოლს თავი მოჰკვეთა.

ბრძოლა აღარ შედგა.

რაც მოხდა, სოლომონს აცნობეს. ნათესავის სიკვდილმა და თავისი სარდლისაგან ომის წესის დარღვევამ მეფე დიდად შეაწუხა.

ოთია მესხს პასუხი მოსთხოვეს.

ოთიამ თავი იმართლა, მეფეს ასე მოახსენა: გრიგოლ ასათიანს ხარბი გული და გამღალავი თვალი ჰქონდა. საშიში გარეგნობის იყო: მაღალი, ძვალმსხვილი, წითური და ცისფერთვალებიანი. ასათიანის სახის ცქერას ვერავინ გაუძლებდა. მისი თვალები ელვასავით ჭრიდა, ქუთუთოებში ურმის თვალებივით გორავდა, რა სულდგმულსაც დაინახავდა, წააქცევდა. ასათიანს რომ ჩვენი ჯარისათვის ახლოს შეეხედა, ყველას წაახდენდა, მთელ ძალას წაართმევდა, ომს წავაგებდით და შევრცხვებოდითო.

—

175. ჯორის ერთგულება

ოთია მესხი და ადამ ბებურიშვილი სამაგალითო გმირებად ითვლებოდნენ. მათი სახელი მთელმა საქართველომ იცოდა.

ოთია სოფელ რიონიდან იყო, ადამი კახეთში ცხოვრობდა. ისინი ერთმანეთს პირადად არ იცნობდნენ, მაგრამ ერთმანეთის ამბავი მაინც იცოდნენ.

ერთხელ ოთია და ადამი შეხვდნენ ერთმანეთს და დამეგობრდნენ.

ადამმა უსაყვედურა ოთიას: შენი ვაჟკაცობა მწამს, მაგრამ ჯორზე რომ ზიხარ და ომობ, ეს მაკვირვებს, ნუთუ კარგი ცხენი უკეთეს სამსახურს ვერ გაგიწევსო?

ოთიამ უპასუხა: ჯორი ადგილზე ბრძოლაში მაგარია და ერთგულადაც მემსახურება: მისი ჯიუტობაც მშველის, არასოდეს არ შემარცხვენსო. მტერს არც გავეკიდები და არც გავექცევი — მოწინააღმდეგეს პირისპირ რომ შევხვდები, თუ გავაბრუნე, არ დავედევნები და, თუ შძლია, არ დავემალებიო.

სოლომონ მეორე
სოლომონ ლეონიძე.
მათი თანამედროვენი

176. იმერეთის მეფე სოლომონ მეორე

მეფე სოლომონ მეორე ირაკლის შვილიშვილი იყო. არჩილ ბატონიშვილი რომ მიიცვალა, ობლად დარჩა პატარა სოლომონ და დედა მისიც მეორედ გათხოვდა, ანდრონიკაშვილს გაჰყვა ცოლად. იმ დღიდან ქართლში იზრდებოდა და, რასაკვირველია, ზნე, ჩვეულება, მიხრა-მოხრა და ქცევა სულ ამერული ჰქონდა. თავზედაც ყოველთვის ბოხოხი ეხურა, მაშინ, როდესაც იმ დროში, არც ერთი იმერელი უფაფანიკოდ არ გაივლიდა. იმერეთის ტახტზე დიდი სოლომონის შემდეგ დავით მეფე იჯდა. თვითონ მეფე დასაწუნი არ იყო, მაგრამ ცოლი ჰყავდა ცოტა ნაძრახი და მიტომაც იმერლებმა მოახსენეს ქუთათელის პირით: „ჩვენი ცოლები დედოფლის შემყურე უნდა იყონ და მისი მიმბაძავიო და მაგის ქცევა-კი მოსაწონი არ არისო. გთხოვთ, რომ ან დედოფალი გაუშვათ და ან ტახტზე ხელი აიღოთო“.

მეფემ იუცხოვა ქვეშევრდომების ამგვარი კადნიერება და გარისხდა. მოხდა ამბოხება და მეფე ტახტიდან გადააგდეს. . მაშინ იახლენ დარბაისლები იმერეთიდან ქართლ-კახეთის მეფეს ირაკლის და თხოვეს: იმერეთი შეიერთეთ, პატარა სამთავროებსაც ხელი ჩაჰკიდეთ და საქართველო ისევ ძველ კალაპოტში ჩააყენეთო. მეფე ირაკლიმ, დარეჯან დედოფლის რჩევით, შორს დაიჭირა ეს საქმე, და მოინდომა მისი შვილიშვილის, სოლომონის გამეფება იმერეთში. იმერლებმა რომ თანხმობა არ გამოაცხადეს, ჯარი გაგზავნა ოცი ზარბაზნით საომრად და ძალის დასატანებლად. დაუშინეს კიდევაც იმერლებს, მაგრამ იმათ ხელი არ გამოუღიათ: ჩვენ

ძმობასა და ერთობას ვითხოვდით და არა სისხლის ღვრასაო. ძალით გამეფებული სოლომონი ჩაუვარდა ხელში წერეთლებს და ბურთივით გაჰქონდ-გამოჰქონდათ. ხალხი დაემორჩილა თავის ბედს და თავის მხრით პატივსა და ერთგულებას არ აკლებდნენ პატარა მეფეს, მაგრამ იმას-კი მაინც უფრო ამერლებისაკენ უწევდა გული, იმერლებს სიტყვა-პასუხი არ უვარგათო და დარბაისლობას ვერ ახერხებენ ქართლელ-კახელებივითო.

— „ნუ გამიწყრებით და მაგაზე, მე თუმცა თვითონ იქაური ვარ, ვერ დაგეთანხმებითო!“ — მიუგო სოლომონ ლიონიძემ, მსაჯულმა. მეფე მაინც თავისას არ იშლიდა. „გამოვცადოთ, ბატონო, მაგაზე ადვილი რაღა არისო? ერთი და იგივე რამ ჰკითხეთ იმერელსაც და ქართლელსაც და მათი პასუხიდან გაიგებთ სწორსა. მეფემ კბილის ტკივილი მოიგონა და ყბა აიხვია. შემოვიდა სვიმონ წერეთელი და მოწყენით რომ ნახა ყბაახვეული მეფე, შეჰკადრა: რა დაგმართნიათ, ბატონო? — კბილები ამტკივდაო! — უპასუხა მეფემ. წერეთელი შეწუხდა და მოახსენა სანუგეშებლად: არა გიშავთ რა, შენი ჭირიმე, ქარს გაუკრავს და გადაგივლისო.

— კი, მაგრამ არ გიკვირსო? კიდევ ჰკითხა მეფემ.

— რა გასაკვირალია, შენი ჭირიმე? ეგ სულ თქვენი მოუსვენარობის ბრალია: აქეთ ხვანთქარსა ჰკბენთ და იქით ყეენსა და ან აქამდე როგორ შეგრჩა ეგ კბილებიო!

იმ დროს იმერეთში მეფის კარზე სტუმრად იმყოფებოდა ქართლელი თავადიშვილი, ამილახორი, და ის შემოაყვანია მეფემ. შესჩივლა კბილები მტკივაო. სტუმარს მართლა ეწყინა და თავის ქნევით მოახსენა: „მართლაო?.. აიპე! რა უსიამოვნო საქმე მოგსვლიათო!.. თავსლაფი კი დავასხი მაგისთანა კბილებს... ? ოჴერი სატკივარი, მაინცა და მაინც თქვენთან რომ არ მოსულიყო, სხვას ვერავის გამონახავდაო?

— აკი მოგახსენეთ?! და ახლა რაღას ბრძანებთო? ღიმილით ჰკითხა სოლომონ ლიონიძემ.

მეფე სოლომონს ეწყინა და ბრძანა: დარბაისლურ სიცრუეს.. ისევ ტეტიური სიმართლე სჯობსო.

—

177. სოლომონ მეორე

სოლომონ მეორე, უკანასკნელი მეფე იმერეთისა, ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ იმერეთის სამეფო ტახტი დაეცვა გარე-

შემოსევისაგან. ის თვალ-ყურს ადევნებდა ზურაბ წერეთლის მზაკვრულ მოქმედებას და ბოლოს რაკი დარწმუნდა, სახლთხუცესი მღალატობსო, განიზრახა მისი მოკვლა. მან უკვე გასცა ბრძანება, ზალიკა აბაშიძეს სახლთხუცესობის ადგილი მიეღო იმ პირობით, რომ დახმარებოდა ზურაბ წერეთლის მოკვლაში. ეს რომ ზურაბ წერეთელმა შეიტყო, გავარდა ქართლში ციციანოვთან საიდუმლოდ მოსალაპარაკებლად, რომ მას იმერეთის დაპყრობაში დახმარებოდა და თვით მეფე სოლომონ რუსის ჯარის შემწეობით ხელში ჩაეგდო. იმერეთის მეფემ ზალიკა აბაშიძის რჩევით საიდუმლოდ მიუჩინა ეგნატე ლომიძე ზურაბ წერეთელს მოსაკლავად. თავის მხრით ზურაბ წერეთელმა ადრე შეიტყო ეს განზრახვა; მის კარზე მისულს ეგნატე ლომიძეს არა უთხრა რა, მაგრამ ბასილიკი ღონღაძე განაზრახა: მეფის მოგზავნილს თვალ-ყური ადევნეო, დადგა აღდგომა ღამე. განთიადისას შემოჰკრეს ზარი ზურაბ წერეთლის კარის ეკლესიაზე. მაშინ ზურაბ წერეთელი იდგა იქ, სადაც დღეს განსვენებულის თავადის ალექსანდრე მიხეილსძის წერეთლის სასახლე დგას დაბა საჩხერეს. თავადნი, აზნაურნი, ვაჭარნი და გლეხნი, სადღესასწაულოდ გამოწყობილნი, წითელი კვერცხებით მიისწრაფოდნენ სახლთხუცის კარის ეკლესიაზე, რომ აღდგომის ლიტანია არ გამოჰპარვოდათ. სხვათა შორის გაემართა კარის ეკლესიაზე ეგნატე ლომიძეც. იმას უნდოდა გადარაჯებოდა ზურაბ წერეთელს განის შესავალ კარებში, რომელიც იყო გამოჭრილი სასახლის პირდაპირ და წირვის გამოსვლისას, როცა გამოვიდოდა სახლთხუცესი საყდრიდან, მაშინვე უნდა დაეცა მკერდზე მისთვის ხანჯალი. ბასილიკი ღონღაძე უკან აედევნა ეგნატე ლომიძეს და, როგორც კი ის ჩაესაფრა ზურაბ წერეთელს საყდრის შესავალ კარებში, ბასილიკმაც მიუსწრო. ჯერ კიდევ ღამე იყო — და არა ჩანდა რა. სასახლიდან გამოვიდა ზურაბ წერეთელი და ხელში ეჭირა ანთებული კელეპტარი. იმას უკან მოდევდა დიდძალი ხლებლებისა, აგრეთვე კელეპტრებ ანთებული. ამ დროს ბასილიკი ღონღაძე დაეცა თავს ქორივით ეგნატე ლომიძეს და მძლავრი მკლავებით შეიპყრო იგი. მას წაეხმარენ სახლთხუცის მხლებლები და შეჰკრეს მაგრად წელსაკიდი ბაწრით. აღდგომის მეორე დღეს ზურაბ წერეთელმა ეგნატე ლომიძე ხელგაკრული გაუგზავნა მეფეს ვარციხეს და შეუთვალა: „თქვენი გამოგზავნილი აღდგომის ძღვენი თქვენთვისვე მიახლებიაო“.

—

178. სოლომონ მეორე და სოლომონ მსაჯული

როგორც ვიცით, მეფის ერეკლის მდივანი სოლომონ მსაჯული, გვარად ლ ე ო ნ ი ძ ე არ იყო თანახმა 1801 წლის მანიფესტისა, რომლის ძალით ქართლ-კახეთი უერთდებოდა რუსეთის სახელმწიფოს, გავარდა და შეაფარა თავი იმერეთის მეფეს, სოლომონ მეორეს, რომელიც იყო შვილიშვილი ერეკლე მეფისა. სოლომონ მეორემ დიდი პატივით მიიღო თავისი პაპის ერთგული ყმა და საბელგანთქმული საქართველოს მსაჯული. უბოძა მას სამკვიდროდ კაცხის მამულები და რაჭის ერისთავის ადგილ-მამული ც ი ხ ე მ ი ნ დ ა და ბ ა რ ა ა ქ ო ნ ი. სოლომონ მსაჯულმა მალე მოიპოვა მეფეზე საკმაო გავლენა. მეფე მის დაუკითხავად არაფერს აკეთებდა. ამის გამო გადაემტერა სოლომონ მსაჯულს ძლიერი თავადი, ზურაბ წერეთელი, რომელსაც უკვე ჰქონდა მთავარმართებელთან ციციანოვთან საიდუმლო მოლაპარაკება მეფის ღალატზე. საიდუმლო მიწერ-მოწერაში პავლე ციციანოვი მაშინ უკვე უწოდებდა ზურაბ წერეთელს რუსეთის ტახტის ერთგულ ქვეშევრდომს, ერთიც, თუმცა, იმერეთის მეფის ერთგულებაზე შეფიცებული იყო.

ზურაბ წერეთლის ბოროტგანზრახულობას წინ ეღობებოდა სოლომონ მსაჯულის გავლენა მეფესთან და ამისათვის სახლთხუცესმა მოინდომა მისი დაღუპვა. იმან შეთხზა ხერხიანად მეფის ღალატი და დაასმინა მეფეს სოლომონ მსაჯული, ვითომც ის ყოფილიყოს ამ ღალატობის მოთავედ. ადვილად დამჯერე იმერეთის მეფემ უსმინა ვერაგს სახლთხუცესს და განიზრახა სოლომონ მსაჯულის თავის მოჭრა. ეს ამბავი ერთგულმა გლეხმა გუგუნა მაზღარაძემ დროზე აცნობა თავის ბატონს, რომელიც გაიქცა დადიანთან და იქ დაჰყო პატივცემულად წელიწადნახევარი. ამ ხნის განმავლობაში იმერეთის მეფე საკმაოდ დარწმუნდა სოლომონ მსაჯულის გულთმართლობაზე, მით უმეტეს, რომ სახლთხუცესი თავადი ზურაბ წერეთელი აღარ ეკარებოდა მეფეს. უფრო ხშირად იმყოფებოდა თავის მ ო დ ი ნ ა ხ ი ს ციხეში, საიდანაც ხშირ-ხშირად იგზავნებოდნენ საიდუმლო მოციქულები თფილისს მთავარმართებელთან. მეფე სოლომონ მეორეს და მის მეუღლეს მარიამ დადიანის ასულს ამ დროს საკმაო იჭვი ჰქონდათ შეტანილი თავის ვერაგ სახლთხუცესზე, მიმხვდარიყვენ, რომ ზურაბ წერეთელს განზრახ მოეშორებია მეფისთვის მისი პაპის თანაშეზრდილი ყმა და ამ დროს ერთადერთი ერთგული კარისკაცი. მეფემ და დედოფალმა იმერეთის ტახტისა გაუგზავნეს მიტროპოლიტი დოსითეოსი სამე-

გრელოში სოლომონ მსაჯულს, რომ უკან დაბრუნებულიყო. სოლომონ მსაჯული ისევ წამოვიდა მეფესთან, რომელმაც ხელახლა უბოძა რაჭა და კაცხი. იმერეთის მეფემ სოლომონ მეორემ მალე გაგზავნა ლეონიძე მსაჯული რუსეთს ელჩად, რომ იმპერატორს ალექსანდრე პირველს პირისპირ მოლაპარაკებოდა იმერეთის სამეფოსა და მისი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ. სოლომონ მსაჯულს თან გაჰყვა რუსეთს თავისი ერთგული მოურავი გუგუნა მაზღარაძე, რომლის სიტყვით, სოლომონ მსაჯული მეტად პატივისცემით ყოფილა მიღებული იმპერატორის კარზე. იმან თავისი მალალი ჭკუით და დარბაისლობით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა გულკეთილ იმპერატორზე, რომელიც ემზადებოდა აესრულებინა ყოველივე თხოვნა იმერეთის მეფის სოლომონ მეორისა. მსაჯული ლეონიძე დარჩა პეტერბურგს ათის თვის განმავლობაში და ისე ზედმიწევნით შეისწავლა რუსული ენა, რომ თვითონ იმპერატორი და მისი კარისკაცები გაკვირვებულნი იყვენ მოხუცებულის ლეონიძის ნიჭიერებაზე. იმპერატორ ალექსანდრემ გადააღებინა იმერეთის მეფის დესპანის სურათი თავის კაბინეტში დასაკიდებლად. ეს სურათი სოლომონ ლეონიძისა დღემდის იპოვება თურმე ერმიტაჟის არხივში. ამ დროს სახლთხუცესს ზურაბ წერეთელს შურით არ ეძინა თურმე თავის მოდინახეს ციხეში და ამზადებდა საოცარ წერილს, რომელსაც უნდა დაეღუპა იმერეთის მეფე სოლომონ მეორე და იმერეთის ბედის ჩარხი უკუღმა დაეტრიალებინა. ზურაბ წერეთელმა შეთხზა თათრულად იმერეთის მეფის მაგიერად ბარათი, ვითომც ოსმალეთის ხვანთქართან მის მიერ მიწერილი შემდეგი შინაარსისა: „სოლომონ მსაჯული რუსის ხელმწიფესთან გავგზავნე ელჩად, ვითომც მოსარიგებლად, მაგრამ უფრო დროს მოსაგებადაო. საჩქაროდ მომაშველეთ დიდი ჯარები, რომ იმერეთი დაიპყროთ და მე სამკვიდრო ტახტი არ დამეკარგოსო“. სახლთხუცესმა ზურაბ წერეთელმა მოიპარა მეფის ბეჭედი, დაჰკრა ამ შეთხზულ ბარათს და გაუგზავნა თფილისს მთავარმართებელს ციციანოვს, ვითომც ეს მეფის მიწერილი ხონთქართან ბარათი გზაზე დაეჭიროს. მთავარმართებელმა მაშინვე კურიერი გაგზავნა პეტერბურგს, საჩქაროდ გაეწყვიტათ სოლომონ მსაჯულთან დიპლომატიური მოლაპარაკება და დასამტკიცებლად იმერეთის მეფის ცბიერებისა ზემოხსენებული ბარათი თან გაატანა ხელმწიფესთან. ამის შემდეგ იმერეთის მეფესა და მისი სამეფოს საქმე უკუღმა დატრიალდა. სოლომონ მსაჯული კინაღამ პეტრეპავლოვის ციხეში ჩასვეს. საჩქაროდ გულცივად უკანვე გამოისტუმრეს. ასეთი უცე-

ბი მოქმედება რუსეთის იმპერატორისა სოლომონ მსაჯულმა. მიაწერა რუსეთის მთავრობის პოლიტიკას და კიდევ უფრო აიყარა გული მის გულწრფელობაზე. იმან განაღვიძა მეფის გულში დიდი დაუნდობლობა მთავარმართებელზე. სახლთხუცესი ეწია თავის სურვილს. ამას შემდეგ მეფე ერთხელ კიდევ შეეცადა მორიგებით და მშვიდობიანად გაეთავებინა რუსეთის ხელმწიფესთან საქმე და გაგზავნა თვითონ სახლთხუცესი ზურაბ წერეთელი ელჩად ციციანოვთან. ზურაბი დაბრუნდა იმერეთში ფრიად პატივცემული. მის ელჩობას მოჰყვა რუსის ჯარების შემოსევა იმერეთში და სოლომონ მეფის მიპატიჟება თფილისს.

სოლომონ მსაჯულს ამას შემდეგ აღარ ედგომებოდა იმერეთში. ის წავიდა ახალციხეს, სადაც ფაშამ დიდი პატივისცემით მიიღო, მისი შვილი ივანე კი „მინდა ციხეში“ გამაგრდა ოთხმოცი მეციხოვნით, მაგრამ, როცა ვრიგოლ წერეთელი მიუძღოდა რუსის ჯარს ქუთაისიდან საჩხერეს და მოდინახის ციხე ააღებინა, მაშინ ივანე ლეონიძე დარწმუნდა, რომ საქმე საბოლოოთ წაგებული იყო: როგორც მას, ისე მამამისს იმ დროებში აღარ ედგომებოდათ აღარც რაჭას და აღარც კაცხში. რაც „მინდა ციხეში“ სამხედრო იარაღი და სამზადისი იყო, სულ ერთად ღრეში გადააყრევინა, მეციხოვნები დაითხოვა და თვითონ გაეშურა ახალციხეს იმერეთის მეფე სოლომონ მეორესთან. იმან იცოდა, რომ მეფე თფილისიდან საიდუმლოდ გაქცეულიყო ახალციხეს. ივანე ლეონიძეს თავისი მამა სოლომონ მსაჯული აღარ დახვედრია ახალციხეს ცოცხალი. თურმე ზურაბ წერეთელს ჩუმად მოეყიდა ერთი ბერძენი, რომელიც გაემგზავრა ახალციხეს და მოტყუებით შეელეკვა სოლომონ მსაჯულს. ბერძენმა საჭმელში ჩაუყარა სოლომონ მსაჯულს საწამლავი. მისი შვილი ივანე ლეონიძე გაჰყვა მეფეს აზრუმს, იქიდან ტრაპიზონს, სადაც მეფე სოლომონი ცხოვრობდა 1815 წლამდის ოსმალეთის ხვანთშარის მეოხებით. მისი სიკვდილის შემდეგ ივანე ლეონიძე დაბრუნდა თავის სამშობლოს; მას დახვდა თავისი ადგილ-მამული სახაზინოდ შერაცხული და დაემკვიდრა უშვილო თავის ძმის ალექსანდრე ლეონიძის მამულზე. დღეს მისი შთამამავლნი არიან კაცხის მებატონენი სოლომონ, ალექსანდრე და დათა ლეონიძეები.

—

179. არაბულთა მოტაცება

სოლომონ მეორის დროს კითხიჯში გაწვრთნილი ქურდი ბერიკა ბაბუხადია ცხოვრობდა.

ახალციხის ფაშას ორი არაბული ბედაური ჰყავდა. ბერიკა ამ ცხენების მოსაპარავად წავიდა.

თავლის ახლომახლო ადგილებს ფრთხილად ათვალიერებდა, სწავლობდა როდის და რა გზით გამოეყვანა ცხენები.

თავლა შემორაგვულ ეზოში იდგა. ეზოს დარაჯობდნენ დიდი ძაღლები, რომლებსაც დღით აბამდნენ და ღამით უშვებდნენ. ბაბუსადიამ ახლო-მახლო ადგილი ფრთხილად დაათვალიერა, შეისწავლა როდის ან რა გზით გამოეყვანა ცხენები. მცველიც მოისყიდა, ცხენებს რომ გაიტაცებდა, ისიც თან უნდა გაჰყოლოდა სასახლიდან.

ბერიკა თავლაში ყოველდღე შედიოდა. ცხენებს ქერს მისცემდა, თან თავსა და ტანზე ხელს ალერსით გადაავლებდა. ცხენები ბერიკას აღარ უცხოობდნენ, მოუშინაურდნენ.

მეჯინიბის სადგომი თავლის თავზე იყო გამართული. ერთხელ ქვეშიდან ხმაური მოესმა. თავლაში ჩავიდა, მაგრამ ვერავინ ნახა.. ბერიკა ქილახორში დამალულიყო.

ერთ დღეს ბერიკამ თხა დაკლა და ხორცი დიდ ლასტში ჩააწყო. შუაღამით ლასტი ეზოს მახლობლად ხეზე თოკით დაკიდა და ძირს ჩაუშვა. ძაღლები ჩახტნენ ლასტში და ხორცს ჭამა დაუწყეს.

ბერიკამ თოკი ნელ-ნელა მოსწია, ხის წვერზე ძაღლებიანად ატანილი ლასტი თოკით სარზე დაამაგრა.

ბერიკამ არაბული ცხენები მოიპარა და სოლომონ მეფეს მიართვა. მეფემ ბერიკა ხმლით დააჯილდოვა.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება

180. დავით ბატონი

დავითისთანა ბატონი
არ გამოსულა გვარშია,
ადგა და ქვეით წავიდა
დიდის ყაენის კარშია,
ყაენმან წყალობა უყო,
ლაშქარი მისცა ხელშია,
იქითგან წინ წამოუძღვა,
ვით ორაგული ზღვაშია,
მაგრამ ხელი არ მოეწყო,
არ დაინდო არავინა,
არც ქართლში, არც იმერეთში,
უორგულეს გარ თუ შინა,
ახალციხის ფაშამ იძმო,
გაუჩინა მტკიცე ბინა.

—

181. ქალაქის არევა

ღმერთო, რა დიდი ბრალი ას
არევა ქალაქისაო.
ნეფის ერეკლეს სიკუდილი
დაქცევა ჰმელეთისაო.
ალექსანდრეი გავარდა,
ჯარ შინდა დაღისტნისაო,

გიორგი იმას იტყოდა,
შავიბრძოლები ხვთითაო.
კაცი გააგზა კევსურეთს,
თავი დამჭირდის ყმისაო,
გამამივიდან ასლები.
ბებრები ვერა სდისაო.
.ჩქარდეს კევსურთ შვილები,
ერთმანეთს არ უცდისაო.
არაგვზე ჩამადიოდის,
გუნდია შავარდნისაო.
ჭეხით მიართვეს სალამი
გიორგის ნეფის შვილსაო.
ღადგის ერთუცის და სასწორ
ჯარები ორის ძმისაო.
ქვენითა მადის ამბავი,
ლეკ მადის, არ იშლისაო,
შუაზე უდის ჩაფრები,
რუსი არ აძლევს პირსაო.
შაიბნეს შუადღის დროსა.
გურგილ დგა ზარბაზნისაო.
გაიქცა ურჯულო ჯარი,
იქნა ბრძანება ხვთისაო.
ჩახყვიან კევსურთ შვილები,
ჭეხა დგა თოფებისაო,
თუშნი ცხენდიცხენ წავიდეს,
წკეპა ამასდის ჭმლისაო,
დაღამებდიან მიხყვიან,
სანამ ლიშანი ჩინსაო.
დაღამდა, დაბრუნდებიან,
ცნობა აღარ ას მკვდრისაო.
დარჩომა ბორაყისაი
საწყენი ყველაკისაო.
აღარ ხყოლია დროშაი
ლაღის კარატი ჯვრისაო.
თოთიას ამწუხარებენ
სულხანაურის 'შვილსაო,
თავზე ნახურავს ჩაჩქანსა
ჯამს ნატყვიარი სჭირსაო.
ნაჭრევ აღონებს მგელასა,

კურდღელისძეთა ხნისაო,
სიკოს აუგის გაზდილსა
კუბოჩი წიას რელისაო.
შიგ ჩააწვინეს შიშია,
ანგელოზია ხვთისაო,
ჩაუდგით ოქროს სურაი,
შუქ რო ჩავარდის მზისაო,
ცხრა დააყენეთ ხუცესი,
ცოდო მაკადეთ კმლისაო.
ამაგ ხიმღერის ნათქვამი
დასეტყუული ორ ხთისაო,
ლაშქრობა მია მიყვარდის,
ამამღერება კმლისაო.

—

182. ნიახურას ომი

დიდება და მადლი ღმერთსა,
რომ ბრძანება იქნა ღვთისა,
ახლა დადგა საქართველო,
ომი იქნა პირველ ჟმისა,
მოიხსენეთ, წამკითხველნო.
რა გიამბობთ ომარ ხნისა.
ჯარი დიდი შეუყრია
ბულხადარა დაღისტნისა,
ალექსანდრეს შეუთვალა,
კახ ბატონის მეფი შვილსა:
„თუ ჯამაგირსა შეიძლებ,
კიდენ მოგიმატებ ჯარსა,
თუ ჯამაგირს ვერ შეიძლებ,
პირი მომეც მოტევისა,
ასე აგიყვან თელავსა,
არ მოგადენ ნიავ ცივსა“.
ნიახურაზედ გავიდნენ,
შემოჰყარეს პირი პირსა,
რუსმა დააწყო თიბები.
ომარ ხანი იკინისა:
„მოიცადე ომარ ხანო.

მალე გაცვლევინებთ პირსა“.
ზარბაზნები დაუშინეს,
ლურჯათ თოფის ტყვია წვიმსა,
ჩვენი გრიგოლ ჯანდიერი
მონატეხი არის კლდისა,
ისე შედის ცხარე ომში,
როგორც რძალი მეზობლისა,
ჯოგანთასა თავი მოსჭრა,
ვითა კიტრი მებაღისა.
მისგან ნახოცი ლეკნიცა
პანტასავით ჩამოდისა.

—

183. ამისთანა დიდი ჯარი
არ გვინახამ თამასხნისა.
წინ მიუძღვის ალექსანდრე,
სარდალია ხანებისა:
„გიორგი ნეფე გადვაგდეთ,
ჯავრი ჩამყვა ჩემი ძმისა,
რუსი ბევრი მოიყვანა,
ჯარი დიდი ხემწიფისა“.
ნიახურაზე შეიბნენ,
საათია კიდევ დღისა,
თივით ტენეს ზარბაზნები,
მოტყუება უნდათ მტრისა.
გაჯავრდა რუსის უფროსი,
პირიდამა ცეცხლსა ჰყრისა.
რა გააქცევს რუსის ჯარსა,
ციხე არის ადამ ძისა.
რუსმა უნდა გაიმარჯვოს,
ბძანებაა მაღლი ღვთისა.
პატარა რომ დავაცადე,
ბური დადგა ზარბაზნისა,
ერთმანეთი გაიტანეს,
ასრესინეს ცხენის ჩლინქსა.
ზალს აქებენ მოურავსა,
ბატონია კახეთისა,
დღის სავალზე მოდიოდა,
ყეფა მისი ფრანგულისა,

მოსჭრის თავსა და მიუტანს,
წინ დაუდებს მუხლის ძირსა:
„აფერო, ჩემო კნიაზო,
მარჯვენაში, მოგჭამ ჭირსა!“

—

184. მასვინარედ მასვლა იქნა,
ვინც რო დამსწრე არი მისსა,
რუს კემწიფემ დაიჭირა
ეს ქოყნები მრავალ მხრისა.
შვიდი კემწიფის თავია,
შვიდნი უსხედ მუკლის პირსა,
შვიდთავ ეგეთი ხათრი აქვთ
როგორც გამჩინელი ღვთისა.
ჩაკრიფეს ბაგრატიონი,
ალექსანდრე დარჩა ძირსა.
ალექსანდრე ჩივის, ტირის:
— ჯარი არ მყავ არაგვისა.
შვიდი თავადიშვილი მყავს,
თითო ათას კაცად ღირსა.
ხონთქარმა წიგნი მიწერა
ალექსანდრე მეფის შვილსა:
— ჯარებს მრავალს მოგაშველებ,
თუ შაიძლებ ჯამაგირსა.
თუ ჯამაგირს ვერ შაიძლებ,
აქ უშოვი ულუფასა. —
ა, დიდება, მადლი ღმერთსა,
პირი შამოჰყარეს პირსა.
ომია და ეგეთია,
ტყვია წვიმსა, ჩამოდისა.
სისხლისა ნაგუბარზედა
მალქაფები ჩამოდისა.
ევ თადიავ მაურავი,
ლერწამია ზღვის პირისა.
შვიდი თავი მოუწონა
ალექსანდრეს ნეფის შვილსა,
თავის სჯულზე ეფიცება:
— ერთი არა სალდათისა —
სუ მაივრები დავხოცეთ,

ფერთმერშლები ჯელმწიფისა:
— ამოტირდა ომარხანი
თოლზე ცრემლი მაადგისა:
— რათ არ ვიჯე სიღნაღშია,
ღვინით არ ვიბანდი პირსა?
ჯარები შამამაცალეს,
მარტო დავრჩი წყლისა პირსა.
ბაგის ჭალას შავიპარე,
როგორც რო მელაი ტყისა.

—

185. ე რა ქნა ჩვენმა ბატონმა

ე რა ქნა ჩვენმა ბატონმა,
ლეკშია გადირბინაო,
ქართვლებ თავი დაანება,
განჯას მონახა ბინაო,
ის ჯალია, ის სოსია
ლეკშია გადირბინაო,
ლეკები შამაიყარა,
ქიზიყ მაართვა წინაო,
ჩალაუბნის პირს მოვიდნენ,
— აქ არის ჩვენი ბინაო,
ქართვლები ეხვეწებიან,
რაზე დაგვიწვი ბინაო?
—ვინც ჩვენ კა

ფოთოლს ანძრევს ფეხის ქარი.
მე რომ აქ ომი გადამხდა
მეფე ერეკლეს დროსაო,
ერთ თათარს წამოვეწიე,
სახელად ერქვა მუსაო.
მომიბრუნდა და ფიცს მაძლევს:
— „ნუ მომკლავ, შენი ჭირიმე.
შენ გენაცვალოს მუსაო,
ქართულად მოვინათლები
და მოვიპარსავ წვერსაო,
ღორის ხორცსაც გიახლები,
თავზე დავისხავ წვენსაო,
არაბულ ცხენსა მოგართმევ.
ჩუჯსა და ქარშიკებსაო,
ოქროს უნაგირს დაგიდგამ,
სევადით შეკაზმულსაო.
შეჯეგ და თან წამიყვანე,
შენ გენაცვალოს მუსაო“.
შევჯექ და წამოვიყვანე,
ქალაქში აცხობს პურსაო.

—

187. ახლანდელი ომარ ხანი
ალექსანდრეა განაო,
თანდათან ქვევით ჩავიდა,
ჯარი გამოჰყვა თანაო,
სულ ერთიან თან. მოჰქონდათ
თოფი და ჯაბახანაო.
ნიახურს ჯარი მოსულა,
თავს წვრილი და ბოლოს სქელი
ჯერ თოფი არ გავარდნილა,
არუთინამ მოკლა ცხენი.
გიგოშვილმა მალხაზამ
ალამს მოგვიწყვიტა წელი,
ეს სამებლიანთ დავითა
ბურჯია მოუდრეკელი.
დიაკვანი გადმომდგარა:
— ლეკო ...
ჩვენ ხო ბევრი ამოგხოცეთ,

ჩვენ არ გაგვდის ცვარი სისხლი,
მინდვრისა წმინდა გიორგიმ
გადმოგვიგდო საფარველი,
სუყველამ იქ შავასწარით
ხიზანი და საქონელი.
ერთი კურატი მოგვტაცეთ,
ეგ ხო იყო დავლა თქვენი.
გაღმა ჩაღებში გავიდნენ,
ჩვენება იყო განაო,
გაღმა ჩაღებში გავიდნენ,
ცეცხლი დაანთეს განაო.
წმინდა გიორგიმ დასწყევლოთ,
ვერ მოიხმარეს დანაო,
შუაღამე რო შაიქმნა,
ადგა და გაიპარაო,
სუ ყველაყა იქ დაჰრჩებათ
ყალიონი და დანაო.

—

188. ალექსანდრე მოვიდა და
მოიყვანა ხუდათ ხანი.
პლანები კარგად დააწყო,
აბელი ჰყავდა სარდალი.
ორშაბათ დილა გათენდა,
გარს მოესხა ლეკის ჯარი,
ვახსენეთ წმინდა გიორგი,
პირზე გადვიწერეთ ჯვარი.
ერთობლივა შეუტიეთ,
ლეკზედ მივიღეთ საფარი,
გავაქციეთ და დავხოცეთ,
სარდალს გამოვეჭერით ყელი.
ომშია ნაქები არის
ვაქკაცადა სიღნაღელი,
თოფ-ხმალი ხელთა უჭირავს,
სულ ფრანგული ძველისძველი.

—

189. ბატონიშვილი ამბობდა

ბატონიშვილი ამბობდა.
წითლად ჩაგვიხდა მზეო.

გამომაქციეს რუსებმა,
მინდორი მრბოლეს გძელიო,
მიშველეთ ჩემნო ხევსურნო,
თქვენ ხომ ყმანი ხართ ჩემნიო,
ქალაქ თუ მე დავიპირე,
მემრე მე ვიცი თქვენიო,
ქალაქ თუ მე არ დამნებდა,
თქვენც თავი დასთმით ჩემიო.
ფუნჩური ტურაის შვილო,
დიდხანაიმც ხარ მთელიო,
მაჩხოვი თანდილაშვილო,
ენაიმც მოგპრა გძელიო,
რა მალედ დაგვიწყებივა
ხალათ დაცმული ჩემიო.
აკუშოს მგელაის შვილნო,
დედა ვაცხონე თქვენიო,
არვინ ყოფილა თქვენფერი
საქართველოზე ჩემიო,
მე ესრე მომახსენებენ,
ბევრი უხოცავ მტერიო.
ოროლთა ხელმოკლიათა
დაიდვეს სინის ფერიო.
მამუკამა ?ა ჯოყოლამ
დაივლეს ?ელებსა ხელიო.
?ამბობენ, გუ?ოველებმავ
ციხეს შააბეს წვერიო,
დიდი ხქონია ბუჩაი,
ტყვია გამოსდეს ცხელიო,
მაგათ ნახოცსა სალდათსა
ჭალაში ითრევს მელიო,
ბეღლის კარ ნაჯდომმა წავთვლე.
ეგ მოძმე იყო ჩემიო,
ჩამომაყოლე სახმთოო
შენ ნისლის ფერი ცხენიო,
რუსებ თუ ვერ მომერივნეს,
შაძლება იყო შენიო,
მოგიტან ვერცხლის ?ურასა,
მაღალი ?ედგას ყელიო.

—

190. ფერაულნი

ჯაკმატ ფერაულთ სიზმარი
დაცდილი მტრის ჯოცისაო.
თავადაც იჯოცებიან,
არცა-რა უკვირთ სხვისაო.
„აბულეთს გავაგებინათ,
სისხლ ბევრჯელ უსვამ მტრისაო".
ჭალას ივანეთ ბერდია
არწივი ბანზე ზისაო.
ადგეს, ჩაიდვეს საგზალი,
აკსენეს ძალი ღთისაო;
ტანთ იარაღებ აისხეს,
საკსარი თითო ტყვისაო;
დათვის ჯვარ გადაიარეს
არწივებმ ზინზილითაო;
ალაქოს გასთენებივა,
ალაგს ეძევენ ჩდილსაო.
„დღე აქ დავლიოთ", — ვაქებმ თქვეს,
— „ღამ ჩავსხდეთ სოფლის ძირსაო".
მგზავრი მავიდა ტუტილა,
დავლათი მგზავრებისაო.
მაურავ ქისტებს უხარის,
ტყუილს უზიდავს პირსაო.
ბერდია ეუბნებოდა:
„ნაქნარ ჩვენ უყვათ მგლისაო;
ჯერა დავრივნათ თოფითა,
მემრა მავკრიფათ ჯმლითაო:
არგონებლიეა მაუვა,
ალი ეხვიას პირსაო".
ჯერ თოფებ არ გაკრეფილა,
ბერდია ჯელებს სჭრისაო.
ოროლ ივანეს შასწირეს,
თავი ,ალგისა ,ყმისაო.
დაბრუნდეს ნასახელარნი,
მზე ეფინების პირსაო.
ქარს შატილს შამუარიან,
ჯარი დგას ბატონისაო.

ვზას 'მაჰხვდა ბატონიშვილი.
ხლართვა სწადიან გზისაო.
„დაგვეკსენ, ჩოლაყაშვილო,
თორ შენ' სიცოცხლე ჭირსაო.
ტანთ გვასხავ იარაღები,
თითო ჯელში გვაქვ მტრისაო“
მახარობელი მაუვა
ხაძეს თათარის შვილსაო:
„მავიდეს ველს წასულები,
ჯავრი ამუყრავ მტრისაო“.
ივანე მაუყვანავის,
არწივ ჯვარის კარ ზისაო.

—

191. მამაძაღლი ომარ ხანი
რაზედ აგვიშლის დავასა,
ბეჟანიან წაგვიხდინა.
ცეცხლი მოგვიდო გავაზსა,
ნინიამ უთხრა ბეროსა:
„ბიჭო, რა ვუყოთ ჩალასა?“
„წავალ, კამბეჩებს ჩამოვრეკ.
იმათ მოვაჭმევ ჩალასა“.
ღმერთი გაუწყრეს კამბეჩსა,
დაადგა ძროხის გალასა,
წინ შვილი შემოეყრება,
დაეჭიდება ამასა:
„კამბეჩო, იქით გამეცა,
თორემ აგიტეხ ბალასა“.
შვილი კამბეჩი შაიბა,
შვიდივეს ატანს ძალასა.
კამბეჩმა მაიქედურა,
გვერდები დაჰკრა ალაგსა.
პატრონი ვირსა შაჰკაზმავს,
და შაბამდა ამასა,
ვირმა დაიწყო როყინი:
„მე ვერა ვზიდავ ამასა“

—

192. ღმერთმა იცოდას, მეწყინა

ღმერთმა იცოდას, მეწყინა
არევა ქალაქისაო,
ნეფე ერეკლის სიკვდილი
ყევსურთა ყემწიფისაო.
წამოდგა ალექსანდრეი —
ჯარი მყავ დაღისტნისაო.
კაცი გიორგიმ მოლალა,
თავი დამჭირდა ყმისაო.
ყევსურნი ჩამამივიდნენ,
ქალაქი წამერთმისაო.
ადგეს, წავიდეს ყევსურნი
ნარჩევნი თემთემისაო.
არაგვზე ჩამოდიოდა
ჯოგი ლეგისა მგლისაო.
ცხეთას მიუვლენ ბატონსა
გიორგის ნეფის შვილსაო.
ნუ გაუწყრები, ბატონო,
ბრალია უნჯის ყმისაო.
ამბავ ქალაქჩი დავარდა—
რუს მადის, არ იშლისაო.
საჰირდაპიროდ დაუდგა
ჯარი ოროლის ძმისაო.
შუაზედ. უდის ელჩები,
რუსი არ აძლევს პირსაო.
თათარ-ქართველთა რიგება
ანდერძად არ მადისაო.
ომ მაჰკდა ლიამხურზედა.
გუგუნ დგა ზარბაზნისაო.
გატყდა, გაბრუნდა ურჯულო,
ნაგუბარ გასქდა წყლისაო!
„გაისაჯენით ვაქებო.
ვისიც კმალ-დაშნა სჭრისაო,
მანამ მივდიათ თათრებსა,
მანამ ლიშანი ჩინსაო“...
თოთიას ამწუხარებენ
სულხანაურის შვილსაო.

თავზე ნახურსა ჩაჩქანსა
ნატყვიარ ჯამზე სჭირსაო.
იძევენ გუდანელები
მა გუგუაის შვილსაო,
ღერენა არ მაგვივიდა,
ლურჯა უმკედროდ რბისაო.
კურდღელისძეთა მგელასა
ნაჭრეევ აღონებს მკრისაო,
მაღლა გამოდის ჭექაი
ლაღის კარატის ჯვრისაო,
ძალიან საწყინარია
დარჩომა ბორაყისაო,
ორ უფრო გამძღობარისა
მკადრისა ბღარაისაო.
ბრალია ჩალხურისშვილო,
იღბალ გერევის მტრისაო,
არ გებას ბაწარაული
დაცდილი აბაისაო.
ამაგ სიმღერის მათქვამი
დასეტყვილი ვარ ღვთისაო,
ჭმალ ერისთვიანთ წამართვეს,
ცოდო ეკიდასთ ჭმლისაო.
შაბეს თავის თავადსა,
ყურალაღაის შვილსაო.

—

193. ი ხეკაშვილი გიორგი

ი ხეკაშვილი გიორგი
ის მორწმუნე იყო ღვთისა,
როცა ღმერთმა გააჩინა,
იარაღი მისცა ხელსა,
ხელში უჭირამ მაჟარი,
ტყვია უნდა ზარბაზნისა,
სადაც ნადირს შემოსტყორცნის.
მოჰხვდება და დასცემს ძირსა,
იმი მოკლულ მშველ-ირემსა
ვინ აიღებს ანგარიშსა,
წყალში თევზი სულ გაწყვიტა,

ქარავანი დიდი მტკვრისა.
ზურაბისთანა ბატონსა
დედა ვეღარ გაზდის შვილსა,
ხელში უჭირამს საზომი,
მოსამძღვრეა დაღისტნისა.
იესო ქრისტემაც ჰკითხოს
იმ გიორგის მეფის შვილსა,
ძმებს კი აღარ უდებს წილსა.
ლევანმა და ალექსანდრემ
შემოჰყარეს პირი პირსა,
იახლეს თან მსახურები,
ყეენს კარზე უახლდესა:
„ყეენო, ჯარს არ გვიბოძებ?
თავი მოგვეჭერ შენი ხლმითა,
ძნელი საქმე მოგვიხდინეს,
ჩვენ აღარ გვიდებენ წილსა“.
მაშინ უბძანა ყეენმა:
„თავი როგორ მოეჭრება
საქართველოს მეფის შვილსა!
ათიათას კაცს მოგართმევ,
შიგ დაგირჩევ თავის ხლმითა,
გაგიმართამ ზარბაზნებსა.
სულ ზევითკე უზამ პირსა“.
ალექსანდრე კი ტიროდა:
„ძმაო, ნუ გამიტეხ პირსა!
რა უშველო საქართველოს
მარტოკამ ამ ერთის ხლმითა!“
გაფრენილსა მერცხალ გავდა
იმ თავისის სიმართლითა,
გულადობით ტარიელსა,
შიში არა ჰქონდა მტრისა.

—

194. მამაძაღლო ომარ ხანო,
რატომ გუთანს არა ჰხნამო.
არ დასთესამ ქერის პურსა,
არ დაჯდები,არა სჭამო.
მამაძაღლმა ომარ ხანმა
ღამე ჯარი გააპარა,

ბელაქანს ცეცხლი მოედო,
თივა ბევრი გადმოყარა.
ბელაქნური ეუბნება:
„როდის მააჭმევ ამასა?“
— ეხლა მოვრეკამ კამეჩებს,
ეხლაც მოვაჭმევ ამასა.

—

195. ჩემკენ მოდექ ომარ ხანო,
უნდა სიტყვა მოგახსენო,
წორ ამხანაგში გასულო,
ლამაზო, თავისიანო.

196. ერეკლეს გლოვა

მთაში ამიღვრდა არაგვი,
ბარათ აყროლდა მტკვარია,
ყველა შიგ შემეერია,
გველი, მყვარი და მკალია,
მტკვარსაც ნუ დალევთ, იცოდეთ,
მტკვარიც კი მძორიანია.
ძეგლი დავკარგეთ მამისა,
ალარც გვყავ დედა მარიამ,
ავდგეთ და გადავიხვეწნით,
მანამდინ კიდევ დარია,
სამხრეთისაკენ გავწიოთ,
საიდან მოგვდის მტკვარია,
იქნება მაშინ ვიპოვნათ
ჩვენი ბაგრატის გვარია.
აეწ ტკბილი გვაქ, ვიცოდეთ
კვლავ კი გვექნება მწარეა,
ნეტავი იყოს ლაშქროვან,
ნეტავ გავიდეს ჯარია,
ნეტავი წელზე შეერტყას.
ერეკლეს ჩვენსა ხმალია,
გატეხოს ციხის კარები,
გაჰქროლოს როგორც ქარია,
გვერდითა ჩამოგვიყენა

ჩვენი არ-ვვის ყმანია,
თქვენ თვალით გაყურებიათ,
ჩვენ გვაქნევინა ხმალია,
წინამც საომრად შეგვყარა
ყეენის შვილის ჯარია.
სუყველამ იცით, ტუსაღთა
მუხლებს აღარ აქვს ჯანია,

—.

197. ფეტვიით აჟულაკამ თქვა
ტაშტი თავქვე დაიხარაო,
რომ მივედ, სეტყვა მოვიდა,
გადავრჩი, გარდიყარაო.
ვითომ კი მამიდა ვიყავ,
ქალმა გულს შამაიყარაო;
არა გიშავ რა, მე ვუთხარ,
დროება გამოიცვალაო,
რუსი ხემწიფედ დაგვიჯდა,
ერეკლე გარდაიცვალაო.

—

198. ატირდა ბატონიშვილი, —
— ერეკლემც მომცა მთელიო;
შაყრილსა ...
სუ ჩუმდ მეეყვა ხელიო;
სუ შაშეყარნეს ბაკშია,
ცხვრებულად მეჭრა ყელიო.
წავიდა სალეკეთოდა,
ცხარე იწმინდა ცრემლიო;
გრიგოლო ჩოლოყაშვილო,
ახლა თაობა შენია:
ამოხვედ ფშავ-ხევსურეთში,
მოგვიდეე ცეცხლის გენია!..

—

199. დაჯექ, დათოლე ბაბაო,
ძველი რამ გეცოდინება,
თუ კარქ რამეებს გვიამბობ,
ცრემლები დაგვედინება.
გვითხარი, ვინ შეგაწუხა,
ვინ გაგვიბედა გინება,

ვინ იყო რომ მოგივარდათ,
მთიულთ მოსპობა ინება?
ჩვენი ხუცესიც ვერ დასთვლის,
რაც საქმე გადაგვხედია,
ბევრჯელ დაგვეცნენ თათრები,
ლეკების ჯარი დიდია.
მაგრამ დაგვფარეს სალოცავთ,
იმათი მადლი დიდია,
ეს ჩვენი მთა და მამული
ზურგზედ ისევ ჩვენ გვკიდია.
ბევრს ვაფშეკინეთ ფეხები,
არაგვში გადავუძახეთ,
ჩაკვდიო, ბილწო თათარო,
ცოცხალ-მკვდარს ზევით დავძახეთ.
სულ მოვრწყეთ არაგვის პირნი,
იმ ურჯულოთა სისხლითა,
ზოგი ტყვედ წამოვიყვანეთ,
ზოგი გარბოდენ შიშითა.
კარგით, დამეხსენთ, ბალღებო,
ნუღარ მაგონებთ ძველ ამბებს,
ვაჰმე ჩვენ ძველსა დევ-გმირებს
და დიდ ბატონსა ერეკლეს!
რატომ არ მოვკვდი მეც მაშინ,
როცა ერეკლე გაგვშორდა,
მთიულნი, თუშ, ფშავ, ხევსურნი
როცა მას ცრემლით ამკობდა.

—

200. ვაჟი ვიყავ და ვვაჟობდი,
ქორულად შევქენ ნავარდი,
მეფის ერეკლის ჯარშია
თავს ვეცი, ბოლოს გავვარდი:
დახედე სიბერკაცესა,
ბოლო ჟამს როგორ დავვარდი.

—

201. მეფე ერეკლეს დროშია

მეფე ერეკლეს დროშია
შორს მოვიძუე ძროხანი,
დავწექ და ბევრი ვიძინე,
ზედ დავიხურე ჩოხანი.
მეფე გიორგის დროშია
ვერა ვდგებოდი ქოხშია.
ვერც გავახარეთ ცოლ-შვილი,
ვერც მოვილხინეთ ტოლშია.

—

202. ციციანისიანა შვილსა

ციციანასთანა შვილსა
ბვირად გაზდის დედა შვილსა,
რომ შეიქმნა ექვსი წლისა,
ოსტატია ზარბაზნისა.
და მეშვიდეში გადადგა.
ხემწიფესთან იდებს წილსა.
ხემწიფემა დაჰპატიჟა.
ტახტზე დასვა. ეანა ძირსა,
ერთი ხმალი შემოარტყა.
პირი ჰქონდა ალმასისა.
სულ რომ მციერეთ დავაფასოთ.
ორმოც თუმნად მაინც ღირსა,
ტარში ეჯდა გველის თვალი
და ქარქაში კერმუხტისა,
ერთი თოლფა ჯარი მისცა
და მეორე ხაზინისა,
წინ ბელადი გაუძღოლა,
გზა ასწავლა შავი ზღვისა.
შავ ზღვის პირზედ რო მივიდნენ,
ჯარი დახვდათ არაბისა.
არაბს კაცი მიუგზავნ::
„აქ ვიომოთ, ამ ზღვის პირსა“.
ტყვია წვიმს და თოფი ხუის
და ზარბაზან გრიალებსა.

—

203. ციციანოვი

ციციანმა დაიკვეხა,
მინდა ერთი განჯა ვნახო,
განჯის ციხე არ მინახავს,
მინდა თვალით დავინახო,
სალდათებსაც ხომ წავასხამ,
ხარბაზნები ბევრი გვაქო,
თოფი გვიჭირავს სიათა
ხმალი ფრანგული რკინაო.
ციციანი გამობძანდა,
ჯარსა გაუძღვა წინაო,
რომელიც უკან დადგება,
ლომივით შეუბღვირაო.
წავიდა და იქ ჩამოხტა,
სადაც ბაღი ბაღჩა აქო,
განჯის ხანს კაცსა უგზავნის:
„გარეთა ხარ თუ შინაო?“
განჯის ხანმა შეუთვალა:
„ჩემთან ხელი არა გაქო.
ისევ ქალაქი იბრიყვე,
არ გახლავარ კოჭლი საქო,
შენ კარი ღია გგონია.
მაგრამ დაკეტილი მაქო.
ეს სულ ყეინმა მიბოძა,
ეს სოფლები ქვეით მაქო“.
— შენიმც ციცო მოგიკვდება.
კარი ვერ გაგაღებინო,
ტახტიდამ ვერ გადმოგაგდო,
თავი ვერ გაგაგდებინო.
ეგ შენი მაფრაშაები
სომხებს ვერ წავაღებინო,
რაც შენ სოფლები მოთვალე.
ხელი ვერ აგაღებინო,
ჩემი სალდათის შუბები
სისხლში ვერ შეგაღებინო!
განჯელებ კარი მოხურეს,
თოფები დაუშინესო,
სწყალობდა წმინდა გიორგი.

სუყველა აიცდინესო.
ციცო გადვიდა გალავანს,
— „აქ მოვინახოთ ბინაო“.
ათასი იქავ ჩაკაფა,
განჯის გალავნის წინაო,
ასე შევიდა საწოლში,
თითქო ყოფილა შინაო,
ლამაზი გამოიყვანა.
ხელზედ სდებია ინაო,
ის სერჟანტებს მიაბარა,
— „ეს წაიყვანეთ შინაო“.
ციცომ რომ შემოუქახა,
თათრულად შეაგინაო:
„კაი გაზდილი მეგონე,
ცუდადა ხარ გაზდილია,
შენ რუს როგორ ეომები,
— განა ეგრე ადვილია! —
რუსეთიდამ სტამბოლამდის
თორმეტი თვის სავალია,
ორმეტი სავსე ხომალდი
ცხრა დღე-ღამეს გამივლია.
ადე, აბძანდი ხონთქარო,
შენზედ არის დავთარია.
სულ ამ ერთ წამზედ მომგვარე
ცხრა ათასი თათარია,
სურსათი გამოგვიტანე.
ათი კოდი შაქარია“.

—

ოერო
ძეხიძეები
ვახოიახეშები

I. ბატონიშვილს ერეკლესა

ჩაწერილი კახეთში, სოფ. პატარძეულში 1883 — 1887 წლ. ზ. ბილანიშვილის მიერ. თაყ. I, გვ. 111. ლექსი ციკლიზაცია — კონტამინაციის წესით დაკავშირებია ერეკლე მეორის სახელს. პირველად იგი ლაშა გიორგიზე იყო ნათქვამი და უკავშირდება ლეგენდის ვარიანტებს თამარ მეფის შესახებ. საერთაშორისო სიუჟეტზე აგებული ამ ლეგენდის მიხედვით ტყეში მიტოვებულ თამარის პირმშოს ირემი აწოვებდა ძუძუს. იხ. ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, ტექსტი № 43 და მისი შენიშვნები და ვარიანტები. ვ ვარიანტის სათაურია „ლაშა გიორგის დაბადება". სადაც ლექსის ვარიანტიც არის შესული. ი ვარიანტით ერეკლე თამარის შთამომავალია. კ და ლ ვარიანტებით — კი — პირმშო. ჩამწერს მეოთხე სტრიქონისთვის გაუკეთებია შენიშვნა: „ზოგი იტყვის „მაშრაველი უძოვნია". ამავე ტექსტის განმეორებაა თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი ვარიანტი. განსხვავება უმნიშვნელოა. თედო რაზიკაშვილის ვარიანტში მხოლოდ მეხუთე სტრიქონია განსხვავებული. იგი ასე იკითხება: „საჩალეში გადუგდიათ". თედო რაზიკაშვილს მეხუთე სტრიქონშიც ე ს ა ჩ ა ლ ე ს მიმართ შეუნიშნავს „კახეთშია, ახმეტას ქვემოთ" — ფ. არქ. № — 2795. ასეთივეა მ. ვ. ჯანდიერის მიერ ახმეტაში ჩაწერილი ტექსტი. კოტ., გვ. 90. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 2, გვ. 19. კახეთში, სოფ. შრომაში 1937 წ. ი. ძამიაშვილის მიერ არის ჩაწერილი ტექსტი, რომლის პირველი ექვსი სტრიქონი სავსებით ემთხვევა ზ. ბილანიშვილის მიერ ჩაწერილ ვარიანტს, ოღონდ ამ შემთხვევაში მთქმე-

ლსა თუ ჩამწერს მისთვის წაუბამს მეორე დამოუკიდებელი გავრცელებული ლექსი „პატარა კახი“ (№ 4), რომელიც ემთხვევა ზ. ბილანიშვილის მიერ სოფ. პატარძეულში ჩაწერილ ოთხსტრიქონიან ვარიანტს (თაყ 1, გვ. 111). — ფ. არქ. 328.

№№ 2, 3, 4 პატარა კახი

№ 2 ჩაწერილია ფშავში, დავით ხიზანაშვილის მიერ. ფშ. ლექ., გვ. 137. გადაბეჭდილია შან., გვ. 364. № 3. ფშაური. მთქმელი ნიკო მჭედლური. ჩამწერი ვ. ტუქსიშვილი. დაბეჭდილია შან., გვ. 364. № 4. ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ. თაყ. 1, გვ. 180. გადაბეჭდილია შან., გვ. 364.

სამივე ტექსტი ამსახველია ქართველი ხალხის ბრძოლისა 1744 წელს გივი ამილახვრის მიერ შემოყვანილ ლეკ-ოსმალთა და ხონთქრის ბრძანებით უსუფ-ფაშას მეთაურობით ქართლში შემოსეული ურუმების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში არაჩვეულებრივი სიმამაცე გამოუჩენია მაშინ სრულიად ახალგაზრდა ერეკლე მეორეს. ერეკლეს შეუპოვარი გმირობა აჩაბეთის ციხესთან აღნიშნული აქვს ამ ომის მომსწრე ისტორიკოსს: „მას დღეს რომ გენახათ ბატონიშვილი ერეკლე, ამას ბრძანებდით: თუცა ლომი ეგრე იბრძვისო: ჰასაკითა იყო მცირე, მაგრამ რასაც საქმეს იქმოდა, ფალავანის შესადარისი იქნებოდა“ (ქ. ცხ., II, გვ. 363). საფიქრებელია, პ ა ტ ა რ ა კ ა ხ ი ც მხოლოდ ტანმორჩილობისთვის კი არ შერქმევია ეროვნულ გმირს, არამედ იმისათვისაც, რომ მან „ჰასაკით მცირემ“ გამოიჩინა გმირობა და სწორუპოვარი სარდლობის უნარი. ლექსში (№ 2) მითითებულია აგრესორთა შემუსვრა საგურამოსთან. უსუფ-ფაშას რაზმების, შემუსვრაზე საგურამოსთან და ახალგაზრდა სარდლის უმაგალითო გმირობაზე ისტორიკოსი გადმოგვცემს: „ბატონიშვილი ერეკლე რომ გენახათ იმ დღესა, ასე ბძანდებოდა, არა თუ ფალავანი, თვარემ ესე ვის შეუძლია სათვისოსა ომსა ვარდა, ვითა ისარდლა, შეაბა ჯარი განუკვირდებოდათ ყოველთა“ (ქ. ცხ., II, გვ. 326. ამ საკითხზე იხ. ბრძ. სამშ. გვ. 6 — 11).

გავრცელებული ლექსია, ცნობილია მისი ვარიანტები:

ბ

ერეკლე ჩვენი ბატონი
ასრე პატარა კახია,

ტანს რკინის პერანგი ეცვა,
გაჰკრა ხელი და გახია.
რაც უყო ლეკ-ოსმალებსა,
ჰალალია და ჰახია.

ჟ. არქ. № 2853.

ბ

ერეკლე, ჩვენი ბატონი,
ერთი პატარა კახია,
ჯაჭვის პერანგი ჩააცვეს,
გაჰკრა ხელი და გახია.
რაც უყო ლეკ-ოსმალებსა,
ალალია და ახია.

ჩაწერილი გიორგი ნათაძის მიერ. ნათ. № 15, გვ. 18.

დ

ერეკლე ბატონიშვილი
ერთი პატარა კახიაო,
ალგეთ-ალ[illegible]ეთობასა
ცხრა-კეც რ[illegible]ზმი ჩახიაო,
ასი ცხენს გაალაკვინა,
ორასი კარავს წახვიაო,
„ომსა რად უნდა გრძელება?"
შუბი ბუდეს გახვიაო.

ტექსტი ხევსურულია. ჩამწერი ივ. ბუქურაული. „მმბ", № 10, 1896 წ. გადაბეჭდილია შან. № 56, გვ. 22; ცაიშ. ერ. №3, გვ. 19.

ე

ძმათა ერთია ყრილობა,
გინდა შენ მოჰკლა, გინდა მე.
ჩვენი ერეკლე ხემწიფე
ერთი პატარა კახია,

ჩაიცო ჯაჭვის პერანგი,
გაიკრა ხელი. გახია.

ჩაწერილი მცხეთაში 1872 წ. პ. უმიკაშვილის მიერ. უმიკ. გვ. 106. ამ ვარიანტს ემთხვევა 8. VIII — 1945 წ. რაჭაში, სოფ. წესში, ეთერ არჯევანიძის მიერ 100 წლის წ. კ. უცოდინარ საბა კაციას ძე მერკვილაძისაგან ჩაწერილი ტექსტი.

3

ეს ჩვენი მეფე ერეკლე
ერთი პატარა კახია.
რკინის პერანგი ჩააცვეს,
ხელი გაჭკრა და გახია.

მთქმელი იოსებ ავსაჯანიშვილი. ჩაწერილი 1953 წ. ყაზბეგის რაიონში, სოფ. ვარდისუბანში, ეთერ ავსაჯანიშვილის მიერ.

3

ჩვენი ბატონი ერეკლე
ერთი პატარა კახია,
ფრანგულზე ხელი გაიკრა,
ჯარი შვიდ ბირათ დახია.

ანუსია კარგარეთელის (ვაქირელი ქალი) რეპერტუარიდან. ფიქსირებულია თბილისში, 1939 წ., ფ. არქ. № 1863 წ.

ზ

ერეკლე ჩვენი ბატონი
ერთი პატარა კახია,
შაყარა ჭირულტელები,
ალაზნის ბოლოს დახვია.
ომსა რბილობა არ უნდა,
თოფი სულ ბოლში გახვია,
სპარსეთის შაჰს თავი მოსჭრა,
დედამიწაზე ანთხია.

ტანთ ეცვა ჯაჭვის პერანგი.
გაპკრა ხელი და გახია.

მთქმელი 90 წლის სანდრო მამუჩაშვილი... ჩაწერილი 1952 წ. დიღომში, ჯუანშერ სონღულაშვილის მიერ. მასალ. 1, № 16 გვ. 10.

დანარჩენი ტექსტები (ჩაწერილი 1883—1887 წწ. კახეთში, სოფ. პატარძეულში, ზაქარია ბილანიშვილის მიერ — თაყ. 1, გვ. 111. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 1, გვ. 19; ჩაწერილი ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ — ფ. არქ. № 1562; ჩაწერილი, ირაკლი კაკალაშვილის თქმით 1937 წ. კახეთში, სოფ. შრომაში, ი. ძამიაშვილის მიერ — ფ. არქ. 13223; ჩაწერილი, გ. ჩხუბიანის თქმით 1938 წ. ფშავში, ვახტანგ რაზიკაშვილის მიერ — ფ. არქ. №12886 და სხვ.) № 4-თან შედარებით განსაკუთრებულ თავისებურებას არ იჩენენ.

5. ჯევსურები გორის ბრძოლაში

მთქმელი მინდია ქისტაური. ჩაწერილი აკაკი შანიძის მიერ 1913. 10/VIII — ხევსურეთში, თვალივში. შან. №48, გვ. 17—18. შენიშვნებში ამ ლექსს აკაკი შანიძემ სამართლიანად შეუცვალა სათაური „ჯევსურები გორის ბრძოლაში“ (შან. 357). მთქმელის მიერ იგი შეცდომით არის დასათაურებული „ჯევსურები კრწანისის ბრძოლაში“ (შან., გვ. 17).

საგულისხმოა აკ. შანიძის შენიშვნა ამ ლექსისადმი: „ეს სიმღერე ერთი საუკეთესოთაგანია: იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ ჩამოთვლის, თუ ვინ იღებდა ხევსურთაგან მონაწილეობას ომში. ასე გეგონებათ, საგანგებო სიაა შედგენილი ომში მონაწილეებისაო.

რომელი ომია აქ აღწერილი? რა თქმა უნდა, არა კრწანისისა. როგორც შეცდომითაა დაბეჭდილი. რადგანაც, ლექსის თანახმად, ომი ურუმების წინააღმდეგაა მიმართული, თანაც გორი და სურამია მოხსენებული, ხოლო ერთ ვარიანტში (გულისხმობს 3 ვარიანტს. ქ. ს.) კიდევ ამილახვარიც იხსენიება (ალბათ, გივი), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ თითქო უსუფ-ფაშას ქართლში შემოსევა იყოს ნაგულისხმევი 1744 წ. ამ მოსაზრებას კიდევ ის აძლიერებს, რომ ერეკლეს, რომელიც გამოცხადებულია ბატონიშვილად (იგი ასე ასპინძის ომშიაც იხსენიება), ნათათრალი ეწოდება. მ ი ნ დ ი ა მ „ნათათრალი“ ასე ამიხსნა: „ტყვედ ყოფილა თათარში“ო, ე. ი. უნდა იგულისხმებოდეს, რომ ერეკლე ახალ დაბრუნებულია

საქართველოში სპარსეთიდან, სადაც იგი მძევლად იყო ნადირ-შაჰთან და მონაწილეობას იღებდა მის ომებში ავღანისტანსა და ინდოეთში.

კრწანისის ომი კი პირდაპირ დასახელებულია ქვემორე მოყვანილს ლექსში, რომელშიაც გადარეულია სხვა ლექსის ნაწილებიც მე-17 საუკუნის გმირებითურთ: ჯირჩლა ბაბურაული, ბერდია მამუკაური, ნადირა ხოშურაული (ბახტრიონის გმირი) და სხვ.“ (შან. 357—358). აკ. შანიძეს ვარაუდის სახით აქვს აღნიშნული ლექსის კავშირი 1744 წლის ომთან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს სავარაუდო კი არ არის, არამედ უდავო ჭეშმარიტებაა.

ბ

ავარდა ბატონიშვილი,
ერეკლე ნათათრალიო,
შამაიარა არაგვი,
ფხიტუს დალაჯნა მთანიო,
სანეს დაიცა კარავი,
ჯევსურნ დაიხვივნ ყმანიო.
იმედას ეუბნებიან:
„გაგვიღი ბეღლის კარიო.
გამოგვიბძანენ დროშანი,
სამ-სამ შაგვიბი ზარიო,
ჯევსურებ დაგვიმწყალობნე,
წალმათებრ გვყავის ჯვარიო!“
არაგვზედ ჩადის ჯევსურებ,
წვიმის არ სწვდების ცვარიო;
თვალივის ბოლოს ჩაგროვდეს,
მთა დააშვენეს, ბარიო.
ურუმებს მაუჭერიან
საქალაქონი გზანიო.
გორ გარდიარეს ჯევსურთა,
შარან გარდავლნეს, გზანიო,
ჩავიდეს გორის ბოლოში,
ურუმთ საცა დგა ჯარიო.
ცხენნი შაიღნეს ურუმთ:
ისე, რო ნიავ-ქარიო.

თათარამ ბაჩინაგურმა
თოფს დაუპირა ტალიო,
ურუმთ მემეტეს დაუკრა:
— „ჩემიმც უმცროსი ხარიო!
მარტო ვერ შაოლ სულეთსა,
წინ შენ გამიღე კარიო!“
ღვედრება მაღლად ამოდის:
„ღულელ მანგია ვარიო,
სახელ ნუ დაიკარგება,
თუ სად ვინ ჭევსურ ხარიო.
ჭელთ ხქონდა ლომნის მათრაკი,
გიას ლაგმისა ტარიო;
დეზთ იკრავს ნავეგურაი:
„ჩალხურას ძეი ვარიო.
ცხენო, წავიდათ, წვრილაო,
დავხიოთ ქართლის წყალიო;
თბილეთის ქალაქ წავიდათ,
მანდ მაეა ჭევსურთ მგზავრიო;
იქ მოვაკსენოთ ერთადა,
როგორაც გვადგიუ ძალიო:
შაგვყარეს ჯიდის ყურზედა,
ცხვრებულად დაგვჭრეს თავიო.
შინ წასულთ ჭევსურთ იამბათ,
დარბაზს რა გვადგა ძალიო“.
ამანდ დამრჩლებ ჭევსურებმ
იმედას დასდვეს ბრალიო:
„იმედა, რად წამაგვასხი,
თუ არ წადინობთ ჯვარიო?“
აღარც ხვიოდეს დროშანი,
აღარც უქცევდა ზარიო.
იმედა აღარა გვყვანდა,
ბატონის გამძღობარიო.
ციხეთა ბაცალიგურთა
მაღალთ მახარონ თავიო.
ლაგაზა აღარ მაუა,
ლამაზ აქვან ვის ტანიო.

შიქრელი ალუდა ზვიადაური. ჩამწერი ივ. ბუქურაული — ივ. № 136, 1888 წ. გადაბეჭდილია — შან., გვ. 358 — 359.

ავარდა ბატონიშვილი
ერეკლე ნათათარალიო,
მთიულეთშ ამაიარა,
ფხიტუს დალაჯნა მთანიო,
მამავალ მაკითხულობდა:
ჭევსურებს ვინ ჰყავთ თავიო.
სანეს დაიცა კარავი,
შამაიხვევნა ყმანიო.
იმედას ეხვეწებიან:
გაგვიღე ბეღლის კარიო,
გამოგვიბძანე დროშაი,
სამსა აგვიბი ზარიო.
ჭევსურებ ლაშქრა გაბედე,
არ ერგებიან გზანიო,
ჩავიდეს ნაქალაქართა,
არ სწვდების წვიმის ცვარიო,
გადაიხურეს ჩაჩქნები,
მთა დააშვენეს, ბარიო.
მაშინ ერეკლემ უბრძანა:
ჩემნი ხართ უნჯნი ყმანიო.
ურუმებს დაუჭერია
საქალაქონი გზანიო.
ჭევსურებს ურუმებისგან
დიდ მოუვიდათ ძალიო.
სანჯალ მოიელეთ, ჭევსურნო,
ისრემთ გწყალობდისთ ჯვარია,
მეკრეთ ფუნჩიათ დაუდგა
გიორგაის ძე ხარია,
ღვედრება ამადიოდა
ღულელ მანგია ვარია.
სახელსა კი ნუ დაღმალავთ,
ვინაც ქართველობა ხარია,
იარ ნაკუდავ, წავიდეთ,
დავხიათ ქართლის წყალია,
რახა ქალაქში ჩავიდათ,
მანდ მოვა ჭევსურთ მგზავრია.

ამბა უამბა სწორადა
ჩვენზე ნადგომი ძალია,
აღარ ხვიოდა დროშაი,
ლაღი გუდანის ჯვარია.
ბატონს ერთ ფუნჩაი ახლდა,
გიორგაისძე ხარია,
ამანდ ნაყოფთა ჯევსურთა
იმედას დასდვეს ბრალია, —
იმედავ, რათ ჩამოყარენ,
თუ არ ლამობდენ ჯვარია?

ხევსურული. მთქმელი — ხახმატელი ბერდია გამღივარაული, ჩაწერილი პეტრე უმიკაშვილის მიერ 1874 წელს. უმიკ., გვ. 99.

დ

ავარდა ბატონიშვილი
ერეკლე ნათათრალია,
საკევსურეთოდ წამავა,
ფხიტურს დალაჯნა მთანია,
გარმაკდა ფხიტურის ღელეს,
პირ-წალმ ილოცა ჯვარია.
მასეეს მაკითხულობდა:
„ჯევსურებს ვინ ხყავ თავია?“
სანეს დაიცა კარავი,
შამაიხვივნა ყმანია.
იმედას ეუბნებიან:
„გაგვიღი ბეღლის კარია,
დროშაი გამაგვიბძანე
სამივ შაგვიბი ზარია,
ვაჟები დაგვიმწყალობნე,
წყრომით არ გახყვას ჯვარია!“
ქართლში ჩავიდათ, ჯევსურნო,
ქალაქს ვინ შასდვა ზარია?
არაგვზე ჩამადიოდა
ჯევსურთ შვილების ჯარია.
გავიდეს ქალაქისაკა,
ქალაქს შასდვიან ზარია.

გორისას გადაიარეს,
უგზოსას დასხნეს გზანია.
მინდვრად გავიდათ, ჯევსურნო,
სანგლად მავიელათ მკვდარია!
ია, წავიდათ, მოკლიავ.
ურუმთ სად უდგა ცხვარია!
ეგ კი შაგვიტყვეს ურუმთა,
მააწყვეს ალმის ჯარია.
ბიჩინაგაის თათარამ
თოფს გამუცვალა ტალია,
თოფ დახკრა ურუმთ მეალმეს,
შამოგვაბედეს თავია.
ომ იქნა გორის ბოლოსა,
სისხლი სწვიმს, მაღლა დარია.
ცხენიან თავად გაგვიყვეს,
ქვეითთ დაგვიკრეს გზანია.
არიქათ, ცხენიანებო,
ქვეითათ გვადგა ძალია!
ზოგნ შინ წეედით, ჯევსურნო,
ზოგთ ჩვენთან დასთმით თავია;
ეგე თქვით შინ წასულებმა:
„ქართლში სხვა ჯევსურთ ჯარია,
სათავეს უზის იმედა,
არ ევალება ჯვარია.
სამნი სტანიან მჯედარნი,
ცხენებზედა აქვთ თვალია:
ლომნის ჯელთა აქვ მათრაკი,
ბიასა — ლაგმის ტარია;
დეზთ იკრავს ნაოგურაი:
„ლიქოკს ჩალხურსძე ვარია.
სახელ ნუ დაიმალების,
წყალში გადადის მკვდარია“.
ამანდ დაჯოცილთ ჯევსურთა.
იმედას დასდვეს ბრალია:
— იმედავ, რად წამოგვასხენ,
თუ ეგრ ბძანებდა ჯვარია?
ცხენო, მოკლიავ, წავიდათ,
დავხივნათ ქართლის წყალნია,

ქალაქში აგებ შავიდათ,
იქ მავა ჭევსურთ ჯარია,
ვიჩივლათ თავ-თავისადა,
რაიც გვადგიყო ძალია.
ბევრნ დაძღენ მელან-ტურანი,
ბევრან ყორანნი შავნია,
ბევრაის ცოდვის მაქმედ ას
ტიალი ქართლის წყალია.

ხევსურული — ჩაწერილი თ. რაზიკაშვილის მიერ. ხელნაწ. ინსტ. H — 2025, შან., გვ. 360—361.

ე

ავარდა ბატონიშვილი
ერეკლე ნათათრალიო,
არაგვი შამაამტვრია,
ფხიტუს დალაჯნა მთანიო.
სანეს ერეკლე კითხულობს:
„ჭევსურ, ვინ გვყვანდა თავიო?“
იმედას მიუვიდიან:
„ბეღლის გაგვიღი კარიო,
ახლები დაგვიმწყალობნე,
წყრომით არ გახყვეს ჯვარიო!“
დარბაზს ვისხეით ჭევსურნი,
დიდ გვედგა საუბარიო.
სათავეს გვეჯდა იმედა,
არ მოუიდა ჯვარიო.
იმედას ვემდურრიდითა:
„იმედავ, შენი ბრალიო.
აქ რადა ჩამოგვყარენით,
თუ არ ბძანებდა ჯვარიო?“
ზოგნი შინ წადით, მოყმენო,
ზოგმ ჩვენთან დასთმით თავიო.
სამი გვეტანა მკედარი,
ცხენებზე ხქონდა თვალიო:
ბიას ჭელთა აქვ მათრაჯი,
ლომნისა — ლაგმის ტარიო,

დეზთ იკრავს ნაოგურაი:
„ლიქოკს ჩალხურთი ვარიო“.
ღვედრება ამადიოდა:
„ღულელ მანგია ვარიო.
სახელ ნუ დაიმალების,
თუ სადმე ქართველ არიო.
ურჩოდ ორ-ნაჭრევიანი
ოროლ გვერდს მიწევს მკვდარიო.“

მთქმელი უკენ-ახოელი ბაბო ჭინჭარაული. ჩაწერილი 1911 წ. სოფ. ბარისახოში აკ. შანიძის მიერ. შან. 360.

3

ავადა ალექსანდრეი,
ერეკლე ნათათრალიო,
შამაიარა არაგვი,
ფხიტუს დალაკნა მთანიო,
სანეს დაიცა კარავი,
შამაიხვევნა ყმანიო.
იმედას ეუბნებიან:
„გაგვიღი ბეღლის კარიო!
დროშაიც გამაგვიბძანე,
სამი აგვიბი ზარიო!
ჭევსურებ ჩაგვიმწყალობენ,
უკულმ არ ჩახყოს ჯვარიო!“
გამააბძანეს დროშაი,
სამივ აბეს ზარიო.
ჭევსურნ ჩადიან მინდვრადა,
წალმ უდგა თავის ჯვარიო,
ჩავიდეს ქალაქის პირთა,
ქალაქსაც შაზდვეს ზარიო.
გახკვირდეს მექალაქენი:
„სად მიდის ჭევსურთ ჯარიო?“
ცხენო, მოკლიავ წავიდათ,
დავხიოთ ქართლის წყალიო!
აიქ უამბათ ჭევსურთა,
რაიც ჩვენ გვადგა ძალიო:

დაგვექცა ცხენიანები,
ქვეითთ დაგვადგა ძალიო.
ამილახვარიც გაგვექცა,
ცალი მაგვტეხა მჯარიო.
ღვედრება ამადიოდა:
„ღულელ მანგია ვარიო“.
მაგას მიხყვების მოკლედა:
„ლიქოკ ჩალხის ძე ვარიო.
სახელ ნუ დაიკარგების,
თუ ქართველობა ვინ ხარიო“.

ნაწერილი ხევსურეთში ერასტი ბალიაურის მიერ. შან., 359 — 360. დასაწყისი სტრიქონი „ავადა ალექსანდრეი“ კონტამინაციის წესით დაკავშირებია ამ ვარიანტს. ამ შემთხვევაში მთქმელი განიცდის გავლენას ლექსისა, რომელიც ასე იწყება: „გავარდა ალექსანდრეი“ (უმიკ., გვ. 116), რომელიც ვარიანტია ლექსისა „ქალაქის არევა“.

ზ

ავარდა ბატონიშვილი
ერეკლე ნათათრალია.
შემოიარა არაგვი,
ფხიტყუს დალახნა მთანია.
ოსაურ ჩაგროვდებოდა
თეთრი ურჯულოს ჯარია.
ოსაურ გადმომდინარსა
საუბრად გაუხდებისა.
როშკის გორს თეთრი ციხე ღგას,
ძალზედა შეგვიდგებისა.
შეგვიდგა, შეგვიდგებოდა.
მაგით რა წაგვიხდებისა?
ენა ვკრათ საბალითები,
მთის კაცი ვერ მიხვდებისა.
მიუხვდა ნადირიშვილი.
ციხეში შეუდგებისა.
როშკისა არ გამოუშვნა,
ჩემს როშკას არ შეხვღებისა.

წელთა ხმალია გამჭრელი,
თოფს ტყვია მოუხდებისა.
ხმლითა სცა ხევსურთ შვილებმა
სისხლი სიმურსა სწვდებისა.

ხევსურული. ჩაწერილი ივ. ბუქურაულის მიერ. მმბ № 10, 1896 წ. მეხუთე სტრიქონში ფხიტყუს მიმართ არის შენიშვნა „მთის სახელი". უკანასკნელ სტრიქონში კი — სიმურის მიმართ — „წყალი".

ტ

ავარდა ერთი ურჯულო
ნეიფი თათრის ხანიო,
ერეკლე გუდანს მოგვივა,
შამოეხვივნა ყმანიო.
თავ-თავ ჯევსურსა იკითხავს:
ჯევსურთ ვინა გყავთ თავიო?
ჯევსურ იმედას მოუვლენ,
ბეღლის გაგვიღი კარიო,
გამოგვიბრძანენ დროშანი,
სამივ აგვიბი ზარიო,
ჯევსურებ დაგვიმწყალობნე,
წყროძით არ გაჰყვეს ჯვარიო,
დაუჭერიან ურუმსა
საქალაქონი გზანიო.

მაკ. ხევს., გვ. 40. გადაბეჭდილია — ცაიშ., — ერ. № 50, გვ 6.2.

თ

ავარდა ბატონიშვილი
ერეკლე ნათათრალიო,
შეჰკაზმა თავის თავლაი,
ზედ შეჯდა თავო ქორიო;
მაგას მოხსენდა ბატონსა,
ჯარი მოვიდა ბევრიო,
ამაგ ჯარს გამოერია,
წელზე შეიბა ხმალიო.

ამბობენ ერეკლისასა,
ჯარებ შუაზე გახიაო,
ასი ცხენს გაახეთქინა,
ორას კარავში გახვიაო,
ომსა არ უნდა გძელება,
შუბი ბუდეში წახვიაო.

ჩაწერილი პეტრე უმიკაშვილის მიერ. უმიკ. 100. ამ ვარიანტთან ახლოს არის 10/VIII — 1945 წ. რაჭაში, სოფ. წესში, ეთერ არჯევანიძის მიერ საბა მერკვილაძისაგან ჩაწერილი ტექსტი. არის მცირე განსხვავება — სტრიქ. 3 თავლაის მაგივრად არის თაფლაი; სტრიქ. 5 ქვევიდან იკითხება „ჯარებს შუა მეხიაო“, სტრიქ. 3 ქვ. კ ა რ ა ვ შ ი გ ა ხ ი ა.

ი

ავარდა ბატონიშვილი
ერეკლე ნათათრალია,
არაგვის პირზედ შამოდის
ფხითყუს გადმოვლნა მთანია.

ჩაწერილი ლევან რაზიკაშვილის მიერ. ტექსტი აკ. შანიძისათვის გადაუცია გიორგი ლეონიძეს. შან., გვ. 361.

6. უსუფ ფაშა

ჩაწერილი მესხეთში ვინმე მესხის მიერ, თაყ., I, გვ. 416, გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 34, გვ. 40.

გადმოცემულია 1744 წლის ომის ამბავი, კერძოდ, გივი ამილახვარის მოსარჩლე უსუფ ფაშას მზადება ერეკლეს წინააღმდეგ.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ აღნიშნული გვაქვს: „უსუფ-ფაშას მეთაურობით ქართლში ურუმების შემოსევა ხონთქრის ბრძანებით მოხდა. ხალხური ლექსის მიხედვით, უსუფ-ფაშა თხოვა „ფადიშას“ „კახთ ბატონის“ წინააღმდეგ სამოქმედოდ წასვლას. მას აშინებს „კახთ ბატონის“ სიძლიერე. საჭიროდ მიაჩნია მის წინააღმდეგ „მელური მოქმედება“ ბრძ. სამშ., გვ. 8.

7. ერეკლემ შემოუთვალა ფაშას

ჩაწერილი მესხეთში ვინმე მესხის მიერ. თაყ. 1, გვ. 415 — 416. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 33, გვ. 39. ლექსში ასახულია 1744 წელს ერეკლეს მიერ დამარცხებული და უკუქცეული გივი ამილახვრის მიერ ცხინვალის დაწვა და უსუფ-ფაშას რაზმების მიერ ქართველი მოსახლეობის აწიოკება. „ქართლის ცხოვრებაში" აღნიშნულია უსუფ-ფაშას მარბიელი რაზმების მიერ ქართველი მოსახლეობის აოხრება: „აიყარა უსუფ-ფაშა სურამიდან, ჩამოვიდა, დადგა რუისს და ურბნისს, შებილწეს მონასტრები, დაამტვრიეს ხატნი პატიოსანნი, გორს გარეშემო, საცა რომ ყანა იდგა, სულ გათიბეს, აღარსად გაუშვეს წაუხდენელი" (ქ. ც. II, გვ. 363, იხ. ბრძ. სამშ., გვ. 7).

8. ერეკლე

მთქმელი ივანე ლეგიაძე. ჩაწერილი 1938 წ. სოფ. გარბანში ი. სავაძის მიერ. ფ. არქ. № 17106.

ტექსტის ბოლო სტრიქონები „ჩვენი ფრანგულის ამაწვდა ამილახორის ბრალია" გვაფიქრებინებს, რომ ეს ლექსიც 1744 წლის ომზეა შექმნილი. ერეკლესადმი მიძღვნილი სტრიქონებიც „ის ძუვის ლომის გაზრდილი, ხოდების დასადარია" შეესატყვისება ისტორიკოსის სიტყვებს, ნათქვამს გივი ამილახვრის მიერ შემოყვანილი ლეკ-ოსმალების წინააღმდეგ მებრძოლი ჭაბუკი ეროვნული გმირის მიმართ:

„მას დღესა რომ გენახათ ბატონიშვილი ერეკლე, ამას ბრძანებდით: თუცა ლომი ეგრე იბრძვისო" (ქ. ცხ. II, გვ. 363).

9. გივი ამილახვარი

ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ. თაყ. 1, გვ. 185 — 186.

აბსოლუტური მონარქიის წინააღმდეგ მებრძოლმა რეაქციონერმა ფეოდალმა გივი ამილახვარმა რამდენიმეჯერ შემოიყვანა საქართველოში ლეკ-ოსმალთა ჯარი და მშობლიური მიწა-წყალი ააოხრეინა. ეს ლექსიც 1744 წლის ომზეა ნათქვამი (ბრძ. სამშ., გვ. 6). ლექსში მოხსენებული სოლომონი უნდა იყოს იმერეთის მეფე, რომელთანაც ერეკლეს ყოველთვის ჰქონდა კონტაქტი.

10. ამილახვარსა გივსაო

ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ. თაყ. 1, გვ. 186. ლექსი უხდა ასახავდეს გივი ამილახვრის გამაგრებას სურამის ციხეში 1744 წ., როდესაც მან ქართლში შემოიყვანა ლეკ-ოსმალთა ჯარი.

11. შე გიო ამილახვარო

ჩაწერილი ფშავში თ. რაზიკაშვილის მიერ. ხალხ. სიტყ. III, № 23, გვ. 14.

12. ამილახვარო, რა ხარო

ჩაწერილი გარე კახეთში სოფ. პატარძეულში 1883 — 1887 წწ. ზაქარია ბილანიშვილის მიერ. თაყ. 1, გვ. 112. ტექსტი ფრაგმენტია უფრო ვრცელი ლექსისა ერეკლეს წინააღმდეგ მებრძოლს გივი ამილახვარზე. ამას ადასტურებს ჩამწერის შენიშვნა: „ეს ლექსიც სრულად ვერ ჩავწერე; გამოთქმულია იმ ამილახვარზე, მეფე ერეკლეს რომ ეურჩებოდა“ (თაყ. 1, 112, სქოლიო).

13. მეფე ერეკლეს მოღალატენი

უმიკ. 103. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. №44, გვ. 53—54. ფ. გოგიჩაიშვილი შენიშნავს: „ორ თუ სამ ადგილას, რათა ლექსი გამართულიყო, თითო სიტყვა გამოვაკელი“ (იქვე, გვ. 564). ლექსში ასახულია ერეკლეს ბრძოლა თავადებთან ქართლ-კახეთის გაერთიანების მიზნით და ამის გამო რეაქციონერი თავადების მიერ შეთქმულება-ტერორის მოწყობა, რომელიც გასცა სამშვილდელმა დათუნა ფეიქარმა; ასახულია რეაქციონერების მიზნის ჩაფუშვა და დამნაშავეთა დასჯა.
(იხ. საქ. ისტ., გვ. 349 — 350).

ლექსი არ არის ტიპიური ნიმუში ხალხური პოეზიისა. იგი პოეტურად სუსტი, მძიმე და გაუმართავია. არ არის დაცული რიტმი და მეტრი. მისი ავტორი ყოფილა ვინმე ფანიაშვილი.

სტრიქ. 20. ფ. გოგიჩაიშვილი შენიშნავს—„დედანშია: მეფე ერეკლე გაუჯავრდა: „ბიჭო, რას ამბობ, ვის შეუძლია ჩემი ღალატი?“

14. ბაქარიანთა დალეკა

ხევსურული. ჩაწერილი 1876 წ. ხახმატელი ბერდია გამღიეარაულის მიერ. უმიკ. გვ. 102. ლექსი ასახავს ერეკლე მეორის

ბრძოლას ოპოზიციონერი თავადების წინააღმდეგ. ოპოზიციონერ თავადთა აზრით, ქართლის სამეფო ტახტის „ნამდვილი მემკვიდრეები“ იყვნენ რუსეთში ძყოფი ბაქარის ძმა და შვილები (საქ. ისტ., გვ. 385). „სიკვდილი პაატაისა“ უნდა გულისხმობდეს ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულთა ხელმძღვანელის, ვახტანგ მეფის უკანონო შვილის, პაატა ბატონიშვილის დასჯას (იქვე). „დალიენეს ბაქარიანნი“ ნათქვამია შეთქმულთა ფიზიკურ დამარცხებაზე (იქვე).

ლექსს აშკარად ამჩნევია, რომ იგი ერეკლე მეორის მოწინააღმდეგეთა წრეშია შექმნილი. მას ერთგვარი დისონანსი შეაქვს ერეკლე მეორის ციკლის ნაწარმოებებში.

15. ჯარს ეძახს ბატონიშვილი

ხევსურული. მთქმელი ხახმატელი ბერდია გამღივარაული. ჩაწერილი 1874 წ. პეტრე უმიკაშვილის მიერ. უმიკ. 100. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 17. გვ. 23 — 24. ვარიანტებად ცნობილი ლექსია — იგი უნდა ასახავდეს წარსულისათვის დამახასიათებელ ტომთა ურთიერთ შევიწროებას, კერძოდ — 1846 წ. ქართველთა ლაშქრის გადასვლას ოსეთში, თრუსოს დაწვასა და ოსების ალაგმვას. ამ ციკლის ლექსების („ჯარს ეძახს ბატონიშვილი“, „ერეკლე ბატონიშვილი ას ლთისგან დავლათიანი“, „თრუსოს ჩავიდეს ხევსურნი“ და სხვ.) მიმართ აღნიშნული გვაქვს, რომ ისინი „ასახავენ იმ ბრძოლების ერთ-ერთ ეპიზოდს, რომელსაც ხელმძღვანელობდა ერეკლე მეორე ქართველი ერის მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველსაყოფად. მატიანეს თანახმად, ქართველ ლაშქარს სათანადო სამხედრო მოქმედება და სიმამაცის გამოჩენა დაჭირდა, რომ აელაგმა კოშკებში გამაგრებული ოსები. რომელთაც არ ინებეს მშვიდობიანი გზით მორიგება“ (ბრძ. სამშ., გვ. 14 — 15). ამის შესახებ ერეკლეს თანამედროვე ისტორიკოსს აღნიშნული აქვს: „აიყარა კახი ბატონი ანანურით, წაბძანდა ოსეთზე, არაგვის ერისთავის ჯარს ჯიმშერ თუშთ მოურავი უთავა და მეწინავეში მიიმძღვარა, მემარჯვენე და მემარცხენე განაწყვნა და თითონ ბატონი უკან მიჰყვა: მოეგებენ ოსნი და შეიქნა ომი, ვითა ხვდებოდა სიმხნე-სიკეთესა მისსა, ჯიმშერ ეგრე იბრძოდა და ჯარსაც აბრძოლებდა. მიბრძანდა ბატონიც, დაერივნენ ხმალდახმალ. გააქციეს ოსნი და მიჰყვნენ, შეყარეს კოშკებში და შემოადგნენ გარს, განაძლიერა ჯარი მეფემ ერეკლემ, აღუთქვა მისაცემელი, უბრძანა იერიში, რასაც

კოშკს იერიში უყვეს, მაშინვე გატეხეს. ორმოცი კოშკი აიღეს და დაწვეს, თურსი დაატყვეს და ყოვლით გზით ყათლანი უყვეს, რომ რისხვა ღუთისა დასცეს“ (ქ. ცხ. II, გვ. 390).

ბ

ჯარს ეძახს ბატონიშვილი
ერეკლე თავის ყმათაო:
„პირ ქენით, მშაველ-ჯევსურნო,
თუშებ აქ მიდგას მზასაო“.
ჯევსურნ ალაზნის თავ ჩადიან,
ამფორას ლესვენ კმალთაო.
გავიდეს ნაყავეჩოს,
მაღალს ხუშექის მთასაო
იშერენ გადმოსაჯედსა,
ლეკ რომენს მოოს მთასაო.
ხუთშაბათს თენეშაზედა
ლეკი გადმოჯდა მთასაო,
ფარსმანს მიუდგეს ციხეთა,
ნაყენ სიმაგრის კარსაო.
მშავლებ გვიდგებდეს იმედსა:
„თოფის დავხვევდით ალსაო“.
ჭელი გაიკრა აბამა
თოთიათ:ბა კმალსაო;
განათდა ბ:ნარაული,
ცა წმინდა ეცემს თვალსაო.
გვერდს უდგას სახლის კაცები,
ჩალხურებ სჭერდეს მკარსაო.
ხახიკაურებ ვაჟები
ნაჩვევებ იყვნეს ცდასაო;
შიგ სატახავ ორი ღულელი,
ერთი ეძახდა სხვასაო:
„თითო შავსწიროთ ოროლსა
სიმაგრეთ ნაჯოც მკვდარსაო“.
პირიქით პოხილაური
ამაამღერებს კმალსაო,
ბლოველი მოლოდინაი
მგელი მოხკრეფდა ცხვარსაო.

მთქმელი ღულელი მინდია ქისტაური. ჩაწერილი 10. VIII... 1913 წ. სოფ. თვალიეში აკ. შანიძის მიერ. აკ. შანიძეს ტექსტისთ-

ვის მიუცია სათაური „ქევსურები თუშეთში ლეკების წინააღმდეგ“. შან. № 50, გვ. 20. აკ. შანიძეს მითითებული აქვს ამ ტექსტის ზოგიერთი მუხლის კონტამინაციის წესით სხვა ტექსტებთან დაკავშირების მაგალითებზე. შან., გვ. 362. აკ. შანიძის მიერ მითითებული ტექსტი № 254 (შან., გვ. 114), საფიქრებელია, მთლიანად ეკუთვნოდეს 1746 წლის ომზე შექმნილ ლექსების ციკლს.

ბ

ჯარს ეძახს ბატონიშვილი
ერეკლე თავის ყმათაო: ,
„მზად იყავთ, ფშაველ-ქევსურნო,
იქ თუში მყავის მზათაო“.
ადგეს, წავიდეს ქევსურნი
ერთ-ურთის მუქარაზედა,
გავიდეს ნაყავეჩოსა,
მაღალ თუშეთის მთათაო,
იჭერენ გადმოსაკედსა,
ლეკ რომელ მოვა გზასაო,
ხუთშაბათ გასათენებლად
გადმოდის ლეკი მთასაო.
ფარსმას დაეცნენ ციხესა,
აღებენ ქავის კარსაო,
ამბობდა ფშაველ-ქევსურნი:
„დაგხვევდით თოფის ალსაო“.
ქელი გაიკრა ებამა
თოთიათამა ქმალსაო,
განათდა ბაწარაული,
ცა წმინდად უცემს თვალსაო“,
გვერდს უდგას სახლის-ქაცები,
ფშაველი უჭერს მჯარსაო,
პირიქით პოხილაური
ჩაათამაშებს ქმალსაო,
თითო გამოფრინდომასა
ხუთ-ხუთ ლეკს მოსჭრის თავსაო.

ჩაწერილი ივ. ბუქურაშვილის მიერ. მმბ, № 11, 1896 წ. გადაბეჭდილია შან., 362 — 363.

ჯარს ეძახს ბატონიშვილი
ერეკლე თავის ყმათაო:
— „პირ ქენით, ფშაველ-ჯევსურნო,
თუშებ აქ მიდგას მზასაო“.
ალაზნის თავზე ჩადიან,
ჯმლების ჩალესვენ ფხასაო,
გავიდეს ნაყავეჩოსა,
მაღალს თუშეთის მთასაო,
ამოსაკედებს იჭერენ,
ლეკთა მოსავალ გზასაო,
იმედს სდებს ფშავლიშვილები:
„თოფის დაგიხვევთ კვამლსაო“.
ფარსმას სიმაგრეს მიუდგეს,
ამსხვრევენ ქავის კარსაო.
ჭელი აბამა მაიკრა,
თოთიათამა ჯმალსაო,
განათდა ბაწარაული,
სიათა უცემს თვალსაო.
გვერდს ედგა სახლის კაცები,
ფშაველა უჭერს მჯარსაო.
შიგ სტანავ ღულელთ შვილები,
ერთი ეძახდა სხვასაო:
„თითოსა ჩვენაც შევსწირავთ
მაგათ ნაჯოცსა მკვდარსაო“.
ბლოელი მოლოდინაი
მგელი მოგვიკრეფს ცხვარსაო.
არ დაიჯერებს თითოსა,
ორორს შასწირავს ძმასაო.

ხევსურული. მთქმელი ბერდია არაბული. ჩაწერილი ვ. ტუქსიშვილის მიერ. შან., გვ. 362. სხვ. ვარიანტები იხ.: ჩაწერილი ხევსურეთში გიორგი ნათაძის მიერ. ნათ. № 18, გვ. 19 — 20;

ჩაწერილი 1960 წ. ხევში. სოფ. ტყარშეტში, ეთერ ავსაჯანიშვილის მიერ. მთქმელი ივანე მაისურაძე, 73 წლის; ჩაწერილი სოფ. ლიქოკში გ. ლომთათიძის მიერ, მთქმელი შიო სისაური. სნჯ. III, გვ. 66. გადაბეჭდილია ცაიშ. ერ. № 22. გვ. 28 — 29.

16. სათრუსოოდ

ხევსურული. მთქმელი ბადია ბალიაური. პირველად დაბეჭდა ნიკო ურბნელმა (ხიზანაშვილმა), ივ., № 90, 1891 წ. გადაბეჭდილია — შან., № 51, გვ. 20—21; ცაიშ. ერ. № 18, გვ. 24—25.

17. ორუსოს ჩავიდეს ხევსურნი

ხევსურული. მთქმელი ბადია ბალიაური. დაბეჭდა ნ. ურბნელმა. ივ. № 90, 1891 წ. გადაბეჭდილია შან. № 52, გვ. 21 №№ 16, და 17-ს მიმართ აკ. შანიძეს გამოთქმული აქვს მოსაზრება „შეიძლება ამ ორ ნომერში იგულისხმებოდეს ერეკლეს გადასვლა თერგის ხეობაში 1753 წელს". მკვლევარი ამ მოსაზრების გასამაგრებლად იმოწმებს ომან მდივან-ბეგის ისტორიიდან ადგილს, რომლის მიხედვითაც ერეკლემ „მოიყვანა ჩერქეზ-ოვსნი ჯარად და მთის კაცნიც მოიყვანა" (შან., გვ. 363). ომან ხერხეულიძის ცნობით, 1753 წელს ბაიდარში იდგნენ ნუხის ხანის შვილის აღაქიშისა და ყარაბაღის ხანის ჯარები. ვინაიდან იმ დროს ქართლ-კახეთი დასუსტებული იყო, ერეკლემ მოიყვანა ჩერქეზები და ოსები (ქ. ცხ. II, გვ. 485). მაგრამ ლექსები „სათრუსოოდ" და „თრუსოს ჩავიდეს ხევსურნი", როგორც ამაზე თავის დროზე მივუთითეთ (ბრძ. სამშ., გვ. 12), გადმოგვცემენ არა ჩერქეზებისა და ოსების შემოყვანას ქართლ-კახეთის დასაცავად, არამედ ტომთა შორის ლაშქრობას, კერძოდ—ქართველთა ლაშქრის ოსეთში გადასვლას, თრუსოს დაწვასა და მოთარეშე მთიულების ალაგმვას, რაზედაც მიუთითებს იგივე ისტორიკოსი (ქ. ცხ. II, გვ. 390). ამგვარად, როგორც ეს აღნიშნული გვაქვს ლექსის „ჯარს ეძახს ბატონიშვილი" მიმართ, ამ ლექსშიაც (№—16—17) გადმოცემულია 1746 წლის ომი მთიულების წინააღმდეგ (ამავე საკითხზე იხ. აგრეთვე ბრძ. სამშ., გვ. 12—15).

18. ერეკლეს უბარებია

მთქმელი ივანე აფციაური. ჩაწერილი 1934 წელს, მთიულეთში, გუდამაყრის თემში, სოფ. დუმაცხოში, ელენე ვირსალაძის მიერ. ვირსალ. № 118, გვ. 154. ჩვენის აზრით, ეს ლექსიც 1746 წლის ომის ამსახველ ლექსთა ციკლს უნდა ეკუთვნოდეს. ელ. ვირ-

სალაძეს იგი ასპინძის ომის ამსახველი ლექსების ვარიანტად მიაჩნია. იქვე, გვ. 470.

19. ერეკლე მეფის გამარჯვება ლეკებზე

ჩაწერილი მესხეთში ვინმე მესხის (გვარამაძე) მიერ. თაყ. 1, 423. გადაბეჭდილია ცაიშ — ერ. № 36., გვ. 41 — 42. როგორც შინაარსიდან ჩანს, ლექსში ასახულია ერეკლე მეორის ერთ-ერთი გამარჯვება საქართველოში მოთარეშე ლეკებზე. შეიძლება, ეს ლექსიც 1746 წლის ომის ამსახველ ლექსთა ციკლს ეკუთვნოდეს, თუმც ამის დაბეჯითებით მტკიცება ძნელია. ტექსტში კონტამინაციის წესით შესულია ადგილები სოლომონის ძმის არჩილის ლეკებზე გამარჯვებაზე შექმნილი ლექსიდან (თაყ. 1, გვ. 6 — 7). ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ არჩილის მიერ ლეკების შეშფოთება და დამარცხება უფრო ბუნებრივია იმერული ვარიანტისათვის. მესხეთში ჩაწერილ ტექსტში არჩილის ხსენებას შემთხვევითი ხასიათი აქვს.

20. აბდულა

ჩაწერილი ხევსურეთში თედო რაზიკაშვილის მიერ. შან. № 53, გვ. 21—22. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 31, გვ. 37—38. აკ. შანიძე თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ტექსტს საფუძვლიანად შენიშნავს: „აქ წარმოდგენილია ერეკლე მეფის ბრძოლა აბდულა ბეგის წინააღმდეგ 1748 წელს, რომელიც აბდულას დამარცხებით გათავდა“. შან., გვ. 363. აბდულა ბეგი იყო ვახტანგ VI ძმისწული, ძმა ანტონ კათოლიკოსისა. მას მიღებული ჰქონდა მაჰმადიანობა. გივი ამილახვარის მსგავსად, ისიც ილაშქრებდა საქართველოს გამაერთიანებელი პოლიტიკის წინააღმდეგ და სამეფო ტახტს ეცილებოდა ერეკლე მეორეს. ომან მდივან ბეგის ცნობით მას ერეკლესთვის მიუმართავს: „ქართლი ჩემიაო და კახეთი შენიაო, შენ იმას დასჯერდი, მე ქართლი დამანებეო“. მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდების მიზნით მან ქართლზე გამოილაშქრა ავღანელ, დაღისტნელ და თათრის ჯარებით. აბდულა ბეგი დამარცხებულ იქნა ქართველთა ლაშქრის მიერ (ქ. ცხ. II, გვ. 401)

21. პამპულია შეიკაზმა

ტექსტი უპასპორტოა. დაწერილია ვახტანგ კოტეტიშვილის ხელით. ფ. არქ. № 2851. ლექსში სატირის ხერხით არის გადმოცემული აბდულა ბეგის დამარცხება ქართველთა ლაშქრის მიერ 1748 წ.

ბ

პამპაული შეიკმაზა
თოფითა და ჯინჯილითა,
უნდა ქალაქსა მივადგე,
ამოვხოცო შიმშილითა.
ეს რო ერეკლემ გაიგო,
გადაბრუნდა სიცილითა.
ერეკლემ ხმალსა გაიკრა,
საფრები მოიმზადაო,
შიგ ჩასხა მარჯვე ბიჭები,
ესროლა ჩქარა, ჩქარაო;
ზარბაზნები დაადევნა,
თხებივით დაილალაო,
შარშან შემძვრალნი ჩირგვებში
დღესაც არ გამომძვრალანო.

გოგებ., გვ. 562. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 32, გვ. 38 — 39. პამპაულს ან პამპულიას ხალხი დაცინვით უწოდებს აბდულა ბეგს.

გ

აბდულა შეკაზმულიყო
ჯაჭვითა და ჯინჯილითა:
„მინდა ქალაქს შემოვადგე,
ამოვწყვიტო შიმშილითა“.
მეფე ირაკლიმ გაიგონა,
გადაბრუნდა სიცილითა.
„შენ ეს ბიჭი მოგიკვდება,
ვერ გაგხეთქო სირბილითა,
კოჯორი მოგარბევინო,

მონასტრები ტირილითა!“
შეეამანდეს ანელებენ
კოფბითა და პილპილითა:
„დაჯე, აბდულ, პური ჭამე,
რაზე კვდები შიმშილითა!“
— რა პურისა მეცხელება.
კუჭი მტკივა სირბილითა!

ჩაწერილი სოფ. ნორიოში 1872 წ. პ. უმიკაშვილის მიერ. მთქმელი ანტ. არჯევანიძე. უმიკ., გვ. 104. პ. უმიკაშვილის შენიშვნით, „ეს აბდულა ყოფილა მეფის ირაკლის ჯავლადარი, რომელიღაც მიზეზზედ მეფეს შემოსწყრომოდა და გავარდნილიყო ქართლისაკენ ყაჩაღად“ (უმიკ., გვ. 564). ლექსში, როგორც ეს № 20 დაკავშირებით შევნიშნეთ, ასახულია 1748 წ. აბდულა ბეგის ბრძოლა ერეკლე მეორის წინააღმდეგ ქართლის მმართველობის ხელში ჩაგდების მიზნით.

დ

აბდაულა შეიკმაზა
ჯაჭვითა და ჯინჯილითა,
თქვა რაც არ ეძლო, ლაღ იყო
ტომ-მოდგმობით სინსილითა:
„ჩავალ თბილისს, შემოვსდგები,
შევაჭირვებ სიმშილითა,
ისე გავუხდი საქმესა,
სულ იწოდნენ სირცხვილითა,
შეომრებს ხელ-ფეხს შეეუშლი,
გულს გავუტეხ სიწბილითა!“
ეს როს ერეკლემ შეიტყო,
გადაბრუნდა სიცილითა:
„მეფე ერეკლე მოგიკვდეს,
ვერ გაგხეთქო სირბილითა,
კოჯორი გაგარბევინო,
მონასტერი ტირილითა!“

თაყ. 1, გვ. 415. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 30, გვ. 37;.

ე

პამპულია შეიკმაზა
თოფითა და ჯინჯილითა,
უნდა ქალაქსა მივადგე,
ამოვწყვიტო შიმშილითა.
ეგ რომ ერეკლემ გაიგო,
ჯადაბრუნდა სიცილითა.
ერეკლემ ხმალი გაიკრა,
ჩაფრები მოამზადაო.
შიგ ჩასხა პოვოსკაშია,
ესროლა ჩქარა-ჩქარაო,
ის შარშანდელი შემძვრალი
წელსაც არ გამომძვრალაო.

ჩაწერილი 1938 წ. იყალთოში აპ. მახარაძის მიერ — მთქმელი ს. მაკარაშვილი. ფ. არქ. №18373. ვარიანტები იხ.: ანუსია კარგარეთელის (ვაქირელი ქალი) რეპერტუარიდან. ტექსტი დაწერილია მისივე ხელით 1939 წ. თბილისში. ამ ვარიანტში აბდულა ბეგი რაჯაბად იწოდება. ანუსია კარგარეთელმა ტექსტს სათაურად მისცა „რაჯაბას ამბავი". ფ. არქ. № — 18635. იგივე ტექსტი ადრე გამოქვეყნებული იყო აკ. კრებ. № 7, 1898, საიდანაც გადაბეჭდილია ცაიშ. ერ. № 28, გვ. 35. არის მცირე განსხვავება — სტრიქ. 4 ზევ. თ ბ ი ლ ი ს ს — ნაცვლად ქ ა ́ ლ ა ქ ს. სტრიქ. 7 ქვ. მ ი რ ბ ი ს — მ ო რ ბ ი ს;

ჩაწერილი კახეთში, სოფ. შრომაში, 1937 წ. ი. ძამიაშვილის მიერ. მთქმელი სერგო ძამიაშვილი. ფ. არქ. № 13329. აღსანიშნავია, რომ ამ ტექსტშიც აბდულა ბეგი იწოდება რაჯაბად. ტექსტის სათაურია „ერეკლე მეფე და რაჯაბა";

ჩაწერილი 1937 წ. ს. ბარალეთში გიორგი გოგოლაძის მიერ. მთქმელი ბასილ გოგოლაძე. ფ. არქ. № 13572. მთქმელისათვის უცნობია ა ბ დ უ ლ ა ბ ე გ ი და იგი მისთვის ნაცნობი გვარით ა ბ უ ლ ა ძ ე დ წარმოუდგენია.

22. გაბრიელ

ხელსურული. მთქმელი გიორგი არაბული. პირველად დაბეჭდა ნ. ურბნელმა. ივ. № 90, 1891 წ. შან. № 54, გვ. 22. გადაბეჭდილია ცაიშ. ერ. № 23, გვ. 29 — 30. ქ ა ლ მ ი ს წ ვ ე რ ა ს ცნობის მიხედვით („საქართველო", № 161, 1916 წ.) აკ. შანიძეს ტექსტისათვის

დართული აქვს შენიშვნა: „ეს ის გაბრიელ ჩოფიკაშვილი უნდა იყოს, — რომელმაც 1800 წლებში რუსეთის მხედრობას დიდი შემწეობა აღმოუჩინა ძმათა ერისთვიანებთან ერთად დარიალის შემოსავალს ვიწრო გზებში და მიიღო მაიორის ჩინი, რომელმაც ბოლოს ღენერლობაც დაიმსახურა“. იქვე აკ. შანიძე შენიშნავს: „ამისა და 59 ნომრის (იგულისხმება ლექსი „ქალაქის არევა“ ქ. ს.) მუხლები ერთმანეთშია გადარეული, რაიცა იმის ბრალიცაა, რომ ორივეს ერთნაირი რითმა მოუდის. ამიტომ 59 ნომრის ვარიანტთაგან ზოგი რამ შეიძლება ამ ლექსს ეკუთვნოდეს და პირუკუ.

ამ გაბრიელ ჩოფიკაშვილს (ყაზბეგს) ეხება ერთი ლექსი, ნათქვამი სუართ ამინის მიერ“ (მმბ, 1897, № 11) შან., გვ. 363. როგორც ლექსის შინაარსიდან და შენიშვნებიდანაც ჩანს, გაბრიელ ჩოფიკაშვილი—ყაზბეგიც, მსგავსად გივი ამილახვრისა და აბდულა ბეგისა, იმ რეაქციონერ თავადთა წრმომადგენელი ყოფილა, რომელნიც წინ ეღობებოდნენ ერეკლე მეორის საქართველოს გამაერთიანებელ პოლიტიკას.

23. მიშველეთ ჩემნო ხევსურნო

მაკ. ხევს., გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 21, გვ. 27 — 28. ეს ლექსი უცვლელად შეტანილია აკ. შანიძის მიერ გამოქვეყნებულ ბეს. გაბურის „ჰევსურულ მასალებში“ წარმოდგენილ გადმოცემაში „ძველებური ამბავი ნეფე ერეკლის დროს, როსაც ერეკლემ ჰევსურნი დაიბარნა საომრად“ (წელიწდეული, გვ. 162 — 163). ამ ტომში იგი № 73 ტექსტია.

24. ერეკლე ჩვენმა ბატონმა

ივ. № 255, 1890 წ. ტექსტი ამოწერილია ფელეტონიდან „ხალხის გმირი დათუკი ქვეპირიშვილი“. ფელეტონს აქვს ქვესათაური „ერთი უბედური შემთხვევა მეფე ერეკლეს დროინდელი“. ლექსში ასახულია 1751 წლის ომი ჭარ-ბელაქნისა და შაქი-შარვანის ხანის აჯი-ჩალაბის წინააღმდეგ (იხ. საქ. ისტ., გვ. 377). ამ ომში აჯი-ჩალაბის ცბიერების შედეგად ლეკებისა და შაქი-შარვანის შეერთებულმა ლაშქარმა დაამარცხა ქართველი ჯარი (იქვე). ლექსი ასახავს თეიმურაზისა და ერეკლეს ბრძოლას ამიერ-კავკასიაში პირველობისათვის. ფელეტონის ავტორი აღნიშნავს მამა-შვილის დიდი ჯარით მისვლას ქიზიყში, ჭარელებისაგან ერეკლეს ხელქვეითის აჯი-ჩალაბის გადაბირებას და ამ უკანასკნელის ღალატის შედეგად

ქართველი ჯარის დამარცხებას. ფელეტონის ავტორი წერს: „რამდენიმე მტარვალთაგანი ქორივით უნდათ დაეცნენ გვირგვინოსანსა, მაგრამ ამ დროს, „თითქოს ცით ჩამოგზავნილია“, მეფის წინ გაჩნდება „დათუკი“ ქვეპირიშვილი, ჩამოფრინდება ცხენიდან და მიართმევს მეფეს. ერეკლე გადარჩენილია! მაგრამ თვით „დათუკი“ უკან რჩება, დაქვეითებული, მტრის ანაბარად“. აღელვებულ ალაზანში ცხენი იხჩობა. აქ მეფეს შველის ცნობილი მცურავი ბ ე ბ რ ი შ ვ ი ლ ი, „ეს-ეს არის ღელვამ უნდა შთანთქას შეუპოვარი მხედარი — „პატარა კახი“. ამ დროს მხნედ მისცურდება ერეკლეს ცხენთან პ ა პ ა ბ ე ბ რ ი შ ვ ი ლ ი, დაუღალავი მცურავი; მოაშორებს წყალწაღებულ ერეკლეს ცხენს, თან მისდევს დაღლილს მერანს და მშვიდობით გაიყვანს მეფეს გაღმა“. ეს ცხენიც იხრჩობა. „ამ დროს გაჩნდება ბოსტაშვილი მაჩხანელი და სხვა ცხენს მიართმევს მეფეს“. ასე გადარჩა ერეკლე, რომელიც ფელეტონის ავტორის სიტყვებით, მაშინ 30 წლისა ყოფილა. „უმთავრესი გმირი ამ სახელოვანის საქმისა, დათუკი ქვეპირიშვილი, რაღაც მანქანებით გადურჩა მტერს, ახალჯვარდაწერილმა, პატარძალმა—დედოფალმა დარეჯან დადიანის ასულმა მეფურად დაასაჩუქრა მეფისათვის თავდადებული დათუკი ზვარ-ვენახით, მიწა-წყალ-წისქვილით. კახეთში, სოფელს მუკუზანს. ხალხმაც დაგვირგვინა „დათუკის“ სახელი საუკუნო ხსოვნით. ეხლაც გაიგონებთ ქართლ-კახეთში ხალხისაგან გამოთქმულსა და მისს გულშივე დღემდინ დამარხულს „დათუკის ლექსს“ (ივ. № 255, 1890 წ.).

ლექსის მე-4 სტრიქონში დაბეჭდილი იყო ჯ ი შ ი ში. ეს კორექტურული შეცდომაა, უნდა იყოს ჯ ი შ ი რ ი.

ბ ვარიანტში ეს სიტყვა განმარტებულია, როგორც „სამხედრო, სახელდახელო ხიდი“. ეს სიტყვა ამ გაგებით შემონახულა მოხეურ დიალექტში. ძველ ქართულში ამავე გაგებით ჯ ი ს ი რ ი გვხვდება „მეფეთა სალაროში“ აგრეთვე რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობის აღწერაში „თვრამეტი წელი აზიის ქვეყნებში“ (1963 წ. გამოცემა, გვ. 6) ჯ ე ს რ სპარსულად და ჯ ი ს რ უ ნ არაბულად ნავტიკებიან ხიდს ნიშნავს.

ბ

ა რა ქნა ჩვენმა ბატონმა,
შეჰყარა დიდი ჯარია,
ორპირ ქიზიყი აავსო,
ხელთ მისცა წინა მხარია.

ალაზანს დადგა ჯიბირი,
ზედ გადის ჩვენი ჯარია.
პატარა ნაბალჩარია.
შიგ დამალული ჯარია.
მივედით, გავიქციენით,
როგორც ნადირმა ცხვარია.
ბატონსა ცხენი მოუკლეს,
თავში ჰკრეს ზარბაზანია.
ბატონი ქვევითი მოდის,
ხელში უჭირავს ხმალია.
მომეშველენით ბიჭებო,
ვის გინდათ ჩემი თავია!
ეს ბოსტიშვილი დათუნა
ცით ჩამოსული ჯვარია,
ცხენზე ზის ბედაურზედა,
ქვეშ უქრის ნიავ-ქარია.
გადმოხტა, ბატონს მიართვა:
„შენი სანაცვლო არია!“
გუმბათის თავში მოვიდა,
კითხულობა შეიქნა:
„ეს ცხენი ვისი არია?“
— შენი ჭირიმე, ბატონო,
ბოსტაშვილისა არია!
— დათუნავ, ქალაქს ჩამოღი,
თუ გინდა საჩუქარია!
დათუნა ქალაქს ჩავიდა,
ეხვევა დედოფალია:
— „შენი ჭირიმე დათუნავ,
შენ მამირჩინე ქმარია!“
აშურმეები აუსხა,
ზედ შემოარტყა ხმალია,
მამულიც დიდი აჩუქა,
წისქვილიც საკუთარია.

ჩაწერილი კახეთში თ. რაზიკაშვილის მიერ. თაყ. 1, გვ. 374. ამ ვარიანტში მე-5 სტრიქონში არის ჯ ი ბ ი რ ი, სხვა ვარიანტებშიკი არის ჯ ი შ ი რ ი ან ჯ ა შ ი რ ი, რაც, როგორც აღინიშნა, სამხედ-

რო ხიდს ნიშნავს. საფიქრებელია, ამ ვარიანტში თითონ თედო რაზიკაშვილმა შეასწორა ჯიშირი ჯიბირად.

8

ერეკლე ჩვენმა ბატონმა
შეჰყარა დიდი ჯარია,
ორ-პირ ააესო ქიზიყი,
ხელთ მისცა წინა მხარია.
ალაზანს გასდო ჯაშირი.
ზედ გადის ჩვენი ჯარია.
ალაზანს გაღმა გავედით,
პატარა ნაბახჩარია.
შიგ იმაში დამალულა
ჭარ-ბელაქნელთა ჯარია.
მივედით, — გამოგვაქციეს,
როგორც ნადირმა ცხვარია.
ბატონსა ცხენი მოუკლეს,
ფერდში ჰკრეს ზარბაზანია.
ქვევითი მოჩანჩალებდა
ჩვენი ერეკლე ხანია;
ქვევითი მოჩანჩალებდა,
ხელში ეჭირა ხმალია.
ეს ბოსტაშვილი დათუნი
ცით ჩამოსული ჯარია.
ბატონსა ცხენი მოართო,
ოთხითაც დაჭედილია.
— ცხენზე შებძანდი, ბატონო,
თუ გიყვარს ჩემი თავია!
ცხენზე შებძანდა ბატონი,
ქვეშ უქრის ნიავ-ქარია,
ერთი მათრახიც გადაჰკრა,
ქიზიყს ამოყო თავია.
— დათუნი, ქალაქს ჩამოდი,
თუ გინდა საჩუქარია.
ქალაქს ჩავიდა დათუნი,
ეხვევა დედოფალია.
— შენი ჭირიმე, დათუნი,
შენ მამირჩინე ქმარია —
აზნაურობა უბოძა.
მამული საკუთარია.

ჩაწერილი 1883—1887 წწ. კახეთში, სოფ. პატარძეულში, ზ. ბილანიშვილის მიერ. თაყ. 1, გვ. 112. მე-5 სტრიქონში ჯ ა შ ი რ ი განმარტებულია—„სამხედრო-სახელდახელო ხიდი“, 22-ე სტრიქონში ოთხითაც დაჭედილია—„მეფე ერეკლეს დროს იშვიათად სჭედავდნენ ცხენებს ოთხივე ფეხით“. დანარჩენი ვარიანტები იხ.:

ჩაწერილი კახეთში, სოფ. მარაბდაში, ნინო ბარათოვის მიერ, უმიკ., გვ. 101. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 39, გვ. 44 — 45. პ. უმიკაშვილის არქივში არის ამ ლექსის ქ ი ზ ი ყ უ რ ი ვ ა რ ი ა ნ ტ ი, ჩაწერილი თბილისში 1864 წელს ნუკრიანელი მეფანდურისაგან. ფილიპე გოგიჩაიშვილი შენიშნავს: „აქ იკითხება პ ა ტ ა რ ა ნ ა ბ ა ხ ჩ ე ვ ი ს ნაცვლად, დ ი დ ი ტ უ ე და დ ი დ ი ვ ე ლ ი და გ ო ს ტ ა შ ვ ი ლ ი ს ნაცვლად ბ ო ს ტ ა შ ვ ი ლ ი...“ იქვე, გვ. 563. ეს ლექსი ასახავს ერეკლეს ჯარების პირველ დამარცხებას 1751 წ., ნუხის ხანის აჯი-ჩალაბის ღალატით (საქ. ისტ., გვ. 342). ფ. გოგიჩაიშვილს მოყავს პ. უმიკაშვილის შენიშვნა ამ ლექსის ვარიანტებზე „დიმიტრი ყაფლანიშვილი (ორბელიანი) ყოფილა ამ ომში. ერეკლეს ცხენი დაეფლა და ფეხით სიარული მოუხდა. ორბელიანს უთქვამს დაცინვით, ცხენის კუდს მოეჭიდეო. მეფემ არ იკადრა. იმ გოშტაშვილს თუ ბოსტაშვილს ცხენი მიურთმევია. განრისხებულმა მეფემ ორბელიანი შემდეგ ააკლებინა ცოლ-შვილით და გააგდო კახეთიდან. ორბელიანი ყირიმს წავიდა პოტემკინთან და იმსახურა. ალექსანდრეს შოსვლის დროს (1812 წ.) ამ ორბელიანმა ბევრი მტარვალობა მოახდინა კახეთში და ქიზიყში. მღვდლებსაც კი ახრჩობდა — ჯავრს იყრიდა, ჩემი სახლი აიკლესო“ (უმიკ. გვ. 563 — 564).

პ. უმიკაშვილის არქივში არის აგრეთვე 1871 წელს კახეთში ლ. ჩერქეზიშვილის მიერ ჩაწერილი ამ ლექსის ვარიანტი. იქვეა ერთი კიდევ უთარიღო ვარიანტი (იქვე, გვ. 564);

აკ. კრებ. № 12, 1898 წ. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 47, გვ. 59;

ჩაწერილი სოსიკო მერკვილაძის მიერ. აკ. კრებ. № VIII, 1899;

ჩაწერილი 1911 წ. რაჭაში ვუკოლ ბერიძის მიერ. ტექსტს წამძღვარებული აქვს ჩამწერის შენიშვნა: „ქვემორე მოყვანილი ლექსი ჩაწერილია უფრო ვრცლად კრებულში ორგან (იხ. აკ. კრებ., 1898 წლის აგვისტო, № XII, აგრეთვე 1899 წლ. № VII მეორე განყოფილების გვ. 33); მაგრამ, რადგან ალაგ-ალაგ დაბეჭდილსა და ახლად ჩაწერილს შუა დიდი განსხვავებაა, ამიტომ, ვფიქრობთ,

ᲘᲐᲜᲬᲘᲡᲬᲘᲜᲘ ᲘᲐᲜᲬᲘᲬᲘᲡ ᲘᲘᲡᲘ ᲘᲓᲜᲘᲬᲘᲡ ᲬᲘ ᲜᲘᲜᲐᲜᲘᲜ“ 52 წლის, ჩაწერილი კახეთში, სოფ. მელაანში, ვახტ. პეტრიაშვილის მიერ. ფ. არქ. № 17426;

ჩაწერილი ხევში, სტეფანწმინდაში, 1881 წელს, პეტრე უმიკაშვილის მიერ. მთქმელი გიგოლა არჯინაშვილი. უმიკ. 102; ჩაწერილი ხევში. მოხ., გვ. 135.

25. მთიულებს შემოუთვალეს

მთქმელი ალექსი ქავთარაძე. ჩაწერილი სოფ. ძმიანში 1946 წ. ა. ცანავას მიერ. ვირსალ. № 117, გვ. 153 — 154. შესაძლებელია ეს ლექსიც ასახავდეს 1751 წლის ომს, ჰარ-ბელაქნისა და შაქი-შარვანის ხანის აჯი-ჩალაბის წინააღმდეგ.

26. აზატ-ხან წამომდგარიეო

ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ. კვ. № 22 1893 წ.; თაყ. 1, გვ. 179. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 2, გვ. 33.

ლექსში ასახულია 1752 წელს აზატ-ხანის გამოლაშქრება საქართველოზე. ავღან-ყიზილბაშთა ჯარებმა 1752 წ. გადმოლახეს არეზი, მოაოხრეს ერევნის სახანო და ერევნის ციხე რკალში მოამწყვდიეს. ქართველები შეუდგნენ სამხედრო სამზადისს. აზატ-ხანმა გაიგო ქართველი ჯარის დაბანაკება ყარაბულზე, რის გამოც, როგორც პ. ორბელიანი იუწყება, „აღბორგდა მხეცი ცოფოვანი და განიძრახა საქმე ბოროტი“. აზატ-ხანი საქართველოზე წამოვიდა 40. 000 ჯარით და მდინარე გარნიჩაის ნაპირას დაბანაკდა (ქ. ცხ. II, გვ. 484). ორი ათასი ქართველი მეომარი ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით შებმია მრავალრიცხოვან მტერს. ისტორიკოსის ცნობით, ქართული ლაშქრის სიმცირით ისე გათამამებულა მტერი, რომ ერთ ხანს აზატ-ხანისათვის მიუმართავს: „დასტური მეც, რათა წარვიდე და მეფე ირაკლი ცოცხლივ შეპყრობილი მოგართვაო“ (ქ. ცხ. II, გვ. 485). ომან მდივან ბეგის ცნობით, ქართველ სარდალს ერეკლესთვის ურჩევია უკან დაბრუნება. ერეკლეს მეომრებისათვის ასე მიუმართავს: „იცოდეთ, მე აზატ-ხანის შეუბმელი არ დავსდგები, ამაღამ რომ გავიქცეთ, ხვალ გზაზე მოგვეწევიან და უნამუსოდ სიკვდილს ნამუსიანი სიკვდილი ჰსჯობია, ესე ყველამ უწყით, რომ სიკვდილის შვილნი ვართ და ჩვენს გვარსა

და სახელსა ორი დღის სიცოცხლისათვის ნუ მოვაყივნებთ“ (ქ. ცხ I-I, გვ. 485).

ლექსში უშუალოდ ასახულია მტრის თავხედური განზრახვა ერეკლეს ცოცხლად შეპყრობისა და მეფის პატრიოტული მიმართვა მეომრებისადმი.

ბ

ახატ ხან გადმოელაშქრა,
თან მოაქვს მთა და ბარია;
თორმეტი ხანი გვერდს ახლავს,
თავისი შესადარია.
ვორაზე დასცა კარავი,
დაუდგეს ოქროს კარგია,
მზარეულებს დაუძახა,
სადილი მომიტანევით,
ფერად-ფერადი საჭმელი,
თურაჯ-თურაჯი ფლავია.
დურბინდით გადმოიხედა,
გაიცინა და ასე სთქვა:
—რასა გვიქს ღორიჭამია.
ეს რომ ერეკლემ შეიტყო,
არ გაიტეხა ჯანია,
შესტირა ყოვლად წმინდასა,
აიღო ძველი ჯვარია,
ქართველურებრ შემოძახა:
— შვილები ხართ, თუ ძმანია!
თუმც გაგვაქციეს, მოგვდევენ,
გადმოგვეგდება კარია...
ეს ჩვენი საუფლისწულო
მტერსაც ნუ მოუხმარია!“
გოგია ერისთვის შვილსა
შერჩა ხელი და ხმალია,
სამჯერ თავზე შემოივლო
სარაზმო შუბის ტარია.
რვა ბელადი კი მოეკლა,
მეცხრე გავარდა წამზეა,
ვაი დედა შენს, ბელადო,
ხმალი ვერ მოგხვდა თავზეა!...

მთქმელი რაჭველი ხიხონისელი მოსე თამაზას ძე ხომასურიძე. ჩამწერი პ. მ-ი (უნდა იყოს პეტრე მირიანაშვილი. ქ. ს.) ივ. №259, 1897 წ.

8

თათართ ხან გამოილაშქრა,
თან მოაქვს მთა და ბარია,
დიდსა გორასა მოვიდა,
დაიდგა ოქროს სკამია.
დურბინდით გადმოიხედა:
„რასა იქმს ღორის ჭამია?“
საწყალს ერეკლე მეფისშვილს
მებოსტნეს უგავს ჯარია,
წადით და აქა მომგვარეთ,
ვინც არის ჯარის თავია.
ათასი კაცი გვერდს ახლავს
თათართ ხან გასადარია.
ათასი კაცი გვერდს ახლავს:
სულ გურჯის მეომარია.
თვითონ ერეკლემ იყურა,
არ გაიტეხა ჯანია,
ქართლ-კახეთს შემოუთვალა,
ერთგული ხართ თუ ყმანია,
ერთი ზღვა გადმოხეთქილა,
არ გადასწვდება თვალია,
გავექცეთ, ვერ წავუვალთ-ყე,
რომ ცხენი გვყავდეს მალია,
მოგვდევენ ცოლ-შვილამდისი,
გამოგვებურის კარია,
ყოვლად წმიდასაც მივართვათ
ენტელა საუფლარია:
ნუ გაგვხდით საურჯულოვეთ,
ისევ შენ მოგვიხმარია.
ორ ძმასა მაჩაბელებსა
შერჩა ხელი და ხმალია,
ასამდე მათაცა მოჰკლეს,
როგორც შეუძლევს მკლავია;
დათუა ამილახორი

ხომ კაი მეომარია,
ცალთვალა ვირი ეშოვნა,
მოყავს და მოუხარია,
და ვისაც ვირი არ ყავდა,
აქლემი მოუყვანია.

ჩაწერილი 1911 წელს რაჭაში ვუკოლ ბერიძის მიერ.

27. აზატ-ხანი და ერეკლე

ჩაწერილი მესხეთში ვინმე მესხის (გვარამაძის) მიერ. თაყ. 1, გვ. 416 — 417. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 27, გვ. 34. ლექსი ასახავს ერეკლე მეორის სარდლობით ქართველთა გამარჯვებას აზატ-ხანის მეთაურობით საქართველოზე 1752 წ. გამოლაშქრებულ ავღან-ყიზილბაშთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში.

28. თამასხანი

მოხ., გვ. 124 — 125. ეს ლექსიც აზატ-ხანის მეთაურობით საქართველოში ავღან-ყიზილბაშთა შემოსევის ამსახველი უნდა იყოს.

29. ისე ადიდდა აზატხან

ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ. თაყ. 1, გვ. 179, თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი. ტექსტი კონტამინაციის ნიმუშია. პირველი ნაწილი (40 სტრიქონი) ასახავს ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით ქართველების მიერ აზატ-ხანის დამარცხებას 1752 წ.

მეორე ნაწილი ტექსტისა (12 სტრიქონი) გადმოგვცემს ქართველების მიერ 1755 წ. ხუნძახის მფლობელის ავარიის ხანის ნურსალ-ბეგის დამარცხებას, რომელიც ხელმძღვანელობდა კახეთში შემოსეულ ლეკთა ჯარებს). ამიტომ მეორე ნაწილი ტექსტისა კრებულში შეგვაქვს დამოუკიდებელი ლექსის სახით (№ 31).

იგივე ტექსტი, სათაურით „აზატ-ხანი და ერეკლე“, ჩაწერილი ქართლში, თედო რაზიკაშვილს დაბეჭდილი აქვს კვ. № 20, 1894. მითითებულია მთქმელი — ბეჟანა პაატაშვილი. კვალში დაბეჭდილ

ტექსტში გამოტოვებულია 45 — 48 სტრიქონები, რომელიც ეკუთვნის სხვა ლექსს (№ 31). ამას გარდა ტექსტს დართული აქვს თ. რაზიკაშვილის შენიშვნა:

— „რას მომდევ გურჯო ერეკლე...“ ეს ექვსი სტრიქონი მე მაქვს კრებულში ჩაწერილი სრულებით აზრშეცვლილი. იმას რო ყური უგდოს კაცმა, იფიქრებს ნამდვილად, ვითომ აზატ-ხანს ერეკლე გაექცეოს და არა ერეკლეს აზატ-ხანი. ამიტომ მართებს მაძიებელს, ერთს რომელიმე ვარიანტს არ ერწმუნოს, ვიდრე ყველა ვარიანტები არ შეადარონ, მომეტებულად, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, როცა ლექსი ისტორიულია. ხალხს ძალიან აზიზი გემოვნება აქვს, მისი ყური ტკბილ ხმოვანებისაა და ალმაფრენით აღმოთქმული სიტყვის ტრფიალია, თვით დიდი ლექსიდან სწავლობს ძალადაუტანებლად იმ ადგილებს, რომელნიც მართლა მარგალიტივით ჩამძიებულნი არიან. ცალკეევა გავრცელებული მეორე ხანაც:

„ერეკლემ ცხენი გაჰქუსლა,
ცხენსა რო გასდგა ჩქაფანი,
აავსო ხევი, ხევ-ხუვი,
ცხენს უსველდება ფაფარი,
უკრავად კაცსა მოჰკლავდა
მისი ცხენისა ქაქანი“.
კვ. № 20, 1894 წ.

ბ

ისე გადიდდა ერეკლე,
თავი ძირ აღარ დაიღო,
აქ მე ვარ, სტამბოლს ხონთქარი,
ყეინი ჩემთან რა იყო.
განჯიდან შემოუტია,
სურსათი ბევრი აიღო,
საქართველოსა გულისთვის
ერეკლემ ხმალი აიღო.
ერეკლემ რომ ცხენს გასწია,
სისხლმა გაიღო თქაფანი,
სისხლისა შედგა მორევი,
ცხენსა შეღება ფაფარი.
უკრავად კაცსა მოჰკლავდა,

იმისი ცხენის ქაქანი,
ისე გარბოდა აზატ-ხან,
როგორც ხოროსნის ჩაფარი.
აზატ-ხან უკან მოსძახა,
რას მომდევ, გურჯო ერეკლევ,
რა მიმაქვს შენი დავლაო,
იმდენი არა მიმდევს რა,
სადილი ვჭამო ხვალაო:
ყველა მანდ გამაშვებინე
თოფი და ჯაბა-ხანაო.

ჩაწერილი 1930 წ. ბალანთაში ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ. მთქ-მელი ვასო მელიქიძე, ფ. არქ. № 5379.

ბ

ასე გადიდდა აზატ-ხან,
თავი ძირს აღარ დაიდო,
აქ მე ვარ, სტამბოლს-ხვანთქარი,
ყეენი ჩემთვის რა იყო.
განჯის ხან შემოუტია,
ხარაჯა ბევრი აიღო,
ამ გურჯისტანის გულისთვის
ერეკლემ ხმალი აიღო.
ერეკლემ რო ცხენი დასძრა,
სისხლმა გაიღო თქაფანი,
სისხლისა დადგა მორევი,
ცხენს შეეღება ფაფარი.
უკრავად კაცსა მოჰკლამდა,
იმისი ცხენის ქაქანი.
ისე გარბოდა აზატ-ხან,
როგორც ხორასნის ჩაფარი,
უკან ერეკლე მისძახდა,
მოსვლა და წასვლა რა არი.
—რას მამდევ, გურჯო ერეკლევ,
რა მიმაქ შენი დავლაო,
ყველა მანდ გამაშვებინე
თოფი და ჯაბახანაო.

იმდენი არა მიმდევს რა,
სადილი ვჭამო ხვალაო.

ჩაწერილი 1930 წ. მესხეთ-ჯავახეთში, სოფ. ბარალეთში გიორგი გოგოლაძის მიერ. მთქმელი ლაზ. გოგოლაძე. ფ. არქ. № 11442.

დ

ისე ადიდდა აზატ-ხახ,
თავი ძირს აღარ დაიღო,
აქ მე ვარ, სტამბოლს-ხონთქარი,
ყეინი ჩემთან რა იყო?
განჯის ხანს შამოუტია,
სურსათი ბევრი აიღო,
საქრისტიანოს გულისთვის
ერეკლემ ხმალი აიღო.
ერეკლემ რომ ცხენი გასძრა,
სისხლმა გაიღო ჩქაფანი,
ცხენს შეეღება ფაფარი.
უკრავად კაცსა მოჰკლავდა
იმისი ცხენის ქაქანი.
ისეთი გარბის აზატხან,
როგორც ხორასნის ჩაფარი.

ჩაწერილი კახეთში 1937 წ. ი. ძამიაშვილის მიერ. მთქმელი გაბო ქადაგიშვილი. ფ. არქ. № 13475.

ი

ერეკლე წირვას დადგაო,
ღმერთს მუხლი მოუყარაო,
მიდგნენ და ასე გაკაფეს,
როგორც ნამგალმა ყანაო.
გაიქცა ძაღლი აზათ-ხახ,
თან ვერ წაიღო ბარგიო,
თქვეს, გურჯი ხართ და რას მოგვდევთ,
თქვეხი რა ძიგვაქვს თანაო.

რაც მქონდა, მანდვე დავყარე,
ბარგი და ჯაბახანაო.
ის კახელებმა იპოვეს,
გაიყვეს ფარა ფარაო...

ივ. № 131, 1888 წ. მოყვანილია წერილში „ყ ი ზ ლ ა რ ი“. ყიზლარი ჩრდ. კავკასიის ქალაქია, იქ არიან ქართველები. იქ ქართველები უნდა დასახლებულიყვნენ, როგორც წერილიდან ჩანს, მე-18 საუკ. ნახევარსა (თუ გასულს. იქვე). არ არის აღნიშნული, ვინ არის ავტორი წერილის, რომელსაც იქ ჩაუწერია ხალხური ლექსები და მათ შორის ეს ტექსტიც. ჩვენის აზრით, წერილი ალ. ხახანაშვილს უნდა ეკუთვნოდეს. ლექსის ჩაწერაზე და მთქმელებზე ჩამწერი იძლევა ცნობას: „დასასრულ მოვიყვან ორიოდე ლექსს, რომელიც ჩავწერე ქ. ყიზლარს. ეს ლექსები მითხრა ბ-ნმა ბასიანაშვილმა, რომელმაც ამ უკანასკნელ დროს ისწავლა „სტამბის“ კითხვა, ჩამომავლობით იგი ხელოსნის შვილია, დაუმთავრებია სამაზრო სასწავლებელი და აწ მსახურობს საქალაქო საბჭოში. ახლა 43 წლისაა. ჯერ მომიყვა ვეფხისტყაოსნიდან, რომელიც იმას არც წაუკითხავს და არც თვალით უნახავს. ბ-ნი ბასიანიშვილი ამბობს, რომ წინად მეტი ვიცოდი და ახლა — კი დამავიწყდაო“ (იქვე). ბასიანიშვილის რეპერტუარში შედის ფრაგმენტები „ტარიალიანის“, ერთი ფრაგმენტი „ამირანიანისა“ და ეს ლექსი; დანარჩენი ვარიანტები იხ.:

ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ, თაყ. I, გვ. 178; 160, ღლ. შ. გვ. 167. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 10, გვ. 21;

ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ, თაყ. 1, გვ. 178; ღლ. შ., გვ. 167. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 9, 21. ეს ფრაგმენტი ასპინძის ომის ამსახველ ლექსშიც არის. ახლა ძნელია იმის დადგენა, თუ ეს ფრაგმენტი პირველად რომელ ლექსთან იყო დაკავშირებული. იგი თანაბრად დამახასიათებელია როგორც, აზატხანის დამარცხებაზე, ისევე ასპინძის ომზე შექმნილ ლექსებისათვის;

ჩაწერილი მესხეთში, სოფ. ხიზაბავრაში, ი. ლაზარიშვილის მიერ. უმიკ., 106. ამ ვარიანტს ემთხვევა 8. VIII — 1945 წ. რაჭაში, სოფ. წესში, ეთერ არჯევანიძის მიერ საბა მერკვილაძისაგან ჩაწერილი ტექსტი; ჩაწერილი ახალქალაქის მიდამოებში მასწავლებელ ნ. ხუციშვილის მიერ. ივ. № 204. 1889.

30. ნიკო

ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ, თაყ. 1, გვ. 181 — 182. ლექსში ასახულია ლეკთა შემოსევა ქართლ-კახეთში 1755 წ. ხუნძახის მფლობელის, ავარიის ხანის ნურსალ-ბეგის მეთაურობით. ნურსალ-ბეგი ყვარლის ციხესთან დამარცხდა. ამ ომში თავი გაუწირავს მჭადისჯვარელ მოხუც ქალს. დავით ბატონიშვილის ცნობით, „მოვიდა ნურალი ბეგ ავარიელი (ესე იგი ხუნძახის ბატონი მუცალი) ფრიადითა მხედრებითა და მიადგა მჭადის-ჯვარს, გარნა ერთმან მოხუცმან დედათანგანმან დაუწვა მათ შვიდი საფარი მიტანილი ციხესა ზედა“ (დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც., 1941 წ., გვ. 7). ბაგრატ ბატონიშვილი ასე გადმოგვცემს მჭადისჯვარელი დედაკაცის გმირობას: „ოი საკვირველი, ერთმა მოხუცმა დედათაგანმან მჭადის-ჯვარელმან იხმარა სული მამაცობისა, გამოვიდა ციხით, რაოდენიმე ლეკი მოკლა თვისითა ხელითა და რაოდენიმე დაუწვა საფარი — ხისა ლეკთა, ხოლო უკანასკნელ მოკლეს იგიცა, რომელსაც დღესა ქებასა მისსა მოუთხრობენ შაირითა მესტვირენი“ (ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, 1941 წ., გვ. 50). თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი ტექსტიც ერთი ნიმუშია მჭადისჯვარელ მოხუცზე შექმნილი მესტვირული ლექსისა. მჭადისჯვარელ მებრძოლ ქალს სათაურით „გმირი დედაბერი“ დიდი სამამულო ომის დღეებში საინტერესო წერილი მიუძღვნა სახალხო პოეტმა აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ („კომუნისტი“, № 310, 1941 წ.). პირველად მანვე მიუთითა ლექსის რეალურ საფუძველზე. გმირი დედაბერის სახელი — ქრისტინე დაადგინა, ტრ. რუხაძემ (სახელი მჭადისჯვარელი დედაკაცისა, „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 36, 1945 წ.). ამ ლექსის ვარიანტი 1962 წ. მთის რაჭაში, ონის რაიონში, ჩაწერა თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფოლკლორული ექსპედიციის წევრმა სტუდენტმა ნინო დუმბაძემ. იხ. თ. ს. უ—ფ. არქ. ნ. დუმბაძის კოლ. რვ. 7.

31. ხუნძახმა ცხენსა მიჰმართა

ჩაწერილი ქართლში თ. რაზიკაშვილის მიერ. თაყ. 1, გვ. 179. ტექსტი, როგორც აღვნიშნეთ № 29 დაკავშირებით, მთქმელს კონტამინაციის წესით დაუკავშირებია 1752 წ. ავღანელ-ყიზილბაშთა

ჯარებზე ქართველების გამარჯვების ამსახველი ლექსისათვის („ისე ადიდდა აზატ-ხან“).

ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ტექსტი კრებულში შეგვეტანა დამოუკიდებელი ლექსის სახით.

32. წერეთელმან დაიბარა

ჩაწერილი მესხეთში ვინმე მესხის მიერ. თაყ. 1, გვ. 422. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. №35, გვ. 40—41.

33. ასპინძის ომი

ჩაწერილი მესხეთში ვინმე მესხის მიერ. თაყ. 1, გვ. 417—418. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 40, გვ. 45 — 48, ლექსში თითქმის სიზუსტითაა გადმოცემული 1770 წლის ასპინძის ომი. თურქ-ლეკთა ჯარების წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში ქართველებს ბრწყინვალე გამარჯვება ხვდათ წილად. როგორც აღნიშნული გვაქვს, „ხალხური ლექსები გადმოგვცემენ ისტორიულ სინამდვილეს: ეკატერინე მეორის მიერ საქართველოში რუსის ჯარის გამოგზავნას გენერალ ტოტლებენის მეთაურობით, თურქ-ლეკთა ჯარებისაგან საქართველოს გაწმენდის მიზნით; აწყურის ციხესთან რუს-ქართველთა შებმას თურქ-ლეკთა ჯარებთან, თურქ-ლეკთა მაშველი რაზმების მოსვლის შედეგად ტოტლებენის უკან დაბრუნებას. ამინ გამო ქართველი ჯარისათვის სახიფათო მდგომარეობის შექმნას, დასასრულ, ქართველთა თავგანწირვითა და ერეკლე მეორის დიდი სტრატეგიული უნარით მტრის მრავალრიცხოვანი ჯარის დამარცხებას. ქართველთა ბრძოლების ეს გმირული ეპიზოდი განსაკუთრებით ვრცლადაა გადმოცემული მესხურ ლექსში „ასპინძის ომი“ (ბრძ. სამშ., გვ. 28—29). მოლექსე თავისებურ შეფასებას აძლევს ტოტლებენის მოქმედებას:

„მეფემ არაფრად ჩააგდო
იმისთანა წუწკი მყრალი“.

ომან მდივან ბეგის ცნობით ერეკლე მეორე საგონებელში ჩააგდო მოკავშირეთა ჯარის უკან დაბრუნებამ და იძულებული გახადა, ეთხოვა ტოტლებენისათვის დარჩენა: „მოვიდა მეფე ირაკლი, მრავალს ეხვეწნა“ (ქ. ცხ. II, 491). ერეკლე მეორე ძრ დაიბნა, ტაქტიკური მოსაზრებით ააყრევინა ასპინძის ხიდი, რის შედეგადაც

მტრის ჯარის დიდი ნაწილი მტკვარში ჩაცვივდა. ამ ბრძოლაში ერეკლე მეორემ თავისი ხელით მოკლა ლეკთა განთქმული ბელადი კოხტა (ქ. ცხ. II, გვ. 429; ახ. ისტ., გვ. 11), ეს ამბავიც გადმოცემულია ლექსში. ტექსტს თან ახლავს ჩამწერის შენიშვნა: „სეხნია და იასე გვარამაძენი აქ დაიხოცნენ და საფარას დასაფლავდნენ პატივისცემით სხვებთან ერთად" (თაყ. 1, გვ. 428, სქოლიო).

ბ

დიდება და მადლი ღმერთსა,
რომ გამოჩნდა ქრისტეს ჯვარი,
ოთხი კუთხე სულ შეიძრა,
თავი რუსთ ხელმწიფე არი.
მეფე ერეკლეს მოართვა
სალამი და საჩუქარი.
ასე მიყვარხარ, ერეკლევ,
როგორც ჩემი და და ძმანი.
შემწეობა თუ მოგინდეს,
აგერ ნახე ჩემი ჯარი:
მანც მადლობა მოახსენა,
მეგობრობა შენი ვსცანი.
ეს ფაშები მაწუხებენ,
ლეკია და უნიჩარი.
პატარა ხანს მოიცადა,
შეიყარა გურჯის ჯარი,
ადგა და ქართლი შემოვლო,
გაამაგრა ტაშისკარი.
ხეობაზე შემოწკიპა,
აწყვერს მოვა წინა ჯარი.
შემოადგა აწყვრის ციხეს.
შეუშალა ცალი მხარი.
ესროლა და ჩამოყარა
ბედნებიდგან ბაირაღტარი.
ზეიდან ტყვია წუწუნებს,
ციხეში წყალი არ არი.
ბაგალოი გამოვარდა,
ყელ-ყური ჰქონდა დამწვარი.
იძახდა, სულ გაგვიწყვიტა

ლაშქარი, ღვთის რისხვა არი.
ტოტლებენმა უღალატა,
სხვას დაადვა თავის ბრალი,
ზარბაზნები არ ახმარა,
გაბრუნდა შურისგან მთვრალი.
მეფემ არაფრად ჩაუთვალა
იმისთანა წუწკი, მყრალი.
აწყვერიდგან გარდავიდა,
ასპინძას მიმართა მწყრალი.
რაც აქ დაუკლდათ ლეკ-ოსმალთ,
იქ შეუთავა ზარალი,
ბევრი მოწიფული ჰყავდა
ხელ-ფეხით ყაფლან მარალი.
გავიდნენ, ხიდი აპყარეს,
გაჩნდა იქ ჰარალ-თარალი.
ვერ გაუგეს მეთვალყურეთ,
არავინ იყო ჰალალი.
თათრებმა შემოუტიეს,
სულ არ იცოდნენ ვარალი.
ვერც წინ წაუდგნენ, ვერც უკან,
გაუცუდდათ ჰალლა-ჰალი,
იშვირეს პირი, ხიდს ეცნენ,
აყრილ იყო გასავალი.
პანტაპუნტით წყალს ცვიოდნენ
ქალ-მაჰმადა და სარალი.
სალავათიც ვერ მოჰქონდათ,
გასტეხოდათ ისე თვალი.
ერეკლე ჩვენი ბატონი
ესრე პატარა კახია,
ტანს რკინის პერანგი ეცვა,
გაჰკრა ხელი და გახია.
რაც უყო ლეკ-ოსმალებსა,
ჰალალია და ჰახია.
ხრამი შეუკრეს, თვითონვე
თავსა მოუდგეს მახეა.
იქ დახვდა კოხტა ბელადი.
მას გავარდა ორივ თვალი,

ეს ერეკლე გაითხოვა,
აგერ არის საბურთალი.
ნეტა-თქო როგორ შებედა,
როგორ გაუმართა თვალი.
ორნივ ცხენდაცხენ შეიბნენ,
მწვედ გათამამდა მურდალი.
ზედ შევარდა მოურიდლად.
ვაი მისი ბედის ბრალი.
მოდით ბიჭებო, გავიყოთ
ოქრო, მარგალიტი, თვალი.
ფარის ანგარიშს ვინ იზამს,
სულ ზოდადაა ახალი.
ერეკლემ არ მოიშალა
ის თავის მუცლის ჩხვერაო,
ადგა და წინ წამოუძღვა,
მთვარე არ იდგა, ბნელაო.
ხერთვისის ხიდსა შემოდგა,
თოფსა არ გააქვს ძგერაო,
თათრებმა თავი დაუკრეს,
წინ ვერ დაუდგნენ, ვერაო,
ხანუმებმა გადმოჰხედეს,
პირზე გადაჰკრათ ფერმაო.
ვაი თუ ჩვენ დაგვიმძვირდეს
ამ სარაიდან ცქერაო.
შენ ერეკლე ჰოქმიანო,
ცხენ მაღალ, უნაგრიანო.
შენი ნახოცი ლეკები
ასპინძის ბოლო ჰყრიანო,
ყვავი, ყორანი ლეშსა სჭამს,
კაჭკაჭნი თვალებს სთხრიანო.
ვაი იმათ გაჩენასა,
რა გონჯ ალაგას ჰყრიანო.

ტექსტი უპასპორტოა. დაწერილია ვახტანგ კოტეტიშვილის ხელით. ფ. არქ. №2791. მასში კონტამინაციის წესით შესულია 1744 წლის ომის ამსახველი ლექსის (№ 2, 3, 4) ვარიანტი (სტრიქ. 57 — 62).

ეს მეტად ვრცელი ლექსი თუ პოემა ძალიან გავრცელებული ყოფილა. იგი მესტვირეთა რეპერტუარში შედიოდა. დანარჩენი ვარიანტები იხ.: ჩაწერილი 1930 წ., სოფ. ბარალეთში გ. გოგოლაძის მიერ. მთქმელი ლაზარე გოგოლაძე. ფ. არქ. № 11443. ეს საკმაოდ ვრცელი 106 სტრიქონიანი ტექსტია. ბ ვარიანტთან შედარებით განსაკუთრებულ თავისებურებას არ იჩენს.

ჩაწერილი სოფ. ხიზაბავრაში იაკ. ლაზარიშვილის მიერ. ივ. № 200, 1889 წ. ტექსტი ფრაგმენტია ვრცელი ლექსისა. ეს ფრაგმენტი უკანასკნელი ორი სტრიქონის გამოკლებით ცნობილია სხვა ჩანაწერებითაც, იხ. უმიკ., გვ. 106, გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 16, გვ. 23; ივ. № 45, 1898 წ; ჩაწერილი რაჭაში, სოფ. წესში 8. VIII — 1945 წ. ეთერ არჯევანიძის მიერ 100 წლის საბა მერკვილაძისაგან. ამ ვარიანტში პირველ სტრიქონში ო ქ მ ი ა ნ ო ს მაგივრად არის ო მ ი ა ნ ო. მეორე სტრიქონში ც ხ ე ნ მ ა ღ ა ლ-ს მაგივრად ც ხ ე ნ-ლ ა მ ა ზ. ზოგ შემთხვევაში ფრაგმენტის მხოლოდ პირველი ოთხი სტრიქონი გვხვდება დამოუკიდებელი ლექსის სახით — იხ. ფ. არქ. № 6103, 6140 და სხვ.

34. ჰევსურები აწეურთან

ჩაწერილი ხევსურეთში თედო რაზიკაშვილის მიერ. შან. № 49, გვ. 19 — 20. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 41, გვ. 48 — 51. სათაური თედო რაზიკაშვილს ეკუთვნის. ტექსტს თან ახლავს აკ. შანიძის შენიშვნა: „აქ აწერილია ასპინძის ომი (1770 წ.). იარალა, რომელიც ჰევის მთაზე გადმოდის და რომელიც შემდეგ აწყურიდან ბრუნდება, უნდა იყოს რუსის გიარანალი (ანუ იანარალი) ტოტლებენი, რომელიც რუსის ჯარებითურთ გაბრუნდა აწყურიდან და ერეკლე მარტო მიატოვა“, აკ. შანიძეს მოჰყავს ომან მდივან-ბეგის ცნობა ასპინძის ომის შესახებ, სადაც მოთხრობილია ერეკლესა და მისი თანამებრძოლი შვიდი ხევსურის მამაცობაზე

და ერეკლეს მიერ დაღესტნის წარჩინებულის კოხტა ბელადის მოკვლის ამბავი (ქ. ცხ. II, გვ. 492). ქვევით აკ. შანიძე შენიშნავს: „ვინ იყვნენ ეს შვიდნი ხევსურნი? ომან-ბეგი ამის შესახებ დუმს, მაგრამ ხალხურმა ლექსმა შემოგვინახა მათი სახელები. ესენი ყოფილან: 1. სუმბატა ლოხაურის შვილი (ან ლოხაურისძე, რომლის ძმაც, ბულეჯანი, იხსენიება 169 №-ში, ბულეჯანი ტირის: „ძმაი ურუმებ მამიკლესო"), 2. სუმბატა გუგუაშვილი, 3. ჯამბათა ივანეური, რომელიც ჯანშათა ივანეურადაც იხსენიება № 169-ში, 4. ჯამშაისძე, გუდანელი, რომელიც დედის-ერთა ყოფილა და მომკვდარა, 5. ბიტურაის აბა, ბლოელი, ავტორის შვილი, 6. ღერენა გუგუაის შვილი და 7. ლომნი გაგაის შვილი.

ამ ომში, როგორც ჩანს, ფშავლებიც ყოფილან: მამუკა წოწკურაული და საღირათ ელიზბარა". შან., გვ. 361—362.

აკ. შანიძეს შეაქვს შესწორება ტექსტში — რომ ბ ა ტ უ რ ა ი ს ა მაგივრად იკითხებოდეს ბ ი ტ უ რ ა ი ს ა (იქვე).

აკ. შანიძის შენიშვნაში ვარაუდით ნათქვამი, რომ ტექსტში ნახსენები ი ა რ ა ლ ა ი უნდა იყოს გენერალი ტ ო ტ ლ ე ბ ე ნ ი, შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს.

ბ

ავარდა ბატონიშვილი
ურჯულო ნათათრალიო,
კაცი დალალა ხევსურეთს,
სად მყვანდეს უნჯნი ყმანიო.
ეგრე წამოვლენ ხევსურნი.
ისრო მარილზედ ცხვარიო.
ერეკლეს დუქეთს მიუვლენ,
სრუ წყრომით არ იქნებისო,
გარდაავლივა სურამი,
ჯარ აწყვერს მიუდგებისო,
აწყვერულს სიმაგრეჩიო
შიგ ლეკებ დაუხვდებისო.

დაბრუნდა იარალაი,
მაგას რა მეეგვრებისო.
შაჰსწუხდა ბატონიშვილი:
ჯარი სრუ გამიწყვდებისო.
მაახსენებენ ხევსურნი:
„დღე ჩვენი გარდახდებისო“.
ჯარჩიგით გამოერჩივნეს,
ერეკლეს თან ჩაჰყვებისო,
სუმბათა ლოხაურისძე
ლაშქართა გაღმეტდებისო,
დედით ძმა გაჯავრებული
ძმას ალარ ასძრახდებისო,
აბაი ბიტურათაი
დედასამც დაურჩებისო,
ხელში აქვს ლეკის მაჟარი,
ესრევ არ დაუცდებისო,
საც აბა დაეტანების,
ცალე კი არ დარჩებისო.
ერეკლეს ბატონიშვილსა
ომი ცხენდაცხენ ხდებისო,
დაკაფა კოხტა ბელადი,
გლეხს როდი ეკადრებისო.

ჩაწერილი 1871 წ. ილია ჭავჭავაძის მიერ. უმიკ., გვ. 97 — 98. ცაიშ. ერ. № 19, გვ. 25 — 26. ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის ტექსტუალური შენიშვნები: უ ნ ჯ ნ ი-ე რ თ გ უ ლ ნ ი (სტრიქ. 4) ი ს რ ო-რ ო გ ო რ ც (სტრიქ. 6); ი ა რ ა ლ ა ი-გ ე ნ ე რ ა ლ ი (სტრიქ. 13); ს უ მ ბ ა თ ა ლ ო ხ ა უ რ ი ს ძ ე-ლიქოკელი ხევსური, მომკვდარა ამ ომში. ამის შთამომავალნი ეხლა არიან თიანეთში, ფიცხელაურს უძახიან (სტრიქ. 21); ა ბ ა ბ ი ტ უ რ ა თ ა ი—ბლოელი ხევსური (სტრიქ. 25); ცალე-კაცმოუკვლელად, უ ს ა ხ ე ლ ო დ (სტრიქ. 30); გლეხს როდი ეკადრებისო — გლეხს დასახოცად არ კადრულობსო (ბოლო სტრიქონი);

ბ

იარალაის კუდაი
ხევის მთას გარდმოხდებაო,
ერეკლე ბატონისშვილი
ტახტზეით ჩამოხდებაო:
„გამომივიდან ხევსურნი,
ვინც ომში გამოდგებაო.
ფშაველა ჭინჭარაული
ნიადაგ ნუ დადგებაო,
გამოიყოლოს სამანა,
მჭედელიც დაგვჭირდებაო“.
დუშეთ ერეკლეს მიუვლენ,
სულ წყრომით არ იქნებაო,
გარდააავლია მუხრანი,
ჯარ აწყვერს მიუდგებაო,
აწყვერულს სიმაგრეშია
შიგ ლეკებ დაუხვდებაო...
... აბაი ბიტურას შვილი
დედასამც დაურჩებაო,
ხელში აქვს ლეკის მაჟარი,
ნასრევ არ დაუცდებაო,
საც ომში დაეტანება,
ცალია არ დარჩებაო.
ერეკლეს ბატონის შვილსა
ომი ცხენდაცხენ ხდებაო,
აკაფა ლეკის ბელადი,
გლეხი არ ეკადრებაო.

ხევსურული. ჩაწერილი 1876 წ. ხახმატელი ბერდია გამღივარაულის მიერ. უმიკ., გვ. 98—99. შუა 22 სტრიქონი გამოვტოვეთ. იგი თითქმის იმეორებს ბ და დ ვარიანტებს.

დ

ვერ გაიგეთა ჰევსურნო,
ჰევის მთა გადმოსულაო,
ერეკლე ბატონიშვილი
ტახტზეით ჩამოსულაო.

ორქაფა შაუკაზმებავ,
საომრად გამზადულაო,
ჩამამივიდენ ჭევსურნი,
თავი დამჭირდა ყმისაო,
წილი იყარონ ახლებმა,
ბერებ კი ვერა დისაო.
ჭევსურებ მააკსენებენ:
არ წასვლ არ იქნებისაო,
ჩამაამტვრიეს არაგვი,
ქავ რას დაუდგებისაო.
მუხრანს მიუვლენ ბატონსა,
სუ წრომით არ იქნებაო.
გადაიარეს სურამი,
აწყვერსა მიუდგებაო,
აწყურელ სიმაგრეშია
ლეკები ჩაუდგებაო.
დაბრუნდა იარალაი,
ამას რა შაუხვდებაო!
წუხდების ბატონიშვილი,
ჯარ რაით გამიწყდებაო.
ჭევსურებ მააკსენებენ:
დღეს ჩვენი გადაგვკდებაო.
დაისაბღუჯეს ფარები,
თავზე ჩაჩქნები ჰკდებაო;
არიქათ ჭევსურ ვაჟებო,
ჭმალი სისხლშია წვლდებაო,
წყალში ჩაყარეს ლაშქარი,
ხიდი არ დაჰნებდებაო.
იმედაის შვილ სუმბატა
თავ-კაცთ წინ გაუძღვებაო.
ვაჟასა ჭევსურის შვილსა
თავ რად არ დაჰნანდებაო?
დედის ძმათ გაუჯავრებავ,
ძმა აღარ ეკითხებაო,
აბაი ბიტურაისი
დედასაც დაურჩებაო:
მაიღო ლეკის მაჟარი,
ცარიელ არ დარჩებაო,

მაუკლავ კოხტა ბელადი,
გლეხი არ ეკადრებაო,
შვილი ტყვედ წამაუყვანავ,
მოახლედ დამჭირდებაო.

მთქმელი ბერდია არაბული. ჩაწერილი ხევსურეთში, სოფ. დათვისში. კოტ., გვ. 271 — 272. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 49. გვ. 60 — 62.

ე

ამბავ მოვიდა ბარადა,
დაიძრა თათრის ჯარიო,
კაცი მალალა ბატონმა,
თავი დამჭირდა ყმისაო,
ქევსურეთ ჩამომივიდნენ,
თორ ქალაქ წამერთმისაო.
სანეს შეყრილან ქევსურნი,
ნარჩევნი თემ-თემისაო,
დასვეს ბეღლის კარს ქადაგი,
ლაღის გუდანის ჯვრისაო,
ადგნენ, წავიდნენ ქევსურნი,
ერთმანეთს არ უცდისაო,
არაგვზე ჩამააწყვიან
ჯარ თეთრის ხირიმისაო.
ჩავიდეს ქუდსახდელასა,
ელვა დგას ჩაჩქნებისაო,
ჭეხით მოართვეს სალამი
ერეკლეს, მეფის შვილსაო,
ერეკლემ ჰკითხა მშვიდობა,
მზე ეფინების პირსაო.
გახკვირდა კაცთ თავადები,
ერთ ქევსურ კარგად ცდისაო,
ეგ ნათელიძე იქნების,
ერეკლე იცინისაო.

ხევსურული. მაკ. ხევს., გვ. 43 — 44. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 20, გვ. 26 — 27.

35. ხევსურები საურუმოში

მთქმელი მინდია ქისტაური. ჩაწერილი ხევსურეთში, თვალიევში, 11. VIII—1911 წ., აკ. შანიძის მიერ. შან. № 169, გვ. 68—69. მართებულად აღნიშნა აკ. შანიძემ, რომ ლექსი ასპინძის ომზეა ნათქვამი. შან. გვ. 361 და 433.

36. ცამა დაიწეო ღრუბლობა

ჩაწერილი ახალციხეში, სოფ. მუსხში მასწავლებელ ვ. კოპტანაშვილის მიერ. ივ. № 16, 1894 წ. ლექსი ამსახველია ასპინძის ომისა. ჩამწერს ეკუთვნის ტექსტოლოგიური შენიშვნები: სტრიქ. 11 — „დოგუში — ჩხუბი. ომი—თათრული სიტყვაა"; სტრიქ. 17— „ა რ ტ ა ნ უ ლ ა ს აქეთ მხარეს მტკვარს უწოდებენ, რადგან იგი არტაანის მხრიდან მოდის". სტრიქ. 11 სწორია განმარტება. თათრულად და თურქულად დრგუშ (dögüs) ან დრეუ (dövüs) მართლაც ნიშნავს ომს, ჩხუბს) (დამოწმებულია პროფ. ს. ჯიქიას და დოცენტ ნოდარ ჯანაშიასთან). ამის მიხედვით შევასწორეთ გ და დ ვარიანტები, დ ო გ უ მ ი ს ნაცვლად ვბეჭდავთ დრგუშის.

ბ

ცა და ქვეყანა დაღრუბლა
სულ დედამიწა ღვარაო,
ერეკლე აწყვერს მოსულა,
შვიდი დღე-ღამე მდგარაო,
ერეკლე აწყვერს ვერ დადგა,
ჯავახეთს გაეჩქარაო,
ასპინძის ბოლოს ავიდა,
დელიბაშს დაეხალაო,
იქაც გამართეს დოგუში,
დელიბაშს უყო ძალაო
ტოტლებენმა უღალატა,
ქურდულებ გაეპარაო.
ერეკლემ გადმოიხედა,
ცრემლები გადმოჰყარაო.
ვაცადე ჩემო ბერქვენო,
ვაცადე ჩემო ლალაო,

მრავალ დოგუშს გაგიმართავ,
თუ ღმერთმა დამაცალაო.
აშურმიანი ლეკები
უკუღმა წყალში ყარაო,
იმათი თოფ-იარაღი
ქალაქში გადიტანაო.

—

ეს ლექსი შიომ მასწავლა,
კიდეც ითხოვა ფარაო.

ჩაწერილი მესხეთში ნ. ასათიანის მიერ, კოტ., გვ. 130. გადაბეჭ-
დილია — ციშ. ერ. № 42, გვ. 51;

ბ

ცა და ქვეყანა დაიღრუბლა,
სულ დედამიწა ღვარაო,
ერეკლე აწყვერს მოსულა,
შვიდი დღე-ღამე მდგარაო.
ერეკლე აწყვერს ვერ დადგა,
ჯავახეთს მიეჩქარაო,
ასპინძის ბოლოს მოვიდა,
ჯერ იქ დაუხვდა მტერია,
იქა გამართეს დოგუში,
დელიბაშს უყო ძალაო,
ტოტლებენმა უღალატა,
ქურდულებ გაიპარაო.
ერეკლემ გადმოიხედა,
თვალიდან ცრემლი ჰყარაო.
მაცადე, ჩემო ჩერქეზო,
მაცადე, ჩემო ლალაო,
მრავალ დოგუშს გაგიმართავ,
თუ ღმერთმა დამაცალაო.
ხელი უკიდა ლეკებსა,
სულ უკან წყალში ყარაო,
იმათი თოფ-იარაღი
ალაზანს ჩაიტანაო.

გადმოწერილი ნ. ასათიანის რვეულიდან. ფ. არქ. № 5962. დანარ.
ჩენი ვარიანტები იხ.:

ჩაწერილი 1939 წ. სოფ. ბარალეთში გ. გოგოლაძის მიერ. ლექსს სათაურად აქვს „ასპინძის ომი“, ქვევიდან სტრიქ. 4—ა რ ტ ა ნ ულ ა შ ი განმარტებულია — მ ტ კ ვ ა რ შ ი. მთქმელი ბასილ გოგოლაძე. ფ. არქ. 23900;

ჩაწერილი ახალციხეში. ივ. № 45, 1898 წ. მთქმელი ტ. ზ-ძე. ჩამწერსა თუ რედაქტორს ეკუთვნის შენიშვნები: „ასპინძის ომის შესახებ გამოთქმული“ და სტრიქ. 8. დაკავშირებით „ჭაჭარაკი სოფელია მტკვრის გვერდით, ასპინძიდგან 25 ვერსის მანძილზედ“.

36. ერეკლე და ფაშა

ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ. თაყ. 1, გვ. 178, გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. №38, გვ. 43—44. ლექსში ასახულია ასპინძის ომი.

38 მეფე ერეკლე ხერთვისის ციხეში

ჩაწერილი მესხეთში ვინმე მესხის მიერ. თაყ. 1, გვ. 418—419. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 37, გვ. 42—43. ლექსში გადმოცემულია ასპინძის ომის ერთი ეპიზოდი — მტრის წინააღმდეგ ქართველების პირველივე შებრძოლებისა. პირველი ექვსი სტრიქონი, როგორც აღნიშნული გვაქვს №№ 2, 3, 4 დაკავშირებით, 1744 წ. ურუმების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველების გამარჯვების ამსახველია, ამ შემთხვევაში იგი კონტამინაციის წესით უკავშირდება ასპინძის ომზე შექმნილ ლექსს. მე-16 სტრიქონთან დაკავშირებით მთქმელი თუ ჩამწერი შენიშნავს: „ერთ კვირას ჰქერიათ ციხე ხერთვისისა და მერმე დაუცლიან და წასულან“.

39. ირაკლი მეფის ლექსი

მთქმელი ვასო მელიქიძე, 30 წლის. ჩაწერილი სოფ. ბალანთას ალ. ჩავლეიშვილის მიერ. ფ. არქ. № 5378. ლექსი ნათქვამია ასპინძის ომზე და ამ ომში ერეკლე მეორის მიერ კოხტა ბელადის მოკვლაზე.

40. ასპინძის ომი

მთქმელი ლაზარე გოგოლაძე. ჩაწერილი 1930 წ. სოფ. ბარალეთში გიორგი გოგოლაძის მიერ. ფ. არქ. № 11443.

ასპინძას ერეკლე ვნახე,
ხელში ეჭირა ხმალიო,
ჩეხვა დაუწყო ლეკ-ოსმალთ,
ადინა სისხლის ღვარიო.
კოხტა ბელადიც იქ მოჰკლა,
მასაც გაუპო თავიო,
რისთვის ეომე ერეკლეს,
ხომ არ გეგონა ქალიო?

შესხ. ჯავ., გვ. 118. გადაბეჭდილია — ცაიშ, ერ. № 15, გვ. 23.

41. ეეენი რომ წინ წამოდგა

მთქმელი ხელთუბნელი დედაკაცი. ჩაწერილი ქართლში 1870—1871 წწ. გ. თუმანიშვილის მიერ. უმიკ., გვ. 109—110. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 43, გვ. 52 — 53. ლექსში ასახულია კრწანისის ომი, კერძოდ ის ფაქტი, რომ 1795 წ. აღა მაჰმად-ხანი თავისი ჯარებით მიადგა შუშის ციხეს. აღა მაჰმად-ხანმა შუშის ციხე ვერ აიღო, რადგანაც, როგორც ისტორიკოსი გვამცნევს: „დიდად გამაგრდა იბრეიმ ხანი შუშისა“ (ბაგრატ ბატონიშვილი, ახ. მოთხრ., 65). გარისხებული აღა მაჰმად-ხანი ამის შემდეგ თბილისისაკენ დაიძრა.

42. აღა მაღამეტ ხანი

ჩაწერილი კახეთში, სოფ. ვაჩნაძიანში, 1870 წ. ალ. ჯანდიერის მიერ. უმიკ., 107 — 108. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 45, გვ. 55. ეს ლექსიც კრწანისის ომზეა ნათქვამი. მასში ასახულია აღა მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრება. მიუხედავად იმისა, რომ ქართველები თავგანწირვით იბრძოდნენ, შემოსეულმა მტრებმა ააოხრეს თბილისი. ისტორიკოსის ცნობით, მტრებმა „აღიღეს ქალაქი ტფილისი, მოაოხრნეს წმინდანი ეკლესიანი, იავარ ჰყუეს ხალხნი, აოტნეს, მოსწყვიტნეს და ტყვე ჰყვნეს. მოწვეს ტფილისი და ეგრეთვე საუნჯეცა მეფისა ხელთ იგდეს“ (ბაგრატ ბატონიშვილი, ახ. მოთხრ., 65).

43. ხოჯა-ხანი წამოვიდა

ჩაწერილი კახეთში, სოფ. ჩაილურში, 1871 წ. ლ. ჩერქეზიშვილის მიერ. უმიკ., 108—109. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 46. გვ. 56 — 58.

ხოჯახანი არის აღა-მაჰმად-ხანი. ეს ლექსიც ასახავს 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანისაგან ტფილისის აოხრებას. სტრიქ. 47 შევიტანეთ შესწორება — შ ი შ ი ს ნაცვლად ვბეჭდავთ შ უ შ ი ს.

საინტერესოა ამ ლექსის მიმართ ფ. გოგიჩაიშვილის შენიშვნა და იქვე მოყვანილი გიორგი ქებაძის ლექსი: „ამ ლექსის მეორე ნახევარი, თითქოს, ვარიანტია გიორგი ქებაძის ლექსისა (თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ არსებული ხალხური ლექსი ქებაძემ თავის ლექსში შეიტანა გადასხვაფერებულად). ქებაძის ლექსი, რომლის სათაურია „საქართველოს გადაცემა რუსებზედ“, ასე ჩაუწერია ქართლში მამაცაშვილის ასულს. დარიას 1872 წელს (იაკობ გოგებაშვილისთვის გამოუგზავნია პ. უმიკაშვილისათვის გადასაცემად):

ატირდა ცა და ქვეყანა,
მიტომ არ მოდის დარია,
წამოსულა ხოჯა ხანი
თერგიდგან მომავალია,
იმტონი ჯარი მოუდის,
არ გადუწვდება თვალია.
„შუში ხან, წიგნი დასწერე.
ერეკლეს გაუგზავნია“.
ერეკლემ შემოუტია:
„აკი წაგიწყნდა ხმალია,
ზედ კლდეზედ ციხე მიდგია,
ზედ აქვს მაგარი კარია,
შიგნით მიბრუნამს ქარხანა,
გარს შემამივლის წყალია,
მოხვალ, ისრევ გაგაბრუნებ,
როგორც ნადირმა მცხვარია“.
ადგა და ზეით წაბრძანდა,
იქ აღარ ჰქონდა ძალია.
სარდლებსა ეხვეწებოდა:

ნახოთ ერეკლე ხანია,
დილით ქალაქი ავიკლოთ,
სულ საქართველოს თვალია.
ივანე ბატონიშვილი
ჭკუიანი და ჩქარია,
თავსა დაიდგა ჩაჩქანი,
წელთ შემოირტყა ხმალია:
„შენ, პაპაჩემო ერეკლე,
ვერ მოვიფიქრეთ მალეა,
არა გვყავს თუში, ხევსური,
არცა კახელი ჯარია,
რატო წინდღით არ ვიფიქრეთ,
რომ შეგვეყარა ჯარია.
ჩვენი ქალაქის წახდენა
უსამართლობის ბრალია“.
დეერივნენ თავადები,
ერთად გააბეს მხარია,
ხუთ-ხუთ მანათს ქრთამს იღებენ,
— აღარ გამოდის ჯარია.
საყდრიდან გამაასვენეს
ის დიდი წელის ჯვარია,
ივანეს ეხვეწებიან:
„არ არის ჩვენი ბრალია,
ურჯულოს ხელში ნუ ჩაგვყრი,
ისევ შენ მოგვიხმარია“.
ერეკლე წინ გამოუძღვა,
როგორც ირემი ხარია,
ასე მოჰქონდა ლაპლაპი,
ვით საომარი ხმალია.
მაშინა ბრძანა ერეკლემ:
ვაი რა სიბერე ძნელია,
დუშეთს მაინც წამიყვანეთ,
მამგვარეთ ჩემი ცხენია.
ჯილავდრად გამოუმძღვარეს
ფარსადან მაჩაბელია,
ხიდის ყურზედ გადავარდა,
თავი ვერ დაუჭერია,
დუშეთის ტახტზე აბძანდა,

წიგნი იქ დაუწერია,
რუსთ ხელმწიფეს გაუგზავნა:
„შენ მაინც მამეშველია“.
დაფიქრდა რუსთა ხელმწიფე,
მუხლზე დაიკრა ხელია
ვაიმე, თბილო ქალაქო,
საქმე მოგსვლია ძნელია,
ხაზინა ბევრი დაჰკარგე
და მანათებიც ჭრელია.
ღენარლები დამიძახეთ,
ჯარი შეჰყარონ ბევრია,
ზოგი დერბენტზედ გავგზავნოთ,
მაგრა გააწყონ გემია,
ზოგიც ბოლოზედ გავგზავნოთ,
დაემორჩილონ მტერია.
მაშინ ერთბაშად რუსები
ჩვენს მეფე ერეკლეს შველიან.
დაიჭირონ ხოჯა ხანი,
ძაღლივით მოსჭრან ყელია.
მეფე ერეკლემ ხელი ხელში ჩამოართვა
პრავაქავია ქენია.
ალექსანდრე გადავარდა,
ბატონიშვილი ჩვენია.
გიორგი მეფედ დაგვისვეს
გაბერილი და სქელია,
თითო თითო იჯრაზედ
ზაქი უნდოდა მთელია,
ქართლი რუსებს დაულოცა,
უომრათ მიუცემია.
გიორგი მეფეთ შეიქნა,
რუსების მასპინძელია,
ის დღე არი და ეს დღეა,
რუსს საქართველო სჭერია.
ახლა ვმადლობ ხელმწიფესა,
რაც საქმის მამქმედელია,
იმას ყურადღება ჰქონდეს,
ქებაძე ამის მთქმელია,
ახაროს ქვეყანათაზე
ამ წიგნის წამკითხველია“ (იქვე, გვ. 566-567).

44. თურქმანი თბილისში

ხევსურული. ჩაწერილი თედო რაზიკაშვილის მიერ. შან., № 57. გვ. 23. აკ. შანიძის შენიშვნით „აქ თითქო აღა-მაჰმად-ხანის მიერ ტფილისის აოხრებაზე (1795 წ.) უნდა იყოს საუბარი“ შან. 364. ჩვენ ეს უდაოდ მიგვაჩნია.

45. ასტახანი რომ დაიძრა

მთქმელი არტემა აივაზოვი. ჩაწერილი სევასტი გაჩეჩილაძის მიერ. ფ. არქ. № 14226. ეს პოეტურად სუსტი ლექსი აღა-მაჰმად-ხანის ჯარების თბილისზე შემოსევაზეა ნათქვამი. ჩამწერს პირველ სტრიქონში ა ს ტ ა ხ ა ნ ი განმარტებული აქვს ა ღ ა-მ ა ჰ მ ა დ-ხ ა-ნ ი — (ხ ო ჯ ა).

46. ეეენი რომ წამოვიდა

ჩაწერილი კახეთში თედო რაზიკაშვილის მიერ. ივ. № 242, 1890 წ., თაყ. 1, გვ. 373. ეს ლექსიც კრწანისის ომზე უნდა იყოს ნათქვამი.

47. ეეენი რომ წამოვიდა

მთქმელი სიმონა ბუჩუკური, 86 წლის, წ. კ. უცოდინარი. ჩაწერილი 1934 წ. ელ. ვირსალაძის მიერ. ვირსალ. № 124, გვ. 155.

48. წამოვიდა, ციცრიონი

მთქმელი სიმონა ბუჩუკური. ჩაწერილი 1934 წ. ელ. ვირსალაძის მიერ. ვირსალ. № 131, გვ. 157.

ეს ტექსტი აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრებაზე შექმნილი ლექსის ვარიანტია. მართებულია ელ. ვირსალაძის მოსაზრება: „... ლექსი დამახინჯებულია. ლექსში ლაპარაკი უნდა იყვეს აღა-მაჰმად-ხანზე და არა „ციციონის“ — გენ. ციციანოვის შესახებ“ (ვირსალ. გვ. 85).

49. ქალაქჩი ფშაველის შვილები

ჩაწერილი 1870 წ. ილია ჭავჭავაძის მიერ. უმიკ., 101. სტრიქ. 9. ქვევიდან ჩ ა რ მ ა განმარტებულია. დ ი დ ი თ ო ფ ი.

50. რაჯაბ ბელადი

ჩაწერილი მესხეთში ვინმე მესხის მიერ. თაყ. 1, გვ. 414 — 415. გადაბეჭდილია ცაიშ. ერ. № 29, გვ. 35 — 36. ტექსტს თან ახლავს შენიშვნა „ისე ჰგავს, შეუბრალებია ერეკლე მეფეს და გაუთავისუფლებია, რომ მერმე ახალციხეს და იმერეთში უვლია ხშირად“ (იქვე). ლექსი საგულისხმოა ერეკლე მეორისა და სოლომონ პირველის ურთიერთობის თვალსაზრისით, იმ თვალსაზრისით, რომ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მღელვარე ეპოქაში აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო შეერთებულად იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ (იხ. საქ. ისტ., გვ. 391).

51. მეფე ერეკლე და ეეინი

მთქმელი 76 წლის პავლე უნდილაშვილი. ჩაწერილი საგურამოში 1936 წ. ქს. სიხარულიძის მიერ. ფ. არქ. № 9085. ტექსტის დამთავრებისას მთქმელმა შენიშნა: „ეგრე თუ აღთქმული საქონელი, ტყვეები დაჭერილი უკან დაუბრუნა“.

52. დათუნა ბატონიშვილი

ჩაწერილი პ. უმიკაშვილის მიერ. უმიკ., გვ. 110 — 111.

ბ

დაიძრა დიდი სულთანი,
სულ დაძრა მთა და ბარია,
ჩამოხდა რეშის წყაროზედ,
ადგილი ხპოვნა ბარია.
წყალნი არ იყვეს სასმელათ,
ბალახნი საძოვნალათა,
თევზნი გაწყვიტნა წყურვილით,
წამამყვა მათი ბრალია.
სულთანმა წიგნი დასწერა
შვიდმკეცი, შვიდი მხარია,
არჩია, გამაარჩია,

ჩიკრიკი გამაარჩია, —
„შენ ჩემო ძმაო ჩიკრიკო,
ერთგული ყმა ხარ ჩემია“.
წამააყენეს ჩიკრიკი,
წელს შამაარტყეს ხმალია,
„ეს ქუჩუთა მეფეს მიართვი,
ეს საძი სიტყვა ჩემია:
ან ჩვენ დაგვიგდე სანეფო,
გადაიარე მთანია,
ან მოგვიკრიფე ხარაჯნი,
ცხენ-ცხორი, ძროხა-ჯორია,
ან მოგვეც ქალი რუსუდან,
ტანჩი ალვისა ფერია“.
ეგ რო რუსუდანს მოხსენდა,
გაწყრა იმ დედუფალია,
უკუიხვივნა ძუძუნი,
მაგრა შაიკრა თმანია,
უკიბო ჩაჯდა ჩარდახსა,
შაძრა ჩარდახის კარია:
„ცხო ვიღა გათათრებულა
ბაგრატიონთა ქალია!“
ჩალეწა საყურ-ბეჭედი,
მით ჩაინათლა გზანია.

მთქმელი იოსებ ხუციშვილი. ჩაწერილი 1875 წ. ხევში პ. უმიკაშვილის მიერ. უმიკ., 111. ამ ვარიანტთან, როგორც ფ. გოგიჩაიშვილი შენიშნავს, ახლოს არის სტეფანწმინდას 1881 წ. გიგოლა არჯინაშვილის თქმით ჩაწერილი ტექსტი, სადაც ქუჩუთა მეფის ნაცვლად გურჯთა მეფე იხსენიება.

გიგოლა არჯინაშვილის ვარიანტი ასე მთავრდება:

უკიბოდ შაჯდა ჯომაკსა,
გავლა ქალაქის კარია:
„რომელი გათათრებულა
ბაგრატიონთა გვარია!
ან თქვენ იყავით მამანი,
ან ჩვენ შაგვაბით ხმალია“.

ეგ რომ ერეკლემ გაიგო,
დაბლა დაიდგა შკამია.
კიდეც გაიგო ერეკლემ,
წარბებში შაიხარაო:
„უყურეთ წითელ მელასა.
ტყავი შინ მამიტანაო“. უმიკ., გვ. 567;

ბ

დაიძრა დიდი სულთანი
სულ შაძრა მთა და ბარია,
წამოხტა რაშის წყაროსა,
ადგილი ნახა ბარია.
წყალნი დასწყვიტა სასმელად,
ბალახნი საძოვარია,
თევზნი გასწყვიტა წყურვილით,
ცხენ-ცხვარი, ძროხა, ხარია.
ეს რომ გაიგო რუსუდანმ,
გასწყრა ის დედოფალია,
დაჯდა, დასწერა ქაღალდი
შვიდკეცი, შვიდი მხარია.
ეს შუქთა ნეფეს მიართვით
სამი სიტყონი ჩვენია.
ან თქვენ იყვენით მამანო,
ან ჩვენ შაგვაბით — ხმალია.
დავეცნეთ სულთანის ჯარსა,
მთლად ამოვჟლიტოთ შხამია.

ჩაწერილი 1954 წელს სოფ. გერგეტში (ყაზბეგის რ.) ეთერ ავსაჯანიშვილის მიერ, მთქმელი გიორგი თამაზხანოვი, 88 წლის. ლექსი, როგორც საფერხულო სიმღერა, ბოლო დრომდეა გავრცელებული ხევში. დანარჩენი ვარიანტები იხ.: ჩაწერილი 1871 წ. კახეთში, სოფ. თოხლიაურში, ლ. ჩერქეზიშვილის მიერ. უმიკ., გვ. 567; ჩაწერილი სოფ. აკუშოში ივ. ხორნაულის მიერ. მთქმელი 100 წლის წიქა თოთიას ძე ლიქოკელი. ფშ. ხევს., გვ. 87 — 88; ჩაწერილი ხევსურეთში თ. რაზიკაშვილის მიერ. შან. № 64, გვ. 26.

არსებობს აგრეთვე პ. უმიკაშვილის მიერ 1873 წ. ხევში, სოფ. გაიბარატის მცხოვრების მოსე ხულელის თქმით ჩაწერილი ვარიანტი, რომელშიც, როგორც შენიშნავს ფ. გოგიჩაიშვილი, ვკითხულობთ: „ეს ქუშთა მეფეს მიართვი, ეს სამი სიტყვა ჩემიო“ და რაჭაში, სოფ. საკაოში, 1875 წ. ბ. ჯაფარიძის მიერ გოგია ინატაშვილის თქმით ჩაწერილი ორი ვარიანტი ლექსისა. ამ ვარიანტში, როგორც ეს აღნიშნული აქვს ფ. გოგიჩაიშვილს“, ლექსი ხვარამ მეფის ლაშქრის შემოსევით იწყება და თავდება ასე:

ქალაქში ჩამოუვლია
უფლისა შვილსა რეჯიბსა.
ახლა ნეტამაც, რეჯიბო,
შენი სტუმრობა გვეღირსა,
შევყრით ყვავსა და ყორანსა,
შენზედ გადვიხდით ხადილსა“
უმიკ. 567 — 568.

53. რუსუდან ქალი მობრძანდა

ჩამწერი დათიკო მარეხაშვილი. ხელნაწ. ინსტ. A—№ 1268.

54. ქალი მოვიდა ურუმთით

ჩაწერილი ხევში პ. უმიკაშვილის მიერ. უმიკ., გვ. 102. პ. უმიკაშვილის არქივში არის მეორე ჩანაწერიც, უპასპორტო (იქვე, გვ. 564).

ბ

თერანით ქალებ მოვიდა,
თვალებ უგვანდა ქორსაო;
ქალაქზედ შამაიარეს,
ჰფიცვენ ერეკლეს მზესაო.
ერეკლეს დაუბარებავ,
დებო, ნუ ირთავთ ქმრებსაო,
ჩამოვალ გაზაფხულზედა,
ძაღლებს ავადენ მტვერსაო,
ქალო, საქმარეს მოგიკლავ,
ზედ გადავაფრენ ცხენსაო.

ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ თაყ. 1, 180. სტრიქ. 3 ქვ. ძაღლებს ფრჩხილებში მიწერილი აქვს მტრებს.

ბ

კირმიზით ქალი მოსულა,
თვალები უგამ მწყერსაო,
ჰკითხულობს ქართლის მშვიდობას,
ჰფიცავს ერეკლეს მზესაო.
ერეკლემ შემოუთვალა:
დავ, ნუ შაირთავ ქმარსაო,
თორომ მოვალ და მოგიკლავ,
ხელს გადავიფრენ ცხენსაო,
მუხრანს დავსწოვ და დავდაგავ,
ქალაქს ავადენ მტვერსაო.

ჩაწერილი 1871 წ., ხევში პეტრე უმიკაშვილის მიერ. უმიკ. 102.

დ

ქართლიდამ ქალი მოტირის,
თოლები უგამს მწყერსაო,
კახეთის გზასა კითხულობს,
ჰფიცავს ერეკლეს მზესაო.

მთქმელი გიგოლა არჯინაშვილი. ჩაწერილი 1881 წ. ხევში პეტრე უმიკაშვილის მიერ. უმიკ., გვ. 564.

55. მოტირის მარიამ დედა

ფშაური. ჩაწერილი თედო რაზიკაშვილის მიერ. ფ. არქ. № 2793. ხალხ. სიტყვ. III, № 16, გვ. 13. სტრიქ. 4 ზევ. მ თ ე ლ ი ა განმარტებულია, როგორც ხევსურული — უ ჭ ი რ ვ ე ლ ი, ც ო ც ხ ა ლ ი.

56. გამობრძანდა კახი მეფე

ჩაწერილი პეტრე უმიკაშვილის მიერ. უმიკ., გვ. 106.

გამობძანდა კახთა მეფე,
თან გამოჰყვა დიდი ჯარი,
სულ ოსი და სულ ჩერგესი,
დარაზმული რაზმის ჯარი.
ჯერ კი იხმარეს თოფები,
მერე ამოიღეს ხმალი.

მთქმელი 100 წლის საბა კაციას ძე მერკვილაძე. ჩაწერილი 8.VIII—1945 წ. რაჭაში, სოფ. წესში, ეთერ არჯევანიძის მიერ.

57. მეფე ერეკლე

მთქმელი მარიამ გურასპაული. ჩაწერილი თედო რაზიკაშვილის მიერ. ფ. არქ., № 2796.

58. წინის ქმის გმირი

ხევსურული. ჩაწერილი ივ. ბუქურაულის მიერ მმბ № 10, 1896 წ. შან. № 55, გვ. 22.

59. ბატონი მეფე გვიცოცხლოს

ბვ. № 40, 1877 წ. ცაიშ. ერ. № 14, გვ. 22.

60. აგერ კარაგში ერეკლეს

მთქმელი სტ. ზურაბიშვილი. ჩაწერილი სოფ. ხიზაბავრას. შესხ. ჯაბ., გვ. 129. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 13, გვ. 22.

ლექსი ნიმუშია ინდივიდუალური შემოქმედების კოლექტიურად გაბდომისა. პოეტის სტრიქონების ხალხში გავრცელების ნიმუშია აგრეთვე 1960 წ. ხევში, სოფ. ტყარშეტში, ივანე მაისურაძის თქმით ეთერ ავსაჯანიშვილის მიერ ჩაწერილი ტექსტი:

ასპინძას ბრძოლით დაღლილსა
მეფე ერეკლეს ჩასძინებოდა,

თავით დაეგო უწაგირი და
იმისი ცხენი მშვიდადა სძოვდა.

61. ზაალ თუმანიშვილი

ჩაწერილი 1883 — 1887 წ. კახეთში, სოფ. პატარძეულში ზ. ბილანიშვილის მიერ. თაყ. 1, გვ. 111 — 112. ჩამწერი შენიშნავს: „თუმანიშვილის ლექსი სრულად არაა ჩაწერილი. ბევრს ვეცადე, მაგრამ არც სოფ. პატარძეულში, არც სხვაგან სადმე არავინ შემხვდა მისი სრულად მცოდნე“ (იქვე). ტექსტს ახლავს სხვა შენიშვნებიც. სტრიქ. 7 ზევ. — ბ ა ტ ო ნ ს — მეფე ერეკლესაო, ამიხსნა მთქმელმა; სტრიქ.. 4 ქვევ. „ამ სიტყვებს თითონ ბატონი მეფე ბძანებს. ბოლო სტრიქონი — „ზოგი იტყვის: იმავ ფარეხის კარზედა“. ლექსი საგულისხმოა ხალხის მიერ ერეკლეს პიროვნების დახასიათების თვალსაზრისით. იგი გამოყვანილია, როგორც მშრომელთა ქომაგი.

62. ერეკლესთანა ბატონსა

ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ. თაყ. 1, გვ. 180. ტექსტი ფრაგმენტია ლექსისა, რომლის ავტორმთქმელიც ი. ბატონიშვილის ცნობით, არის მესტვირე კიჟიაშვილი. მესტვირე კაჟიაშვილის ლექსი ასე მთავრდება:

ერეკლესთანა ბატონსა
ძვირად გაზრდის დედა შვილსა,
პირველ არის ღვთის მლოცველი,
მერე მშველელია ტყვისა (ი. ბატონიშვილი.
კალმასობა, 1, გვ. 295).

ბ

ერეკლესთანა ბატონსა
გვიან გაზდის დედა შვილსა,
ჯერ დაჰმართავს წისქვილებსა,
მერე ადვილად დაჰშლისა.

ჭაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ. თაყ. 1, გვ. 180, მთქმელი ი. ლაზარიშვილი, ჩაწერილი სოფ. ხიზაბავრას. უმიკ., გვ. 106. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 6, გვ. 20.

63. ხმალი

ხევსურული. ჩაწერილი თედო რაზიკაშვილის მიერ. შან. № 305, გვ. 127. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 8, გვ. 20—21.

ბ

ხმალო, ფრაგნისა ნაჭედო,
ვაჟმა გაგლესა, დაგფერა,
ერეკლემ ჩვენმა ბატონმა
საომრად ჯვარი დაგწერა!

ჩაწერილი ქართლში თ. რაზიკაშვილის მიერ. თაყ., I, გვ. 352.

ბ

ჰმალმა თქვა ფხა-სისხლიანმა:
„ფრანგეთში ფრანგმა დამფერა.
ამამამღერა პატრონმა,
ჩამაგო, ჯვარი დამწერა“.

ჩაწერილი ფშავში თედო რაზიკაშვილის მიერ. შან., გვ. 505.

დ

ჰმალმა თქვა განჯას ნაჭედმა:
„ფრანგში ოსტატმა დამჭედა.
რამთენმაც ქელში ამიღო,
სულ ყველამ ჯვარი დამწერა.
კაი ყმის დაჭრა, დაკუწვა,
სხვა ღმერთმა არა დამწერა.
დედის-ერთაის სიკვდილი
ნეტავ ღმერთმ არა დამწერა!

ჩაწერილი თუშეთში ივ. ბუქურაულის მიერ. შან., გვ. 505. აკ. შანიძე სამართლიანად შენიშნავს: „ამას მოსდევს სხვა მუხლები, რომლებიც ამისი ნაწილი არ უნდა იყოს“ (იქვე):

0

ჯმალო განჯაში ნაჭედო,
ქალაქს ფრანგისა ნაფერო,
კაი ყმის დაჭრა-სიკვდილი,
სხვა თუ ღმერთმ არა დაგწერა?
დედის-ერთაის დაჭრა და
სიკვდილი რადღა დაგწერა?

ჩაწერილი თუშეთში ივ, ბუქურაულის მიერ. შან., გვ. 506. აკ. შანიძეს აღნიშნული აქვს: „ეს იქ ნაწილად შედის სხვა ლექსში, მაგრამ რითმის მიხედვით მასთან კავშირი არა აქვს“ (იქვე).

3

ხმალმა სთქვა ფრანგეთს ნაჭედმა:
ფრანგეთში ფრანგმა გამჭედა.
ჩემმა მომქმედმა მჭედელმა
ზედ სამი სიტყვა დამწერა:
ნეტამც ისეთს ყმას შემყარა,
რომ ომში სისხლში გამფერა!
ამაის — ამომამღერა,
ჩამაგის — ჯვარი დამწერა!

ჩაწერილი ია კარვარეთელის მიერ. შან., გვ. 506.

64. ერეკლე და მისი ხმალი

ივ. № 185, 1887 წ.

ბ

ნეფე ერეკლემ დასჭყივლა
მა თავის გორდა ხმალსაო:
„შენ რაღას იტყვი ფრანგულო,
რატო არა მცემ ხმასაო?
— უშიშრად შამამიტიე,
მკლავში მამეცი ძალაო,

გაკვეთა ჩემზედ მოაგდე,
სად გაუგორებ თავსაო.

ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ. თაყ. 1, გვ. 180.

ბ

ერეკლემ შემოუტია
ამ თავის გორდა ხმალსაო:
„რას შვრები, ჩემო ფრანგულო,
რატომ არ გამცემ ხმასაო?“
„— გულუშიშრადა შემამკარ,
ძალი ატანე მკლავსაო
და მაშინ სეირს მიყურე,
სად გავაგორებ თავსაო.

ჩაწერილი მესხეთში, სოფ. ხიზაბავარში, ი. ლაზარიშვილის მიერ. უმიკ., გვ. 106. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 7, გვ. 20.

დ

მეფე ერეკლემ დასჭყივლა
იმ თავის გორდა ხმალსოა,
შე რაღას მეტყვი ფრუნგულო,
რატომ არ მეტყვი ხმასაო.
უშიშრად შემომიტიე,
მკლავში მიმატე ძალსაო,
გაკვეთა ჩემზე მოაგდე,
სად გაუგორებ თავსაო.

მთქმელი ტატა ამირბარაშვილი. ჩაწერილი ქართლში, სოფ. გარიყულაში, ანეტა კაპანაძის მიერ. კოტ., გვ. 130. ამ ვარიანტს ემთხვევა გიგა ლაკარაშვილის თქმით 1892 წ. ნიკო ასათიანის მიერ ქართლში, სოფ. ხიდისთავში, ჩაწერილი ვარიანტი. ფ. არქ. № 3527. ამ ვარიანტს ემთხვევა აგრეთვე ნიკო ასათიანის მიერვე 1929 წ ახალციხეში ჩაწერილი ტექსტი. ფ. არქ. № 5612.

მეფე ერეკლემ დასჭყივლა
იმ თავი გორდა ხმალსაო,
შენ რაღას მეტყვი ფრანგულო,
რატომ არ იღებ ხმასაო.
უშიშრად შემომიტიე,
მკლავში მიმატე ძალსაო,
გაკვეთა ჩემზე მოაგდე,
საფ გვუგორამ თავსაო.

მთქმელი და ჩამწერი ნიკო ფალავანი. ჩაწერილი ახალციხის რ., სოფ. ტოლოშში 1930 წ. ფ. არქ. № 6045. ფალავანი 1952 წ. დიდომში ჩაწერილი ტექსტი ჯუანშერ სოფნდულაშვილის მიერ, სანდრო მამუჩაიშვილის თქმით. მასალ. 1, № 17, გვ. 10.

65. მეფე ერეკლეს უთქვამს

ჩაწერილი 1883-1887 წწ. კახეთში, სოფ. პატარძეულში ზ. ბილანიშვილის მიერ. თაყ. 1, გვ. 111, ცაიშ. ერ. № 4, გვ. 20.

66. ერეკლეს სტუმარი

მთქმელი ტატა ამირბარაშვილი. ჩაწერილი ქართლში, სოფ. გარიყულაში, ანეტა კაპანაძის მიერ. კოტ., გვ. 218. ამას ემთხვევა ტექსტი, რომლის მთქმელი და ჩამწერია ანუსია კარგარეთელი. ჩაწერილია თბილისში, 1939 წ. ფ. არქ. № 18654.

67. ერეკლე და გლეხის გოგო

მთქმელი ტატა ამირბარაშვილი. ჩაწერილი ქართლში, სოფ. გარიყულაში, ანეტა კაპანაძის მიერ. კოტ., გვ. 34. ამ ტექსტს ვახტანგ კოტეტიშვილი შენიშნავს: „თქმულება არის, რომ ახალგაზრდობაში ერეკლე ბატონიშვილმა ქართლის ერთ-ერთ სოფელში გაიარა თავის ამალით—თვალი მოჰკრა ერთ ცქრიალა, თვალ-ყუჟუნა გოგონას, ძალიან მოეწონა და ლექსდ შეეკითხა, რაზედაც გოგონამ ისეთი მედიდური და ლაღი პასუხი მისცაო“. კოტ., გვ. 324 — 325.

68. ჯირიმე მეფე ირაკლის

ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ. ძვ. საქ., II, გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 5, გვ. 20.

69. ერეკლე ატირდა ვაჟებო

ივ. № 263, 1901. ტექსტი ამოწერილია წერილიდან „თიანური ფელეტონი". ფელეტონს ხელს აწერს ჟულაკა გოგოჭური. ჟულაკა გოგოჭური ფსევდონიმია ვაჟა-ფშაველასი. ფელეტონის მიხედვით, ლექსი ვაჟას ჩაუწერია მასთან თიანეთში სტუმრად მისულ ხევსურ ჩალხიასაგან. ჩალხიას ტექსტი ფანდურზე დაუმღერებია. ფელეტონის მიხედვით, ჩალხია ხევსურებს რჩევისათვის ვაჟასთან გაუგზავნიათ. ხევსურები უკმაყოფილონი ყოფილან, რადგან მთავრობას მათთვის დაუკალებია საყდრების შეძენა და ტყის გაჩეხვა. ვაჟა წერს: „ბევრი ავიღეთ-დავიღეთ... ვიარეთ, ვიარეთ და ცხონებული ერეკლის დრომდე მივედით. როცა ერთი ორი-სამი არაყი გადავაკრეინე ჩალხიას, მაშინ სტუმარმა ფანდურიც მომკითხა, თხოვნა, რა თქმა უნდა, ავუსრულე. მოაწყო სიმები, ფანდურის მუცელზე ჩალხიას საცერულს „ნახერხალოს" გაუდიოდა ჩხაკაჩხუკი.

— უთხარი რამ, ჩალხიავ, შევთხოვე.

— არაგია ვეტყვიო და სთქვა და დაიწყო კიდევაც ფანდურზე, სრულიად გადაავიწყდა გულის დარდები, რაც აქამდე აწუხებდა და რაზედაც ასე გულმხურვალედ მელაპარაკებოდა..." ქვემოთ ვკითხულობთ:

„ამ სიტყვებს დაჰგმინავდა და დაჰკვნესდა ჩალხია ფანდურს, ჭერიცა სახლისა გმინავდა სარკმლიდამ მომჩინარი მაღალი მთა მდუმარებდა. კედელზე დაკიდებული აბჯარი და თვით ჩალხიას დაშნაც არას იტყოდენ. ცეცხლთან მიმჯდარიყო კატა და თვალებ მილულული თბებოდა". ივ. № 203, 1901 წ.

70. რკინის კარის შეხსნა

ჩაწერილი ფშავში დავით ხიზანაშვილის მიერ. ივ. № 239, 1888 წ. გადაბეჭდილია — შან., გვ. 368; კოტ., გვ. 216; ცაიშ. ერ. № 55, გვ. 69 — 70. ვახტანგ კოტეტიშვილს ლექსში ორი სტრიქო-

ნი /5 და 6/ შეტანილი აქვს ბ ვარიანტიდან, რომელიც ახლოს არის ძირითად ტექსტთან. იგი პირველად დაიბეჭდა, დრ. № 34, 1884 წ. და გადაბეჭდილია — შან., გვ. 367 — 368.

ბ

ვერ გაიგეთა, ქართველნო?
შეგვეკსნა რკინის კარია,
მზე გაგვიბრუნდა უკუღმა,
ჩავარდა შუა ზღვაშია.
მთვარე დაბნელდა, გაშავდა,
აღარ გვინათებს ცაშია.
ატირდენ წვრილნი ვარსკვლავნი,
ცამაც დაშალა ნამია.
აღარ გვყავ ნეფე ერეკლე,
არც იმის საომარია,
არ გვიფრიალობს დროშები,
არცა სჭეხს ზარბაზანია.
ერეკლის სიკვდილ ვინა თქვა?
გაუკმეს ენის ტარია!
არ მოკვდა, ღმერთთან წავიდა,
ძმა არი წილ-ნაყარია.
შვილებს დაუგდო ბეგთარი,
ფხა-სისხლიანი ჯმალია.
„მანამდე ვიყავ, ცხენს ვიჯექ,
მივძრენ და მოვძრენ ზღვანია,
დასავლით ვჭოცენ ოსმალნი,
აღმოსავლეთით სპარსნია.
ნაჭოცის ძტრების სისხლითა
წითლადა ვღებენ მთანია.
ახლა თქვენ გაიმაგროდით
ქალაქის მეიდანია“.
ატირდა ბატონის ცოლი
იმერელთ ნეფის ქალია:
„მცხეთას რო ვერცხლის კუბო დგა,
უნათობს კელაპტარია.
შიგა წევს ნეფე ერეკლე
ბაგრატიონის გვარია.

ნეფე გიორგის ცოცხალსა
ერეკლე სჯობის მკვდარსაᲐ“.

ᲬᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲤᲨᲐᲕᲨᲘ. ᲓᲠ. № 34, 1884 Წ. ᲒᲐᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ — ᲨᲐᲜ., ᲒᲕ. 367 — 368.

Გ

ვერ გაიგითა, ქართველნი,
შაგეხსნათ რკინის კარია,
დაჩუმდა ბაირახები,
აღარ ჭეხს ზარბაზანია,
აღარ გყავთ მეფე ერეკლე,
არც მაგის საომარია?
ღმერთს შასტირიან თავადნი,
რა შაგვიკერე ბრალია,
დედუფალ იმას სტიროდა,
იმერეთ ნეფის ქალია.
„შვილებს დაუგდი ბექთარი,
სისხლში ნამწვლარი ხმალია,
მანამდინ ვიყავ, ცხენს ვიჯეთ,
მივძრენ და მოვძრენ ზღვანია,
ეხლად იმას გცხვენოდესო,
ვის გერტყათ ჩემი ხმალია,
აწ შაინახოთ, შვილებო,
ქალაქის მეედანია“.
მცხეთას კუბო დგას ოქროსი,
ნათობდა კელაპტარია,
შიგ იწვა ნეფე ერეკლე,
ბაგრატიონთა გვარია.

ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ 1871 Წ. ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ. ᲣᲛᲘᲙ., 105. ᲢᲔᲥᲡᲢᲡ ᲐᲮᲚᲐᲕᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡᲐ. ᲡᲢᲠᲘᲥ. 3 ᲖᲔᲕ. ᲑᲐᲘᲠᲐᲚᲔᲑᲘ ᲡᲢᲠᲘᲥ. 11 ᲖᲔᲕ. — ᲑᲔᲥᲗᲐᲠᲘ — ᲯᲐᲭᲕᲘ.

Დ

ქართველებ, ვერ გაიგეთა?
რკინის შაგეკსნათ კარია.
აღარ გყავთ ნეფე ერეკლე,
არც მაგის საომარია,
დამდგარა ბაირაღები,
აღარ სჭეხს ზარბაზანია.

ღმერთსა შასტირეს თავადთა:
„ღმერთო, გვიკერენ ბრალნია!“
აქ ტყვრება დედამიწაი,
ზე ავი გვადგას დარია.
ცხეთას დგას ოქროს კუბოი,
შიგ ნათობს კელაპტარია,
შიგა წევს ნეფე ერეკლე,
ბაგრატივნისა გვარია.
ჩიოდა ერეკლეს ცოლი,
იმერელი ნეფის ქალია:
„ნეფის ერეკლეს სიკვდილი
ვინა თქვა? რა სათქმელია“
ზეცას წავიდა ღმერთთანა,
ქრისტესთან წილ-ნაყარია“.
შვილთ გაუწირა ბეგთარი,
ფხა-სისხლიანი ჯმალია,
მანამდის იყო, ცხენს იჯდა;
მიძრა და მოძრა ზღვანია,
ეხლა შვილთ შაინახიდით
ქალაქის მეიდანია.

ხევსურული. ჩაწერილი თედო რაზიკაშვილის მიერ. შან., გვ. 364—365. 19—20 სტრიქონებთან დაკავშირებით თედო რაზიკაშვილს მოყვანილი აქვს ლეგენდა თამარ მეფესა და ერეკლე მეორეზე: „ხალხსა სწამს, ნეფე ერეკლე და თამარ-ნეფე ცოცხლები არიან, ღმერთთან და როცა გაუჭირდება საქართველოს, მიეშველებიანო. — მირონი ნეფე ერეკლეს ძვლებს ჩამოჰდისო. — ერეკლემ ხმალი წინ დაიდვის და ისევ თავის-თავად შემოერტყისო. — ერეკლე როცა ლოცვაზე დადგებოდა, ხმალს მზის შუქზე დაჰკიდებოდა ხოლმეო და ლოცვას როცა გაათავებდა, ი სხვიდგან ისევ აიღებდა ხმალსაო“. შან., 365.

ე

ვერ გაიგითა, ქართველნო,
შაგეხსნათ რკინის კარია!
მეფე ალარ გყავ ერეკლე,
ბაგრატიონთა გვარია!

ალარ გყავთ ბაირახები,
ალარ სჭეხს ზარბაზანია,
დაშავებულან კარავნი,
შემეეხვივნეს ყმანია!
ღმერთს შესტირიან თავადნი,
რად შეგვიკერნენ ბრალნია,
„შავი დავიცვით ტანზედა,
ვავსწირეთ საწირავია“,
დედოფალი ატირდება,
იმერელთ მეფის ქალია:
„მეფის ერეკლის სიკვდილი
ვინა თქვა, რა სათქმელია?..“
მეფე ერეკლე ზეცას არს,
ღმერთთან არს წილნაყარია.
მცხეთაში ოქროს კუბო დგას,
შიგ ნათობს კელაპტარია:
შიგა წევს მეფე ერეკლე,
ბაგრატიონთა გვარია.
„შვილებს დაუგდი ბეგთარი,
სისხლში ნაწდობი ხმალია:
მანამდინ ვიყავ, ცხენს ვიჯექ,
მივსძრენ და მოვსძრენ ზღვანია
„ეხლა კი თქვენ გაგიწირეთ
ფხასისხლიანი ხმალია.
შეინახიდით, შვილებო,
ქალაქის მეიდანია;
ერთმანეთს ნუ უღალატებთ,
მტერმა არ გთხაროსთ თვალია!“

ჩაწერილი პეტრე უმიკაშვილის მიერ. კრებ. № 8 — 9, 1872, ივ. № 39 1898 წ. ტექსტს დართული აქვს შენიშვნა: „ეს ლექსი შედგენილია პ. უმიკაშვილის შეკრებილ სხვადასხვა ვარიანტებისაგან“. სტრიქ. 10 — არის განმარტება — ბ რ ა ლ ნ ი ა-შ ა ვ ე ბ ნ ი; უმიკ., გვ. 564; შან., გვ. 366. აკ. შანიძეს აღნიშნული აქვს მცირე განსხვავებანი სხვადასხვა დროს დაბეჭდილ ტექსტთა შორის — შან., გვ. 366. დანარჩენი ვარიანტები იხ.:

ჩაწერილი პ. უმიკაშვილის მიერ. უმიკ., გვ. 104 — 105, გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. 53, გვ. 66—67. ფ. გოგიჩაიშვილი შენიშვნებში აღნიშნავს: „აქ არის ვარიანტი, თითქმის ასეთივე, უთარიღო და კიდევ მეორე, რომელიც ასე თავდება:

ერთმანეთს ნუ უღალატებთ,
მტერმა არ შეგრთოთ თვალიო
გიჟირავთ საქართველოი,
თქვენ კი იყვენით ძმანიო".

სტრიქ. 8 ზევ. ახლავს განმარტება — ბ რ ა ლ ნ ი ო-შ ა ვ ე ბ ი
სტრიქ. 11 ქვევ. მ ტ ე რ მ შ ა მ ო გ ა რ თ ო ს თ ვ ა ლ ი ო. აქვს
შენიშვნა — „ერთ ვარიანტშია: მტერმა არ გთხაროთ თვალიო.
მტერმა არ შეგრთოთ თვალიო". ხევსურული. ჩაწერილი ვასილ ტუ-
ქსიშვილის მიერ. შან., გვ. 365—366. სტრიქ. 11 ს ა ყ დ ა რ ი გან-
მარტებულია — ს უ დ ა რ ი. განმარტება ჩამწერს ეკუთვნის. შან.,
გვ. 366; ჩაწერილი ბაბო ლიქოკელის მიერ. შან., გვ. 365; ხევსუ-
რული. ჩაწერილი ივ. ბუქურაულის მიერ. მმბ. № 11, 1896 წ. შან.,
გვ. 360;

მთქმელი ჯირჩლა ნისლაურისძე წიკლაური, 93 წლის. ჩაწე-
რილი 5. VIII — 1944 წ. ხევსურეთში. სოფ. ამღაში, ქს. სიხარუ-
ლიძის მიერ. მთქმელის შენიშვნით „ეგ იყო მოკლე სიმღერე",
მთქმელი სია გიგაური, სიმ. შადურის მიერ ჩაწერილი ხევში,
1890 წ. უმიკ., გვ. 105; გოგებ., დედ., გვ. 248. გადაბეჭდილია —
ცაიშ. ერ. № 58, გვ. 72

ივ. № 157, 1902 წ. სტრიქ. 1 ზევ: კ უ ბ ო ი განმარტებულია
აკვანი; შან., გვ. 368 — 369;
ჩაწერილ ითუშეთშ ივანე ბუქურაულის მიერ, თაყ. 1, გვ. 60, შან.,
გვ. 367; ჩაწერილი ფშავში ვასილ ტუქსიშვილის მიერ. მთქმელი
ნიკო მჭედლური. შან., გვ. 367; ჩაწერილი ფშავში, შუაფხოში, 11.
VII — 1911 წ. აკ. შანიძის მიერ. მთქმელი კამისია ბადრიშვილი.
შან., გვ. 367; ხევსურული. ჩაწერილი თედო რაზიკაშვილის მიერ.
ფ. არქ № 2792. ბოლო ორი სტრიქონის გამოკლებით ტექსტი
დაბეჭდილია. ხალხ. სიტყ., III, № 26, გვ. 15. ტექსტს ახლავს შე-
ნიშვნები: სტრიქ. 14. ზევ. ნ ი ს ლ ი ს ფ ე რ ი ა — ც ხ ე ნ ი ლ ა-
შ ა რ ი ს ჯ ვ რ ი ს ა; სტრიქ. 15 ზევ. ა ნ ს ა ყ მ ო თ შ ა მ ა მ ე შ-
ვ ე ლ ე — ან შენი საყმოთი მ ო მ ე შ ვ ე ლ ე თ. სტრიქ. 19 ზევ.
კოკობნი-ჭიჭლა; სტრიქ. 20 — უ რ ჭ ვ ა ვ ი ს უ რ ჭ ვ ი ა; ჩაწე-
რილი 1878 წელს ხევში პ. უმიკაშვილის მიერ. მთქმელი გრემის-
ხეველი მეფანდურე ალექსა გოძიაშვილი. უმიკ., გვ. 565. ფ. გოგი-
ჩაიშვილის შენიშვნით პ. უმიკაშვილს ჰქონია ტექსტის „სამი
ვარიანტი, ა. ხახანაშვილის მიერ ჩაწერილი თუშებში 1888 წ. „სა-
გარეჯოელის თქმით ჩაწერილი მცხეთას 1872 წ. (ნაწყვეტი)" —

იქვე; ჩაწერილი თუშეთში, ივ. ბუქურაულის მიერ. თაყ. 1, № 29 გვ. 60, გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 56. გვ. 70 — 71; თუშური, უმიკ., გვ. 564 — 565; ჩაწერილი 1934 წ. მთიულეთში, ელენე ვირსალაძის მიერ. მთქმელი ლევან აფციაური. ვირსალ. № 119, გვ. 154; ჩაწერილი ხევში. მოხ. გვ. 135—136. ჩაწერილი ალ. ყაზბეგის მიერ. შან., გვ. 369; უმიკ., გვ. 565; ჩაწერილი ს. რუისპირში კ. სეხნიაშვილის მიერ. მგზ. № 8—9, 1901 წ. ამავე ტექსტს მცირე განსხვავებით იმეორებს ანუსია კარგარეთელის ვარიანტი. ფ. არქ., № 18637.

71. ბორაეის წაღება

ჩაწერილი ხევსურეთში თედო რაზიკაშვილის მიერ. შან. № 60. გვ. 24.

72. ერეკლე და ნადირ-შაჰი

С. Кишмишев. Походы Надир-шаха в Герат, Кандагар, Индию. Тифлис, 1889 г., გვ. 210. გადაბეჭდილია—ცაიშ. ერ. № 62, გვ. 81—82.

73. მეელებური ამბავი ნეფე ერეკლის დროს, როსაც ერეკლემ ჰევსურნი დაიბარნა საომრად

წელიწდეული, გვ. 161—164. გადმოცემა აკ. შანიძის შეკვეთით დაუწერია ბეს. გაბურს, როდესაც ეს უკანასკნელი 1914 წელს მსოფლიო ომში დაჭრილი პეტერბურგიდან დორპატის (იურევის) საავადმყოფოში გადაუყვანიათ. ბეს. გაბურს ტექსტი აკ. შანიძისათვის პეტერბურგში გაუგზავნია 1915 წ. 9 იანვარს. აკ. შანიძის დახასიათებით „ბესარიონი მელექსეა თვითონ. ნიჭით იგი არ ჩამოუვარდება პირველხარისხოვან „მათქვამებს“ ჰევსურეთში... იგი კოხტად და ლამაზად ჩააქსოვს ხოლმე გაგონილ ლექსებს პროზაულ მოთხრობებში“ („წელიწდეული. გვ. 334). ბეს. გაბურს ჩვენ თვითონაც შევხვდით მის მშობლიურ სოფელ ჭიმღაში, ხევსურეთში. 1944 წლის ივლისში. ეს ტექსტი შეიცავს ანაქრონიზმებს. ამ გარემოებაზე მითითებული აქვს. აკ. შანიძეს: „ერთი და იგივე პირები (ჯირჩლა ბაბურაული, ბერდია მამუკაური და ხოშერაული) ზურაბ ერისთვის დროსაც არიან დასახელებულნი ავტორის მიერ

(158 გვ.) და ერეკლე მეფის დროსაც არიან მოკსენებულნი ლექსში (162 გვ.)". იქვე, გვ. 333. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ხოშერაული ხალხურ ლექსებში და ვაჟასთანაც („ბახტრიონი"), იხსენიება ბახტრიონის გმირად. ამ გადმოცემაში ჩართულ ლექსებში ხოშერაულს გარდა იხსენიება ბახტრიონის ბრძოლის სხვა გმირებიც — ზეზვა (გვ. 162) და ნადირა (გვ.164). უფრო მეტიც — გადმოცემაში ჩართულია ნაწყვეტი ბახტრიონის ციკლის ლექსისა „ახლა სადა ხართ თუშებო" (გვ. 164). ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს კონტამინაციის მომენტთან.

საკითხის გასარკვევად, თუ ერეკლე მეორის დროინდელი რომელი ბრძოლაა ასახული გადმოცემაში, უნდა გავითვალისწინოთ მასში დაცული რეალიები. გადმოცემაში ჩართული №№ — 23, 24 ლექსების ვარიანტების ფრაგმენტების მიხედვით იგი უნდა ასახავდეს 1751 წლის ომს ჭარ-ბელაქნისა და შაქი-შარვანის ხანის აჯი-ჩალაბის წინააღმდეგ.

მთლიანად გადმოცემა საგულისხმოა შერეული ფორმის ნაწარმოებთა გენეზისისა და ლექსისა და პროზის ურთიერთობის საკითხის გასარკვევად. ამ თვალსაზრისით საერთოდ საინტერესოა „წელიწდეულში" აკ. შანიძის რედაქციით გამოქვეყნებული ბეს. გაბურის რეპერტუარი.

74. ნეფე ერეკლისა

მთქმელი ზაქარა ბაჩაკაშვილი (ცნობები მთქმელის შესახებ იხ. სიხ. საგმ., გვ. 284—287). ჩაწერილი ყვარლის რ. ს. შილდაში 19. IX — 1944 წ. ქს. სიხარულიძის მიერ. გადმოცემაში ასახული უნდა იყოს 1752 წ. ქართველების გამარჯვება აზატ-ხანის მეთაურობით შემოსეული ავღანელ-ყიზილბაშთა ჯარების წინააღმდეგ. ამ ომში გადამწყვეტი როლი ითამაშა ერეკლე მეორის სომამაცემ (იხ. ბრძ. სამშ., გვ. 19 — 25; სიხ. საგმ., გვ. 285 — 286).

75. ერეკლე და კოხტა ბელადი

მთქმელი ზაქარა ბაჩაკაშვილი. ჩაწერილი სოფ. შილდაში 19. IX — 1944 წ. ქს. სიხარულიძის მიერ. გადმოცემაში ასახულია 1770 წ. ასპინძის ომის ეპიზოდი, რასაც მთქმელმა კონტამინაციის წესით დაუკავშირა 1751 წელს ჭარ-ბელაქნისა და შაქი-შირვანის ხანის აჯი-ჩალაბის წინააღმდეგ თეიმურაზის და ერეკლეს ბრძო-

ლის ერთი მომენტი, კერძოდ მტრების მიერ ერეკლეს ცხენის სიკვდილი (სიხ. საგმ., გვ. 286).

76. ასპინძის ომის ამბავი

მთქმელი პავლე ხიხალაშვილი. ჩაწერილი 1937 წ. მესხეთში, სოფ. ხიზაბავრაში ნიკო ტატიშვილის მიერ. ფ. არქ. № 11947.

77. ერეკლე და კოხტა ბელადი

მთქმელი სტ. ტატურაშვილი. ჩაწერილი მესხეთში, სოფ. ხიზაბავრას, ილ. ალხაზაშვილის მიერ. ივ. № 34, 1898 წ. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 61, გვ. 80—81.

78. ერეკლე

მთქმელი ლევან ლეკიაშვილი. ჩაწერილი 9. IX — 1943 წ. სოფ. შილდაში ქეთევან ლორთქიფანიძის მიერ.

79. აგარიელი ომარ-ხანისგან დარბევა ახტალის მადნისა

ფ. არქ. № 869. ამოწერილია ხელნაწ. ინსტიტ. № 2002.

80. ირაკლი მეფის მტრები
აღა-მაჰმად-ხანის მოსვლის დროს საქართველოში

ტექსტს ხელს აწერს ზ. მთაწმინდელი, ე. ი. ზ. ჭიჭინაძე. დრ. № 190, 1878 წ. დაცულია აგრეთვე ხელნაწ. ინსტ. H № 1993. ტექსტი არ არის უშუალო ჩანაწერი, იგი დამუშავებულია, უთუოდ, ზ. ჭიჭინაძის მიერ.

81. ხოჯა აღა-მაჰმად-შაჰისაგან თბილისის აოხრება

დაცულია ხელნაწ. ინსტ. H—№ 2002 და ფ. არქ. № 870. ფრჩხილებში სათაურის ქვეშ სწერია ი ს ტ ო რ ი უ ლ ი მ ო თ ხ რ ო ბ ა ნ ი. დათარიღებულია 1877 წლით. არ არის აღნიშნული ავ-

ტორის სახელი და გვარი. სათაური ავტორს ეკუთვნის და მის ქვეშ გაერთიანებულია 6 მოთხრობა, რომლის მიხედვითაც ჩვენ ტექსტი დავყავით თავებად. ისტორიულ ცნობებს გარდა ტექსტში შეტანილია ზეპირი მოთხრობები, ამიტომაც შეგვაქვს ის კრებულში. ენა ავტორისა მეტად ცუდია, ლიტერატურულად გაუმართავი. ავტორი დასავლეთ საქართველოდან არ უნდა იყოს, რადგანაც პირველ მოთხრობაში აშკარაა ანტიიმერული ტენდენცია, რომელიც დაუსაბუთებელ ისტორიულ ცნობებს ემყარება და გავრცელებულია თავისებურად.

82. ერეკლე

მთქმელი ვანო აგურაშვილი. ჩაწერილი 1943 წ. ყვარლის რ. ს. საბუეში ქეთევან ლორთქიფანიძის მიერ. მთქმელი თავისებურ ინტერპრეტაციას უკეთებს საქართველოს რუსეთთან შეერთებას და ერეკლეს როლს ამ საქმეში.

83. გლეხის ქალი და მეფე ერეკლე

ამოწერილია დ. ჯანაშვილის წერილიდან „ისტორიული სურათები", ივ. № 12, 1882 წ., გვ. 89—90.

84. ერეკლე და თუში

ივ. ბუქურაული, „თუშების თქმულებანი მეფე ერეკლე II-ის შესახებ". ივ. № 122, 1895 წ. ივ. ბუქურაულს დასახელებულ წერილში მოჰყავს ხუთი თქმულება და აღნიშნავს: „საქართველოს არც ერთ მეფეზედ არ დარჩენილა იმდენი თქმულებანი თუშებში, როგორც ერეკლე მეორეზედ.

აღმოსავლეთის გმირი, ერეკლე, ჯერაც ცოცხალია თუშების ხსოვნაში — არა ერთხელ მეჯლისში კახურით აღფრთოვანებული თუშის ოცნება მოიგონებს საყვარელის მეფის სახელს; არა ერთხელ შირაქის მინდვრებზედ ოდნავ მიმქრალ ცეცხლის პირას აღტაცებით უამბობს თვისს ახალგაზდა მოძმეებს მოხუცებული თუში მეფის გმირობას, რომ სამარადისოდ დარჩეს მისი სახელი აღფრთოვანებულ ლამპარად მათს გულში, არა ერთხელ ჩონგურის ჟღარუნს მოჰყვება გამგმირავი ხმა გოდებისა, ძველი დიდების მო-

გონებისა, რომელსაც თითქოს გულიც ზევით მიჰყვება“. ივ. № 118, 1895.

85. ერეკლე და თუშის ხმალი

იონა მეუნარგიას უბის წიგნიდან. „ნაკვესები“ ამოკრეფილი გაზ. „ივერიიდან“ სოლ. ცაიშვილის მიერ. თბილისი, 1938 წ., გვ. 16. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 59, გვ. 79.

86. გადამტედარი ხმალი

იონა მეუნარგიას უბის წიგნიდან. „ნაკვესები“ ამოკრეფილი გაზ. „ივერიიდან“ სოლ. ცაიშვილის მიერ. გვ. 19. გადაბეჭდილია— ცაიშ. ერ. № 60, გვ. 79.

87. ერეკლე, ხევსურები და თათრის ხანი

მთქმელი თოთია გაგას ძე წიკლაური, 60 წლის ჩაწერილი ხევსურეთში, როშკაში, 13. VIII—1944 წ. ქს. სიხარულიძის მიერ.

თოთია წიკლაური კარგი მცოდნე იყო საისტორიო სიტყვიერებისა. მის მიერ ჩაწერილი შვიდი ტექსტიდან 5 საისტორიოა, 2—კი ეპიური ციკლისა.

88. ანდრეზი ლებაისკარზე

მთქმელი გველეთელი ბერდია არაბული. ჩაწერილი ბარისახოში 27. VII — 1946 წ., ქს. სიხარულიძის მიერ.

89. ერეკლე და თუში ოცისკარი

ჩაწერილი თუშეთში ივ. ბუქურაულის მიერ. ივ. № 121, 1895.

90. ერეკლეს მოზვერი

ჩაწერილი თუშეთში ივ. ბუქურაულის მიერ. ივ. № 125, 1895 წ.

91. ამბავათ გაგონილი

ჩაწერილი ქართლში, ატენის ხეობაში. ივ. № 5, 1877 წ. გადაბეჭდილია ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში და შეცდომით დათარიღებულია 1887 წლით. გაუმართლებლად მიგჭაჩნია აგრეთვე ამ ტექსტისა და № 92 შეტანა ილიას მხატვრულ პროზაში. (იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული. ტ. 1, თბ., 1937 წ., გვ. 422—423; ილია ჭავჭავაძე თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, 1950. გვ. 249).

92. ამბავათ გაგონილი

ჩაწერილი ქართლში, ატენის ხეობაში. ივ. № 5, 1877 წ., ესეც გადაბეჭდილია ი. ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში (ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრ., I, 1937 წ.. გვ. 422; ილ. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებ., II, 1950 წ., გვ. 248 — 249).

93. ერეკლე მეფე და თუში

ანუსია კარგარეთელის რეპერტუარიდან. ჩაწერილია 1939 წ. ფ. არქ. № 19870.

94. გადმოცემა მეფე ერეკლეზედ

ჩაწერილი ფშავში თედო რაზიკაშვილის მიერ. რაზიკ., II, 1909 წ., გვ. 84.

95. მეფე ირაკლის მასპინძელი

დრ. № 149, 1878 წ. ქვესათაურად აწერია „ძველებური ამბავი". ხელს აწერს ი. დ. შესაძლებელია ი. დავითაშვილი იყოს. გადაბეჭდილია ჯჯლ. № 3, 1914. დაცულია აგრეთვე ხელნაწ. ინსტ. H — № 1993.

ბ

სოფელ ნატახტარში ცხოვრობდა ერთი მდიდარი გლეხი გვარად ტონუაშვილი, რომელსაც ძალიან ბევრი საქონელი ჰყავდა.

ტონუაშვილი თვითონაც მშრომელი კაცი იყო და სხვასაც ლუკმას არ შეაჭმევდა მუქთად, თუ საქმეს არ გააკეთებინებდა, ასე სთქვით, სტუმარი რომ სტუმარია, იმასაც რაღაც საქმეს გამოუნახავდა და ისე აჭმევდა პურს. ერთხელ ტონუაშვილმა ახალი დარბაზი ააშენა, ბანი კი დასატკეპნი ჰქონდა, რაზედაც დიდძალი მუშა სჭირდებოდა. ტონუაშვილმა მოისაზრა — ამოდენა ქონების პატრონი ვარ, მოდი, მეფე ერეკლეს დავპატიჟებ სტუმრად თავისი ამალით და იმათ დავატკეპინებ ბანსაო, თორემ სოფელს რომ დავუძახო, ვგონებ, ერთ თვეს ვერ დამიტკეპნონ ამოდენა ბანიო.

მართლაც. ერთ მშვენიერ დღეს ტონუაშვილი თბილისისაკენ წავიდა, ეწვია მეფეს სასახლეში და სტუმრად მიიწვია მეფე და მისი ამალა ნატახტარში. ტონუაშვილმა ლექსად გააცნო თავისი ვინაობა მეფე ერეკლეს:

ნატახტარ სოფლის გახლავარ,
მდიდრად განთქმული გლეხიო,
საწყალი კაცის მოყვარი,
მტრების გახლავართ მეხიო.
თქვენის ამალით მეწვიეთ,
მიკადრეთ მონა გლეხიო,
თუ ღირსეულად ვერ დაგხვდეთ.
თავზე დამატყდეს მეხიო.

. . .

მეფე დაჰპირდა ტონუაშვილს, რომ უეჭველად ეწვეოდა თავის ამალით ნატახტარს. მეფეს გაუკვირდა, გლეხი როგორ უნდა დახვედროდა მის ამალას და უფრო დაწვრილებით გამოიძია ტონუაშვილის ვინაობა. როცა გაიგო, რომ ტონუაშვილი სტუმარსაც კი პურს არ აჭმევს, თუ არ ამუშავაო, ძალიან ბევრი იცინა და სთქვა: — აბა, ერთი მე რაღას გამაკეთებინებსო და ბეჯითად გადაწყვიტა სტუმრად წასვლა.

ტონუაშვილსა მიქებენ,
ბლომათა ჰყავსო ზაქები,
წავალ და სტუმრად ვეწვევი.
ნუ თუ მართლაა საქები?

ერთ დღეს მეფემ ნატახტარისაკენ გასწია თავისი ამალით. როცა ტონუაშვილის სახლს მივიღნენ, მასპინძელი მიეგება მეფეს

და მოკითხვის შემდეგ დარბაზის ბანზე მიიწვია — მინამ თქვენი საკადრი სუფრა გაიშლებოდეს, მეფეო, არ მოიწყინოთ, ბანზე ლხინი გავამართინე ახალგაზრდებს, იქით სჯობიანო.

ლხინში, სადაც აუარებელ ხალხს მოეყარა თავი, მეფემაც კი ითამაშა. როდესაც მეფე და მისი ამალა სუფრაზე დასხდნენ, ბანი ისე გაზეპილი იყო, რომ კალო გეგონებოდათ. ქეიფში შესულმა მეფემ უთხრა ტონუაშვილს: —ტონუაშვილო, შენზე ამბობენ, სტუმარს პურს არ აშმევს. ისე, თუ საქმე არ გააკეთებინაო, აი მე და ჩემი ამალა დღეს შენი სტუმრები ვართ, მაგრამ ამას ვერ ვხედავო!

„ჰე, მეფეო, დღეს თქვენი სტუმრებისთვ ისეთი საქმე გამიკეთეთ რომ მთელი სოფელი რომ დამეიახნა, ერთი კვირის განმავლობაში იმ საქმეს ვერ გამიკეთებდნენო. აი, დიდო მეფეო, ეს დარბაზი ახალი აშენებულია, ბანი კი დასატკეპნი იყო, წელან ბანზე ლხინი რომ გავმართე, ყველა ჩემი სტუმარი იღებდა ჭონაწილეობას ბანის დატკეპნაშიო.

მთქმელი სონღულაშვილი, ჩაწერილი 1955 წ. ჯუანშერ სონღულაშვილის მიერ სოფ. დიღომში. მასალ. II, გვ. 162—164.

96. თუმანიშვილებისა და ერისთვიანთ მტრობა

ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ. თაყ. 1, გვ. 187 — 188. გადმოცემა უშუალო ჩანაწერი არ არის. იგი შემოკლებითაა მოთხრობილი თ. რაზიკაშვილის მიერ, როგორც ერთგვარი კომენტარი შიგ ჩართული ლექსისა.

97. ერეკლე და გაბაევი

მთქმელი ანტონოვი. ჩაწერილი თბილისში გ. ლომთათიძის მიერ. ფ. არქ. № 4187.

98. მეფე ერეკლე მოატუეს

მთქმელი ანტონოვი. ჩაწერილი თბილისში გ. ლომთათიძის მიერ. ფ. არქ. № 4185.

99. მეფე ერეკლეს საჯმელი

ხევსურული ანეგდოტები, შეკრებილი ქისტი-ჩობანის მიერ, ივ. № 33, 1903 წ. დაცულია აგრეთვე ხელნაწ. ინსტ. H—№ 1993.

100. ანდრეზი იმის შესახებ, რომ ბიჩინაგა არაბული იეო უკანონო შვილი ერეკლე მეორესი

მთქმელი ვანო ომას ძე არაბული. 67 წლის. ჩაწერილი 1946 წელს ხევსურეთში, სოფ. გველეთში, გაგა არაბულის მიერ. მთქმელმა ჩამწერს აცნობა „ეს ანდრეზ მიამბ ჩემ ბაბუამ თოთიამ ბიჩინაგაიშვილმ — შვილისშვილმ ერეკლესამ“.

1946 წელს ხევსურეთში ყოფნისას ამ გადმოცემის ბ ვარიანტი ჩვენ ჩავიწერეთ 17 წლის ბერდია არაბულისაგან. ამის შესახებ გაეგო ვანო არაბულს. ხევსურები საისტორიო ნაწარმოებთა (ანდრეზების) მცოდნედ მიიჩნევენ მხოლოდ ხანში შესულ მამაკაცებს. ამიტომ ვანო არაბული საგანგებოდ მოვიდა ჩვენთან ბარისახოში, საღამომდე მელოდა სასტუმროს წინ, მაგრამ ს. შუაფხოში ყოფნის გამო, სამწუხაროდ, ჩვენ მას პირადად ვერ შეეხვდით. შემდეგ ჩვენი თხოვნით ეს ტექსტი სოფ. გველეთში 5. VIII — 1946 წ. ჩაწერა გაგა არაბულმა ქ. ს.

ბ

ერეკლე დავიდოდა ჯევსურეთ დღეობებჩი — ათენგენჩი. ერთხან ერეკლეს ჯევსურეთჩი ყოფნისას გველეთლების წინაპარს გიორგას მოუხდა ასეთი შემთხვევა. მისი ცოლი გახდა უმრეცხლო. ეს დააბრალეს ერეკლეს. ერეკლემ როდესაც ეს ამბავი გაიგა, დიდად არ ეწყინა და გიორგას მისცა საჩუქარი. ამისი მთქმელი ნათელისძე არც დასაჯა. მხოლოდ როდესაც დაიბადა ბალღი, დახქვივნეს ბიჩინაგა, რომელიც არის გველეთლების წინაპარი. როდესაც წამაიზარდა ბიჩინაგა, ერეკლე მას ავსებდა საჩუქრებით და იმისთვის მიუცემავი ჯვარ-მედლები. როგორც ერეკლეს მცნობები გვიამბობდნენ, ბიჩინაგა ხვანდ ქოდიოდ ერეკლეს. ბიჩინაგა, როგორც არა ჯევსური, ე. ი. ერეკლესაგან წარმოშობილი და

მისი ჩამომავლობისა, გადმოსახლებულა ბაცალიგოდან გველეთს, ხოლო როდესაც იგი ჩავარდა ორწყალში, თავისმა ცოლმა ასე იტირა:

—მაცნე მოვიდა ჯევსურეთაო..
ბიჩინაგაი დაიღუპაო,
ხიდი გაუტყდა ორწყალჩიო,
ბატონს კარზედა მიუტანაო.
ეგ გინდა რაად მიხვიდოდიო,
რას მამიტანდი შინ უქონსაო.

მთქმელი სოფ. გველეთის მცხოვრები, 17 წლის. ბარისახოს საშ. სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ბერდია თათარას ძე არაბული.

ჩაწერილი ბარისახოში 27. VII — 1946 წ. ქს. სიხარულიძის მიერ. მთქმელმა განმარტა სიტყვები: უმრეცხლო—ორხული; ჭოდიოდ—მთლად.

101. თქმულება მეფე ერეკლეზე

დაბეჭდილია სათაურით „ლეგენდა მეფე ერეკლეზედ" ვარდენ ყიფიანის ხელმოწერით. მგზ. №№ VI, VIII, 1901 წ. დართული აქვს შენიშვნა „შავ ასოებით დაბეჭდილიდგან გამოდის: 1) ხალიჩა, 2) ლები (ლეიბი), 3) ბალიში, 4) საბანი, 5) ფილონი და 6) სტიხარი.

დაცულია აგრეთვე ხელნაწ. ინსტ. H—№ 1994.

102. ლეგენდა

ჩაწერილი თედო რაზიკაშვილის მიერ. შან., გვ. 365.

103. ბატონიშვილო ლევანო

ფ. არქ. № 3235. ლექსი წარმოადგენს მიმართვას ერეკლე მეორის ვაჟის ლევან ბატონიშვილისადმი, რომელიც მეთაურობდა მორიგე ჯარს. მორიგე ჯარი, ე. წ. „მორიგე ლაშქარი", ერეკლე მეორემ შექმნა 1773 წელს. მორიგე ლაშქარმა ალაგმა საქართველოში ლეკთა თარეში (საქ. ისტ., გვ. 397—398, თუ როგორ აფასებდა ხალხი მორიგე ლაშქრის მიზანშეწონილობას, კარგად არის გადმოცემული მარბიელი ლეკების მიერ გატაცებული ქართველი ქალის სიტყვებით.

104. ბატონიშვილო ლევანო

მთქმელი ბასილ გოგოლაძე. ჩაწერილი ს. ბარალეთში 1937 წელს გიორგი გოგოლაძის მიერ. ფ. არქ., № 13566.

105. ლევან ბატონიშვილი

თაყ. 1, გვ. 182. ეს ლექსიც ერეკლეს ვაჟზე ლევან ბატონიშვილზე უნდა იყოს ნათქვამი.

106. ლევანი

ჩაწერილი ხევსურეთში თედო რაზიკაშვილის მიერ. შან. №62, გვ. 24—25. ეს ლექსიც ერეკლეს ძის ლევან ბატონიშვილის შესახებ უნდა იყოს შექმნილი და უნდა ასახავდეს მორიგე ლაშქრის მიერ მოთარეშე ლეკთა რაზმების ალაგმვას. ლექსი საფერხულოა, რაზედაც პირდაპირ მიუთითებს დასაწყისი სტრიქონი. აშის გამო შენიშნავს თედო რაზიკაშვილი: „ასე იწყობენ ხოლმე, როცა ფშავში „ფერხისას“ მღერიან“. მასვე ეკუთვნის შენიშვნა სტრიქ. 6—ქვევ. მელიც—მ ე ლ ი ქ ი? შან., გვ. 375.

ბ

პირველად ღმერთი ვახსენოთ,
მერე ბატონი ჩვენია.
ატირდა რუსთა ხემწიფე,
მუხლზე დაიკრა ხელია:
„რას უყურებთ კნიაზებო,
ცოდო დაბრუნდა ძნელია,
ან შემიკარით ტივები,
ან მომიმზადეთ გემია.“
ქალაქ მელიქი ჩიოდა:
„სიზმარი ვნახე ძნელია,
ლევანს აღყროდა აბჯარი,
გარს შამოსცლოდა თემია“,
ლევანმა წიგნი დასწერა,
შიგ ჩაატანა ღვდელია,

ეს დედა ჩემსა მიმირთვით,
ნახვა მამინდა თქვენია.
ჩაფარ ცხენი შაუკმაზა,
აბჟანდი უყო გძელია:
„თუ იდგეთ, ნუღარ დასხდებით,
ხომ მზათ გიბიათ ცხენია,
თუ ჩემი სული გიყვარდეთ,
თეთრი გამიეც ბევრია,
ყოველ შაფათ შემიმოსე
სამოცდასამი ღვდელია,
ეგ ქვრივი გებრალებოდეს,
ხო ნარძლევია თქვენია,
წლამდინ მიტიროს, მიგლოვოს,
სამართალია ჩემია,
წელიწადი გამობრუნდეს,—
— გაშალოს ყველისფერია,
შაყარე ჩემი ტოლები,
ადინე ცხარი ცრემლია.
მილიონ ბატონიშვილო,
ახლა თაობა შენია,
გებრალებოდეს არაგვი,
შეუძლებარი თემია."
ჭარში ლეკმა გაიგონა,
ცხენ გადაუსო ხელია,
ოთხავ ფეხს ნალი მიაკრა,
ლურსმანს უხარა წვერია:
„წავიდეთ არაგვიანში,
რაღა ლევანი მშლელია,
დუშეთ თარეში გაუშოთ,
ტყვე წამოვასხათ ბევრია,
ნაოზა გავარბეინოთ,
დიღმის მინდორი გძელია".
აცადე, შვილო ლეკებო,
ნუ წამაგვყავით ხელია,
ისევ კაცია ლევანი,
ისევ ჯარი ჰყავს ბევრია,

კიდევაც წამოგეწევა
იმის ფეხმარდი ცხენია,
უყურე იმის საქციელს,
ციხე ააგო თქვენია, —
თქვენი გუდა და ნაბადი
ჯერაც იქავა ჰფენია.

ჩაწერილი 1871 წელს ა. ნ. ფერაძის მიერ. უმიკ., გვ. 113 — 114.

107. ქმალი სჭრის ბაგრატივნისა

ჩაწერილი ხევსურეთში თედო რაზიკაშვილის მიერ შან. №63, გვ. 25 — 26. ლევან ბატონიშვილი მოულოდნელად გარდაიცვალა 1781 წელს (საქ. ისტ., გვ. 398). აკ. შანიძეს ტექსტისათვის დართული აქვს შენიშვნა: „ერეკლე მეორის უფროსი ვაჟი ლევანი გარდაიცვალა 1781 წელს". შან., გვ. 375. როგორც ცნობილია, ბატონიშვილი მორიგე ლაშქრით ლაგმავდა საქართველოში მოთარეშე ლეკებს. ეს, რა თქმა უნდა, ხელსაყრელი არ იყო რეაქციონერი თავადებისათვის. ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ ამ ლაშქრის დაშლას. ლევან ბატონიშვილის სიკვდილის შემდეგ მორიგე ლაშქარი თანდათან დაიშალა. ეს კი დიდად საზიანო იყო ქართველი ხალხისათვის. ერეკლე მეფის ერთ-ერთ მოწინააღმდეგეს ლევან ბატონიშვილის უდროოდ სიკვდილის გამო უთქვამს: „მოხუცებისა ჟამსა მეფეს ირაკლისსა ერთი ფარდა აქვნდა საქართველოს, რომელიცა ოთხ კერძოვე იგურდივ იფარებდა და აწ დიდი შემწე მოეშალა ირაკლი მეფესაო". ქ. ცხ. II, გვ. 498. მაგრამ ქართველი ხალხი არ ვარდებოდა სასოწარკვეთილებაში. ხალხის ჯანსაღ სულისკვეთებას გვაცნობს ლექსის მეორე ნახევარი.

ბ

ხმალი სჭრის ბაგრატივნისა
მეფისა ერეკლისაო,
სალეკო შემოამტვრია,
ვით ზვავმა წვერი ტყისაო.
მოხსენდა რუს ხელმწიფესა,
ამაგას ჰკვირობ:ოისაო:

„ნეტავის გამაცნობინა,
ლევანს უქებენ შვილსაო“.
ეგი შაიტყის ლევანმა,
წელ ხმალი შეირტყისაო,
წავიდა სარუსეთოში,
მასაც ნახვა სურისაო,
თან გამაიყოლა გუნდი
ქორისა, შავარდნისაო,
მივიდა რუს ხემწიფესთან,
სალამიც მიართვისაო,
„მობძანდი, ლევან ბატონო,
ყმაწვილო ათის წლისაო!“
დაჯდა და ჰკითხა ანბავი
თბილეთის ქალაქისაო:
„რამ გაადიდა ჭარელნი,
ნარჩომი ჩვენის ხმლისაო,
წახვიდე, არ მეჩქარები,
არ წასვლა არ ჰხდებისაო“.
გამააყოლა ჯარები
ხერხება ათას ფრისაო.
ქალაქში შევა ლევანი,
ჭეხა შეიღა ცისაო,
შაშინდა ლეკთ ბელადები,
„ჩვენკენ კი იქავს პირსაო!“
ამაგას ვინ დაუდგების,
შიში აქვს ზარბაზნისაო.

უმიკ., გვ. 112. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 25, გვ. 31 — 32. ამ ტექსტის გამო ფ. გოგიჩაიშვილი შენიშნავს: „ამ ლექსის ორი ცალია: ერთი პ. უმიკაშვილის ხელით ნაწერი, მეორე თითქმის ისეთივე, უცნობის ნაწერი — დაბეჭდილია 1905 წელს გამოცემულ წიგნაკში: „პ. უმიკაშვილის სახსოვრად“. ვარიანტები: ა) უთარიღო და ბ) ფშავ., ს. არტანი, დ. ხიზანაშვილის ჩაწ. 1884 წ., შეიცავს მხოლოდ სამ სტრიქონს“ (იქვე, გვ. 568). ეს ტექსტი ზუსტად ემთხვევა დ. ხიზანაშვილის მიერ გამოქვეყნებული 10 სტრიქონიანი ტექსტის პირველ ექვს სტრიქონს (ფშ. ლექს., გვ. 17).

ბ

ხმალი ჭრის ბაგრატივნისა
მეფისა ერეკლისაო,
შვილმა აჯობა მამასა,
მანამ იცვლიდა კბილსაო,
საკახო გამაამტვრია,
ზვავმა რო წვერი ტყისაო,
შაშინდნენ ჭარელთ შვილები:
— ჩვენკ რაით იქამს პირსაო?
შავა რუსთ ხელმწიფესთანა,
ეტლი თან შახყვა ხვთისაო.

ჩაწერილი ხევსურეთში გიორგი ნათაძის მიერ. ნათ. № 19, გვ. 20—21.

დ

ხმალი სჭრის ბაგრატივნისა,
ნეფისა ერეკლისაო...
— ნეტავი გამაცნობინა,
ლევანს უქებენ შვილსაო:
აჯობა თავის მამასა,
სანამ იცვლიდა კბილსაო,
ურჯულო გამაამტვრია,
როგორც ნაპირი ტყისაო.
თუ ლევან იქით მიბრუნდა,
საქმე სჭირს დაღისტნისაო.

ფშ. ლექს., გვ. 17; ფ. არქ. № 2843. დანარჩენი ·ვარიანტები იხ. ჩაწერილი ფშავში ვ. ტუქსიშვილის მიერ. შან., გვ. 375; ჩაწერილი 1938 წ. ფშავში, სოფ. ჩარგალში, ვახტანგ რაზიკაშვილის მიერ. მთქმელი ივ. მოლოდინაშვილი. ფ. არქ., № 12889.

108. გირაკს ჩამადგა მუცალი

ჩაწერილი ხევსურეთში თედო რაზიკაშვილის მიერ. შან. №65, გვ. 27. თედო რაზიკაშვილს ტექსტისთვის დართული აქვს შენიშვნები: სტრიქ. 25 ზევ. ლ ე ვ ა ნ ბ ა ტ ო ნ ი — „ლევან ბატონიშვილი, ერეკლეს ძე“; სტრიქ. 34ზევ. ბ ა ტ ო ნ ო — „თუშები ეუბნებიან ლევანს“; სტრიქ. 15 ქვევ. ყ მ ა ლ უ რ ჯ ი ს პ ე რ ა ნ გ ი თ ა ო — „ანდარეზა იყო“. შან., გვ. 376. თუ ლექსის ადრესატი ერეკლეს ძეა, მაშინ იგი ასახავს ლევან ბატონიშვილის მეთაურობით

მორიგე ლაშქრის მიერ საქართველოში მოთარეშე ლეკების ალაგმვის ერთ მომენტს. სტრიქ. 31—32 ზევ. „ადგა, წამადგა ლევანი, იძახა თავის ჯარია“, თითქოს უნდა გულისხმობდეს მორიგე ლაშქრის გამოწვევას ლეკთა მარბიელი ჯარების ასალაგმავად.

აკ. შანიძეს ლექსის სათაურად აქვს მ უ ცა ლ ი, შეიძლება ეს არ იყოს მიზანშეწონილი, რადგანაც ლექსის შინაარსში ძთავარია მორიგე ლაშქრის ხელმძღვანელისადმი თუშთა მიმართვა დახმარების აღმოსაჩენად და ანდარეზას გმირობა. ლექსის მრავალი ვარიანტიდან ჩანს, რომ ანდარეზა დაპატიმრებული ყოლია ლევან ბატონიშვილს. გადმოცემებიდან ჩანს ისიც, რომ ანდარეზა გვარად საგინაშვილი ყოფილა. საფიქრებელია ისიც, რომ ლექსის ადრესატი იყოს არა ლევან ბატონიშვილი მე-18 საუკ. გმირი, არამედ — ლევან მეფე, რომელიც 1520 წლიდან მეფობდა კახეთში (საქ. ისტ. I, გვ. 310). აღსანიშნავია, რომ 8 ვარიანტში ლევანის რეზიდენცია გრემშია.

ბ

გირავს ჩამადგა მუცალი,
ეგრ რო ნაგუბარ წყალია;
თუშთ მაციქულებ ახკიდა,
ბეგრად მასთხოვა ქალია,
ქალების გარდა საკვამლოდ
თითო შანძილა ჯარია.
ბერებმ თქვეს: „მივსცათ ბეგარი, —
მტერმა შაგვიკრა კარია“.
ახლებმ თქვეს: „ვერას მივსცემდით,
მარჯე ას, ქალის ბრალია!“
ქალმა კესელოს გაიგა,
დასწყივნა მამა-ძმანია:
ან მიპატრონეთ, მამულნო,
ან ქალს შამარტყით ჯმალია“.
ჩარდახთით გამაუფრინდა,
ულდეთ გარმახფინნა თმანია.
ქალის საქმარემ გაიგა,
მაღლა შაირტყა ჯმალია;
შახკაზმა მამის ყურ-თეთრი,
შამაახანნა მთანია;
იარნა სამ დღე-ღამესა,

სამტრონ-საშიშონ გზანია;
ჩაყარნა უხანო ხანთა
თელავში თუშმა კმანია;
შუალამის დროს გააღა
თელავ ლევანის კარია.
გაწყრა, გაჯავრდა ლევანი:
„რა დროს სტუმრობის ხანია?“
— „რა მოგაკსენათ, ბატონო,
მტერმა შაგვიკრა კარია:
გირავს ჩამოდგა მუცალი,
ბეგრად მაგვთხოვა ქალია.
აეწ თუ მაგვეშველები,
ვიქნებით შენნი ყმანია“.
„აუშვით ანდარეზაი,
ბოზვის ქალაის ქმარია!“
ციხით კი გამაიყვანეს
ანდარეზაი ჯარია;
სახლთ-ხუცის ცხენი მასთხოვა,
ნაკუდაური კმალია.
გავარდა გირავის წყალსა,
სახლთ-ხუცის ორქაფითაო;
შამაუარა კარავთა
ყმამ ლურჯი პერანგითაო;
კარავში ჩაჭრა მუცალი
ნაკუდაური კმლითაო;
ასტაცა ოქროს სუფრაი,
დაბრუნდა სიცილითაო;
ჯართ შუა ჩამაიარა,
გავიდა მშვიდობითაო.
გაიქცა მუცალის ჯარი,
ფარსმის თავ გადადისაო.
უკან ჩაუდგეს თუშები,
წკეპა ამადის კმლისაო.

მთქმელი და ჩაწერი ბეს. გაბური. შან., გვ. 376.

ბეს. გაბურს ლექსი გაგონილი ჰქონია თუშებისაგან „რომ-ლებმაც უამბეს დუშეთში კენჭობის დროს 1910 წელს“. შან., გვ.

376. საინტერესოა ბეს. გაბურის შენიშვნები ტექსტისადმი: სტრიქ. 11 ზევ ქალმა კესელოს გაიგა, ე. ი. გაიგო, რომ იგი ბეგრად უნდა მისცენ ლეკებს; სტრიქ. 16 ზევ. კლდეთ გარმახფინნა თმანია — „გარმახტა ციხით და კლდეთაზე ჩამაეკიდა. მკვდარია"; სტრიქ. 21 ქვევ. ვიქნებით შენნი ყმანია — „მანამდე თუშნი ყმად არ ყოფილან და ახლა ყმობაც აღუთქვა"; სტრიქ. 20—19 ქვევ. აუშვით ანდარეზაი ბოზვის ქალაის ქმარია ბეს. გაბურს, აკ. შანიძის გადმოცემით, ასე განუმარტავს: „ანდარეზა დაჭერილი ჰყოლია ლევანს ქალის მოტაცების თაობაზე. ქალის მშობლები უკმაყოფილონი ყოფილან და ქალსაც ამის გამო უარი უთქვამს, მაგრამ ანდარეზას თავი არ დაუნებებია. ქალის დედ-მამას ამაზე ლევანთან უჩივლიათ და მას ანდარეზა ერთი წლით დაუტუსაღებია. ანდარეზას ციხეში ერთი თვეც გათავებული არ ჰქონია, რომ მუცალი თუშეთს დასცემია. თუშებს ანდარეზას განთავისუფლება უთხოვიათ. ციხიდან გამოსულ ანდარეზას მოუთხოვია სახლთ-ხუცის ლურჯა და ნაკუდაურის ხმალი, რომლითაც მოუკლავს მუცალი თავის კარავში. რაკი ანდარეზამ ამ ომში თავი ისახელა, ამიტომ ციხიდანაც გაათავისუფლეს და ის ქალიც შეჰრთესო", შან., გვ. 376 — 377.

ბ

გირავის მთაზე გარმოდგა
ძაღლი მუცალის ჯარიო,
თუშთა დაადვა ბეგარი,
კვამლა ლამაზი ქალიო.
შაყრილან თუშის შვილები,
დიდ უდგას საუბარიო,
ზოგთა თქვეს: მიცემა გვინდა,
მტერმ დაგვატანა ძალიო,
ზოგთა თქვეს: ვერას მივცემდით,
ძნელია ცოლ-შვილთ ბრალიო.
ქალმა კეზელოს გაიგა,
დასწყივნა მამა-ძმანია:
— ამანდით გარმასეესა,
კლდეს გარმახვივნა თმანიო.
ან მიპატრონეთ მამულნო,
ან ქალს შამაბით ჭმალიო.

ქალის საქმარემ გაიგა,
ცხენს დააკვერა ნალიო,
ცხენს ხკაზმებს თექმარაული,
საისკე მიმავალიო.
გაალა შუღამის დროსა
თელავ გალავნის კარიო,
გაჯავრდა ლევან ბატონი:
— რაღა სტუმრობის ხანიო.
წავსულორ საოცარშიგა,
შამამხვევია ალიო,
— გაგიცხადდება, ბატონო,
მტერმ დაგვატანა ძალიო.
საგათენებოდ გაივსა
თელავ გალავნის კარიო,
კაცი სიღნაღჩიგ გაგზავნეს,
დაგვაშველოდი ჯარიო.
ეხლა თუ დაგვეშველებით,
თუშნი გავჰხდებით ყმანიო.
გაუშვით ანდარეზაი
ცუდი ქალისა ქმარიო.
თუ არ გაუშობ, ბატონო,
ჩვენაც შამოგვკსენ კმალიო.
გაუშვეს ანდარეზაი
ცუდი ქალაის ქმარიო.
სახლხუცის ორქაფ ითხოვა
ნაკუდაური კმალიო.
გავარდა გირავის წყალსა
სახლხუცის ორქაფითაო.
მუცალ კარავში ჩაკაფა
ნაკუდაურის კმლითაო.
მუცალის ცოლი ტიროდა:
— მუცალამ რაღა ქნისაო.
ვეუბენ, არ დაიშალა,
ქალამ ვაჯობე ჭკვითაო,
— თუშჩი ნუ წახოლ, მუცალო,
ომი იციან კმლითაო.

მთქმელი ნ. ხორნაული. ჩაწერილი 1929 წელს სოფ. საჭურეში ივ. ხორნაულის მიერ. ფშ. ხევს., გვ. 93—94.

დ

გირავში დადგა მუცალი,
რო ნაგუბარში წყალიო,
დადგა, დაიდგა კარავი,
შამაივლივა ჯარიო,
თუშთ მაციქული ახკიდა,
ბეგრად მასთხოვა ქალიო.
ზოგებმ თქვეს: „ქვე თუ მივსცემდით,
„მტერმ დაგვატანა ძალიო“.
ზოგებმ ქვე გაიმარჯიან:
„ცოლ-შვილისადაც ბრალიო!“
იწყინა კიბილოელმა,
თუშმ დაირეკნა მთანიო,.
საჩქაროდ გადაიარნა
საკახეთონი გზანიო,
გააღა შუღამის დროსა
თელავ სამართლის კარიო.
იწყინა ლევან ბატონმა:
„რაღა სტუმრობის ხანიო?“
— „ნუ გამიწყრები, ლევანო,
— „მტერმ დაგვატანა ძალიო.
თუ ანდარეზას გაუშობთ,
თქვენი ვიქნებით ყმანიო“.
კაცი გააგდა ლევანმა:
„მძიმე დამჭირდა ჯარიო“.
გაივსა თენებისადა
თელავ გალავნის კარიო.
ანდარეზაიც აუშვეს,
კახპაის ქალის ქმარიო,
გაუშვეს ანდარეზაი
ხთითა და ხთისშობლითაო.
გავარდა გირავის წყალსა
ყმა ლურჯი პერანგითაო;
კარავში დაჭრა მუცალი

ნაკუდაურის — ჯმლითაო.
გაიქცა მუცალის ჯარი,
ფარსმის თავ გადადისაო.

ჩაწერილი ხევსურეთში ერასტი ბალიაურის მიერ. შან. გვ. 377, ტექსტს დართული აქვს შენიშვნა: „ანდარეზას ლევანის ქალი შეუყვარებია, ბიჭი გასჩენია და ამაზე ლევანს დაუჭერია“. იქვე.

ე

მუცალმ შაყარა ლაშქარი,
არ სწვდება წვიმის ცვარია,
ფარსმის თავს ჩამამდგარიყო,
ეგრ რო ნაგუბარ წყალია.
ახკიდა მოციქულები,
ბეგრად მასთხოვა ქალია:
თი-თითო ქალი მამეცით,
თითო არწივის მჯარია“.
თუშებ შაგროვდენ მირგვლადა,
დიდი დგას—საუბარია.
ზოგთა თქვეს: „მივსცეთ რა გაჯდა?
მტერმა შაგვიკრა კარია“.
ზოგთა თქვეს: „ვერაჯლად მივსცემთ,
შვილისა დიდი ბრალია“.
ქალმა გაიგო კერელოს,
დასწყივნა თავის ძმანია;
გამაუფრინდა ციხითა,
კლდეს-გადახფინნა თმანია,
დათუნა ბატონიშვილმა
შაკაზმა თავის ჩქარია,
გძელ-ყანით გამასეესა
ცხენმა დაუგდა ნალია,
ერთ ღამეს გადაიარნა
სამი დღე-ღამე გზანია,
გააღა გათენებისას
თელავს გალავნის კარია.
შამასწყარ თელავის ბატონი:
„რაღა სტუმრობის ხანია?

ვყოფილვარ საოცარშია,
უნჯნ მეძლეოდნენ ყმანია“.
—„ გახლავართ — უთხრა, — ბატონო,
მტერმა შაგვიკრა კარია.
ეხლა თუ გვეშველებოდა,
გავკდებით შენნი ყმანია“.
კაცი წალალა ქალაქში:
„დამჭირდა დიდი ჯარია“.
აივსო გათენებისაკ
თელავ გალავნის კარია.
გაუძღვ თელავის ბატონი,
ჯარმ გადიარნა მთანია.
თუშთ ანდარეზა მასთხოვეს,
შვიდის წლის პატიმარია,
„აუშვი ანდარეზაი
ღთითა და ხთიშვილობითა!“
აუშვა ანდარეზაი
ღთითა და ღთიშვილობითა.
გავარდა გირავის წყალსა
ლურჯითა პერანგითაო,
დახივა მუცალის ჯარი
სამხუცის ორქაფითაო,
კარავში მუცალ დაკაფა,
ნაკუდაურის კმლითაო,
დაუც კელ ოქროს ტაბაკსა
წავიდა მშვიდობითაო.
ვეუბენ, არ დამიჯერა,
ქალამ ვაქარბე ჭკვითაო;
„მუცალ, ნუ წახვალ თუშეთა,
თორემ იციან კმლითაო“.

ჩაწერილი ხევსურეთში ვ. ტუქსიშვილის მიერ. შან., გვ. 377—378.

3

ქაჩუსა თავსა გადმოდის
დიდის ნუცალის ჯარიო.
წამოდგა გირევის ვაკეს,
როგორც ნაგუბარ წყალიო.
წოვა დეევდარის ანთაი,

ნუცალს მიუა კარზედა,
დაუდგეს ოქროს ტაბაკი,
ზედ კვიცის ჯორცი აწყვია.
დანა ზედ უძევს ჯავარი,
გიშრისა ტარი აგია.
სჭამდის და ვერა ძღებოდეს,
ღვთისგან მოელოდ შველასა.
შეიტყო ითაბანულმა
ლურჯას დააკრა ნალები,
საგათენებლოდ ჩავალის
გრემს ბატონისა კარზედა.
— „ლევანო, ჩვენო ქემწიფევ,
ჩვენა გვიბოძე ყმანიო“.
ლევანმა ჯარი შეყარა,
ათასი მეომარიო.
აანთო მაშხალეები,
ღამით გაიხნო გზანიო,
ვადადის ნაყავეჩოსა,
ღმერთო, დასწერე ჯვარიო!
ითაბანულის ლურჯაი
ნაყავეჩს გდია მკვდარიო,
გვერთ უზის თავის პატრონი
დასტიროდ როგორც ქალიო.
ვინ გახვალთ გირევის წყალსა.
ვინ გაიმეტებთ თავსაო?
ვინ გავიდ გირევის წყალსა
ვაჟი ლურჯ პერანგიანი?
იქნებოდ საგინაშვილი
ვისაც ანდარეზ ჰქვიანი.
ჩავიდა, ჩამოერია
სახლთ-ხუცის მარქაფითაო,
ნუცალს ჩაუჭრა კარავი
ნაკუდაურის ქმლითაო.
ცოლი ნუცალის ტიროდა:

„ნეტარ ნუცალი რა იქნა?“
— ნუცალი ანდერაზმ მოკლა,
ყორნებს ჩაჰქონდა ბრეჭყალითა!
ლეკთა სტირიან ქალები:
— „აღარ მოგვივლენ ქმარები,
ცხენებს რა უყოთ? ტიალთა,
დაწყვიტეს ლაგამთ ტარები,
ზოგთა სთქვეს: — „ბაშტებს შევყაროთ,
მაგრა დავგულოთ კარები“.
ზოგთა სთქვეს: „მთაზე გავუშვათ,
თავზე წავყაროთ ლაგმები“.
ზოგთა სთქვეს: — „უკუღმ შევკაზმოთ,
ზედ თავად შევსხდეთ ქალები,
გადვიდეთ თუშეთისაკენ,
იქავ შევირთოთ ქმარები“.

ჩაწერილი თუშეთში ივ. ბუქურაულის მიერ: თაყ. 1, № 43, გვ. 71—72. ბოლო თორმეტი სტრიქონის გამოკლებით გადაბეჭდილია — შან., გვ. 378. ივ. ბუქურაულს ლექსთან დაკავშირებით მოჰყავს გადმოცემა ანდარეზას შესახებ. იგი, როგორც ეს აღნიშნული აქვს აკ. შანიძეს, განსხვავდება ბეს. გაბურის მიერ ფიქსირებული ხევსურული გადმოცემისაგან: „თუშების გადმოცემით, ანდერაზ საგინაშვილი იყო კახეთის თავადიშვილი. რაღაცა მძიმე დანაშაულობისათვის მეფე ლევანმა ჩასო ანდერაზი საპყრობილეში და როდესაც ქართველი ჯარი მიდიოდა თუშეთში, საგინაშვილმა სთხოვა მეფეს, რომ მისთვისაც მიეცა ნება, წასულიყო თუშეთში. მეფემ დართო ნება. საგინაშვილი გაჰყვა ჯარს სახლთხუცესის მარქაფით (ცხენით). მტერი შეჰხვდა ერთმანეთს სოფ. გირევის ვაკეზე, პირიქით თუშეთში. ბრძოლის წინ გამოასკუპა ცხენი ლეკების მომეტემ—მურთაზმა და გამოიხმო საბრძოლველად ქართველების მომეტე. გავიდა საგინაშვილი. მურთაზმა მისცა საგინაშვილს წინადადება, რომ შებრძოლებოდნენ ერთმანეთს შიგ პირიქით თუშეთის ალაზანში, რომელიც გირევის ბოლოში ნამეტნავად შფოთავს და ღრიალებს, როგორც დაჭრილი მხეცი. საგინაშვილი დასთანხმდა. თავის ცხენს გამოუცვალა მოსართავი. ტყავის მოსართავის მაგივრად შემოუჭირა აბრეშუმის, რომ წყალში უფრო გამაგრებულიყო. ტყავისა ხომ დაბოშდებოდა და უნაგირი გვერდზე მოექ-

ცეოდა. ორივე მომეტემ ჩაყარა ცხენები წყალში. შუბებით ეკვეთნენ ერთმანეთს. საგინაშვილმა გაჰკრა შუბი, ლეკს უნაგირი გვერდზე მოექცა. მურთაზი წყალში ჩავარდა და დაიხრჩო". თაყ. 1, გვ. 72. გადაბეჭდილია — შან., გვ. 379.

საგულისხმოა, რომ ლექსის თუშურ ვარიანტში და გადმოცემაშიც ლევან ხემწიფედა და მეფედ იწოდება. მის რეზიდენციადაც გრემია და არა თელავი. იქნებ თუში მთქმელები ლექსსა და გადმოცემაში ასახულ ამბავს უკავშირებენ მეთექვსმეტე საუკუნეს, როდესაც კახეთში მეფობდა ლევანი, რომლის დროსაც გრემი უფრო დაწინაურებული ქალაქი იყო, ვიდრე — თელავი (ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქ. ისტ., გვ. 31). აღსანიშნავია, რომ ლექსის მეორე თუშურ ზ ვარიანტშიც ლევანის რეზიდენციად გრემია დასახელებული; როგორც ძირითად ტექსტს შევნიშნეთ, საფიქრებელია, ყველა ვარიანტის ადრესატი იყოს ლევან კახთა მეფე.

ზ

ქაჩურსა მთასა გადმოდის
დიდი ნუცალის ჯარია,
ჩამოდგა გირევის ვაკეს
როგორც ნაგუბარს წყალია.
წოვათის თევდარის ანთაი
ნუცალს მიუვა კარზედა.
წინ დაუდგ ოქროს ლამბაქი,
ზედ კვიცის ხორცი აწყვია,
ზედა დევს დანა ჯავარი,
ტარი უბია გიშლისა,
შიან და ვერა ბედავდეს,
რჯულის გულისთვის კვდებოდეს,
გაიგო ათაბანულამ,
ლურჯას დააკრა ნალები.
საგათენებლოდ ჩავალის
გრემში ბატონის კარზედა:
„ლევანო, ჩვენო ხემწიფევ,
ჩვენა გვიბოძე ჯარია,
თუ ჩვენა არას გვიბოძებ,
ვიქნებით ლეკთა ყმანია".
ლევანმა ჯარი შეკრიფა,
ათასი მეომარია,

აანთო მაშხალებია,
ღამით გაიხსნა გზანია.
გადადის ნაყავეჩოსა,
ღმერთო, დასწერე ჯვარია,
ათაბანულას ლურჯაი
ნაყავეჩს გდია კვდარია,
გვერთ უზის თავის პატრონი,
დასტიროდ როგორც ქალია:
„ვინ გახლავთ გირეის წყლისა,
ვინ გაიმეტებთ თავსაო?“
წინ გავიდ ნაყავეჩის წყალს
ვაჟა ლურჯ-პერანგიანი,
იქნებოდ საღირიშვილი,
ანდერაზმ ვისაც ჰქვიანო,
ჩავიდა, ჩამოერია
მათხუცის მარქაფითაო,
ნუცალს ჩაუჭრა კარავი
ნაკვეთაურის ხმლითაო.
ცოლი ნუცალის იძახის:
„ნეტავ ნუცალი რა იქნა?“
„ნუცალი ანდერაზმ მოკლა,
ყორნებს ჩაჰქონდათ წყლითაო“.
ლეკთა სტირიან ქალები:
ველარ მოგვივლენ ქმარები,
ცხენებს რა ვუყოთ ტიალთა,
დაწყვიტეს ლაგამთ ტარები.
ზოგმა სთქვა: მთაზედ გავუშვათ,
ზედ წავაყაროთ ლაგმები,
ზოგმა სთქვა, უკულმ შევკაზმოთ,
ზედ თავათ დავსხდეთ ქალები,
გადვიდეთ თუშისაკენა,
იქავ შევირთოთ ქმარები.

ჩაწერილი 1893 წ. თუშეთში, სოფ. ალვანში, ალექსი მაჭოშვილის მიერ. უმიკ., გვ. 112 — 113. ეს ვარიანტი ნათელი მაგალითია იმისა, თუ ზეპირსიტყვიერებაში როგორ იცვლება ტექსტი. ზოგი მთქმელი თავისებურად შეცვლის სიტყვას, რითაც ფრაზას უცვლის შინაარსს ან ზოგჯერ აზრსაც უკარგავს. სტრიქ. 10 ზევ. არის გი-

შ ლ ი ს ა ნაცვლად გ ი შ რ ი ს ა. სტრიქ. 11 ქვევ. არის წ ყ ლ ი-თ ა ო ნაცვლად ბ წ კ ლ ი თ ა ო. და სხვ. პ. უმიკაშვილის არქივში დაცულია ლექსის კიდევ ერთი უპასპორტო ვარიანტი, რომელიც მცირე განსხვავებას იჩენს მაჭოშვილის ვარიანტთან შედარებით. ეს განსხვავებანი აღნიშნული აქვს ფ. გოგიჩაიშვილს. სტრიქ 1. ზევ. მ თ ა ს ა — თ ა ვ ს ა; სტრიქ. 7 ზევ. ლ ა მ ბ ა ქ ი — ტ ა ბ ა-კ ი; სტრიქ. 13 ზევ. გ რ ე მ შ ი — გ რ ე მ ს; სტრიქ. 22 ზევ. ნ ა-ყ ა ვ ე ჩ ი ს ა — ნ ა ყ ა ვ ე ჩ ა ს; სტრიქ. 24 ზევ. — ა თ ა ბ ა ნ უ-ლ ა ს — ი თ ი ბ ა ნ ა ურ ი ს; სტრიქ. 30 ზევ. ნ ა ყ ა ვ ე ჩ ი ს — გ ი რ ე ი ს, სტრიქ. 20 ქვევ. — ს ა ღ ი რ ი შ ვ ი ლ ი — ს ა გ ი ნ ა-შ ვ ი ლ ი; სტრიქ. 17 ქვ. მ ა თ ხ უ ც ი ს — ს ა ხ ლ თ ხ უ ც ი ს; სტრიქ. 15 ქვ. ნ ა კ ვ ე თ ა ურ თ ი ს — ნ ა კ უ დ ა ურ ი ს; სტრიქ. 11 ქვ. წ ყ ლ ი თ ა ო — მ წ კ ლ ი თ ა ო; სტრიქ. 6 ქვ. ლ ა გ ა მ თ ტ ა-რ ე ბ ი — რ კ ი ნ ი ს ლ ა გ მ ე ბ ი. ამის შემდეგ კი მხოლოდ ორი სტრიქონია: ზოგთა თქვეს; „ბაშტეს შავრეკოთ, მაგრა დავ-გულოთ კარები“. დანარჩენი ვარიანტები იხ.: ჩაწერილი ფშავში დ. ხიზინაშვილის მიერ. ივ. № 144, 1887 წ. გადაბეჭდილია — შან., გვ. 379. სტრიქ. 11 ზევ. მ უ ცა ლ ი აქვს ჩამწერის შენიშვნა „ლე-კთა ბელადი“. დ. ხიზანაშვილმა ეს ლექსი ფშაური ლექსების კრე-ბულში ორად გაყო. დამოუკიდებელ ლექსებად დაბეჭდა პირვე-ლი 10 სტრიქონი (ფშ. ლექს., გვ. 38) და მეორე 32 სტრიქონი (იქვე, გვ. 39—40). დ. ხიზანაშვილს ეკუთვნის შენიშვნა სტრიქ. 1 ზევ. ჭ ე რ ხ ო — ზ ე მ ო ს ა რ თ უ ლ ი ს ა ხ ლ ი ს ა; ჩაწერილი ფშავში თედო რაზიკაშვილის მიერ. შან., გვ. 380; ჩაწერილი ფშა-ვში ვ. ტუქსიშვილის მიერ. შან., გვ. 380;

ჩაწერილი ივ. ბუქურაულის მიერ, თაყ. 1, № 37, გვ. 66 — 68. ამ და თუშეთში ჩაწერილ სხვა ვარიანტში თუშეთზე მურთაზის მეთაურობით ქისტების დაცემაზეა ლაპარაკი და არა ლეკებისა — მუცალის ხელმძღვანელობით. ალბათ ამან მისცა საფუძველი ივ. ბუქურაულს, რომ იგი შეეტანა ლექსების ციკლში, რომელთა სათა-ურიცაა „თ უ შ ე ბ ი ს ბ რ ძ ო ლ ა ქ ი ს ტ ე ბ თ ა ნ“. თაყ. 1, გვ. 64—71. სხვა ვარიანტი კი მასთან დაკავშირებული გადმო-ცემით შეტანილი აქვს ლექსების ციკლში „თ უ შ ე ბ ი ს ბ რ ძ ო-ლ ა ლ ე კ ე ბ თ ა ნ“. თაყ. 1, გვ. 71 — 96. ამავე ციკლში აქვს შე-ტანილი ივ. ბუქურაულს კიდევ ერთი ვარიანტი, თაყ. 1, გვ. 74 — 75. სინამდვილეში ეს არის ვარიანტები ერთი ტექსტისა, რომელ-ნიც თანაბრად ახასიათებენ ტომთა შორის შუღლის ორივე მხა-

რეს. ამგვარი მოვლენა დამახასიათებელია ზეპირსიტყვიერებისათვის; ჩაწერილი თუშეთში ივ. ბუქურაულის მიერ. თაყ. I, 6 38. გვ. 68 — 69. ტექსტი ბევრ თავისებურებას იჩენს. სხვათა შორის— იმითაც, რომ აქ არც ლევან ბატონიშვილია ნახსენები და არც ანდერაზი. ამავე დროს მოთარეშე რაზმის ბელადი შინ ცოცხალი ბრუნდება. ზოგი სხვა ვარიანტი რომ არ ყოფილიყო, რომელთანაც ამ ტექსტს მაინც აქვს საერთო, შეიძლებოდა იგი ლევან ბატონიშვილის სახელთან დაკავშირებულ ნაწარმოებთა ციკლში არც შეგვეტანა; ჩაწერილი თუშეთში ივ. ბატონიშვილის მიერ, თაყ. I, გვ. 74 — 75.

109. თეკლა-ბიჭი

ამოწერილია ვაჟა-ფშაველას ფელეტონიდან „ორი ამბავი მეფე ერეკლეზე მთაში დარჩენილი". ივ: № 196, 1902 წ. ფელეტონის დასაწყისში ვაჟა-ფშაველა მსჯელობს ხალხური ნაწარმოების ისტორიულ ღირებულებაზე და იძლევა დახასიათებას ერეკლე მეორის ქალიშვილის — თეკლა-ბიჭისა:

„მთაში უბირის კაცისაგან ისეთ რასმე გაიგონებთ ჩვენს სახელოვან ისტორიულ მოღვაწეებზე, რომლის მსგავსს ვერც ერთი ისტორიკოს-არხეოლოგი წიგნების და ნივთების ჩხრეკა-ძიებით ვერ აღმოაჩენს, უსწავლელს, უბირს კაცს არავითარი მზამზარეული შედგენილი აზრი არა აქვს, ამბობს რაც გაუგონია თავისავე მსგავსის უბირის პირით და ხშირად თითონაც არ ესმის, რას ამბობს. სწორედ ამიტომ არის ძვირფასი და საყურადღებო მისი ნაუბარი, მისი მოთხრობა.

აი, მაგალითად, ავიღოთ თუნდ მეფის ასულს, თეკლა-ბიჭზე დარჩენილი ზეპირსიტყვიერ მოცემა. თეკლა-ბიჭს ფშაური თქმულება იცნობს „ბოგუნის" სახელით. თქვენც მკითხველო ეს მამაცი ქალი გმირი მამისა არ უნდა გყავდეთ უცნობი. თვით სახელოვანმა მამამ ასწავლა „სამამაცონი ზნენი". სწვრთნიდა თოფის სროლაში და ცხენის ჯირითში. მართლაც, თეკლა-ბიჭი არც ერთს მოჯირითეს და მსროლელს არ ჩამოუვარდებოდა ჯირითსა და თოფოსნობაში. ადიდებულ, აღვარებულ არაგვში შეაგდებდა ცხენს, ფონს არ ეძებდა და გასცურავდა მეორე ნაპირას. დღეს ამისთანა ქალებს მთაში თუ შეეხვდებით. ჰხედავთ, უბელო ცხენს შემოჰხტომია ქალი და მიაქროლებს ოღრო-ჩოღრო ადგილებზე უკრძალავად და თან მისი ჩიქილა მიფრიალებს ბაირაღის კალთებივით".

თეკლა ბიჭზე არსებულ გადმოცემასთან დაკავშირებით დიდი პოეტი მსჯელობს ერეკლე მეორის დიადი პიროვნების შესახებ.

„ნათქვამია: დრონი მეფობენ და არა მეფენიო. აი დრო, გარემოება და კაცი. ეხლანდელი იუნკერიც არ იკისრებს თავის ტოლ-ამხანაგ იუნკრებს დაუყენოს თავისი ქალი მერიქიფედ, განაღამც თავის ქვეშევრდომ „სალდათებს“ და, თუ მსგავსად შეურაცხყვეს, მოითმინოს. ორის გოჯის სიმაღლეზე გაკეთებულ ქანდარიდგან არ იკისრებს დაბლა ჩამოსვლას. განაღამც იალბუზის წვერიდგან პირდაპირ უფსკრულში გადმოხტეს. მაგრამ განა ყველა გმირია?!...

დიახ, დიდებულმა გმირმა-მეფემ იკისრა მწვერვალიდგან დაბლა ჩამოსვლა და, ვინ იცის, სხვა რამდენს რასმე კისრულობდა (მოიგონეთ ტოტლებენს რომ დაუჩოქა) მხოლოდ იმ განზრახვით, — ერი გაეერთგულებინა და მით საქვეყნო საქმე კეთილად წარემართა. შეიძლება ეს მაღლიდან დაბლა ჩამოსვლა ბევრჯელ ბევრში ჰვნებდა, მაგრამ რომ ბევრ შემთხვევაში გამოსადეგიც იქნებოდა, ეს უეჭველია“. ივ. № 196, 1902 წ.

110. ძაღლიკა ხიმიკაური

ჩაწერილი ხევსურეთში, შან. № 117, გვ. 45. გადაბეჭდილია სახ. გმ., გვ. 47. ქ ა ლ დ ი მ ი — ხ მ ა ლ ი. ძაღლიკა ხიმიკაურს დიდი სიმამაცე გამოუჩენია ასპინძის ომში. ვაჟა-ფშაველას ცნობით, „ძაღლიკა ხიმიკაურს იმ ვაჟკაცობისა და ერთგულობისათვის, რაც მან ასპინძის ომში გამოიჩინა, მეფე ერეკლემ სიგელით დიდი მამული უბოძა“ (ივ. № 196, 1902 წ.).

111. ხიმიკაურის ხმალი

ამოწერილია ვაჟა-ფშაველას ფელეტონიდან „ორი ამბავი მეფე ერეკლეზე მთაში დარჩენილი“. ივ. № 196, 1902 წ. ამგვარად ტექსტი უშუალო ჩანაწერი არ არის. რედაქტირებულია საფელეტონოდ დიდი პოეტის მიერ.

112. ძაღლიკა ხიმიკაურის ხმალი

ჩაწერილი 1937 წელს ზემო ალვანში ალექსანდრე მამულაშვილის მიერ (აწ გარდაცვლილი თელავის მუზეუმის ყოფილი დირექტორი).

ალ. მამულაშვილს ტექსტისათვის წამძღვარებული აქვს შენიშვნა: „ამ ლეგენდის ერთი ვარიანტი ვაჟა-ფშაველას აქვს მოცემული თავის ლექსში „ძაღლიკა ხიმიკაური". ჩვენ მიერ ქვემოთ ჩაწერილი მეორე ვარიანტი. პირველისაგან განსხვავდება და ამიტომ ინტერესს მოკლებული არ არის". ტექსტის დასასრულსაც ჩამწერი შენიშნავს: „ეს ხმალი და მასში მოცემული ერეკლეს ოქროს ზარნაშიანი თოფი ეხლა თელავის მუზეუმშია მოთავსებული. თოფი შედარებით კარგად არის შენახული, ხმალს სადავე და ქარქაში აღარ უვარგა. ყუასთან ლომი აქვს გამოსახული და ისევ კარგი ჭრა აქვს. კვერით გამოპირვა ეტყობა".

ტექსტი 1943 წელს ამოვწერეთ ალ. მამულაშვილის რვეულიდან, რომელიც მან თვითონ მწერალ ქეთევან ირემაძესა და ჩვენ თავაზიანად დაგვითმო თელავში მუზეუმის დათვალიერებისას. გადმოცემა რედაქტირებული უნდა იყოს ჩამწერის მიერ. თელავის მუზეუმში ა. მამულაშვილმა ქეთევან ირემაძესა და ჩვენ გვაჩვენა ხმალი და თოფი, რომლებიც იქვეა დატული. ხმალი პირადად მას 1937 წელს შეუძენია ზემო ალვანში დილოიძეთა შთამომავლებისაგან. თოფი კი ახმეტაში 1938 წელს, ხევსურის ოჯახში, თოფი ხევსურს წაეღო რომელიღაც ოსტატთან ახალ ყაიდაზე გადასაკეთებლად.

ალ. მამულაიშვილისთვის, როგორც სიძველეთა შემკრებისათვის, უცნობებიათ, რომ საინტერესო თოფია. მას თოფი უნახავს, გამოუკითხავს პატრონისათვის მის შესახებ, დარწმუნებულა, რომ იგი ერეკლესეული უნდა ყოფილიყო და შეუძენია ლიქოკელისაგან (ალ. მამულაიშვილის ცნობით ხიმიკაურთა შთამომავალი). ლულა დაემოკლებინათ. კონდახი გატეხილი ჰქონდა და ალ. მამულაშვილს აღედგინა.

ბ

სახელოვან ასპინძის ომში თუშებიც იღებდნენ მონაწილეობას. ერთმა თუშმა დილოიძემ ისეთი ვაჟკაცობა გამოიჩინა, რომ მეფე ერეკლეს ყურადღება დაიმსახურა. როდესაც ქართველებმა მტერი შემუსრეს და ძლევამოსილნი ბრუნდებოდნენ სახლში, იმათ დაისვენეს წალკის სერზედ (ტფილისის მაზრა). აქ მეფე ერეკლემ მოიხმო გმირი დილოიძე და ჰკითხა: „შენ იმისთანა ვაჟკაცობა გამოიჩინე და ერთგულება გამიწიე ამ ბრძოლაში, ჩემო თუშო (თუ-

შების სიტყვით „ჩემო თუშო“ ჩვეულებრივი მიმართვა იყო ერეკლესი), რომ ჩემი მხრით დაჯილდოების ღირსი ხარ. მითხარი, რა გსურს რომ აგისრულო?

— რა უნდა მსურდეს, ბატონო მეფევ. შენი სიცოცხლის მეტი“! მეფე კიდევ დაეკითხა — რა სურდა, მაგრამ დილოიძე მაინც ჯიუტობდა. მაშინ მეფემ გადაჰხედა მის ფეხთ ქვეშ გაშლილს წალკის ხეობას და უბრძანა: „აი, ეს ხეობა მიჩუქებია შენთვის“. თუშმა უარი უთხრა.დილოიძემ სთხოვა მეფეს, რომ წალკის ხეობის მაგიერ ებოძებია ერთი ხევსურის ხმალი, მეფემაც დაუკმაყოფილა სურვილი, ხევსურს გამოართვა ხმალი და სამაგიეროდ ამ ხმლის წონა ოქრო უბოძა.

თუშების თქმით, ეს ხმალი აქვთ დილოიძის შვილიშვილებს. ამ რამდენიმე წლის წინათ მეც ვნახე ხმალი და ძალიან პირმოცვეთილი იყო.

მოყვანილია ივ. ბუქურაულის წერილში „თუშების თქმულებანი მეფე ერეკლე II-ის შესახებ“. ივ. № 119, 1895 წ.).

113. თქმულება ბობღიაშვილზე

მოყვანილია ივ. ბუქურაულის წერილში „თუშების თქმულებანი მეფე ერეკლე II-ის შესახებ“. ივ. № 118, 1895 წ. სათაური ჩვენ გვეკუთვნის. თქმულება მოყვანილია მეფისადმი თუშების უდიდესი ერთგულების საილუსტრაციოდ. ივ. ბუქურაულის მოსაზრებით, „ერთი იმ თორმეტ გმირთაგანია თვით ის ბობღიაშვილი უნდა იყოს, რომელმაც ისახელა თავი ასპინძის ომში: „კორიო ბობღიაშვილი — აქებენ; — რეებს შვრებაო? — გამგელებულა ეს თუში. წინ ვერვინ დაუდგებაო“ (თხზულ. რ.ერისთავისა, ტ. 1, „ასპინძის ომი“).

144. დილოიძე

ჩაწერილი თუშეთში ივანე ბუქურაულის მიერ, თაყ. 1, № 70, გვ. 91 — 93. ტექსტს დართული აქვს ივ. ბუქურაულის შენიშვნა, რომელიც საგულისხმოა ერეკლეს თანამედროვე, ასპინძის ომის მონაწილე სახალხო გმირის — დილოიძის დასახასიათებლად და თვით ერეკლეს პიროვნების გასაცნობად, რომ ის აფასებდა სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს:

„დილოიძე ის ვაჟკაცია, რომელმაც ისეთი ვაჟკაცობა და გმირობა გამოიჩინა ასპინძის ომში. რომ მეფე ერეკლემ, როგორც გვაუწყებს გადმოცემა თუშებისა, შეაძლია მთელი წალკის ხეობა საშვილისშვილოდ. მაგრამ მან არ ინდომა ეს წყალობა და სამაგიეროთ სთხოვა ერთი ხევსურის ხმალი. ერეკლეს აესრულებინა თხოვნა. ეს ხმალი დილოიძის შვილიშვილებიდან გადავიდა ერთი თუშის ხელში, რომელსაც დღესაც აქვს. სხვა ვარიანტით ომიდან შინ დაბრუნების დროს ერთს თავადიშვილს მოეკლა დილოიძე უჯარმის ახლო-მახლო ღალატით ხმლის გულისათვის“ იქვე, გვ. 95.

№№ 115—122—„ერეკლესა და მაიას შეხვედრა“, „მაიას დაობლება“, „მაიას უაჩაღად გაგარდნა“, „მაიას დატუვეება და სიკვდილი“, „შენი ჭირიმე მაია“, „მაიას თავგადასავალი“, „მათე-მაიას ჭირიმე“, „შარაზე იწვა უშრაგად“

მოყვანილია ალ. გარსევანიშვილის წერილში „გმირი ქალი, მათე ყაჩაღად წოდებული“ (მე-18 საუკუნის საქართველოს ისტორიიდან). „სამშობლო“, №№ 102, 103, 104, 1915 წ.; იმავე ავტორის მიერ უფრო შემოკლებით ეს წერილი დაბეჭდილია „ახალ ქართლში“ №№ 20, 21. 1915 წ. ლექსები №№ 115, 117, 110, 111, გადაბეჭდილია სახ. გმ. გვ. 49—53. ერეკლე მეორის თანამედროვე და თანამებრძოლ გმირ ქალზე მაია წყნეთელზე ისტორიული ცნობები არ შენახულა.

ამ გმირი ქალის ცხოვრებისა და საგმირო საქმეების საკმაოდ ერცელი დახასიათება ზეპირსიტყვიერი მასალების მიხედვით პირველად მოცემული აქვს დიმ. ჯანაშვილს წერილში „ისტორიული სურათები“ (ივ. № 12, 1882 წ.). ალ. გარსევანიშვილი დასახელებულ წერილში აღნიშნავს, რომ მაია წყნეთელის ცხოვრებისა და საგმირო ამბების დახასიათებისას აღნიშნული ლექსების გაოდა იგი სარგებლობს „თვით მნახველ და მომსწრე პირთაგან დატოვებული მოთხრობით“ („სამშობლო“, № 102, 1915 წ.).

ალ. გარსევანიშვილის ცნობით, მაია წყნეთელი დაიბადა სოფ. წყნეთში XVIII საუკ. ორმოციან წლებში. მამა ყოფილა საბატონო გლეხი. დედა კი — მცხეთელი ქალი. იგი მომხიბვლელი გარეგნობის ყოფილა. ბატონს მისთვის ნამუსი აუხდია. რის გამოც მამას თავი ჩამოუხრჩვია. დედა — კი შიმშილით მომკვდარა. ეს გარემოება არის ასახული ლექსში „მაიას დაობლება“. ალ. გარსევანიშვილს შემდეგ აწერილი აქვს ვაჟურად გადაცმული მაიას

მისვლა ერეკლე მეორის კარზე ისე, როგორც ეს დ. ჯანაშვილის „ისტორიულ სურათებშია“ გადმოცემული. ამაზეა ნათქვამი ლექსი „ერეკლესა და მაიას შეხვედრა“. ალ. გარსევანიშვილის წერილში ამის შემდეგ გადმოცემულია მათე-მაიას საგმირო ამბები. ლეკების წინააღმდეგ ბრძოლისას მათე-მაიას აღტაცებაში მოუყვანია მეფე. გადმოცემის მიხედვით, გამარჯვების შემდეგ „იგი (მეფე — ქ. ს.) სიამოვნებით გადაეხვია მათეს, ორთავ ლამაზ თვალებში აკოცა და თან მხიარულად შესძახა: „შენ კი გენაცვალე, ჩემო მათე, კაცი შენა ყოფილხარ და ქუდიც შენა გხურებია“ („სამშობლო“, № 102, 1915 წ.). სიმამაცე გამოუჩენია მათე-მაიას სოლანლუხის ახლოს თათრების წინააღმდეგ ბრძოლაშიც. თბილისში დაბრუნებულ გმირისთვის მეფეს მთელი ჯარის წინაშე მიუმართავს: „სახელოვანო ჭაბუკო! დღეიდან შენ მე ნამდვილ შვილად მიმაჩნიხარ... ისე სვინდისიერად და თავგამოდებით შეასრულე მამულიშვილური მოვალეობა, რომ ამაზე მეტი აღარ შეიძლება ადამიანმა მოგთხოვოს... ნებას გაძლევ, დღეიდამ აღარ მიწოდო მეფე, არამედ — მამა!“ (იქვე). ალ. გარსევანიშვილს მოთხრობილი აქვს მათე-მაიას ერეკლე მეორესთან დაახლოების შესახებ. გმირი ქალი იბრძოდა არა მარტო გარეშე მტრების წინააღმდეგ, არამედ— შინაურისაც. იგი იბრძოდა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. ეს გარემოება არის გადმოცემული ლექსებში „შენი ჭირიმე მაია“ და „მათე-მაიას ჭირიმე“. მათე-მაიას დაუხსნია უზნეო ბატონის მიერ სპარსელებზე გაყიდული თორმეტი გოგო-ბიჭი და მიუყვანია მეფის კარზე. ალ. გარსევანიშვილის წერილის მიხედვით, „ამ სურათმა საშინლად ააღელვა მეფე. მან არ იცოდა, რა ეთქვა პასუხად მათესათვის. ამ ამბის მთხრობელთა სიტყვით“ მეორე დღესვე მეფემ მოიწვია სასახლეში მღვდელმთავრები. ჯვარით და სახარებით სამღვდელოებამ შეაჩვენა ბოროტი ბატონების საქციელი“ („სამშობლო“, № 103, 1915 წ.). ბოროტი პირები, რომელთაც მაია ამხელდა მეფესთან, გადამტერებია გმირ ქალს. ერთ-ერთ მათგანს დაურწმუნებია მაია, თითქოს მეფეს განზრახული ჰქონდა მისი სიკვდილი. მაია უაჩაღად გავარდნილა თრიალეთისაკენ. ამაზეა შექმნილი ლექსი „მაიას უაჩაღად გავარდნა“. თრიალეთში იმ ადგილს, სადაც მაია იმალებოდა, შერქმევია „მაიას საბუდარი“. ბატონებისაგან დევნილი, ღარიბების მოსარჩლე მათე უაჩაღი სომხეთში გადასახლებულა. ხალხში კი ხმა გავრცელებულა, თითქოს იგი მოეკლათ. მათე უაჩაღს მტრის თავდასხმისას სიკვდილისგან გადაურჩენია მეფე. მეფეს უკითხავს: „ძმობილო, ვინა ხარ

"შენ ეგეთი გმირიო?" მათე-მაიას გაუმხელია თავისი ვინაობა და მოუხსენებია მეფისათვის ბატონთა ინტრიგების შესახებ. „ამ ამბავ გაგონებამ მეტად გააკვირვა მეფე ერეკლე. იგი გაოცებული დიდ-ხანს სდუმდა და ხევდით შეპყრობილი უყურებდა იშვიათ მეომარს და თავის მახლობელ ერთგულ მათეს..." („სამშობლო", № 104, 1915). ეს ამბები გადმოცემულია ლექსში „მაიას თავგადასავალი". მაია წყნეთელს მონაწილეობა მიუღია სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი ტყვედ ჩავარდნია მტერს, გამოპარულა, მაგრამ გზაში ერევნის ახლოს სპარსელებს სასიკვდილოდ დაუჭრიათ. ამ-ზე არის ნათქვამი ლექსი „მაიას დატყვევება და სიკვდილი". ალ. გარსევანიშვილის წერილში ეს ლექსი ორ ტექსტად არის მოყვა-ნილი. პირველი შეიცავს დასაწყის რვა სტრიქონს. მეორე კი — შემდეგ 20 სტრიქონს. ჩვენ ეს ორი ტექსტი ერთ ლექსად მიგვაჩ-ნია და კრებულში შევიტანეთ ერთი სათაურის ქვეშ.

მაიას სიკვდილზე შექმნილ ლექსში „შარაზედ იწვა უძრავად" მაია თბილელად იწოდება. ალ. გარსევანიშვილის მიერ ფიქსირე-ბული გადმოცემების მიხედვით მაიას „ქართლში ასე უძახდნენ" („სამშობლო", № 102, 1915 წ.). ჩვენ მართებულად მიგვაჩნია ალ. გარსევანიშვილის მოსაზრება, რომ ლექსში „მაიას დატყვევება და სიკვდილი" მოხსენებული „დაკოდილი ყაენი" არის აღა-მაჰმად-ხანი და ამ ციკლის სხვა ლექსებიცა და გადმოცემებიც სპარსელე-ბის საქართველოზე თავდასხმაზე ასახავს სწორედ აღა-მაჰმად-ხა-ნის ჯარების წამოსვლას ერევანზე. ეს უკანასკნელი საქართველოს მფარველობის ქვეშ იყო.

ალ. გარსევანიშვილის მიერ ფიქსირებული ზეპირი მოთხრო-ბებით, მაია წყნეთელის სახელი დიდხანს ყოფილა პოპულარული. იგი ფიზიკური ძალისა და გამბედაობის სინონიმი ყოფილა („სამ-შობლო", № 104, 1915 წ.). ამგვარად, ალ. გარსევანიშვილმა ზეპი-რი ნაწარმოებების საშუალებით, დიმ. ჯანაშვილთან ერთად, აღად-გინა ერთი საინტერესო ისტორიული პიროვნება მაია წყნეთელი. ზოგი ლექსი ალ. გარსევანიშვილს ფიქსირებული ჰქონია ვარიან-ტებად. ასე, მაგალითად „შენი ჭირიმე მაია" ლექსში ქვევ. 3—4 სტრიქ. ერთ შემთხვევაში იკითხება „ცხონებულ იყოს დიაცი,
მისსა ვიტყოდეთ ქებასა"
(„სამშობლო");

მეორე შემთხვევაში — კი „აცხონოს ღმერთმა მაია,
ვიტყოდეთ მისსა ქებასა" („ახალი
ქართლი", № 21. 1915).

123. გადმოცემა მაია წუნეთელზე

ამოწერილია დიმიტრი ჯანაშვილის წერილიდან „ისტორიული სურათები“, სადაც იგი იძლევა შესანიშნავი ქართველი ქალების დახასიათებას სათაურით „ქართველი ქალი“, ივ. № 12, 1882 წ. გვ. 76—81.

დასახელებულ წერილში დიმიტრი ჯანაშვილი მაია წუნეთელის, თინა წავკისელისა და თამშრო ვაშლოვანელის შესახებ წერს: „ქართლის ცხოვრებაში“ „ბევრის გმირის დედაკაცის სახელი არის გამოტოვებული. მაგალითად, მე-18 საუკუნეში მოქმედებენ სამნი გლეხის ასულნი. იმათი გული ისე დამწვარ-დადაგული ყოფილა სამშობლო ქვეყნის მწარე მდგომარეობითა, რომ ვეღარ მოუთმენიათ და ქალობაშივე აუღიათ ხელში ხმალი მტრის გასაწყვეტად.

ასეთი ქალები იყვნენ წუნეთელი მაია, წავკისელი თინა და ვაშლოვანელი თამრო. თვალთ მნახველთ და მომსწრე პირთ დაუტოვებიათ მოთხრობა, რომ ისინი ბევრჯელ გაპყოლიან მეფე ერეკლეს ლაშქარში. და გამოუჩენიათ დიდი უშიშროება, მხნეობა და ვაჟკაცობა. არა ერთხელ თვითონ წასძოლიან ჯარს, გაუმხნევებიათ მამაკაცნი და, დიდად დაუმარცხებიათ მტერი. ისინი ებრძოდნენ თურმე არა მარტო გარეშე მტერს, არამედ შინაურსაც, რადგან მათის სიცოცხლისათვის გაუკრავთ კლანჭი შხამიან დროთა შვილებს. მათი მოქმედების ასპარეზზე გამოსვლის მიზეზი ყოფილა ბატონთა ავად მოპყრობა“. ივ. № 12, 1882 წ. გვ. 76 — 81.

№№ 124—128 „თამრო ვაშლოვანელი“, „ვაშლოვნელების ვიდა მისცემს“. „თამრთ ვაშლოვანელსა“, „თრიალეთს დიდსა საუდარში“.

ჩართულია გადმოცემაში, რომელიც მოყვანილია დიმ. ჯანაშვილის წერილში „ისტორიული სურათები“ (ივ. № 12, 1882 წ. გვ. 85 — 89). როგორც გადმოცემიდან ჩანს, თამრო ვაშლოვანელიც, მსგავსად მაია წუნეთელისა, ერეკლე მეორის თანამებრძოლი, ფალავნობით განთქმული გმირი ქალი ყოფილა. მას არა ერთხელ უსახელებია თავი თათრების წინააღმდეგ ბრძოლაში. თამრო ვაშლოვანელი იბრძოდა აგრეთვე უზნეო ბატონების წინააღმდეგაც. ბატონების ინტრიგების შედეგად ისიც. უაჩაღად .გავარდნილა. გადმოცემის მიხედვით, თამრო ვაშლოვანელი დახრჩობის მიზნით მტკვარში ჩაუგდიათ. წყალს იგი ბურჯზე მიუხეთქებია. თამრო დახრჩობას გადარჩენილა, ბურჯზე ასულა, მაგრამ დასუსტებული იქიდან ვერ ჩამოსულა და მშიერ-მწყარვალი იქვე მომკვდარა (ივ.

№ 12, 1882 წ.). თავის „ისტორიულ სურათებში“ დ. ჯანაშვილი შენიშნავს: „თამრო ვაშლოვანელის მოქმედება უფრო ვრცელია. ვიდრე შაიასი და თინასი (იგულისხმება თინა წავკისელი ქ. ს.). სოფელი ვაშლოვანი არის კოჯრის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. თამრო დაბადებულა აქ XVIII საუკუნის დამლევს. მისი დედ-მამანი ყოფილან გლეხნი. მისი ძმა მომკვდარა თბილისს. 1817 წელს და იმას უამბნია თავის დაზე ბევრი რამ გასაკვირი, მაგრამ. სამწუხაროდ, ყველა მისი მოქმედება დაწვრილებით არ არის მოხსენებული მისი ცხოვრების დამწერისაგან. რაც არის დაწერილი, ჩვენ იმასაც მოკლედ მოვიხსენიებთ“ (ივ. № 12, 1882 წ. გვ. 84 - - 85). ჩვენთვის უცნობია, რა დაწერილ ცნობებს გულისხმობს დ. ჯანაშვილი. იქნებ მას ხელთ ჰქონდა ჩანაწერი თამრო ვაშლოვანელის ძმის ნაამბობისა, რაზედაც ლაპარაკია „ისტორიულ სურათებში“. ლექსი „მანდ რო ქალი დავიკარგე“, თამრო ვაშლოვანელის შესახებ შექმნილ ნაწარმოებთა ციკლში შემოგვაქვს პაატა თემურიშვილზე ლექსის გამო ვახტანგ კოტეტიშვილის შენიშვნის საფუძველზე. ვახტანგ კოტეტიშვილის შენიშვნის მიხედვით. პაატა თემურიშვილს „მიაწერენ ვაშლოვანელი გლეხის ქალის თამარის ტყვეობიდან გამოხსნას. გავრცელებული ლექსი არის: „მანდ რომ ქალი დავიკარგე, განჯას თათარსა ვყევარო...“ ეს თამრო, ვაჟურად გადაცმული თურმე, ყველა ომში მონაწილეობდა. ერთ-ერთი ბრძოლის დროს თამრო თათრებს ტყვედ ჩავარდნია. ეს ამბავი ერეკლეს რომ გაუგია, მუხლებზე ხელი დაურტყამს, ვაიმე შვილო თამროვო, მაშინვე ერეკლეს ეს პაატა თემურიშვილი დაუბარებია და უთქვამს, რათაც უნდა დაგიჯდეს. უნდა გაიგო თამროს ამბავი და დაიხსნაო. პაატა დატრიალებულა, გაუგია, რომ ყარაბაღში ჰყოლიათ ეს ქალი. გადაუცვამს იქაური ტანისამოსი, გადასულა ყარაბაღში და მარტოს გამოუტაცნია ქალი“. კოტ., გვ. 374—375.

129. გადმოცემა თამრო ვაშლოვანელზე

ივ. № 12, 1882 წ. ამოწერილია დიმიტრი ჯანაშვილის წერილიდან „ისტორიული სურათები“.

№ 130—131. „თინა წავკისელი ერეკლე მეორეს“, „პასუხად თინა წავკისელს“

ჩართულია დ. ჯანაშვილის წერილში „ისტორიული სურათები“ (ივ. № 12, გვ. 82—84). ლექსი № 130 გადაბეჭდილია სახ. გმ., გვ. 53.

თინა წავკისელის ბიოგრაფია ანალოგიურია მაია წყნეთელის ბიოგ-. რაფიისა, რასაც აგრეთვე ვეცნობით დ. ჯანაშვილის მიერ ფიქსირებული გადმოცემით. იგი მოთხრობილია დასახელებულ წერილში (ივ. № 12; 1882 წ., გვ. 82—84).

132. გადმოცემა თინა წავკისელზე

ამოწერილია დ. ჯანაშვილის წერილიდან „ისტორიული სურათები“, ივ. № 121, 1882 წ., გვ. 82 — 84. თინა წავკისელის შესახებ არსებული გადმოცემის ერთ-ერთ მთქმელად დ. ჯანაშვილი ასახელებს ასლან ბებუთოვს. ივ. № 12, 1882 წ., გვ. 84.

133. გელა ნათელაშვილი

ჩაწერილ ქართლში, დუშეთში, ვ. კარბელაშვილის მიერ. კოტ., გვ. 209 — 211. მცირედ განსხვავდება გასულ საუკუნეში დაბეჭდილი ტექსტისაგან, დრ. № 169, 1878 წ. გადაბეჭდილია — სახ. გმ., გვ. 54—56, სტრიქ. 4 ზევ. არის ფშეგის. არ არის მთლიანად სტრიქ. 22, ზევ., სტრიქ. 27 ზევ. შესრულდა ნაცვლად არის შეიქნა; არ არის მთლიანად სტრიქ. 33 — 34 ზევ., სტრიქ. 37 ზევ. გიგილა ნაცვლად არის გ'ი ორგი; სტრიქ. 47 ზევ. როგორც ნაცვლად ვითა; სტრიქ. 4 სადა 5 შუა არის ორი სტრიქონი: „ისე ამბობდა გიორგი ლაშქარში მეფისთვისაო“.

გელა. იგივე გიორგი ნათელაშვილი, ერეკლე მეორის თანამებრძოლი გმირი ყოფილა სოფ. ბაზალეთიდან, იგი აგრეთვე. ბაზალეთელადაც და ვერძეულადაც იწოდება. ვერძეულები ამჟამადაც ცხოვრობენ სოფ. ბაზალეთში. როგორც ჩანს, ლექსებისა და გადმოცემების ციკლიდან, მას ბევრჯელ უსახელებია თავი საქართველოში მოთარეშე ლეკებისა და თათრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ზ. ჭიჭინაძის ფელეტონის მიხედვით, ეს ლექსი გელას თანამედროვეს, მტრის წინააღმდეგ მისი საბედისწერო ბრძოლის ერთ-ერთ მონაწილეს გამოუთქვამს. აი რას გვაუწყებს ფელეტონში „გელა ნათელაშვილი ერთგული რაინდი მეფე ერეკლესი“ ზ. ჭიჭინაძე: „წარსულს საუკუნეში, მეფე ერეკლის დროს, საქართველოში ცხოვრობდა ერთი გამოჩინებული და მეფის ერთგული გლეხი, სოფ. ბაზალეთს, გელა ნათელაშვილი, რომელიც ისეთი მეფის ერთგული, ღონიერი და მეომარი კაცი ყოფილა, რომ მის დროს

მისებრივი არავინ მოიძებნებოდა საქართველოში. ბევრს ალაგას გამოუჩენია სიქველე მეფის წინაშე და ბევრს ალაგიდგან მარტოდ-მარტოს განუდევნია მტერი შინიდგან, ამისათვის ის მეფესაც ძალიან ჰყვარებია, როგორც ამბობს ჩვენი ხალხი. აი, რამდენიმე ცნობა, რომელიც მასზე გამიგონია ჩვენი მოხუცებულებისაგან.

ნათელაშვილი ისეთი დიდი ღორისა და ცხვრის პატრონი ჰყოფილა, რომ მთელი არაგვის ხეობის მთა და ველი მასა სჭერია მეფე ერეკლეს ბრძანებით და იმასაც მაგიერი ბევრი შემწეობა უჩვენებია ერეკლესათვის: ასობით და ორასობით ღორი მიურთმევია ჯარებისათვის, ხშირად ორასი და სამასი ფუთი ჯაგარიც.

როდესაც სადმე მტერი დაეცემოდა ხოლმე საქართველოს, გელა ნათელაშვილი რამ წამსვე შეიტყობდა, თავის გამოჩენილ მეომრებით ხელდახელ ცხენებით დაერჭობოდა ხოლმე მტერს. განდევნიდა, ტყვეებს დაიხსნიდა და ისე გამობრუნდებოდა შინ. ბევრს ომებში ყოფილა გელა და ბევრს ალაგას გამოუჩენია იმას სიქველე და მამაცობა მეფის წინაშე.

ერთხელ გელას მეფე ერეკლესაგან შიკრიკი მოუვიდა, ამ მოკლე ხანში დაღესტნიდან ლეკის ჯარი ემზადება ქართლის ასაოხრებლად და რანაირად უპატრონებ ქართლსაო.

შიკრიკის მიღებისთანავე, გელა მოაგროვებს თავის მეომარ ამხანაგებს, რომლებიც შეიმოსებიან თოფ-იარაღში და წავლენ მტერთან, მცხეთის ზემოთ, სოფელ ნატახტრის გვერდზე.

ამ დროს გელას ერთი ირემი შეხვდება არაგვის პირზე. გელა ესვრის თოფს და მოჰკლავს, დაანთებენ ცეცხლს, ირემს ხეზე ჩამოჰკიდებენ და მეომრები დაიძინებენ. დარჩება გელა მღვიძარე. იგი მოიხსნის იარაღსა და დაუწყებს ირემს ტყავებას. შუაღამე რომ შეიქნება, ერთბაშად მტერი გარშემო შემოერტყმის ჩუმათ. გიორგი რომ დაინახავს მტრის ჯარს, შეჰყვირებს მრისხანეს ხმით: ვინა ხართო? აბა, აქ მოდით, სულ ამ ღორის ხორცით მოგთხუპნითო!

ლეკებს ირემი თურმე ღორი ეგონათ და ეს რო გაიგონეს. უკან დაბრუნდნენ. ამ სიტყვებით გადარჩა გელა იმ ღამეს. მეორე დღეს გააღვიძებს ამხანაგებს და შეექმნებათ ფიცხელი ომი. მტერზე გაიმარჯვებენ და გათენებისას ტყვეებითა და ნაშოვნით ქალაქისაკენ დაბრუნდებიან მეფესთან. დიღმის მინდორს რო გამოვლენ, შეხვდებიან ლეკების ჯარს და დიღმის მეცხვარეებს, რომლებიც ტყვედ წაუყვანიათ ლეკებს დიღმიდგან საქონლით. აქაც გაუჩნდებათ ომი და გელა დაამარცხებს ლეკებს, ტყვეებს გაათავისუფლებს და წამოვა მეფესთან გამარჯვებული. მეფე დიდად დაუმადლებს იმას.

გელა ნათელაშვილი თავის ამხანაგებით მეორე დღეს წავ-
მანგლისისაკენ, რადგანაც იქაც დიდი შიში ჰყოფილა. მანგლისთან
რომ მივა, შეემთხვევათ დიდი ბრძოლა. აქ, სხვათა შორის, გიორ-
გის დასჭრიან, რადგანაც პირველად და პირდაპირ ის შევარდება
მტრის რაზმში საომრად.

როგორც იძახიან ჩვენი მოხუცებულები, ეს ლექსი ერთ აქ
დამსწრე მეომარს გამოუთქვამს გელა ნათელაშვილზედ. ნათე-
ლაშვილს სახელად სწოდებია გიორგი, რადგანაც საშინელი მეომა-
რი კაცი ყოფილა და მეფის ერთგული, ამის გამო ლეკებს და თათ-
რებსდაურქმევიათ „გელა“ (მგელა). როცა გელა ცხოვრობდა,
ვერც სპარსეთიდგან და ვერც დაღესტნიდან მტერი ვერ მოდიო-
და საქართველოში, რადგანაც გელას რაინდობა, მეფის, მამულის
მტკიცე სამსახური და ქართველების სიყვარული მთელ სპარსელ-
ლეკებში მოფენილი ყოფილა“. დრ. № 169, 1878 წ.

გელა ნათელაშვილის შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა
მისი შთამომავალი, ე. ი. შვილიშვილის შვილი, ახლა ღრმად მოხუ-
ცებული, სოფ. ბაზალეთის მკვიდრი 100 წელს გადაცილებული, მე-
ტად საინტერესო მთქმელი, თავის დროზე ცნობილი მომღერალი
გიორგი სანდროს ძე ნათელაშვილი — შერქმეული სახელით — ფა-
რინე. ჯერ კიდევ 1939 წელს, როდესაც იგი 75 წლისა იყო, ფოლ-
კლორული ექსპედიციის წევრს პოეტ გიორგი კალანდაძეს მაშინ
ჩააწერინა შემდეგი: „ძველად ქისტებს ცხვარი წაუსხამთ, მაგრამ
უკანვე რომ წამოუყვანიათ, ცხვარს ერთი ბავშვი გამოჰყოლია ქის-
ტისა.

მთელი ღამე არ ეძინებოდა თურმე და დაურქმევიათ უძილა-
ური. მერმე ქართველი ქალი შეურთავთ მისთვისა. ბაზალეთს,
მთქმელის აზრით, უნდა გადმოსახლებულიყო პირველად მთქმე-
ლის პაპა, გელანა ნათელაშვილი, რომელსაც, სახის სინათლის მი-
ხედვით შეარქვეს ნათელაშვილი გვარად“. ფ. არქ. № 20870.

გიორგი ნათელაშვილმა—ფარინემ 1959 წ. ივლისში, როცა ფოლ-
კლორისტი აპ. ცანავა ბაზალეთში იწერდა მის რეპერტუარს, აცნობა
შემდეგი: „გელა ნათელაშვილი სარქალი მწყემსებისაო“ თუ გაგიგო-
ნია, პაპა იყო ჩემი. აი. ახლაც იმ სახლში ვდგევარ გიორგი ნათელა-
შვილმა—ფარინემ გელა ნათელაშვილის შესახებ აპ. ცანავას დამატე-
ბით უამბო: „გელანა იყო მამიჩემის მამის მამა, სანდრუას მამა
თევდორე, თევდორეს მამა გელანა. ცხოვრობდა აქვე, იმის ხეებია
აქა, მის ნასახლარში ვდგევარ. გელანა იყო ქისტის შვილი, ფშავ-
ლებმა მოიპარეს ქისტების ცხვარი, ეს ბავშვიც გამოყოლია. შემ-
დეგ მოუნათლიათ, ამიტომ დაგვრქმევია ჩვენ ნ ა თ ე ლ ა შ ვ ი-

ლ ე ბ ი. მერე გელანას 15 ბიჭი ყოლია. გელანასთვის ტყისპირას მიუციათ აქ სამოსახლო, ლეკები გვეცემიან და ის დაგვიფარავს“. გელა ნათელაშვილისადმი ხალხის დიდი სიყვარულის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ სიმღერა სახალხო გმირზე მესტვირეთა რეპერტუარში შედიოდა, ამაზე პირდაპირ მიუთითებს ბ ვარიანტის შესავალი სტრიქონები.

ბ

ადიმელო საზახდარო,
ბედი ახსენე ღვთისაო,
ან მაგ ქამანჩას დაუკარ,
ან ბაგ პატარა სტვირსაო...
მანგლისში ღორი დამდგარა,
საით რა იქამს პირსაო,
გაბართეს სადოლოები
ქოხები ჩადგეს ხისაო.
მგელამ შეჰფიცა ბიჭებსა, —
ნავალი ვხახე ბტრისაო.
მგელას არავის უჯერებს,
სხვადასხვა ბედი სჭრისაო;
მგელამ აჰყარა ღორები,
სხვა მთას მიუდგა ძირსაო:
გიორგიმ ფარალათი ქნა,
ფთხილს არ იძინებს ძილსაო,
შუალამე რომ მოვიდა,
ელვა რამ იქნა ცისაო.
წამოფრინდება გიორგი,—
დავუღუპივარ ძილსაო!
ხელში ამოჰყვა ხანჯარი,
ტარი კამბეჩის რქისაო.
ისრე აკაფა ბელადი;
როგორც ტოტები ხისაო...
ჩვენი პატარა გიგილა
ქედდაქედ ჩამორბისაო:
— მიშველე, ჩემო გიორგი,
ლეკმა წამიგდო ძირსაო!...
— როგორ არ მოგეშველები.

ვაი შენს გიორგისაო!
ურჯულოს დასცა ხანჯარი,
შაშვივით აღებს პირსაო...
დიღმელებს გადავეშველოთ,
არიან ჩვენის მხრისაო.
გადაეშველნენ დიღმელებს,
დაჰკივლეს მაღლის ხმითაო...
ორი ურჯულო ბელადი
ცეცხლა პირასა ზისაო,
ხელში უჭერავ მაკრები,
კონდახი ლეკის ხისაო.
გამოუქადლეს გიორგის,
თოფ დაჰკრეს გულის პირსაო.
— ვერ ვიჯექ მეც ხის ძირშია,
ვაი თქვენს გიორგისაო!...
გიორგის ტყვია-წამალი
მასრას პირს გადმასდისაო:
— ბევრისა დედა ვატირე
ძაღლების ლეკებისაო...
— თრიალეთს ერთი კოშკია,
აგებულია ქვისაო,
შიგ ყრიან ძაღლი ლეკები,
პირს მატლი ამოსდისაო...
— ახლა დედა-ჩემ იტირებს,
ვაჲმე მამჭრიან ცხვირსაო!...

ჩაწერილი ფშავში დ. ხიზანაშვილის მიერ. ფშ. ლექს., გვ. 19—21.

ბ

გელანაშვილი გიორგი —
სარქალი მწყემსებისაო,
მოჯამაგირებს არიგებს,
როგორც დედ-მამა შვილსაო.
შაჰფიცა მოჯამაგირემ,
ფიცი ქნა მეუფისაო:
„გუშინ რო ღორებში ვიყავ,
ნავალი ვნახე მტრისაო.

ურჯულოჰ თოფი ვესრონლე,
მოვარტყი ძუძუს პირსაო“.
— ვერ გისროლია კარგათა,
ვაი შენს გიორგისაო!
მაგ თოფის ამბავი ვიცი,
სადაც მოაბამს პირსაო,
არ დააყენებს ფეხზედა,
ფიცხლავ დაარტყამს ძირსაო!
ბიჭებო, ღორი ავყაროთ,
სხვა გორს მიუდგეთ ძირსაო.
ეს მეძეული გიორგი
ნატეხი სალის კლდისაო,
დაჯდა და ლესავს ხანჯალსა,
ტურფად მოუწყობს პირსაო.
— გაისარჯენით, ბიჭებო,
ვისიც ხანჯალი სჭრისაო.
სამი ურჯულოჰ ბელადი
გიორგის დააწვესაო.
წამაიწია გიორგიმ,
ლეკი მაიდო ძირსაო,
დასცა და დასცა ხანჯალი, —
შაშვივით აღებს პირსაო.
„გაისარჯენით, ბიჭებო,
ვისიც ხანჯალი სჭრისაო!
ფოლადნარევი რკინაა,
ტარი კამეჩის რქისაო.
კაფა და კაფა ლეკები,
როგორც ტოტები ხისაო,
აგეთი დატრიალდება,
როგორც ბორბალი წყლისაო!

ჩაწერილი კახეთში თედო რაზიკაშვილის მიერ. თაყ., 1, № 11, გვ. 376. სტრიქ. 20 ქვევ. მეძეული ნათქვამია ვერძეულის ნაცვლად.

დ

გელანა ნათელაშვილი
სარქალი მწყემსებისაო,
ეგრე არიგებს მწყემსებსა,
როგორც რო მამა შვილსაო...

გელანამ სიზმარი ნახა
იმ თავი ღორებისაო,
ადგა და ბიჭებს უამბო:
— „ბიჭებო, ღორი ავყაროთ,
სხვა მთას მიუსხათ ძირსაო“.
გელანას არ გაუგონეს
სხვადასხვა სპეტი გზისაო.

გელანამ ღორები სხვაგან გადარეკა, იმ ღამეს ლეკები დაეცნენ.

შუაღამე რო შეიქმნა,
ელვა რომ იქნა ცისაო,
გადმეეშალნენ ლეკები
ურჯულო დაღისტნისაო.

ახლა კი დასჭირებიათ გელანას თავი, ეძახიან გვიშველეო.
— „დედ-მამის გაუგონარსა
ეგრე შავი დღე სჭირსაო“.
მაინც შეეშველა:
— „რა ვქნაო, მაინც
ჩვენი ხართ, განა სხვისაო“.
გადმეეშველა გელანა,
ლეკები დაჴცა ძირსაო.
დაჴკივლა დიდი ხმითაო.
— „ჰა, დედათქვენსა ლეკებო,
ჩვენი ხმალიც ხო ჭრისაო,
გაისარჯენით, ბიჭებო,
შიში ნული გაქვთ მტრისაო,
ისე გავწყვიტოთ ლეკები,
ერთი არ დარჩეს ძირსაო“.
კაფეს და კაფეს ლეკები,
როგორც ტოტები ხისაო,
ეს ექვსშაურა გიორგი
თავ თავქვე ჩამორბისაო.
ორი ურჯულო ბელადი,
ავ ალაგასა ზისაო,
ორთავ თოფები ესროლეს,
გიორგი დაჴცეს ძირსაო.

— „არიქა, ძმაო გიორგი,
ამათი ჯავრი მჭირსაო“.
გადაუფრინდა გელანა,
ლეკი დაიდო ძირსაო,
დაჴცა და დაჴცა ხანჯალი,
შაშვივით აღებს პირსაო.

მთქმელი გიორგი სანდროს ძე ნათელაშვილი — შერქმეული სახელით ფარინე. 105 წლის, მრავალფეროვანი რეპერტუარის მქონე. შთამომავალი გელა ნათელაშვილისა. ჩაწერილი 1959 წლის ივლისში სოფ. ბაზალეთში აპ. ცანავას მიერ. მთქმელმა ჩამწერს აცნობა: „ფარინეს სიმღერა ვიცოდი კარგად და იმიტომ შემარქვეს მეტსახელად ფარინე...

... ვიყავი მეცხვარე, მეხრე, მეღორე, კალატოზი. გუთნიდედა. მამაჩემი იყო... ლექსები და სიმღერები აქა (ე. ი. ბაზალეთში) მაქვს შესწავლილი“.

ამ საინტერესო მთქმელს ფოლკლორული ექსპედიცია ოცი წლით ადრე, ე. ი. 1939 წელსაც, შეხვდა. მაშინ მისი ბიოგრაფია და რეპერტუარი, როგორც აღვნიშნეთ. ძირითადი ტექსტის შენიშვნაში, ჩაიწერა პოეტმა გიორგი კალანდაძემ, მთქმელის ნაამბობზე დაყრდნობით გიორგი კალანდაძეს აღნიშნული აქვს: „მამა-პაპანი მთქმელისა ყოფილან მთიული უძილაურები ქისტური წარმოშობისა“. ფ. არქ. № 20870. პირველი ოთხი სტრიქონი მთქმელს უთქვამს, როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოები. ეს არ არის მხოლოდ მეხსიერების შესუსტების მაჩვენებელი. იგი კანონზომიერი მოვლენაა ზეპირსიტყვიერებაში. ადრე შექმნილი ვრცელი ნაწარმოები შეიძლება დაიშალოს ფრაგმენტებად დამოუკიდებელ ნაწარმოებთა სახით და პირიქით, დამოუკიდებლად შექმნილი ტექსტები შეიძლება აიკინძოს მთლიან ღერძზე ერთი ნაწარმოების სახით.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოხუცი მთქმელი ტექსტში ურთავს კომენტარებს, აქ ერთგვარად თავს იჩენს შერეული ფორმის ნაწარმოების შექმნის ტენდენცია. ამგვარი ფორმის ნაწარმოებში ლექსი და პროზა შეიძლება ყოველ შემთხვევაში ერთდროულად არ იყოს შექმნილი. ზოგ შემთხვევაში პროზას ხან კომენტარის როლი ეკისრება, ხან კიდევ მისი გაჩენა ლექსის დავიწყების შედეგიც შეიძლება იყოს. დანარჩენი ვარიანტები იხ.:

ჩაწერილი 1947 წ. ყვარლის რ. სოფ. საბუეში თამარ ოქროშიძის მიერ, მთქმელი 21 წლის სოლომონ შეღვიაშვილი (შერქმეული სახელით აჭილა). ფ. არქ. № 30560. დაბეჭდილია — სიხ. ნარკვ., I, გვ. 349 — 350.

134. გელანა ნათელაშვილი

მთქმელი გიორგი ნათელაშვილი (ფარინე). ჩაწერილი 1959 წელს სოფ. ბაზალეთში აპ. ცანავას მიერ.

135. არშას შაიქნა თონთქორი

ჩაწერილი 1877 წ. ხევში, სოფ. სტეფანწმინდას (ანხლანდელი ყაზბეგი. ქ. ს.), ივ. ოჩიაურის მიერ. უმიკ., გვ. 49, № 45.

136. გელა ნათელაშვილის მიერ ლეკების შეპერობა
137. გელანას ძაღლები 138. გელანას სამართალი
139. გელანას სიმდიდრე

მთქმელი გიორგი ნათელაშვილი (ფარინე).

ჩაწერილი 1959 წლის ივლისში სოფ. ბაზალეთში აპ. ცანავას მიერ. ტექსტების დასათაურება ჩვენია, ქ. ს.

140. ჰაატა თემურიშვილი

ჩაწერილი ქართლში, სოფ. თონეთში, ბაკურაძის მიერ. კოტ., გვ. 208. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 24, გვ. 30 — 31. ჰაატა თემურიშვილის შესახებ გადმოცემაც არსებობს. საგულისხმოა ვახტანგ კოტეტიშვილის შენიშვნა: „გადმოცემით, ჰაატა თემურიშვილი თავადების დიდი მოწინააღმდეგე ყოფილა. სოფ. დიდ თონეთიდან ერეკლესთან მოსულა მოხუცი გლეხი და უთქვამს, ესა და

ეს ჩვენებური კაცი შენთვის თავის შეწირვას აპირებსო. ამ პაატა თემურიშვილს თავისი „ბიჭები“ ჰყოლია, რაზმი, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა თათრებს, სომხეთში ქართველებს რომ აწიოკებდნენ. ერეკლეს დაუბარებია პაატა, მოსწონებია ვაჟკაცად და თავისი „ბიჭებიანად“ საკუთარ ამალაში ჩაურიცხავს. ერთხელ ერეკლეს პაატა პატარძეულში წაუყვანია. თურმე იქაური ციხე დანგრეული ყოფილა და უნდა შეეკეთებინა. დაუწყიათ თუ არა ციხის შეკეთება, საიდგანღაც გაჩენილან ლეკები და ალყა შემოურტყავთ. მაშინ გამგელებულა პაატა და მარტოს სამოცი ლეკი მოუკლავს“. ვ. კოტეტიშვილს აღნიშნული აქვს ისიც. რომ პაატას მიაწერენ ტყვეობიდან თამარ ვაშლოვანელის გამოხსნას. ვ. კოტეტიშვილის შენიშვნითვე: „პაატას რამდენჯერმე თავადების წინააღმდეგ აჯანყებაც მოუწყვია. ერეკლეს ატყობინებს: „შენი მტრებისთვის ავჯანყდით, გლეხები შენის მტრისაო“. რატომ? — „გლეხები შალზე ცვალეესო“. ეს ერთი მოტივია და „მუხრან-ბატონის მტრობამა სამეფო დასცა ძირსაო“... „უთხარი ეგენი სთხრიან ერეკლე მეფის ძირსაო...“ ეს მეორე მოტივი. მიტომ იყო რომ მუხრან-ბატონებს და საბარათიანოს ბატონებს საგანგებოდ სძულდათ პაატა. იმათვე დაღუპეს კიდეც, როდესაც დავით სარდალი და ეშკი ღაბასი მეფის ბრძანებით სპარსეთს წავიდნენ, პაატაც თან გაჰყვა და დაიკარგა. მაგრამ ხალხში დიდი სახელი დარჩა და დღესაც ხშირად შეხვდებით პაატას სახსენებელს. გვგონია, რომ ამას იქით ეს სახელ-დაკარგული ისტორიული გმირი სახელს აღიდგენს და მკაფიოდ გამოჩნდება მე-XVIII საუკუნის ფეოდალთა წინააღმდეგ აჯანყების მტკიცე მეთაურის სახე“. კოტ., გვ. 374—375.

141. პატარძეულსა ციხესა

ჩაწერილი ქართლში ,თონეთში, ბაკურაძის („ქართველი ოსები“) მიერ. კოტ., გვ. 208—209, გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 48. გვ. 60.

142. გორგი

ჩაწერილი ხევსურეთში თედო რაზიკაშვილის მიერ. შან. №82, ლექსს „ნეტარ არ გამახყიდდესა“ ახლავს თ. რაზიკაშვილის შენიშვნა: „ეს გორგი გამოჩენილი ვაჟკაცი ყოფილა თუშეთში, ლეკების სულთამხუთავი. თილისძე იყო გვარად“. შან., გვ. 391. გორგი თი-

ლისძე, როგორც ეს ჩანს ლექსის „ჭალაში თუშნი ჩავიდეს“ სტრიქ. 3 ზევ. ყოფილა ერეკლე მეორის თანამედროვე გმირი, თედო რაზიკაშვილს განმარტებული აქვს სტრიქ. 8 ზევ. თითო საკსარი ტყვისაო — ვითომ ტყვეში რომ მისცენ ის თოფი, ტყვეს დაიკსნისო“. შან., გვ. 391. საინტერესოა აკ. შანიძის შენიშვნა: „როგორც ერთი ჩემ მიერ ჩაწერილი ფშაური ლექსიდან ჩანს, გორგი ქისტებს მოუკლავთ: „გორგიმაც ეგრე ქნისაო“. აკ. შანიძეს მითითებული აქვს მის მიერ ჩაწერილი ფშაური ლექსის ვარიანტი. ფშ. ლექს. გვ. 78. შან., გვ. 391.

143. ნეტარ არ გამახეიდდესა

ჩაწერილი ხევსურეთში თედო რაზიკაშვილის მიერ. შან. № 83, გვ. 32 — 33.

ბ

მთათა ლეკურთა ყორანო,
ვერც რას დაჰყეფავ სხვასაო!...
გორგი წასულა საველოთ,
გავყვნეთ ემაგის კვალსაო.
შურაში ჩავა ხიდზედა,
ვიწროს შაუკრავს გზასაო.
ანთაი თავბერიძეი —
ვაქკაცი სცდიდა თავსაო;
დავითი ფარეჯანიძე
ხმალსა აჭრევდა ძალზეო.
კითხვაც არ გინდათ, ყორნებო,
ჩადითო ნაომარზეო;
დალოცეთ ხმლისა მქნევლები,
ნაჭერ საც იყოს ტანზეო.
შვიდ წელს არ მოვიდ ბალახი
თილიძის ნაომარზეო...

თუშური. ჩაწერილი ივ. ბუქურაულის მიერ. თაყ. 1, გვ. 55. ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 4 ზევ. საველოთ—სალაშქროთ; სტრიქ. 5 ზევ. შურა — ქალაქი თემირხან შურა.

144. თუშები ლეკების წინააღმდეგ

ჩაწერილი ხევსურეთში თედო რაზიკაშვილის მიერ. შან. № 84, გვ. 33. როგორც ტექსტიდან ჩანს, ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში გორგი თილისძესთან ერთად ვაჟკაცობა გამოუჩენია ბიღოსძეს, რომელიც აგრეთვე თუში ყოფილა.

145. უარაული შიბუს ჭალაში

ჩაწერილი ხევსურეთში ბეს. გაბურის მიერ. შან. № 250, გვ. 112 — 113. აკ. შანიძის შენიშვნით „ალუდაური სახელიც არის და გვარიც: არხოტში იგი სახელია, ხოლო ჯაჯმატში — გვარი. ამ ლექსში ალუდაური სახელია, მისი გვარი კი გაბური ყოფილა“. შან., გვ. 481. ეს ლექსი არ არის თილისმის ციკლის. იგი უნდა წარმოგვედგინა ალუდაურის ციკლში № 153 ერთად.

146. ლაშარს მოვიდა თილისძე

ფშ. ლექს.. გვ. 33—34. ამ ლექსის შინაარსს ნათელს ფენს ვაჟა ფშაველას წერილი „ლაშარობა“, ვაჟა წერს: „მთის ხალხს ჩვეულებად აქვს, რომ როდესაც ერთს მეორესთან მძიმე დანაშაული მიუძღვის და დამნაშავე „სახვეწრით“ — საკლავით, სასმელით მიდის და შეურაცხყოფილს სთხოვს შეწყნარებას, პატიებას, უეჭველად მიიღებს... თილისძეს არამც თუ ცხვარი, ხარი მოჰყავს „სამხვეწროდ“ ხატთან და თემთან შესარიგებლად, ალბათ იმიტომ, რომ დიდ დამნაშეკად ჰგრძნობს თავის თავს“. იქვე ვაჟას მოჰყავს ამ ლექსის დასაწყისის ვარიანტი, ტ. V, გვ. 52 ლექსის შესავალი განიცდის გავლენას „შატილს გადიდდა ხოხობის“ დასაწყისისა.

ბ

ლაშარს ჩავალის თილისძე,
გულდიდად დაჯდებ ხარიო,
ვარ შემოერტყნენ ფშაველები.
როგორც რომ ბატონს ყმანიო.
— აქ არ მოგესვლებოდ, თილისძე,
დიდი ჰქენ ცოდვა-ბრალიო:
დასწვი, დადაგე ხოშარა,
ცამდის აუშვი ალიო;
დიაც-ყმაწვილებ ბევრი დახოცე,
ჯალოთ გალეწე მკვდარიო!...
— მაცალეთ, ფშავლის შვილებო,

მალოცვეთ ლაშრის ჯვარიო,
სალოცავადა მოვსულვარ,
თეთრი მომიყვანავ ხარიო.
მაგის მემრ გიამბოთ, ფშავლებო,
როცა გამოშრეს მთანიო.
მთა გაშრეს, მიწა გამოჩნდეს,
ლურჯამ მოჰკიდოს ნალიო,
მთამან დაისხას ბალახი,
ლურჯამ დაბღერტოს ნამიო.
ტყემან დაისხას ფოთოლი,
მხედარმ დამალოს თავიო,
უბის ღელეს უნდა გადადიოდეს
თქვენი ცხვარ-ხაროვანიო.
იქავე უნდა ნათობდეს
თილისძის ლურჯას ნალიო.
უკან მიმდევდეთ, ფშავლებო,
ხაით რა მაგის კვალიო?!..

—

თუშური. ჩაწერილი ივ. ბუქურულის მიერ. თაყ. 1, გვ. 55—56.

8

ლაშარს მოვიდა თილისძე,
დიდ-გული დაჯდა ხარია,
შემეეხვივნეს ფშავლები,
როგორც რომ ბატონს ყმანია.
შენ აქ არ მეგესვლებოდა,
დიდი ჰქენ ცოდო-ბრალია;
დასწვი-დაზღაგე ხოშარა,
ცამდე აუშვი ალია;
გასწყვიტე დიაც-ყმაწვილი,
კალოდ ჩაჰყარე მკვდარია.
— კარგი, დადეგით, ფშავლებო,
მეც მალოცვინეთ ჯვარია,
მოვსულვარ ხატის სახვეწრად,
აქა მყავ კურეტ ხარია.
მაში ვიუბნათ მაგისი,

მთას რომ გადვიდენ გზანია.
ან ვისი შეექდეს ყირმული,
ან ვისი შეჩიდეს ხმალია.
ფარობლი მიმიდიოდეს
თუშებში ფშავლის ცხორია,
თან გავაყვალა მწველავი —
თქვენი ქალი და რძალია.
ე მაგ ლექსისა მათქომი
ღუდუშაურის გვარია.
დილით გამოვთქვი ეს ლექსი.
როცა გავშალე ცხორია.

—

მოხ., გვ. 37. ამ ტექსტის დასასრულს რომ ყური უგდოს ქაცმა, მისი პირველი გამომთქმელი თითქოს მწყემსი ღუდუშაურია. იგი არის მხოლოდ ამ ვარაინტის მთქმელი.

147. თუშეთით ქაცი მოვიდა

ფშ. ლექს., გვ. 30—32. თილისძის ციკლის ლექსია.

ტექსტს ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 12 ზევ. გ უ დ ა ნ ი ს ჯ ვ ა რ ი ს მიმართ: სალოცავი ხევსურეთში; იმის დროშას ემორჩილება ეხლაც თუშეთი, რომელიც ხარჯს აძლევს ამ დროშას". სტრიქ. 21 ზევ. „წოვა-თუში გაქართველებული ღლიღვია. ქისტი მოდგმით თუშების ერთს თემს ეკუთვნის", სტრიქ. 25 ზევ. ხოშარას მიმართ „სოფ. ფშავში"; სტრიქ. 28 ზევ. მ უ ქ უ ს მიმართ „სოფ. ფშავში" სტრიქ. 15 ქვევ. ს ა ნ ა თ ა უ რ ი ს მიმართ „წოვა-თუშის ქალი, რომელმაც წააქეზა წოვა-თუშები ფშავლების წინააღმდეგ". ამ საკითხზე დ. ხიზანაშვილს შეეკამათა ვაჟა-ფშაველა.

ბ

— მოხველა, თილის ობოლო,
რა მაიტანე ამბავი?
— გიამბობთ დავითის მზემა,
დავითმ თქვენ გითხრასთ მარ:თალი...
გიორგი ნაკვეთაური
ფშავლებს ჰყოლიყო სარდალი;
ხოშარას ქობის ჭრაშია,
იმან მოგვიკლა შაბალი;
თუშნი ხოშარამ დალიენა,

ბოზ თუშთ დედათა ენამა, —
გძელმა იმ ხოშარის გორმა,
იქ წყლის არ გამოდენამა
იწრომა ფშავის ხევებმა,
ფშავლების მოკლედ დევნამა;
წოწკურაულის ისარის
ყიათად წვერის ცემამა,
ჭიჩოთ მოსულთა ობოლთა,
იმათ სახელის დებამა,
მათურელებმა ვაჟებმა,
იმათ გორის პირს დენამა;
მოჭვრიტეს გოგლაის გორა
თუშთა ქალებმა თვალითა —
არ მოგვივიდა შაბალი,
არც ლილო წითლის ფარითა;
თუ ლილოს დაატყვევებდნენ,
ქალებ იხსნიდეს ქრთამითა...
თუ არ მოგცემდეს ქრთამითა, —
ორმოცი ვერცხლის ფარითა...

ფშ. ლექს., გვ. 42 — 43. ახლავს განმარტება ს ი ტ ყ ვ ი ს ა — შაბალი, სტრიქ. 8 ზევ—თ უ შ ი ს ს ა ხ ე ლ ი. ამ ლექსის დასაწყისის ვარიანტი იხ. ვაჟა-ფშაველას წერილში „ლაშარობა", ტ. V, გვ. 51.

8

— „მოხველითა, შვილნო, მოხველით?
ბევრა ამბები დიოდა.
— ჩვენ კი მოველით, მამაო,
ბევრი სხვა ვერ მოდიოდა,
ზოგს სჭრიდეს, ზოგსა იჭერდეს,
სისხლის წყაროებ დიოდა.
თბე-წვრილს ისროდეს ისარსა,
ჭშვილდის გოზები ჭყიოდა.
შაწუხებელი მჭედრები
ცხენზეით ჩამადიოდა;

ჭირიმე დავითაისი!
ემაგას არა სტკიოდა.
ყმა მზირთად გადმოხვეწილი
მთას ქორებულად კიოდა;
გულს ეშჭო თბე-შავ ისარი,
სისხლი ყიათა სდიოდა,
ყიათას ჩამონადენი
ჯაჭვის კალთეებს ზდიოდა;
ჯაჭვის კალთათა ნადენი
თმა-წვერთა გარდასდიოდა:
ხუთი მაეკლა მარტუას,
„ვერა ვქენ“, იმას ჩიოდა.
თავი არ მაღგონდებოდა,
ამხანაგებსა ჩიოდა.

—

ჩაწერილი ხევსურეთში თედო რაზიკაშვილის მიერ. შან. № 144. გვ. 58. სათაურად აქვს „თარეშიდან მოსული შვილები“. თედო რაზიკაშვილი მართებულად აღნიშნავს, რომ ეს ვარიანტი ნიმუშია ორი ლექსის კონტამინაციისა. შან., გვ. 421. ამ ტექსტის მეორე ნაწილი ვარიანტია შალვა ახალციხელის ციკლის ლექსისა (საისტ. სიტყვ., 1, № 77, გვ. 105).

148. თილისძემ უთხრა მამასა

ფშ. ლექს,. გვ.35 — 37.

—

ბ

თილისძემ უთხრა მამასა:
— მამავ, შევყაროთ ჯარიო!
ჩავიდეთ ცაბაურთასა,
სადაც მთა-წმინდა არიო.
ჩავიდეს ცაბაურთასა,
მუჭს დაძრეს ხარუანიო;
გოგოლაურთით მოვიდეს
ლომ-ხუზაურა ძმანიო;
ზოგნი მოვიდეს ჭიჩოთ.,
ბმათ უჭირეს მხარიო;

შემოისროლეს ისრები.
ჩალად დაყარეს მკვდარიო...
გძელ ყანას მოეგებება
მამამთილს თავის რძალიო:
— რა მიყავ, მამამთილაო,
თინიბექ, ჩემი ქმარიო?
— თინიბექ წყაროს გავსწირე,
სისხლის არაყით მთვრალიო;
ფეხთით დავუბი ლურჯაი,
დასტირის როგორც ქალიო,
გვერდით დაურჭვეს დროშაი,
ნამტვრევი შუბის ტარიო,
დაჰბერავს დილის ნიავი
და აერიალებს ქარიო;
თავით დაუსვეს ყორანი,
შენ გამოსთხარენ თვალნიო.

—

ფშ. ლექს., გვ. 44 — 45.

ახლავს განმარტება სიტყვისა ხ ა რ უ ა ნ ი — სტრიქ. 6 ზევ. — ხ ა რ ე ბ ი ს ნ ა ხ ი რ ი.

149. თილისმე ლოპოტაშია

თუშური. ჩაწერილი ივ. ბუქურაულის მიერ. თაყ. 1, გვ. 55. შეტანილია ლექსების ციკლში, რომელთა სათაურია გორგი თილიძე. ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 1 — ზევ. ლოპოტა — მდინარე; სტრიქ. —ქვევ. გ ა დ ა გ ა ხ დ უ რ ე ბ — გ ა დ ა გ ა გ დ ე ბ.

150. გორგის ნუ მაჰკლავთ

ფშ. ლექს., გვ. 78.

151. სალომე

ჩაწერილი ალმოსავლეთ საქართველოში პოტტოს მიერ Памятники времен утверждения русского владычества на Кавказе под

ред. Потто, выпуск I, Тифлис, 1906 წ., გვ. 74 — 75. რუსულად თარგმნილი ლეგენდა ისევ ქართულ ენაზე თარგმნილია აკადემიკოს კ. კეკელიძის მიერ. მას იგი მოყვანილი აქვს ნარკვევში „ბაში-აჩუკის“ ერთი ეპიზოდისათვის. „პირველად დაიბეჭდა საიუბილეო კრებულში „აკაკი-წერეთელი“, 1940 წ., გვ. 198 — 199. თქმულება უფრო შემოკლებული სახით გადმოცემული აქვს ი. გრიშაშვილს წიგნში „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“, 1928 წ., გვ. 7. კ. კეკელიძეს აღნიშნული აქვს თქმულების გამოყენება აკაკი წერეთლის მიერ. მითითებული აქვს ქართული თქმულების შესატყვისი ეპიზოდი ჯეკ ლონდონის მოთხრობაში „დაკარგული სახე“. ქართულ და ამერიკულ თქმულებათა საერთო წყაროდ აკად. კ. კეკელიძე მიიჩნევს ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებს „მარტვილობა ევფრასია ქალწულისა“.

152. ტურა ქაიხოსრო

დრ. № 35, 1885 წ. დაბეჭდილია ს. მერკვილაძის ხელმოწერით. ინახება აგრეთვე ხელნაწ. ინსტიტ. H—№ 1991. ტექსტი რედაქტირებულია. სათაურის ქვეშ ფრჩხილებში სწერია „ისტორიული ლეგენდა“. სქოლიოში ს. მერკვილაძე შენიშნავს: „ეს ლეგენდა, როგორც მკითხველიც შეატყობს, ძლიერ შემოკლებით დარჩენილა ხალხში“.

153. წინა ალუდაურ გაბური

წელიწდეული, . გვ. 174. ეს ტექსტი ბეს. გაბურს დაუწერია აკ. შანიძის შეკვეთით და 1915 წელს დორპატის (იურევის) საავადმყოფოდან გაუგზავნია პეტერბურგში. ამ შემთხვევაშიც შერეული ფორმის ნაწარმოებთან გვაქვს საქმე. იგი განსაკუთრებით საინტერესოა იმ მხრივ, რომ არკვევს გადმოცემაში ჩართული დამოუკიდებლად გავრცელებული ლექსის გენეზისის საკითხს. ლექსის ვარიანტებს შორის არსებულ მცირე განსხვავებებზე მითითებული აქვს აკ. შანიძეს (იქვე).

154. იონეულ თეთრაულის ამბავი

ბეს. გაბურის რეპერტუარიდან. „წელიწდეული“, გვ. 185 — 187. ამბავი შინაარსით არ უკავშირდება ერეკლეს პიროვნებასა და

მოღვაწეობას. ის საინტერესოა მის დროს მთის მცხოვრებთა დასახასიათებლად ერთის მხრივ და მეორეს მხრივ, ერთი დეტალი ერეკლეს პიროვნებასაც გვაცნობს, რომ მას სცოდნია, თუ ვინ იყო კარგი მეომარი, რომ საჭირო დროს გამოეყენებინა. ასე, მაგალითად, ხევსურ იონეურს მიუთითებენ ფშაველი მწყემსები, რომ ფშაველი ყარტიულინშე განთქმული მეომარია და ზოგჯერ მას მეფე ერეკლე იბარებს თათრებთან საომრად (იქვე, გვ. 186).

ამბავი საინტერესოა, აგრეთვე, თვით გაბურის შემოქმედების დასახასიათებლად, როგორც პროზისა და ლექსის მოხდენილად შერწყმის ნიმუში.

გადმოცემას თან ახლავს აკ. შანიძის ტექსტუალური შენიშვნები.

155. რეჯება და არჩილ გიჟი

ჩაწერილი იმერეთში, სოფ. წევაში, სევ. გაჩეჩილაძის მიერ. თაყ. 1, გვ. 6—7. ლექსი საგულისხმოა მე-18 საუკ. მეორე ნახევარში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს, კერძოდ ერეკლე მეორის და სოლომონ პირველის ურთიერთობის თვალსაზრისით. ამავე გარემოებას ასახავს ერეკლე მეორის ციკლის ლექსი „რაჯაბ ბელადი“ (თაყ. 1, გვ. 414—415). გადმოცემაში „წმიდა გიორგის რაზმი“ დახასიათებულია სოლომონ პირველის უმცროსი ძმა არჩილი, შეუდარებელი ვაჟკაცი, რომლისთვისაც შეურქმევიათ „გიჟი“ (აკ. კრებ. № IX, 1898 წ.). ჩამწერის შენიშვნაშიაც არჩილი იყო სოლომონ პირველის ძმა. მას მამაცობისა და უშიშრობისათვის „არჩილ გიჟი“ შეარქვეს. სევასტი გაჩეჩილაძეს ეკუთვნის ტექსტის შენიშვნები: სტრიქ. 5—პინა—დიდი ჯარი (ეს შეცდომა უნდა იყოს. პ ი ნ ა ჭურჭლის მნიშვნელობით არის და, საფიქრებელია, აქ კორექტურულ შეცდომასთან გვაქვს საქმე. დაბეჭდილია ჯ ა რ ი, უნდა იყოს ჯ ა მ ი. ქ. ს.). სტრიქ. 7 — ნ ე ბ ო ძ ი რ ი — სოფელია ზემო იმერეთს, ბეჟანთუბნის ახლო; სტრიქ. 8—ნ ე ფ ე ს თ ა ნ — მეფე სოლომონ პირველთან; სტრიქ. 10—ა რ ჩ ი ლ—ეს არჩილი სოლომონის ძმა იყო, გამბედაობისთვის „არჩილ-გიჟს“ ეძახდნენ; სტრიქ. 13 ბ ე რ ი-კ ვ ი ც ი — ხალხის თქმით, ეს „ბერ-კვიცი“ ზღვის ცხენი იყო; სტრიქ. 15 — ჭ ა რ ტ ა-

ლ ი — სოფელია ნებოძირის ახლოს; სტრიქ. 19 — ღ ი ნ წ ი — პატარა დანა; სტრიქ. 26 — ხ ო ს ი ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი ცნობილი ვაჟკაცობით; სტრიქ. 33 — ჩ ი გ ვ ი — ჩირგვი, ბუჩქი; სტრიქ. 43 — ნ ი ტ რ ა — ლიტრა, ანუ 9 გირვანქა.

ბ

საბაშიო შეშინდა,
დაემართა ღვთისგან შიში
ათას კაცი თეჯებამდინ
დაებარგა ნებოდირში.
მეფე სოლომონ შეიტყო,
დაებარგა ჭადრის ძირში.
არჩილსა შემოუთვალა:
„ძმაი ხარ და საყვარელი,
მომეხმარე გასაჭირში“.
არჩილმა წამოიძახა:
„შემიკაზმეთ ბერი კვიცი!
ფარეშები გამატანეთ,
რომელიცა მარჯვე ბიჭი.
ერთი მათრახი ამოვკრა,
იქ გავუსწრო ნებოდირში“.
ლეკებმა შექმნეს ჩუქჩუქი:
დაგვეწია არჩილ გიჟი.
რიგს მოგვკლავს და რიგს დაგვარჩენს,
რიგს ღორის ხორცს ჩაგვცხებს პირში“.
ხოსგა მაჭავარიანი
ერთობ ვარგა გასაჭირში,
ბატონიშვილს დაუგორდა
მუხლის ძირში:
„არ გებრალები, ბატონო,
რო მოგვიკლეს ბერი კვიცი!“
ბერმა კვიცმა შემოსძახა:
„ამას რა მომაგონებდა,
თუ საფრად გამაკეთებდი!
თორმეტი თოფი გვერდში მკრეს,
აქიმს რაღას მაყენებდით?
აქიმის რაღა ბრალია,

წეპოთ ხო ვერ შემაწყობდით!
მეჯინიბის ჩამყვა ჯავრი,
— ნეტავ ერთხელ მას ვრგებოდი,
დილით წყალზე წამიყვანდა,
თოფრით მომართუმდა ქერსა,
ერბოთ მომიზელდა წელსა.
სად იყო დიდი მინდორი,
იქ იყო ჩემი გვანგვალი,
ალმა მელრანი ვიყავი,
დალმა დაგიგოგდებოდი,
სიონ კლდეზე მიგიყვანე,
შუბურებ დავმაგრდებოდი,
ოთხმოცი ზარბაზნის ხმაში
გულში არ დაგიფთხებოდი,
წვრილი თოფის ხმას ვყურობდი,
მე თქვენი ჯავრით ვკვდებოდი.
ვაი შე ყვავო-ყორანო,
— ბერ კვიცის ხორცით ძღებოდე.

—

ჩაწერილი იმერეთში, ხონში. უმიკ., გვ. 115. სტრიქ. 22. ზევ. დართული აქვს ჩამწერის თუ რედაქტორის შენიშვნა: „სიტყვა აკლია“.

156. რაჯაბა

მთქმელი არჩილ სარყვაზანის ძე მილაშვილი, 88 წლის, კოლმეურნე. იცის მხოლოდ გვარის მოწერა. ჩაწერილი 1945 წ. აგვისტოში, რაჭაში, სოფ. წესში, ეთერ არჯევანიძის მიერ.

—

157. ახალციხე და რაჯაბა

ჩაწერილი 1880 წ. ხევში, სოფ. სტეფანწმინდაში, (ახლანდელი ყაზბეგი ქ. ს.). უმიკ., გვ. 82, № 107.

158. ოს-ჩერქეზთა დამარცხება

ჩაწერილი მესხეთში ვინმე მესხის (გვარამაძის) მიერ. თაყ. 1, № 42, გვ. 449. უნდა იგულისხმებოდეს იმერეთის მეფის სოლომონ პირველის და მისი მამის მეფე ალექსანდრეს დაუძინებელი მტერი რაჭის ერისთავი როსტომი, რომლის ხსოვნა დღემდე ცოცხალია ხალხში, მაგრამ ეჭვს იწვევს ის, რომ რაჭის ერისთავისთვის სოლომონ პირველმა თვალები დაათხრევინებინა და ამის შემდეგ იგი გმირულად ვერ იბრძოლებდა მომხდურების წინააღმდეგ.

—

ბ

ერისთავს ცხენსა უქებენ,
კვიცია სამი წლისაო.
ზედ შეჯდა როსტომ ერისთავ.
ლერწამი ზღვისა პირაო,
წელზე არტყია ქარქაში,
წითელი ზურმუხტისაო,
შიგაც ისრები უწყვია,
ნარჩევი გველის ფრთისაო.
ხევ ჩამოვიდა ლაშქარი,
ოსი და ჩერგეზისაო,
ბიჭის დაჭექა სიათამ,
როსტომი დასცა ძირსაო.
როსტომის ქალო ბარბარევ,
ტოროლავ ჭიკჭიკისაო,
მოგიკლეს შენი როსტომი,
რად არ ჩამოხვალ ძირსაო,
მუთრუმში ჰპოვა სიმრავლე,
გაუშვა ვარჩი ძირსაო.

მთქმელი არჩილ მილაშვილი. ჩაწერილი 1945 წ. რაჭაში, სოფ. წესში, ეთერ არჯევანიძის მიერ. სათაურად აქვს „როსტომ ერისთავის ცხენი“ სტრიქ. 8 ზევ. ახლავს შენიშვნა — ფ რ თ ი ს ა ო — ფ ხ ი ს ა ო.

159. სოლომონ მეფის ბაჩაო

ჩაწერილი 9. VIII — 1940 წ. იმერეთში, სოფ. დიმში, ქეთევან ბურჯანაძის მიერ.

160. ივანე ერისთვის შვილი

მთქმელი არჩილ მილაშვილი. ჩაწერილი 1945 წ. აგვისტოში, რაჭაში, სოფ. წესში, ეთერ არჯევანიძის მიერ.

ლექსი კონტამინაციის საინტერესო ნიმუშია. მასში ორგანულად არის შესული სტრიქონები ლექსებისა „ირემო, მთასა მყვირალო“ და „ავთანდილ გადინადირა“. ამგვარი კონტამინაციით მთქმელი სრულყოფს გმირის სახესა და ხასიათს.

161. ბეშტია (სუმარა) ეუბნება სოლომონ მეფეს

ჩაწერილი იმერეთში, სოფ. წევაში, სევ. გაჩეჩილაძის მიერ. თაყ. 1, გვ. 9. არ არის ნათელი რომელი სოლომონ მეფე იგულისხმება ლექსში — პირველი თუ მეორე. აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქისა და სოფლების (გორი, რუისი, ატოცი, იტრია და სხვ.) ხსენება გვაფიქრებინებს, რომ ლექსში სოლომონ მეორე უნდა იყოს მოხსენებული. იგი უფრო იყო დაკავშირებული აღმოსავლეთ საქართველოსთან. სოლომონ პირველის ძმისწული დავით არჩილისძე, ერეკლე მეორის შვილიშვილი იყო. მან სოლომონ მეორის სახელი მიიღო. ლექსი საგულისხმოა სამეფო კარზე ზეპირსიტყვიერების ტრადიციის თვალსაზრისით, კერძოდ — ხუმარების რეპერტუარის წარმოსადგენად. როგორც სათაურიდან ჩანს, ლექსი ხუმარის იმპროვიზაციის ნიმუშია.

162. მარიამ დედოფალი

ჩაწერილი იმერეთში, სოფ. წევაში, სევ. გაჩეჩილაძის მიერ. თაყ. 1, გვ. 6. ტექსტს დართული აქვს ჩამწერის შენიშვნები: სტრიქ. 4 ზევ. „ამ ჩარდახს დღესაც უჩვენებენ ქუთაისში, რიონის პირად, ვაჟების გიმნაზიასთან. სტრიქ. 8 ზევ. „სოლომონ II-ს მეუღლე“. ლექსის ვარიანტები თამარ მეფის სახელთანაც არის დაკავშირებული. იხ. ტ. 1, № 31 და მისი ვარიანტი.

ბ

„მარიამ დედოფალი და მეფე სოლომონ“

ხეტა რა არის მისთანა,
ამომავალი მზისთანა?
დედის მუცლიდან შობილი —
მარიამ დედოფლისთანა?
მიწაზედ აშენებული —
სომხითში თელეთისთანა?
ულვაშ კოკორი ყმაწვილი . .
ი მეფე სოლომნისთანა?

ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ. თაყ. 1, გვ. 178.

163. ხახულმა ჯარი აწვია

მთქმელი ივ. ბერიკაშვილი. ჩაწერილი იმერეთში, სოფ. ჭყვიში (ყოფ. ქუთაისის მაზრ.), ბ. ბახტაძის მიერ. ლექსში მოხსენებული სოლომონ მეფე უნდა იყოს სოლომონ მეორე. ლექსი უნდა ასახავდეს ზურაბ წერეთლის ელჩობის შედეგად საქართველოში რუსის ჯარის შემოყვანას (იხ. გადმოცემა დაცული საქ. ცენტრ. არქივში. ქ. ს.).

164. შაქარა კიკნაძე

ჩაწერილი იმერეთში, სოფ. წევაში, სევ. გაჩეჩილაძის მიერ. თაყ. 1. გვ. 8—9. ჩამწერსა თუ რედაქტორს ეკუთვნის შენიშვნები ტექსტისადმი — სტრიქ. 3-ზეკ. „ზურაბ წერეთელი ჩომხრე რუსთა მფლობელობისა იმერეთში“. სტრიქ. 6 — ქვევ, „შულო—ერთი მოხვევა ძაფი. აქ კი ნიშნავს: „ბღუჯა-ბღუჯა“ იგლეჯდა თმასაო“ (თაყ. I, გვ. 9). როგორც. შენიშვნიდან ჩანს, აქ მოხსენებული ზურაბ წერეთელი იყო სოლომონ მეორის სახლთუხუცესი. მან უღალატა. მეფესა და სოლომონ მსაჯულ—ლიონიძეს (იხ. გადმოცემა დაცული საქ. ცენტრ. არქივში. ქ. ს.) ჯარების შემოსევა იმერეთში მისი ელჩობის შედეგი იყო.

ლექსში მოხსენებული ხოსია უნდა იყოს ვაკაცობით განთქმული ხოსია მაჭავარიანი, რომელიც ნახსენებია აგრეთვე № 155 ლექსში.

165. ივანე აბაშიძე

ჩაწერილი იმერეთში, სოფ. წევაში, სევ. გაჩეჩილაძის მიერ. თაყ. 1, გვ. 8. ლექსის სათაურს „ივანე აბაშიძე“ აქვს შენიშვნა: „ცნობილი იყო, როგორც რუსთა მფლობელობის წინააღმდეგი იმერეთში“ (თაყ. 1, გვ. 8). ასე გამოდის, ივანე აბაშიძე ყოფილა სოლომონ მეორის თანამედროვე.

166. სოლომონ პირველის მამობილი

ჩაწერილი ქუთაისში დომენტი თომაშვილის მიერ. მის. ალავიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვიერება, 1951 წ., გვ. 26.

167. წმიდა გიორგის რაზმი

აკ. კრებ. № IX, 1898 წ. დაბეჭდილია „განყოფილებაში — „წვრილ-წვრილი ამბები“, რომელიც ზეპირსიტყვიერებას შეიცავს.

სათაურის, „წმიდა გიორგის რაზმი“, ქვეშ წარმოდგენილ ტექსტს წინ მიუძღვის შენიშვნა: „ამ ნომრის ძველ (მეორე) განყოფილებაში იბეჭდება იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ამბავი (იგულისხმება გადმოცემა სათაურით „სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე“. ქ. ს.), მისი თანამედროვე მგალობელი კახდელაკის გადმონაცემი. რომ უკეთ ავწონ-დავწონოთ და გავითვალისწინოთ იმ დიდი სოლომონის მეფობის ხასიათი, საჭიროა მისი წინასწარი დროება ვიცოდეთ და ამისათვის ჩვენ მივმართავთ. როგორც წერილობით, ისე ზეპირგადმონაცემ ამბვებსაც“. შემდეგ აკაკი ახასიათებს სოლომონის მამას მეფე ალექსანდრეს, რომელიც მეტად შევიწროებული იყო თურქებისაგან. აღნიშნავს იმერლების შევიწროებას თურქებისაგან, რომ მათ უნდოდათ მათი გამაჰმადიანება. აღნიშნავს იზმაილ ფაშას პოლიტიკას, რომელიც ცდილობდა მოემხრო გვარიშვილები და სამღვდელოება და აიძულა მეფე ალექსანდრე გადაეყენებინა ღირსეული მიტროპოლიტი მოხუცებული ქუთათელი და მის ნაცვლად ქუთათელის ხარისხზე ააყვანინა ზნედაცემული, ტყვეთა გამყიდველი ახალგაზრდა ჩხეიძე. აკაკი აღწერს მაშინდელი იმერეთის მდგომარეობას, ხალხის დაცემას და მეფის დაუძლურებას და უმატებს: „ვინ იცის, რა ბედი მოუვიდოდა იმერეთს, რო ღვთის განგებით იმ ხანებში არ შემდგარიყო საზოგდოება, „წმინდა გიორგის გუნდათ“ წოდებული“.

ამას მოსდევს მეორე განყოფილებაში წარმოდგენილი ტექსტი. ცხადია, მასში ზოგი რამ წერილობითია, მაგრამ ზოგი, როგორც აკაკიც შენიშნავს, ზეპირგადმონაცემია და, ვფიქრობთ, მიჯნაშეწონილია მისი შეტანა ს ო ლ ო მ ო ნ ი ს ციკლის ხალხურ ნაწარმოებებში.

168. სოლომონ პირველი და როსტომ ერისთავი

მთქმელი წ. კ. უცოდინარი 100 წლის კოლმეურნე საბა კაციას ძე მერკვილაძე. ჩაწერილი 10. VIII—1945 წ. რაჭაში, სოფ. წესში, ეთერ არჯევანიძის მიერ.

169. სოლომონ პირველი დიდი. იმერეთის მეფე

აკ. კრბ. № IX, 1898 წ. სათაურთან ფრჩხილებში აღნიშნულია: „ზეპირგადმოცემული თანამედროვისაგან, რომელიც იყო სიკო კანდელაკის პაპა და ჩაწერილი მისი შვილიშვილის სიკო კანდელაკისაგან“. ამავე ნომერში „წვრილ-წვრილი ამბების“ განყოფილებაში, ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუშებთან ერთად დაბეჭდილია „წმიდა გიორგის რაზმი“, რომელსაც დართული აქვს განმარტება: „ამ ნომრის ძველ (მეორე) განყოფილებაში იბეჭდება იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ამბავი, მისი თანამედროვე მცხოლობელი კანდელაკის გადმონაცემი“ (იქვე). გადმოცემას ყოველმხრივ ეტყობა რომ იგი სოლომონ პირველის თანამედროვეს და საერთოდ სამეფო კარის მახლობელ პირს ეკუთვნის. ეტყობა იმიც, რომ მთქმელმა ზედმიწევნით იცის მეფისა და რეაქციონერ თავადებს შორის დამოკიდებულება. მთქმელი კარგი მცოდნეა საერთოთ წესებისა. იგი ცდილობს ისტორიული მოვლენების ობიექტურად შეფასებას.

ეს ნაწარმოები ისტორია უფროა, ვიდრე — მხატვრული შემოქმედება. მასში ჯერ კიდევ არ არის ისტორიული პირებისა და მოვლენების პოეტიზაცია. იგი საინტერესოა საისტორიო გადმოცემათა გენეზისისა და განვითარების თვალსაზრისით. ცალკე ამბების სახით მასში მოთხრობილი ფაქტები, როგორიცაა ხრესილის ომი, რუხის ომი, სოლომონ პირველის მიერ როსტომისა და მისი შვილების დასჯა და სხვ. გადმოცემების სახით ბოლოდრომდეა გავრცელებული ხალხში (იხ. სიხ. საგმ., გვ. 186).

საისტორიო ნაწარმოებთა ტრადიციის თვალსაზრისით საგულისხმოა ის გარემოება, რომ ნაწარმოების პირველი მთქმელი სოლომონ პირველის თანამედროვე მგალობელია, კარგი ბოლოდინ სამეფო კარის ამბებისა. ეს ნაწარმოები იმითაც არის საინტერესო, რომ როსტომ ერისთავის სოლომონ პირველისადმი დამოკიდებულების გამოსახატავად გამოყენებულია ზმა. წერილში, რომელიც ერისთავმა მეფეს ლექსად გაუგზავნა რაჭველი აზნაურის ხელით, იკითხება: შენ სამოველ, შენ სატანა, შენ იუდა.

ბ

ოსმალეთის ხონთქრებმა გადაწყვიტეს საბოლოოდ დაემორჩილებინათ იმერეთი, სანამ ეს სამეფო მოასწრებდა რუსეთთან მჭიდრო კავშირის შეკვრას. ამ სათუო დროს იმერეთში მეფობდა სოლომონ პირველი, სამშობლოს წინაშე სამსახურისათვის „დიდად“ წოდებული, ნიჭიერი სარდალი, მოხერხებული გამგე (ადმინისტრატორი) და შორს გამჭვრეტი პოლიტიკოსი. როცა ახალციხის სერასკირს მოუვიდა ბძანება, რომ დიდძალის ენგიჩარის ლაშქრით შესეოდა იმერეთს და სრულიად დაეპყრო, სოლომონ მეფემ შეიგნო, რომ ეს ომიანობა იყო მისი სამეფო ბედის და უბედობის გადამწყვეტი, მთელი სამეფო ფეხზე დააყენა, მეომარნი, ვინც ვარგოდა, ყველანი თოფ-იარაღში ჩასხა და დანარჩენი მცხოვრებლები გახიზნა რაჭა-ლეჩხუმის მთებში. მთავარი ჯარი, რომელშიაც იყვნენ თავიანთი მხედრობით ოდიშის მთავარი, ცოლის ძმა მეფისა, და გურიელი, ერისთავითურთ, დაბანაკა ქუთაისს ზემოთ, ოკრიბაში, სოფელს ხრესილს, იქ, სადაც ორმოციოდე ქცევა ვაკეს ირგვლივ ტყით შემოსილი მთები შემორტყმია. დასავლეთით და აღმოსავლეთით ამ მთებში ბუნებას დაუტანებია თითო ხევი—კარები — ას-ასიოდე მხარის სიგანე, ერთი ქუთაისის მხრით და მეორეც საწირისაკენ. აი აქ უპირებდა სოლომონი სერასკირს შეტყუებას და ბედის გადამწყვეტი ომით შებმას, რომ ან თვით დაღუპულიყო, ან მტერი გაეწყვიტა ისე, რომ მთხრობელიც არ გაეშვა შინ. სამეფო საზღვარზე — ზეკარს, სალაშქროს, კაკას ხიდზე, ხანის მთასა და ხევში მეფე შეხვდა მტერს მხოლოდ თარეშული ომით. პატარ-პატარა გუნდებად დაყოფილი იმერეთის მხედრობა ხან აქ დაეცემოდა თავს ოსმალოს ბანაკს, ხან იქ, მოუკლავდნენ რამდენსამე კაცს და თვითონ კი, თითქმის უვნებელნი, მოჩვენებასავით იმ წამსვე ქრებოდნენ უგზო-უკვლოდ. ოსმალების ჯარს შეუმჩნევლად

აკლდებოდა მეომარი მეომარზე, მარა ერთ თვალუწვდენელ ჩეთეთ[12] დარაზმული, მაინც მიდიოდა თანდათან წინ და იმერლები კი იხევდნენ უკან. მდ. ყვირილაზე ფონში გასვლის შემდეგ სერასკირს ერთი იმერელიც არ გადაღობებია წინ: მოთარეშენი თითქო გაწყდნენ.

ქუთაისი უომრად დაიკავა მტერმა. სერასკირმა მოინდომა ქუთაისში ფეხის მოდგმა. მას უნდოდა ქუთაისი ოსმალეთის ციხე-ქალაქად გადაექცია, აქედან განეგო, სათვალდათვალოდ ვითომ დამორჩილებული, ზეგანი და ქვემო-იმერეთი, გაეტეხა გურია და ოდიში და რაჭა-ლეჩხუმის და ზემო იმერეთის დაპყრობას კი მერმე შედგომოდა.

სერასკირი თავისთვის კაი ჭკუაზე იყო, მარა არ მოუსვენეს მისმა დამქაშებმა, ყველაზე უფრო — კი ლევან აბაშიძემ, არგვეთის მებატონემ და სამშობლოს მოღალატემ.

ეს აბაშიძე თავის თავს არგვეთის მთავრად სთვლიდა. მეფე კი მარტო მებატონე თავადის ქერქში აყენებდა მას. და გარეშე ამისა საძრაობის ნებას არ აძლევდა. ეს იყო მიზეზი, რომ პირველ შემთხვევისთანავე აბაშიძემ თავი დაუკრა მტერს, აღუთქვა სამშობლოს დაპყრობაში შემწეობა და სამაგიეროდ ჩამოართვა სიტყვა, რომ სამეფოს დაპყრობის შემდეგ მას დანიშნავდნენ არგვეთის დამოუკიდებელ მთავრად და იმერეთის გამგედ. სერასკირის განზრახვა კი ბოლოს უღებდა მის ოცნებას მთავრად და იმერეთის გამგედ გახდომისას. ამიტომაც ყველაზე უფრო ის შეუჩნდა სერასკირს: „სდიე მეფეს, სანამ მირბის! მისი ერთგულები ახლა წელმოწყვეტილნი არიან:::: მეფის ლაშქარი რომ გგონიათ, იმაზე უფრო მოშლილია; მთებში მიტომ იმალებიან, რომ ვაკეში თქვენი ეშინიათ, დიდი ზავთი აქვს ახლა ოსმალოს იმერეთში! მერწმუნე, სერასკირო, დაეწიე შენს გაქცეულს მეფეს, შეები და ხელში ჩაიგდებ მასაც და მის ერთგულ მთავრებსაც! ერთ დღეს შესძენ ხონთქარს მთელს იმერეთს გურია-ოდიშიანათ! თუ ხონთქარის ერთგული ხარ, ახლა გაქვს დრო მისი ხმალი მოჰპარო! შენ თუ გეშინია, მე წავუძღვები შენს ლაშქარს ჩემი ერთგული მარგველებით!..“

აბაშიძეს ბანს აძლევდნენ სერასკირის ფაშები და ბეგები. ფრთხილი სარდალი დაიყოლიეს ნებას. ოსმალოს ჯარი გაემართა

---

[12] ჩეთე ჰქვია ოთხკუთხად დარაზმულ მხედრობას, კარრეს, ლაშქარი ასე დარაზმდება მხოლოდ დიდ გაპირვების დროს.

ოკრიბისაკენ გოდოგნის გზით. გზის მაჩვენებლად ჰყავდათ ლევან აბაშიძე და მისი ერთგული მარგველები.

მტერი გაეპა დაგებულ მახეში: სამშობლოს მოღალატემ, ანგარებით გონებადაბნეულმა და თავხედობით თვალდამდგარმა, ოსმალოს ლაშქარი გაიყვანა სწორეთ იმ მთებ შუა მოქცეულ ვაკეზე, სადაც კაი დიდი ხნიდან მომარაგებული იყო მეფე სოლომონი. ზურგის ჯარის უკანასკნელს ენგიჩარს გავლილი ჰქონდა ამ მთებ შუა შესავალი (დასავლეთის) ბუნებითი კარი, და წინა რაზმი ის იყო გადიოდა აღმოსავლეთით გასავალ ხევში, რომ მთებიდან ირგვლივ, როგორც ერთი ლულიდან, ისე გავარდა რამდენიმე ათასი თოფი... ბევრი ვაჟკაცი მოცელილ ბალახსავით ჩაეკეცა მტრის რაზმებში, წინა რაზმმა მიაშურა უკანას, უკანა ეძგერა მოწინავეს... აირია ლაშქარი! მთებიდან მოდიოდა ტყვიების სეტყვა და სანამ ოსმალები გონს მოვიდოდნენ, მათი სისქე ძალზე შეთხელდა. რამდენჯერმე სცადეს გაქცევა, მარა გზა ყოველი მხრით შეკრული ჰქონდათ სოლომონისაგან. იარაღის დაყრისა და დამორჩილების მეტი საღსარი არ ჰქონდათ ოსმალებს, მარა ეს გულშიაც არ გაუვლიათ, იმდენად დიდი იყო მათი სავაჟკაცო ამპარტავნება. თითოეულმა ენგიჩარმა, თითქოს უთქმელად, თავის გულში გადაწყვიტა ცოცხალი არ დანებებოდა იმერელს და რაც შეიძლებოდა ძვირად დაესვა მისთვის თავისი სიცოცხლე. აბაშიძის რჩევით სერაჯკირმა მიუშვა ჯარი იერიშით სწორედ იმ ადგილს, სადაც წარმოუდგენელი იყო ჭკუათა მყოფელი კაცისათვის. ის იყო უმაღლესი გორა იმ მიდამოში და ჰქონდა ერთობ დაქანებული, ბუჩქნარითა და იქა-აქ ხეებით შემოსილი კალთები. მწვერვალზე ბძანდებოდა თვით მეფე თავის ამალით.

მეფის ამალას შეადგენდნენ „დიდი ნაომარი“ (ვეტერანები); კაცები, ათასნაირ ქარ-ცეცხლში გამოვლილნი, ომებში მონათლულნი და ბრძოლის ველზე აღზრდილნი. არც ერთი სამხედრო უცაბედობა, სწვებისთვის გასაოცარი, მათთვის საკვირველს არას მოასწავებდა. მარა ამ კაცნიერმა იერიშმა, სასიკვდილოდ განწირულთაგან თავზე ხელაღებით მიტანილმა, ისინიც კი წამისათ შეაცბუნა და გააშტერა. პირველად გავარდა მეფის თოფი და შემდეგ იქუხეს ამალის შაშხანებმა. ოსმალთ რაზმს აკლდებოდა იმდენივე მეომარი, რამდენი თოფიც სოლომონის მეომრებისაგან იცლებოდა, რადგანაც ისინი ესროდნენ მტერს ნიშანში ამოღებით, სასროლ მანძილზე, ზევიდან ქვევით, ოსმალნი მაინც შეუდრეკლად ადიოდნენ

მთის ფერდობზე. მოცელილ რაზმის წილ ჩნდებოდა სხვა, ახალი რაზმი. ისინი ეძებდნენ სიკვდილს და ჰპოვებდნენ კიდეც! მათს სიმრავლეს ვერ ადიოდა, ვერ უთავდებოდა მეფის ამალის ტყვიები. რამდენსამე ათიოდე წამს შემდეგ ოსმალნი მაინც აფოფხდნენ მთაზე და ხელჩართულით დაერიენ მეფის მხლეთ.

ამ დროს ერთი ვიღაც ოკრიბელი „გლეხი", გვარად ბრეგვაძე, ზორბა ტანადი და დიდი ხმის მექონი. ავიდა უზურმაზარ მუხაზე და გრგვინვასავით გადმოძახა მთელს არე-მარეს, რამდენჯერმე გაიმეორებით:

— „გაიმარჯვა იმერეთის მეფემ, წახთა თათარი!" ამ გადმოძახებამ გაამხნევა მამულის დამცველნი და შეაძრწუნა მტერი. მეფეს დანარჩენი ჯარი მოეშველა ამ სახიფათო ადგილს. მათ მიშველებამდის მეფის დროშა ხელთ იგდეს აბაშიძის მარგველებმა. რომლებსაც, როგორც იმერლებს, ქართულათვე ეცვათ. იმ აურზაურში მეფის მცველებმა თავისიანებში ვერ გაარჩიეს და ახლოს მიუშვეს დროშასთან. იგდეს თუ არა ხელთ დროშა, იმ წამსვე გადასცეს იგი აბაშიძეს და იმან კი მიართვა იგი სერასკირს, რომელიც უკვე ღალატს წამებდა სამშობლოს მოღალატეს.

— „ჩემს თამარს მივცემ ცოლად, ვინც იმ დროშას გამომიტანს". გასძახა თავის ჯარს სოლომონმა.

საუკეთესო ვაჟკაცი ჭაბუკები, ცალკე სახელს და ცალკე ფასუთქმელი ჯილდოს შოვნით გატაცებულნი, შეეჯიბრნენ ერთმანეთს. საარაკო მამაცობით და თავდადებით შეიჭრნენ მტრის ჯარის შუაგულში.

სულ მოკლე ხანში დროშა მოართვა მეფეს გურიის ერისთავმა.

ბრეგვაძე კი მუხიდან სულ გასძახოდა:— „გაიმარჯვა იმერეთის მეფემ, წახთა თათარი!"

ლევან აბაშიძე ცხენდაცხენ ოფოფით მივიდა იმ მუხასთან და დაუწყო ხის კატარს ცქერა — უთუოთ იმისათვის, რომ ბრეგვაძე მოეკლა. ბრეგვაძემ უმალ დაინახა აბაშიძე, იცნო და, რა კი იცოდა, რომ ქვეყნის მოღალატე იყო, დასწრო, ჰკრა თოფი თავის ქალაში და იქვე სული გააფთხობინა.

ერთმა ოდიშელმა მხედართთაგანმა. გვარად ლოლუამ. შეიპყრო თვით სერასკირი და მიჰგვარა მეფეს.

სერასკირის ცოცხლად შეპყრობამ გული გაუტეხა დანარჩენს ენგიჩარების ჯარს და იარაღი დააყრევინა.

გამარჯვება იყო სრული, დიდმნიშვნელოვანი, მთელი დასავლეთ საქართველოს აღმაფრთოვანებელი.

მეფე აბძანდა თავის კარვის წინ. ლაშქარმა იწყო მეფის წინაშე მისალოცავად დენა რიგ-რიგად. ოდიშისა და გურიის მთავრების შემდეგ მიულოცეს შიდა-იმერლებმა, შემდეგ გურულებმა და ოდიშარებმა. ყველას მოჰყვავდა მათ მიერ შეპყრობილი მხარგაკრული ტყვეები, მოჰქონდათ ნაშოვნი იარაღები, ბაირაღები და სხვ.

ბრძოლის ველზედვე გადიხადეს სამადლობელი პარაკლისი. პარაკლისის შემდეგ მეფემ გაიხსენა და მოიკითხა თავადი როსტომ ნიჟარაძე.

ეს როსტომ ნიჟარაძე ყოფილა მეფის საყვარელი კაცი და იმ მშვენიერის კაცების დროს გამოსარჩევი თვალტანადი იყო თურმე. მშვიდობიანის ხასიათისას და ზნისას იმისთანა თვალები ჰქონია, რომ ღამითაც ისე ხედავდა თურმე, როგორც დღე, მარა ერთი ისეთი თვისებაც ჭირვებია, რომ მაშინდელ დროში თითით საჩვენებელი ყოფილა: ნამეტანი მფრთხალი თურმე იყო.

ხრესილის მთელი ომი ისე გათავდა, რომ ის სადღაც ტყეში იმალებოდა, მეფის ამალის ზურგს უკან.

კარისკაცებმა როგორც იქნა მოძებნეს, გამოიყვანეს შეშინებული როსტომი ტყიდან და წარუდგინეს მეფეს.

— არა გრცხვენია, როსტომ, ასეთს ომში შენი თავი გვერდით არ მახლდა?! უთხრა მეფემ.

როსტომმა თავი ჩაღუნა. მეფემ მიიბრუნა ნაწყენი სახე და გასცა ბრძანება მიეყვანათ მის წინაშე ის ბრეგვაძე, მუხიდან რომ ბრძოლის ველს გასძახოდა. ბრძანება მყისვე აასრულეს.

— ბრეგვაძე! შენმა დღეევანდელმა ძახილმა ბევრს ვაჟკაცს გაუმხნევა გული. ამიტომ მიბოძებია შენთვის, შვილთა და მომავალთა შენთათვის ჩემი ტახტის აზნაურობა — ახლა კი ეს ამისრულე: ადი იმავ მუხაზე და გადასძახე: — „გაიმარჯვა საქრისტიანომ აგარიანებზე, აღივსო ყოველი ქრისტეს მოსავი მხედარი სახელითა და დიდებით, თავსლაფი დაესხა მარტო როსტომ ნიჟარაძეს!“

ბრეგვაძემ ისე გულმოდგინედ შეასრულა მეფის ბრძანება, რომ ამბობენ, ბევრს ს. საწირეშიაც ესმოდაო.

მწარეთ შეწუხებულს როსტომს მიუახლოვდა მაშინ სიმონ წერეთელი და უთხრა: — თქვე დალოცვილებო. რად მოგდგამთ ნიჟარაძეებს ასე, რომ ყოველთვის:

იჯგიმებით ლხინში
და იბღუნკებით ჭირში?!
როსტომს პასუხი არ გაუცია.

ძვ. საქ., II, განყ. IV, გვ. 36 — 42. ტექსტი წარმოადგენს თ. მაგმაძის მიერ გაკეთებულ მონტაჟს. სოფრომ ხუნდაძის, რაფიელ ერისთავის და იაკინთე ყიფიანის ნაამბობის მიხედვით. გადაბეჭდილია. „კლდე", № 38, 1913, წ., გვ. 12. სათაურად აქვს „ხრესილის ომი".

3

მეფე სოლომონ დიდს ოდიშის მთავარმა ,მისმა ცოლისძმამ, თავისი უწარჩინებულესი დარბაისლები აახლა და მოახსენა:

— თქვენს სამეფოს, ჩემი სამთავროს საზღვრებზე, მოაწვა მთელი აფხაზეთის, ჯიქეთის და ალანის ლაშქრებით ქელეშ-ბეგი შარვაშიძე და შთანთქმას გვიპირებს. დამიფარეთ, რადგანაც მარტო ჩემი სამთავროს ძალა არ იკმარებს მტრის დასახვედრათო.

მეფემ დაუხანებლად გასცა ბრძანება. რომ ყველა სადროშეების ჯარები საჩქაროდ ამხედრებულიყვნენ და ს. ბანძას მოეყარათ თავი. ოდიშის მთავარს კი შეუთვალა, მტერს ჩემს მოსვლამდი თუ შეიძლო, ნუ შეებმი; სანამ მე მოვიდოდე, ხმა დაჰყარე, რომ მე ოსმალეთს ვუპირებ შესევას და შენს შველას არ ვფიქრობო.

მეფემ მოთხოვა გურიელსაც, რომ დასწრაფებით მოეკრიბა ჯარი და ბანძას მისულიყო შიდა-იმერეთის ლაშქართან შესაერთებლად. მთავარმა შეასრულა ეს მოთხოვნილება. გურიის ჯარის ბაირაღტრად იყო ებალაურელი აზნაური ჭყონია, რომელიც რიონში ფონად გასვლის დროს შინ გაიპარა. ამ საქციელისათვის გურიელმა ჩამოართვა მას მიწა-წყალი, ყმები და სიგელით მიუბოძა გომახურელ ჭყონიას, რომელზედაც გადავიდა ბაირაღტრობა ებალაურელის გაპარვისთანავე.

ბანძიდან მეფე თვით წარუძღვა ჯარს და ერთი ასმით მივიდა რუხის ციხემდი. მეფის ბაირაღტრით იყო საჩინოელი . როსტომ ლორთქიფანიძე. მეფის ასე მოულოდნელად მოვლინებამ ზარი დასცა სამტროდ მოსულებს და ქელეშ-ბეგმა გამართა სამშვიდობო მოლაპარაკება. ეს არ იამათ ოდიშის მთავრის კარისკაცებს. მათ ეშინოდათ, რომ ამ მორიგების შემდეგ მეფე მეტისმეტად არ გაძ-

ლიერებულიყო. მეფესთან დაზავებული შარვაშიძე მათთვის საშიში იქნებოდა. უცებ ქელეშ-ბეგის ბანაკიდან გავარდა ზარბაზანი და ყუმბარა დაეცა მეფის კარავს ახლო.

ოდიშარებმა მოახსენეს მეფეს, რომ აფხაზებმა დროის მოსაგებად გამართეს სამშვიდობო მოლაპარაკება, ეხლა მოასწრეს დამარაგება და ღალატით მოინდომეს თქვენი მოკვლა, თორემ რად უნდა ესროლათ ზარბაზანი მოლაპარაკების გათავებამდიო!

აფხაზების თქმულებით ის ზარბაზანი დადიანის შეყიდულმა, კაცმა გაასროლინაო — ასე იყო, თუ არ იყო, რაკი ოდიშართა ნათქვამი სიმართლეს ძალიან ჰგავდა, მეფე ერწმუნა მათ და უბრძანა სარდლებს დაეკრათ ბუკი და დაეწყოთ ომი.

ამ ომში სოლომონის ლაშქარში ყველაზე უფრო თავი იჩინა სიმამაცითა და თავდარიგიანობით თ. გიორგი წულუკიძემ. ქელეშ-ბეგის ჯარში — კი მისმავე ძმამა — ბექირ-ბეიმ. იმდროინდელი პოეტი ბესიკი (გაბაშვილი) ასე გვიწერს ბექირ-ბეის რუხის ომზე დაწერილს ლექსში:

„... მათგან მხოლოდ ერთსა ვაქებ:
„წითლათ მოსილს, გულად სპილოს, —
„თავის სრულად გარდაეგო,
„არვის ჰრიდებს, ვინც ეცილოს;
„მხედარია უებარი,
„ხშირათ იცვლის ისრის კილოს,
„ჰკრის ვისაცა, მიწად დასცის,
„შეამსგავსის სასიკვდილოს“...

ხრესილის ომში გამარჯვებით გაამაყებული იმერეთის ლაშქარი დიდი რიხით მივიდა დაკავშირებულ მტრებზე იერიშით. გურულებს და ზემო იმერლებს შეხვდათ ჯიქ-ალანების გუნდთან შეტაკება. მთების ლაღი შვილები მამაცურად იბრძოდნენ, მარა ბოლოს მაინც იძულებული გახდნენ ებრუნებინათ ზურგი და გაქცეულიყვნენ რაზმარევით და კვალშეშლით. თვით აფხაზების ლაშქარი კი ურყეველ ბურჯად იდგა და თავგამოდებით ეჩეხებოდა ოდიშართ და ქვემო იმერლებს. ჯიქ-ალანთა გაქცევის შემდეგ მეფე მიიჭრა თავის მთავარსარდალთან:

— ქაიხოსრო (წერეთელი), ეს რა ამბავია? ხონთქარის გამწყვეტს აფხაზები უნდა გიჭირვებდეს საქმეს?!

— ბატონო! თქვენი რისხვა მქონდეს, თუ ბექირ ბეი შარვა-შიძე ერთ სახონთქროს ლაშქრად არა ღირდეს! ის რომ არ იყოს, ომი დიდი ხანი მოგებული გვექნებოდა!

ამ სიტყვებს შემდეგ მეფემ დურბინდით მტრის ჯარში დაუწყო ძებნა ბექირ ბეის და როგორც კი მოჰკრა თვალი, მყისვე შეუტია.

იგივე ბესიკი ასე აგვიწერს ამ რაინდულ ეპიზოდს:

„მეფემ იმ ყრმას შეუტია, შეუძახა ხმითა ხაფეთ!
ჩვენ კი შიშმა აგვიტაცა... „საშენოა"! მივაძახეთ!

და ერთმანეთს წავჩურჩულეთ: „ვაჲ, თუ მისგან გავილახეთ!".

მეფემ და ბექირ ბეიმ ერთმანეთს ხმალის მოქნევაზე ჩაუქენეს ცხენები, თვალი თვალს გაუყარეს, მარა ერთმანეთისათვის არც ხმალი მოუქნევიათ, არც არა უვნიათ რა.

მერმე ეკითხათ სოლომონისა და ბექირ ბეისათვის, თუ რატომ გაუშვეს ერთმანეთი უვნები. მეფეს ებრძანებია:

— არასოდეს არ შემხვედრია ბექირ ბეისთანა ვაჟკაცი. იმ წუთს, როცა მან რუხის ომში ცხენი ჩამომიქენა, ისეთი ზავიანი იყო მისი ვაჟკაცური გაბედულება, რომ საუცხოოდ მომეწონა და მომესურვა მისი დაახლოება და სამშობლოსათვის გამოყენება. ვიფიქრე, დღეს თუ სამშობლოს ჭირისუფალი ხელს უშლის, ხვალ იმავ სამშობლოსვე მცველად გამოდგება. ამიტომაც შემბრალდა მისი სიყრმე და ვეღარ გავიმეტე გასაფუჭებლად! შემემართა. არა მგონია, უმარცხოდ გადავრჩენილიყავ.

ბექირ ბეის ეთქვა: — ხმლის მოსაქნევზე რომ მივუახლოვდი მეფეს, უფროს-უმცროსობის რიგისამებრ, ჯერ მისგან ველოდი ხმლის პირველს მოქნევას... არც მან ინება შემოტევება, და მეც ისე გამღალა თვალით, რომ აზრადაც არ მომსვლია პირიქით შემებედა...

მეფის შეტაკების დამნახავს იმერთა ლაშქარს აუჩქროლდა სისხლი და ერთხელ კიდევ მიიტანა აფხაზებზე იარიში. თოფმა ადგილი დაუთმო ხმალსა და სატევარს (ხანჯალს). ომი ომს აღარა ჰგავდა: ბრძოლის ველი გადაიქცა საყასბოდ, სადაც კაცი კაცს საქონელსავით ყელს უღადრავდა, კისერს და თავს სჭრიდა, შიგნავდა. სისხლის ღვარები შეერთვნენ ენგურს და მისი ტალღები შეღებეს წითლად...

გამარჯვება დარჩა მეფეს. აფხაზებმა მიატოვეს ბრძოლის ველი, მარა ბექირ ბეის სიმამაცემ და სამხედრო საზრისმა გადაარჩინა იგი აწიოკებას: მისი უკან დახევა არ ჰგავდა გაქცევას. სამთავ-

რო დროშა და მეტი წილი ზარბაზნებისა გადაარჩინა. ნაომევს, ბრძოლის ველზედვე მეფეს ეახლნენ კარავში მთავრები, სარდლები და ლაშქრები რიგ-რიგად, გამარჯვების მისალოცად და ნაშოვრის მისართმევად. მეფე გამობძანდა კარვიდან და სავარძელზე დაბძანდა. სახლთუხუცესმა დახია უკან მოსალოცავად მოსულნი, დატოვა ფართო ადგილი მეფის ირგვლივ და დაიწყო ცერემონია მილოცვისა.

უცებ შეიქნა ჩოჩქოლი. წრე მხედართა გაირღვა და გამოჩნდა როსტომ ნიჟარაძე. მას მოჰყავდა მხარგაკრული ტყვე — მაღალი, ბრგე, მხარ-მკერდ განიერი, სადა იარაღ „ჩაკიპული", აფხაზურად ყაბალახ მონახური. მიუახლოვდა თუ არა მეფეს, როსტომმა დაუჩოქა, მიულოცა გამარჯვება, გაუგორა ფეხთ ქვეშ ტყვია— „თქვენს მტერს გულშიო!" დააყოლა, და მიართვა მეფეს ტყვე.

— ერთია, მარა ოც სხვების დაჭერილ აფხაზად ღირს. შეხედეთ თქვენი მოწყალე თვალით, რა მოსული ვაჟკაცია! — როსტომ მფრთხალია, როსტომი საბეროაო, — მოგახსენებდნენ ჩემი მტერმოყვრები და აჰა... მეც გავისვარე კაცის სისხლით ხელი! ძლივს გადამირჩა ბექირ ბეგი, ამ წუწკმა იპატივა — შეხედა თავის ტყვეს — მარა, არაფერია, თუ შევხვდი კიდევ სადმე... იმედია... უფრო გამოცდილად მოვიქცევი. დღეს პირველად ამოვიღე ხმალი ქარქაშიდან, ნუ დამძრახავთ, მოწყალეო ბატონო!...

— წინ წამოდეგ, შე ქეციანო! დაუბღვირა ტყვეს, რომელსაც უფრო ახლო ჩვენება უნდოდა მეფისათვის, და თოფის კონდახი ჩაჰკრა ფერდში. მხარგაკრულმა მორთო ღრიალი:

— ვაჲძე, დიდებულო მეფე! მომკლა ამ შეჩვენებულმა!... ახობაძე ვარ, ბატონო, ქვიტირელი!.. რა მიგავს აფხაზს... ვაიი... მთხოვა, ერთს წამს მეფესთან მიმყევი მხარგაკრული, ვითომ ტყვე ხარო... უღელ ხარს დამპირდა... რა ვიცოდი ,მე საცოდავმა, თუ ტყლიპს ჩამიქცევდა... ოოჰ!...

მეფემ შერისხა როსტომი, იმიტომ კი არა, რომ ომში არ შესულა, არამედ მოტყვილებისათვის.

იქვე არჩილ ბატონიშვილმა სთხოვა. მეფეს როსტომის თავი.

— მაგის (როსტომის) სიფრთხილემ შეიძლება სხვაც გაიტაცოს, რაკი თქვენი სიყვარული არ აკლდება, და ეს ქვეყანას არ მოუხდება. ექვს თვეში გავამამაცებ მაგას, თქვენი რისხვა ნუ მექნებაო.

მეფემ შეისმინა არჩილის თხოვნა და, თუმცა როსტომს სიმწრის ცრემლები მოადგა თვალზე, მაინც გასცა ბრძანება, ჩაერიცხათ იგი არჩილის საბატონიშვილო თავადად.

ძვ. საქ., II, განყ. IV, გვ. 42 — 46. კომბინირებული ტექსტია. შედგენილი თ. მაგმაძის მიერ. გრიგოლ გურიელის, ასლან წულუკიძის, მამია გურიელის, გიორგი შარვაშიძის, იასონ წულუკიძის და იაკინთე ყიფიანის ნაამბობთა მიხედვით. სათაურად აქვს „რუხის ომი“.

დ

რომ წამოსულა რწყეული ოსმალი ჩვენს წინააღმდეგ, აუღიათ ეს ჩვენი სოფლები და მუუწევიათ ოჯესტას ეძახიან (ციხე ყოფილა ხრესილის ქვევით პატარა) იქნამდინ, იქ დუუძახნია გლეხს ბრეგაძეს, — მოკლეს ალიბეგი. შეეშინდა თათრებს და დეიხიეს მერე უკან და მირბოდენ უკუღმა სულ.

თქმას „მოკლეს ალიბეგიო“, იმდენი მნიშვნელობა მიეცა, როგორც არის გადმოცემა, წევიდა თათარმა.

მთქმელი ნოე კუპრაშვილი. ჩაწერილი 23. VII — 1951 წ. სოფ. კურსებში ქს. სიხარულიძის მიერ ფ. არქ. — № 34465.

ე

როსტომ ერისთავს მოუვიდა სტუმრად მეფე სოლომონი. უპატივცემლობით გამოხედა მეფეს: ქოშებისა და საცვლის ამარა. მეფემ იუკადრისა, როგორ თუ ქოშებით გამომხედაო. მაშინ რა გაეწყობოდა, ვერაფერი ვერა ჰკადრა, რადგან დახმარება სჭირდებოდა ოსმალების გასადევნად, მაგრამ ერისთავი არ დაეხმარა.

სოლომონმა გადასწყვიტა მისი დასჯა და მოიტყუა ქუთაისს. როსტომი აქეიფა და ბოლოს განუცხადა: „მინდას“ ციხე მომეციო, აფხანიკები ვიყოთო, მე კი იმერეთს გიზიარებო. როსტომმა უთხრა: გამომატანე კაცი და გამოგიგზავნი კლიტესო.

შემოვიდა როსტომი იქიდან წამოსული ნაქერალაზე და დაჯდა და წიგნი დასწერა სოლომონ პირველის სახელზე:

„არა, არა, არ იქნება მაზია და კვირიკაო,
ციხეს მართმევთ, მინდორს მაძლევთ,
უნდა დავჯდე ვირიკაო?“

ამ მოტყუების შემდეგ სოლომონი ძალზე გაბრაზდა და გადასწყვიტა დაესაჯა როსტომი თავის შვილებიანად მისი ძმის იოსებ მეორის ეპისკოპოსის დახმარებით.

სოლომონმა მიიტყუა ქუთაისს, ორწყალშუა ნავებით შეიყვანა, ვითომ სათევზაოდ და ჯარის საშუალებით ყველას თვალები დასთხარა, როსტომსაც და მის რვა შვილსაც. ხიდიკარის ციხეები კი ზოგი დაანგრია.

მთქმელი საბა მერკვილაძე, 100 წლის, კოლმეურნე, წ. კ. უცოდინარი. ჩაწერილი 10. VIII — 1945 წ. რაჭაში, ს. წესში, ეთერ არჯევანიძის მიერ.

170. სოლომონ მეფე და გიორგი აბაშიძე

აკ. კრებ. № III, 1897, განყ. II, გვ. 41 — 43, ოდნავ შემოკლებული რედაქცია გადაბეჭდილია — კვლ. № 46, 1897. დასათაურება ჩვენია. ქ. ს. გადმოცემა საინტერესოა საქორწილო სიმბოლიკის მოხდენილად გამოყენებით. ხალხურ პოეზიაში ხოხობი პატარძლისა თუ საპატარძლოს პოეტური სახეა.

171. ტუუილი და მართალი

172. სოლომონ პირველი და გლეხი.

ორივე ტექსტი № 171, 172 სათაურით „ქართველთა ნაკვესები“ (Etinceeles géorgicunes) შესულია „Cette reponsece plut au roi et il danna son propre cheval au pauvre diable“. ორივე ტექსტის დასათაურება ჩვენია. ქ. ს.

173. სოლომონ პირველი, როსტომ ერისთავი, წერეთლები და სხვა თავადები

მთქმელი წ. კ. მცირე მცოდნე გიორგი დავითის ძე წერეთელი. ჩაწერილი 16. II—1944 წ. იმერეთში ,სოფ. ლახუნდარაში (ორჯონიკიძის რ.), ქეთევან წერეთლის მიერ. ტექსტი გადმოგვცა ჩამწერმა.

174. მჭრელი თვალები

მთქმელი უშანგი ასათიანი, 115 წ., ჩაწერილი ლეჩხუმში, სოფ. დერჩში. მიხ. ალავიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა. გვ. 18. ამავე სიუჟეტზე, როგორც ეს აღნიშნული აქვს მიხ. ალავიძეს (იქვე. გვ. 136), არის შექმნილი აკ. წერეთლის მოთხრობა „ოთია მესხი“.

175. ჯორის ერთგულება

ჩაწერილი ქუთაისში დომენტი თომაშვილის მიერ. მიხ. ალავიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა, გვ. 27. მიხ. ალავიძის შენიშვნით გადმოცემა ვარიანტია აკ. წერეთლის პოემის „ორი ქართველი“ უკანასკნელი ეპიზოდისა (იქვე. გვ. 137). შესაძლოა, გადმოცემა იყოს უშუალო წყარო პოემის ეპიზოდისა. ასე თუ ისე, იგი გენეტიკურ კავშირშია აკ. წერეთლის პოემასთან.

176. იმერეთის მეფე სოლომონ მეორე

აკ. კრებ. № 3, 1897 წ., განყ. III, გვ. 43—45. გადმოცემის მეორე ნაწილი მცირე ცვლილებით დაიბეჭდა — კვლ. № 46, 1897 წ., რასაც თან ახლავს პასპორტი: მთქმელი გარსია ღონღაძე, 80 წლის, ყრუ. ჩაწერილი ზემო იმერეთში გიორგი წერეთლის მიერ.

177. სოლომონ მეორე

მთქმელი გარსია ღონღაძე. ჩაწერილი ზემო იმერეთში გიორგი წერეთლის მიერ. კვლ. № 24, 1896 წ.

178. სოლომონ მეორე და სოლომონ მსაჯული

მთქმელი დავით ლეონიძე, შვილიშვილი სოლომონ მსაჯულისა. ჩაწერილი გიორგი წერეთლის მიერ. მთქმელს გადმოცემა მოუსმენია სოლომონ მსაჯულის მოურავის, 90 წლის ბრმა გუგუნა ძაღრაძისაგან. ხელნაწერი ინახება ც. არქ. № 355, გვ. 10, ფონდი 114.

ასლი მოგვაწოდა სოლ. ყუბანეიშვილმა. დაბეჭდილია „კვ“. № 42, 1895 წ. სათაურით „ზეპირგადმოცემა“.

179. არაბულთა მოტაცება

ჩაწერილი ქუთაისში დომენტი თომაშვილის მიერ. მიხ. ალავიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა, გვ. 25.

180. დავით ბატონი

ჩაწერილი მესხეთში ვინმე მესხის (გვარამაძის) მიერ. თაყ. 1, № 12, გვ. 420. გაუგებარია რომელი დავითი იგულისხმება — ერეკლეს ძე თუ — გიორგის ძე, შვილიშვილი ერეკლე მეორესი.

ბ

დავითითანა ბატონ-
არ გამოსულა გვარშია,
ადგა და ქვეით წავიდა
დიდი ყეინი ჯარშია,
ადგა და წინ გამოუძღვა,
ვით ორაგული ზღვაშია,
ყეენმა მისცა წყალობა,
კაბა გააკრა ტანშია.

ჩაწერილი სოფელ მარაბდას ნინო ბარათოვის მიერ. უმიკ. № 195, გვ. 121.

181. ქალაქის არევა

მთქმელი ჯირჩლა ნისლაურის ძე წიკლაური (ნისლაურთ ჯირ-ჩლა) 93 წლის (ცნობები იხ. სიხ. საგმ. გვ. 291—293). ჩაწერილი 5. VIII—1944 წ. ხევსურეთში, სოფ. ამღაში, ქს. სიხარულიძის მიერ. მრავალვარიანტად გავრცელებულ ლექსში გადმოცემულია ის არეულობა, რასაც ქართლ-კახეთში ჰქონდა ადგილი ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ ბატონიშვილების ტახტზე ცილაობის შედეგად. როგორც ცნობილია, ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზე გიორგი ბატონიშვილი ავიდა. გიორგი მეფის თხოვნით, ტრაქტატის თანახმად, 1799 წლის აპრილში. რუსეთის იმპერატორმა პავლემ გიორგი მეფეს ტახტზე დამტკიცების სიგელი გამოუგზავნა და ტახტის მემკვიდრედ დავით გიორგის ძე აღიარა. ამან უკმაყოფილება გამოიწვია ერეკლეს სხვა ვაჟებში. ბატონიშვილებმა არ სცნეს მეფის ხელისუფლება. ალექსანდრე ერეკლეს ძე ირანის შაჰთან გაიქცა და ქომაგობა თხოვა. ამას გულისხმობს მოხუცი მთქმელი, როდესაც სტრიქ. 24 ზევ. შენიშნავს: „იმათ (ალექსანდრე ბატონიშვილს და სხვა ძმებს ქ. ს.) ვერ დაუნ-

დავ რუსები... რუსი პირს არ აძლევსო". ცბიერმა შაჰმა სიამოვნებით იკისრა ბატონიშვილების ცრუ ქომაგობა და განიზრახა ქართლ-კახეთის დამონება. გიორგი მეფემ ისევ რუსებს მიმართა, ითხოვა ტრაქტატის შეცვლა და რუსეთის მთავრობას თხოვა მოეწესრიგებინა ქართლ-კახეთის საშინაო საქმეები. 1799 წლის ნოემბერში გენერალ ლაზარევის სარდლობით შემოვიდა რუსის ჯარი, რამაც ირანის შაჰის შეშფოთება გამოიწვია. თავის მხრივ, ბაბახანმაც დაიწყო ჯარების შეგროვება. საქართველოში საშინელი არეულობა სუფევდა (საქ. ისტ., გვ. 416—418). ამას მოჰყვა 1800 წ. ნიახურას ომი, რომელზედაც ლექსების მთელი ციკლია შექმნილი (№ 182 და სხვ.). ეს ლექსიც თავისი მრავალრიცხოვანი ვარიანტებით ასახავს ნიახურას ომის მომენტებსაც.

ბ

ღმერთო, რა დიდი ბრალია
არევა ქალაქისაო,
დალევა ბაგრატიონთა,
ჩარჩევა მასკვლავისაო,
მეფის ერეკლის სიკვდილი,
დაქცევა კმელეთისაო,
გიორგი ბატონიშვილი
შეებძოლების ხთითაო.
გავარდა ალექსანდრეი,
ჯარი ხყავ დაღისტნისაო.
ჭევსურეთს კაცი წალალა:
„თავი დამჭირდა ყმისაო".
ეჩქარდეს ჭევსურთ შვილები,
ერთმანეთს არ უცდისაო.
არაგვზე ჩამადიოდა
გუნდი ქორ-შავარდნისაო,
ჭეხით მიართვეს სალაძი
გიორგ ბატონისშვილსაო.
ერთუცს დაუდგეს პირდაპირ
ჯარები ორის ძმისაო...
შუადღის დრო რო მავიდა,
გუგუნ დგა ზარბაზნისაო.
გაიქცა დაღისტნის ჯარი,
ბძანება იქნა ხთისაო,

გადახყვა ჯევსურთ შვილები,
წკეპა ამადის ჯმლისაო.
თოთიას ამწუხარებენ
სულხანაურის შვილსაო,
თავზე ნახურავს ჩარქანსა
ჯამს ნატყვიარი სჭირსაო.
მაგას ვინ ეტყვის მამასა,
ვინ გარმაავლებს პირსაო?
ყველაის საწყინარია
დადგომა ბორაყისაო,
ალარ ხუოდეს დროშაი
ლალის კარატის ჯვრისაო.

მთქმელი ბახა თამაარიძის ძე ოჩიაური. ჩაწერილი 6. VIII — 1913 წ. ხევსურეთში, ახიელაში, აკ. შანიძის მიერ. შან. № 59, გვ. 23—24. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 54, გვ. 67—69. აკ. შანიძეს ორჯერ გაუმეორებინებია მთქმელისთვის ტექსტი. მცირე განსხვავებანი აღნიშნულია შენიშვნებში. იქვე, გვ. 369.

ბ

ღმერთო, რა დიდი ბრალია
არევა ქალაქისაო!
სიკვდილი ნეფე ერეკლის
საწყინარია ღვთისაო.
ბავარდნილ ბატონისშვილი,
ჯარი ჰყავს ბუსურმნისაო.
გიორგი ნეფისა შვილი
შეებრძოლება ღვთითაო.
ეაცი გაგზავნა ჯევსურეთს:
„თავ მე დამჭირდა ყმისაო“.
ეგ რომ ჯევსურებთ შეიტყეს,
ბაკვი ჩაიცვეს ტანზეა,
არაგვის ჭალას გადმოდის,
ჯარია ლეგა მგლისა
ჩამოდგებ საერისთვოსა,
თვალი ადგება ღვთისა.

მახარობელი წაუვა
გიორგი ნეფის შვილსა.
გამოჰკითხავდა ამბავებს,
მზეი პირს ეფინებისა.
პირდაპირ დაგვიდგებიან
ჯარები ორის ძმისა.
შუაზედ ჩაფარი უდის,
რუსი არ ატანს პირსა.
არ ქმნის შუადღის ხანი,
ვუგუნ დგას ზარბაზნისაი.
დიდი გაიქცა ურჯულო,
ბრძანება იქნა ღვთისაი.
არ ჩაუშვნესა ქევსურნი,
წკეპა ამოდის ქმლისაი.
ღაბრუნდნენ საღამო ხანზედ,
ცნობა არ ჰქონდა მკვდრისაი.
ღმერთო, რა დიდი ბრალია
მანდ დამრჩალ ბურაყისაი!
ყმაწვილსა ჯანიგაურსა
კუბო აუგეთ ხისაი,
შიგ დააწვინეთ შიშია,
ანგელოზია ღვთისაი.
გულზედ მიეცით მილები,
შუქი ჩაუდგეს მზისაი,
ხუთი დაადგეს ხუცესი,
ცოდვა მოკადონ მტრისაი.

ჩაწერილი ივანე გომელაურის მიერ. კვ. № 29, 1897 წ. შან., გვ. 374. აკ. შანიძემ ტექსტი დაბეჭდა ივ. გომელაურის ხელნაწერის მიხედვით. „კვალში“ დაბეჭდილსა და აკ. შანიძის დაბეჭდილ ტექსტებს შორის არის მცირე განსხვავებანი, შან., გვ. 374; დანარჩენი ვარიანტები იხ.: ბეს. გაბური, ხევსურული მასალები, წელიწდეული, გვ. 203; შან; გვ. 370, მე-4 სტრიქ. ქვ. ახლავს გაბურის შენიშვნა: „ვითომ თოთიას დაჭრას მის ძმას ვეშაგურს ვინ ეტყვისო, ვინ გაუბედავსო, რომ შენი ძმა დაიჭრავ“. ამ შენიშვნასთან დაკავშირებით აკ. შანიძეს აღნიშნული აქვს—„მაგრამ აშკარად არა ჩანს. თუ რომელ თოთი-

აზეა საუბარი: სუნხანაურის შვილზე, თუ კურდღელიძეთაზე. თუ უკანასკნელზეა. მაშინ „ვინ გარმააკლევს პირსაოს“ შემდეგ კითხვითი ნიშანი კი არა, არამედ ორი წერტილი უნდა დაისვას“ (იქვე). ტექსტში მოხსენებული ხირჩლა ბაბურაული და ზეზვა გაფრინდაული თუ ბახტრიონის გმირები არიან და საქმე არა გვაქვს სახელების მხოლოდ დამთხვევასთან, მაშინ აქ აშკარა ანარქონიზმთან გვაქვს საქმე; უმიკ. № 183, გვ. 116—117. ტექსტს ახლავს სიტყვების განმარტება: სტრიქ. 15 ქვევ. — ბ ო რ ა ყ ი ს ა ო — დ რ ო შ ი ს ა ო; სტრიქ. 11 ქვევ. რ ვ ლ ი ს ა ო — ს პ ი ლ ე ნ ძ ი ს ა ო; ხევსურული. მმბ. № 1896 წ. შან., გვ. 372; ჩაწერილი ბაბო ლიქოკელის მიერ. შან., გვ. 372 — 373; მთქმელი უშიშა ბურდული. ჩაწერილი ტოლათ-სოფელში კოპტონაშვილის მიერ. ივ. № 238—1888 წ., შან., გვ. 369.

ხევსურული. ჩაწერილი ნიკო ურბნელის (ხიზანაშვილის) მიერ. ივ. № 90, 1891 წ. ნიკო ურბნელს ლექსი ასპინძის ომის ამსახველად მიაჩნია; შან., გვ. 371 — 372. აკ. შანიძეს ლექსი ერეკლე მეორის გარდაცვალებაზე შექმნილ ნაწარმოებთა ციკლში აქვს შეტანილი. ჩვენის აზრით, ლექსი კონტამინაციის ნიმუშია. ასპინძის ომის ამსახველი და ერეკლე მეორის გარდაცვალებაზე შექმნილი ლექსები მთქმელს შეუკრავს ერთ ტექსტად;

ხევსურული. ჩაწერილი თედო რაზიკაშვილის მიერ, შან., გვ. 370 — 371. ეს ვარიანტი, როგორც აღნიშნა აკ. შანიძემ, დაბეჭდილია „კვ“. № 23, 1893 წ. (შან., გვ. 371), როგორც გაგრძელება № 59, დ. ვარიანტისა;

მთქმელი მგელიკა ლიქოკელი. ჩაწერილი ივანე ტუქსიშვილის მიერ. შან., გვ. 373. ამ ვარიანტში ერეკლეს ხსენება აშკარა ანაქრონიზმია. მთქმელი ვერ ერკვევა ლექსის რეალურ საფუძველში. ჩაწერილი ფშავში შალვა ბეწუკლიშვილის მიერ. შან., გვ. 373 — 374.

მთქმელი კამისია ბადრიშვილი. ჩაწერილი 11. VII—1911 წ. ფშავში, შუაფხოში, აკ. შანიძის მიერ. შან., გვ. 375. ხევსურული. ჩაწერილი თედო რაზიკაშვილის მიერ; სტრიქ. 8 ქვ. თ ო თ ი ა ს ა მ წ უ ხ რ ე ბ ე ნ დართული აქვს ჩამწერის შენიშვნა: „სულს ლევდა და თვალებს უხუჭავდენ და ასწორებდენო“;

მთქმელი თოთია მახაისძე წიკლაური. 81 წლის, ბრმა. ჩაწერილი 6. VIII — 1944 წ. ხევსურეთში, სოფ. ამღაში, ქს. სიხარულიძის მიერ.

182. ნიახურას ომი

მთქმელი თევდორე ნატროშვილი. ჩაწერილი 1868 წელს, კახეთში, სოფ. ვაჩნაძიანში, ალ. ჯანდიერის მიერ. უმიკ., № 184, გვ. 117. მრავალვარიანტად გავრცელებული ლექსია. ლექსში ასახულია რუს-ქართველთა მხედრობის მიერ ხუნძახის ბატონის ომარ-ხანის ლაშქრის დამარცხება 1800 წელს ნიახურას, მდ. იორის ნაპირზე, სოფ. კაკაბეთთან. როგორც ცნობილია, გიორგი მეფის წინააღმდეგ ბატონიშვილებმა ხუნძახის ბატონი, ანუ ავარიის ხანი, ე. წ. ომარ-ხანი, მოიწვიეს, რომელსაც თან მოჰყვებოდა ალექსანდრე ბატონიშვილი, ერეკლეს ძე (საქ. ისტ., გვ. 418; საქ. ისტ., 1, 1958 წ., გვ. 386). ტექსტს სტრიქ. 4 ქვევ. ახლავს შენიშვნა — ჯოგანთასა — „ომარ-ხანის სარდალი“) უმიკ., გვ. 117).

ბ

წამოიდა ჯაბალხანი,
რო ღრუბელი შავი ცისა,
თათრის ხანებ კაცს ულალავს,
ალექსანდრეს მეფის შვილსა,
ერთ უშველებელ ჯარს მოგცემ.
თუ შაიძლებ ჯამაგირსა.
თუ ჯამაგირს ვერ შაიძლებ,
სახსარ დაამზადე ტყვისა.
გაიგა ჩვენმა უფროსმა,
მეფე გაწყრა, იმტვრევს კბილსა,
აცა, ძაღლო ჯაბალხანო,
მე მოგაწვნეიებ ცხრილსა,
ჩვენებს ჯარებს ჩაგიყენებ,
შვიდ წალიკად შვიდსა პირსა,
მოგიმართავ ზარბაზნებსა,
შენკე ვაქნეინებ პირსა,
ლიავხურაზე შაიბნეს.
მოსდა ომი წინა ქმისა,
დიდება და მადლი ღმერთსა,
ნაპირ დაიმტვრია ცისა.
ომი ა ეგეთი უნდა,

თოფი ჭეხს და ტყვია წვიმსა.
სისხლის ნაგუბარებზედა
ორქაფები ვეღარ დისა.
ერთადია მაურავი
ვეშაპია შავი ზღვისა,
მაუტანა ათის თავი
ალექსანდრეს მეფის შვილსა,
თავის რჯულზე ეფიცება,
არ მირევავ სალდათისა.
— სრულ მეუფრობ ე გავკოცე,
სრუ აფიცარ თათარისა.
ყონდაყების ფეშქაშ იყვას,
მემრ პატივი შენის ჯმლისა.
დაიწია ჯაბალხანმა,
დაბლა ჩამოვარდა ძირსა,
რადარ თანდიას უჯერე
მამას ჩემსა მეფის შვილსა,
რად არ ვეგდი ოსმალშია,
ღვინით მოვიბანდი პირსა,
რაი ვქენ, რა მომივიდა,
ახლა სისხლით ვიბან პირსა.

მთქმელი ტუჩა ქეთელაური. ჩაწერილი 1930 წ. სოფ. ბისოში ივ. ხორნაულის მიერ. ფშ. ხევს., გვ. 65.

ბ

წამოვიდა ომალხანი,
ზღვასავით მაიქნევს პირსა,
დამაცაით, ომალხანო,
მე დაგაწვნეინებ ცხრილსა.
შაგიყრი რუსის ჯარებსა,
შვიდ წალიკად ჩამოდისა.
დავაფიცხებ ზარბაზნებსა,
შენკე ვაქნეინებ პირსა.
დიდება და მადლი ღმერთსა,
ომი მოხდა წინა ჟმისა.
ომიც ეეგეთი უნდა,

თოფი ჭეხს და ტყვია წვიმსა.
ჩივის, ტირის ომალხანი,
ცრემლით დაიბანდა პირსა,
— რა ვქენ, რაზე ვულალატე
ალექსანდრეს, ნეფის შვილსა.

ჩაწერილი ხევსურეთში გიორგი ნათაძის მიერ. ნათ. № 11, გვ. 19;

დ

დიდება და მადლი ღმერთსა,
რომ ბრძანება იქნა ღვთისა,
სამჯერ გასქდა დედამიწა,
სამჯერ მისცა პირი პირსა,
აბა ყური დამიგდევით,
რა ვთქო ძაღლი ომარ-ხნისა:
ომარ-ხან ჯარი შაყარა,
გულხადრები დაღისტნისა.
ჭარელები შაირიგა,
ახლა ხანებს აძლევს პირსა,
ალექსანდრეს ატყუებდა,
ვაჟბატონი ნეფის შვილსა:
„ჯარებ ბევრსა მოგიმატებ,
თუ შეიძლება ჯამაგირსა,
თუ ჯამაგირს ვერ შეიძლებ,
ტყვე ჩვენ მოგვე კახეთისა“.
შაიტყო რუსის უფროსმა,
იცემს, იკრაჭუნებს პირსა:
„არა, შვილო ომარ-ხანო,
თუ ვერ გაწვნეინებ ცხრილსა“.

ჩაწერილი სოფ. მარაბდას ნინო ბარათოვის მიერ. უმიკ., № 186, გვ. 118.

ე

ყველნი რო მოგვეკია,
ისიც ღმერთმა მოგვანახა,

წამოვიდა თერანიდან,
ზღვა გემებით გადმოლახა,
თბილ ქალაქში ჩამოვიდა,
ნაომარი ვერა ნახა,
იგეთი ღროება მოხდა,
დედამ შვილი ვერა ნახა,
შეწუხებულს ავანტყოფსა
უწყლოდ უშრებოდა ხახა.
ყმაწვილების კალო ლეწა,
ჰოროველა შემოსძახა,
ორმოცდაათი თათარი
ერთ ადგილას დაიმარხა.
რკინის ურმები შაობა,
ავლაბრისკენ გაუძახა,
ავლაბრის ხიდზედ რო შედგა,
მაშინ მტკვარში ჩაუძახა.
ალექსანდრეს ეუბნება,
იმ კახეთის მეფის შვილსა:
„ჯარსა ბევრსა მოგიმატებ,
თუ შეიძლებ ჯამაგირსა“.
ჯარი ბევრი შეუყრია
გულხადარა დაღისტნისა,
ნიახურაზედ გავიდნენ,
შემოჰყარეს პირი პირსა.
ამოტირდა ალექსანდრე,
მუშტიტოლა ცრემლსა ჰყრისა:
„ვაი როგორ უღალატო
ნეფე მამიჩემის შვილსა!“
ივანე ბატონიშვილი
შავარდენი არი ცისა,
იმი ნაკაფი ლეკები
პანტასავით გადმოდისა,
წუწკი გულხადარას სისხლი
მარჯვენაზედ ჩამოჰდისა.

ჩაწერილი კახეთში, სოფ. ველისციხეში, ი. სიდამონ-ერისთავის მიერ. უმიკ., № 191, გვ. 120. მართებულია შემკრებისა თუ რედაქტორის შენიშვნა ტექსტისადმი. „ამ ვარიანტში, როგორც ვხედავთ,

ორი სხვადასხვა ისტორიული ამბავი — აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა და ნიახურას ომი ერთი მეორეზეა გადაბმული" (უმიკ., გვ. 568). დანარჩენი ვარიანტები იხ.:

ჩაწერილი სოფ. მარაბდას ნინო ბარათოვის მიერ. უმიკ., № 188, გვ. 119, ტექსტს თან ახლავს შენიშვნა: „ალექსანდრე ბატონიშვილი ამბობდაო". იქვე;

ჩაწერილი 1881 წელს პ. უმიკაშვილის მიერ ხევში, სოფ. სტეფანწმინდაში. უმიკ., № 189, გვ. 119;

ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ. თაყ. 1. № 30, გვ. 183.

183. ამისთანა დიდი ჯარი

ჩაწერილი დაახლ. 1870 წ. მოწ. ელიოზოვის მიერ. უმიკ. № 185, გვ. 118. ეს ლექსიც ნიახურას ომის ამსახველია.

184. მასვინარედ მასვლა იქნა

მთქმელი ივანე გიორგის ძე სეთურიძე, 87 წლის. წ. კ. უცოდინარი. ჩაწერილი 1950 წ. თამარ ოქროშიძის მიერ. ვირსალ., № 126, გვ. 156. ლექსში ასახულია ბატონიშვილების მიერ ომარ-ხანის მოწვევა საქართველოში და უკანასკნელის ლაშქრის დამარცხება რუს-ქართველთა მხედრობის მიერ.

185. ე რა ქნა ჩვენმა ბატონმა

მთქმელი ქიზიყელი (ნუკრიანელი) მეფანდურე. ჩაწერილი 1864 წ. თბილისში პ. უმიკაშვილის მიერ. უმიკ., № 181, გვ. 115. ლექსის პირველი ნახევარი უნდა ასახავდეს გიორგი მეფის მიერ ლეკთა დიდი რაზმის დაქირავებას, რაც მძიმე ტვირთად დააწვა გაღარიბებულ ქართველ გლეხობას (საქ. ისტ., გვ. 416). მეორე ნახევარი ლექსისა ნიახურას ომის ამსახველი უნდა იყოს.

186. ალექსანდრე

ჩაწერილი გიორგი ნათაძის მიერ. ნათ. № 16, გვ. 18. ლექსი ომარ-ხანის ლაშქრის რუს-ქართველთა მხედრობის დამარცხებაზეა შექმნილი.

187. ახლანდელი ომარ-ხანი

ჩაწერილი კახეთში ლავრ. მათიკაშვილის მიერ. უმიკ. 187, გვ. 119. ლექსი საგულისხმოა ნიახურას ომის მონაწილეთა დასახელებით.

188. ალექსანდრე მოვიდა

მთქმელი ფარდულაშვილი. ჩაწერილი 1868 წ. კახეთში, ყვარელში, ალ. ჯანდიერის მიერ. უმიკ. №-190, გვ. 120. ლექსი ალექსანდრე ბატონიშვილის საქართველოში მტრის ჯართან ერთად შემოსვლაზეა შექმნილი.

189. ბატონიშვილი ამბობდა

ჩაწერილი 1876 წ. ხევსურეთში ხახმატელი ბერდია გამღივარაულის მიერ. უმიკ., № 180, გვ. 114. ეს ლექსიც ნიახურას ომზეა ნათქვამი. სტრიქ. 12, ქვევ., ბ უ ჩ ი განმარტებულია — თ ო ფ ი (იქვე).

190. ფერაულნი

ჩაწერილი ხევსურეთში თედო რაზიკაშვილის მიერ. შან., № 95, გვ. 36, თედო რაზიკაშვილის შენიშვნით ლექსში მოხსენებულია გიორგი ჩოლოყაშვილი, ალექსანდრე ბატონიშვილის თანამედროვეა. შან., გვ. 398.

191. მამამაღლი ომარ-ხანი

ჩაწერილი კახეთში, ლავრ. მათიკაშვილის მიერ. უმიკ. № 193, გვ. 121. პირველი რვა სტრიქონის შემდეგი ნაწილი ლექსისა, რომელიც ნიახურას ომთან აღარ არის დაკავშირებული, რედაქტორს გადაუტანია შენიშვნებში. მიზანშეწონილად ვცანით ტექსტი დაგვებეჭდა ჩანაწერის მიხედვით.

192. ღმერთმა იცოდას, მეწეინა

მთქმელი წიქა ლიქოკელი, 100 წლის. ჩაწერილი 1946 წ. სოფ. აკუშოში, ივ. ხორნაულის მიერ. ფშ. ხევს., გვ. 64. მოხუცი მთქმელის ტექსტი № 181-ს თავისებური ვარიანტი არის.

193. ი. ხეკაშვილი გიორგი

მთქმელი ალექსა გოძიაშვილი. ჩაწერილი 1878 წ. ხევში. უმიკ. № 196, გვ. 121. ლექსი ასახავს ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ ბატონიშვილთა შორის მტრობა-უნდობლობის გამწვავებასა და ირანის შაჰის ცრუ ქომაგობას ერეკლეს შვილებისადმი. ზურაბის ხსენება ლექსში ანაქრონიზმია.

194. მამამაღლო ომარ-ხანო

ჩაწერილი კახეთში, სოფ. ველისციხეში, ი. სიდამონ-ერისთავის მიერ. უმიკ. № 192, გვ. 120.

195. ჩემკენ მოდექ ომარ-ხანო

ჩაწერილი 1870 წ. კახეთში, სოფ. ვაჩნაძიანში, ალ. ჯანდიერის მიერ. უმიკ. № 194, გვ. 121.

196. ერეკლეს გლოვა

ჩამწერი პ. უმიკაშვილი. უმიკ., გვ. 107. გადაბეჭდილია — ცაიშ, ერ. № 52, გვ. 66. საგულისხმო ლექსია ხალხის მიერ ერეკლე მეორის გმირობისა და მისი პოლიტიკის შეფასების თვალსაზრისით. ლექსი არ არის გავრცელებული.

197. ფეტვიით აქულაკამ თქვა

ხევსურული. მთქმელი ივ. ოჩიაური. ჩაწერილი 1884 წ. პ. უმიკაშვილის მიერ. უმიკ., გვ. 107.

ბ

რას ამბობ, ქალო ნათელო,
დროება გამაიცვალა,
რუსი ხემწიფე მოვიდა,
ერეკლე გადაიცვალა.

უმიკ., გვ. 566.

198. ატირდა ბატონიშვილი

ფშ., ლექ., გვ. 257.

199. დაჯექ, დათოლე ჰაჰაო

მთიულეთში გაგონილი და ჩაწერილი ნიკოლოზ ფარესაშვილის მიერ. მგზ. № 11, 1901 წ. გადაბეჭდილია ვირსალ., გვ. 151. არსებობს სხვა ჩანაწერებიც. იგი უფრო მოკლეა — სულ 20 სტრიქონი. აკლია 17 — 20 და 23 — 32 სტრიქონები. ამას გარდა ზოგი სტრიქონი გადაადგილებულია. სხვა მხრივ ეს ჩანაწერი რაიმე განსაკუთრებულ თავისებურებას არ იჩენს. მაკ. მთიულ., გვ. 32. გადაბეჭდილია — ვირსალ., გვ. 467.

200. გაჟი გიეაგ და გვაკობდი

ჩაწერილი ქართლში თ. რაზიკაშვილის მიერ. თაყ. 1, გვ. 221. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. №11, გვ. 21.

201. მეფე ერეკლეს დროშია

ჩაწერილი ქართლში, სოფ. ნიჩბისში, დ. მერაბიშვილის მიერ. კოტ. 217. გადაბეჭდილია — ცაიშ. ერ. № 12, გვ. 22.

ბ

მეფის ერეკლის დროჩიგა
შორს მოვაძოვნი ძროხანი,

დავწვი და ისე მეძინის;
ზედ წავიხურნი ჩოხანი,
ახლა ასეთ დროს ჩავარდი,
მენატრებიან დოსანი.

მთქმელი გიგოლა არჯინაშვილი. ჩაწერილი 1881 წ. ხევში, სოფ. სტეფანწმინდაში, პ. უმიკაშვილის მიერ. უმიკ. 106. კომბინირებული ვარიანტია. 5 და 6 სტრიქონები ფილიპე გოგიჩაიშვილს დაურთავს თუშური ვარიანტიდან, რომელიც 1888 წელს ჩაუწერია ალ. ხახანაშვილს. იქვე, გვ. 565 — 566.

ბ

მეფე ერეკლის დროშია
შორს გავრეკნოდი ძროხანი,
წავწოდი, წავიძინოდი,
წავიხურნოდი ჩოხანი.

ფშაური. ჩაწერილი თ. რაზიკაშვილის მიერ. ხალხ. სიტყვ. III, № 15, გვ. 12. ფ. არქ. № 2794. ამ ვარიანტისაგან ოდნავ განსხვავდება ფშავში, სოფ. ხოშარაში ჩაწერილი ვარიანტი. განსხვავებას ქმნის მეორე სტრიქონში გ ა ვ რ ე კ ნ ო დ ი ს მაგივრად წ ა ვ ა ს ხ ნ ო დ ი (ივ. № 148, 1890 წ.). უკანასკნელს სავსებით ემთხვევა ჩანაწერი. ფ. არქ. № 2806. ოღონდ ჩანაწერში მეორე სტრიქ. არის მრავლობით რიცხვში — წავასხნოდით.

დ

ნეფეს ერეკლეს დროშია
შორს მოვიძუე ჩროხანი,
დავწექი და დავიძინე,
ზედ დავიხურე ჩოხანი.

ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ. თაყ. 1, გვ. 180.

ე

ერეკლე ნეფის დროშია
შორს გავიძოვე ძროხანი,

დავწექ და დამძინებოდა,
თავს წამეხურნა ჩოხანი.

მთქმელი განთქმული მოლექსე და მომღერალი მეურმე ანტონ სონღულაშვილი. ჩაწერილი დიღომში 1943 წ., ჯუანშერ სონღულაშვილის მიერ. მასალ. 1, № 15. გვ. 9 — 10.

3

ნეფე ერეკლის დროშია
შორ მაიძუე ძროხანი
დაჯე, ჩრდილში დაიძინე,
თავით დაიდე ჩოხანი.

ფ. არქ. № 2805.

202. ციციანისთანა შვილსა

ჩაწერილი კახეთში, სოფ. ვაჩნაძიანში, 1870 წ. ალ. ჯანდიერის მიერ. უმიკ. № 198, გვ. 123. ლექსის ადრესატი არის ცარიზმის მიერ 1802 წ. საქართველოში მთავარსარდლად გამოგზავნილი გარუსებული გენერალი პავლე ციციანოვი (ციციშვილი). საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ შეიქმნა რთული პოლიტიკური სიტუაცია. ცარიზმმა ქართლ-კახეთში გაამწვავა წინააღმდეგობა ადგილობრივ კლასებს შორის. თვითმპყრობელობის რეჟიმის სუსხი აუტანელი იყო გლეხებისთვის. ფეოდალთა კლასებს შიგნითაც შეიქმნა პროგრესული და კონსერვატული დასები. „პროგრესული დასის წარმომადგენლებს ესმოდათ, რომ მაშინ საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა არ შეეძლო და თუ იგი რუსეთს ჩამოსცილდებოდა, ის ისევ ოსმალეთს და ირანს ჩაუვარდებოდა ხელში“. კერძო-ფეოდალური ინტერესებიდან გამოსული კონსერვატორ ფეოდალთა კლასი იბრძოდა თავიანთი ძველი პოლიტიკური პრივილეგიების აღსადგენად. „ძველი წესრიგისა და ბაგრატიონთა ტახტის რესტავრაციისათვის ბრძოლაში კონსერვატორები მიმართავდნენ ქართველი ხალხის საუკუნოვან მტრებს — ირანისა და ოსმალეთის სახელმწიფოებს“.

ქართული თვითმმართველობისათვის ბრძოლამ სერიოზული ხასიათი მიიღო. ცარიზმმა უკმაყოფილო ფეოდალთა თვალის ასახ-

ვევად და დასამშვიდებლად საქართველოში მთავარსარდლად გამოგზავნა ეროვნებით ქართველი, მაგრამ მთლიანდ გარუსებული გენერალი პავლე ციციანოვი (ციციშვილი). ციციანოვი ცდილობდა რუსული მმართველობა ქართულ წესჩვეულებასთან შეეხამებინა (საქ. ისტ. 1, 1958 წ., გვ. 399—400). ციციანოვის შენიღბული პოლიტიკა პირველ ხანებში გასაგები არ იყო ხალხისათვის. ამ გარემოებით აიხსნება ამ სახოტბო ლექსის ვარიანტების არსებობა. ასეთებია: —

ბ

ციციშვილი კაცის შვილსა
დედა გაზრდის ძნელათ შვილსა,
შვიდის წლისა რომ შეიქნა,
ზარბაზნების ოსტატია,
მეათეში რო გადადგა,
ხელმწიფობას იდევ წილსა,
ხელმწიფემა დაიბარა,
ტახტზე დასო, განა-ძირსა,
წელზე ხმალი შემოარტყა,
ტარში გველის თვალი ეჯდა,
წინ ბელადი გაუმძღვარა,
გზა ასწავლა შავის ზღვისა.
ასე გადვიდა გალავახს,
როგორც ჯალჯის გორებასა,
კაფა და კაფა ლეკები,
როგორც ტოტები ხისაო.

ჩაწერილი 1871 წ. სოფ. ჩაილურში ლ. ჩერქეზიშვილის მიერ. ფ. არქ. კოლ. უმიკ. ყუთი 2, № 382.

ბ

შვიდი წლისა რო შევიქენ,
ოსტატი ვარ ზარბაზნისა,
ცოდვა-მადლის გამრჩევი ვარ,
დამხსნელი ვარ მწარე ტყვისა.
შვიდი ქარხანა მიბრუნავს,
ვუსწორდები ხემწიფესა,

ვემწიფემ ხმალი მაჩუქა,
ტარი ჰქონდა ტარმუხტისა,
ტარში იყო გველის კუდი,
წვერი ჰქონდა ალმასისა.

იქვე, № 383. არქივის მიხედვით ტექსტი უპასპორტოა. გამოქვეყნებული ტექსტების შენიშვნების მიხედვით ეს ვარიანტი ხევშია ჩაწერილი. უმიკ., გვ. 569. დანარჩენი ვარიანტები იხ.: ჩაწერილი ფშავში თედო რაზიკაშვილის მიერ. ხალხ. სიტყვ. III. № 51, გვ. 274;

ფ. არქ. კოლ. უმიკ. ყუთი 2, № 378. მთქმელი პეტრე ბაღდავაძე, გაგონილი ქუთაისის მაზრის სოფ. ჭღვიშში — ჩაწერილი ბ. ბახტაძის მიერ. ეს ტექსტი გაუმართავია პოეტურად და ენობრივად. იგი ორი ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი ლექსის კონტამინაციის ნიმუშია;

203. ციციანოვი

მთქმელი ხელთუბნელი დედაკაცი. ჩაწერილი 1870 — 71 წ. თბილისში გ. თუმანიშვილის მიერ. უმიკ. № 197, გვ. 122 — 123. სტრიქ. 7 ზევ. დაბეჭდილია ს ი რ ა თ ა, იქვე სქოლიოში კითხვის ნიშნით აღნიშნულია ს ი ა თ ა. ჩვენ საეჭვოდ არ მიგვაჩნია, რომ უნდა იყოს ს ი ა თ ა, ისევე როგორც არის სხვა ვარიანტებში და ვბეჭდავთ შესწორებით. ქ. ს.

როგორც ცნობილია, ციციანოვი ცარიზმის დამპყრობლურ მიზნებს დიპლომატიური ნიღბით ფარავდა, მაგრამ მისი მოქმედება „ნაწილობრივ მაინც უპასუხებდა ქართველ პატრიოტთა ინტერესებს“ (საქ. ისტ. 1, 1958 წ., გვ. 400). 1802 — 1804 წლებში რუსის ჯართან ერთად ქართველი ხალხი იბრძოდა გარეშე მტრების წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს იგი ვერ ურიგდებოდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას. ლექსში ასახულია ციციანოვის მთავარსარდლობის დროს რუსის ჯართან ერთად ქართველების საქართველოს გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლის ერთი ეპიზოდი. ლექსი მრავალვარიანტად არის ცნობილი.

ბ

დაიქადა ციციანმა:
მინდა ერთი განჯა ვნახო,

არ მინახავს განჯის ციხე,
მინდა თვალით დავინახო.
განჯის ხანმა შეუთვალა,
ჩემთან ხელი არა გაქო;
შენ კარი ღია გგონია,
მე კი დაკეტილი მაქო,
ყეინმა სულ მე მიბრძა
ეს ადგილი, ქვეით ბაქო.
შენისთანა ყმაწვილები
განჯას ბევრნი ნახულანო,
უცქერნიათ შორიდანა,
ამდგარან და წასულანო.
— ციციანიმც მოგიკვდება,
კარი არ გაგაღებინო,
ტახტიდან არ გადმოგაგდო,
თავი არ გაგაგდებინო!
ეგ შენი მაფრაშეები
ჩემს სომხებს წავაღებინო,
კნეინა გამოვიყვანო,
ხელებზე ედოს ინაო,
ყაზახებს წავაყვანინო,
ეს მიიყვანეთ შინაო.
შეიკაზმა ციციანი,
ჯარს გამაუძღვა წინაო,
თოფი უჭირავ სიათა,
ხმალი-ფრანგული რკინაო.
რომელიც უკან დადგება,
ლომივით შეუბღვირაო.
წავიდა და იქ ჩამოხტა
განჯის გალავნის წინაო,
შეუთვალა კიდევ ხანსა:
— გარეთა ხარ, თუ შინაო?
მოუმართა ზარბაზნები,
სულ მტვრები აადინაო,
გამოიყვანეს კნეინა,
ხელებზე ედო ინაო,
ჩააბარა ყაზახებსა,
ეს წაიყვანეთ შინაო.

ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ. თაყ. 1, № 33, გვ. 183 — 184.

ბ

ციციონ ცხენზე შებძანდა,
მინდა ერთი განჯა ვნახო,
არ მინახავს განჯის ციხე,
მინდა თვალი გადავავლო.
წინ სალდათები მიმიძღვის,
ზარბაზნები მზათა მაქვსო.
განჯის ხანმა შაუთვალა,
ჩემთან ხელი არა გაქვსო.
გიბრიყვებია ქალაქი,
არ გეგონო კოშლი საქო,
ქვეით სოფლები ჩემია,
განჯა, შამახია, მაქო.
შენი ციცო მაშ მოგიკვდეს,
რაღაც სოფლები მოთვალე,
ხელი ვერ აგაღებინო,
ღორის ხორცი შეგაჭამო,
რჯულიც ვერ დაგაგდებინო,
ტახტიდამაც გადმოგაგდო,
თავიც ვერ გაგაგდებინო.
ეგ შენი მაფრაშეები
სულ სომხებს წავაღებინო.
თიფი და თიფი სალდათი
ციცი გაუძღვა წინაო,
რომელმაც ფეხი არია,
ლომივით შაიბღვირაო,
ადრე გადვიდა გალავანს,
თითქო შიგ გაზდილიაო,
გამაიყვანა ლამაზი,
ხელსა სდებოდა ინაო,
ეს სალდათებსა მიმირთვით,
რომ წაიყვანოს შინაო.

ჩაწერილი 1871 წ. ა. ფერაძის მიერ. ფ. არქ. კოლ. უმიკ. ყუთი 2, № 376, სტრიქ. 10 ქვევ. გაუგებარია „თიფი და თიფი სალდათი“. დანარჩენი ვარიანტები იხ.:

კახეთში ჩაწერილი ლავრ. მათიკაშვილის მიერ ფ. არქ. კოლ. უმიკ. ყუთი 2, № 374. ჩაწერილი კახეთში, სოფ. მარაბდაში, ნინო ბარათოვის მიერ. ფ. არქ. კოლ. უმიკ. ყუთი 2, № 380. ჩაწერილი 1872 წ. სოფ. ნორიოში, ანტ. არჯევანიძის მიერ. ფ. არქ. კოლ. უმიკ. ყუთი 2, № 379; მთქმელი ქაქუჩა მიქაძე. ჩაწერილი 1875 წ. სურამში, ა. კვალიევის მიერ. ფ. არქ. კოლ. უმიკ. ყუთი 2, № 377.

ჩაწერილი სოფ. ხიზაბავარში ი. ლაზარიშვილის მიერ. ფ. არქ. კოლ. უმიკ. ყუთი 2, № 375. ტექსტი ნაკლულია.

ჩაწერილი ქართლში, თედო რაზიკაშვილის მიერ, თაყ. 1, № 34, გვ. 184. სტრიქ. 3 ქვევ. დაბეჭდილია ჩ ე მ ქ ე ზ უ ლ და ფრჩხილებში აღნიშნულია sis. უნდა იყოს ჩ ე რ ქ ე ზ უ ლ;

ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ. თაყ. 1, № 35, გვ. 184.

მაკ. ხევი, გვ. 276 ლექსის დასაწყისი ოთხი სტრიქონი წარმოადგენს ვარიანტს თამარ მეფის შესახებ გავრცელებული სასიმღერო ლექსისა „თამარ მეფე და ხონთქარი მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა“.

ჩაწერილი 24. V — 1937 წ. ჯავახეთში, გიორგი გოგოლაძის მიერ. ფ. არქ. № 11746. მთქმელი სოფ. მზეთა-მზიანის მცხოვრები მიტრო ზაქარიას ძე გოგოლაძე. ფ. არქ. 11746.

ციციანოვზე შექმნილი ლექსების ვარიანტები ჩაწერილია აგრეთვე რაჭაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდობის მიერ 1962 წ. ჩატარებული ექსპედიციის წევრების მიერ. იხ. თსუ ფ. არქ

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა . . 5

მე-18 საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ვითარების ამსახველი ნაწარმოებები

1. ერეკლე მეორე 9
2. ლევან ბატონიშვილი 87
3. თეკლა-ბიჭი . . 92
4. ძაღლიკა ხიმიკაური . 94
5. დილოიძე . 98
6. მაია წყნეთელი . . 101
7. თამრო ვაშლოვანელი . 109
8. თინა წავკისელი . 113
10. პაატა თემურიშვილი . 116
11. გიორგი თილისძე . 123
12. სალომე . . . 130
13. ტურა ქაიხოსრო . . 132
14. ალუდა გაბური . . 134
15. იონეურ თეთრაული . . 137

მე-18 საუკუნის დასავლეთ საქართველოს ვითარების ამსახველი ნაწარმოებები

16. სოლომონ პირველი და მისი თანამედროვენი . . 143
17. სოლომონ მეორე, სოლომონ ლიონიძე, მათი თანამედროვენი 188
18. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება 195
19. შენიშვნები და ვარიანტები 215